

ჯემალ ქირია

# გადაწყვეტის გაგება



თბილისი 2010  
გამომცემლობა „საარი“

ჯაფოზირი თვალი  
ლა

სხვა ზღაპრიში



თხზულებების მე-11 ტომში ძირითადად შევიდა ზღაპრები, რომელთა ნაწყლი ქვეყნდებოდა საბაგშეო უურნალ-გაზეთებში („დილა“, „აი ია“, „ბათნერი“, „ნორჩი ლენინელი“).

ეს ზღაპრები ცალკე კრებულებად გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულ-მა“ („ბუტია სპილო“, 1986, „ბუტია სპილო და სხვა ზღაპრები“, 1996), აგრეთვე საგამომცემლო სახლმა „პალიტრა L“ („როგორ იხსნეს პატარებმა ანბანი“, 2006) ქართულ და ინგლისურ ენებზე (ინგლისური თარგმანი ეჭუთვანი ასმათ ლეკაშვილის).

ზღაპარი - რომანი „ბაციკუპუ და სამი ჯადოქარი“ გამოიქვეყნა გამომცემლობა „ნაკადულ-მა“ („ბაციკუპუ“, 1991). წიგნი ინგლისურად თარგმნა ასმათ ლეკაშვილმა და გამოცემულია აშშ-ში (Baldie, Publish America, Baltimore, 2005).

ტომში შესულია ბოლო დროს დაწერილი ტექსტებიც: მოთხრობა-იგავი „მატარებელი“ („ლიტერატურული პალიტრა“, 6, 2009) და პუბლიცისტური ნაწარმოები „მოგზაურობა ხელჯონით სამეცნიელოში“.

© ჯემალ ქირია - დიდი და პატარა ზღაპრები  
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემობა „საქსოპ“

ISBN 978-99940-60-79-5

## ბუტია სპილო



ძველად სპილოს ხორთუმი არ ჰქონდა. სადაც ახლა ხორთუმი აპია, იქ ერთიციცენა, ლამაზი ცხვირი აჩნდა. სპილოს ძალიან მოსწონდა თავისი ცხვირი და მუდამ ცხვირაპრეხილი დადიოდა. თანაც ზედ სათვალეს ჩამოიცვამდა. გულუბრყვილოდ სჯეროდა, ასე უფრო ჭკვიანი ვჩანვარო.

ერთხელ რაკრაკა წყაროს წააწყდა, ბალახში მიუღურტულებდა და იქვე, შორიახლო გუბდებოდა. სპილომ შიგ ჩაიხედა, რომ საკუთარი სილამაზით დამტკარიყო. ამ დროს სათვალემ წყალში ტყაპანი მოადინა. გუბის სარკესავით ზედაპირზე პანია ტალღები წრეებად გაიშალა. სპილო გაჯავრდა, გუბემ ჩემი სათვალე ჩაყლაპა და დამცინის კიდეცო. სულელს, წყლის პანია წრეები გუბის სიცილი ეგონა.

— ბუტე, ბუტე, გაგებუტე! — უთხრა გუბეს და დუდლუნით გაშორდა.

ბილიკზე ჯადოქარი სარსალა შეხვდა. უზარმაზარი მახრიობელა გველი იყო ჯადოქარი სარსალა. მზის გულზე უყვარდა ბებერი ძვლების გათბობა და ახლაც შუა ბილიკზე გაწოლილიყო. სპილო რომ გამოჩნდა, ფეხებით არ შემდგესო და იქვე, გზისპირა ხეზე აუჩქარებლად შეხოხდა.

— როგორი ზანტი ხარ? ამდენ ხანს მაცდევინე, — გაგულისდა სპილო, — აი, ნახავ, შენც გაგებუტები!

— არ მიყვარს ბუტია ცხოველები, — დინჯად დაისისინა ჯადოქარმა სარსალამ, — იცოდე, რამდენჯერაც ცხვირს ჩამოუშვებ, იმდენი მტკაველით დაგიგრძელდება!

ბუტია სპილომ ამაზე ყურიც არ გააპარტყუნა, გზა ისე განაგრძო.

მიდის თავისთვის, მიბუზღუნებს. ჯავრობს, არავისთან თამაში არ სურს.

— ჰეი, სპილოვ, ფორთოხალი ხომ არ გინდა? — ხეზე კუდით ჩამოკონიალებულმა მაიმუნმა მწიფე ნაყოფი გადმოუგდო.

ალბათ სიამოვნებითაც შესანსლავდა, მაგრამ გაბუტული იყო და ბუზღუნს უმატა:

— უჭკუო მაიმუნო, მთელი დღე ტოტებზე ყირასა სჭიმავს, თავისი ტოლი ვგონივარ!

იარა, იარა და უირაფს გადაეყარა. გრძელი კისერი აელერა, ნორჩ ფოთლებს მისწვდენოდა და გემრიელად ახრამუნებდა. რა თქმა უნდა, იმ ყლორტებზე არც სპილო იტყოდა უარს, მაგრამ ასე მაღლა ვერ მისწვდებოდა და ამან უფრო გააჯავრა.

— იმ სიგრძე კისერზე ჩერჩეტი თავი ადგას, ფოთოლს გაზრდას არ აცლის!

ცოტა კიდევ გაიარა და უცებ გზაზე წრუნუნა გამოუცუნცულდა (ალბათ იცით, უზარმაზარ სპილოებს პანია წრუნუნასი ძალიან ეშინიათ). გულგახეთქილმა ბუტიამ ტყისაკენ შეუხვია და ჩირგვებში გაძუნძულდა.

ამან გუნება მთლად გაუფუჭა. რაც დრო გადიოდა, გულზე უფრო სკდებოდა. ჩირგვებსაც გაებუტა, ფეხებში მედებიანო; დაბლა ჩამოწეულ ტოტსაც, თავში განგებ ჩამარტყაო; მსუყე ბალასაც, მაშინ შემხვდა, როცა სირბილისაგან აქოშინებულს ჭამა არ შემიძლია...

ტყის პირას ნადირთა მეფე ისვენებდა. ცხოველები რიდით შორს უვლიდნენ. სპილოებს, წრუნუნასი კი, მაგრამ ლომისა ნეკისოდენაც არ ეშინიათ. წამოადგა თავზე ნადირთა მეფეს და ძილი დაუფრთხო.

— ლრრ, ვინა ხარ? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ლომმა.

— სპილო ვარ, როგორ ვერა მცნობ? — გაუკვირდა ბუტიას.


— ასეთი გრძელცხვირა სპილო არასოდეს მინახავს! — თქვა ლომმა.

სპილოს ენა ჩაუვარდა. დააცქერდა თავის ცხვირს და ახლალა შეამჩნია საგცარი ცვლილება. ციცქნა ცხვირის ადგილას ისეთი რაღაც წამოზრდოდა, რაც ცხვირს კი არა, ჯადოქარი სარსალას კუდს უფრო ჰერცავდა.

თავზარდაცემული ბუტია წყაროსაკენ გაიქცა. გზაზე არც უირაფი შეუმჩნევია, არც ხეზე კუდით ჩამოკონიალებული მაიმუნი, გაოცებით რომ მოსძახოდნენ, ეგ რა დაგმართნიაო, არც წრუნუნასი შეშინებია და, ალბათ, ჯადოქარ სარსალასაც გაიტანდა, იმას თავისთვის დროზე რომ არ ეშველა.

გუბესთან მივარდა და ჩაიხედა. პირკატა ეცა, თურმე ცხვირის ადგილას ხორთუმი ჩამოზრდოდა. სპილოს დანახვაზე წყაროსაც კი ჩაეცინა და ჩაირაკრაკა: ბუტია ბავშვებს ცხვირი სწრაფად უგრძელდებათო!

ამის შემდეგ სპილო უმიზეზოდ არავის ებუტებოდა, მაგრამ გრძელი ხორთუმი მაინც შერჩა.



## უფლისწული ჩიკორიკო

ერთ სოფელში ცხოვრობდა პატარა ჩიკორი. სულ სოფლის ბიჭებთან თამაშობდა. დედიკო ალერსით ჩიკორიკოს ეძახდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, ენაცვალოს დედა, მთელი დღე რომ იტრიალოს, ოდნავაც არ დაიღლებაო. ისე იყო თავის საქმეში დასტატებული, მუდამ თითის წვერზე იდგა და სხვა დოკულაპია ჩიკორებივით გვერდზე არ მიწვებოდა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ თავიანთი ჩიკორიკო. თხილის წელის წელის აიღებდნენ და ფეხში დასცხებდნენ და დასცხებდნენ. ისე დატრიალდებოდა, ისე დაბზრიალდებოდა, ზუზუნს თუ გაიგონებდით, თორემ თვალს ვერც შეავლებდით. ამ ბზრიალ-ბზრიალში ვერავინ ხვდებოდა, სახე სად ჰქონდა და ზურგი სად. მთელი სოფელი ამაყობდა თავისი ჩიკორიკოთი. ეგონათ, კარგად ვიცნობთო. ყოჩალად ტრიალებდა და ეს რა კარგი ჩიკორიაო, ყველა ამას იძახოდა. სინამდვილეში არც იცოდნენ, მის გულში რა ცეცხლიც ენთო. ჩიკორიკოს ქება თავში აუვარდა, თანდათან გაამაყდა, მე ვყოფილვარ, რაც ვყოფილვარ, ჩემზე მამაცი და ლამაზი არავინ არისო. სადღაც იმასაც მოჰკრა ყური, ესპანელთა ენაზე ჩიკორიკო „ოქროს ბიჭს“ ნიშნავსო და მთლად გადაირია. ქართული ჩიკორი რა მოსატანია, ოქრო ბიჭი ვარ, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულიო, მეფის გვარზე ნაკლები ჩემი გვარიც არ იქნება და ყველამ უფლისწული ჩიკორიკო უნდა დამიძახოსო... ამას ხმამალლა არ ამბობდა და ვინ მიუხვდებოდა გულის ნადებს. სოფლის ბიჭები ძველებურად ერთობოდნენ და ჩიკორიკოც ძველებურად ბზრიალებდა. ყველამ იცის, ჩიკორს თუ არ ურტყი, ისე ვერ იტრიალებს და ბავშვებიც ლონეს არ იშურებდნენ. ადრე ჩიკორიკოს უფრო ის ბიჭები მოსწონდა, რომლებიც

წნელს ძლიერ ურტყამდნენ. ახლა კი, მე, უფლისწულ ჩიკორიკოს როგორ მიბედავენ და წნელით მცემენო, დაიბოლმა და გულში ავი ზრახვა ჩაიდო. ერთხელაც პატარა ბიჭმა წნელი ღონივრად რომ მოუქნია, ჩიკორიკო მოწყდა მიწას, ონავარს ცხვირში ეტაკა და სისხლი ადინა. „ვაიმე, დედა!“ — იყვირა პატარა ბიჭმა. ბავშვებმა თამაშს თავი მიანებეს და დაშავებულს მისცვივდნენ. უფლისწულმა ჩიკორიკომ ცოტა ხანს იბზრიალა, იბზრიალა და მტვერში ჩაემხო...

ამის შემდეგ ბავშვებმა დაივიწყეს ავი ჩიკორიკო. უკვე არავინ სცემდა, მაგრამ საბრალო ბზრიალას გვიან გაახსენდა, რომ უფლისწული ჩიკორიკო კი არა, ძაფის უბრალო კოჭი იყო, ოდესლაც კეთილმა დედიკომ ჩიკორად რომ გამოთალა.

## თხიპნი-თხუპნი

თხიპნი-თხუპნები სამელნეებში ცხოვრობენ. ერთი ასეთი თხიპნი-თხუპნი მამიკოს სამელნეშიც იჯდა. პატარა თათიამ ეს არ იცოდა... მართლა, თქვენ არ იცნობთ პატარა თათიას! ის მამიკოს და დედიკოს გოგოა, ამასთან ბებიკოს შვილიშვილიცაა. ისე პატარაა, ნოლ კლასში გაისად უნდა წავიდეს. „გაისი“ როდის მოვა, არ იცის, მაგრამ თოვინებთან თამაშირომ მობეზრდება, აიღებს ნახატებიან წიგნს და ათვალიერებს, ანდა ფერადი ფანქრით ფურცელზე სხვა-დასხვა კაცუნებსა და სახლებს ხატავს. ერთხელ მამიკო და დედიკო

შინ არ იყვნენ, ბებია კი ტელევიზორთან იჯდა და თბილ წინდას ქსოვდა. თათია მამიკოს კაბინეტში შეიპარა, მამიკოს საწერ მა-გიდას მიუჯდა, მა-მიკოს კალამი მამიკოს სამელნეში ჩა-აწო და ლამაზად და-

წყობილი ფურცლებიდან სულ ზედა ფურცელზე დაიწყო წერა. თათიამ მარტო ორი ასოს დაწერა იცის — „ა“-სი და „ი“-სი. ჰო, ჰო, მერე რა მონდომებით წერს! ენაგამოყოფილი, ხვეშა-ხვეშით დაატარებს ფურცელზე კალამს. აგრე „ა“-ს თავი კოხტად მოუ-გრიხა და „ი“-ს წერას შეუდგა. „ი“ უფრო იოლია. ბურთივით მრგვა-ლია, ოლონდ ფეხები უნდა მიუტყუპო. აჲა, ცოტალა დარჩა. თათიამ კალამი სამელნეში ერთხელ კიდევ ჩააწო. თურმე კალმის წვერს თხიპნი-თხუპნი ჩამოეკიდა და პირდაპირ „ა“-ზე და „ი“-ზე მოადინა ტყაპანი. გაიშალა, დამრგვალდა, ბუსუსებიან მსუქან გოჭს დაემსგავსა, „ა“-ც გადასანსლა და „ი“-ც, თან ისე გემრიელად და-ამთენარა, ვითომ ეს ფურცელი მისი საკუთარი ყოფილიყოს.

— შენ ვინა ხარ? — გაოცებისაგან პირი დაალო თათიამ.



— ვინა ვარ და თხიპნი-თხუპნი! ეს სამელნე ჩემი სახლია! გემრი-ელად მეძინა, შენ კი გამალვიძე! როგორ გაბედე ჩემი შეწუხება?

— მე არ გიცნობ! — ენა დაება თათიას.

— მეც არ გიცნობ და არც მინდა გაგიცნო! — ამაყად განაცხა-და თხიპნი-თხუპნიმ.

— მე თათია ვარ! — ზრდილობიანად აუხსნა გოგონამ. — სუ-ლაც არ მინდობა შენი შეწუხება. ჩაბრძანდი უკანვე სამელნეში, თორემ მამიკო მოვგისწრებს და გაგვიწყრება!

— როგორ თუ ჩავბრძანდე! ქეჩიოში ჩამავლე, ფურცელზე ძალით გადმომსვი, ახლა კი ჩემთან თამაშსაც არ კადრულობ? — გაჯავ-რდა თხიპნი-თხუპნი. — ჩემისთანა ლამაზი და მხიარული თხიპნი-თხუპნი მეორე არ მოიძებნება. გოგონები და ბიჭუნები სიხარულით მეთამაშებიან!

— არ მინდა ასეთი თამაში! — მოთმინებით თქვა თათიამ. — მამი-კოს ფურცელი მთლად გამიღუჭე!

— ჲა, ჲა, რასა ბრძანებთ! — გამოავავრა თხიპნი-თხუპნიმ. — არ გინდა და ნუ გინდა, შენს ჯინაზე არსადაც არ წავალ!

თხიპნი-თხუპნი უფრო მეტად გაიდლაბნა, ზედა ფურცელს კი არა, იმის ქვემოთ რომ ფურცელია, იმასაც მისწვდა.

— ავიღებ და საშლელით წაგშლი! — დაემუქრა თათია.

— ჲა, ჲა, გული არ გამიხეთქო! — დაიჯღანა თხიპნი-თხუპნი.

თათიამ საშლელს დაავლო ხელი, მოუმარჯვა, მაგრამ თხიპნი-თხუპნი სკუპ და ქალალდიდან მაგიდაზე გადახტა, ტყაპა-ტყუპით გაუყვა მაგიდის კიდეს, თან ხითხითებდა თათიას გულის გასახ-ეთქად და ყველგან კვალს ტოვებდა.

— ახლა სველ ტილოს მოვარბენინებ! — წამოხტა თათია.

თხიპნი-თხუპნი კი, ის უსინდისო, პირდაპირ კაბის კალთაზე მოახტა. მერე როგორი კაბა ეცვა თათიას, თეთრი, ქათქათელა, ზედ ვარდისფერი პეპლები ეხატა და თხიპნი-თხუპნიმ ორი პეპელა წამ-ში შესანსლა.

— აბაზანაში შევირბენ და ცხელი წყლით ჩამოგრუცხავ! — ცრემ-ლი მოერია თათიას, მაგრამ თავი შეიკავა.

— ვერ დამიჭერ, ვერ დამიჭერ! — ენა გამოუყო საძაგელმა თხიპნი-თხუპნიმ და იატაკზე მოადინა ტყაპანი.

თათიამ ჩვარს დაავლო ხელი, უკან გამოუდგა, თხიპნი-თხუპნი კი ხან აქეთ გადახტა, ხან იქით, თან ხითხითებდა და ხითხითებდა.

უცხად გოგონას ფეხი დაუცდა, თხიპნი-თხუპნის ზედ დაეცა და  
ქვეშ მოიყოლია.

— ვაიმე, მეტკინა! — იკივლა თხიპნი-თხუპნიმ.

თათიასაც კი ეტკინა, მაგრამ თხიპნი-თხუპნი შეეცოდა და ხელი  
გადაუსვა. აბეზარი და მატყუარა თხიპნი-თხუპნი ახლა ხელზე მი-  
ეტყეპა და კვლავ ხითხითი მორთო.

მაშინ კი ასლუკუნდა პატარა თათია, ცრემლი გადმოსცვივდა.  
მჯიღი რომ თვალებში მოისვა, თხიპნი-თხუპნი ლოყებზე, ნიკაპსა  
და ცხვირზე გადაედლაპნა.

გოგონამ სარკეში ჩაიხედა და რას ხედავს! ზღაპრების წიგნში  
ყველა ალქაჯზე უფრო ალქაჯი რომ არის, ისე აქვს პირისახე მოთხ-  
უპნილი.

— ბებია-ა! — მორთო ლრიალი.

გულგახეთქილ ბებიას საქსოვი ხელიდან გაუვარდა და გამოიქცა.

თხიპნი-თხუპნებს ბებიებისა ეშინიათ, იმ წამსვე ცხელ წყალსა  
და საპონს მოარქენინებენ, თხიპნი-თხუპნის კი ცხელი წყალი და  
საპონი არ უყვარს. თათიას ცრემლებს ჩამოჰყვა, იატაკზე დაეტ-  
ყეპა, იქიდან მაგიდაზე გადახტა და სამელნეში ჩასრიალდა.

— რა იყო, გენაცვალე? რამ შეგაშენა, ჩემო ოქრო? — მოეფერა  
თათიას ბებია.

— თხიპნი-თხუპნი მაჯავრებს! — შესჩივლა თათიამ.

— რომელი თხიპნი-თხუპნი? — ვერ მიხვდა ბებია და მიიხედ-  
მოიხედა.

თათიამაც მიმოიხედა, თხიპნი-თხუპნი არსად ჩანდა.

იმ დღიდან თათია კალამსა და მელანს ფრთხილად ხმარობს,  
ცდილობს სამელნედან თხიპნი-თხუპნი არ ამოიყვანოს...



## შვიდთავიანი ღეგი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდ-  
ნენ ცხრათავიანი მამიკო ღევი  
და ცხრათავიანი ღედიკო ღევი.  
ერთ მშვენიერ ღლეს ღევებს შვი-  
ლი შეეძინათ, ოღონდ შვიდთავი-  
ანი. მშობლები ჯერ ცას ეწივნენ სი-  
ხარულით, მერე, თავები რომ და-  
უთვალეს, ძალიან შეწუხდნენ, მა-  
გრამ აბა რას იზამდნენ. ხშირად  
იტყოდა ცხრათავიანი ღედიკო:  
ჩემს შვილსაც ცხრა თავი რომ  
ჰქონდა, ჩემზე ბედნიერი ქვეყა-  
ნაზე არავინ იქნებოდაო. ცხრათავიანი

მამიკო ამშვიდებდა, ნუ გეშინია, მე ისეთი ძალის პატრონი ვარ,  
ჩემი შვილი სულაც უთავო რომ იყოს, ვერავინ დამიჩაგრავსო.

მართლაც, ცხრათავიანი ღევები ცივ ნიავს არ აკარებდნენ  
შვილს. სულ ფარჩია-აბრეშუმებში აძინებდნენ. ძილი ხომ უყვარდა  
და უყვარდა, როგორც კი გაიღვიძებდა, უმალვე დააღებდა შვიდივე  
პირს: „მშია!.. მწყურია!..“ ჰოდა, საუზმეზე ორ ფუთ კარაქიან პურს  
შესანსლავდა, სადილზე იმდენს მიირთმევდა, ერთი მანქანა თა-  
ვისუფლად დაიტვირთებოდა, ვახშმად კი ერთი ურიკა ხიზილალა  
ძლივს ყოფნიდა.

ისე სულ სხვადასხვანაირი თავები ება, ზოგი ჭკუით ჰქონდა  
გამოტენილი, ზოგს კი ჭკუა სულაც არ მოეკითხებოდა. ერთი თავი  
თუ ცნობისმოყვარე იყო, სხვადასხვა ამბები აინტერესებდა, მე-  
ორე ანცი და ეშმაკი ბრძანდებოდა, მესამე — კეთილი და მხიარუ-

ლი, მეოთხე — ბოროტი და ჭირვეული, მეხუთე — გულუხვი, მე-ექვსე — ძუნი და ქვანვია, მეშვიდე — ძილისგუდა და ზარმაცი.

ექვსი წლისა რომ გახდა, სკოლაში წაიყვანეს და პირველსავე დღეს საყვარელი მასნავლებელი — წვერცანცარა კიკინა კინალამ შემოეჭამა. საბედნიეროდ კეთილი დევუკა იზრდებოდა და დაენანა. ჰოდა, შიშისაგან გულგახეთქილი კიკინა ბეწვზე გადარჩა. სკოლის დირექტორმა, მრისხანე გველეშაპმა ეს ამბავი რომ გაიგო, პირი-დან სულ ცეცხლი და კვამლი გადმოაფრქვია, თან საზარლად და-გრავნილ კუდს მათრახივით ატყლაშუნებდა. პატარა დევუკა დაფრთხა და უნებლივ კუდზე უკბინა. გველეშაპი ვერ მიხვდა, შვიდიდან რომელმა გაბედა და ონავარი თავი გადაურჩა ძირში წაკვნეტას. სამაგიეროდ პატარა დევი დაისაჯა, მას სადილად ერთი ურემი ნამცხვარი და ნახევარი ურიკა ნაყინი აკმარეს.

იმ დღის შემდეგ დევუკას მერხს გისოსები შემოავლეს, რომ თავის საყვარელ მასნავლებლებსა და თანაკლასელებს ვერ მის-წვდენოდა. თუმცა ძალიან კეთილი დევუკა იყო, მაგრამ შეეძლო ფერება-ფერებაში ვინმე ჩაეკბიჩა.

ოცდაცამეტი მასნავლებელი ასწავლიდა ანაბანას პატარა დე-ვუკას. ერთი პირი გაიძახოდა „ასო-ბეგერა ანი!“ მეორე — „ასო-ბეგერა ბანი!“ მესამე — „ასო-ბეგერა განი!“ და ასე ბოლომდე. ჰოდა, როგორც იქნა, ზოგმა თავმა ოთხი ასო-ბეგერა დაიხსომა, ზოგმა — ხუთი და შვიდივე ერთად თუ მოინდომებდა, ხელისგულისოდენა ზღაპარს ჩაარაკრაკებდა.

„შვიდთავიანი ბავშვისათვის ესეც საკმარისია, — თქვა დედიკომ, — ამდენმა მეცადინეობამ მთლად დამისუსტა ჩემი შვილიკო!“

„ისა სჯობია, საქმეს მოჰკიდოს ხელი!“ — ბრძანა მამიკომ.

„ნეტავი რა ხელობა შევურჩიოთ ჩვენს ნიჭიერ შვილიკოს?“ — წუხდა დედიკო.

„თავისთვის სახლი აიშენოს!“ — გადაწყვიტა მამიკომ.

ნამოწვა შვიდთავიანი დევი მხართეძოზე და დაიწყო ფიქრი.

„რა ჯობია სახლის აშენებას!“ — შვიდივე თავმა ერთად ნამოიძახა.

პირველმა თავმა გადაწყვიტა, სამსართულიან სახლს ავიშენებ, ფართო და ნათელ ფანჯრებს ჩავსვამ, ოთახები სინათლით აივსე-ბაო; მეორემ — ერთი სართულიც კმარა, ფანჯრებს სულ ამოვგ-მანავ, დილდილობით მზემ თვალებში რომ არ მიჭყიტინოს; მესა-

მემ — ხის სახლი უფრო მსუბუქი და ხალვათია, ხის სახლს ავიშენე-ბო; მეოთხემ — ქვისასო; მეხუთემ — ფაცხას შემოვლობავ, მეტი რად მინდაო; მეექვსემ — ერთ მიწურს ამოვჩიჩქნი და ისიც კმა-რაო; მეშვიდემ... მეშვიდეს ამასობაში გემრიელად ჩასძინებოდა.

მიხვდა ცხრათავიანი მამიკო, მისი შვილი ასეთი თავებით სა-ხლის ამშენებელი არ იყო, და უბრძანა:

„აჲა, ყანა და მინდორი, რაც გინდა დარგე და დათესე, მოსავა-ლი მოიწიო!“

ნამოვორდა მწვანე მდელოზე შვიდთავიანი დევი და ფიქრში ჩაიძირა.

პირველმა თავმა გადაწყვიტა, ხორბალს დავთეს, პური ბევრი მექნებაო; მეორემ — მარწყვს დავრგავ, გემრიელია და ადრე შემო-დისო; მესამემ — საზამთროს ბალჩა ჯობია, შრომა-გარჯა ნაკლე-ბი უნდაო; მეოთხემ — გაუშვი, ბალახი ამოვიდეს, ძროხას მოვა-ძოვებ, რძე და ხორცი ბევრი მექნებაო; მეხუთემ — თავს რად ავი-ტკიებ, გინდა ეკალ-ბარდებმა იხაროს, ეკალას დავკრევ და მხალ-სა ვჭამო; მეექვსემ — მზესუმზირას მოვიყვან და იმას ვაკნატუნებ, დანარჩენზე დედიკომ და მამიკომ იზრუნონ, მეტი თავები აბიათო; მეშვიდემ... მეშვიდეს, აი, დარდიო და გემრიელად ჩასძინებოდა.

შენუხდა ცხრათავიანი მამიკო, შენუხდა ცხრათავიანი დედიკო, შენუხდნენ გველეშაპი დირექტორი და ოცდაცამეტი მასნავლებე-ლი, რა ვურჩიოთ, რა საქმეს ვაწიოთო. სკოლაში მუსიკას დიდყურა ჩირჩირი ასწავლიდა, — დიდი ყურები აქვს და სმენა ექნებაო, — იმ დიდყურამ შუბლზე იტკიცა, ეს ჩვენი შვიდთავიანი დევი „შვიდ-კაცად“ გამოგვადგებაო. პირველი ხმა აგერაა, მეორეც და მესამე-ცო. ჰოდა, შვიდთავიანი დევი მომღერალი გაგვიხდა. ახლა სადმე „შვიდკაცას“ სიმღერას თუ გაიგონებთ, თანაც „მშია-მწყურიას“ ხშირ-ხშირად ახსენებენ, ეს ის შვიდთავიანი დევი მღერის.

## იყო ერთი ღტ-ღტ!

ადრე ჩვენთან ერთი ღტ-ღტ ცხოვრობდა. ძალიან მხიარული იყო. რატომ ეძახდნენ ასე, მეც არ ვიცი! ალბათ სულ ღტ-ღტ-ღტ-ს რომ იმეორებდა, იმიტომაც დაარქვეს ღტ-ღტ. მეტად უცნაური ვინმე გახლდათ. არც ფეხი ჰქონდა, არც ხელი, არც თავი, არც ტანი, არც არაფერი, არ დადიოდა, არ დაფრინავდა, არ დარბოდა, არ დახტოდა, მაგრამ საკმარისი იყო ვინმეს ეთქვა „ღტ-ღტ“, სიცილ-სიცილით მოვარდებოდა და ყველაზე ცხვირჩამოშვებულ, ბუზლუნა და ბუტია ბავშვს გააცინებდა. თვითონ ხომ სულ იცინოდა, კისკისებდა, კვასკვასებდა, ხარხარებდა, ქირქილებდა, ხითხითებდა, კუჭკუჭებდა, ხანდახან კი მთლად ჩაბჟირდებოდა... ღტ-ღტ ყველას უყვარდა, თუმცა ცოტათი ეშინოდათ კიდეც მისი, თუ ვინმეს მივარდებოდა, იხვენებოდნენ, მეტი სიცილი არ გვინდა, მოვვეშვიო... ღტ-ღტ კი ისეთი ვინმე იყო, ასე ადვილად არავის მოეშვებოდა.

ერთხელ მეზობლის ბიჭი სოსიკა ატირდა. ტირის, მაგრამ რას ტირის! მისი ღნავილი ქუჩის ბოლომდე აღწევს.

— რა ატირებს ამ ბავშვს? — გაკვირვებით კითხულობენ მეზობლები.

— რატომ ტირი, ბებო შემოგევლოს? — თავს ევლება ბებია.

— ვინ განყენინა, ჩემო ბიჭი? — ეფერება დედიკო.

— არ იტიროდა კამფეტს გიყიდი! — პირდება მამიკო.

სოსიკა კი უმატებს და უმატებს ტირილს. თვითონაც არ იცის, რატომ ტირის... ეტირება და რა ქნას?

— გასკდა ბავშვი ტირილით! — წუხს ბებია.

— რა ვუშველოთ! — წუხს დედიკოც.

— ღტ-ღტ მოვიწვიოთ! — ამბობს მამიკო.

საკმარისია ღტ-ღტ ახსენოთ და იგი უმალ იქვე გაჩნდება. ჰო, ჰო, როგორ ვერ იტანს მტირალებს! არ მოსწონს სახედამანჭული, ცრემლებით მოთხუპნილი ბავშვები. ახლაც ღტ-ღტ ახსენეს თუ არა, უცბად მოვარდა და არც აცია, არც აცხელა, ბიჭუნას უბეში ჩაუგორდა.

— ღტ-ღტ! — დაიძახა.

სოსიკა გაყუჩდა, გაკვირვებით მიმოიხედა.

— ღტ-ღტ-ღტ! — გაიმეორა ღტ-ღტ-მ და ჩაიხითხითა.

სოსიკამ ჯერ გაიღიმა, მერე თვითონაც ჩაიხითხითა.

— ღტ-ღტ-ღტ-ღტ! — აკისკისდა ღტ-ღტ.

სოსიკას ცრემლი წამში შეაშრა, აკისკისდა და აკისკისდა, მუცელი ხელით უჭირავს.

მისი სიცილი მეზობლებმაც გაიგონეს და ხელები გაასავსავეს:

— რა აკისკისებს ამ ბავშვს?

— სიცილი უფრო გიხდება, ბებო შემოგევლოს! — გამხიარულდა ბებია.

— გაყოფა, დაშოშმინდი! — გაეღიმა დედიკოს.

— მხიარული ღტ-ღტ გვესტუმრა! — სიცილით თქვა მამიკომ.

დედიკოს და მამიკოს თვითონაც ცოტათი ეშინოდათ ღტ-ღტ-სი და მოფერებით უთხრეს:

— ღტ-ღტ, გესმის, მაია ტირის!

თურმე მეზობლის გოგონა მაია ასკინკილათი ჩამოდიოდა კიბეზე, ფეხი დაუცდა და მუხლი იტკინა.

იდგა და გულამოსკვნით ტიროდა.

ღტ-ღტ ახლა მაიასთან გაჩნდა. ჯერ მტკივანა მუხლზე სული შეუბერა, მერე ყურში ჩასჩურჩულა: „ღტ-ღტ!“ და მაიაც სოსიკასავით აკისკისდა და აკისკისდა...

ასეთი ვინმე იყო ღტ-ღტ, სადმე მოწყენილ ან ატირებულ ბავშვს თუ დაინახავდა, ანდა თუ დაუძახებდნენ, წამსვე იმისკენ გაეშურებოდა. გააცინებდა, გაამხიარულებდა და თვითონაც ხითხითებდა, უხაროდა...



## თეკო დაიყარდგა

— ნაბიჯი არსად გადადგა!  
— უთხრა დედამ თეკოს. — აი,  
აქ იდექი, მე მაღაზიაში შევი-  
რბენ!

თეკო დამჯერე გოგოა. თვი-  
თონაც უნდოდა მაღაზიაში შე-  
სვლა, მაგრამ რაკი დედამ უთ-  
ხრა, ნაბიჯი არსად გადადგაო,  
ვიტრინასთან დაელოდა. ვიტ-  
რინაში ჭრელ-ჭრელი ქსოვი-  
ლები ელაგა და თეკომ დიდ-  
სანს არჩია, ეს ნაჭერი მე მომი-  
ხდება, ის კი ჩემს თოჯინასო.  
მერე მოპეზრდა, საკუთარ ანა-  
რეკლს ენა გამოუყო და ვიტრი-  
ნას ზურგი შეაქცია.

ქუჩა სავსე იყო მანქანებით. ტროტუარზე საქმიანად მიდი-  
მოდიოდნენ უამრავი დეიდები და ბიძიები. გზაჯვარედინზე შუქ-  
ნიშანი ეკიდა. აინთებოდა წითელი შუქი და ყველა მანქანა ერთად  
დაამუხრუჭებდა, ფეხით მოსიარულენი კი სწრაფად გადადიოდ-  
ნენ მეორე ტროტუარზე. აინთებოდა მწვანე შუქი და მანქანები  
ერთპაშად მოწყდებოდნენ ადგილს.

ყველა საფლაც გარბოდა. მარტო თეკოს არ ეჩქარებოდა. ცნო-  
ბისმოყვარედ შესცეკროდა შუქნიშანს, ნეტავი ვინ ანთებს და ვინ  
აქრობსო.

უცებ კაკუნი მოესმა. ვიღაც შავსათვალიან ძიას ხელში ჯოხი  
ეჭირა და ქვაფენილზე აკაკუნებდა. ასე კაკაკუკით მიუახლოვდა  
გადასასვლელს და გაჩერდა. ამ დროს გარშემო არავინ იყო. აინთო

წითელი შუქნიშანი, მერე მწვანე, მერე ისევ წითელი, ძია კი მოთ-  
მინებით იდგა და აკაკუნებდა, თითქოს ითხოვდა, ყურადღება მო-  
მაქციეთო.

თეკო ახლოს მივიდა.

— არის აქ ვინმე? — იკითხა უცებ ძიამ.

— მევარ! — უპასუხა თეკომ.

— ვინ შენ? — გაელიმა ძიას.

— თეკო ვარ!

— თეკო, გენაცვალე, მანქანები რომ გაჩერდებიან, ხელი ჩამ-  
კიდე და მეორე მხარეს გადამიყვანე!

თეკო მიხვდა, რომ ძია უსინათლო იყო. ხელი ხელში ჩავლო და,  
მანქანები რომ შეჩერდნენ, მეორე მხარეს გადაიყვანა.

ძიამ თავზე ხელი გადაუსვა და ჯოხის კაკუნით გზა განაგრძო.

თეკო უკან დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მანქანები კვლავ  
ამოძრავდნენ და იძულებული გახდა, მოეცადა.

მოულოდნელად საიდანლაც პატარა ცუგა გამოცუნცულდა.  
კუდის ქიცინით დასუნა თეკოს ფეხსაცმელი და კბილები მხიარუ-  
ლად დაკრიჭა. თეკო ჩაცუცქდა, მოეფერა. ცუგამ ხაოიანი ენა ხე-  
ლზე აუსვა და შეჰქენება, თითქოს ეუბნებოდა, დავმეგობრდეთო.

— შე საძაგელო, სად დამეკარე! — მოისმა ამ დროს და ლამაზი  
ქალბატონი დაიხარა, ცუგა ხელში აიტაცა და გზას დაადგა. თეკო  
უკან დაედევნა. ცუგა ყეფდა, წრიალებდა, დასხლტომას ლამბ-  
და, თეკოსკენ იწევდა. თეკო გაჩერდა და შორიდან ხელი დაუქნია.

ახლალა გაახსნდა დედა. მიიხედ-მოიხედა. დაფიქრდა, საიდან  
მოვედიო. ერთი მხარე აირჩია და იქით გაიქცა, მაგრამ ნაცნობი  
გზაჯვარედინი ველარსად დაინახა. მთლად აეპნა გზა-კვალი.

— დედიკო! — ჩაისლუკუნა თეკომ. — დედიკო! — და ჩუმად  
ატირდა.

— ხომ არ დაიკარგე, შვილო! — მოეფერა მოხუცი ქალი.

უმალ ხალხი მოგროვდა. გამოჩნდა ძია პოლიციელიც.

— რა გქვია გოგონა? — დაყვავებით შეეკითხა.

— თეკო!

— რამდენი წლისა ხარ?

თეკომ თითები გაფარჩესა, ოთხისო.

— ახლა მითხარი, ვისი ხარ?

— დედიკოსი და მამიკოსი!

— ამომწურავი პასუხია, — გაელიმა ძია პოლიციელს, — თუ იცი,  
სად ცხოვრობ?  
— ჩვენს სახლში! შინ კიდევ ბებია გვყავს და ნათია!  
— ნათია შენი დაიკოა?



— ნათია ჩემი თოჯინაა!  
— ყველაფერი ნათელია!  
ყოჩალი გოგო ხარ, ოლონდ  
ტირილი არ გიხდება!  
ძია პოლიციელმა თეკოს

ხელი ჩაჰკიდა და ყვითელ  
მანქანაში ჩასვა. სახურავ-  
ზე წითელი შუქნიშანი უბრ-  
დღვიალებდა.

— ახლა ამ მანქანით  
აქეთ-იქით გავისეირნებთ, შენ კი იქნება მიხვდე, სად დაშორდი  
დედიკოს!

ჰო, ჰო, რა კარგი სეირნობა გამოუვიდა თეკოს! შიში სულ დაავი-  
ნყდა და თვალებგაბრნყინებული ამაყად იყურებოდა ფანჯრიდან.

ძია პოლიციელმა მიკროფონი აილო და რადიოთი გასძახა ქუ-  
ჩას:

— მოქალაქენო! დაიკარგა პატარა გოგონა — ოთხი წლის თეკო!  
მის დედას ვთხოვთ, გზაჯვარედინთან დაგველოდოს!

მალე თეკომ იცნო ის გზაჯვარედინი, სადაც უსინათლო ძიას  
დაეხმარა. გადასასვლელთან დედამისი იდგა და ცხვირსახოცს  
იქნევდა.

— დედიკო, დედა! — გასძახა თეკომ, მანქანიდან ჩამოხტა და  
ნამტირალევ დედას გულში ჩაეკრა.



## ბევრი შოთიკო

პატარა შოთიკომ გაიღვიძა. ოთა-  
ხში მარტო იყო. ცოტა ხანს იცადა,  
მაგრამ არავინ შემოსულა, არც დე-  
დიკო, არც მამიკო. უნდა გითხრათ,  
რომ პატარა შოთიკოს დედიკოსა და  
მამიკოს გარდა ჰყავს ორი ბებია, ერთი პაპა და ერთი ბაბუკა. ერთი  
ბებია და ბაბუკა სხვა ბინაში ცხოვრობენ, მაგრამ სტუმრად ხშირ-  
ად მოდიან. რა თქმა უნდა, ესენი ყველანი თავს ევლებიან, ეფერე-  
ბიან, კოცნიან, სათამაშოებს და კამფეტებს უზიდავენ, ყოველნაირ  
სურვილს უსრულებენ და, რაც შეიძლება, ანებივრებენ. ეს იმიტომ,  
რომ ამოდენა სახლში მხოლოდ შოთიკოა პატარა და აპა, სხვას ვის  
უნდა მოეფერონ?

ახლა, მარტო რომ დარჩა, გაიბუსა. ეგ როგორ, ყველანი სხვა  
საქმით არიან გართული და შოთიკო, ეს ქვეყნის თვალი, მიავიწყ-  
დათ. დედიკო მაინც რატომ არ დაუდარაჯდა საწოლთან. გამოღ-  
ვიძებულს ხომ უნდა მოპფერებოდა, საალერსო სიტყვები ეთქვა და  
ლოყაზე ეკოცნა კიდეც. ცხადია, საწყენია, როცა დედიკოც გყავს,  
მამიკოც, ბაბოც, ბებიაც, პაპაც და ბაბუკაც, შენ კი გაიღვიძებ და  
ირგვლივ არავინ არის, არავინ გეუბნება, ადე, ჩემო პანაწინაო.

შოთიკო ლოგინიდან ჩამოფოფხდა, დედიკოს სარკესთან გაჩ-  
ერდა. ეს სამკარედი კედელთან დგას. შუაში დიდი სარკეა. აქეთ-  
იქით კი ორი სხვა სარკეცა ჩამოკიდებული. როცა გინდა, გასწევ  
და გამოსწევ... ჩაიხედა შოთიკომ და რას ხედავს: წინიდან შოთიკო  
შემოჰყურებს, საჩვენებელი თითო პირში გაურჭვია; ერთ მხარესაც  
შოთიკო დგას და მეორე მხარესაც... ამ შოთიკოებსაც თითო პირში  
აქვთ და აქეთ-იქიდან უყურებენ.

- გცემ! — უთხრა შოთიკომ შოთიკოებს.
- გცე-ემ! — სამივემ ერთად უპასუხა.
- მე ღონიერი ვარ! — დაქადნებით თქვა შოთიკომ.
- მე ღონიერი ვარ! — არც ამათ დააყოვნეს პასუხი.
- დედიკოს ვეტყვი! — დაისლუკუნა შოთიკომ.
- დედიკოს ვეტყვი! — დაისლუკუნეს იმათაც.

შოთიკომ კარედებს ხელი ჰკრა, ჯერ ერთს, მერე მეორეს, და მიარახუნა. გვერდითა სარკეებმა შუა სარკე დაფარეს და სამივე შოთიკო დაიმალა.

შოთიკო საწოლში შებრუნდა, საბანი ყელამდე აიწია და გაისუსა. მიხვდა, რომ მარტო არ იყო, ამ სახლში ბევრი შოთიკო ცხოვრობდა და თუ თვითონ ყველაზე კარგი არ იქნებოდა, დედიკო სხვა შოთიკოებს მოეფერებოდა.

ამ დროს გაიღო კარი და დედიკომ შემოიხედა.

— გაიღვიძე, ჩემო პანანინა გულის ვარდო?

ბაბომ გამოსძახა თავისი ოთახიდან:

— გაგელვიძა, ჩემო ქვეყნის თვალო?

სტუმრად მოსულმა ბებიამაც მოაწვდინა ხმა:

— შენ შემოგევლე, ჩემო პანანა!

მამიკო, პაპა და ბაბუა უკვე სამსახურებში იყვნენ წასული.

შოთიკო ახითხითდა. ჯერჯერობით სხვა შოთიკოები მას ვერ მოერეოდნენ.



## ჯადოქარი უეფიკო

### 1. დეპეშამ ამბავი მოიტანა

ზარი დარეკეს. ირინე, თეა და სამსონიკა კარისაკენ გაიქცნენ.

— მე უნდა გავალო! — დაიძახა ირინემ.

— მე უნდა გავალო, მე უნდა გავალო! — არ დათმო თეამ.

— მე უნდა გავაგო! — იკივლა სამსონიკამ.

დედიკო სამზარეულოში საქმიანობდა. წუთით თავი გამოყო და მკაცრად თქვა:

— ირინე და თეა, ნუ აკივლებთ ბავშვს!

მამიკო სარკესთან თმას ივარცხნიდა, სამსახურში მიეჩქარებოდა. იმანაც გაიმეორა:

— ირინე და თეა, ნუ აკივლებთ ბავშვს!

— ოჟ! — ამოიხვნეშა ირინემ.

— ოჟ, სულ სამსონიკამ უნდა გააღოს? — მტირალა ხმით იკითხა თეამ.

სამი წლის სამსონიკა გასაღებს ძლივს წვდებოდა, ცდილობდა გადაეტრიალებინა, თან ჭყვიროდა:

— მე უნდა გავაგო, მე უნდა გავაგო!

მამიკო დაიხარა, მოეფერა:

— მოდი, ცოტათი მოგეხმარები!

გასაღები ერთად გადაატრიალეს და კარი გააღეს.

ზღურბლზე ბიძია ფოსტალიონი იდგა.

— დეპეშა! — ქალალდი გამოუწოდა მამიკოს.

— ეს ლა ალი? — იკითხა სამსონიკამ.

ირინე და თეა კი ერთად შეცვივდნენ დედიკოსთან.

— დედიკო, დედიკო, დეპეშა, დეპეშა!

— ჰო, კარგი, გავიგე. — დედიკომ ხელები შეიმშრალა და სამზარეულოდან გამოვიდა.

— ბებიამ დეპეშა გამოგვიგზავნა. — თქვა მამიკომ, ბიძია ფოსტალიონს უურნალში ხელი მოუწერა და მადლობა უთხრა.

— ეს ლა ალი? — კვლავ იკითხა სამსონიკამ.

მამიკომ სათვალე გაიკეთა და ხმამალლა წაიკითხა:

— „თბილისი. ირინეს, თეას და სამსონიკას! ჩემო კუდრაჭებო, დღეს ჩამოვდივარ და, აბა, თქვენ იცით, როგორ კარგად დამხვდებით! ფეფო ბებო!“

— ვაშა, ფეფო ბებო ჩამოდის! — ტაში შემოჰკრა ირინემ.

— ბებია ჩამოდის, ბებია ჩამოდის! — დაბზრიალდა თეა.

— ეს ლა ალი? — ტირილისათვის მოემზადა სამსონიკა.

— რა არის და დეპეშა! — მოფერებით უთხრა მამიკომ.

— ლატოა დეპეშა?

— შე სულელო, დეპეშამ ამბავი ჩამოგვიტანა, ფეფო ბებო ჩამოდისო! — დინჯად აუხსნა ირინემ.

გამხიარულებული სამსონიკა უცტად მანქანად გადაიქცა. ოთახში წინ და უკან დარბოდა, თან მთელი ხმით ყვიროდა:

— ღვ, ღვ, ღვ... ღღღ...

— პირდაპირ არ ვიცი, რა მოუსვენარი ბავშვებია! — დედიკომ თავი გააქინა და სამზარეულოში შებრუნდა.

— ბებია ჩამოვა და მოგეხმარება! — დაამშვიდა მამიკომ.

ბავშვებს კი კვლავ ერთი ალიაქოთი ჰქონდათ.

## 2. ნესიერად უცდა მოვიძეეთ

ნასაუზმევს დედიკომ ჭურჭელი დარეცხა, სამზარეულო მიალაგა, კაპა გამოიცვალა, სარკესთან ცოტა ხანს იტრიალა და გოგონები დაარიგა:

— აბა, თქვენ იცით, გოგონებო! უკვე დიდები ხართ! ჭკვიანად იყავით, სამსონიკას მიხედეთ! სახლი არ ამირიოთ! დღეს ხომ ფეფო ბებო ჩამოდის, წავალ, მატარებელს დავხვდები!

— მეც მინდა მატალებელი! — მოიწყინა სამსონიკამ.

— მე ვიქნები მატარებელი, თქვენ კი ვაგონები! — წამოიძახა ირინემ, მკლავი მოხარა, გააქან-გამოაქანა და იკივლა: — უუუ!.. ჩქ-ჩქ-ჩქ!..

პირველი თეა მივარდა, კაბის კალთაზე ჩაეჭიდა და ფეხების ბაკუნით მიჰყვა.

ახლა სამსონიკა ჩაეჭიდა თეას კაბის კალთას და ჭყვირილი მორთო:

— მატალებელი მო-დის!.. ცქ-ცქ-ცქ!..

დედიკოს გაეცინა და კარი ჩუმად მიხურა.

ბავშვები კარგა ხანს დაქროდნენ ოთახებში, მერე დაიღალნენ და შეჩერდნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

შემკრთალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დედიკო მინდა! — დაისლუკუნა სამსონიკამ და თითი პირში გაირჭო.

— დედიკო მალე მოვა! აგე, მაღაზიაში ჩავიდა, სალეჭი რეზინი უნდა გვიყიდოს! — იცრუა თეამ.

— მოდით, დედიკობანა ვითამაშოთ! — თქვა ირინემ. — მე ვიქნები დედიკო, თეა იქნება ირინე, სამსონიკა იქნება თეა!

— ალ მინდა, მე ბიჭი ვალ! — იუკადრისა სამსონიკამ.

— კარგი, კარგი! — უმალ დაეთანხმა ირინე. — ვითომ ირინე წავიდა ბებიას დასახვედრად, მე კი დედიკო ვარ!

— სენ ალა ხალ დედიკო!

— ვითომ დედიკო ვარ, მართლა დედიკო კი არა! — მოთმინება დაელია ირინეს. — აბა, ბავშვებო, აქ დასხედით და მომისმინეთ!

თეა და სამსონიკა დასხედნენ და ხელები მუხლებზე დაიწყვეს.

— ბავშვებო, თქვენ უკვე დიდები ხართ! — დედიკოსავით თქვა ირინემ. — ჭკვიანად მოიქეცით! სამსონიკა პატარაა და მიხედეთ! მე კი წავალ და ფეფო ბებოსა და სალეჭ რეზინს ვიყიდი!

— სალეჭი რეზინი მინდა! — ამოიოხრა თეამ.

— მე კიდევ კამფეტი, ლეზინი და ბებია მინდა! — სწრაფად ჩაარაკრაკა სამსონიკამ და ამ დროს ხმაური გაისმა.

### 3. პეპია ფანჯრიდან შემოვრინდა

ფანჯარას რაღაცა მოხვდა, თითქოს დააკაკუნესო. ბავშვები მეექვსე სართულზე ცხოვრობდნენ და აპავის უნდა დაეკაკუნებინა?

— ნუ გეშინიათ, ქარია! — ირინემ ფარდა გადასწია.

რაფაზე ბაჩუჩი ეგდო.

ირინემ ფანჯარა გამოალო, გადაიხედა. ეზოში არავინ ჩანდა, ან ვინ ამოაგდებდა ბაჩუჩს ამ სიმაღლეზე.

უცებ ზევიდან ვილაცამ დასჩავლა:

— ჰეი, შენ! ჩემს ბაჩუჩს ხელი არ ახლო!

პირდაპირ თავზევით ციცქნა დედაბერი ცოცხზე შემომჯდა- რიყო, ხელში დახურული ქოლგა ეჭირა და იმ ქოლგით იმუქრებოდა.

— მე სხვისი ბაჩუჩი არ მჭირდება! — უპასუხა ნაწყენმა და ცო- ტათი შემკრთალმა ირინემ.

უცნაური დედაბერი კი ამასობაში სკუპ და რაფაზე დასკუპდა, ბაჩუჩში ფეხი ჩაყო, სკუპ და მამიკოს სანერ მაგიდაზე დასტა, თან ფანჯრების კოლოფი გადმოაგდო, ერთხელ კიდევ სკუპ და იატა- კზე ჩაბუქნა. ცოცხი ერთ კუთხეში მოისროლა, ქოლგა მეორეში და მხიარულად წამოიძახა:

— ესეც ასე, მეც აგერა ვარ!

— რა პატარა ბებიაა! — მხრები აიჩეჩა თეამ.

— მერე რა, ზოგი ბებია პატარაა, ზოგი დიდი! — ხმადაბლა აუხ- სნა ირინემ და სტუმარს დინჯად მიესალმა: — გამარჯობათ, ბებია!

— ფიპ, რა საჭიროა გამარჯობა, სულაც არ მიყვარან ზრდილო- ბინი ბავშვები!

ესა თქვა და ხელები გაშალა, ცეკვით ჩამოუარა, თან მღეროდა:

მომწონს უზრდელი და გაუთლელი,  
უჯერებელი და უტიფარი,  
დაუვარცხნელი, დაუბანელი,  
უქნარა ბიჭი, ზარმაცი გოგო...

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს. სამსონიკა კი იდგა და ფი- ქრობდა, ვიღრიალო თუ არაო.

— აპა, ბავშვებო! რომელი თქვენგანი მიხვდება, ვინ ვარ მე?

— ბებია! — ყოყმანით თქვა ირინემ.

— ყოჩალ! აპა, ვინ მეტყვის, როგორი ბებია ვარ?

— კარგი! — ძლივს ამოღერლა თეამ.

— ცუდი ბებია! — თქვა სამსონიკამ გადაჭრით.

— არც ერთი და არც მეორე! მე უბრალო ბებია არ გეგონოთ, მე კამფეტების მოყვარული ბებია ვარ!

— მე კი მეგონა, კამფეტებს ბებია მოგვიტანდა! — თავისთვის ჩაიდუღლუნა თეამ. — ჩურჩხელებსაც, ხილსაც...

— აპა, ვინ მეტყვის, სად მაღავს დედიკო კამფეტებს?

— მე! — წამოიძახა სამსონიკამ და უჯრაში მივარდა, სადაც დე- დიკო სტუმრებისათვის ტკბილეულს იზოგავდა.

ისკუპა სტუმარმა და თავით უჯრაში გადაეშვა, იქიდან მარტო მისი მაღლა აშვერილი ბაჩუჩები მოჩანდა და კამფეტების კნანკ- ნუნი ისმოდა.

— განა ეს ჩვენი ბებიაა? — ჩურჩულით ჰკითხა თეამ ირინეს.

— ხომ ჰეგავს ჩვენს ბებიას, იმასავით ბებერია!

— რას ჩურჩულებთ, კუდრაჭებო? — ბაჩუჩები უჯრაში ჩაიმა- ლა, სამაგიეროდ თავი გამოჩნდა. სტუმარს ცხვირ-პირი შოკოლა- დით მოეთხუპნა.

— ჩვენი ბებია ხართ? — მორცხვად ჰკითხა თეამ.

— მე ვარ ბებია-პირიქით! — მედიდურად განაცხადა კამფეტე- ბის მოყვარულმა ბებიამ.

### 4. პეპია-პირიქით

— ჩვენს ბებიას ფეფო ბებია ჰქვია! — თქვა თეამ.

— გამოცანა გერგება! აპა, თუ მიხვდები, მე რა მქვია? ჰო, ჰო, ვერ მიხვდი!.. მე მქვია ფეფიკო ბებია-პირიქით!

უჯრიდან გადმოსტა, ფეხები გააბაჯავგინა და წვრილი ხმით შემოსძახა:

მე ვარ ფეფო ბებია,

ოღონდ პირიქით!

მიყვარს შვილიშვილები,

ოღონდ პირიქით!

საჩუქრებიც ბევრი მომაქვს,

ოღონდ პირიქით!

კამფეტებს თქვენთვის ვინახავ,  
ოლონდ პირიქით!

— ფეფიკო ბებია-პირიქით, — დინჯად ამოშაქრა ირინემ, — ბებიები შვილიშვილებს რომ ესტუმრებიან, საჩუქრებიც მიაქვთ. თქვენ კი კამფეტებისულ შეგვიჭამეთ. ახლა მოვა დედიკოდა გაგვიჯავრდება!

— ძალიანაც კარგი! — გაუხარდა ფეფიკოს და კვლავ ამლერდა:

დედა უნდა გააჯავრო,  
მამა უნდა გააჯავრო,  
ჰოპა, ჰოპა, ჰოპლა!  
ეს რა ბავშვი გაგვიზრდია,  
ღმერთო, ეს რა გაგვიზრდია,  
მურაბები შეგვიჭამა,  
პირი ჩაიკოკლო ზინა,  
არ დატოვა ერთი ქილაც,  
ჰოპა, ჰოპა, ჰოპლა!

მლეროდა ფეფიკო, თან ბუქნავდა, ირინე და თეა კი ტაშს უკრავდნენ და ხმას აყოლებდნენ:

— ჰოპა, ჰოპა, ჰოპლა!..

— მე დედიკო მიყვარს და ვერ გავაჯავრებ! — განაცხადა ირინემ.

— მეც მიყვარს, ბატონო, დედიკო! — გაიბუსა თეა.

— დედიკო? — იკითხა სამსონიკამ და უცებ პირი დააბჩინა: — დედიკო მინ-და-ა! ალ მინდა ბებია-პილიქით!

ფეფიკომ ყურები თითებით დაიცო.

— ოჳ, ოჳ, მთლად დამაყრუა, ახლა ჩემს ყურებს მალამო დასჭირდება! — ანუწუნდა ფეფიკო, ტახტზე წამოვორდა, ბალიშები და მუთაქები შემოიწყო და განაგრძო: — ჩემი განკურნება იოლი არაა! ენის წევრზე მურაბა უნდა დავიდო, ყურებში კი ზღაპარი უნდა მესმოდეს, აი, მაშინ მოვრჩები!

— მურაბები გვაქვს! — ირინემ განჯინაში ჩამწკრივებული ქილები გამოაჩინა, — კომშისაც, მსხლისაც, ლელვისაც...

— ოჳ, ოჳ, ერთი კოვზის მურაბა, ერთი მსხლის, ერთი ლელვის... უებარი წამალია... თან ზღაპარიც...

ფეფიკომ მურაბების ქილები ირგვლივ შემოიწყო და ხან ერთში ჩაყოფდა თავის წვრილ ცხვირს, ხან მეორეში...

## 5. ირინე ყვება კონკიას ზღაპარს

— კარგით, — თქვა ირინემ, — მე მოგიყვებით კონკიას ზღაპარს!  
— მეც ვიცი კონკიას ზღაპარი! — სწრაფად ჩაურთო თეამ.

— იკო და ალა იკო ლა... მეც ვიცი! — არ დააცალა სამსონიკამ.

— ეს რომელი ზღაპარია? — იკითხა ფეფიკომ, — კონკები რომ ეცვა და კარგი დედიკო-პირიქით ჰყავს?

— კონკები იმიტომ აცვია, რომ გერია, — მოთმინებით აუხსნა ირინემ, — დედინაცვალი კი ბოროტი დედიკოა, არ აჭმევს, არ აცმევს, სულ მურში ჰყავს ამოთხვრილი, ჩემს გოგოზე ლამაზი არ გამოჩინდესო!..

— ჭკვიანი დედინაცვალი ყოფილა!

— მერე კეთილმა ჯადოქარმა კონკიას აჩუქა ოქროს ქოშები და პრინცესას კაბა... — განაგრძო ირინემ.

— ჩემთვის ეჩუქებინა, უფრო მომიხდებოდა! — ფეფიკომ თავისი წვრილი ცხვირ-ნიკაპი ამაყად აბზიკა.

— კონკია წავიდა პრინცის სასახლეში, იცეკვა და პრინცს მოენონა. ბოროტ დედინაცვალს კი ცხვირი დაუგრძელდა...

— ვაი, ვაი! — ცხვირზე ხელი იტაცა ფეფიკომ, მაგრამ ცხვირი თავის ადგილზე ჰქონდა, ოლონდ ზედ მურაბა ეცხო. — არ ვარგა შენი ზღაპარი. ფიჳ, კეთილი ჯადოქარიო!.. მეც კი ვარ ჯადოქარი, მაგრამ ოქროს ქოშებს არავის ვაჩუქებ, თუ მექნა, თვითონაც კარგად ჩავიცვამ!

მურაბიანი პირი სახელოთი მოიწმინდა, ტახტიდან ჩამოხტა, გაჩინკული ფეხები მამიკოს უზარმაზარ ფეხსაცმელებში სტუცა და ბაკიბუკით გაიარ-გამოიარა.

— ის ქოშები ერთი ციცქნა იყო და მოგიჭერდა! — ნიშნის მოგებით უთხრა ირინემ.

— მომიჭერდა და... — ფეფიკომ ფეხი გააქნია... ბრახ!.. ფეხსაცმელი კარადის თავზე დავარდა... ბრახ!.. და მეორე სადღაც ტახტის

ქვეშ შევარდა: — ჰო, ჰო, რა ოსტატურად მოვისროლე! — შეკუნ-ტრუშდა ფეფიკო და ტაში შემოჰკრა.

— მეც კი შემიძლია! — ირინემ დედის ახალ ფეხსაცმელში ჩაყო ფეხი და მოიქნია. ფეხსაცმელი წიგნის კარადის უკან ჩაეჩირა.

— მეც, მეც! — თეა მეორე ცალს მივარდა და დედიკოს ფეხსაც-მელი წვრილი ქუსლით ჭაღზე ჩამოეკონწიალა, ბროლის ფირფიტე-ბი ააწკრიალა.

— ვასა! — გაიხარა სამსონიკამაც, ფეხსაცმელი ვერ იპოვა და თოვებინა ისროლა.

ყველანი გამხიარულდნენ. ფეფიკომაც ბევრი იხითხითა. როცა დაშოშმინდნენ, კვლავ ტახტზე შეხტა, ბალიშები და მუთაქები შე-მოიწყო.

— განვაგრძოთ მკურნალობა! მე ენის წვერზე მურაბას დავიდებ, თეა კი ზღაპარს მომიყვება!

— მე, ბატონო, წითელქუდას ზღაპარი ვიცი! — განაცხადა თეამ დიდის ამბით.

## 6. თეა უვება წითელქუდას ზღაპარს

— ძალიანაც კარგი! — ტუჩები მოილოკა ფეფიკომ. — მე მიყ-ვარს წითელქუდას ზღაპარი, მგელი რომ „პამ!“ და წითელქუდას გემრიელად შესანსლავს, ნერწყვი მაღება პირზე...

— ეგრე არა! — იწყინა თეამ. — წითელქუდა პატარა გოგო იყო და დედამ საგზალი გაატანა და წითელი ქუდი ეხურა და მგელი გზაზე შემოეყარა და... — სხაპასხუპით მიაყარა, — აქეთ საით გაგი-წევიაო და ბებიასთანაო და ბებია სად ცხოვრობსო და...

— ვაი, ვაი! — ყურებზე ხელი აიფარა ფეფიკომ. — ვერაფერი გავიგე და მადაც მთლად დამეკარგა! ასე ჩქარა ნუ ყვები, თორემ ვერ მივხვდები, როდის შესანსლა მგელმა წითელქუდა... მოდი, რა იქნება, პირდაპირ ტყეში შესანსლოს?

— არ შეიძლება! ტყეში თლინთლინავი მოფრინავდა, ზედ მეტ-ყვე იჯდა...

— თლინთლინავი კი არა, თვითმფრინავი! — გაუსწორა ირინემ.

— მე კი ვიცი, გოგო, მაგრამ მგელმა არ იცის! — თავი იმართლა თეამ.

— მეტყევე აღარ გვინდა! — ზიზღით დაიმანქა ფეფიკო.

— მგელი ცუდია და ბებია, ბებია, რატომა გაქვს ასეთი კბილებიო...

— იმიტომ რომ შეგსანსლო! — მგელივით ჩაიღრინა ფეფიკომ, მაგრამ თეკუნას სულაც არ შეშინებია.

— მერე რა! მოვლენ თლინთლინავით მეტყევეები და მუცელს გაგიჭრიან და ამომიყვანენ...

## 7. სამსონიკა უვება მგლის ზღაპარს

— ახლა მე, ახლა მე! — აჭყლოპინდა სამსონიკა.

— ჯერ არ დამიმთავრებია! — გაიბუტა თეა.

— იკო და ალა იკო... ტყეში იკო და ამუნია იკო და მამიკომ ცემა... მელე დათუნია იკო და მამიკომ ესეც შენო და ჯოხი ჩაალტყა... მე-ლია კუდიგძელიამ დათუნია შეჭამა და მგელმა ღღ-უო!.. მამიკოს ალ ეშინია და ღღ-უო... ამუნია ვალო, ახლა უნდა შეგჭამოო... მგე-ლი გაიქცა და ბეკეკა მომიკვანა და მე მოვეფელე...

— სად არის ბეკეკა? — ყური ცქვიტა ფეფიკომ. — მე ისე მიყ-ვარს ბეკეკა!

— ტელევიზორში! — სამსონიკამ ტელევიზორის ეკრანს თითო ატაკა.

— ოპ, შე მატყუარა, ესეც შენ! — ფეფიკომ სამსონიკას პატარა ბალიში ესროლა.

## 8. პალიშების როგო

სამსონიკა წაიქცა.

ალბათ ვინმეს ჰეგონია, რაკი სამსონიკა წაიქცა, ალრიალდა კიდე-ცო. არაფერიც! სამსონიკას ძალიან უყვარდა ბალიშებით ომობა-ნა. ოლონდ დიდ ბალიშებს ვერ ერეოდა და ტახტზე დაყრილ ფე-რად-ფერად, პატარ-პატარა ბალიშებსა და მუთაქებს მივარდებო-და ხოლმე.

ახლაც „ვასაო!“ შესძახა და ყვითელი მუთაქა მთელი ძალით მოიქნია, მაგრამ ფეფიკომდე ვერ მიაწვდინა, თვითონ კი ისევ დაეპ-ერტყა ძირს.

ფეფიკომ იატაკის ჯოხს დაავლო ხელი, ზედ გადააჯდა, აქაოდა ჩემი ცხენიაო, ყურით ერთი ბალიში დაითრია, ველური ყიუინით გააჭენა თავისი რაში, თან ბალიში თავზევით ატრიალებდა... გაუშვა ხელი და პირდაპირ თეას მოარტყა.

— ასე არ ვთამაშობ! — აჭიჭყინდა თეა, მაგრამ ვინ უსმინა. ირინემ ბატის ღინდლით გატენილი დიდი ბალიში მოარბენინა, ფეფიკოს ვესვრიო, მაგრამ ღონე არ ეყო. ბალიშიც დაუვარდა, თვითონაც ზედ დაეცა. ამასობაში ჯოხზე ამხედრებულ ფეფიკოს ფეხი დაუცდა და იატაკზე მოადინა ტყაპანი. თან ორი სკამიც წააქცია. მურაპიანი ქილები ზოგი ალთას გაგორდა, ზოგი ბალთას და პიანინოზე შედგმული ბროლის ვაზა სულაც თავისთავად გადმოვარდა, თუმცა იმ ღროს პიანინოს იოტისოდენადაც არავინ გაჰკარებია.

— დავზავდეთ, დავზავდეთ! — ხელები ასწია ფეფიკომ, მაგრამ სამსონიკამ ზავი არ იცოდა, რა იყო. რაც კი ფერადი ბალიშები და მუთაქები ჰქონდა, სათითაოდ ესროლა ზოგი თეას, ზოგი ირინეს, ზოგი ფეფიკოს და მალე მთელი ოთახი აჭრელდა...

## 9. ზეფიკოს კაბა გაეხა

ასეთი თავგამოდებული ომი უშედეგოდ ხომ არ დამთავრდებოდა. ფეფიკომ იატაკზე ყირა რომ გაჭიმა, მისმა კაბამ „ფხრინ“ დაიძახა. ისე ძალიან კი არ გახეულა, მაგრამ ფეფიკოს თურმე მეტი არა ჰქონდა. საბრალო დაღონდა, სლუკუნი მორთო. სამსონიკარომ სამსონიკაა, იმანაც თავი დაანება ბალიშებსა და მუთაქებს და გაკვირვებით იკითხა:

— ტილის?

ირინემ და თეამაც გაიოცეს. ირინემ თავზე ხელი გადაუსვა.

— ნუ ტირი, ფეფიკო ბებია, თორემ ჩვენც ავტირდებით!

ჩვენც ავტირდებითო, ფეფიკოს გული მთლად აუჩუყდა და ისე-თი ზლუქუნი მორთო, იატაკზე ცრემლის გუბეები დადგა.

ამის დანახვაზე ჯერ თეა ასლუკუნდა. მერე ირინემ გადმოყარა ცრემლი. სამსონიკა კი იდგა, იდგა და უცებ ისე მოაღო პირი, დანარჩენებს მაშინვე ცრემლი შეაშრათ.

— არ გვინდა ტირილი! — ფეფიკომ კაბის კალთით ცრემლიც მოიწმინდა, ცხვირიც და მურაბის ლაქებიც. — რას ვიზამ, ასეთი

ბედი მქონია. ეს კაბა ბებიის ბებიის ბებიამ მიანდერძა! ამაზე უკეთესი და მოხდენილი კაბა ქვეყანაზე არ მეგულება, მაგრამ ზოგიერთებს თურმე კარალაში ბევრზე ბევრი კაბა უკიდია.

— ჩვენცა გვაქვს ტანსაცმლის კარადა! — წამოიძახა თეამ.

— რა თქმა უნდა, ამ ჩემს ლამაზ კაბას თქვენი დედიკოს უშნო კაბაში ვერ გადავცვლი, მაგრამ ცალი თვალით მაინც შევხედავ. აბა, კარადისაკენ გავსწიოთ! — თეა ფეფიკომ და სიმღერა წამოიწყო:

სულ ახლახან, ათასი წლის წინ,

ბებიკონამ ძვილიშვილებს

კაბა აჩუქა!

სულ ახლახან, ათასი წლის წინ,

ჯადოქრების გონჯ დედოფალს,

ჯადოქრების გონჯ დედოფალს,

გული გაუსკდა!

შურისაგან, შურისაგან, გული გაუსკდა!

— შურისაგან, შურისაგან გული გაუსკდა!.. — აჟყვნენ ბავშვები და ასე მღერა-მღერით მივიღნენ კარადასთან.

ოპო, კარადაში იმდენი ტანისამოსი ეკიდა, ალბათ ყველა ტიტლიკანა ჯადოქარს შემოსავდა. ფეფიკო სკამზე შეხტა და ყველა-ფერი ძირს გადმოყარა. იატაკზე ტანსაცმლის მთელი გორა დადგა და გახარებული სამსონიკა შიგ გადაკოტრიალდა.

ფეფიკომ გროვიდან ხან ერთი კაბა ამოათრია, ხან მეორე. ასე მოიზომა, ისე მიიზომა, მაგრამ დედიკოს კაბებს იმ სივრძე კალთები ჰქონდა, ვერც ერთი ვერ მოირგო, სწორედ რომ საფრთხობელას დაემსგავსა. ბოლოს სამეჯლისო კაბა შეარჩია, აიღო და კალთა მოაფხრინა. აი, ახლა კი მოუხდა!

ის ნაფხრენი თეამ შემოიხვია წელზე, აქაოდა საცეკვაო კაბა გამომივაო.

ამასობაში ირინე მამიკოს შარვალში ჩამჯდარიყო და ზედ ნიკაპზე იკრავდა.

სამსონიკამ კი დედიკოს ლამის პერანგი დაითრია, დედოფალი ვარო და თავზე წამოიცვა, მაგრამ თავი ვერ ამოყო, ამუნიად გადაიქცა და ხან ერთს ეცა, ხან მეორეს... მერე თვითონაც შეშინდა და ჭყვირილი მორთო. ძლივს მოაცილეს თავზე ჩამოცმული ლამის პერანგი.

ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ფხრანაფხრუნი, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა გაოცებული „მიაუ!“

### 10. „კრიზი, კრიზი!“

თურმე მეზობლის კატა შემოპარულიყო.

— დაიჭით, არ გაუშვათ! — იკივლა ფეფიკომ და გამოუდგა.

დამფრთხალი კატა დერეფანში გავარდა. იქ კარი ვერ იპოვა.

ხან ზევით ახტა, ხან ტახტის ქვეშ შევარდა. მერე ფარდას მიახტა და ძირს გადმოიყოლა.

ფეფიკომ იშვირა ფეხი და ზედ შეაფრინდა.

საბრალო ციცუნია შიშისაგან ჩხაოდა, შველას ითხოვდა, მაგრამ ვინ იყო მშველელი.

— ახლა რა ვქნათ? — თეკოს ციცა შეებრალა, ოლონდ გამოსარჩლება ვერ გაპედა.

— კრიჭი-კრიჭი ვქნათ!

— ეს რა არის? — ვერ გაიგო ირინემ.

— გავკრიჭოთ, ხომ ხედავ, საბრალოს დასცა!

— გავკლიჭოთ? — იკითხა სამსონიკამაც.

ირინემ მაკრატელი მოარბენინა.

კრიჭი, კრიჭი, კრიჭი, კრიჭი...

კატა ფუმფულა გავკრიჭოთ

ცუგა ბომბორა გავკრიჭოთ

მამლაყინწას დიდი კუდიც...

მაკრატელი არ ისვენებს,

კიდევ რაა გასაკრეჭი?

აქ ჯაგრისი გადავკრიჭოთ,

ეგერ ქოთნის ყვავილებიც,

ცოცხი არის მეტად დიდი...

კრიჭი, კრიჭი, კრიჭი, კრიჭი...

— ცოცხი არის მეტად დიდი, კრიჭი, კრიჭი, კრიჭი, კრიჭი... — ფეფიკოსთან ერთად მღეროდნენ ბავშვებიც.

— სდექ! — თითო ასწია ფეფიკომ. — ეგ ცოცხი კი არა, თლინთლი-ნავია... ფუჭ, თვითმფრინავია!

ცოცხი გადარჩა გაკრეჭას, კატა კი მოულოდნელად დაუსხლ-ტა ფეფიკოს, აივანზე გავარდა და იქ ყვავილების ქოთნები გადმო-ყარა.

— გაეკიდე! — იწივლა ფეფიკომ.

— როგორ გავეკიდო, იმას ოთხი ფეხი აქვს, მე კი ორი! — გაი-ბუსა თეა.

ამასობაში კატა გაქრა.

### 11. აღარ გვინდა ზაფის ხარშვა

ფეფიკომ უცებ მაკრატელი დააგდო, მუცელზე ხელი იტაცა და ამოიკვნესა.

— მშია!

— მეც! — ირინემაც მუცელზე დაიდო ხელი.

— მეც მშია, ბატონო! — განაცხადა თეამ.

— ლე ალ მინდა, ჭამა მინდა! — სიტყვა შეანია სამსონიკამაც.

— აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის, რა არის ყველაზე იოლი გასა-კეთებელი? აბა, ერთხმად!.. ყველაზე იოლია ფა...

— ფაფა! — შეეპასუხნენ გოგონები.

— სწორია! ფაფისათვის რა არის საჭირო?

— მანანის ბურლული! — თქვა ირინემ.

— რძე! — დაუმატა თეამ.

— შაქარი!

— მარილი!

— ლე ალ მინდა, ფაფა მინდა! — ჭირვეულად გაიმეორა სამ-სონიკამ.

— მაშ, ახლა ამ კარადაში შევიხედოთ!

— ჯერ მე!.. მეუნდა ვნახო!.. ალა მე!.. — სამივე მიცვივდა სამზა-რეულოს კარადას, უჯრებს რახარუხი აუტეხეს.

ირინემ ბურლული გამოარბენინა, ცოტა იატაკზე დაებნა, მაგ-რამ მერე რა, დიდი ამბავი! თეამ მარილი გადმოაპირქვავა, სამაგი-ეროდ შაქარი ფრთხილად გადმოდგა, და რაც თითზე მიენება, მო-

ილოკა. სამსონიკამ თეფში დაამტვრია, მაგრამ ესეც არაფერი, ერთი თეფში იყო და ოთხად იქცა...  
— მე სახელგანთქმული მზარეული ვარ, ჩემზე უკეთ არავინ იცის ფაფის მოხარშვა! — ხმამალლა განაცხადა ფეფიკომ და ამღერდა:

იოლია ფაფის ხარშვა,  
გემრიელი ფაფის!  
ჯერ ბურლული გადავყლაპოთ,  
ძნელი არის მისიყლაპვა!  
კვნიტი-კვნიტი, შაქრის თავი,  
და კარაქი ათი კოვზი!  
მუცელს დღე ადგია ავი,  
ყლუპი-ყლუპი რძით ჩავრეცხოთ,  
ქაფქაფელა რძით!

— იოლია ფაფის ხარშვა, გემრიელი ფაფის!.. — აჟყვნენ ირინე და თეაც.

— მელე? — ვერ გაიგო სამსონიკამ.  
მერე უთოს გავაცხელებ,  
და მუცელზე დავიდებ...  
ისე სწრაფად ადულდება,  
შიმშილსაც ვერგავიგებ!

— იოლია ფაფის ხარშვა, გემრიელი ფაფის!.. — ხტოდნენ ირინე და თეა.

— ლძე ალ მინდა! — ჭირვეულად წამოიძახა სამსონიკამ და რძიან ბოთლის ხელი გაჟკრა.

ბოთლი წაიქცა, რძე მაგიდაზე დაიღვარა ლიკლიკით.

— არიქა, რძე დაგვექცა! — იკივლა ფეფიკომ და პირდაპირ მაგიდიდან დაიწყო სვლება.

ირინემ და თეამაც თავები ერთმანეთს ატაკეს და ცხვირ-პირი დაღვრილ რძეში ჩაჟყვეს.

— ახლა ამას ბურლული მოუხდება! — ფეფიკომ პირი ბურლულში ჩაყო და უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაჰერა... ფუჳ! — და წამში ოთხივენი თეთრ მტვერში ამოიგანგლნენ.

— პი-პი, მეწისქვილეებს დავემსგავსეთ! — ახითხითდა ფეფიკო.

— მეწისქვილეები ვართ, მეწისქვილეები ვართ! — ტაში შემოჰკრა ირინემ.

თეამ და სამსონიკამ სამზარეულოში ბუქნა დაიწყეს.  
ამ დროს დერეფანში ზარის წკრიალი გაისმა...

## 12. ნაგდვილი გეპია მოვიდა

ფეფიკო უცებ დაფაცურდა.

— აჲ, აჲ, ძალიან გამიგრძელდა სტუმრობა! უნდა ვიჩქარო, თორემ მეცა მყავს დედიკო და გამიჯავრდება!

— ქალბატონო ფეფიკო ბებია-პირიქით, ცოტა ხანს კიდევ დარჩით! — ზრდილობიანად სთხოვა ირინემ. — ახლა ფეფო ბებო მოვა და გაგაცნობთ!

— სხვა დროს, სხვა დროს!

ფეფიკო მამიკოს კაბინეტში შეცუნცულდა, თავის ქოლგასა და ცოცხეს ხელი წამოავლო და სკუპ, ფანჯრის რაფაზე შესკუპდა.

მე ვარ ფეფო ბებია,

ოღონდ პირიქით!

მიყვარს შვილიშვილები,

ოღონდ პირიქით!

ახლა დაგემშვიდობებით,

ოღონდ პირიქით!

გკოცნით და გეფერებით,

ოღონდ პირიქით!

შეხტა ცოცხებე, ქოლგა ხმალივით შემართა და „ეპეპე!“ შესძახა.

მოწყდა ფანჯრის რაფას და გაფრინდა მალლა, მალლა, სახურავების ზემოთ.

ბავშვები ხელს უქნევდნენ, დერეფანში კი ზარი ისევ წკრიალებდა.

— მე უნდა გავალო! — გაიქცა ირინე.

— არა, მე უნდა გავალო! — არ დაომო თეამ და უკან გამოუდგა.

— მე უნდა გავაგო! — კივილი ატეხა სამსონიკამ.

გაილო კარი და ზღურბლზე გამოჩნდა წამდვილი ფეფო ბებო.

— აბა, ჩემო კუდრაჭებო! — თქვა წამდვილმა ფეფო ბებომ და უცებ ლოყაზე ხელი იტკიცა. — უიმე, რას ჰეგავხართ, შვილებო!

დედიკომ, ფეხი შემოდგა თუ არა, ხელები უღონოდ გაასავსავა.

ირინემ და თეამ მორცხვად თავი დახარეს. სამსონიკამ კი უყურა, უყურა ბებოს და უცებ ჰკითხა:

— ლა მომიტანე?



## ამუნია ტიტიკო

ბაბილინა ბებიამ პაპურის თავზე ხელი გადაუსვა და დაყვავებით უთხრა:

— ბებო გენაცვალოს, ხომ ხედავ, რამდენი საქმე მაქვს, თვალყურს ვერ გადევნებ, ეზოდან მარტო არ გახვიდე, თორემ ახლო ტყეში ამუნია ტიტიკო დაძვრება და დაგიჭერს!

ბაბილინა ბებია სოფელში ხის პატარა სახლში ცხოვრობს. სახლის წინ მწვანე ეზოა, ირგვლივ ეკლის ღობეა შემოვლებული. ეზოში ერთი ძირი კაკალი და უამრავი ბალი, ვაშლი, მსხალი, კომში და ლელვი დგას. ეზოს იქით აკაციის ხშირი ტყე იზრდება. იმ ტყეში ცხოვრობს ამუნია ტიტიკო და ბიჭუნას ცოტათი ეშინია მისი. თავისი ყურით გაიგონა ერთხელ პაპურიმ, ქალი რომ იძახდა: ტიტიკო, შე არგასაზრდელო, მთელი დღე თამაშს უნდები, ლუკმა მაინც გაგახსენდესო.

ბაბილინა ბებია ხან სახლში საქმიანობს, ხან ბოსტანში და ყანაში. პაპური ეზოში ერთობა: აგერ, ძალლი სუნსულა ულრენს ვიღაცას, იქნებ ამუნია ტიტიკოს აშინებს. სუნსულა იმიტომ ჰქვია, სულ აქეთ-იქით დასუნსულებს, სახლ-კარს დარაჯობს... ჯორკოზე მეტიჩარა ფისო თამილა დასკუპულა და მზის სხივებში ნებივრობს... შორიახლო კრუხი ელეონორა იქექება ბალახში, თან თავის სამადსამ წიწილას — კინის, თემოს და ვაჟიკას ეძახის, მოდით, მოდით, რამდენა ჭია ვიპოვეო. ელეონორას ადრე თურმე ბევრი წიწილა ჰყავდა, მაგრამ ეტყობა ამუნია ტიტიკომ მოსტაცა სათითაოდ. ამიტომ კრუხი ელეონორა მეტად ეჭვიანია, სუნსულაც რომ მისუნსულდეს, ერთი ვაი-ვიშს ატეხს... ბოსელთან ძროხა ციცინო აბია, მზეზე თბება და თვალმილულული იცოხნება. მისი კვიჭი კი — ცუცქნა, დალეული ხბო — ღობის გადაღმა, აკაციებში ზმუს, დედიკოს ეძახის და ამუნია ტიტიკოსი ფრჩხილისოდენაც არ ეშინია.

პაპურიც გულმაგრადა, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, სულ ცო-ოტათი მაინც ეშინია. ფრთხილად გაიხედავს ხოლმე ტყისაკენ, უცნაურ ხმებს მიუგდებს ყურს: ნიავი აშრიალებს ფოთლებს, ქარი ტოტებს ახლის ერთიმეორეს, ვიღაცა წალდს აკაკუნებს, ვიღაცა ჩირგვებში დაშლიგინობს... ალბათ ამუნია ტიტიკო დაძრწის, შორიდან უთვალთვალებს პაპურის.

საღამობით დათუნია მობაჯბაჯდება, თაფლს ითხოვს. თავისი თვალით ნახა ბიჭუნამ, კაკლის ჩრდილი როგორ გამუქდა, გამუქდა და დათუნიად გადაიქცა... ღამლამობით ჩირგვნარში ტურა კივის, დედიკომ გამლახა და მომეფერეთო, მაგრამ მაგ მატყუარას არაფერი დაეჯერება, ახლომახლო იმიტომ დაძვრება, იქნებ კრუხი ელეონორა გავაბრიყვო და წიწილები მოვტაცო... ხანდახან სუნსულა აყეფდება, ქვეყანას აქცევს, აკყვებიან სოფლის ძალლები და არის ერთი ღავლავი... დილდილაობით კი სახლის სახურავს გადაუქროლებს ცოცხზე ამხედრებული ჯაღოქარი ფეფიკო. ზურგზე აბგა მოუგდია და სკოლისაკენ მიიჩქარის. ბაბილინას სახლის უკან რომ გორაკია, იმის თავზე მუხა დგას, იმ მუხის ფულუროში ცხოვრობს ჯაღოქარი ფეფიკო. ქვევით, ღელის პირას ჯაღოქრების სკოლაა. თურმე ძალიან მკაცრი მასწავლებელი ჰყავთ, აი, საბავშვო ბაღში რომ ლალი მასწავლებელია, ისეთი. ჯაღოქარი ფეფიკო ერთი ძილისგუდა ვინმეა, სკოლაში მუდამ აგვიანდება. ამიტომაც მიფრინავს ასე ჩქარა. უცბად გადაიშეუილებს, თვალს ძლივს შეასწრებ.

ხან გაქნეული ტოტი გეგონება, ხან ქარისაგან აფრიალებული ფოთოლი, ხან კი შავი ყვავი, თავზე რომ გადაიყრანტალებს და გაქრება.

იმ დილას პაპუჩი მზემ გამოაღვიძა, ყოჩალად წამოხტადა ეზოში გავარდა. ბოსლიდან რძის ჩხრიალი მოისმოდა. ბაბილინა ბებია ძროხა ციცინოს წველიდა.

— ადექი, ბებო გენაცვალოს? — ჰკითხა ბაბილინა ბებიამ.

ძროხა ციცინომ თავი მოაბრუნა, მუუო! — მიესალმა.

ხბო კვიჭიმ დედიკოსაკენ გაიწია, მაგრამ ბანარმა კისერზე მოუჭირა. ეგონა მე მექახისო და საწყალობლად შეჭმულა.

სუნსულა სიხარულისაგან გადაირია, ყირაზე გადაკოტრიალდა.

კრუხმა ელეონორამ თავისი წინილები — კინი, თემო და ვაჟიკა გააფრთხილა, ეზოში ყაჩალანა პაპუჩი გამოვარდა და მოერიდეთო.

ფისო თამილას არაფრად ჩაუგდია ბიჭუნას გამოჩენა. ისეთი უსინდისო ფისოა, რძეს თუ მიართმევ, მაშინდა გაგეხახუნება.

სწორედ ამ დროს გადაიქროლა ჯადოქარმა ფეფიკომ. ეტყობა, ძალიან აგვიანდებოდა. სიჩქარეში კაკლის კენწეროს გამოედო და ჰაერში ამოტრიალდა. ზურგზე გადაკიდებული აბგა გაეხსნა, იქიდან სახატავი რვეული, ფანქარი და საშლელი გადმოუცვიდა. ერ-

თი რვეულის, ერთი ფანქრისა და ერთი საშლელის გულისათვის გაქანებულ ცოცხს ხომ ვერ დაამუხრუჭებდა, ჯავრიანად შესჭყივლა და წამში ჯადოქრების სკოლაში ამოყო თავი.

დამფრთხალი სუნსულა საცოდავად აწკმუტუნდა. ელეონორა აკრიახდა, აქაოდა, ჩემო წინილებო — კინი, თემო და ვაჟიკა, ციდან ქორი უნდა დაგვეცეს, სწრაფად ფრთებქვეშ შემომისხედითო. ძროხა ციცინომ ფეხი გააქნია. ბაბილინა ბებიას რომ არ ეყოჩალა, რძიანი სათლი მიწაზე გაგორდე-



ბოდა. მხოლოდ ცუცქნა კვიჭის არაფერი გაუგია, რძის სუნისაგან იყო გაბრუებული.

ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. პაპუჩიმ სახატავი რვეული აიღო და ფურცლებიდან უცაბედად ბლის მწიფე კუნწულა გადმოვარდა.

— ბებია, ბებია, ბალი ვიპოვე! — აყვირდა გახარებული პაპუჩი.

— ჭამე, ბებო გენაცვალოს! — სულაც არ გაჰკვირვებია ბაბილინა ბებიას. მართალია, ხეზე ბალი უკვე აღარ ესხა, მაგრამ ვინ-ვინ და ბაბილინა ბებიამ კარგად იცოდა, რა ბედნიერები არიან ეს ჯადოქრები. საკმარისია, თავიანთ სახატავ რვეულში ბალი დახატონ, სული შეუპერონ და, აგე, დახატული ბალი ნამდვილ ბლად გადაიქცევა. გინდა ატამი დახატე, გინდა მსხალი, ბრონეული... რაც გემრიელზე გემრიელი სასუსნავი არსებობს, ხატე და ხატე შენთვის. ბაბილინა ბებიამ კი არა, დიდმა ბავშვებმაც კარგად იციან ეს ამბავი, მაგრამ პაპუჩი ხომ ცალ ხელზე რამდენი თითოცაა, იმდენი წლისა იყო და ჯადოსნური რვეულის არსებობა განაგონიც არა ჰქონდა.

ამიტომ ბევრი არ უფიქრია, კუნწულას ერთი ბალი მოაწყვიტა და პირი ჩაიგემრიელა (თუმცა ხელები ჯერ დაბანილი არ ჰქონდა!.. ოპ, ოპ!), მეორე სუნსულას გაუწოდა. იმ სულელმა დასუნა, დასუნა და კუდის ქიცინით გაშორდა. აი, პირის გემო ვის არა აქვს! პაპუჩი კრუხ ელეონორასაკენ გაიქცა, იმას გავუმასპინძლდებიო. ელეონორა აქოთქოთდა, თავის წინილებს — კინის, თემოს და ვაჟიკას შეუძახა, არიქა, თავს უშველეთო და ოთხივე წამში დაიფანტა... ფისო თამილამ დამცინავად დაიკრუტუნა და ზურგი ზიზლით შეაქცია. პაპუჩიმ იფიქრა, ძროხა ციცინოს მაინც ვასიამოვნებო, მაგრამ იმან, ერთი შენც, თავი დამანებეო, ცოხნა განაგრძო. ხბო კვიჭის კი რძის სუნისაგან თავბრუ ეხვეოდა და საცოდავად ზმუოდა. ამასობაში ბაბილინა ბებია წველას მორჩა და კვიჭი თავის დედიკოსთან მიუშვა. იმანაც კარგად მოულხინა. სხვა რა გზა ჰქონდა და პაპუჩიმ ის მეორე ბალიც თვითონ შესანსლა, მერე კი ბაბილინა ბებიას ჰკითხა:

— ბებია, შენ რატომ არ გიყვარს ბალი?

ბაბილინა ბებიას გაეცინა:

— იმიტომ რომ ჩემს პაპუჩის მეტი ერგოს!

პაპუჩიმ დაიმორცხვა. იმ ჯორკოზე ჩამოჯდა, ადრე რომ ფისო თამილა ნებივრობდა. ფისო თამილა ბაბილინა ბებიას ფეხებზე ეხ-

ახუნებოდა და კრუტუნებდა, იქნებ ცოტა რძე დავტყუო. პაპუჩიმ რვეული მუხლებზე დაიდო და ფანქრის წვერი ენაზე დაისველა.

სუნსულამ კუდი გააქიცინა, მე დამხატეო. კრუხი ელეონორა შორიდან ფრთხილად ზვერავდა, თან თავის წინილებს — კინის, თემოს და ვაჟიკას სიფრთხილის გაკვეთილს უტარებდა. ძროხა ციცინოსათვის სულ ერთი იყო, გინდა დამხატე, გინდ არაო. ხბო კვიჭი დედიკოს ძუძუს არ ეშვებოდა და მისთვისაც სულ ერთი იყო.

ბაბილინა ბებიამ რძით სავსე სათლს ხელი დავლო და ბიჭუნა ხელმეორედ გააფრთხილა:

— ეზოდან არ გახვიდე, გენაცვალე, ამუნია ტიტიკო არ შეგეფეთოს!

„სწორედ ამუნია ტიტიკო უნდა დავხატო!“ — გაიფიქრა პაპუჩიმ. ეს რომ ბაბილინა ბებიას გაეგო, რა თქმა უნდა, დაუშლიდა. ჯადოსნურ რვეულში ბლის დახატვა კარგიცაა, მაგრამ ამუნიებისა — ძალზე საშიშია. პაპუჩიმ კი აიღო და დიდი წვალებით ქალალდზე რაღაც დაგრეხილი ხაზი გაავლო, ორივე ბოლო შეუერთა და უზარმაზარი ნესვი თუ გიდელი გამოუვიდა.

სანამ მიხვდებოდა, ეს რა დავხატეო, სუნსულამ ყეფა-წკმუტუნი ატეხა. კრუხმა ელეონორამ კი ისეთი ქაქანი მორთო, ალბათ წინილებს — კინის, თემოს და ვაჟიკას გულები გაუსკდათ.

საწია თავი პაპუჩიმ და რას ხედავს! ეზოში უზარმაზარი „რაღაცა“ გდია, ვერ გაიგებ, ნესვია თუ გიდელი.

პაპუჩის სულ ცო-ოტათი შეეშინდა. თუ ნესვია, ყუნწი უნდა ჰქონდეს, გაიფიქრა, თუ გიდელია — ბანარიო და ნახატს გრძელი ხაზი მიაპა.

იმ „რაღაცას“ უმალვე კუდი გამოება. თვითონ უძრავად ეგდო, კუდს კი აქეთ-იქით იქნევდა.

„ალბათ ეს არის ამუნია ტიტიკო!“ — თან ეშინოდა, თან ფეხები არა აქვსო და, ეცოდებოდა პაპუჩის და იმ „რაღაცას“ ოთხი ფეხი მიუხატა. მართალია, ორი გრძელი და ორი მოკლე გამოუვიდა, მაგრამ ამუნია ტიტიკო კოჭლობით არ მოკვდებოდა. წამოზარდა ფეხები იმ „რაღაცას“ და ხან წინ გაინია, ხან უკან. იქით ხეს მიაწყდა, აქეთ ღობეს... თავი არ ება და გზას როგორლა გაიგნებდა.

პაპუჩიმ ფანქრის წვერი კვლავ ენაზე დაისველა და „რაღაცას“ რაც ტანი ჰქონდა, ორი იმდენა თავი მიუხატა.

ეს უკვე მართლაც ამუნია ტიტიკო იყო.

„ვამე!“ — წამოიყვირა ამუნია ტიტიკომ, წვრილ კისერზე შედგ-მული უშველებელი თავი ვეღარ ასწია და ნიკაპი პირდაპირ ბალა-ხში ჩარგო.

პაპუჩიმ საშლელი აიღო და თავის წაშლას შეუდგა.

„რას მიშვრები, ფრთხილად, მეტკინა!“ — აკივლდა ამუნია ტიტიკო, მაგრამ პაპუჩიმ ამასობაში თავი სულ მოშალა და ამუნია ტი-ტიკო კვლავ ფეხებზე შემდგარ ნესვად თუ გიდელად გადაიქცა.

ბიჭუნამ იფიქრა, ხბო კვიჭის რომ აქვს, ისეთ თავს მივუხატავო, მაგრამ ძროხა ციცინო შეებრალა, სად ექნება ამუნია ტიტიკოს გასაძლომი რძეო. სამაგიეროდ ბაბილინა ბებიას ბოსტანში უამრავი კომბოსტო და სტაფილო ეთესა და მოდი, ყურცქვიტას დავხატავო, გაიფიქრა.

სამწუხაროდ, პაპუჩის ფანქარი ცუდად ეჭირა. ხატვა მაინცდ-ამაინც კარგად არ ეხერხებოდა და ისეთი თავი გამოუვიდა, ლომს შეაშინებდა. დიდებურა თავს გრძელზე გრძელი ცხვირი ჰქონდა, სწორედ კრუხ ელეონორას ნისკარტს მიუგავდა; საცრისოდენა თვალებს ბუსავით აბრიალებდა; ყურებამდე გახეულ პირში იმდე-ნი ოღროჩოლრო კბილი ჩაუწყო, მტრისას...

„ღრრრ!..“ — დაიღრიალა უცებ ამუნია ტიტიკომ და წამობაჯ-ბაჯდა. ძალლი სუნსულა ანკავნკავდა, კუდამოძუბული ლობისა-კენ გავარდა, გადავხტები და ტყეში დავიმალებიო, მაგრამ ამუნია ტიტიკომ პირი დააფრინა, „ჰამო!“ — და სუნსულა მის ხახაში გაუჩინარდა.

კრუხი ელეონორა გაიფოფრა, გაიფოფრა, ცხვირში ეცა ამუნია ტიტიკოს, მისი წინილები კი — კინი, თემო და ვაჟიკა წია-წიათი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ეგ კიდევ ვინ არისო და ამუნია ტიტიკომ კრუხ ელეონორასაც ყლაპი უყო.

მერე მოსდგა და ძროხა ციცინო და ხბო კვიჭიც იმ გზას გაუყენა.

ფისო თამილამ დროზე უშველა თავს, „ფჩხებე!“ — ისე დასჩავ-ლა, ამუნია ტიტიკომაც კი დაიხია უკან. ამასობაში თვითონ ხეზე ავარდა და მაღლა ტოტზე დასკუპდა.

ამ დროს ბაბილინა ბებია გამოვიდა სახლიდან.

— დაიმალე, ბებია, დაიმალე, ამუნია ტიტიკო შეგჭამს! — შეჰყვირა პაპუჩიმ.

— აბა, ტიტიკო! — მოიხედა ბაბილინა ბებიამ და სანამ რამეს გაარჩევდა, ამუნია ტიტიკომ „ლრრრ... ჰამო“ და ბაბილინა ბებიაც გადასანსლა.

„ლრრრ...“ — უფრო საშინლად აღმუვლდა ამუნია ტიტიკო, კბილი დააღრჭიალა და ახლა პაპუჩისაკენ წამობაჯბაჯდა.

პაპუჩიმ ჯოხს დაავლო ხელი და თავში ჩასცხო და ჩასცხო...

ამ ამბავში იყვნენ, როცა სკოლიდან ნამტირალევი ჯადოქარი ფეფიკო მობრუნდა. თურმე მკაცრმა მასწავლებელმა, ბაღში რომ ლალი მასწავლებელია, ისეთმა, ყური აუზია, ნურც დაიგვიანებ და ჯადოსნური რვეული, ფანქარი და საშლელი როგორც დაკარგე, ისევე იპოვეო.

კაკლის კენწერომდე რომ მოფრინდა, პაპუჩისა და ამუნია ტიტიკოს ორთაბრძოლა დაინახა. პაპუჩი თავგამოდებით უტევდა მტერს, ამუნია ტიტიკო კი ბრაზიანი ღმულით უკან-უკან იხევდა.

ჯადოქარი ფეფიკო უმაღვე მიხვდა, რაც ხდებოდა.

„საშლელით წაშალე, საშლელით!“ — გადმოსძახა პაპუჩის.

პაპუჩიმ სწრაფად დაავლო ხელი საშლელს და ჩქარ-ჩქარა შეუდგა ნახატის წაშლას.

„ვაიმე, კუდი!.. — აკივლდა ამუნია ტიტიკო, — ვაი, ფეხები!.. ვაიმე, ტანი!..“

პაპუჩი შლიდა და შლიდა, ამუნია ტიტიკო თანდათან ქრებოდა და ქრებოდა. ჯერ კუდი მოშალა, მერე ფეხები და, რა თქმა უნდა, ამუნია ტიტიკო მინაზე გაგორდა. ტანიც რომ მოშალა, კრუხი ელეონორა გადმოფრინდა ქოთქოთით და თავისი წინილების — კინის, თემოს და ვაჟიკას ძებნა დაიწყო... დარცხვენილმა სუნსულამ ყეფა მორთო, აქამდე თუ ვერ ვივაჟუაცე, ანი მაინც მიყურეთო... ბაბილინა ბებია სახლისაკენ წაცუხცუხდა, უიმე, ალბათ რძე გადმოვიდა... სულ ბოლოს ძროხა ციცინო და ხბო კვიჭი გამოჩინდნენ. ძროხა ციცინო უდარდელად იცოხნებოდა, ხბო კვიჭის დრო ეხელთა და გამეტებით ურტყამდა დრუნჩის ჯიქანზე, იქნებ ცოტა რძე კიდევ გამოვადინო.

„თავი მაინც დამიტოვე!“ — ცხარე ცრემლით ატირდა ამუნია ტიტიკო.

„აღარ შემჭამ?“ — შეეკითხა პაპუჩი.

„როცა მომშივდება, ჯერ კინის, თემოს და ვაჟიკას შევჭამ, მერე კრუხ ელეონორას, მერე ფისო თამილას, ძალლ სუნსულას, ძროხა ციცინოს და ხბო კვიჭის, სულ ბოლოს ბაბილინა ბებიას... შენ კი, როცა ძალიან, ძალიან მომშივდება...“

„რაღას უცდი? — გადმოსძახა ზევიდან ჯადოქარმა ფეფიკომ.

— ეს ისეთია, საშლელსაც შეგიჭამს და მერე ვეღარ მოვერევით!“

აიღო პაპუჩიმ და ამუნია ტიტიკოს თავიც წაშალა.

ამ დროს ღობეს მეზობლის ბიჭი მოადგა:

— ბაბილინა ბებია!

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ტიტიკო!

— რა იყო, გენაცვალე?

— ბიჭები ბურთს ვთამაშობთ და პაპუჩიც გამოუშვი!

— კი, გენაცვალე, რძეს დავალევინებ და გამოვუშვებ!

პაპუჩიმ პირზე ცივი წყალი შეისხა, ცხელი რძე ჩქარ-ჩქარა შეხვრიპა და ტიტიკოსთან ერთად საბურთაოდ გაიქცა...



## ტყეში დაღის მელმგელტურა

### 1. კვიშიგაიპარა

სოფლის ერთ ლამაზ ეზოში, რომელსაც გარს მაღალი ღობე ერტყა, ცხოვრობდა ძროხა ციცინო. ჰყავდა პატარა, მოცუცქნული ხბო კვიჭი. დედიკოს ძალიან უყვარდა თავისი შვილი, რძესა და ალერსს არ აკლებდა. ჩემი კვიჭისთანა ხბო, მთელი ქვეყანა რომ შემოიაროთ, არსად არისო, დაიტრაპახებდა ხოლმე. ძალი სუნ-სულა კვერს უკრავდა ციცინოს, მართლაც კარგი ხბოა, დედიკოს დამჯერეც რომ იყოსო. კრუხი ელეონორა ამბობდა, ცოტა თავეკარიანიაო. ფისო თამილა კი, რომელსაც საკუთარი თავი ქვეყანას ერჩივნა, ეშმაკურად ნაბავდა თვალებს და კვიჭის ისე აქებდა, გულაჩუყებული ძროხა ციცინო ერთ ფინჯან რძეს ჩამოუწველიდა.

მეზობლები სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ. ღამლამობით ძალ-ლი სუნსულა დარაჯობდა ეზოს. ღობის გასწრივ დასუნსულებდა, მტერი საიდანმე არ შემოვეპაროსო. ღობის იქით ტყე იწყებოდა და, ვინ იცის, ბნელ ულრანებში რანაირი ამუნიები იმაღლებოდნენ. იმ ღამესაც სუნსულა მოუსვენრად იყო, დასუნსულებდა და და-სუნსულებდა. უცხო სუნი ეცა და იმიტომ. ოღონდ ისე შემოათენდა, ვეღარ გაიგო, ეზოს ვინ ეპარებოდა. დაღლილ-დაქანცულს გათენებისას ჩაეძინა. სიზმარში საშინელი ურჩხული გამოეცხადა და შეშფოთებული სუნსულა ძილში საცოდავად წკმუტუნებდა.

ამასობაში მზე ამოვიდა და ეზო განათდა. სხვაზე ადრე კრუხმა ელეონორამ გაიღვიძა და კაკანი ატეხა:

— კა-კა-კა, აქეთ, აქეთ, შვილებო!.. წინ კინი დადგეს, მერე თემო, ბოლოს ვაჟიკა!.. ნისკარტები მაღლა ასწიეთ!.. ფეხები ააწყვეთ!.. აბა, ერთად!.. ერთი-ორი, ერთი-ორი!.. კა-კა-კა!..

ყოველ დილით ავარჯიშებდა თავისი ბიჭებს კრუხი ელეონორა. ამბობდა, დილის ვარჯიში წინილებს „ა-კა-კაჟებსო“. მართლაც ყოჩალი და დაუზარელი წინილები ეზრდებოდა. თან ვარჯიშობდნენ, თან ხმაშენყობით მღეროდნენ. ახლაც ჯერ ვაჟიკამ წამოიწყო სიმღერა:

გულყვითელა ვაჟიკა ვარ,  
თავ ზარსა ვცემ ჭიალუას!..

მერე თემომ ჩაურთო:

ფრთაფართქუნა თემო-ბიჭმა  
ვეტვის კენკვა უკვე ვიცი!..

ამას კინიც აჲყვა:

დედიკო არ გამიბრაზოთ,  
თორემ აქვარ ბიჭი-კინი!

ბოლოს სამივემ ერთად დასჭექა:

ჩვენს დედიკოს, წიავ-წიავ,  
ვყავართ სამი ბიჭი,  
კინი, თემო და ვაჟიკა,  
სამი ოქრო ბიჭი!

ამ ღროს ზმორებით გამობრძანდა ფისო თამილა და უკმაყო-ფილოდ ჩაიკნავლა:

— მიაუ, რა ამბავია, გეთაყვათ, დილაუთენია რა აურზაური ატეხეთ, ძილი დამიფრთხეთ!

ფისოს კნავილზე სუნსულამაც წამოყო თავი და ერთი-ორი შე-ჰყეფა:

— ჰამ-ჰამ, მეზობლებო! ფრთხილად იყავით! წუხელ ისეთი ურჩხული დამესიზმრა, ღრრრ... თმა ყალყზე დამიღვა!.. გალმა ტყეში, მგონი, საშინელი ამუნია დაძრნის, ღრრრ...

— მიაუ, ფიპ, ამუნია!.. — აგდებით ჩაიკნავლა ფისო თამილამ, ტოტზე შეხტა და მოხერხებულად მოკალათდა.

ბოსლიდან ძროხა ციცინოს ზმუილი მოისმა:

— კვიჭი, მუ-უ, გეყოფა, დედა, თამაში, მოდი, რძე მოგაწოვო!  
მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს.  
— ჰამ-ჰამ, კვიჭი არ გინახავთ? — იკითხა სუნსულამ.  
— არ გვინახავს! — ერთხმად უპასუხეს წიწილებმა.  
— ფიჭ, სანამ შენ გეძინა, გაპარულა! — უდარდელად გაიზმო-  
რა ფისო თამილამ.  
— ქალბატონო ციცინო, კვიჭი ჩვენთან არ არის! — წკმუტუნით  
შეეხმიანა სუნსულა.  
— კვიჭი!.. მუ-უ!.. კვიჭი!.. — ბოსლიდან გამოძუნძულდა შეშინებ-  
ული ციცინო. — მეზობლებო, ჩემი კვიჭი არ გინახავთ?  
— ნამეტანი თავქარიანია, გენაცვალე, შენი კვიჭი!.. კა-კა-კა!..  
წუხელ ჩემს კინის, კა-კა, კინალამ ფეხი დაბიჯა! — ჩაიკაკანა ელე-  
ონორამ.  
— წიავ-წიავ, ერთი დაებიჯებინა, კარგადაც ავა-წია-წიაქებდი!  
— განაცხადა კინიმ.  
— აბა, ვინმეგ დაგვაბიჯოს, ისეთს ვუ-წია-წიაქებთ, რომ!.. —  
თემომ და ვაჟიკამ ნისკარტები ამაყად ააღრერეს.  
— მოდით, ყველამ ერთად დავუძახოთ!.. აფ, აფ, კვიჭი, აფ, აფ!..  
— მუ-უ, კვიჭი, მუ-უ!..  
— კა-კა-კა, კვიჭი, კრიახ, კრიახ!  
— წიავ-წიავ, კვიჭი, წივ-წივ-წივ!  
— მიაუ, რა ამბავია, ხმაურისაგან თავი ამტკივდა, ფჩხ!.. —  
გაგულისძა ფისო თამილა. — ნეტა რას იკლავთ თავს, კვიჭი ალ-  
ბათ ამუნიამ შესანსლა უკვე!  
— მუ-უ, ვაი-მუ-უ, ჩემს თავს უბედურს, კვიჭი, შვილო!.. — ატირ-  
და ძროხა ციცინო.  
— გაგიხმეს ენა, კა-კა-კა! — მიაწყევლა ფისოს კრუხმა ელე-  
ონორამ.  
— ჩემი რა ბრალია! — იწყინა ფისო თამილამ. — ეგერ სუნსუ-  
ლას დაესიზმრა ამუნია, თქვას, როგორია!  
— ჰამ, ჰამ, ამოდენა თვალები ჰქონდა, ამსიგრძე კბილები, დაც-  
ქვეტილი ყურები!  
— ვაი-მუ-უ, მგელი ყოფილა!  
— კა-კა-კა, მელა ყოფილა!

— ჰამ-ჰამ, ალბათ ტურა იყო!  
— მელა, მგელი, ტურა!.. მიაუ, მე თუ მკითხავთ, ტყეში დადის  
მელმგელტურა! ისეთი საშინელია, მტრისას, მიაუ, ფჩხ!..  
— რა მეშველება, მუ-უ! — მოთქვამდა ძროხა ციცინო.  
— ნურაფრის გეშინია, დეიდა ციცინო! — შესძახა ვაჟიკამ. —  
საშინელი ამუნია კვიჭის ვერაფერს დააკლებს და ვერც აქ მობე-  
დავს!..

და სამმა მამაცმა წიწილამ საბრძოლო სიმღერა დასჭექა:

ამუნია მელმგელტურა,  
აქვერ მოხვალ, აქა!  
დეიდა ციცინო გირქენს!  
ძია სუნსულა გიკბენს!  
დედიკო ელეონორა  
ჩაგკრავს, ჩაგინისკარტებს!..

— აქ ხომ ვერ მოვა, ავდგეთ და იქით ჩავუხტეთ! — დაიძახეს  
წიწილებმა.  
— ყოჩალ, ბიჭებო, ჰამ-ჰამ! — შეჰყეფა სუნსულამ. — ოღონდ  
ჭკუა ვიხმაროთ, ნუ ავჩქარდებით! თქვენ აქ მოიცადეთ, მე კი ტყე-  
ში გავიქცევი და დავზვერავ!  
მართლაც, ძალლი სუნსულა ტყეში წასუნსულდა...

## 2. ფისო თამილა გაგვინაწყველა

მთელმა ეზომ მოიწყინა. ძროხა ციცინო ბოსელში დაბრუნდა.  
ფისო თამილა მზეს მიეფიცხა და ხმადაბლა კრუტუნებდა. კრუხი  
ელეონორა ღობის ძირას იქექებოდა. წიწილებიც მოწყენილობისა-  
გან ნისკარტებს აღებდნენ და ყვინთავდნენ.

უცებ, იცით, ვინ შემოგორდა? ვინა და ღტ-ღტ!  
წიწილებმა თვალები დააჭყიტეს:  
— ეს ვინ არის?  
— რა ლამაზია!  
— ბურთია?  
იცით, რასა ჰგავდა? ოქროსფერ მზეზე მოცინარე ჰირისახე რომ  
დახატო, აი, იმას.

ღტ-ღტ-მ ჩაიკისკისა:

— ჰაჰაჰა!.. ფრთები რას ჩამოგიყრიათ? ხომ არ მოიწყინეთ?...

ჰაჰაჰა!..

— მოდი რა, ერთად ვითამაშოთ! — სთხოვა კინიმ.

— დავმეგობრდეთ! — შესთავაზა თემომ.

— სანამ სუნსულა მობრუნდება, ლამისაა ვიტიროთ! — შესჩივ-ლა ვაჟიკამ.

— ჰაჰაჰა, — გაიცინა ღტ-ღტ-მ, — მოდით, ვითამაშოთ!.. გავგორდები და გამოვგორდები, თქვენ კი დამიჭირეთ, ჰაჰაჰა!..

გაგორდა და გამოგორდა ღტ-ღტ! გაგორდა და გამოგორდა! თან ფერად სხივებს აფრქვევს, თან კისკისებს, კვასკვასებს, ხითხითებს, ხარხარებს...

— აბა, დამიჭირე!.. აბა, დამიჭირე!..

კინი, თემო და ვაჟიკა წიავ-წიავით დასდევენ.

— დილაუთენია ძილს დაგიფრთხობენ და არც მერე მოგას-ვენებენ! — უკმაყოფილოდ აკნავლდა ფისო თამილა. — მიაუ, რა მოუსვენარი წინილებია!

— ჰაჰაჰა, გამარჯობა! — ამოსძახა ღტ-ღტ-მ.

— ეს კიდევ საიდან გაჩნდა აქ! — ზიზლით გადმოხედა ფისო თამილამ.

— ვინც დამინახავს, ყველას ეცინება, ჰაჰაჰა!

— მე ვერ გამაცინებ! — გაიბლინდა ფისო თამილა. — რომ გავი-ცინო, დიდი პირი გამომიჩნდება და დავუშნოვდები!

კინიმ, თემომ და ვაჟიკამ ფისო თამილას გამოაჯავრეს:

ფისო, ფისო, პრანჭია,  
ცხვირი დაგიმანჭია,  
კუდზე თაგვი გამოვბმია,  
ვეღარ გაგიკლანჭია!

— ფრჩ!.. მიაუ! — გაგულისდა ფისო თამილა.

— ჰაჰაჰა, ამ უქნარასთან თამაში არ მინდა, ჰაჰაჰა!.. — გაი-ცკრიალა ღტ-ღტ-მ და მიიმალა...

### 3. მელმგელტურამ მოიცყინა

ბნელ, უღრან ტყეში მელმგელტურამ მოიწყინა. არ იცით ეს ვინ არის? ჰო-ჰო-ჰო!.. მეღლა ხომ გაგიგონიათ? ტურაც? მგელი ხომ იცით და იცით! მელმგელტურა სამივეზე და ყველა სხვა მხეცზე ღონი-ერია. მარტოდმარტო ცხოვრობს, მოწყენილობისაგან არ იცის, რა ქნას და დარდიანად ლილინებს:

ასეთი უშნო, ასეთი გონჯი  
რამ გამაჩინა?

ვინც კი შემთხვდა, პირი იბრუნა,  
გული მატკინა!

ბოროტი რომ ვარ, ბოროტი რომ ვარ,  
ვისი ბრალია?

ყველა შევსანსლო, ვინც კი შემხვდება,  
ჩემი ვალია!

აი, ასე მღეროდა მაშინაც, როცა ტყეში თხიპნი-თხუპნი შემოეხ-ეტა. ისეთი საძაგელი თხიპნი-თხუპნი იყო, იმაზე უფრო საძაგელი თხიპნი-თხუპნებშიც არ ერია. გაიგონა მელმგელტურას სიმღერა და მოტყაპუნდა.

— ოჳ, ოჳ, გული როგორ ამიჩუყე!

— ვინა ხარ? — მრისხანედ შეეპასუხა მელმგელტურა.

— ვინა ვარ და თხიპნი-თხუპნი!.. ყველაზე უფრო... ყველაზე უფრო...

— ყველაზე უშნო რომ ხარ, ამას კი ვხედავ! — გააწყვეტინა მელმგელტურამ. — თანაც ისეთი უგემური მეჩვენები, აბა, როგორ შეგსანსლო!

— ისეთი უგემური ვარ, ჩემისთანა მეორე თხიპნი-თხუპნი რომ შემხვდეს, თვითონვე ვერ ჩავატან გემოს!

— ხომ გაიგონე ჩემი სიმღერა? ჰოდა, ასეთი ხარ თუ ისეთი, მაინც უნდა შეგსანსლო! — წამოიმართა მელმგელტურა. ისეთი საშინელი ჩანდა, ვინც კი შეხედავდა, შიშისაგან მიწაში ჩაძვრებოდა.

— რანაირად უნდა შემსანსლო? — აჭყიპინდა თხიპნი-თხუპნი.  
— შენ გვონია, აქა ვარ? მე სულაც არა ვარ! — და უცებ ხეზე გაიტყაპა, ზედ ჭუჭყიან ლაქად დააჩნდა.

— ერთი დამიხედეთ, როგორ გაქრა! — გაუკვირდა მელმგელტურას. — ჰეი, თხიპნი-თხუპნი ხარ თუ ვიღაცა, გამოჩნდი და არ შეგქამ!

თხიპნი-თხუპნი მელმგელტურას წინ დაეტყეპა:

— ოჳ, ოჳ, გული როგორ გამიხეოქე! შიშისაგან მთლად დავიჩუტე! რა მოწყენილობაა ამ უღრან ტყეში, ნეტა რითი ერთობი?

— მარტოდმარტო ვარ, მეგობარი არავინა მყავს! — შესჩივლა მელმგელტურამ. — არ ვიცი მოწყენილობისაგან რა გავაკეთო, ხანდახან ვტირი კიდეც!

— მიყვარს ტირილი! — განაცხადა თხიპნი-თხუპნიმ. — როცა ტირიან, უფრო ვსუქდები და ვიდლაბნები!.. მოდი რა, ერთად ვიტიროთ!

— ვაი-ვუი! — აყმუვლდა მელმგელტურა, ცრემლი გადმოყარა.

— უფრო მაგრად! — აღნავლდა თხიპნი-თხუპნიც.

— ვუ-უი, ვუ-უი! — მოთქვამდა მელმგელტურა და თვითონვე კითხულობდა: — რატომ ვტირით?

— გვეტირება და იმიტომ! — პასუხობდა თხიპნი-თხუპნი.

სწორედ ამ დროს ტყეში ხბო კვიჭის სიმღერა გაისმა:

მზე აცხუნებს ცაზე,  
ტყეში სიო ქრის,  
კვიჭი-ბიჭი მოკუნტრუშებს,  
მოკუნტრუშებს და ვინ იცის,  
თავში რა უქრის!..

#### 4. პვიზი დაატყვევეს

ერთ ნათელ, მზიან დღეს ცუცქნა კვიჭი დედიკოს გაეპარა. ცალურჯი იყო. ბალახსა და ფოთლებზე ნამი ბრწყინვდა. ნორჩი ნეკერი თვითონ იხვერებოდა, მოდი, მომკვნიტეო. ყვავილები და ფრთახატულა პეპლები ჩურჩულებდნენ, წამო, ვითამაშოთო. ჰოდა, კვიჭიმ ჯერ ტყისპირას იკუნტრუშა, მერე შეჰყვა და შეჰყვა ტყის ბილიკს.

უცებ ლტ-ლტ შემოგორდა. ახტა-დახტა, ხან ერთ მხარეს გავარდა, ხან მეორეს. ტყე უფრო განათდა, ხალისიანი ფერებით აივსო.

— ჰაჰაჰა!.. — ჩაიკისკისა ლტ-ლტ-მ. — რამდენი მაცინე? თავში რა უქრისო...

— მუ-უ, შენ ვინა ხარ? — ჰკითხა კვიჭიმ.

— ვინა ვარ და ლტ-ლტ! ვისაც გავეთამაშები, ყველას ვაცინებ!.. ლტ-ლტ-ლტ!..

— კაი რა, ნუ მიღიტინებ, მეცინება! — შეეხვენა კვიჭი.

— ჰაჰაჰა... აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ლტ-ლტ-მ.

— თამაში მინდოდა და დედიკოს გამოვეპარე!

— მოდი, მე გეთამაშები!.. ლტ-ლტ-ლტ!..

— კაი რა, კაი რა, მეღიტინება! — იცინის და იცინის კვიჭი.

— ჰაჰაჰა, გვეყოფა ამდენი თამაში, შინ დაბრუნდი! გახსოვდეს, მე შენი მეგობარი ვარ, როცა დაგჭირდები, დამიძახე და მოვალ!.. ახლა კი სხვა პატარებთან გავიქცევი, იმათ გავამხიარულებ!.. ჰაჰაჰა...

ლტ-ლტ როგორც გამოჩნდა, ისე გაქრა. ტყეში უცბად ჩამობნელ-და, მოიქუფრა.

კვიჭიმ მიიხედ-მოიხედა და ამ დროს თხიპნი-თხუპნი გამოტყაპუნდა.

— ვაი, რატომა ხარ ასეთი შავი? — სულელ კვიჭის ეგონა, ლტ-ლტ დაბრუნდაო.

— იმდენი ვიცინე, რომ ფერი დამეკარგა! — იცრუა თხიპნი-თხუპნიმ.

— რა ლამაზი იყავი, ახლა კი გონჯი ხარ! — დაენანა კვიჭის.

— მოდი, კიდევ წავითამაშოთ, მაშინ ლამაზიც მოგეჩვენები! — თხიპნი-თხუპნი ბურთივით გაიბერა.

— ახლა უკვე გვიანაა, მეტი თამაში არ მინდა! — შეშინდა კვიჭი.  
— დედიკო გამიბრაზდება!

— მეთამაშე, თორემ ვიტირებ! — ჩაისხლიპინა თხიპნი-თხუპნიმ.

— არ იტირო რა! — ასლუკუნდა კვიჭი.

— ვიტირებ კი არა, ვიღრიალებ!

— ოლონდ არ იტირო და გონჯი კი ხარ, მაგრამ მაინც მოგეფე-რები!

კვიჭი სულ ახლოს მივიდა და თხიპნი-თხუპნი უცბად ფეხებში შემოხვია.

— ვაი-მუ-უ! — დაიზმუილა კვიჭიმ. — დედიკო, მუ-უ!..  
 — დავიჭირე, დავიჭირე! — გაუხარდა თხიპნი-თხუპნის.  
 ბუჩქებიდან გამოვარდა საშინელი მელმგელტურა, დახედა კვიჭის და ჩაიღრინა.  
 — ეს რა პატარაა, ლუკმადაც არ მეყოფა!  
 — მუ-უ... არ შემჭამო რა! — ატირდა კვიჭი.  
 — ბოროტი რომ არ ვიყო, არ შეგჭამდი, მაგრამ როცა მხეცი ბოროტია, სხვა რა გზა აქვს, პატარები უნდა შეჭამოს!  
 — ხეზე მივაძათ! — თქვა საძაგელმა თხიპნი-თხუპნიმ. — მაგის ზმუილზე დედამისი მოვარდება და იმასაც ხელში ჩავიგდებთ!  
 საბრალო კვიჭი ხეზე მიაბეს...

#### 4. სუნსულა დაბრუნდა

სუნსულამ მთელი ტყე აღმა-დაღმა შემოირბინა. ბოლოს კვიჭის ნაკვალევს წანებდა და მიჰყვა. სულ მალე იპოვა ხეზე მიბმული კვიჭი, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდებოდა და გულდამძიმებული შინ დაბრუნდა.

— ჰამ-ჰამ, დავილუპეთ, მეზობლებო!  
 — მუ-უ, მითხარი, სუნსულა, შემიჭამეს ჩემი კვიჭი? — ტირილით იკითხა ძროხა ციცინომ.

— დაბმული ჰყავს მელმგელტურას!.. ღრრ...  
 — მაშ, ცოცხალია? — გაუხარდა ძროხა ციცინოს. — მეზობლებო, თქვენ საფრთხეში ვერ ჩაგაგდებთ, მარტო წავალ მელმგელტურასთან. დაე, მე შემჭამოს, ოღონდ კვიჭის ხელი არ ახლოს!  
 — კა-კა-კა, ქალბატონო ციცინო, — აკაკანდა კრუხი ელეონორა, — მარტო რომ წახვიდე, შენც შეგჭამს და შენს შვილსაც! ერთად წავიდეთ და შევებრძოლოთ, კა-კა!

— ერთად შევებრძოლოთ, აფ-აფ! — აყეფდა სუნსულა.  
 — მადლობელი ვარ, ელეონორა, მადლობელი ვარ, სუნსულა! — გული აუჩუყდა ძროხა ციცინოს.  
 — აბა, ჩემო ბიჭებო, კინი, თემო და ვაჟიკა! — მიუბრუნდა კრუხი ელეონორა თავის წინილებს. — საომრად მივდივარ და ვიდრე არ დავპრუნდები, ეზოდან ფეხი არ მოიცვალოთ!  
 — რას ამბობ? — წამოხტა კინი. — ნივ-ნივ, ქალი საბრძოლად გაგიშვათ და ვაჟკაცები შინ დავრჩეთ?

— შენ შინ დარჩი, დედიკო, ჩვენ კი წავალთ! — განაცხადა თემომ.  
 — შენ რომ გაგიშვათ და ჩვენ შინ დავრჩეთ, ტოლები დაგვ-ცინებენ! — თქვა ვაჟიკამ.  
 მამაცმა წინილებმა მხარი-მხარს მისცეს და საომარი სიმღერა შემოსძახეს:

გულყვითელა ვაჟიკა და  
 ფრთაფართუნა თემო-ბიჭი,  
 ნიავ-ნიავ, ნივ-ნივ-ნივ!  
 ბიჭი-კინი, გრძელნისკარტა,  
 სამი ბიჭი, ბიჭანჭური,  
 ნიავ-ნიავ, ნივ-ნივ-ნივ!  
 ჩვენი კვიჭის დასახსნელად,  
 მელმგელტურას მივუხტებით!  
 ნიავ-ნიავ, ნივ-ნივ-ნივ!  
 ნინ დაგვიდექ, მელმგელტურა,  
 შემოგიტევთ ვაჟკაცურად!  
 ნიავ-ნიავ, ნივ-ნივ-ნივ!

— ყოჩალ, ბიჭებო, აფ-აფ!  
 — მუ-უ, გენაცვალეთ, პანაწებო!  
 — რაკი არ იშლით, აგრე იყოს! — დათანხმდა კრუხი ელეონორა.  
 — კინი, თემო და ვაჟიკა-კა, წავედით!  
 — წახვალთ და თავსაც წააგებთ, აი სულელები! — გადმოსჩავ-ლა ფისო თამილამ.  
 — გაგიხმა, კა-კა-კა, ენა! — მიაწყევლა კრუხმა ელეონორამ.  
 — ჰამ-ჰამ, ღრრ... ამიტომაც მეჯავრება ეს ფაფიპარია! — შე-ჰყეფა სუნსულამ.

მწყობრში ჩამდგარმა წინილებმა ერთხელ კიდევ შემოსძახეს:

ნინ დაგვიდექ, მელმგელტურავ,  
 ნიავ-ნიავ, ნივ-ნივ-ნივ!  
 მოგიხტებით ვაჟკაცურად!  
 ნიავ-ნიავ, ნივ-ნივ-ნივ!

ძროხა ციცინო, ძალლი სუნსულა, კრუხი ელეონორა და მისი შვილები — კინი, თემო და ვაჟიკა ტყის ბილიკს დაადგნენ.

ფისო თამილამ ზარმაცად გაიზმორა და ჩაიკრუტუნა:  
— მიაუ, მეც წავალ და შორიდან სეირს ვუყურებ!

## 5. გელგელობის სიცილის სრულობა

პნელ ტყეში კი საბრალო კვიჭის ცრემლი ღვარად ჩამოსდის და  
ზმუს:

დედიკოს არ ვუჯერებდი  
სულელი ბიჭი!  
მელმელტურას ლუკმა ვხდები,  
ვაი, ხძო კვიჭი!

— ნუ ამატირე რა! ხომ იცი, როცა დარდი შემომაწვება, აღა-  
რაფერი მაძლობს! — დაიღრინა მელმელტურამ.

— მშია და დედიკოც მომენატრა! — აჭიჭყინდა კვიჭი.

— როცა შემომექმები, აღარავინ მოგენატრება!

— მშია, მშია, მშია! — გაჭირვეულდა კვიჭი.

— ეს რა შავ დღეში ჩავვარდი! — შეწუხდა მელმელტურა. —  
მერე რა უნდა გაჭამო?

— იცი, დედიკოს რა გემრიელი რძე აქვა! მაგრამ დედიკო შორ-  
საა და ნორჩი ნეკერი და მწვანე ბალახი მაინც მომიტანე!

მელმელტურამ ნეკერი და ბალახი მოუპოტნა.

— აპა, შენ, ნეკერი, აპა, ბალახიც!

კვიჭის მართლაც მოშივნოდა და გემრიელად ჩაახრამუნა.

— რა კეთილი ძია ყოფილხარ, მართლა უნდა შემჭამო? — ცნო-  
ბისმოყვარედ შეეკითხა მელმელტურას.

— კეთილი კი არა, ბოროტი ვარ! — თქვა მელმელტურამ. —  
მართალია, შენისთანა ციცქნას გემოს ვერ ჩავატან, მაგრამ რაკი  
ბოროტი ვარ, სხვა გზა არა მაქვა!

— შენც ნუ იქნები ბოროტი! — შესთავაზა კვიჭიმ.

— ეს როგორ?

— როგორ და... როგორ და... მოდი, ვითამაშოთ!

— რომ არ ვიცი!

— ჩემს მეგობარს დავუძახებ და ის გასწავლის! — კვიჭიმ ხმამა-  
ღლა დაიძახა: — ღტ-ღტ!

უცებ განათდა, შემოვარდა მხიარული ღტ-ღტ.

— ჰაპაპა, აგერა ვარ!

— ეს რა ცხოველია, იქმევა? — იკითხ მელმელტურამ.

— ჰაპაპა, რა ცხვირი ჩამოგიშვია, ღტ-ღტ.. — სიცილით გაეთა-  
მაშა ღტ-ღტ.

— მელიტინება, აბა, ეს რანაირი თამაშია! — გაუკვირდა მელ-  
მელტურას.

— ჰაპაპა, მე ღტ-ღტ ვარ, ყველას ვაცინებ!

— როგორ უნდა გავიცინო, როცა სიცილი არ ვიცი?

— ჩემნაირად აკისკისდი! ჰაპაპა!

მელმელტურამ სცადა, მაგრამ ისეთი ხმა გამოსცა, კვიჭის კი-  
ნალამ გული გაუსცდა:

— ღრრრ!

— ისე კი არა, აი, ასე: ჰა-ჰა-ჰა!

— ჰემ!.. ჰაპაპა!.. — გადაიხარხარა მელმელტურამ.

— ვაშა, ახლა შენი არ მეშინია! — წამოიძახა კვიჭიმ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — დაბზრიალდა ღტ-ღტ. — უფრო მხიარუ-  
ლად!.. მეტი ხალისით!.. ჰაპაპა!..

მელმელტურამ ახლა უფრო ხალისიანად გაიცინა.

— რა კარგია, რა კარგი! — აკისკისდა კვიჭი. — ამხსენით და  
ერთად ვიკუნტრუშოთ!

კვიჭი ახსნეს და ტყე მხიარული სიმღერით აივსო:

მელა ქათმიპარია,  
მგელი ცხვარიჭამია,  
ტურიკელა გაქუცული,  
სამივ შეუჭამია  
ჩვენს ღონიერ მელმელტურას,  
ყველა შეუჭამია!

ფისო თამილა მოსეირნობდა ტყეში და ეს სიმღერა გაიგონა.

— მიაუ!.. რაო? ყველა შეუჭამიაო? — ჩაიკრუტუნა ფისო თამი-  
ლამ. — ძროხა ციცინოც, ძალლი სუნსულაც, კრუხი ელეონორაც  
და მისი აბეზარი წინილებიც? მარტო მე გადავრჩი?.. მიაუ, ყვე-  
ლაზე ჭკვიანი ვარ და იმიტომ!

## 6. ფისო თამილა გახეში გაეპა

ამას რომ ამბობდა, გზაზე თხიპნი-თხუპნი შემოეყარა.  
„აგერ კიდევ ერთი საკბილო!“ — გაიფიქრა თხიპნი-თხუპნიმ.  
„მგონი დიდი ვირთხა!“ — ფისო თამილას მოშივნოდა.  
— აქ რას დაეხეტები? — მკაცრად ჰკითხა თხიპნი-თხუპნიმ.  
„ნამდვილად ვირთხა! — სანალიროდ გაემზადა ფისო თამილა.  
— ხელში თუ ჩავიგდე, კარგადაც შევახრამუნებ!“  
— აქ ერთი ხბო კუნტრუშებდა, მეთამაშეო, შემეხვეწა! — თქვა  
თხიპნი-თხუპნიმ. — შენც სათამაშოდ მოეხეტე?  
— ასეთი წესი მაქვს, სანამ წრუნუნას შევჭამდე, ვათამაშებ  
ხოლმე! — ქედმალლურად უბასუხა ფისო თამილამ.  
„ჩემი არ ეშინია!“ — შეყოყმანდა თხიპნი-თხუპნი.  
„ამ ვირთხას, ეტყობა, კატა არ უნახავს!“ — ფისო თამილამ ზუ-  
რგი ამოიზნიქა, კბილები გამოაჩინა და საზარლად შესჩხავლა:  
— მიაუ... ფჩხ!..  
თხიპნი-თხუპნის სულაც არ შეშინებია.  
ფისო თამილამ კამარა შეკრა, ზედ დაახტა, მაგრამ თხიპნი-  
თხუპნი თვითონ გარს შემოეჭდო.  
— მიაუ, გამიშვი, მეტკინა! — აკნავლდა ფისო თამილა.  
— შენს თავს დააბრალე! — ნიშნი მოუგო თხიპნი-თხუპნიმ.  
— მიაუ, ვაი, მახეში გავები! — აჩხავლდა ფისო თამილა. —  
არიქა, არავინა ხართ?! მიშველეთ!.. მიაუ!  
ამ დროს ჩვენი მამაცი წინილების სიმღერა მოისმა:

ჩვენს დედიკოს, წიავ-წიავ,  
ვყავართ სამი ბიჭი,  
კინი, თემო და ვაჟიკა,  
სამი ოქრო ბიჭი!

— მიშველეთ!.. მეზობლები!.. ციცინო, ელეონორა, სუნსულა,  
მიაუ, კინი, თემო და ვაჟიკა, მიშველეთ... მიაუ!  
— ჰამ-ჰამ, აქ ვილაცა შველას ითხოვს! — შეპყეფა სუნსულამ.  
— ვინა ხარ, მუ-უ!  
— კრიახ, კრიახ! ფისო თამილას ჩხავილსა ჰგავს!

— უყურეთ, ფისო თამილას ვილაცა დაუჭერია! — აწივწივდნენ  
წინილები.

— მიაუ! — შემოსჩივლა ფისო თამილამ. — მე არ დამიჭერია, მე  
დამიჭირეს!

— ჰეი, შენ, ხელი უშვი! — მამაცი კინი სწრაფად მივარდა მტერს.  
თემომ და ვაჟიკამაც ნისკარტები მოიმარჯვეს.

— წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ!

— მუ-უ, გირქენ!

— ღრრ... ჰამ-ჰამ, გიკბენ!

— კრიახ, კრიახ, ჩაგინისკარტებ!

თხიპნი-თხუპნიმ ხელი უშვა ფისო თამილას და ძირს დაეტყეპა.

— მეგობრებო, მე არა ვარ! თქვენ გგონიათ, რომ ვარ? აბა, მი-  
ყურეთ...

და თხიპნი-თხუპნი სწრაფად წატყაპუნდა.

— გმადლობთ, მეზობლებო, თქვენ რომ არა, დავილუპებოდი! —  
ფისო თამილამ თავი დახარა. — ამიერიდან კარგად მეცოდინება,  
ვინც მეგობრებს გაჭირვებაში მიატოვებს, გაკიცხვის ღირსია!  
თქვენთან ერთად წამოვალ კვიჭის დასახსნელად...

## 7. ტყე ნიელია

ფისო თამილას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ უცებ  
ტყეში კვიჭის სიმღერა გაისმა:

მზე აცხუნებს ცაზე,  
ტყეში სიო ქრის,  
კვიჭი-ბიჭი მიკუნტრუშებს —  
ჰაჰაჰა... — და ვინ იცის,  
თავში რა უქრის!..

— წიავ-წიავ, კვიჭის ხმაა! — დაიწივლეს წინილებმა.

— აფ-აფ, კვიჭი მღერის! — შეპყეფა სუნსულამ.

— კა-კა-კა, ცოცხალი ყოფილა! — აკაკანდა კრუხი ელეონორა.  
კვიჭის სხვა, წკრიალა ხმა აპყვა:

მზე აცხუნებს ცაზე,  
ტყეში სიო ქრის,  
ღტ-ღტ მიიჩქარის,  
ჰაჰაჰაჰა,  
მეგობრისკენ მიიჩქარის,  
ქარივით მიქრის,  
ჰაჰაჰა..

— წიავ-წიავ... ჰაჰაჰა!.. — გაიხარეს წინილებმა.  
ამ ორს, მესამე, ხრინწიანი, ბოხი ხმა აჰყვა:

მზე აცხუნებს ცაზე,  
ტყეში სიო ქრის,  
მელმგელტურა საშინელი,  
გონჯი, უშნო, კბილდოჯება,  
მილაჯუნებს, მილაყუნებს,  
ჰაჰაჰაჰა, არავინ იცის,  
საითუენ მიდის,  
ღრრრ!..

გაიხედეს მეგობრებმა და რას ხედავენ! ტყის შუაგულში, პატა-  
რა მინდორზე საშინელი მელმგელტურა, მხიარული ღტ-ღტ და  
ცუცქნა კვიჭი ცეკვით უვლიან წრეს.

— შვილო, კვიჭი, მუ-უ! — გასძახა ძროხა ციცინომ.  
მელმგელტურამ მრისხანედ დაიღრინა:  
— ღრრრ!.. ესენი ვინ არიან?  
— ღრრ, ჰამ-ჰამ! თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? — უკან არ  
დაიხია სუნსულამ.  
— მაშ, ახლავე გაჩვენებ, ვინც ვბრძანდები! თუ ბიჭი ხარ, და-  
მიდექ წინ!

— ძალიან არ შემაშინო, ჰამ-ჰამ!..  
მელმგელტურამ და ძალმა სუნსულამ საჩხუბრად წაიწიეს  
ერთმანეთისაკენ, მაგრამ ამ დროს კვიჭიმ იყვირა:  
— შეჩერდით! რას აკეთებთ?.. მელმგელტურა, ჩვენ ხომ დავმე-  
გობრდით!.. ეს ჩემი დედიკოა, ეს დეიდა ელეონორა, ეს სუნსულა

ძიაა, ესეც ფისო თამილა, ესენი კი წინილები — კინი, თემო და ვა-  
უიკა! ჩვენ ყველანი ერთ ეზოში ვცხოვრობთ!

— წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ! — თავი ღირსეულად დააქენიეს მამაც-  
მა წინილებმა.

— ეს კი მხიარული და კეთილი მელმგელტურა! — მეზობლებს  
გააცნო კვიჭიმ თავისი ახალი მეგობარი.

უცებ თხიპნი-თხუპნი მოტყაპუნდა, თან შორიდანვე დაიძახა:  
— არ დაიჯერო, შენ კეთილი და მხიარული კი არა, ბოროტი და  
მტირალა ხარ!

— არა, კეთილი და მხიარული ხარ! — მოეფერა კვიჭი.

— უჱ, საძაგელო ხბოვ, შევცდით, რომ არ შეგსანსლეთ! —  
გაბრაზდა თხიპნი-თხუპნი.

ფისო თამილა წინ გადაუდგა:

— აქეთ მოიხედე, შავო ვირთხავ, ამას წინათ გული რომ გამიხ-  
ეთქე, შენ არ იყავი?.. ფჩხ!.. მიაუ!

— მოდით, დავკორტნოთ ეს შავი ხოჭო! — წამოიძახა კინიმ.

— წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ! — დაიძრნენ ძმები.

— მელმგელტურავ, მილალატე ხომ! — ატირდა თხიპნი-თხუპნი.

— ჭრელი პეპლები და მინდვრის ყვავილები მოგინდა? ახლავე სულ  
ცრემლის ნიაღვარს გადენ!

— რატომ? — სატირლად მოემზადა მელმგელტურა.

— რაც მეტს იტირებ, უფრო გავსუქდები, გავიდლაბნები, ბო-  
ლოს ყველას გადაგსანსლავთ!

— ჰაჰაჰა, ამან შეგაშინათ? — აგორდა და დაგორდა ღტ-ღტ,  
ახითხითდა, აკისკისდა, ახარხარდა. — ჰაჰაჰა, გადავუვლი და გად-  
მოვუვლი, მთლად გავაპრტყელებ, ჰაჰაჰა!..

თხიპნი-თხუპნი დაპატარავდა, დაპატარავდა, ერთი ციცქნა  
გახდა.

— ჰაჰა, უყურეთ მთლად დაილია! — წამოიძახა კვიჭიმ და მხი-  
არული სიმღერა შემოსძახა:

თხიპნი-თხუპნი, უხეირო,  
თხიპნი-თხუპნი, თხუპნია,  
ბირის დაბანაც არ იცი,  
ხელის დაბანაც არ იცი,  
თხიპნი-თხუპნი, თხუპნია!

სიმღერას ცეკვა მოჰყვადა ყველანი საერთო ფერხულში ჩაებნენ.

- წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ!
- კრიახ-კრიახ, კა-კა-კა!
- მუ-უ, მუ-უ!
- ჰამ-ჰამ, აფ-აფ-აფ!
- მიაუ, მიაუ, მიაუ-უ!
- მეგობრებო! — თქვა ბოლოს მელმგელტურამ. — ღრღრ...

ღრ... თურმე რა ბედნიერებაა, როცა კეთილი ხარ და უამრავი მე-  
გობარი გყავს!.. ღრღრ... ჰაჰაჰა... ნახვამდის, მეგობრებო! ნახვამ-  
დის, კვიჭი!..

მელმგელტურა წავიდა.

წიწილებმა კი გამოსამშვიდობებლად სიმღერა უმღერეს:

მელმგელტურავ, მეგობარო, ტყე ნათელია!

მზე აცხუნებს, ნიავი ქრის, წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ!  
გული მეგობრობით ხარობს, წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ!  
უმეგობროდ ეს ცხოვრება მოსაწყენია!..

მხიარულმა ღტ-ღტ-მ, ოქროსფრად დახატულ მზეს რომ ჰეგავ-  
და, უცებ თვალი ჩაუპაჭუნა კვიჭის:

- ღტ-ღტ... ჰაჰაჰა...



## ზაგრია

სამი წლის ხატიას ძია მწერალმა ზღაპრების წიგნი აჩუქა. ძია მწერალი ბაბუასტოლა კაცია და ზღაპრე-  
თში ცხოვრობს. მისი სახლის მეზო-  
ბლად, გამოქვაბულში ბაყბაყდევი  
იძინებს, ჭალაში კი, ღელისპირას —

სამთავიანი გველეშაპი. ეზოს საჭყუმპალაოში სპილო გოგიტა  
ბანაობს, წყალს ხორთუმით აიღებს და ზურგზე გადაისხამს, ასე  
გრილდება. სხვენში ჯადოქარი ფეფიკო იმალება და სულ იმაზე  
ფიქრობს, ვის რა ოინი უყოს... დილდილაობით ჭიშკართან სკოლი-  
საკენ მიმავალი სათამაშოები ჩაივლიან. აგერ, სხვაზე ადრე, წი-  
თელქუდა მიიჩქარის, ფეხდაფეხ დათუნია დორუნჩა მიბაჯბაჯებს,  
ეშმაკი მელაკუდა ბატ ტასიკოს მიაცილებს; ნაცარქექიაც და კო-  
მბლეც აგერ მოდიან. ნაცარქექიას ჩანთაში წიგნის მაგიერ ნაცარი  
უყრია, კომბლეს კი მხარზე კომბალი გაუდვია. ერთიც ოროსანია  
და მეორეც, თუმცა ნაცარქექიასი ბაყბადევსაც ეშინია, კომბლესი  
კი საზარელ მგელს, რომელსაც კომბლის შიშით ბეკეკასათვის  
კბილი ვერ გაუკრავს... მერე ბუთხუზა ბიჭუნები და წითელლოყე-  
ბა, ქერა გოგონები მოდიან, ცისფერი თვალები ფართოდ დაუჭყე-  
ტიათ... ერთი ზანგი ბიჭიც ურევია, ხუჭუჭა და შოკოლადისფერი...  
სულ ბოლოს ბარიბის წრიპა თოვლინები ჩამნკრივდებიან. ისე კოხ-  
ტად აცვიათ, სხვა სათამაშოებს ზედ თვალი რჩებათ... ძია მწერალი  
ყველა სათამაშოს სათითაოდ იცნობს. ასე რომ არ იყოს, აბა საიდ-  
ან ეცოდინებოდა, როგორ გაეზარდა ხორთუმი ბუტია სპილოს, ან  
სამელნედან კალმის წვერს როგორ ამოჰყვა საზიზღარი თხიპნი-  
თხუპნი, ან როგორ მღერის შვიდთავიანი დევუკა, ბავშვებს როგორ  
აცინებს ჰანანინა ღტ-ღტ, ან ცოცხზე როგორ დაფრინავს ონავარი  
ჯადოქარი ფეფიკო...

პატარა ხატიამ, ცხადია, ჯერ კითხვა არ იცის. ზღაპრებს პეპია უკითხავს, თან წიგნის ნახატებს აჩვენებს. ხატია იმახსოვრებს ამ ზღაპრებს და თავის სათამაშოებს უყვება. მერედა რამდენი სათა-მაში აქვს ხატიას, იმდენი, რომ დათვლით ვერ დათვლი და სახლ-შიც ძლივს ეტევა. ზოგი შუშის კარადაში ჩამჯდარა, საღამოობით იქიდან უყურებენ ტელვიზორში მულტფილმებს. უფრო ძველი სათა-მაშობი სკივრშია ჩაყრილი, ანდა უბრალოდ წალმა-უკულმა ჩაუ-ჩურთავთ ძველ ჩანთაში და ესენი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს სიბ-ნელეში ვერც ხედავენ.

ხატიას ყოველთვის ახალი სათამაშო ურჩევნია, მაგრამ ახალიც ხომ ძალიან ჩქარა ძველდება, თუ თოჯინას მკლავი მოაძვრე, ანდა კაბა შემოახიე, ან ცხვირი მოატეხე, თმა გაუწენე, არ დაბანე და არ დავარცხნე, მოკლედ, თუ გააფუჭე და მიაგდე... რა ქნან ხატიასაგან მივიწყებულმა თოჯინებმა? არავინ იმათ არ ეთამაშება, არავინ ეფ-ერება, არავინ უვლის, მაგათი ტირილ-ჩივილი არავის ესმის.

ერთხელ ხატია აივანზე ერთობოდა, რაც კი რამ სათამაშო ჰქონ-და, ძველიც და ახალიც, აქ დაეყარა. სკოლობანა უნდა ეთამაშა. გროვიდან თითო-თითოდ არჩევდა სათამაშოებს და, რაკი სასკოლო მერხები არა ჰქონდა, ძირს სვამდა... პირველ რიგში ბარბის წრიპა გოგონები და ბიჭუნები ჩამოამნიკივა, მეორე რიგში ნაირ-ნაირი ბუთხზა ბიჭები და ლოყანითელი გოგონები... მერე რეზინის ცხ-ოველები განლაგდნენ — დათუჩები, ბაჭიები, გოჭუნები, ბოჩოლე-ბი, ბატები, იხვები, მამლაყინები, წინილები და ჭუჭულები, ხორ-თუმაშვერილი სპილოები, „აბა, დამაცადეს“ მგელი, მუდამ რომ კურდელს დასდევს შესაჭმელად, მწვანე ნიანგი, — ამათ ვერდით ხომ არც ერთ სათამაშოს არ უნდა დაჯდომა, დამტვრეული ავტოე-ბი, ერთიც ამწე-მანქანა და მატარებელი თავისი პანია ვაგონებით....

ალაგებდა ამათ ხატია და ვერც ალაგებდა! სათამაშოები ხმაუ-რობდნენ, ჭყლოპინობდნენ, წივწივებდნენ, აღგილზე ვერ ისვე-ნებდნენ, ხატია-მასწავლებელს არ უჯერებდნენ. ან რანაირად მოისვენებდნენ, როცა ზოგს ფეხი ჰქონდა მომძვრალი, ზოგს მკლავი ამოგდებული, ზოგს თავი განზე გადალრეცოდა, ტანისა-მოსი ხომ წალმა-უკულმა ეცვათ, რაც მაღაზიდან აქ ჩამოსახლდ-ნენ, ხელ-პირი არ დაუბანიათ და თმა არ დაუვარცხნიათ...

— დაწყნარდით, თორემ დაგსჯით! — უჯავრდებოდა სათამა-შოებს ხატია-მასწავლებელი, თან ხელში წკეპლა ეჭირა.

აგერ ბიჭი-ცერეცოარა და არ უსმენს მასწავლებელს, ცდილობს თოჯინა-მაკრინეს ნაწნავში მისწვდეს. ხატია უჯავრდება, ყურს აუწევს და დახეთ უბედურებას, ბიჭ-ცერეცოს თავი მოსძრა... ამაზე თოჯინა-მაკრინე გადაფიჩინდა, გვერდზე განვა და ცალი ფეხი აფშიკა. დაავლო ხატიამ ხელი და წკეპლა ტაკოზე მოსცხო. აღნავლებული თოჯინა ძირს დააგდო. მაკრინე თავდალმა დაეცა და დარჩა ასე ტაკოსაშვერილი... ამ დროს „აბა, დამაცადეს“ მგელი ბაჭიას მისწვდა, მაგრამ კომბლემ უმალ კომბალი უთავაზა. ნიანგ-მა დრო იხელთა, გოჭუნას კბილი წაატანა, ვერ გამოზომა და კუ-დით ბარბის თოჯინას გამოედო. თოჯინა მეორეზე წაიქცა, მეორე — მესამეზე და წამში ბარბების მთელი რიგი ერთ მხარეს გადაყუნ-ცულდა. ხატიამ ნიანგი კუდით აათრია. საძაგელმა კბილები ჰაერ-ში გააწუნა და გულგახეთქილი ბაჭიები, გოჭები, ბატები, იხვე-ბი, წინილები და ჭუჭულები მიმოიფანტნენ... გაბრაზებულმა სპი-ლოებმა ხორთუმებში ჩაპბერეს, ავტოები თავისით დაიქოქნენ, თუმცა ბორბლები აღარც ჰქონდათ და სადღა წავიდოდნენ. სამაგ-იეროდ, მატარებელმა შეკვივლა და ჩქ-ჩქ-ს ძახილით ვაგონები წაა-თრია. ამწე-მანქანა ბოლო ვაგონს გამოედო, გადაყირავდა და თავი-სი მაღალი კოშკურათი დათუნია-დრუნჩას თავში სდრუზა. დათუ-ნია ბურდლუნით ჩაგორდა თოჯინა-გოგონებსა და თოჯინა-ბი-ჭუნებში... ამათაც ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს.

მოკლედ, აირია ყველაფერი! ხატია-მასწავლებელს არავინ უს-მენდა და მისი წკეპლისაც არავის ეშინოდა.

— ხატია, გენაცვალე, მულტფილმი დაიწყო! — გამოსძახა ბებიამ.

ხატია შინ შევარდა და ტელევიზორთან დასკუპდა. ისეთი კარ-გი მულტფილმი იყო, აივანზე მიყრილ-მოყრილი სათამაშოები გოგ-ონას სულ დაავინებდა.

იმ საღამოს, ძილის წინ, ბებიკო ჯადოქარი ფეფიკოს ზღაპარს უკითხავდა და ხატიას ალერსიანმა ხმამ დაუნანავა, მშვიდად და-იძინა.

დილით თავისი სათამაშოები გაახსენდა და აივნისაკენ გაიცა. კარი გააღო და რას ხედავს? აივანი ცარიელია, სათამაშოები გა-მქრალა.

— ბებია, ბებია, ვინ წაიღო ჩემის სათამაშოები? — იკითხა ხატიამ.

— ჯადოქარმა ფეფიკომ აკრიფა! — ამოიოხრა ბებიამ. — შენ ისინი აივანზე დაყარე და უყურადლებოდ მიატოვე. სიცივისა და

შიშისაგან მთელი ლამე ტიროდნენ. დაინახა ჯადოქარმა ფეფიკომ,  
შეეცოდა და თავის თბილ ბუნაგში შეიპატიუა!

ხატიამ მოიწყინა, საჩვენებელი თითო პირში გაირჭო, თვალები  
ცრემლით აევსო.

— ბებია, სად ცხოვრობს ჯადოქარი ფეფიკო?

— ეჱ, ჩემო კარგო, ჯადოქარი ფეფიკო ზღაპრეთში ცხოვრობს  
და მისი მონახვა ყველას არ შეუძლია!

— იცირა, ბებიკო, — წამოიძახა ხატიამ, — მოდი, ძია მწერალს  
დავურეკოთ, იმას ხომ ეცოდინება, სადაც ცხოვრობს ჯადოქარი  
ფეფიკო. ოღონდ ჩემი სათამაშოები დამიბრუნოს და სულ მოვეფ-  
ერები!

— რა გაეწყობა, დავურეკოთ! — დათანხმდა ბებია.

ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა და ჩასძახა:

— ძია მწერალო, თქვენთან პატარა ხატიას სურს ლაპარაკი!

— გისმენ! — გაისმა ტელეფონში ხმა, რომელიც საოცრად ჰეგავ-  
და ხატიას ბაბუკას ხმას.

— ძია მწერალო, ძალიანა გთხოვთ, ჯადოქარ ფეფიკოს უთხ-  
არით, სათამაშოები დამიბრუნოს, მე მათ არ ვაწყენინებ და სულ  
მოვეფერები!

— ჩემო ხატია! — თქვა ტელეფონში ძია მწერალმა. — სათამა-  
შოებს კიდეც უნდა ეთამაშო და კიდეც უნდა მოუარო. რაკი შენ  
ასეთი კარგი გოგო ხარ, ჯადოქარ ფეფიკოს შევეხვეწები და ვფი-  
ქრობ, სათამაშოებს დაგიბრუნებს!

ბებიამ ყურმილი გამოართვა, აპარატზე დადო და ხატიას მიუ-  
ბრუნდა:

— ახლა ხელ-პირი დავიბანოთ, ვისაუზმოთ და ჯადოქარ ფეფი-  
კოს დაველოდოთ!

ხატიამ ხელ-პირი დაიბანა, კბილები ჯაგრისით გაიხეხა, ფუნ-  
თუშას ცხელი რძე შეაყოლა.

აივნის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— ალბათ ჯადოქარი ფეფიკო მოვიდა! — ლიმილით თქვა ბებიამ.

ხატია წამოხტა, მიირბინა კართან, გამოაღო და რას ხედავს...  
უკლებლივ ყველა სათამაშო აგერაა, კოხტად ჩამწკრივებულან,  
ხელ-პირიც დაბანილი აქვთ, ტანისამოსიც მოწესრიგებული, თვა-  
ლები დაუჭყეტიათ და ხატიას შემოსცერიან.

ხატიამ გაიხარა, ტაში შემოჰკრა. უნდოდა, ზრდილობიანი მად-  
ლობა ეთქვა ჯადოქარი ფეფიკოსათვის, მაგრამ სადაა... ცოცხზე  
შემჯდარი ფეფიკო ისე მაღლა მიფრინავდა, გაზაფხულის მერცხ-  
ლისაგან ვერ გაარჩევდი.

იმ დღიდან ხატია ბეჯითად უვლის თავის სათამაშოებს. ხელ-  
პირსაც ბანს, ტანისამოსს ურეცხავს და უცვლის, კიდეც ეთამაშე-  
ბა და, რაც მთავარია, თამაშს რომ მორჩება, კოხტად მიაღავებს...



ჩემს პატარა  
თანაავტორებს მარიაშს  
და გვანცხს

## ცუნცულები

— ნიკუშა-ცუნცულა, ანას — ანუკი-ცუნცულა, ლიზის — ლიზიკუნა-ცუნცულა... უჰ, ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლი?

ერთ დედიკოს ჰყავდა სამი წლის გოგონა და, ცხადია, ცუნცულას ეძახდა.

— ცუნცულ, წაცუნცულდი! — ეტყოდა დედიკო. — ცუნცულ, მოცუნცულდი!

მზიანი დილით დედიკომ ცუნცულას პირი დაბანა, თმები დაუ-ვარცხნა, ჩააცვალა ამაზი, ფურფუშელებიანი კაბა და უთხრა:

— ცოტა ხნით ეზოში იცუნცულე, მე კი საუზმეს მოგიმზადებ! ეზოში ხილის ბალი, ნაირ-ნაირი ყვავილები და მწვანე მდელოა. ჰოდა, მირბის, მიცუნცულებს დედიკოს ცუნცულა და მიიმღერის:

ცუნცულ-ცუნცულ, ცუნცულ-ცუნცულ,  
ცუნცულ-ცუნცულ, ცუნცულ-ცუნცულ!..

აგერ, ბუჩქთან ქათქათა ყურცექვიტა ჩაცუცქულა.

— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— მე დედიკოს ბაჭია ვარ! — უპასუხა პატარამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო კურდლელია!  
— მე „ცუნცულ-ცუნცულ“ ვიცი! შენა?

— მე კი „სკუპ-სკუპი“ ვიცი! — თქვა ბაჭიამ.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.  
ცუნცულა და ბაჭია მირბიან და მიიმღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ-სკუპ!  
ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ-სკუპ!..

აგერ, ხესთან ჭრელი, ფუმფულა პატარა იზმორება.

— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— მე დედიკოს კნუტი ვარ! — უპასუხა პატარამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო კატაა!  
— მე „ცუნცულ-ცუნცულ“ ვიცი, ბაჭიამ „სკუპ-სკუპი“! შენა?  
— მე კი „მიაუ-მიაუ“ ვიცი! — თქვა კნუტმა.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.  
ცუნცულა, ბაჭია და კნუტი მირბიან და მიიმღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ, მიაუ-მიაუ!  
ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ, მიაუ-მიაუ!

აგერ, ბალახში ყვითელბუმბულა პანანა იქექება.

— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— მე დედიკოს ნინილა ვარ! — უპასუხა პანანამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო კრუხია!  
— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ — „სკუპ-სკუპი“, კნუტმა — „მიაუ-მიაუ“! შენა?  
— მე ვიცი „წივ-წივ-წივ“! — უპასუხა ნინილამ.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.  
ცუნცულა, ბაჭია, კნუტი და ნინილა მირბიან და მიიმღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ-სკუპ!  
მიაუ-მიაუ, წივ-წივ-წივ!..

აგერ, გუბურასთან ყვითელნისკარტა პატარა ბაჯბაჯებს.

— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— მე დედიკოს ჭუჭული ვარ! — უპასუხა პატარამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო იხვია!  
— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ „სკუპ-სკუპი“, კნუტმა „მიაუ-მიაუ“, წინილამ, წივ-წივ-წივ! შენა?

— მე ვიცი „ყი-ყი-ყი!“ — უპასუხა ჭუჭულმა.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.

ცუნცულა, ბაჭია, კნუტი, წინილა და ჭუჭული მირბიან და მიიმღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, მიაუ-მიაუ,  
სკუპ-სკუპ-სკუპ, ყი-ყი-ყი,  
წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ!..

აგერ, შავბუმბულა პატარა გაფუყული დგას.  
— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— მე დედიკოს ჭუკი ვარ! — უპასუხა შავბუმბულამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო ინდაურია!  
— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ — „სკუპ-სკუპი“, კნუტმა „მიაუ-მიაუ“, წინილამ — „წივ-წივ-წივ“, ჭუჭულმა — „ყი-ყი-ყი!“ შენა?  
— მე ვიცი „ჭუკ-ჭუკ-ჭუკ!“ — უპასუხა ჭუკმა.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.  
ცუნცულა, ბაჭია, კნუტი, წინილა, ჭუჭული და ჭუკი მირბიან და მიიმღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ-სკუპ!  
მიაუ-მიაუ, ყი-ყი-ყი!  
წივ-წივ-წივ, ჭუკ-ჭუკ-ჭუკ!..

აგერ, ვარდისფერდრუნჩა ზურგით ხეს ეხახუნება.  
— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— დედიკოს გოჭი! — უპასუხა დრუნჩამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო კეთილი და მსუქანი ლორია!

— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ — „სკუპ-სკუპი“, კნუტმა „მიაუ-მიაუ“, წინილამ — „წივ-წივ-წივ“, ჭუჭულმა — „ყი-ყი-ყი“, ჭუკ-მა — „ჭუკ-ჭუკ-ჭუკ“. შენა?

— მე ვიცი „ღუტუ-ღუტუ!“ — უპასუხა გოჭმა.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.  
ცუნცულა, ბაჭია, კნუტი, წინილა, ჭუჭული, ჭუკი და გოჭი მირბიან და მიიმღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ-სკუპ!  
წიავ-წიავ, წივ-წივ-წივ!  
ჭუკ-ჭუკ-ჭუკ, მიაუ-მიაუ!  
ღუტუ-ღუტუ, ყი-ყი-ყი!..

აგერ, ეზოს კუთხეში დიდყურა ტლინკებს ისვრის.  
— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— დედიკოს ჩოჩორი! — უპასუხა დიდყურამ.  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო ყველაზე ლამაზი ვირია!  
— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ — „სკუპ-სკუპი“, კნუტმა „მიაუ-მიაუ“, წინილამ — „წივ-წივ-წივ“, ჭუჭულმა — „ყი-ყი-ყი!“ შენა?  
— მე ვიცი „იყი-იყი-იაუ“ — შეჰყოროყინა ჩოჩორმა.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.  
ცუნცულა, ბაჭია, კნუტი, წინილა, ჭუჭული, ჭუკი, გოჭი და ჩოჩორი მირბიან, მიხტუნაობენ, მიტლინკაობენ და მღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, სკუპ-სკუპ-სკუპ!  
ცუნცულ-ცუნცულ, წივ-წივ-წივ!  
ცუნცულ-ცუნცულ, ჭუკ-ჭუკ-ჭუკ!  
ღუტუ-ღუტუ, ყი-ყი-ყი!  
იყი-იყი-იაუ!..

აგერ, ყავისფერი, თეთრშუბლა ბოჩოლა დაკუნტრუშებს.  
— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.  
— მე დედიკოს ხბო ვარ!  
— შენი დედიკო ვინ არის?

— ჩემი დედიკო ძროხაა!  
— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ — „სკუპ-სკუპი“, კნუტმა  
— „მიაუ-მიაუ“, წინილამ — „წივ-წივ-წივ“, ჭუჭულმა — „ყი-ყი-ყი“, ჭუ-  
კმა — „ჭუკ-ჭუკ-ჭუკ“, გოჭმა — „ღუტუ-ღუტუ“, ჩოჩორმა — „იყი-იყი-  
იაუუ“. შენა?

— მე ვიცი „მუუუ!“ — უპასუხა ხბომ.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ.

ცუნცულა, ბაჭია, კნუტი, წინილა, ჭუჭული, ჭუკი, გოჭი, ჩოჩორი და  
ხბო მირბიან, მიხტუნაობენ, მიკუნტრუშებენ და მღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, მუუ-მუუ!  
სკუპ-სკუპ-სკუპი, წივ-წივ-წივ!  
მიაუ-მიაუ, ჭუკ-ჭუკ-ჭუკ!  
ღუტუ-ღუტუ, ყი-ყი-ყი!  
იყი-იყი-იაუუ!..

აგერ, პატარას ენა გადმოუგდია და კუდს აქიცინებს.

— შენ ვინ ხარ? — შეეკითხა ცუნცულა.

— დედიკოს ლეკვი!  
— შენი დედიკო ვინ არის?  
— ჩემი დედიკო ეზოს ძალლია!

— მე ვიცი „ცუნცულ-ცუნცულ“, ბაჭიამ — „სკუპ-სკუპი“, კნუტმა  
— „მიაუ-მიაუ“, წინილამ — „წივ-წივ-წივ“, ჭუჭულმა — „ყი-ყი-ყი“, ჭუ-  
კმა — „ჭუკ-ჭუკ-ჭუკ“, გოჭმა — „ღუტუ-ღუტუ“, ჩოჩორმა — „იყი-იყი-  
იაუუ“. შენა?

— მე ვიცი „აფ-აფ-აფ!“ — უპასუხა ლეკვმა.  
— მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა ცუნცულამ  
ცუნცულა, ბაჭია, კნუტი, წინილა, ჭუჭული, ჭუკი, გოჭი, ჩოჩორი,  
ხბო და ლეკვი მირბიან, მიხტუნაობენ, მიკუნტრუშებენ და მღერიან:

ცუნცულ-ცუნცულ, ცუნცულ-ცუნცულ!  
სკუპი-სკუპი, სკუპ-სკუპ-სკუპ!  
მიაუ-მიაუ, მიაუ-მიაუ!  
წივ-წივ, წივ-წივ-წივ!  
ყი-ყი-ყი, ყი-ყი-ყი!

ჭუკ-ჭუკ-ჭუკ, ჭუკ-ჭუკ-ჭუკ!  
ღუტუ-ღუტუ, ღუტუ-ღუტუ!  
მუუ-მუუ, აფ-აფ-აფ!  
იყი-იყი-იაუუ!..

ამ დროს დედიკომ ფანჯრიდან გადმოიხედა და გოგონას მოუხმო:  
— ცუნცულ, მოცუნცულდი!

დედიკომ ცუნცულა მაგიდასთან დასვა და წინ მანანის ფაფა დაუდგა.  
ბაჭია დედიკო-კურდლელთან მისკუპსკუპდა, კნუტი დედიკო-  
კატასთან მიკურუტუნდა, წინილასთან დედიკო-კრუხი მოკაკანდა, ჭუ-  
ჭულმა გუპურასთან დედიკო იხვს შეჰყიყინა, ჭუკს გაფხორილმა დედი-  
კო-ინდაურმა მოაკითხა, გოჭი თავის კეთილ და მსუქან დედიკო-ღორ-  
თან მიღრუტუნდა, ჩოჩორი დედიკო-ვირთან მიყროყინდა, ხბო დედი-  
კო-ძროხასთან მიკუნტრუშებდა... ყველა დედიკომ თავის პატარებს  
საუზმე გაუმზადა

ლეკვმა და დედიკო-ძალლმა ეზო ყეფით შემოირბინეს:  
— აფ-აფ, აფ-აფ-აფ!..



## ციცქნა გოგოსა და მისი მეგობრების უჩვეულო ფათერაკები

### ზათერაპი პირველი

ციცქნა გოგო ლოგინიდან უთენია წამოფრთხიალდა. პერანგის ამარამ ირბინა ოთახებში, ხან სკამს გამოედო, ხან მამიკოს უშველებელ ფეხსაცმელს გაჰკრა ფეხი, იქ მაგიდიდან ლანგარი გადმოაგდო. დედას და მამას ჯერაც ეძინათ. „რა მოხდა?.. რა ამბავია ჩვენს თავს?“ — წამოიძახეს ძილ-ღვიძილში, ლოგინიდან წამოცვივდნენ, ხალათები გადაიცეს და ციცქნა გოგოს დასაჭერად გამოუდგნენ. ციცქნა გოგო მხიარული ტკარცალით დარბოდა ოთახიდან ოთახში, ხან კარადის უკან დაიმალებოდა, ხან საწოლქვეშ და იქიდან იძახდა: „კუკუ, აბა, დამიჭირეთ!“ როდესაც ბუხარში აპირებდა შეძვრომას, მამამ პერანგის კალთაზე სტაცა ხელი. „რა იყო, ჭერი კინალამ თავზე დაგვანგრიე?“ — უსაყვედურა დედამ. „დღეს ჩემი დღეობაა.. დღეს ჩემი დღეობაა..“ — მამიკოს ხელიდან დაუსხლტა და ასკინკილა ჩამოუარა ციცქნა გოგომ. „უყურე ამ ახტაჯანას!“ — გაეცინა მამას. „ხუთი წლის გოგო ხარ და ასეთი ეშმაკუნა?“ — გაკვირვებისაგან ხელი გაშალა დედამ.

— რა მიყიდეთ? — ბოლოს ხტუნაობით დაიღალა ციცქნა გოგო. — შენ თვითონ მიხვდი! — თვალები აუციმციმდა მამას.

ციცქნა გოგომ ჯერ სამზარეულოში შეიხედა. მაგიდაზე, კარადაში, მაცივარში ვერ ეტეოდა ტკბილეული, ლიმონათი, ხილი.

— გმადლობ, დედიკო, გმადლობ, მამიკო! — ციცქნა გოგომ დედას და მამას აკოცა და ახლა თავის ოთახში შეირბინა. ზღურბლზე რომ გადაბიჯა, ვიღაცამ ფეხი დაუდო. ციცქნა გოგო იატაკზე გაიშოტა და მუხლი დაჰკრა. ტკივილისაგან თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ დღეს მისი დღეობა იყო და ხომ არ აღრიალდებოდა. იქვე, კუთხეში მიყრილი კოლოფებიდან თავი ამოეყო ერთ ცხვირმეჭჭა დედაბერს და სიცილისაგან იფხრინებოდა. ციცქნა გოგო აიმრიზა, საჩხუბრად გაინია, მაგრამ დედაბერი სწრაფად ჩაიმალა ერთ-ერთ კოლოფში.

— ბოროტო დედაბერო, ტკბილეულზე არ დაგპატიუებ! — დაემუქრა ციცქნა გოგო და კოლოფებიდან სათამაშოების ამოლაგებას შეუდგა. ამიერიდან სათამაშოების კარადაში დასახლდა ცხრათავიანი ლილიპუტი დევი, აკვარიუმის ვეშაპუნა, მომლერალი ბატი, კატა ციცუნია და თითისტოლლა ცუგა. ციცქნა გოგომ ყოველ სათამაშოს თავისი ადგილი მიუჩინა. ბოლოს ჯერი იმ კოლოფზე მიდგა, რომელშიც დედაბერი ჩაძვრა. კოლოფში მუყაოს ჭრელი სახლი იდგა. ამ სახლში ცხოვრობდა ცნობილი ჯადოქარი ფეფი კო. ციცქნა გოგომ ეს სახლიც სათამაშოების კარადაში შეინახა... იმ დღეს ისე გაერთო, ვერც კი გაიგო, რა სწრაფად გაირბინა დრომ. ამასობაში სადილობაც მოახლოვდა. ციცქნა გოგომ სუფრა გაშალა და კარადის ახალი ბინადარი სათამაშოები მოიწვია. მხოლოდ ჯადოქარი ფეფიკოსათვის არაფერი უთქვამს — მასზე ხომ ნაწყენი გახლდათ. სადილზე უცხო სტუმარიც მობრძანდა, ზოოპარკის სპილო, სახელად გოგიტა. ეს იყო ერთი ზარმაცი, მაგრამ კეთილი ბიჭი. აქაოდა, პირველკლასელი ვარო, გოგიტას „დედაენა“ მუდამ ჯიბით დაჰქონდა.

მეგობრებმა კარგად მოულხინეს, იცეკვეს და იმღერეს, ბევრი იცინეს. ციცქნა გოგოს „დღეობანა“ ისე მოეწონა, რომ სტუმრებს არწმუნებდა, ხვალაც ხუთი წელი შემისრულდება და ისევ მეწვიეთო. უარს, აბა, ვინ იტყოდა. მხოლოდ სპილო გოგიტამ თქვა, „დედაენის“ კითხვა უფრო მსიამოვნებსო, რაც სულ ტყუილი იყო. სპილო გოგიტას ხომ სწავლას ჭამა ერჩია. ახლაც სუფრის ბოლოს იჯდა, მკერდზე თეთრი ზენარი აეფარებინა და გემოზე მიირთმევ-

და: სამი კალათი თალგამი ამოათავა, ერთი სამფუთიანი ტორტი ზედ დააყოლა, თუ არ ჩავთვლით აუარებელ ქიშმიშსა და მოხალულ თხილს... ამის შემყურე ცხრათავიანმა დევმა გაოცებისაგან ცხრავე პირი დაალო; ვეშაპუნას მესამასე ხიზილალიანი ბუტერბროდი გადასცდა და დიდხანს ახველებდა, თან ცრემლი შადრევნებად გადმოსდიოდა, ოღონდ თვალებიდან კი არა, ზურგიდან, როგორც ეს ვეშაპებს სჩვევიათ; მომლერალმა ბატმა „ვაახო“ — ამოიხვნეშა; კატა ციცამ თევზის თავი დაითრია, საქმე ასე თუ წავიდა, მე არაფერი დამრჩებაო; ცუგას კი ისედაც სამი წვეთი ტკბილი ჩაი და ხაჭაპურის სამი ფინჩხი ყოფნიდა.

ამ დროს ჯადოქარმა ფეფიკომ გადმოიხედა თავისი სახლის ფანჯრიდან და დასჩავლა: „აბა, აბა, რამდენს იცინით? გიბრძანებთ, ახლავე იტიროთ!“ ასეთი ახირებული ვინმე იყო, სიცილს ტირილი ერჩია. საბედნიეროდ, მისი ხმა არავის გაუგონია. რომც გაეგონათ, ვინ დაუჯერებდა... იფიქრა, იფიქრა, ნეტავი ამათ რითი ვაწყენიონ. ჩუმად მიეპარა და ვეშაპუნას კუდზე დაეჯაჯგურა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ახლა სპილო გოგიტას მიეპარა და ბეჭზე უჩქმიტა. სპილო გოგიტას ეგონა, ბუზი დამაჯდაო, ხორთუმით ლიმონათი გადაისხა და ჯადოქარი ფეფიკო გაწუნა. ძალიან გამნარდა ჯადოქარი, ერთი ამბავი დააწია, მეჭეჭიანი ცხვირი მრისხანედ აათამთამა. სპილო გოგიტა ბევრი ებოდიშა, მაგრამ ჯადოქარი ფეფიკო ოთახიდან მუქარით გავარდა...

ასე გადაემტერა ჯადოქარი ფეფიკო ციცქნა გოგოსა და მის მეგობრებს...

## ფათერაკი მეორე

მეორე დილას ციცქნა გოგო მზემ გამოაღვიძა; ფანჯარაში შემოიჭყოტა და ისე შემოსცინა, ბალიშის ქვეშაც ვერ დაემალა.

— რანაირი ხარ, რა? — გაებუტა ჭყეტელა მზეს, მაგრამ ამ დროს ფანჯარაში მეზობლის ბეკეკა დაინახა. უკანა ფეხებზე შემდგარიყო და ციცქნა გოგოს უთვალთვალებდა, თან ტუჩებს გამალებით აცმაცუნებდა.

— ბეკეკო, ბეკეკო! — მხიარულად წამოიძახა ციცქნა გოგომ და ფანჯარა ფართოდ გამოალო.

— პეე!.. ეს რა ვნახე, ეს რა ვნახე!.. პეე!.. — აპეტელდა ბეკეკა.

თურმე სპილო გოგიტა ხის ჩრდილში კუნძხე ჩამოჯდა, მუხლებზე ანბანი გადაშალა — თუმცა წიგნი უკულმა ეჭირა, ირწმუნებოდა, ასო ძ-ილს ვსწავლობო. იმდენი იძახა „ძილ-ძილი, ძილ-ძილი“, ბოლოს და ბოლოს თვლემა მოერია, ძილმა თავის კანტური დააწყებინა. სულელმა ბეკეკამ იფიქრა, ალბათ მირქენსო და საბრძოლველად მოემზადა. ამ დროს მოვარდა ჯადოქარი ფეფიკო, „დედაენას“ სული შეუბერა და წიგნიდან ჩიტებივით ამოფრთხიალდა ყველა ასო ანიდან ჰაემდე... ზარმაცმა სპილო გოგიტამ თვალის მოფშვნეტაც ვერ მოაწრო, ფაფუ! მის წიგნში თეთრი გვერდებილა დარჩა.

ციცქნა გოგომ სწრაფად ჩაიცვა და ეზოში გავარდა.

სპილო გოგიტა კომშის ქვეშ იჯდა და ხმამაღლა ზლუქუნებდა, თან ხორთუმით თვალებს ისრესდა. მეგობრები გარს შემოეხვივნენ და ამშვიდებდნენ. აკვარიუმის ვეშაპუნა ხიზილალიან ბუტერბროდს მუჭში ჩრიდა, შეჭამე და გული დაგიამდებაო. ცხრათავიანმა დევმა თექვსმეტი თვალიდან იმდენი ცრემლი გადმოლვარა, ეზოში ნაკადული გაჩნდა. მომლერალ ბატს გულზე დარდი შემოაწვა და წამდაუნუმ ხვნებოდა: „ვაახ!..“ ყოჩალი ცუგა ისე იღრინებოდა, მტერსა და მოყვარეს გული უსკდებოდა. ყველამ იცოდა მისი სიმამაცე. ცუგა რომ შეულრენდა, კამეჩი რომ კამეჩია, ისიც კუდს აიპრეხდა და გაიცეოდა. მარტო კატა ციცა იყო არხეინად, ნეტა ასე რას დარდობენ, ის ანბანი ხომ არ იჭმევაო.

— ნუ გეშინია! — დაამშვიდა სპილო გოგიტა ციცქნა გოგომ. — ნახავ, შენი ანბანი თუ არ დაგიბრუნო... ოღონდ ამიერიდან არ იზარმაცო და გაკვეთილი მართლაც ისწავლე!

გოგიტამ თავი დაუქნია, „დედაენა“ დამიბრუნეთ და ჩემზე ბეჯით სპილო ქვეყანაზე არ იქნებაო...

## ფათერაკი მესამე

ჯადოქარ ფეფიკოს არ ეშინოდა ურჩესულებისა და დევებისა, მგლისა და დათვისა, ბნელ ღამეში გზაზე შემოჩენილი ყაჩალისა ან ფანჯარაში შემომძვრალი ქურდისა; ინავარ ბიჭებს იატაკის ჯონით ეჩიუბებოდა და შურდულსაც ბიჭებზე უკეთ ხმარობდა...

ციცქნა გოგომ კარგად იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე და მეგობრებს ურჩია, ჯადოქარ ფეფიკოს ომი გამოვუცხადოთო. მარ-

თალია, გულადი მეგობრები ჰყავდა ციცქნა გოგოს, მაგრამ ახლა კი შეკრთნენ. ჯადოქარ ფეფიკოსთან პირისპირ შერკინება არ იყო ადვილი.

ბოლოს კატა ციცამ ასწია თათი.

— მიაუ, მე ვიცნობ ერთ გმირს, მას ქვეყანაზე ვერავინ მოერევა!

ციცქნა გოგომ თავზე ხელი გადაუსვა.

— ციცუნია, ოლონდ გამაცანი და თევზის თავს არ გამოგილევ!

კატა ციცამ ფუმფულა კუდი აპრიხა. ზედ კუდის წვერზე მეომარი რწყილი აჯდა... ის უბრალო რწყილი როდი იყო. ორი სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და მუდმივ საცხოვრებლად კატა ციცას კუდის წვერი აერჩია. კუდის წვერი ხომ შესანიშნავი სათვალთვალო პუნქტია. რწყილს კი, აბეზარსა და ჩხუბისთავს, თვალთვალი უყვარდა და, როცა ვინმე არ მოეწონებოდა, ზედ ცხვირზე ეტაკებოდა.

— მამაცო მეომარო! — მიმართა რწყილს ციცქნა გოგომ. — შენი დიდება ქვეყანას მოედო. შენი შიშით მინაზე ჭიანჭველა ვერ დადის, ცაზე ჩიტი ვერ დაფრინავს. ჯადოქარმა ფეფიკომ საბრალო სპილო გოგიტა დაგვიჩაგრა. იქნებ დაგვეხმარო, თორემ ჩვენ არაფრად გვაგდებს!

— მერედა როგორ გაბედა?! — რწყილმა კბილები ისე დაალრჭიალა, ციცქნა გოგოსაც კი გააურულა. — პატარების დაჩაგვრას არავის შევარჩენ! ჩქარა მომართვით ტახტრევანი, სასტიკად უნდა დავსაჯო თავხედი ჯადოქარი!

ციცქნა გოგომ ჯიბიდან თხილის ნაჭუჭი ამოილო, რწყილი ნაჭუჭში ჩახტა და ყველანი გაეშურნენ ჯადოქარ ფეფიკოსთან, რომელიც ასეთ მოულოდნელ თავდასხმას არ მოელოდა.

— ქალბატონო! — ზრდილობით მიმართა ციცქნა გოგომ. — გთხოვთ, სპილო გოგიტას დაუბრუნოთ ანბანი! დღეს „ძილი“ უნდა ესწავლა, თქვენ კი ხელი შეუშალეთ!

— ჰა-ჰა, რასა ბრძანებთ? — გადაიხარხარა ჯადოქარმა ფეფიკომ. — აქედან დამეკარგეთ, თორემ შავ დღეს დაგაყრით!

— მაშ, ასე! — განრისხდა მეომარი რწყილი, თხილის ნაჭუჭის კიდეზე წამოსკუპდა, არწივივით მოავლო ბრძოლის ველს თვალი და ხმალი შეათამაშა. — მე სახელგანთქმული სარდალი ვარ! ხუთას ორმოცდაათი ომი გადავიხადე, შენისთანები ლუკმადაც არ მეყოფა!

ბებერი ჯადოქარი ფეფიკო ყურნაკლული იყო, თან თვალებშიც ცუდად იხედებოდა, ვერც რწყილი შეამჩნია და ვერც მისი ხმა გაიგონა.

რწყილმა არც აცია, არც აცხელა, ეტაკა პირდაპირ ცხვირში.

— ვაი! — შესძახა ჯადოქარმა ფეფიკომ.

რწყილმა ისევ და ისევ შეუტია.

— ვაი, ვაი, ვაი! — აკივლდა ბებერი ჯადოქარი, დაავლო ხელი ცოცხეს, შეჯდა და გაფრინდა. მამაცი მეომარიც გამოუდგა. თქვენ კარგად იცით, რომ ჯადოქერები ძალიან სწრაფად დაფრინავენ. ჰოდა, გამწარებულმა ჯადოქარმა ფეფიკომ დედამიწას გარს თხუთმეტჯერ შემოუფრინა, რწყილი კი მაინც ვერ მოიშორა. ამასობაში ორივე დაიღალა. ღონეგამოლეული რწყილი წყნარ ოკეანეში ჩავარდა. იმ ადგილას ტალღები ისე აიზირთა, აბობოქრდა და გადაირია, იაპონიისა და კალიფორნიის ნაპირები ერთიანად წალეკა, უამრავი ქალაქი და სოფელი დაანგრია. სამას ხუთი ხომალდი გადააბრუნა და ათას ხუთასი წყალქვეშა ნავი ჩაძირა. მსოფლიოში ცნობილმა ასტრონომმა განაცხადა, კოსმოსიდან უცხო სხეული შემოიჭრა და დედამიწა თავისი ღერძიდან მემილიარდედი გრადუსით გადაიხარა. იქ, სადაც რწყილი დაეცა, კუნძული ამოიზარდა. მალე იგი ქოქოსის პალმებით დაიფარა, ზედ კი პოლინეზიელთა ტომი დასახლდა.

## მეგობრები გეგმები აგება

ჯადოქარი ფეფიკოსა და მეომარი რწყილის ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით გადაკარგვამ მგობრები საგონებელში ჩააგდო.

— სხვა რა გზა გვაქვს, გემი უნდა ავაგოთ! — განაცხადა ციცქნა გოგომ. — სადმე ზღვის გალმა ქვეყნებში უნდა ვეძებოთ ჯადოქარი ფეფიკომ!

ციცქნა გოგოს ნათქვამი მეგობრებს ჭკუაში დაუჯდათ და უმალვე საქმეს შეუდგნენ.

გემის აგება, მოგეხსენებათ, არც ისე ძნელია. საჭიროა ძველი გაზიეთები, წებო და მაკრატელი. მეგობრები ხუთი დღე-ღამე დაუღალვად მუშაბდნენ: ვეშაბუნა მაკრატელა კუდით ჭრიდა ქალალდს, სპილო ხორთუმით წებოს უსვამდა, ლილიპუტი დევი აწებებდა, ბატი, ცუგა და კატა ციცა შველოდნენ. გაზიეთის გემს სხვა

უპირატესობაც ჰქონდა. ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, თუ ვინმე მოიწყენდა, გემბანზე, კაიუტის კედლებსა და სხვაგან შეეძლო ნაირ-ნაირი ამბების წაკითხვა და ნახატების დათვალიერება.

ჭრა-წებვა რომ მოათავეს, ახლა ძრავა გაახსენდათ.

— დავაყენოთ აფრები! — შესთავაზა მომღერალმა ბატმა. — მე გემბანზე დავდგები, ფრთებს გავშლი და აფრაც მზად იქნება.

— გაცივდები და ხმაც ჩაგიწყდება, — თქვა სპილო გოგიტამ, — მაშინ ვინდა გვიმღერებს გზაში?

— მიაუ, ბუხარიც წამოვილოთ! — აკრუტუნდა კატა ციცა. — ბუხრის პირას ძილი მიყვარს.

— აფ, აფ... — აყეფდა ცუგა, — ჩაიდანი ვიშოვოთ, წყალი ავადულოთ და ორთქლის მანქანა მზადაა!

— ერდოზე დამანვინეთ, კუდს წყალში ჩავყოფ და ამ ჩვენს გემს ჩიტივით გავაფრენ! — განაცხადა ვეშაპუნამ.

ცხრათავიან დევს რვა სულელი და ერთი ჭკვიანი თავი ჰქონდა. ჭკვიანი თავი აქამდე გემრიელად ხვრინავდა, ახლა კი გამოიღია, „დიდი ატომი“ რად დაგავიწყდათო, წაიბლუკუნა და კვლავ ძილს მისცა თავი.

დიდ ატომს თქვენ ალბათ არ იცნობთ!

ციცქა გოგოს მამა ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა და ერთ-ხელ შემთხვევით ჯიბეში ატომი ჩარჩა. საუცხოო სანახავი იყო. მისი პროტონი და ნეიტრონი მზესავით კაშკაშებდა. დიდგულოვანი ადამიანივით მასაც გარს ეხვია აურაცხელი პირფერა, ქლესა ელექტრონი, რომელიც სულ მის ირგვლივ ტრიალებდნენ და ათასაირ სასიამოვნო ამბებს ჩასჩურჩულებდნენ... ისე კი, არ იყო ურიგო ყმანვილი. თავისოთვის ცხოვრობდა საწერი მაგიდის უჯრის შორეულ, ბელ კუნძულში. არავის არაფერს უშავებდა, თუმცა ისე-თი ლონე ჰქონდა, რომ მოენდომებინა, წამში სახლსაც კი აიტაცებდა.

ციცქა გოგომ უჯრა გამოსწია.

— აფჩი! — ცხვირი დააცემინა დიდმა ატომმა. — საიდან უბერავს? რა სასიამოვნო სურდო შემეყარა!

არ გაგიკირდეთ, დიდ ატომს ძალიან უხარია, სურდო რომ შეეყრება. ამ დროს სიცხე თითქმის მილიონ გრადუსამდე აუზევს ხოლმე და ისეა გავარვარებული, ვერავითარი თერმომეტრი ვერ უძლებს.

— ბატონო ატომო! — მიმართა ციცქა გოგომ. — ალბათ მოგბეზრდათ ამ სიბნელეში ჯდომა! გადმობრძანდით ჩვენს გემზე, ერთად გავცუროთ შორეული ქვეყნებისაკენ!

— აფჩი... უპ! — ყოჩალმა ატომმა ერთხელ კიდევ დააცემინა ცხვირი. — აფჩი!.. ოღონდ, იცოდეთ, ზრდილობიანი მოპყრობა მიყვარს, ხელი არავინ გადამისვას ქოჩორზე!

სკუპ, სკუპ! დიდი ატომი უჯრიდან გადმოსკუპდა და ძლივ-ძლივობით შეეტია კაიუტაში. როგორც კი კაიუტის კარი შიგნიდან ჩაირაზა, გემი ისე ათუხთუხდა, კინალამ ღუზას მოწყდა.

დამავიწყდა მეთქვა, გემს ღუზა ჩაშვებული ჰქონდა წყლით სავსე გობში. შიგ წყალი ონკანიდან ჩადიოდა და მეორე კიდიდან ჩანჩქერივით იღვრებოდა.

გასამგზავრებლად უკვე მზად იყვნენ.

ციცქა გოგომ კაპიტინის ერდოზე დაიკავა ადგილი. საჭე ცხრათავიანმა დევმა ჩაიგდო ხელში. მართალია, მეცხრე, ჭკვიან თავს ეძინა ხოლმე, მაგრამ დანარჩენი რვა თავის ორ-ორ თვალს რა გამოეპარებოდა!

ცუგა კაპიტინის თანაშემწედ დაინიშნა. თუმცა თამბაქოს არ ეწეოდა, ყალიონგაჩილი ამაყად დასეირნობდა ერდოზე. ერთ თათზე ღუზა მიიხატა, მეორეზე დაიწერა — „ზღვა ჩემი სტიქიაა“.

კატა ციცამ სამზარეულოში დაიდო ბინა. იცოდა, თევზის თავი მუდამ მისი წილი იქნებოდა...

სპილო გოგიტა იუნგა გახდა. წონით ყველაზე მეტი იყო (ვეშაპუნას გარდა), სამაგიეროდ ასაკით ყველაზე პატარა. სიზარმაცე და-ევინებინა, ბეჯითად მუშაობდა. ამასთან, ზურგზე აკვარიუმი ედგა. აკვარიუმში კი ვეშაპუნა ცხოვრობდა. ჩვენი იუნგა სულ იმის შიშში იყო, ეს აკვარიუმი ზღვაში არ გადამივარდეს და ვეშაპუნა არ დაგვეხრჩოსო.

მომღერალ ბატს, აპა, ვინ დაასახებდა? მოვალეობა არაფერი ჰქონდა. დინჯად, დარბაისლურად დასეირნობდა და ყველაფერზე იძახდა „ვახ, ვახო“. ხანდახან მოაჯირს შეახტებოდა და ხმას ინმენდდა: „ჰემ... ვაახ... ვაახე!..“

კარგი დარი იდგა. ცაზე ლრუბლის ერთი ქულაც არ ჩანდა და მამაცმა კაპიტანმა ბრძანა:

— ამოილეთ ღუზა!

ქინძისთავი, ანუ ღუზა, გობის სახელურზე იყო მიმაგრებული.

— წინ!

დიდმა ატომმა ერთი-ორჯერ ცხვირი დააცემინა. ეს რა შესანიშნავი სურდო შემეყარაო! — წამოიძახა, გავარვარდა და გემი გობის კიდისაკენ გააქანა. გემი თავბრუდამხვევი სისწრაფით გადაჰყვა ჩანჩქერს. მერე კარგა ხანს იცურავეს ჭორომებით სავსე ნაკადულზე, ეზოს რომ კვეთდა, გაძვრნენ მესერში და გზის გასწრივ თხრილს მიჰყვნენ. გზადაგზა მამაც მოგზაურებს ბავშვები ურიამულით ესალმებოდნენ.

ნაკადული მალე მდინარეს შეუერთდა. ორი დღის შემდეგ მეგობრებმა გაშლილი ზღვა დაინახეს...

### ვათერაპიმეოთხე

დინ-დან-დონი, მსოფლიოში სახელგანთქმული დელფინი, დიდი მამაცი ვინჩე იყო. უყვარდა შორეული, ფათერაკებით ალსავსე მოგზაურობანი. თვეობით გადაიკარგებოდა ხოლმე. მერე მოულოდნელად დაბრუნდებოდა და ყვებოდა საოცარ ამბებს ახალ ქვეყნებზე, ზღვებსა და ოკეანეებზე, ზღვის საშინელ უფსკრულებზე. წყალქვეშ ჩაძირულ ქალაქებსა და ძვირფასეულობებით დატვირთულ ხომალდებზე, არსებებზე, ადამიანები რომ ჰქვიათ, ხელეთზე ცხოვრობენ და ზღვების გადასალახავად მთელ სასახლეებს აშენებენ.

დინ-დან-დონი აკვარიუმის ვეშაპუნას ბიძაშვილად ერგებოდა. დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთი არ ენახათ.

— ჰეი, ვეშაპუნა, ჩამოდი ზღვაში! — ამოსძახა კუდზე დაყრდნობილმა დინ-დან-დონმა.

აკვარიუმი ხომ ჩვენი დარბაისელი იუნგას, სპილო გოგიტას ზურგზე იდგა და დინ-დან-დონი ბიძაშვილს კარგად ხედავდა.

— ჰეი, დინ-დან-დონ, ბედნიერი ვარ, რომ გნახე, მაგრამ ექიმმა ზღვაში ჩასვლა ამიკრძალა! — შეეპასუხა გახარებული ვეშაპუნა და კუდი დაპკრა. აკვარიუმში წყალი ისე აღელდა, სპილო გოგიტას ერთი ცისტერნა წყალი თავზე გადაესხა.

— ჰე-ჰე, ცოტა ფრთხილად, ძმობილო! — დაუყვირა სპილო გოგიტამ. — ბოლო-ბოლო, ოც ტრნას მაინც იწონი!

დინ-დან-დონმა და ვეშაპუნამ მოიკითხეს ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები. ვეშაპუნას აინტერესებდა ზღვებისა და ოკეანეებ-

ის ამბები, ანტარქტიდისა და არქტიკის წყლებში ბევრი თუ არისო პლანეტის, ვეშაპთა ხელმწიფე ხომ ჯანმრთელად გვყავს, ჩემს არყოფნაში ზვიგენებთან ომი ხომ არ გადაგიხდიათ...

— ზვიგენები დიდ ომს გვპირდებიან, — აცნობა დინ-დან-დონმა, — ზვიგენთა მეფე დიდთავას უბრძანებია, დელფინებს ჭკუა უნდა ვასწავლოო!

ციცქა გოგო ყურს უგდებდა მეგობრებს, თან ჭოგრით გარემოს უთვალთვალებდა.

უცებ ლურჯ პორიზონტზე რაღაც გამოჩნდა.

— აფ, აფ, ეს რა მოჩანს?! — აღელდა ცუგა. იგი გროტ-მაჩტის თავზე ამძვრალიყო და ცის კიდეს გაჰყურებდა.

ციცქა გოგო თვალს არ უჯერებდა. იქ, სადაც ცა და ზღვა ერთდებოდა, სივრცე უთვალავ ფარფლს დაეფარა.

— ზვიგენები! — ერთხმად დაიღრიალა ცხრა პირით ცხრათავიანმა დევმა. მას ხომ თვრამეტი თვალი აქვს და თვრამეტჯერ უკეთ ხედავს.

ციცქა გოგოს გულს შიშიარ გაჰყარებია. კაპიტნის ქუდი გაისწორა (შიგ კიკინები დამალა) და ხის ვერცხლისფრად შეღებილ ხმალს ხელი ზვიადად დაადლ.

— მეგობრებო, დიდი ომი მოგველის და მზად იყავით!

— მიაუ, რა შეჭამს ამდენ თავს? — დაიჩხავლა ქალბატონმა ციცამ და სამარილე კასრის უკან დაიმალა.

— ბრძოლის ყიუინა ხმას გამიფუჭებს, — განაცხადა მომლერალმა ბატმა, — თანაც კისერი წვრილი მაქვს, ადვილად წამანყვეტენ. კაიუტაში ჩავალ და მტრის შესაშინებლად ხანდახან ნისკარტს ამოყყოფ!

— ჰოჰოჰო, რა ბრძოლა მოგველის! — ხელები მოიფშვნიტა ლილ-იპუტმა დევმა, თან ზვიგენის კბილი არ მომწვდესო, ანძაზე აძვრა.

— მეც ბრძოლაში გადავეშვებოდი, მაგრამ რა გიყო, — უთხრა კეთილშობილმა სპილო გოგიტამ ვეშაპუნას, — აკვარიუმი ძირს როგორ დავდგა, ვათუ წყალში გადამივარდე და დაიხრჩო!

ამასობაში ზვიგენთა ლაშქარი მოახლოვდა. წინ დიდთავა მოუძღვდა. მის ზურგზე ჯადოქარი ფეფიკო მოკალათებულიყო. თურმე მეომარ რწყილს თავი რომ დაალწია, წყალში ჩავარდა და ერთიანად ამოილუმჰა, თან ცოცხეც დაუსველდა. სველი ცოცხით ფრენა კი შეუძლებელია. რა უნდა ექნა? მოუსვა მკლავები და გა-

მოსცურა. ამერიკის ნაპირთან რომ მოცურავდა, დიდთავას შეეჩეხა და ციცქა გოგოსთან საომრად წააქეზა. ჰოლა, გახარებული ჯა-დოქარი ფეფიკო ახლა დიდთავას ზურგზე ყირას გადადიოდა, ზვი-გენის ფარფლზე ცოცხის ტარს ლესავდა, თან კი „ეპეპე!“ — გა-ჰკიოდა.

— ჰეი, კაპიტანო! — ამოსძახა ციცქა გოგოს დიდთავამ. — ჯერ ის ვეშაპი გადმომიგდე, მერე რიგრიგობით შენი მეგობრები, ბო-ლოს კი შენც გადაგსანსლავ!

— ჯერ ციცქა გოგო შევჭამოთ, დანარჩენები მერე! — ტარ-გალესილ ცოცხს იქნევდა ჯადოქარი ფეფიკო.

— ყველანი შევსანსლოთ, ყველანი! — გაიძახოდნენ დანარჩენი ზვიგენებიც.

ციცქა გოგომ ხმალი ხელში შეათამაშა. მზის სხივზე ხმლის პირ-მა ისე იელვა, მტერს თვალი დაუბნელა.

— გაბედეთ და მოდით, ისე მაქვს ხმალი ალესილი, რკინას კარა-ქივითა ჭრის! — უშიშრად შეეპასუხა ციცქა გოგო.

— აბა, ჩემო მეომრებო, არ შემარცხვინოთ! — გოროზად ბრძა-ნა დიდთავამ და ზვიგენთა არმია გემს მიესია.

ამ დროს წყლიდან დინ-დან-დონი ამოვარდა, ზედაპირზე კუ-დით დაერჭო და დასჭექა:

— ოლოლო, მედგრად იყავით, ჩენც აქა ვართ!  
დინ-დან-დონს დელფინების არმიისათვის მოეხმო.

ზვიგენები და დელფინები თავდაუზოგავად ეკვეთნენ ერთმა-ნეთს. ზღვა ისე დუღდა, გეგონება ვილაცამ ცეცხლი შეუწიოო.

ციცქა გოგომ კაპიტნის ხიდურთან ზარბაზანი დადგა და მტერს ბლის კურკები დაუშინა. ერთიც იყო და ჯადოქარ ფეფიკოს ბლის კურკა პირდაპირ თვალში მოხვდა. სიბრაზისაგან გადაირია, კბილები დააღრჭიალა, გებაზზე ამოსვლა მოინდომა, მაგრამ ციც-ქა გოგოს ვერცხლისფერი ხმლისა დიახაც რომ შეეშინდა.

— ჰეი, დინ-დან-დონ! — გასძახა ციცქა გოგომ დელფინს. — მოდი, გამაჭენე!

დინ-დან-დონი მოცურდა, ზურგი შეუშვირა. ციცქა გოგო ზედ ამხედრდა და ასე შეიჭრა ზვიგენთა რიგებში. ვისაც ციცქა გოგ-ოს ხმალი მისწვდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. აირია მტრის რიგები. ციცქა გოგოს ხმლის ელვარება თავგზას უბნევდა ზვი-გენებს.

ამ დროს, როგორც ვთქვით, ლილიპუტი დევი ანძაზე ეკიდა და ცხრავე პირით ისე ღრიალებდა, ყურთასმენა წაიღო, ამიტომ მომ-ღერალი ბატი განაწყენდა. მისი „ვაახ!“ თითქმის არავის ესმოდა. აკვარიუმის ვეშაპუნამ მთლად დაკარგა მოთმინება, წყალში კუდს ატყლაშუნებდა და დარბაისელი სპილო გოგიტა რამდენჯერმე გაწუნა. კატა ისე გათამამდა, ნეკათითის ოდენა ზვიგენი დაითრია და იმას ებრძოდა. მამაცთა შორის უმამაცესი გახლდათ ჩვენი პან-ია ცუგა. რა ვუყოთ, რომ ცეროდენა იყო და ასანთის კოლოფში იძინებდა. მისი ყეფა ვერ ფარავდა საბრძოლო ყიუინას, სამაგი-ეროდ ბრძოლის დაწყებისთანავე ერთი ამბავი ატეხა, დაცუნცუ-ლებდა გემბაზზე, ყველაფერს სუნავდა და კბილებს „ლრრრ!“ — აღრჭიალებდა, მაგრამ ომის სასწორი ამით ვერა და ვერ გადაწო-ნა. განსაკუთრებით დიდთავაზე ბრაზობდა. ზვიგენთა ხელმწიფე გარს უვლიდა გემს და მეგობრების გულის გასახეოქად ყვიროდა, კიდევ ათ დელფინს უპეები ამოვულურჯე, მალე თქვენი ჯერიც დადგებათ. „აფ, აფ!“ — პასუხობდა ცუგა, დიდთავას კი მისი ყეფა სასაცილოდაც არ ყოფნიდა.

არც ჯადოქარი ფეფიკო ისვენებდა. წინ და უკან დარბოდა დიდ-თავას ზურგზე, ცოცხს ურტყამდა მამაც დელფინებს, თან საშინ-ლად ილანძლებოდა.

ბოლოს და ბოლოს პანია ცუგამ ველარ მოითმინა, სკუპ და გემ-ბანიდან პირდაპირ ზვიგენთა ხელმწიფეს დახტა თავზე. მას კი ტყუილად როდი ერქვა დიდთავა. მის თავზე საშუალო ზომის აერო-დრომი დაეტეოდა.

ცუგას ეს თავდასხმა დიდთავას არ შეუმჩნევია, რაც ფრიად საწყენი იყო მამაცი მეომრისათვის. თანაც დიდთავას თავზე ცუგა ერთ საშინელ არსებას შეეფეთა და შეცდუნებულმა უნებლიერ უკან-უკან დაიხია. იმ არსებამაც უკან დაიხია.

— რანაირი კიბორჩხალა ხარ, ოთხფეხა და გაუპარსავი? — ჰკითხა უცნობმა არსებამ.

— შენ თვითონ რანაირი ცუგა ხარ, არითმეტიკის მცოდნებულ-დოგიც ვერ დაგითვლის ფეხებს! — შეეპასუხა ცუგა.

— მე ცუგა კი არა, კიბორჩხალა ვარ!

— აქ რას აკეთებ?

— ვცხოვრობ! დედაჩემმა ეს გემი მაჩუქა, იმოგზაურე და სარ-ჩო იშოვეო.

— ეს გემი კი არა, ზვიგენია!

— არ ვიცი, ზვიგენი რას ჰქვია, ეს ჩემი გემია და საითაც მინდა, იქით მივცურავ! — განაცხადა სულელმა კიბორჩხალამ.

— აი, ის დედაბერი მეკობრეა და წაგართმევს, — თვალით უჩვენა ცუგამ, — მიდი, ფეხის გულზე შეულიტინე და გაიქცევა.

ჯადოქარი ფეფიკო ამ დროს ისე იყო ბრძოლაში გართული, არც ცუგა დაუნახავს, არც კიბორჩხალა.

კიბორჩხალამ კი იარა, იარა... საათში ერთ მეტრს გადიოდა უკანუკან ჩოჩვით. ასე მიაღწია ჯადოქარ ფეფიკომდე და ზედ ფეხის გულზე თავისი მარწუხებით ჩაფრინდა.

— ვაი, ვაი! — შეკუნტრუშდა ჯადოქარი ფეფიკო და წყალში ტყაპანი მოადინა.

ამასობაში მამაცი ცუგა წინ გაცუნცულდა და უძირო უფსკრულის პირას შეჩერდა. უფსკრული სულ თეთრი ხმლებით იყო სავსე. ეს ზვიგენის პირი გახლდათ. ცუგა საშინელ დღეში ჩავარდებოდა, ზვიგენს რომ თავის შუბლზე მოხეტიალე მტერი შეემჩნია, მაგრამ დიდთავა დელფინებთან ჩხუბით იყო გართული.

უცბად წყლიდან დინ-დან-დონი ამოხტა და დიდთავას წინ კუდზე წამოიმართა. ზედ ციცქანა გოგო იჯდა და ხმალი შეემართა.

დამაცადე, დინ-დან-დონ, დამაცადე ციცქანა გოგო! — წაისინა გააფთრებულმა დიდთავამ. — თქვენ მაინც დაგამტვრევთ ცხვირ-პირს!

ეს რომ თქვა, ენა ზომაზე მეტად გამოყო. ცუგასაც ეს უნდოდა, უმალვე ჩაფრინდა ენის წვერზე.

— ვაიმე, დედიკო! — დაიღრიალა დიდთავამ და სიმწრისაგან მუშტისტოლა ცრემლები გადმოყარა.

ციცქანა გოგომ მოუქნია და ხმალი ესროლა. ხის ვერცხლისფერი ხმალი დიდთავას ხახაში გაეჩირა და ზვიგენთა მეფემ პირი ვერ დამუნა. ამასობაში არც დინ-დან-დონი დაბნეულა. ელვის უსწრაფესად მივარდა და გვერდებში მუჯლუგუნი ჩააზილა. მას შემდეგ დიდთავას კარგა ხანს ტკიოდა ნეკები. მეფე გაგვილახესო, იხუვლეს ზვიგენებმა და უნესრიგოდ მიმოიფანტნენ. დელფინები კი უკან გამოუდგნენ და სულ კუდით ქვა ასროლინეს.

## ზათერაპიმებთა

დიადმა გამარჯვებამ დიდად გაახარა მეგობრები. ერთხმად დაასკვნეს, რომ მათი ბელადი — ციცქანა გოგო ნამდვილი ზღვის მგელია და საჩუქრად ხის ახალი ხმალი მიართვეს. ციცქანა გოგომ მეგობრებს გმირობა შეუქო და მომლერალ ბატს სთხოვა, გამარჯვების ალსანიშნავად შენი სიმღერებით დაგვატყებეო. მომლერალმა ბატმა ჯერ იუარა: „არც მიკროფონია, გენაცვალეთ, არც პროფესიონერები. ასე შეიძლება რეპუტაცია გამიფუჭდეს!“ მერე, როგორც იქნა, დაითანხმეს. ბატმა შეასრულა სახელდახელოდ შეთხეზული საკუთარი ორატორია, რომელიც იწყებოდა ფრიად ამაღლებული ბწყარებით: „ვაახ, რა ომი გადავიხადეთ! ვაახ, გაოცებისა და აღტაცების ღირსია ქათქათა ბატის გმირობა... ვაახ, ვაახ!..“

ასეთ ამბავში რომ იყვნენ, უცბად კაიუტიდან გემბანზე წყლით განუწლო დიდი ატომი ამოხტა. „თავს უშველეთ!“ — იყვირა და ციცქანა გოგოს ჯიბეში დურთა თავი.

თურმე ნუ იტყვით! გაცხარებული ბრძოლის დროს ზვიგენებმა გემს ფსკერი შეუფხრინეს და კაიუტებსა და ტრიუმებში წყალი თავისუფლად დათარეშობდა.

ეკიპაჟი საფრთხის წინაშე დადგა, მაგრამ ციცქანა გოგოს თავგზა არ აბნევია, მის გულს შიშიარ გაჰკარებია. გამოსავალი უმაღვე იპოვა. ბრძანა, აკვარიუმის ვეშაპუნა ზღვაში ჩასვითო.

— არ შემიძლია!.. გავცივდები!.. ცურვა დამავიწყდა და დავიხრიბი!.. — ატირდა ვეშაპუნა, ცრემლებით მთელი გემბანი მორწყო, ისე ცახცახებდა, სპილო გოგიტას მუხლები ეკეცებოდა.

რამდენი ეხვენენ, წყალში ჩადი, ჩვენ შენს ზურგზე მოვკალათ-დებით და ნაპირზე გავალთო, აკვარიუმიდან მაინც ვერ ამოიტყეს.

— წყალი ცივია, კუდი მომძვრება!.. — ზლუქუნებდა ვეშაპუნა.

ბოლოს მომლერალმა ბატმა თავი აკვარიუმში ჩაყო და ნისკარტით შეულიტინა. ვეშაპებს ძალიან ეშინიათ ლიტინისა. თუ არ გჯერათ, თვითონ სინჯეთ. ანტარქტიდასთან რომ ჩაივლით, პირველსავე შემხვედრ ვეშაპს შეულიტინეთ და დაინახავთ როგორ გადაფიჩინდება სიცილისაგან. ჰოდა, ჩვენი ვეშაპუნაც სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა. სულ „აჟ“ და „ოჟ“ იძახა და სიცილ-სიცილ აკვარიუმი-

ანად, კეთილი სპილოს ზურგიდან გადმოვარდა. „ბრახ!“ — აკვარიუმი დაიმსხვრა და ნამსხვრევები ზღვის ფსკერმა მიიბარა.

— ვაიმე, რა ცივია! — ჭყივილი მორთო ვეშაპუნამ და ქვასავით ჩაიძირა. დიდი შიში ჭამა საბრალომ. პირი რომ გაალო, წყლით აევსო, „ყლუპო“ და ბარე ორ აუზს აავსებდა, იმდენი წყალი გადაყლაპა.

— კუდი გააქნიე, კუდი! — გადმოსძახა ზევიდან ციცქნა გოგომ.

ვეშაპუნამ კუდი გააქნია და ზედაპირზე ამოცურდა, თან ისეთი შალრევანი ამოუშვა, მეგობრები ერთიანად განუწა.

ამასობაში გემი მთლად დაიშალა და წყლის ზედაპირზე გაზეთების ნაფხრენები მიმოიფანტა, გემი ხომ ძველი გაზეთებისაგან იყო აგებული.

ვეშაპუნამ ფართო ზურგი შეუშვირა მეგობრებს და სწრაფად გასცურა აფრიკის ნაპირებისაკენ, საითაც ჯადოქარი ფეფიკო მიიმალა.

### აფ-აფ-აფრიკა!

ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა, ბოლოს გამოჩნდა აფრიკა.

— აფ-აფ-რიკ-აფ! — მხირულად აყელდა ცუგა.  
— აფრიკა, ვაშა! — წამოიძახა ციცქნა გოგომ.  
— ვაშა! — ხმა ააყოლეს დანარჩენებმა.

ყველაზე უნინ ჟირაფის თავს მოჰკრეს თვალი. აბა, რა იქნებოდა! ჟირაფის იმ სიგრძე კისერი აქვს, ქვეყნიერების კიდიდანაც შეგიძლიათ დაინახოთ... ჟირაფმაც სხვებზე ადრე შეამჩნია მოგზაურები. თავდაპირველად მეგობრები ეგონა და ისეთი ყვირილი ატეხა, მთელი აფრიკა შეჰყარა. ხმაურზე ბაობაბის ტოტზე კუდით ჩამოკონიალებულ მაიმუნს გაეღვიძა და გადმოსძახა:

— შე სულელო ჟირაფო, ესენი ხომ მსოფლიოში სახელგანთქმული ციცქნა გოგო და მისი მეგობრებია!

— აბა, რა ვიცოდი? — დაიმორცხვა ჟირაფმა.  
— რადიოსათვის უნდა მოგესმინა! — გაიძლინდა მაიმუნი.

თურმე ზვიგენებზე მეგობრების გამარჯვების ამბავი დელფინებმა მსოფლიოს მოჰკრეს.

როგორც ვთქვით, ჩვენი სპილო გოგიტა ზოოპარკში დაიბადა და პირველ კლასშიც იქ დადიოდა. აფრიკა აქამდე მხოლოდ ტელევიზიონში ენახა. ახლა, მოჰკრა თვალი თუ არა, ცრემლები გადმო-

ყარა და ყველას გული აუჩვილა. გოგიტას ცრემლებს ვეშაპუნას შადრევნები დაემატა და მეგობრები მთლად დასველდნენ. თქვენი ციით, რომ აფრიკაში ძალიან ცხელა. ვინც გაინუწება, შეკუნტკუშებასაც ვერ მოასწრებს და უკვე მშრალია. ამიტომაც მოგზაურებს ისეთი ოხშივარი ასდიოდათ, თავზევით მალე ღრუბელი დადგა. ამას კიდევ ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა მოჰკრება, წვიმას კი შვიდფერი ცისარტყელა.

აფრიკელები სტუმართმოყვარენი არიან და მოგზაურებს შესანიშნავი შეცვედრა მოუწყეს. ნაპირზე ჩამომწკრივდნენ სპილოები, ჟირაფები, ზებრები, მარტორქები, ქურციკები, ბეჰემოთები, ნიანგები და ათასი სხვა უცნობ-ნაცნობი ცხოველი. ყველანი გულითადად ესალმებოდნენ უცხო ქვეყნიდან ჩამოსულებს. სპილოებმა ხორუმები ასწიეს და ისე დაჰკრეს ბუკა და ნალარას, ბინგო-ბონგოს ქვეყნის დედაქალაქ ბინგო-ბონგოში მეფე ბინგო-ბონგოს გამოელვიდა. ოპო! ეს არცთუ ისე პატარა ამბავი იყო, როგორც ერთი დანახვით შეიძლება მოგეჩვენოთ. მეფე ბინგო-ბონგო მსუყე სადილის შემდეგ თორმეტ საათს მაინც იძინებდა და ამ დროს მის სამეფოში თაგვი რომ თაგვია, ისიც ვერ დაინრუნებდა.

მეფე ბინგო-ბონგოს ვინაობა ბევრმა იქნებ არც იცოდეს. სიყმანვილეში მას ყველა „გაქუცულ ტურიკელას“ ეძახდა, მერე ბებერი მეფე ლომის კარისკაცი გახდა, რადგან პირმოთნეობის ოსტატი იყო. მეფე ლომის სიკვდილის შემდეგ ტურიკელამ პატრონს ტყავი გააძრო, თვითონ გადაიცვა და იმ დღიდან ყველას ლომი ეგონა. ამიტომაც, თუმცა სამეფოს მთელი არმია ლომებისაგან შედგებოდა, მხედართმთავრებად სულ გაქუცული ტურები ეყენა. მეფე ბინგო-ბონგოს ძალიან ეშინოდა ლომების შეთქმულებისა და ლომებს აიძულებდა ბალახი ეძოვათ, თუმცა ამ ქვეყანაში იმდენი ხორცი იყო, თხებიც კუპატს მიირთმევდნენ.

ახლაც, გამოელვიდა თუ არა, მრისხანე მეფე ბინგო-ბონგომ იფიქრა, ალბათ ლომები მიწყობენ შეთქმულებასო და ოცდაათი დიდგვაროვანი ლომი გააშოლტვინა. ეგზეკუციას ცხადია ტურათმსაჯული მეთაურობდა. ამ ამბავში იყვნენ, როდესაც მეფე ბინგო-ბონგოს ტახტაზე ჯადოქარი ფეფიკო გამოჩნდა.

— ქვეყნის მპყრობელო, შენს ვრცელ სამეფოში ციცქნა გოგო შემოიჭრა თავისი მეგობრებითურთ!

გაპრაზდა მეფე ბინგო-ბონგო, მხედართმთავრებს მოუხმო და უბრძანა, ახლავე ხელფეხგაკოჭილი ციცქნა გოგო მომგვარეთ და ჩემი ტახტის წინ დააჩიქეთო.

შეფიქრიანდნენ მხედართმთავრები, მათაც გაეგოთ ციცქნა გოგოს გამარჯვების ამბავი. მართალია, მეფე ბინგო-ბონგოს მსგავსად, ლომის ტყავები ეცვათ, მაგრამ სინამდვილეში მხდალი ტურები იყვნენ. ბრძანებას მაინც ვერ გადავიდოდნენ და მთელი ჯარი ფეხზე დააყენეს.

ციცქნა გოგო და მისი მეგობრები ნაპირზე გადმოსხდნენ. ზორპარკის სპილომ თავისი ნათესავები იმდენი კოცნა, ხორთუმის წვერი ნახევარი სანტიმეტრით დაუმოკლდა. კატა ციცა მაიმუნს ხეზე გასვლაში გაეჯიბრა. ცუგა ბეჰემოტს ღონეს უსინჯავდა, ჩემოდენა თუ შეგიძლია. ბატი უირაფს ემუსაიფებოდა, თქვენ ალბათ ჩემი გვარისა ხართ, თუმცა ჩემი ყელი უფრო ყარყარაა. ცხრათავიანი დევი მეჩეჩზე იჯდა და ერთბაშად ცხრა სხვადასხვა ცხოველს ესაუბრებოდა, რის გამოც ყურთასმენა აღარ იყო. ვეშაპუნა ნიანგებს ეკამათებოდა, თქვენ სიცხიან მხარეს ჩემიანტარქტიდა მირჩევნიაო...

ციცქნა გოგომ ზანგის ბიჭი უნკუ გაიცნო. ბიჭის ნამდვილი სახელი უნკულულუ იყო, მაგრამ დედიკო მოფერებით უნკუს ეძახდა. იგი იქვე ნაპირზე ცხოვრობდა, დავრდომილ პაპას უვლიდა და ტყის ბინადრებთანაც მეგობრობდა, ამიტომ მეფის ტურებს დასანახად ეჯავრებოდათ. რასაც უნკუ იშვიიდა, ყველაფერი მეფე ბინგო-ბონგოს კარისკაცებს მიჰქონდათ. ახლა უნკუს სტუმრების გასამასპინძლებლად ქოქოსის ერთი კავალილა დარჩენოდა. ყოველ სტუმარს თითო სათითო ქოქოსის რძე შეხვდა და მაინც ყველანი კმაყოფილნი დარჩენენ.

— ცოტა ხნის წინათ აქ ერთი დედაბერი ამოცურდა! — უთხრა უნკუმ ციცქნა გოგოს.

— ხელში ცოცხი თუ ეჭირა, ჯადოქარი ფეფიკო იქნება! — მიხვდა ციცქნა გოგო.

— ჰო, მეფე ბინგო-ბონგოს სასახლისაკენ წავიდა! — დაბეჯითებით თქვა უნკუმ.

მცირე თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს გზის გაგრძელება. მეგზურობა უნკუმ იკისრა. როგორც ცნობილია, ვეშაპუნას ხმელეთზე სიარული უმძიმს. მეგობრებმა მოჭრეს მაღალი ბამბუკები, გაა-

კეთეს უზარმაზარი საკაცე და ზედ ვეშაპუნა დააწვინეს. საკაცის ერთი ბოლო სპილო გოგიტას ეჭირა, მეორე კი ცუგას....

ასე შევიდნენ მეგობრები აფრიკის უღრან ჯუნგლებში...

## ზათერაპიმეევსე

ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ ფართო ველზე გავიდნენ და რანახეს! მთელი მინდორი მპრდლვინავი ლომებითაა სავსე. შემალლებულზე კი ოქროს კარავი დგას. კარვის წინ სამეფო ტახტზე ბინგო-ბონგო ნამოჭიმულა. გვერდით ჯადოქარი ფეფიკო ამოსდგომია.

— ამდენი ლომის კბილს ვინ გადაურჩება? — შენუხდა ზანგი ბიჭი უნკუ.

— გულს წუ გაიტეხ, მოვიფიქრებოთ რამეს! — ციცქნა გოგომ ხმალი შეათამაშა.

ორმოცდაათი ათასი ლომი ორმოცდაათი ტურის სარდლობით საომრად დაეწყო.

ციცქნა გოგომ თადარიგი დაიჭირა. გადაწყვიტა თვითონ ცენტრში შეეტია. მისი მთავარი თანაშემწის ცუგას მრისხანე ყეფა უძალგულვანეს ლომსაც კი დაზაფრავდა. ზორპარკის სპილო თავის ნათესავებს სარდლობდა და მარჯვენა ფრთა დაიკავა. ცხრათავიანი დევი ცხრა სხვადასხვა ტყის ბინადართ მეთაურობდა და მისი პოლკები მარცხენა ფრთაზე განლაგდა.

აკვარიუმის ვეშაპუნა ხმელეთზე აბა რას გააწყობდა! მას ხომ საასპარეზოდ წყალი სჭირდებოდა. თურმე ერთ ადგილას ბეღურა დამჯდარიყო, მის ნაფეხურზე წვიმის წყალი ჩაგუბდა. ჩვენი ვეშაპუნა იმ გუბეში ჩასვეს და დარაჯად მომლერალი ბატი მიუჩინეს.

კატა ციცას მტრის ჯარების დაზვერვა დაავალეს. ხეზე აცოცდა და იქიდან გადახედა ბრძოლის ველს.

— ერიჲა! — ჩაიკნავლა კატა ციცამ. — აქ ხერხი ჯონესა!

კარგად დააკვირდა და ტახტზე ზვიადად მჯდარი მეფე ბინგო-ბონგოს ფეხებს შორის ტურის გაქუცული კუდი შენიშნა.

— ერიჲა! — კატა ციცას თავში თითქოს ნაპერწკალმა გაიელვა. იგი ყველაფერს მიხვდა და ციცქნა გოგოს გადმოსძახა: — ჩემო კაპიტანო, ნება მომეცი მტერს შევუტიო! ისე ვეკვეთები, თავბედს ვაწყევლინებ მეფე ბინგო-ბონგოს!

ესა თქვა და წინ გაიჭრა. ლომების არმიას გადაუდგა, რიხით  
შესჩავლა:

— გამარჯობათ, ნათესავნო!

— რომელი ჩვენი ნათესავი ხარ, მიწას არ აჩინიხარ! — დაცინვით  
მიუგო ერთმა ლომმა.

— სახელოვანი კატა ციცა გახლავარ! ჩვენ, კატები, უმამაცეს-  
ნი ვართ ქვეყნიერების ზურგზე!

— უყურე მაგ ბაქიას! — აღშფოთდნენ ლომები. — თუ ეგეთი  
ძლიერი ხარ, მოდი და შეგვებრძოლე!

— თქვენზე ხელს როგორ გავისვრი, — დოინჯი შემოიყარა კატა  
ციცამ, — თუ ვაჟკაცია, თვით მეფე ბინგო-ბონგო გამობრძანდეს!

მეფე ბინგო-ბონგომ კატა ციცას ტრაპახი რომ გაიგონა, გამდ-  
ვინვარდა, იმ უბედულს ახლოს რომ ვეჩვენო, გული გაუსკდებაო.

ამაყად გამობრძანდა მეფე ბინგო-ბონგო ჯარების წინ. მართ-  
ლაც შესაზარი სანახავი იყო. დალრენილი ლომის ტყავი ოსტატ-  
ურად გადაეცვა, ნამდვილი ლომისაგან ვერ გაარჩევდით.

გაიფხორა კატა ციცა. ზურგი აიზიქა, ბრჭყალები გამოაჩინა  
და ისე შესჩავლა, ბინგო-ბონგო წამით შეკრთა. დრო იხელთა კატა  
ციცამ, შეჰკრა კამარა, ბინგო-ბონგოს ზურგზე მოახტა და ლო-  
მის ტყავი გადააძრო. ლომის თავიდან წუნკი ტურას დრუნჩი გა-  
მოჩნდა.

— ლომები, აი, ვინ არის თქვენი მეფე!

ბინგო-ბონგომ კუდი აიწურა და წკავნკავით მოუსვა ბრძოლის  
ველიდან. წამში აირია მთელი ლაშქარი. ახლადა მიხვდნენ ლომე-  
ბი, ვისაც ემორჩილებოდნენ. დაესივნენ თავიანთ მხედართმთა-  
ვრებს, ლომის ტყავები გადააძვრეს და აკი მხდალი ტურები შერ-  
ჩათ ხელში. სირცევილნაჭამმა ლომებმა ცემა-ტყეპით გაყარეს  
თავიანთი ბატონები.

იმავე საღამოს ლომთა უხუცესებმა ერთი ჭალარა ლომი ციცქ-  
ნა გოგოსთან გააგზავნეს, შენ და შენმა მეგობრებმა ხომ გაგვათა-  
ვისუფლეთ და მმართველიც თქვენვე დაგვინიშნეთო. კატა ციცას  
წინადადებით ბინგო-ბონგოს ქვეყნის მმართველად ზანგის ბიჭი  
უნკულულუ აირჩიეს...

## ვათერაკი მეშვიდე

ყვავების ქვეყანა ისეთი ბნელია, მზესაც კი ეშინია იქ შემოხე-  
ტება, ვაითუ გზა ამებნესო. ბნელი კი იმიტომაა, უთვალავი ყვავი  
რომ აფრინდება, შავი ფრთებისაგან ცა იფარება. ამ მხარეში იმ  
დროს ორასი წლის ყვავი ყვანჩალა ბატონობდა. დამარცხებულმა  
მეფე ბინგო-ბონგომ და ჯადოქარმა ფეფიკომ ყვავების ქვეყანას  
მიაშურეს, რათა დასმარება ეთხოვათ ციცქნა გოგოს წინააღმდეგ  
ბრძოლაში.

ბებერი ყვანჩალა კილიმანჯაროს მაღალ მთაზე იჯდა და ნაყინს  
შეექცეოდა. აკი გითხარით, აფრიკაში ძალიან ცხელა-მეოქი. კილ-  
იმანჯარო კი ისეთი მაღალი მთაა, ზედ მუდამ თოვლი დევს. ყვან-  
ჩალას ნაყინი რომ მოუნდება, ყვავების ქვეყნიდან სად უნდა გაფ-  
რინდეს, თუ არა კილიმანჯაროზე. იქ იმდენი ნაყინია, მსოფლიოს  
ყველა ყვავს ეყოფა.

მეფე ბინგო-ბონგომ და ჯადოქარმა ფეფიკომ მიაღწიეს მთის  
ძირს. სირბილისაგან არაქათგამოცლილი დადგნენ ქვევით და  
ატეხეს წივილ-კივილი, ბებერ ყვანჩალას გავაგებინებო. ყვავი  
ყვანჩალა ცოტა ყურნაკლული იყო. ხმები გაიგონა, მაგრამ ვერ  
გაარჩია, ვინ ეძახდა და რას თხოვდნენ.

ამასობაში ციცქნა გოგომ და მისმა მეგობრებმა მოაღწიეს.

— ყვავმა ყვანჩალამ უთვალავი ყვავი თუ დაგვასია, გაგვიძ-  
ნელდება მათი დამარცხება!

— თუ არა ჩემი ბატური სიმამაცე, სხვა ვერაფერი გვიშველის!

— განაცხადა მომღერალმა ბატმა.

თუმცა საბატეთში უჩვეულო ნიჭიერებით გამოირჩეოდა, მაგ-  
რამ მომღერალი ბატი მაინც ეზოს ბატი იყო. ყველა სხვა სიკეთე-  
სთან ერთად, მშვენიერი მადითაც ჯობნიდა სხვებს და ამან ბოლო  
დროს ერთობ დაამძიმა. ძალიან კარგად ცურავდა, მაგრამ ფრენა  
უჭირდა. ახლა სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, მეგობრების თვალში  
არ უნდოდა სასაცილო გამხდარიყო და რის ვაი-ვაგლახით ააღწია  
კილიმანჯაროზე.

— ყი-ყი-ყი, გამარჯობა ხელმწიფეო! — ქოშინით მიესალმა ბე-  
ბერ ყვანჩალას.

ყვავი ყვანჩალა სახლისოდენა ნაყინს მისჯდომოდა და შეექცეოდა. სიამოვნებას მომწყვიტესო და აბუზლუნდა:

— ვინა ხარ და როგორ გაბედე ჩემი შეწუხება?

— თეთრი ყვავი გახლავარ, — იცრუა ბატმა, — მეფე ბინგო-ბონგომ გამომაგზავნა, ჯადოქარი ფეფიკო სწვევია სტუმრად და ცოტა ნაყინი გადმოგვიგოროსო!

— რაღაც სულ სხვანაირად ყიყინებ! — შეეჭვდა ბებერი ყვავი. — იქნებ ყვავი ხარ, მაგრამ გეტყობა ბატებთან გაზრდილხარ, ხმაც და ფერიც გიცვლია! ჩემი ძმადნაფიცის გამოგზავნილი რომარიყო, შენს თავს გავაპუტვინებდი!

მამაცი ბატი შიშისაგან მთლად დაპატარავდა.

ყვავმა ყვანჩალამ კი წიხლი ჰკრა ნაყინის გუნდას და დაგორა. ნაყინი გზა-გზა უფრო და უფრო გაიზარდა, გაიბერა, გრიალ-გრიალით ჩამოეშვა ფერდობზე. მეფე ბინგო-ბონგო და ჯადოქარი ფეფიკო გაქცევას შეეცადნენ, მაგრამ ნაყინის ზვავი წამოენია, გაიტაცა და იმდენი აგორავა, სანამ წითელ ზღვაში გადაისროდა. წითელ ზღვაში კი წყალი ცხელია, პირდაპირ ორთქლი ასდის. ნაყინის გუნდა დადნა და ტყვეები გაათავისუფლა. მეფე ბინგო-ბონგომ გაქუცული კუდი აიწურა და ჯუნგლებში მიიმალა. ჯადოქარმა ფეფიკომ კი არაბეთის უდაბნოებისაკენ მოუსვა.

## ვათერაპიმერვე

არაბეთის უდაბნოებს თუ მიაღწევთ, ზღაპრების ქვეყანაც იქვეა. თუმცა გზა მაინცდამაინც შორიარაა, მაგრამ დიდებმა რომც მოისურვონ, მის საზღვრებში ვერ შეაღწევენ. პატარების წინაშე კი გზა სენილია. ჰოდა, ჩვენმა მეგობრებმა ზღვის ნაპირამდე მშვიდობიანად მიაღწიეს.

მიიხედ-მოიხედეს, იქნებ აქ სადმე ხიდია გადებულიო.

— აფ-აფ, უყურეთ, ცოცხალი ხიდი! — გაკვირვებით შეპყეფა ცუგამ.

ზღვაზე, აფრიკასა და აზიას შორის, ერთი ვეება კაცი განოლიყო. ფეხებით აფრიკის ნაპირს ეყრდნობოდა, თავი კი არაბეთის ნახევარკუნძულზე ედო. ძალიან უხერხული იყო ასე წოლა. კაცი მიმედ ქშინავდა. ამ პაპანაქება სიცხეში ოფლი ღვარად სდიოდა

და ზღვაში თქრიალი გაპქონდა. თურმე ამიტომაცაა, რომ წითელი ზღვა ძალზე მლაშეა.

სხვარა გზა ჰქონდათ და მეგობრები ფრთხილად დაადგნენ ხიდკაცას. წინ ციცქა გოგო მიდიოდა. ფეხდაფეხ ცუგა მიჰყვებოდა, მერე დანარჩენები მისდევდნენ.

ხიდკაცას ცხვირამდე რომ მიაღწიეს, კატა ციცამ იფიქრა, ეს გვირაბი მოკლეზეგამიყვანსონ და ცხვირში შეეხეტა. ხიდკაცას სახე დაემანჭა, „აფჩინო!“ ერთი მაგრად დააცემინა და კატა ტყვიასავით გადაისროლა უკან, აფრიკის სანაპიროზე. დანარჩენებმაც ძლივს შეიმაგრეს თავი. ზოგი ღილს ჩაეჭიდა, ზოგი ჯიბეს, ზოგიც წვერს... ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და მალე მეგობრებმა არაბეთის ქვიშიან ნაპირზე დადგეს ფეხი.

კიდევ ცოტა და საოცარი ზღაპრების ქვეყანაში აღმოჩნდნენ. ბუნებრივია, აქაური გზები არავინ იცოდა ცხრათავიან დევზე უკეთ. ყველას თვალნინ პანანინა დევუკა გაიზარდა, გაიზარდა და უზარმაზარ დევად გადაიქცა. მაინცდამაინც ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ ციცქა გოგომ ცხრავე ქოჩორი დაუვარცხნა და ცოტათი ადამიანს დაამსგავსა.

ზღაპრების ქვეყანაში სეირნობა საშიშია. თქვენ თუ იქ მოგზაურობას მოინდომებთ, ფრთხილად იყავით. კაცმა არ იცის, რა შეიძლება მოხდეს: სწორ გზაზეც კი აუჩქარებლად იარეთ, თორემ გადადგამთ ნაბიჯს და უფსკრული გაისხება, მის ფსკერზე დიდ ქვაბში გოგირდი დულს; გზის პირას თუ ქვა გდია, მარცხენა მხრიდან მოხედეთ და გომბეშოდ გადაიქცევა, მაგრამ ჯადოსნური მათრახი თუ გადაჰკარით, თქვენს წინაშე მეფის მზეთუნახავი ასული წარსდგება; სადმე ჯოხს თუ წაყდით, ხელი არ ახლოთ, ვაითუ გველეშაპის კუდი აღმოჩნდეს; ტრიალ მინდორზე რომ გახვალთ, საკმარისია სამჯერ შეტრიალდეთ და თქვენს წინაშე ბროლის სასახლე აღიმართება; სამფერი წყალი თუ სადმე დაინახეთ, წითელი, თეოტო და შავი, შიგ არ ჩახვიდეთ, თორემ ოქროს, ვერცხლის ან ნახშირის კაცად გადაიქცევით; ბოთლი თუ იპოვეთ, საცობი არ მოხსნათ, თორემ ჯინი ამოვა, ჯინს კი ვინ იცის, რა აქვს გუნებაში; ჰალიში ხალიჩებითა და ცოცხებით კუდიანები დაფრინავენ. ძალიან გოთხოვთ, არ გააჯავროთ, თორემ რომელიმე მათგანი ვარსკვლავს მოწყვეტს ციდან და გვესვრის. ხომ დაინგრა მაშინ მთელი ქვეყნიერება და დიდი ცოდვა დატრიალდა.

ცხრათავიანმა დევმა ყოველივე ეს კარგად იცოდა. თვისი მე-  
გობრები მხრებზე შეისვა და ისე გაატარა უცნობი გზებით, რო-  
მელთაც ჯადოქარი ფეფიკოს ნაკვალევი აჩნდა.

ცხრა თვისა და ცხრა დღის შემდეგ, როცა ცხრა ზღვა, ცხრა  
მთა და ცხრა ქვეყანა გადაიარეს, უცბად მიადგნენ ჰიმალაის მა-  
ლალ მთებს...

## ზაორაპიმეცხე

ასე და ამგვარად, ჯადოქარი ფეფიკო სულ უფრო და უფრო  
შორს გარბოდა, სანამ ჰიმალაის მთებს წააწყდებოდა. სხვა გზა არ  
ჰქონდა და აჰყვა თვალშეუწვდენ აღმართს. ციცქნა გოგო და მისი  
მეგობრები არც აქ მოეშვნენ და ფეხდაფეს მისდიეს.

ციცაბო კლდეები, ღრმა უფსკრულები, მთის საზარელი მდინა-  
რეები, ციცერი მყინვარები გზას უღობავდნენ მოგზაურებს. მოუს-  
ვენარი ჯადოქარი ფეფიკოც გზადაგზა ლოდებს აგორებდა, ზვავს  
იწვევდა და ბოროტად იმუქრებოდა, მაგრამ ამაოდ. ციცქნა გოგ-  
ოს სიმამაცეს წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

დაუღალავად სდიეს სამი დღე და სამი ღამე. ბოლოს ჯადოქარი  
ფეფიკო ჯომოლუნგმას მაღალ მწვერვალზე აფოფხდა და, ცოტა  
დააკლდა, კინაღამ ციც გუმბათს მიარტყა თავი. ჯომოლუნგმა ხომ  
დედამითის ყველაზე მაღალი მწვერვალია.

მეგობრებმა მწვერვალს ალყა შემოარტყეს. ვეშაპუნა კუდს  
უბათქუნებდა ჯომოლუნგმას. ჯადოქარი ფეფიკო ორივე ხელით  
ჩააფრინდა მწვერვალს და მისი გადმოგდება ასე ვერ მოხერხდა. ზოოპარკის სპილო გოგიტა თოვლის გუნდას ესროდა, მაგრამ გუნ-  
და უკანვე თავზე ეცემოდა. ცუგა, მომღერალი ბატი და კატა ციცა  
მხრებით მიაწვნენ მწვერვალს და მის წაქცევას ლამობდნენ, ღლონდ  
ძვრაც ვერ უყვეს. ცხრათავიანი დევის მეცხრე თავს ჯადოქარმა  
ფეფიკომ ლოდი მოარტყა, კოპი დააჩინა. დევმა კოპზე შაურიანი  
დაიდო, მერე გაბრაზებულმა შურდულით კენჭები სტყორცნა, მა-  
გრამ ძნელია მიზანში მოხვედრა, როცა ამდენი თვალით უმიზნებ.

ციცქნა გოგო კი ფრთხილად მიცოცავდა უფსკრულის თავზე.  
ჯადოქარი ფეფიკო ისე გაერთო, არც შეუნიშნავს უკნიდან მოპარუ-  
ლი მოწინააღმდეგე.

როცა შენიშნა, თვალში თოვლი მიაყარა, მაგრამ ციცქნა გოგო  
არ დაბნეულა, ხის ხმალი მიაბჯინა მკერდზე.

— დამწებლი, ჯადოქარო!

ჯადოქარ ფეფიკოს აბგა გაუვარდა და თოვლში უმწეოდ ჩაჯდა.  
აბგა გაიხსნა, იქიდან ანაბანა ამოცვივდა და ჩიტებივით შეფრთ-  
ხიალდა, მაგრამ ციცქნა გოგომ მოასწრო, კუდში ხელი სტაცა...

ერთმანეთზე გადააბეს ოცდაცამეტივე ასო.

„ანს“ დიდი ატომი შეება. სიამაყისაგან ისე იყო გავარვარებუ-  
ლი, ძლივს აკავებდნენ.

„ბანზე“ მომღერალი ბატი ჩამოსკუპდა და „ვაახ!..“ — ალილინდა.

„დონზე“ ცხრათავიანი დევი მოკალათდა.

სპილო გოგიტა მორთუმი „პარს“ გამოსდო, კუდი „სანს“.

კატა ციცა „ფარზე“ ჩამოეკონიალა, რადგან ძალიან უყვარს,  
როცა ეფერებიან: „ფისო, ფისო!“

ვეშაპუნამ თავი „ვინში“ შეყო, კუდით კი „შინს“ გადაეყრდნო.

ცუგამ „ძილი“ არჩია, რადგან თავი უკვე დიდად მიაჩნდა და  
სახელად „ძალლი“ უფრო შემეფერებაო.

ციცქნა გოგო, „პას“ ქვემო კაუჭზე ჩამოჯდა და ასე გამოეშუ-  
რნენ შინისაკენ.

ჯომოლუნგმას მაღალ მწვერვალზე ჯადოქარი ფეფიკო მარტო  
დარჩა. ახლაც, როცა ალპინისტები დიდი გაჭირვებით ადიან, ვიღა-  
ცა მწვერვალიდან თვალებში თოვლს აყრის თურმე. ვინ უნდა იყოს,  
თუ არა ჯადოქარი ფეფიკო?

სპილო გოგიტა მიმარჯვა, მთელი „დედაენა“ გადააბულბულა  
და მეგობრებსაც წერა-კითხვას ასწავლის.

ცუგასა და კატა ციცას ნახატებიანი წიგნები უყვართ, ცუგას  
ისეთი, სადაც დიდრონ-დიდრონი ძალლები ხატია, კატა ციცას კი  
— სხვადასხვა ნუგბარ-ნუგბარი ტკბილეული.

ვეშაპუნასა და მომღერალ ბატს გაუჭირდათ მეცადინეობა.  
ვეშაპუნას იმოდენა თავი აქვს, შიგ ცოდნა თავისუფლად დაეხეტე-  
ბა და ამიტომ საბრალო ვეშაპუნა ვერაფერს იმახსოვრებს. მომღ-  
ერალი ბატი კი ასოებისაგან სიტყვას რომ შეაკონიშნებს, „ვაახ!..“ —  
უკვირს და ამასობაში ყველაფერი ავინყდება.

ყველაზე მეტად ცხრათავიან დევის უჭირს. ცხრა თავიდან ზოგი  
ნიჭიერია, ზოგი უნიჭო. ცხრავე რომ დაინყებს წიგნის კითხვას, ორი

ხელი გადაფურცვლასაც ვერ ასწრებს და აქვთ ერთი ჩხუბი და  
დავიდარაბა.

ციცქნა გოგომ კი ჯერჯერობით ზეპირად იცის „აი ია“ და  
„თითი“.

შავრეული

და

სამი ჯადოქარი



# თავი 1. თამა კარისძე და სხვები

## 1. ჩალაეინადიგაიგა

კვირის დასაწყისს ქალაქ წადიგაიგეში მეტად უცნაური ამბავი მოხდა. ნოტარიუსმა კოკომ ნასადილევს საკუთარ ოთახში, საკუთარ საწერ მაგიდაზე გემრიელი ძილი გამოაცხო და სრულიად მოულოდნელად თეატრალურ მოედანზე გამოელვინა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გახლდათ ქალაქის ცენტრალური მოედანი და



თეატრალური იმიტომ ერქვა, რომ ზედ თეატრის ლამაზი შენობა იყო წამომართული და მაღალ ფასადზე თეატრალური ნილპები ჩატა. თეატრის პირდაპირ ქალაქის რატუშას თავისი მძიმე სვეტები ჩამოემწერივებინა, ასე გეგონებოდათ, საცაა ეს სვეტები ჯარისკაცებივით დაიძვრებიან. რაკი სიტყვამ მოიტანა, მათ შორის, სილრმეში ციხის ჩაშავებული შენობაც მოჩანდა. ოლონდაც, წინ ქალაქის არქივის ორსართულიანი სახლი ეფარებოდა და თვალში არავის ეჩხირებოდა... ნოტარიუსი კოკო კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა, ვერაურით გაიხსენა მაგიდითა და სკამით რანაირად აღმოჩნდა შინიდან ასე შორს. ვაი, სირცხვილო, — გაიფიქრა წამტარიუსმა კოკომ, — რას იტყვიან თანამოქალაქენი, ამ ყოფაში რომ დამინა-

ხონო. საბედნიეროდ, ქალაქ წადიგაიგეში ნაშუადლევის ძილს დიდ პატივს მიაგებდნენ და მოედაზე იშვიათი გამვლელი თუ ჩანდა. ისინიც ისე მიღი-მოდიოდნენ, ვითომ უჩვეულო არაფერი ხდებაო.

არადა, არქივიდან არქივარიუსი ბუჭი გამოვიდა, უკან მიჰყვებოდა მამამისი ბუჭბუჭი, მას კი არქივარიუსის პაპა — ბუჭბუჭბუჭი. არქივარიუსმა საჩვენებელი თითო თეატრის ფასადს დაუმიზნა. „ბუჭ!“ — წამოიძახა და თითოდან ტყვია გამოისროლა. „ააცდინე!.. ააცდინე!..“ — გამოაჯავრა ბუჭბუჭმა, თითო დაუმიზნა და წამოიძახა: „ბუჭ-ბუჭ!“ ზედიზედ ორი ტყვია გავარდა და სიცილის ნილაბს კუთხე ჩამოამტკრია. ახლა პაპა ბუჭბუჭბუჭმა გაიშვირა საჩვენებელი თითო, „ბუჭ-ბუჭ-ბუჭ!“ — შესძახა და ტყვიების ჯერი მიაყარა, ტირილის ნილაბი სანახევროდ ჩამოამსხვრია. „ესეც ასე!“ — თქვა ბუჭბუჭმა და უკან მიჰყვა. „ესეც ასე!“ — თქვა ბუჭბუჭმა და უკან მიჰყვა. „ესეც ასე!“ — გაიმეორა უფროსების სიტყვები არქივარიუსმა ბუჭმა და ისიც გაქრა.

წოტარიუსმა კოკომ თვალები მოიფშვნიტა, მეჩვენებაო, მაგრამ უჩვეულო ამბები ამით არ დამთავრებულა. უცებ მსუბუქი ზუზუნი გაისმა. ციხიდან ერთი ხელისძაფება ბზიკი გამოფრინდა. შორიდან ეგონა ბზიკი, თორემრომ მოუხალოვდა, პანაწკინტელა ვერტმფრენი აღმოჩნდა. ნოტარიუსი კოკო ბეცი გახლდათ, თვალებს მაინცდამაინც არ ენდობოდა, ისიც იფიქრა, ან ხის ფოთოლია, ან გიგანტური პეპელაო, მაგრამ თვალები რამდენიც არ იფშვნიტა, ცხადზე ცხადი იყო, მოედანი პანაწკინტელა ვერტმფრენმა გადმოჭრა და თავზევით დაბზრიალდა.

კოკომ, ალბათ, მძინავსო, და ერთი-ორჯერ ჩაახველა — „პხმ, პხმ!“ ოლონდ ამ ხევლებამ ვერაფერი შეცვალა. უფრო მეტიც, ვერტმფრენი პირდაპირ საწერ მაგიდაზე დაეშვა. ნოტარიუსმა, საბუთების ამოსაკითხად რომ ხმარობდა, ის ლუპა მოიმარჯვა და უცნაურ ვერტმფრენში სამი სულიერი აღმოაჩინა. ერთი ჭიას ჰგავდა, მეორე ბუშტს და მესამე მოზრდილ ჭიანჭველას. პირველი, ალბათ, მამაკაცი იყო, მეორე — დედაკაცი, მესამე კი — წითური ბიჭი.

სამივენი უმალ გადმოხტნენ ვერტმფრენიდან, დაერივნენ მაგიდაზე გაშლილ ქალალდებს, სხვადასხვა გერბიან საბუთებს და გამალებული ხაშახრუშით გადაჭამეს. ნოტარიუსმა კოკომ სამელნეს დასტაცა ხელი, ამ ყაჩალებს მაგიდაზე დავასრისავო, მაგრამ ვერაფერი მოასწორო, რადგან დაუპატიჟებელი სტუმრები რასაც

ჭამდნენ, უმალვე შეირგებდნენ და თვალსა და ხელს შუა იზრდებოდნენ. როცა ყველაფერი პირწმინდად მოასუფთავეს, გამხდარი კაცი სიმაღლით ნოტარიუს კოკოს გაუტოლდა, დედაკაცი საკმაოდ ჩაგოდრდა, ბიჭი კი სკამის სიმაღლისა გაიზარდა და თუ დროზე პირს არ მომუნავდა, ალბათ სიდიდით მშობლებსაც გაასწრებდა.

— ე-ე! — ძლივა ამოღერდა კოკომ. — მაგიდაც არ შემიჭამოთ!

სამივენი შედგნენ. კაცმა ვერტმფრენი ჯიბეში ჩაიდო, მერე ნოტარიუს კოკოს მიუბრუნდა და დაიკიკინა:

— ნოტარიუსო კოკო! მე ვარ ვეზირთვეზირი სახელგანთქმული არქივარიუსი ბუჟისა, მისი მამის ბუჟებუჟისა და პაპისა ბუჟებუჟისა, ვარ არანაკლებ სახელგანთქმული ჯადოქარი დიდი ჯაჯუ! ეს ქალბატონი ჩემი მეუღლე ჯაჯულიაა, ბიჭი კი ჩვენი ერთადერთი თვალისჩინი და პირმშოა!

— ჰემ, ჰემ! — ვერაფერი გაიგო კოკომ. — რითი შემიძლია გემ-სახუროთ?

— პირიქით! — ჩაიხითხითა დიდმა ჯაჯუმ. — ჩვენ მოვედით, რათა გემსახუროთ და ქალაქის თავად დაგსვათ!

— ე-ე, როგორ? — ენა დაეხა ნოტორიუს კოკოს

— აბა, უყურე! — თქვა დიდმა ჯაჯუმ და თითი ქალაქის რატუ-შისაკენ გაიშვირა.

უცებ ფართო კარები გაიღო და იქიდან გამოეხეტა მუხის მდიდრული მაგიდა და მოოქროვილი სავარძელი. სავარძელში ქალაქის თავი იჯდა, მეტსახელად პირველი, სათვალე ცხვირზე ჩამოენია და საბუთებს კითხულობდა. საქმეში ისე ჩაფლულიყო, ვერც მიხ-ვდა, რომ უკვე გადააყენეს. მაგიდამ და სავარძელმა შეუჩერებლივ გადაირბინეს მოედანი, კუთხეში გაუჩინარდნენ და თავიანთი პატრონიც გააქრეს.

— მაღლობა ღმერთს, ჩვენი დროც მოვიდა! — დაიჭრაჭუნა კოკოს დალაქავებულმა, ძველმა მაგიდამ, სკამი კი მხიარული ჭრიალით გამოეხმაურა.

— აბა, ჰე! — ხელი აიქნია დიდმა ჯაჯუმ.

ნოტარიუსის სკამი ყალყზე შედგა, მაგიდა ასფალტზე გასრიალდა. პატრონს სულის მოთქმაც არ აცალეს, ლია კარისაკენ გაიტაცეს, იქ ფართო კიბეზე აარბენინეს, განცვიფრებისაგან თვალებგადმოკარკლულ მდივანქალს ჩაურბინეს და კაბინეტში შეცვიდნენ.

— ჰემ! — ჩაახველა ნოტარიუსმა კოკომ, მაგიდაზე თავისი როხო თავი დადო და თვალი დახუჭა.

ირწმუნა, რომ ყოველივეს სიზმარში ხედავდა...

## 2. მომდერალიჩორორიპენტო

ქალაქი წადიგაიგეს განაპირას სკოლიდან მომავალ თაია ვაჩინა-ძეს მომლერალი ჩოჩორი ბენტო შეხვდა.

— გამარჯობათ! — მოკრძალებით მიესალმა თაია.

ჩოჩორმა თავი დაუქნია. იქვე, გზის გადალმა ქალაში მშვენიერი მოლი ბიბინებდა და ბენტო პირის ჩასატებარუნებლად მიბაკუნებდა.

— ტელევიზორში თქვენი სოლოყროყინი მოვისმინე! — უთხრა თაიამ.

ჩოჩორი ბენტო შეჩერდა, თავი აიღერა და დარბაისლურად თქვა:

— დიახ, განსაკუთრებით „მზის ნიუარა“ გამომდის!

— მშვენიერი სოლოყროყინი! — დაუდასტურა გოგონამ.

— გეგონებათ, მართლაც ლურჯ ნიუარაში ზიხარ და ცაში მიფრინავ!

— ეს ჩემი ოცნებაა! — განაცხადა ბენტომ. — „მზის ნიუარა“ რომ მაპოვნინა, ცაში ავფრინდებოდი!

— ნუთუ მართლა არსებობს იგი? — გაუკვირდა თაიას. — ძვირფასო ბენტო, თუ თქვენ „მზის ნიუარას“ იპოვით, გთხოვთ, მეც წამიყვანოთ! მინდა მთვარეზე გავფრინდე!

— რა თქმა უნდა, — დინჯად დაეთანხმა ბენტო, — იმედი



მაქვს, მალე ვიპოვი „მზის ნიუარას“. გამიგონია, სადღაც ჩვენს ქალაქშია გადამალულიო. ჯადოქრები თურმე ამაოდ ეძებენ. თუ არ ავჩქარდი, დამასწრებენ და დავილუპებით!

ჩოჩორი ბენტო შებრუნდა და ჭალისაკენ წაბაკუნდა, თან გზა-გზა თავის საყვარელ „მზის ნიუარას“ ხმადაბლა მიჰყროყინებდა.

— ნახვამდის, ბენტო! — ხელი დაუქნია თაიამ.

— ნახვამდის, პატარა გოგო! — უპასუხა ჩოჩორმა ბენტომ. — გთხოვ, კონცერტზე მობრძანდე! კვირას ბავშვებისათვის ვიმღერებ!

— გმადლობთ, ბენტო! — თაიამ მძიმე ჩანთას ხელი შეუნაცვლა და მიმოიხედა. შარაზე გამვლელი არავინ ჩანდა. სკოლის ჭიშკარ-თან ბავშვები თამაშობდნენ. წინ, მოსახვევთან ვაჩნაძების პატარა სახლი ლია ფანჯრებით უთვალთვალებდა, თითქოს ეუბნებოდა, გულმაგრად იყავი, აქა ვარო...

### 3. ჩატომს ურს თაიას მთვარეზე გაფრენა?

იმთავითვე უნდა მეთქვა, — თაია დედით ობოლია.

თაია დედიკო ისეთი ლამაზი იყო, მისი ბადალი დედამიწის ზურგ-ზე არავინ დადიოდა. სახელიც ლამაზი ჰქონდა — მზისია. თეთრი ხალათი ეცვა და თეთრ შენობაში მუშაობდა, რომლის კარზე ოქროს დიდი ასოებით ეწერა — „ინსტიტუტი“. მართა ბებო ამბობდა, ჩემი რძალი ლამაზიც არის და ჭკვიანიც; ისეთი ჭკვიანია, ალარ ვიცი, თავი როგორ არ სტკივდებაო. მთელი დღე ინსტიტუტში მუშაობს, იმნაირ მანქანას იგონებს, მზის სხივებით რომ იკვებება, ლურჯ ნიუარას ჰეგავს და საითკენაც მოისურვებ, იქით გაფრინდებაო. იქნებ სწორედ მზისია დედიკომ ააგო „მზის ნიუარა“, მაგრამ თუ ააგო, სადღა დაეკარგა?.. იქნებ აგებდა და ველარ მოასწრო, რადგან უნია მართა ბებოს სიტყვებმა, მართლაც ასტკივდა თავი, „აჟ!“ — ამოიკვნესა და სული განუტევა...

დიახ!.. ლამაზი კაბა ჩააცვეს თაიას ლამაზ დედიკოს, ლამაზ კუ-ბოში ჩააცვინეს. ის კუბო სასაფლაოზე წაასვენეს, მაგრამ უცებ მა-ლლა, მალლა აინია, ჭირისუფლებს ხელიდან გაუსხლტა და ცის ლა-უვარდში გაუჩინარდა. თაიამ თვალი გააყოლა და ნახა, როგორ იძი-რებოდა ლაუვარდში დედიკოს კუბო... მართა ბებომ პირჯვარი გა-დაინერა, ვაჩე მამიკოს კი თვალზე ცრემლი შეაშრა და ხელები ცი-სკენ აღმართა, თითქოს თვითონაც გაფრენას ლამობდა.

იმ დღიდან ცაში ცხოვრობს მზისია ვაჩნაძე, თაიას იქიდან გად-მოჰყურებს. მთვარე რომ ამოქათქათდება, დედიკო, თითქოს დამა-ლობანას თამაშობსო, გვერდიდან გამოაჭყეტს, გოგონას თვალს ჩაუპაჭუნებს. უმთვარო ლამეების მოქარგულ ვარსკვლავეთში მსუბუქად გაკროება და ჩაუმი სიცილის ექო თაიას სმენამდე აღ-ნევს... „დაგინახე, დედიკო, დაგინახე!“ — შესძახებს თაია.

„ჯადოქრებმა წაიყვანეს მზისია დედიკო! — ფიქრობს თაია. — ჯადოქრებს უნდა შევეპრძოლო და დედიკო გავათავისუფლო!“

მიდის თაია შინისაკენ, მძიმე ჩანთას ერთი ხელიდან მეორეზე გადაანაცვლებს, თან ოცნებობს: აი, ჩოჩორი ბენტო იპოვის „მზის ნიუარას“! და ორივენი — ბენტო და თაია გაფრინდებიან მთვარეზე მზისია დედიკოს დასახსნელად...

### 4. მართა გეგო შინაა

თაიას მართა ბებო უვლის. რაკი ბებია ვახსენე, მაინცდამაინც დედაბერს ნურავინ წარმოიდგენს. თაიას ბებოს თმებში ჭალარა ჯერ არ ურევია, არც პირისახე დანაოჭებია, ლონეც საკმარისი აქვს, სამ-სახურში ფეხით დადის და ჩურჩხელებსა და ტკბილისკვერს ბაზარ-ში ყიდულობს. ამოდენა ოჯახი „მხრებზე აწევს“ (თაია ცდილობს წარმოიდგინოს „ოჯახი“, რომელიც მთქნარებით მართა ბებოს მხრებზე წვება!), „საქმე ახრჩობს“ („საქმეს“ ხელებზე შავი ხელთათ-მანები წამოუცვამს და ბებოს ყელში უჭერს!), „ჯარასავით ტრი-ალებს“ (ბებო სწრაფად ბრუნავს, ტანზე ფერადი ძაფი ეხვევა!).

მართლაც სულ ფაციფუცშია მართა ბებო. აგერ, დღესაც, სკოლ-იდან მობრუნებულ თაიას შორიდან ესმის საკერავი მანქანის რახ-რახი, ესე იგი მართა ბებო შინაა და კერავს.

ჭიშკარმა ჭრიალი გამოსცა: „სალამი ახტაჯანავ!“

ეზოს ძალლმა ბომბომ კუდი ააბათქუნა: „როგორა ხარ, გოგო თაია?“

კიბის საფეხურები აჭრაჭუნდა: „ნელა, ფეხებს ნუ მიბრაგუნებ!“ სახლის კარმა ამოიოხრა: „ახლა მიმახეთქებს!“

ბრახ! — კარი ეხეთქება და ბინის კედლებს კვნესა აღმოხდებათ.

— ცოტა ფრთხილად, ბებო გენაცვალოს! — ილიმება მართა ბებო, სათვალეს შუბლზე აინევს. — თავზე სახლი ნუ ჩამოგვანგრიე!

ფისო მირანდოლამ ზურგი ამოიზნიქა, ჭროლა თვალებმა გაკვესა.

კუთხის კარადამ იკითხა: „ჩამოვედით?“ ამას სულ მატარებლით  
მგზავრობა ესიზმრება.

კედლის საათმა კი მხიარულად — ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ!

ბებომ საკერავი მანქანის სახელური ერთხელაც დაატრიალა,  
აარახრახა. „თავი ამტკივდა!“ — შესჩივლა თაიას საკერავმა მან-  
ქანამ. მართა ბებო მოუცდელია, მანქანას კი ხანდახან შეზეოვა  
სჭირდება. „ოჳ, თავი ამტკივდა!“ — შესძახებს ხოლმე საკერავი  
მანქანა, თუმცა იქნებ კეკლუცობს, ხედავთ, რამდენს ვმუშაობო.

თაიამ ჩანთა მოისროლა. ჩანთა იატაკზე გასრიალდა, სამეცა-  
დინო მაგიდას მიაღწია. იქ უმალვე ჩუმი ფხუკუნი და კისკისი გა-  
ისმა. სკოლიდან მოსული სახელმძღვანელოები თაროზე დარჩე-  
ნილებს ესალმებოდნენ, ცხელ-ცხელი ჭორებით უმასპინძლდებო-  
დნენ.

თაიამაც სულმოუთქმელად ახარა ბებოს:

— ბებია, ბენტომ კონცერტზე დაგვპატიჟა!

— ჰმ! — ეჭვით შეხედა მართა ბებომ. — ალბათ წუხელ დაგე-  
სიზმრა, თორემ სად შეგხვდებოდა სახელოვანი ბენტო?

— აი, ჩემი ორი თვალით ვნახე! — თვალები დააჭყიტა თაიამ.

— ვინ იცის, კვირამდე რა მოხდება! — ამოიოხრა მართა ბებომ.  
— ამბობენ, ქალაქის მთავრობა შეიცვალაო. თუმცა ეგ ჩვენი საქმე  
არაა! გირჩევნია, ელპიტეს ერთი ტოლჩა რძე სთხოვო და დალიო.  
დილით მომპარა მაგ სასიკვდილემ... მალე მამაშენიც მოვა და ერ-  
თად ვისადილებთ!

ელპიტე მართა ბებოს ძროხაა. ერთი ეშმაკი და წუწურაქი ვინ-  
მეა. მართა ბებო მოსაწველად რომ მიუდგება, ქედს აბზექს და რძეს  
გადამალავს. თაიას კი უარს არ ეუბნება, რაცა აქვს, უმალ ჩამო-  
უწელის.

— მოხვედი, თვალისჩინო? — მოეფერა ძროხა ელპიტე და ჯიქანი  
მიუშვირა. ხელის ხლებაც არ დასჭირვებია თაიას, რძე თავისით  
ჩამორაკრაკდა ტოლჩაში.

— ბებიამ თქვა, მთავრობა შეიცვალაო! — აცნობა თაიამ.

— ჩვენ რა გვენალვება, თვალისჩინო! — ელპიტე ცოხნას მო-  
ჟყვა.

ზღურბლზე ფისო მირანდოლა შემოეგება თაიას, ფეხებზე მოე-  
ხახუნა.

— ფისო, ფისო, არც შენ გენალვება, მთავრობა რომ შეგვი-  
ცვალეს?

— ექიმმა რძე გამომიწერა! — აკრუტუნდა ეშმაკი ფისო. — ასე  
მითხვა, გოგო თაია ძუნწი არ არის, ცოტას გინილადებსო!

ერთი ამოლოკვა ფისოს, ორი ყლუპი ტაიას და ტოლჩაც ცარი-  
ელია.

მართა ბებო კვლავ საკერავ მანქანას ამუშავებს და „ოჳ, თავი  
ამტკივდა!“ — ჩივის საკერავი მანქანა.

## 5. ვაჩე მამიკოს როლები



ითუ, ვაჩე მამიკოს რომელიმე მათგანი შემოეჭამოსო. მართა ბებო  
ერთბაშად დუჟინ ვარიას დაახვედრებდა, შემწვარსა და მოხარშულს.  
ვაჩე მამიკო სწრაფად სანსლავდა ამდენ ხორაგს და თვალს მაინც  
აპრიალებდა — „ადამიანის სუნი მეცა-ა!“

მართა ბებომ კერვა შეწყვიტა და საკერავმა მანქანამ შვებით  
ამოისუნთქა: „მადლობა ლმერთს, ცოტათი წავთვლემ!“

კუთხის კარადა ძილბურანიდან ველარ გამოერკვა, თავისთვის  
ჩაიფშლუკუნა: „ჩამოვედით?“

ჩამქრალმა ბუხარმა გაიზმორა: „უჰ, ყურებმა მოისვენეს!“

კედლიდან დედიკოს სურათმა გადმოიხედა, შუბლზე ხელი მიი-  
ღო მზისია დედიკომ. ამდენმა ხმაურმა ალბათ შაკიკი დამართა.

— დღეს მამაშენს მგონი სხვა ზღაპარში უნდა ეთამაშა! — პასუ-  
ხი დააგვიანა მართა ბებომ.

— რძე შესანიშნავია! — დაიკნავლა ფისო მირანდოლამ, წითე-  
ლი ენა ულვაშებზე მოისვა. — ექიმმა გამომიწერა...

ცულლუტი ფისო კვლავ ტოლჩისაკენ იყურება, თუმცა ტოლჩა  
უკვე ცარიელია.

— ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ!.. — გამოეხმაურა კედლის საათი და უცებ:  
— ტინწინტინ... ახლა ბატონი ვაჩე მოვა!

მართა ბებომ სათვალე ცხვირზე ჩამოიწია, საათს ახედა და  
დაფაცურდა:

— ანი მამაშენიც მოვა!

ბინას თითქოს შეეშინდა, კარ-ფანჯრებმა სული გაკმინდეს. მა-  
ცივრიდან თევზებით ძეხვი და თხლად დაჭრილი ყველი გამოსრი-  
ალდა. ფართო ლანგარზე ლამაზად შებრანული ვარიები დასხდ-  
ნენ. სამზარეულოდან თავში ჩამჩაჩარგული წვნიანის ქვაბი გამოე-  
ხეტა. მოდიოდა და მოხითხითებდა, გაზქურამ წითელი ენა ფსკერზე  
მომისვა და მელუტუნებაო.

— ჩხაკ-ჩხუკ! — გაიჩხაკუნა ჭიშკარმა.

— სალამი, ძვირფასო პატრონო! — შეპყეფა ძალლმა ბომბომ.

— სალამი, პატრონო! — ბოსელში შეპზმუვლა ძროხა ელპიტემ.

— პატრონი მოვიდა! — ჩაიკრუტუნა ფისო მირანდოლამ და  
ზარმაცად დაამთქნარა.

ვაჩე მამიკომ კარი შემოალო, ფრთხილად მიმოიხედა, მირანდო-  
ლასკენ თითი გაიშვირა.

— გააგდეთ ეს კატა, თორემ შემჭამს!

მართა ბებო შემოტრიალდა, სადაა ცოცხიო. გახარებული ცო-  
ცხი ბუხრის ყურიდან გამოვარდა, მირანდოლას დაედევნა. აქან-  
დაზი სიცილით ჩაბჟირდა... ფისო მირანდოლამ ავად შესჩავლა  
და კარში დურთა თავი.

— საშინლად მომშივდა! — ჩაიულურტულა ვაჩე მამიკომ. მაგი-  
დაზე ფეტვის მარცვალი დაყარა და კენკვა დაიწყო. ესაა, ცხვირი

უშლიდა და რამდენჯერაც დაიხრებოდა, ცხვირს იმდენჯერ არტ-  
ყამდა მაგიდაზე.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ვაჩე მამიკოს ამჯერად ბელუ-  
რას როლი რგებოდა.

თაიამ ამოიხოხრა. საჭმელი უგემურად მოკიკნა და უფროსებს  
გაშორდა, სამეცადინო კუთხეს მიაშურა, რათა წიგნებისა და  
რვეულების ჭორებისათვის ყური მიეგდო...

## 6. თაია მეცადინეობა

თაიას მაგიდაზე წიგნები და რვეულებია. ზოგიერთი წიგნი უფ-  
რო ჭკვიანია, ზოგიერთი — ნაკლებ ჭკვიანი. მთლად სულელებიც  
ურევია, მაგრამ ამას ხმამალლა ვინ გააცხადებს. რვეული არც ჭკვი-  
ანია და არც სულელი. რასაც ჩასწერ, იმას ამოგდახებს! თაიას თავ-  
ში ხან მეტად ჭკვიანური აზრი მოსდის, ხან — ჩურჩუტული და ყო-  
ველივე ეს რვეულში იყრის თავს.

ხელმარცხნივ ფანჯარაა. ცაზე მთვარე ქათქათებს და ოთახში  
იჭყიტება, ცდილობს თაიას რვეულში ოკრობოკრო ასოები ამოიკი-  
თხოს. გოგონას შეცდომა რომ მოუვიდეს, მთვარე უმაღ დედიკოს  
შეატყობინებს, თუმცა იქნებ იქ, ცის სკოლაში, მთვარე ოროსანია  
და ახლა თაიასაგან იწერს დავალებას.

ხელმარჯვნივ სარკეა. სარკეში თაია ჩანს. მართა ბებო ამბობს,  
ცხონებულ რძალსა ჰეგავსო. რძალი ხომ მზისია დედიკოა, მზისია  
დედიკო კი მზეთუნახავი იყორო... ნუთუ თაიაც მზეთუნახავია? ნამ-  
დვილი თაია ხანდახან თვალს შეავლებს სარკის თაიას. იფ!.. სკოლის  
ფორმაში ან შინაურ ხალათში მზეთუნახავი რანაირად იქნები!

მზეთუნახავი ისაა, ვინც კოშკშია გამომწყვდეული და მზის სხი-  
ვიარ ეკარება. თაია დარში თუ ავდარში სკოლისაკენ მირბის... წვი-  
მისაგან სველდება, მზისაგან შავდება, ზაფხულობით მდინარეში  
ბანაობს, ზამთრობით გორაკიდან ციგაობს... აი, „მზის ნიუარა“ რომ  
პქონდეს, დასკუბდებოდა დედოფალივით და, ერიპა, წინ და უკან  
იფრენდა სკოლასა და სახლს შორის...

თაიამ ამოიხვნება. სახატავი რვეული გადაშალა და ხატვას შე-  
უდგა.

მართა ბებომ დახედა.

— რანაირი ქოთანი დაგიხატავს, გოგო თაია?

— როგორ ვერ ხედავ, ბებო, ქოთანი კი არა, „მზის ნიუარაა“! — პასუხობს თაია.

— ჯერ გაკვეთილი ისწავლე, ნიუარები მერე ხატე! — მართა ბებო სათვალიდან მკაცრად იყურება.

— ლიტერატურაში გამეორება გვაქვს, არითმეტიკაში საკონტროლო გვერდა, რუსული არ მოუციათ, კიდევ გვაქვს შრომა, ხატვა და სიმღერა! — ჩამოარაკრაკა თაიამ.

მართა ბებომ თავი უკმაყოფილო გააქნია.

## 7. ყოჩალი მაძებარი გაციკშე

სალამოა. ვაჩე მამიკო კაბინეტში ჩაკეტილა. იქიდან უღურტული ისმის. ვაჩე მამიკოს რეპეტიცია აქვს. მართა ბებო სამზარეულოში საქმიანობს. ონკანიდან წყალი მოჩხრიალებს და თეფშებს ჩხაკუნი გააქვთ.

თაია მდელოსფერ დივანზე მოკალათებულა, ტელევიზორს უყურებს. ტელევიზორს მარტოობა არ უყვარს. გულმოსული ცივად ბზინავს, დაგავიწყდითო და იბუტება. საკმარისია ჩართო და გამოცოცხლება. ხმასა და ფერს დაინმენდს და ეკრანზე მულტფილმების ორომტრიალია.

ახლაც ისეთი სასაცილო მულტფილმი გათავდა, დივანი და დივანზე დაყრილი პატარა, ფერადი ბალიშები გადაფიჩინდნენ.

ეკრანზე ძია დიქტორი გამოჩნდა.

— ყურადღება, ყურადღება! — გამოაცხადა ძია დიქ-

ტორმა. — დაიკარგა ჩოჩორი ბენტო! ვინც იპოვის, ჯილდო ერგება! ძია დიქტორმა ფოტო აჩვენა. ზედ გამოსახულ ბენტოს თავი ნაღვლიანად ჩაექინდრა.

— მოგეხსენებათ, ქალაქ წადიგაიგეს მცხოვრებთ როგორ უყვართ ჩოჩორი ბენტო! — ძია დიქტორს ცრემლი მოერია, თვალზე ქათქათა ცხვირსახოცი აიფარა. — მისი თაყვანის მცემელთა თხოვნით მოგასმენინებთ ბენტოს სოლოყროყინის ერთ-ერთ ბოლო ჩანაწერს.

ეკრანზე მწვანე ჭალა გამოჩნდა. ჩოჩორი ბენტო მუხლამდე ლორქო ბალახში იდგა. თავი მოხდენილად ასწია, ყელი მოიღერა და ყროყინი მორთო. თავისი ასაკისათვის მეტად შესანიშნავად ყროყინებდა.

— სწორედ ამ ჭალიდან გაქრა ჩვენი ძვირფასი ბენტო! — თქვა ძია დიქტორმა.

ტელევიზორს გული აუჩუყდა, წამით ეკრანზე გამოსახულება წაიშალა, ჭრელი ზოლები აცახცახდა, „ბენტო ჩვენ ყველას გვიყვარდა!“ — ჩაიხრიალა.

— ვაი-მე! — თაიამ ლოყაზე ხელი იტკიცა. ეს ხომ სწორედ ის ჭალა იყო, სადაც ბენტოს შეხვდა და ჩოჩორმა თავის კონცერტზე დაპეატიჟა.

ტელეეკრანი კი თანდათან დაიწმინდა და დიქტორმა ამჯერად გაილიმა.

— ყურადღება! ჩვენ მივიღეთ სასიხარულო ცნობა! ბენტოს ძებნა იყისრა სახელგანთქმულმა დეტექტივმა ბაციკუკუმ. იგი უკვე მოცურავს ჩვენი ქალაქისაკენ!

— ბებია, ბებია, დეტექტივი რას ნიშნავს? — გასძახა თაიამ.

პასუხად სამზარეულოდან ნამცხვრის სუნი გამოვიდა. მართა ბებოს არ ეცალა.

— მამიკო, მამიკო, დეტექტივი რას ნიშნავს? — ახლა ვაჩე მამიკოს გასძახა თაიამ.

კაბინეტში უღურტული შეწყდა და ვაჩე მამიკომ გამოიხედა.

— დეტექტივი მაძებარია! მე რომ ფისო მირანდოლამ შემჭამოს, დეტექტივი გამოიძიებს ამ ბოროტმოქმედებას, დაიჭერს და ციხეში ჩასვამს!

— მირანდოლა რანაირად შეგჭამს? — გაოცდა თაია.



— უმორჩილესად გთხოვ, რეპეტიციის დროს ხელს ნუ მიშლი! —  
განაცხადა ვაჩე მამიკომ და კარი მიიხურა.

თაია ტელევიზორს მიუბრუნდა.

— ქალაქის თავი ნოტარიუსი კოკო მიესალმება ბაციკუკუს ჩა-  
მობრძანებას! — თქვა ძია დიქტორმა.

ეკრანზე გამოჩნდა უზარმაზარი კაბინეტი. სიღრმეში, დალა-  
ქავებულ მაგიდაზე კოკოს ბანჯგვლიანი თავი იდო, ქალაქის პირვე-  
ლი კაცი გემრიელად ხვრინავდა.

წუთით გამოიხედა და ჩაახველა:

— ჰემ, ჰემ, დიახ!..

მერე თავი კვლავ მაგიდაზე დადო და ძილი განაგრძო.

ნეტავი როგორია ეს ბაციკუკუ?.. თაიამ წარმოიდგინა უზარ-  
მაზარი დევკაცი. აგერ დაბიჯებს ქალაქ წადიგაიგეს ქუჩებში. თა-  
ვით ხის კენწეროებს უტოლდება. ასწევს ფეხს და სახურავს გადა-  
ალაჯებს. „სალამი, გოგო თაია! — მოესალმება. — წავიდეთ, ბენტო  
და „მზის ნიუარა“ მოვდებნოთ!“ აიყვანს თაიას, ხალათის ჯიბეში  
ჩაისვამს. იმოდენა ჯიბე აქვს ბაციკუკუს, თაია სასკოლო ჩანთი-  
ანად შიგ იოლად მოკალათდება...“

აქ ფიქრი გაუწყდა თაიას, რადგან ეკრანზე ლურჯი ზღვა გადა-  
იშალა... ეს რა არის?.. ზღვაზე ნავი მოცურავს, ნავში კაცი ზის. ტა-  
ნზე შავი სერთუკი და შარვალი აცვია; ფეხებზე — შავი შტიბლე-  
ტები; თავზე ზოლებიანი კეპი ახურავს. დიდრონი, მუშტისტოლა  
თვალები ფართოდ, ცნობისმოვარედ დაუჭყეტია.

ძია დიქტორმა მიკროფონი ზღვას გადააწვდინა და მოგზაურს  
პირთან მიუტანა.

— ბოროტმოქმედნი ვერსად წამივლენ! — განაცხადა კაცმა.

რა თქმა უნდა, სწორედ ეს იყო ბაციკუკუ.

სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, საშინელი ქარი ამოვარ-  
და, ზღვის ზედაპირზე მრისხანე ტალები აიშალა, ნავი აათამაშა.

ძია დიქტორმა სწრაფად თავს უშველა, მიკროფონიანად გაქრა.  
ბაციკუკუ ხელებით ნავის კიდეს ჩააფრინდა და ყოჩალად უმკლა-  
ვდებოდა სტიქიის მძვინვარებას.

ყოველივე ეს წამში მოხდა. თაია ისე დაიბნა, შველა ვერ მოის-  
აზრა. ამასობაში ძლიერი ტალები ეკრანს მოასკდა. ცხადია, მი-  
ნამ ვერ გაუძლო, გასკდა და ზღვის მლაშე წყალი ოთახში გად-

მოთქლიშინდა. ნავი გადაყირავდა და ყოჩალმა მოგზაურმა პირდა-  
პირ სველ იატაკზე მოადინა ტყაპანი.

უმაღ მივარდა გოგონა, ტელევიზორი გამორთო და მოულოდ-  
ნელ სტუმარს ხელი დასტაცა. ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან ბა-  
ციკუკუ ერთიციცქნა აღმოჩნდა. თაიას იგი მოუხერხებლად ეჭირა.  
კაცუნა ასხმარტალდა, თან ყვიროდა:

— ახლავე ძირს დამსვი, ეს რა უზრდელობაა!

ხმაურზე კაბინეტიდან ვაჩე მამიკომ გამოიხედა, სამზარეუ-  
ლოდან — მართა ბებომ.

თაიას ბევრი არ უფიქრია, სტუმარი წინსაფრის მარჯვენა ჯიბე-  
ში ჩაიტენა. ეს წინსაფარი მართა ბებომ შეუკერა და მარჯვენა ჯიბე  
მარცხენაზე გაცილებით დიდი გამოუვიდა.

კაცუნამ თავი ამოყო, თვალები შიშით დაუჭყიტა.

— აქ შავი ხოჭოებია! არ მინდა შავი ხოჭოები!

— ხოჭოები კი არა, მზესუმზირაა! — სწრაფად ჩააჩუმა თაიამ.

— გონება გამინათდა! — ხმა ძლივს გაილო ბაციკუკუმ. — მზესუ-  
მზირა ძალიან მიყვარს!

— რა ხდება აქ? — ჩაიუივუივა ვაჩე მამიკომ.

— რა ხდება აქ? — მკაცრად იკითხა მართა ბებომ. — ეს რა წყა-  
ლი აქცევია?

— საყვავილე გადმომივარდა! — იცრუა თაიამ და ტილოს მოსა-  
ტანად გაიქცა. მისი ჯიბიდან გამალებული კნანაკნუნი გაისმა. მირ-  
ბოდა თაია და გზა-გზა მზესუმზირის ჩენჩო ცვიოდა...

კედლის რადიომ კი უცებ გამოაცხადა:

— უკანასკნელი ცნობის თანახმად, სახელგანთქმული დეტექ-  
ტივი ბაციკუკუ ზღვაში დაიღუპა!

## 8. პაციურუ გოგორობებს

— მე შენ გაგებუტე! — ამბობს ბაციკუკუ.

მაგიდაზე ფეხებგაბარჯლული დგას, თვალებს მრისხანედ  
აჭყეტს, თითს მუქარით უქნევს.

— დიახაც, შენთან ლაპარაკი არა მსურს!

ბაციკუკუ შეტრიალდება და გამალებით მიემართება მაგიდის  
მეორე კიდისაკენ. მერე ასევე სწრაფად ბრუნდება.

ბოლთასა სცემს, თან ლოყები ბრაზით ებერება.

— უზრდელი! — ნამოიძახებს. — ყანჩისფეხება! აქაოდა, გრძელი გავიზარდეო, თავი მოაქვს... ფიშ!.. უშნო!.. ბავშვი რომ ამოდენა გაიზრდება, ცხადია, უშნო იქნება!

— კარგი რა, ბაციკუკუ, მაპატიე! — თაიას თვალზე ცრემლი ადგება, თვითონაც ნაწყენია, მაგრამ შერიგება უნდა.

— როგორ გაბედე, თავხედო ყანჩავ, ჰაერში მაპროწიალე!.. მე შენ... მე შენ დუელში გამოგიწვევდი... პისტოლეტებზე... გოგო რომ არ იყო!

ბაციკუკუ კვლავ მაგიდის ბოლოსაკენ გარბის, შემობრუნდება, ხელს გამოიშვერს და მრისხანედ იძახის:

— ბარიერთან!

და ამ დროს ლოყები ისე სასაცილოდ ებერება, თაია ხელის-გულებში ფხუკუნებს.

— მერე იმ შენს ჯიბეში... — ვერ მშვიდდება ბაციკუკუ. — როგორ გაბედე და ჯიბეში ჩამსვი!.. იცი, მე ვინა ვარ?

— დე-ტექ-ტივი! — ძლივს აკონიწებს თაია.

— დეტექტივი?.. დიახაც! მერე როგორი?.. უ-უსახელგანთქმულები და უ-უმამაცესი!

— ოჟ! — თაია განცვიფრებულია.

— შენ კი ჯიბეში ჩამსვი, იმ... ფუ... შავ ხოჭოებთან!

— ეს ხომ მზესუმზირებია!

— ჰო! — უცბად მშვიდდება ბაციკუკუ. — სხვათა შორის, მეტი ხომ ალარ დაგრჩა გემრიელი მზესუმზირები?

თაიას პატარა ჯიბეშიც აქვს ერთი მუჭა მზესუმზირა.

— აჟა, მიირთვი! — თან ეხვენება. — შევრიგდეთ რა!

— შევრიგდეთ? — ბაციკუკუ მზესუმზირას აკნატუნებს, თან ჭოჭმანობს. — ჰო, კარგი, შევრიგდეთ, ოლონდ ჯიბეში მაშინდა ჩამსვი, როცა მომესურვება!

თაია იხდის და ლოგინში წვება.

— ძილი ნებისა, ბაციკუკუ! — ჩურჩულებს თაია.

— ძილი ნებისა, თაია! — პასუხობს ბაციკუკუ და სერთუკის კალთიდან მზესუმზირის ჩენჩოს იფერთხავს...

## 9. პარომოვრინდა

კაპ-კუკ! — ფანჯარაზე ისმის კაკუნი.

მოელი სახლი გასუსულა. თავის ოთახში მართა ბებოს სძინავს, კაბინეტში — ვაჩე მამიკოს. მართა ბებო მშვიდად ფშუტუნებს. ვაჩე მამიკო ხანდახან ნამოიუიფივებს, ესიზმრება, ბელურებთან ერთად დავფრთხიალებო.

სძინავს თაიას ოთახს, ტანსაცმლის კარადას, სკამს, მაგიდას...

მაგიდაზე ბაციკუკუ ზის, თვალი ფართოდ დაუჭყეტია და ასევე სძინავს.

ეზოში სძინავთ ხეებს, ვარდის ბუჩქს თაიას ფანჯარასთან, ღობეს და ბოსელს, ბოსელში — ძროხა ელპიტეს, ბოსლის სახურავზე — ფისო მირანდოლას, კიბესთან — ძალლ ბომბოს...

კაპ-კუკ! — ფრთხილი კაკუნი გაისმის ფანჯრის შუშაზე.

— ვინ არის? — კითხულობს თაია, შუშაზე კი — კაპ-კუკ!

თაია დგება, ფანჯარასთან მიირბენს, იყურება.

ცაზე მთვარე ქათქათებს, გარემოს ვერცხლის სხივებს აფენს, ბაღში ვერცხლისფერი ნისლი იბოლევება.

თითქოს პეპელა ფარფატებს მთვარის სხივში, შუშას ეხლება.

— ვინ არის? — კვლავ კითხულობს თაია, სარკმელს აღებს.

სარკმელში პანაწკინტელა გოგონა შემოფარფატდება, რაფაზე დგება.

— პანო ვარ!

— პან? — უკვირს თაიას.

ლამის სტუმარს ვერცხლის შარავანდი ახვევია.

— სარკმელი დახურე, ნიავი წამილებს! — ამბობს პანო.

თაია ხელს უწვდის. პანო ხელისგულზე გადმოფოფხდება.

— ხომ ლამაზი ვარ? — კითხულობს პანო.

მართლაც რომ! პანაწინა ტანზე ბრჭყვიალა, ფოფინა კაბა აცვია, ფეხებზე — ვერცხლის ქოშები, მხრებზე ოქროს კულულები აყრია, თვალები ორი ცისფერი წვეთივით უბრნებინავს.

თაია მაგიდაზე დასვამს ლამის სტუმარს.

— სალამი, ბატონო! — საამოდ წკრიალებს პანოს ხმა.

ბაციკუკუ შეკრთება, ელვიძება.

— თქვენ მე მიცნობთ?

— მთვარის სხივებზე რომ მოვრბოდი, ზღვაზე გიხილეთ. ბობო-ქარ ტალღებს უმკლავდებოდით!

— მე ბაციკუკუ ვარ!

— მე კი პანო! — პანაწყინტელამ მუხლები მოხარა და თავი მოხდენილად დაუქნია. — აქეთ მოვფრინავდი და ძირს დავიხედე! ძილი ეფინა ქალაქს, სახლებს, ქუჩებსა და ბაღებს... არსადა ჩანდნენ ლამის დარაჯნი... ქალაქის თავი სიზმრებს ებრძოდა... მტერს კი ამ დროს იქნება არ სძინავს!

— ფრთხილად, ძვირფასო პანო! — ამბობს ბაციკუკუ. — ეს საშიში სიწყნარეა!

— თქვენ მე დამიცავთ, ძვირფასო ბაციკუკუ! — ნაზად, ალერ-სით პასუხობს პანო და უცბად ჩივილით უმატებს: — ოჟ, დავილალე! თაია პანოს ნაზად აიყვანს, ბალიშზე გადასვამს.

— შემცივდა! — ამბობს პანო. — რამე დამაფარე!

თაია თვითონაც უკვე ლოგინშია. ვერ ბედავს საბნის კალთა გადააფაროს, ვაითუ პანოს ემძიმოს.

— შენი კულული გადამაფარე!

პანო თაიას თმებში გაეხვევა. პანოს თვალები — ორი ცისფერი ცვეთი მოჩანს მხოლოდ.

ფანჯარას რაღაცა ხვდება. უცხოს დრუნჩი შუშაზე მიუჭყლე-ტია და ოთახში იჭყიტება. თაია და პანო გასუსულან. ბაციკუკუ მაგიდაზე ზის, მშვიდად ფშუტუნებს, ჩასძინებია. უცხო ფანჯარას შორდება.

— ველარა გვნახა! — ჩურჩულებს პანო. — ძლივს გავასწარი!

— ვინ იყო?

— მთვარის სასახლის ცისფერ დარბაზში დედოფალს სძინავს.

— თვლემა ერევა და თითქოს ლექსად ტიტინებს პანო. — მე მისი სიზმრის ნაფლეთი ვარ... დიდხანს გეძებე!.. შემოგითვალა, ჩემო გოგონი, ნუ იდარდებო... ვერვინ დამიხსნის, „მზის ნიუარას“ თუ ვერ იპოვი!.. გაიზარდე და ეძიეო!.. ფრთხილად იყავი, მტერიც ეძებს და არ დაგასწროსო!.. ეს საიდუმლო თან მომქონდა, სხივზე მოვ-ქროდი. გზად დიდი ჯაჯუ შემეფეთა, მიწიდან ცამდე იკლაკნებოდა, უნდოდა თავის სიზმარში შევეტყუე... გამოვექეცი!.. იქ ჯა-ჯულია ხაფად კიოდა, ჩემის სიზმრის ლუკმა ხარო... მასაც გავექეცი!.. ის ონავარი პატარა ჯაჯუ, კატად ქცეული, კვალზე დამადგა, ფან-ჯრის შუშასთან მიმიმწყვდია...

ასე ტიტინებს ციცქნა პანო. უფრო და უფრო ხმას უკლებს, თა-იას თითქმის აღარ ესმის.

— ოჟ, მეძინება! — ნიავივით ამოისუნთქა. — ოჟ, მეძინება!.. ძილი ნებისა, თაია, ძილი ნებისა, ბაციკუკუ! ახლა ძილში გავიპარები!

პანოს თვალები — ორი ცისფერი წვეთი ქრება... თაიას თვალი ეხუჭება... ეძინება...

## 10. მირანდოლა განაცყენდა

მირანდოლა განაცყენდა... ვაჩე მამიკოზე, მართა ბებოზე, ცოცხ-სა და აქანდაზზე, ყველაზე და ყველაფერზე, რაც ამ სახლშია, სახ-ლის კედლებზე, იატაკსა და ჭერზე, ფანჯრებსა და კარებზე, და, რა თქმა უნდა, თაიაზეც.

ფისო მირანდოლა ბოსლის სახურავზე აფოფხებულა, წევს, ძილი დაფრთხობია, გადაჰყურებს მთვარით განათებულ ეზო-გარემოს და შურისძიებაზე ფიქრობს.

ბოსლში ძროხა ელპიტე იცოხნება, მთელი ლამე პირი არ გაუ-ჩერებია.

კიბესთან ძალი ბომბო წკმუტუნებს, საკუთარ სიზმრებს ეო-მება.

ბუჩქებში შრიალი ისმის, ალბათ ზღარბი დადის, ან თხუნელა, ან იქნება ვირთხა...

არა, ეს არც ზღარბია, არც თხუნელა, არც ვირთხა... ბუჩქებიდან ბომბორა კატა გამოძრა, უჩუმრად გადაჭრა ყვავილნარი, თაიას ფანჯარასთან მიიპარა. იმოდენაა, უკანა თათებზე რომ შედგა, დრუნჩი შუშას მიადო... რას ეძებს? რა უნდა?

მირანდოლამ ხმადაბლა ჩაჰკნავლა:

— ნათესავო, ჰე-ე!

სტუმარმა თავი მოაბრუნა, თვალები გააკვესა. წამოვიდა, ბოს-ლის სახურავზე ტანი შეისროლა და მირანდოლას გვერდით ალ-მოჩნდა.

მირანდოლა ნაზად აკრუტუნდა, ბენვზე ენა მოუსვა. ასეთი ლა-მაზი და დიდი კატა ჯერაც არ ენახა.

სტუმარმაც ენა აუსვა.

გვერდიგვერდ წვანან და ჩუმ-ჩუმად კრუტუნებენ. პანო გამექ-ცაო, ჩივის სტუმარი, ციური სიზმრის ნაფლეთიაო. თაიას ბალიშზე სძინავს. მინდა შევიდე და დავიბრუნო, მაგრამ კარი ჩარაზულიაო.

ჰო, მეც გამომაგდესო, პასუხობს მირანდოლა, დამჩაგრეს და გული მატყინესო. სამაგიეროს გადახდა მწადია, მაგრამ როგორო.

უნდა დამეხმაროო, თხოვს სტუმარი, ენით ალერსიანად ლოკავს. თაგვად გადაგაქცევ, შეცუნცულდი და გამოიტაცეო.

მირანდოლას თაგვის ტყავში ყოფნა ეზიზლება, თანაც ეშინია, ვაითუ თაგვად დავრჩე, ანდა შემოგეჭამოო.

სტუმარი წამოიწია. რაც იყო, იმაზე დიდი გამოჩენდა, ზურგი აიზინეა და ავად შესჩეავლა — „ფჩხი!“ მირანდოლა გულგახეთ-ქილი გადმოფრინდა, მიწაზე დაებერტყა და პანია თაგვად გასუნ-სულდა.

თავზარდაცემულმა მოიხედა. უზარმაზარი კატა გადმოპყურებდა ბოსლის სახურავიდან, წითელ თვალებს აბრიალებდა, თვითონ კი იმ კატის კბილის ოდენაც არ იყო.

— ვინ ჩავის მანდ? — უკაყოფილოდ დაიზმუილა ელპიტემ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

გაცუნცულდა მირანდოლა, კედლის ძირში თაგვის სოროს მიაგნო. შიგ შეძვრა და მაშინდა მოაწვა სინანული. ვაი, სირცხვილი! ამ სოროებში ხომ მისგან დაშინებული წრუნუნები იმაღებოდნენ. ჰო-ჰო, თუ გაიგეს, ვინც შემოიპარა, ცოცხლად აქედან არ გაუშვებენ!

შიშისაგან აცახცახებული მირანდოლა გაიქც-გამოიქცა და ოთახში შესაძრომი იპოვა.

მშვიდადეძინა თაიას. მაგიდაზე ბაციკუკუ უსტვენდა ცხვირით. საათი ფხიზლობდა კედელზე. თაგვის დანახვაზე ტიკტიკა მოუმატა, მაგრამ მთელ სახლს ძილქუში დასწოლოდა და ვერავინ გააღვიძა.

მირანდოლა საწოლის ფეხზე აძვრა. საწოლს არ ესიამოვნა, ძილ-ში აჭრაჭუნდა. არც საბნის კალთას ესიამოვნა, კინაღამ გადმოაგდო. ბალიშიც კი, სადაც თათებს დაადგამდა, იქ იჩუტებოდა, მაგრამ ბალიშს სიმსუქნე მორეოდა და ღონე აკლდა.

მირანდოლამ პანო ფრთხილად დაითორია და ზურგზე მოიგდო.

— სადლაც მივემგზავრები! — ძილში ჩაიჩურჩულა პანომ.

მირანდოლამ სწრაფად გაიარა თაგვების ხვრელი, პანო გარეთ გასვა, თვითონ კი შიგ დარჩა.

— ე-ი, არ გამოდიხა? — კრუტუნით მოიხმო სტუმარმა.

— ოჲ, არა, აქაც არა მიშავს! — მორცხვად უპასუხა მირანდოლამ. — იმედია, თაგვად არ დამტოვებთ და კვლავ ნათესავები აღ-მოვჩნდებით!

— გამოდი, უნდა მოგეფერო!

მირანდოლამ ხმა გაკმინდა, კარგად ახსოვდა, თვითონ როგორ ეფერებოდა თაგვებს.

— მგონი მომიტაცეს! — გამოფხიზლდით უცებ პანო. — ვაიმე, მომიტაცეს!

პანოს ხმა ელპიტეს მისწვდა, ცოხნა შეწყვიტა, ბოსლიდან თავი გამოყო და იკითხა:

— მუა.. ვინაა, აქ რომ დაეხეტება?

— ხმა ჩაიწყვიტე, ჩერჩეტო ძროხავ! — ბრაზით დაუცაცხანა ბომბორა კატამ და პანო აიტაცა.

ამასობაში მირანდოლა გარეთ გამოძვრა, ოლონდ თაგვის სოროს დიდად არ გასცილებია. კვლავ კატად გადაქცეულიყო, თუმცა თვითონ ეგონა, ჯერაც თაგვი ვარო.

ელპიტეს უცხო კატისა არ შეშინებია, მოალო პირი და ზმუის:

— არიქა, ბომბო, მუ-უ!

ბომბო დაფეთებული წამოვარდა და გამორბის:

— ჰამ, ჰამ, ვინ დაეხეტება აქ?!

მირანდოლამ, ძალმა პირი არ გამკრასო, კვლავ სოროში დურთა თავი, მაგრამ ის ხომ უკვე კატა იყო და შიგ დრუნჩით გაიჭედა. ტკივილისაგან აჩხავლდა, თხხივე ფეხით უკან გაიწია და ძლივს გამოძვრა.

უცხო სტუმარი ღობეს გადაევლო. ბომბო მიჰყვა. მთვარით გან-ათებულ შარაზე დაბნეული შეჩერდა.

კატა არსად ჩანდა, შარაზე კი ვიღაც ბიჭი გარბოდა...

## 11. ბაციკუპების განვითარებულია

მზემ ფანჯარაში შემოიჭყიტა. თაიამ თვალი გაახილა, მიიხედ-  
მოიხედა, პანო ვერსად იპოვა.  
დალონდა.

უცებტირილის ხმა მოესმა.

მაგიდაზე ბაციკუპუ ზის. თვალიდან კურცხალი გადმოგორე-  
ბია და ახლა ლუპით ათვალიერებს.

— გონება გამინათდა! — მწუხარედ თქვა ბაციკუპუმ. — შეყ-  
ვარებული ვარ!

— როგორ მიხედი? — თაიას თვითონაც ძალიან უნდოდა შეყ-  
ვარებული ყოფილიყო, მაგრამ მართა ბებოს, ვაჩე მამიკოს, ძროხა  
ელპიტეს, ძალლ ბომბოს, ფისო მირანდოლას, სახლისა და ეზო-  
გარემოს გარდა, ცოტათი სკოლისა და ცოტათი სკოლისაკენ მი-  
მავალი გზის გარდა, ლურჯი მდინარისა და მწვანე მდელოს გარ-  
და, ყვავილებისა და ხილის გარდა... (მთელ სიას აქ ვერ დავატევ!)  
არავინაც არ უყვარდა.

— გული სხვანაირად მიცემს! — ამოიოხრა ბაციკუპუმ. — ტირ-  
ილი მინდება, ასეთი კურცხალი არასოდეს ჩამომვარდნია უპედან.  
ესე იგი, ან ავადა ვარ, ან შეყვარებული. სიცხე მე არა მაქვს,  
ცხვირს არ ვაცემინებ, თავი არ მტკივა, მაშასადამე ავად არა ვარ!..  
აქედან დასკვნაც იოლია! კაცი თუ ჯანმრთელია და მაინც ტირის,  
ის შეყვარებულია! ოლონდ ეგ არის, — მოწყენით დააბოლოვა ბა-  
ციკუპუმ, — არ ვიცი, ვინ შემიყვარდა!

— რა ჭკვიანი ხარ, ბაციკუპუ! — აღფრთოვანდა თაია. — მეც  
არა ვარ უჭკუუ და ვიცი, ვინც შეგყვარებია!

— ნუ დასცინი შენს მეგობარს! — თავი ჩაქინდრა ბაციკუპუმ. —  
ძნელია ჩემი გაბზარული გულის გამრთელება, მაგრამ თუ მივხ-  
ვდები, ვინც შემიყვარდა, ეს ცოდნა წამლად დამედება!

— პანო შეგყვარებია და ვერ ხვდები!

— პანო? — თვალი დაჭყიტა ბაციკუპუმ.

— დიახ! წუხელ თქვენ ისე უყურებდით ერთმანეთს... ისე, ისე,  
რომ... „პანო!“ „ბაციკუპუ!“ — გამოაჯავრა თაიამ. — იმწამსვე გავ-  
იფიქრე!

— აქამდე როგორ ვერ მივხვდი! — ბაციკუპუმ შუბლზე ხელი  
იტკიცა. — რა თქმა უნდა, ჩემი გული მთლიანად პანოს ეკუთვნის!

— მეგობრებისთვისაც ხომ დარჩა ცოტათი ადგილი? — ეშ-  
მაკურად გაიცინა თაიამ.

— პანო ჩემი გულის დიასახლისია, იგი ჩემს მეგობრებს კარს არ  
მიუკეტავს! — საზეიმო კილოთი წარმოთქვა ბაციკუპუმ.

— სამწუხაროდ, პანო გაქრა! — თაიამ ხელები სინანულით გა-  
შალა.

— ვიცი, ჩვენი მტრების ოინებია! — ბაციკუპუმ მკერდზე მჯიდი  
დაიკრა. — ისინი ვერსად წამივლენ! მთავარია დედუქციური მე-  
თოდი!

## 12. ბაციკუპების განვითარებულიასა სცენები

ბაციკუპუ მაგიდის კიდეზე შეყოვნდა, თითი ასწია და გაიმეორა:  
— დიახ, დედუქციური მეთოდი!

თაიამ არ იცის, რას ნიშნავს „დედუქციური“, მაგრამ ეშინია,  
ბაციკუპუს ფეხი არ დაუცდეს და იატაკზე ძნევება არ მოაღინოს.

ბაციკუპუ ყოჩალად შეტრიალდება, ლიპს წინ გაიგდებს და მაგი-  
დის ბოლოსაკენ გაექანება, იქიდან კვლავ აქეთ, მაგიდის კიდი-  
საკენ...

თაია საწოლზე ჩამომჯდარა და თვალებგაფართოებული უყუ-  
რებს „დედუქციური მეთოდით კვლევას“.

— ჩემი მასწავლებლის შერლოკ ჰოლმისის მეთოდია! — ამაყად  
განაცხადა ბაციკუპუმ. — დიდხანს ვიცხოვრე მის ბინაში, ბეიკერ-  
სტრიტზე, კუთხის კარადის ქვედა უჯრაში. გასაღების ჭუჭრუტა-  
ნიდან ვუთვალთვალებდი ყველაფერს და ძირისძირობამდე ავით-  
ვისე მისი მეთოდი!.. დიახ!

ბაციკუპუმ ზურგზე შემოიწყო თავისი მოკლე, კოტიტიტა ხელე-  
ბი და კარგა ხანს ირბინა წინ და უკან.

— დიახ!.. რაც კი იცი, ტვინში უნდა გადახარშო და დასკვნაც  
გამოიტანო, აი, ესაა დედუქციური მეთოდი!.. რა გვაქვს ამ წუთისა-  
თვის? — თითი ჰაერში გააქნია. დიდრონი, მრგვალი თვალები დაჭ-  
ყიტა, განვართული ულვაშები ააცმაცუნა, დაიკვლანა და ცხვირი  
დააცემინა: — დიახ!.. ესე იგი ჩოჩორი ბენტო ჭალაში ჩავიდა და  
გაქრა. უნდა მოვიაზროთ, სად წავიდოდა? ფრთები არა აქვს, ვერ

გაფრინდებოდა!.. თხუნელა არ არის, მიწაში ვერ ჩაძვრებოდა!.. ესე  
იგი გააქრეს!.. ვის უნდა გაექრო?

ბაციკუკუ კვლავ ბოლოასა სცემს, თითს ხან ერთ საფეოქელზე  
იტაკებს, ხან მეორეზე, ხანაც ხელისგულით შუბლზე ტკაცანს გა-  
ადენს.

— მეტოქემ?.. უკეთესი მომღერალი ჩოჩორი მე არ გამიგონია!..  
იქნებ ბენტოს სატრფო ჰყავს?.. ის კი სხვა ვირს შეჰყვარებია!..  
ბოლო-ბოლო ტლინკებს მიაყრიდა, სხვანაირად ვირები არ ჩხუ-  
ბობენ!

ბაციკუკუ მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა, მოკლე ფეხები ააქანავა  
და ცოტა ხნით დადუმდა.

— დიახ! — კვლავ გამოცოცხლდა. — ბენტო ჯადოქრებმა გა-  
აქრეს, ამას მკარნახობს დედუქციური მეთოდი!

— მეთოდი არ ვიცი მე! — განაცხადა თაიამ. — მე რომ ვყოფილ-  
იყავი, ჯადოქრებსაც ტლინკებს მივაყრიდი!

— ჯადოქრები კი ადგებოდნენ და კუნძად გაქცევდნენ! ამიტომ,  
— წამოპაჯაბაჯდა ბაციკუკუ, — ტლინკები ვირებს დავუტოვოთ,  
ჩვენ კი სასაუზმოდ გავემართოთ! სასადილოდან სასიამოვნო სუნი  
გამოდის!

### 13. ბაციკუკუ მასპინძლებს ეცნობა

— უკეთესი იქნებოდა, ძველებურად კაციჭამია ყოფილიყავი!  
— უკმაყოფილად ჩაიბუზლუნა მართა ბებომ.

ვაჩე მამიკო ცდილობს თევზიდან მანანის ფაფა ამოკენკოს და  
ცხვირ-პირი ერთიანად მოეთხუპნა.

— ღმერთმა გვაშოროს! — ზრდილობიანად შეაწია ბაციკუკუ.  
თუ იცით, საიდან?.. თაიას წინსაფრის ჯიბიდან!

თაია გატრუნული ზის, ხანდახან ხელს გააპარებს და ჯიბეში  
პურისა და ყველის ფინჩხს იყრის, ბაციკუკუ კი მოხერხებულად  
მოკალათებულად და გემრიელად ილუკმება.

— ვინა თქვა, ღმერთმა გვაშოროსო? — ყური ცქვიტა მართა  
ბებომ.

ვაჩე მამიკო ხელსახოცით პირს იწმენდს და ხმა ვერ ამოულია.

— მე ვთქვი! — თავი ჩალუნა თაიამ.  
ბებია ეჭვით უყურებს.

— თითქოს კაცის ხმა იყო, ყელი ხომ არ გაგიცივდა?

— არა, კარგადა ვარ! — თაიას ცხვირი თეფშში ჩაურგავს, მზე-  
რას მალავს.

— ჩაი მინდა! — ჩურჩულებს ბაციკუკუ.

თაიას ჩაი სულაც არ უყვარს. სანრუპავ ჩხირს ჭიქაში ჩაყოფს,  
მეორე ბოლოს კი — შეუმჩნევლად ჯიბეში. ბაციკუკუ გულმოდ-  
გინედ წულნის.

მართა ბებო სათვალეს ისწორებს. შვილიშვილს ჭიქისთვის პირი  
არ მიუკარებია, ჩაი კი თავისთავად იკლებს.

— ბებიას მოტყუება სირცევილია! — უკმაყოფილოდ ამბობს. —  
ჭკვიანი გოგონები ჩაის ჯიბეში არ ისხამენ!

მისწვდა მართა ბებო, ჯიბეში ხელი ჩაუყო და დამდულრულივ-  
ით შეჰყივლა:

— უი, უი, უი!

ვაჩე მამიკოს ხელსახოცი გაუვარდა, თან დაბნეულად იკითხა:

— რა იყო? რა მოხდა?

მართა ბებოს სერთუკისათვის თითები ჩაუვლია და ასე უჭირავს  
ასხმარტალებული ბაციკუკუ.

— ახლავე ხელი გამიშვით! ეს რა უზრდელობაა! — ყვირის ბა-  
ციკუკუ.

მართა ბებოს კი ხელის გაშვება ვერ მოუფიქრებია.

— არ დააგდო, ბებია, ეტკინება! — წივის თაია.

მართა ბებომ თითები გაშალა, ბაციკუკუ ჰაერში ამოტრიალდა  
და „თხლაპ!“ — პირდაპირ ფაფის ქვაბში...

ბაციკუკუს პირი ფაფით გამოეტენა, ძლივს გადაყლაპა და ბრა-  
ზით დაისისინა:

— დიახ, მარილი აკლია!

— რა ქენი, ბებია! — თაიამ ცრემლი გადმოყარა, მეგობარს ხელი  
გაუწოდა, ფაფის ქვაბიდან ამოიყვანა და სუფთა თევზზე დასვა.

— ეს ვინ არის? — იკითხა გონისმოსულმა ვაჩე მამიკომ.

— ეს ვინ არის? — იკითხა დარცხვენილმა მართა ბებომაც.

— მე ვარ ბაციკუკუ, სახელგანთქმული დეტექტივი და მეცნი-  
ერებათა მეცნიერი! — საცოდავად შეეპასუხა ბაციკუკუ, თავპირზე

და ტანზეც ფაფა ღვარად ჩამოსდიოდა. — ღირსეულ სტუმრებს  
თქვენ ცუდად ხვდებით! თაიას პატივისცემა რომ არა, ახლავე დუ-  
ელში გამოგიწვევდით!

— რატომ არ გვითხარი, შვილო, სტუმარი თუ გყავდა! — თაიას უსაყვედურა ვაჩე მამიკომ.

— მეგონა, დამიშლიდით! — მჯილით თვალები ამოისრისა თაიამ.

— გვაპატიე, სტუმარო, ახლავე გაგისუფთავებ მაგ ტანსაც-მელს! — მართა ბებომ სუფთა ხელსახოცი აიღო და ფაფით მოთხევრილი სტუმარი წუთში გაწმინდა, თან, რა თქმაუნდა, წალმა-უკულმა ატრიალა და ბაციკუკუმ პირზე მომდგარი მწარე-მწარე სიტყვები ვეღარა თქვა.

— ფაფას ხომ არ აკენკავდით? — ზრდილობიანად ჰკითხა ვაჩე მამიკომ.

— უმჯობესია თეფშზე გადმოგიღებთ! — გულითადად შესთავაზა მართა ბებომ.

## თავი 11. ბირი ჯუჯუს ოჯახი



### 1. ვინ დადის სკოლაში აძლევით?

— აი, აქ იყო! — თაიამ ჩანთა ძირს დადო.

ნინადლეს სწორედ ამ ადგილას შემოეყარა მომლერალი ჩოჩორი ბენტო. მიბაკუნებდა თავისითვის და ტკბილად ყროყინებდა.

ბაციკუკუმ ჯიბიდან თავი ამოყო, მიიხედ-მოიხედა.

— დედუქციური მეთო-დით თუ ვიმსჯელებთ, — თქვა დინჯად, — ჭალაში ნაკვალევს ვერ აღმოვაჩენთ, რადგან ბენტოს ზევიდან დასტაცეს ხელი და ასე წაიყვანეს!

— ვინ გითხრა? — ურწმუნოდ ჩაეკითხა თაია.

— გონებამ! — ბაციკუკუმ თითი ამაყად მიიღო შუბლზე. — აგერ შარგზაზე ამჩნევია უმნიშვნელო ნაკვალევი, თუ არ ვცდები, გამხდარი კაცისაა... აბა, ძირს დამსვი, ახლოდან დავათვალიერო!

თაიამ ბრძანება უმალვე შეასრულა. სახელგანთქმულმა დეტექტივმა ლუპა მოიმარჯვა და გზაზე ფორთხვა დაიწყო.

— დიახ!.. უფრო სწორად, გამხდარი ბავშვისაა, ალბათ გოგონასი...

— ეს ჩემი ნაკვალევია! — თაიამ ჩანთას დაავლო ხელი.

ბაციკუკუ გაირინდა, მინას ყური დაადო და წამოხტა:

— ამიყვანე ჩქარა!

თაიამ ბაციკუკუ ჯიბეში ჩაიბრუნა.

მოიხედა და გაკვირვებისაგან პირი დააღო.

შარაზე აქლემი გამოჩნდა... მოდის, მოაბიჯებს ამაყად. მოლე-რებულ კისერზე ეუვანი ჰკიდია. დინჯად მოირწევა და ამ თავის ეუვანს — წინლინ-წინ, წინლინ-წინ... — მოაწკარუნებს.

ორ კუზს შორის ბიჭი მოკალათებულა მოხერხებულად. მელნით დალაქავებული ჩანთა მუხლებზე უდევს და თვითონაც ირწევა.

წითური, ჭორფლიანი პირისახე მოაბრუნა, ჭროლა თვალები დამცინავად შეავლო და დაეჯლანა:

— ჰიპ, ბუზი არ გადაგეყლაპოს!

— ჰიპ! — აგდებით შეეპასუხა თაია, აქაოდა შენი ფრჩისილისოდენაც არ მეშინიაო, თუმცა გული კი შეუქანდა.

ბიჭმა, იმ საძაგელმა, პირი მომუწა და დაუბერა. ისეთი ქარი ატყდა, მტკრის კორიანტელი დააყენა, გოგონას თვალებში შეეყარა.

— მაიმუნო, ჭორფლიანო! — შეუძახა თაიამ.

— ყანჩა, ყანჩა! — უპასუხა ბიჭმა.

ამ დროს ბაციკუკუმ ამოყო ჯიბიდან თავი, თითები პირში ჩაიდო და ისე დაუსტვინა, კინალამ ცა ძირს ჩამოილო.

აქლემი შიშისაგან შეკუნტრუშდა და ძუნძულით გაუტია. ბიჭი კუზს ჩააფრინდა, თან სასაცილოდ ხტუნაობდა.

— ყოჩალ, ბაციკუკუ, ეგრე მაგას! — აკისყისდა თაია და გაქ-ცეულებს გამოუდგა.

ბაციკუკუმ კი ჯიბიდან ჯაყჯაყით ამოსძახა:

— ნე-ელა, თა-აია, არ და-აგივარდე!

ასე შეცვივდნენ სკოლის ეზოში.

კიბის თავზე ქალბატონი დირქექტორი იდგა და დოინჯშემოყ-რილი უყურებდა აქლემით მობრძანებულ ბიჭს.

— მეხუთეკლასელო ჯაჯუ! დაიხსომე, სასტიკად იკრძალება სკოლაში აქლემით სიარული! მოსწავლე რომ აქლემზე შევსვათ, მასწავლებელი რაზე უნდა შევაჯინოთ, მაგალითად?

მერე თაიას გადმოხედა და ბუზღუნით ჰკითხა:

— გაკვეთილი თუ იცი, გოგო, შენ?

ყველას ასე ეკითხებოდა და ამიტომაც ბავშვებმა მეტსახელად „გაკვეთილითუიცი“ შეარქეს...

## 2. აბეზარიშავა

ჰო, ჰო, ჰო!.. ნამდვილად ეშმაკს გადმოუვარდა აბგიდან. ჯაჯუ-ბიჭზე ხელიდან გავარდნილი და საძაგელი ვინმე ალბათ დედამი-ნის ზურგზე არავინ დაიბადება. ჭროლათვალება, ჭორფლიანი და წითური რომაა, ეს უკვე ვთქვით. თმებში მუდამ მელანი აცხია, რა-დგან თავს კალმით იფხანს. იდაყვი და მუხლები გადაყვლეფილი აქვს. კურტაკზე ლილი არ უჩერდება. სრული ოროსანია, რამდენი გაკვეთილი ჩაუტარდებათ, დღიურში იმდენ ორიანს ჩაუხატავენ ლამაზად. თუმცა ჯაჯუს ეს სულაც არ ადარდებს. როგორც კი ეზო-ში ჩავა, ის ორიანები ამოცვივდებიან, ჯარისკაცებივით ჩამწკრი-ვდებიან და სხვა კლასებისაკენ მიემართებიან, რათა ზარმაცი და ანცი ბავშვების დღიურებში მოკალათდნენ...

ყოველივე ეს ხომ ორ-სამ დღეში გაირკვა. დღეს კი პირველი გა-კვეთილი გეოგრაფიისაა და მეხუთეკლასელებს პატიკო მასწავლე-ბელი უტარებს.

— გეოგრაფია ჩემი უსაყვარლესი საგანია! — განაცხადა ბაცი-კუკუმ. — პატარაობისას გლობუსში ვცხოვრობდი. ის გლობუსი ერთი სწავლულის კაბინეტში იდგა და მისგან ბევრი რამე ვისწა-ვლე. ხანდახან მომწყინდებოდა, დავატრიალებდი და საპრალო სწავლულს გულს ვუხეთქავდი...

ბაციკუკუს ჩურჩული პატიკო მასწავლებელმაც გაიგონა და საჩვენებელი ჯოხი მერხზე დააკაკუნა.

— ვაჩნაძე! შენ არც ისე პატარა ხარ, სკოლაში თოვინა რომ ატარო!

თაიას უნდოდა ეთქვა, თოვინა კი არა, სახელგანთქმული ბაცი-კუკუა, რომლის შესახებაც ძია დიქტორმა ტელევიზორში გამოაც-ხადა, მაგრამ სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ჯაჯუ-ბიჭი შემო-ვიდა. ალბათ აქლემი დააბინავა და ამიტომაც დააგვიანა.

— ბავშვებო, ჯაჯუ-ბიჭი თქვენი ახალი ამხანაგია! — გამოაც-ხადა პატიკო მასწავლებელმა. — დღეის იქით თქვენს კლასში ივლის!

თაიამ ხელი ასწია.

— ესეც ახალი ამხანაგია, ჩვენთან ერთად ივლის!

პატიკო მასწავლებელს გაუკვირდა, აკი თოჯინა მეგონაო.

— მე გახლავართ ბაციკუკუ! — დინჯად თქვა სახელგანთქმულ-  
მა დეტექტივმა. — გეოგრაფიას სიამოვნებით შევისწავლი, რად-  
გან საჭიროა დეტექტივმა კარგად იცოდეს, რომელ ქვეყანაში ჩა-  
მოვარდა ტელეეკრანიდან!

— დიახ, დიახ! — ნირი ეცვალა პატიკო მასწავლებელს, ეტყობა  
ასეთი მოსწავლე არასოდეს ჰყოლია.

ჯაჯუ-ბიჭმა მერხს რომ ჩაუარა, თაიას დაეჯლანა, თანაც ისე,  
წითურ მაიმუნს დაემსგავსა. თაიამაც ენა გამოუყო, რაც პატიკო  
მასწავლებელს არ შეუნიშნავს.

საჩვენებელი ჯოხით ნახევარსფეროების რუკასთან მივიდა და  
გაკვეთილის ახსნას შეუდგა.

ბაციკუკუ თვალებდაჭყეტილი უსმენდა. ჯაჯუს კი თანდათან  
ჩასთვლიმა. მასწავლებლის ხმა ნაკადულის რაკრაკივით ჩაესმო-  
და, ერთ ყურში შეუდიოდა, მეორედან გამოუდიოდა, თავში კი,  
ცხადია, არაფერი რჩებოდა.

დანარჩენი ბავშვები ქირქილებდნენ, ერთმანეთს იდაყვებს  
ჰკურავდნენ, შეხედეთ, ახალმა მოწაფემ რა გემრიელად გაუტიაო.

პატიკო მასწავლებელმა ახსნა შეწყვიტა, ფეხზე წამოაყენა და  
ჰკითხა:

— აბა, ჯაჯუ, მიპასუხე, აღმოსავლეთი საითვენაა?

ჯაჯუს ტვინი არ უჭყლეტია, ისე უპასუხა:

— დასავლეთში!

— როგორ? — გაუკვირდა მასწავლებელს.

— როგორ და ეგრე! — თითო რუკისაკენ გაიშვირა ჯაჯუმ.

აღმოსავლეთი გაცურდა, დასავლეთში გადაინაცვლა, დასავ-  
ლეთმა — აღმოსავლეთში, შუა გზაზე ერთმანეთს თეთრი ქუდები  
მოუხადეს.

პატიკო მასწავლებელი სიბრაზისაგან გაფითრდა, მუშტი მაგ-  
იდაზე დასცხო და ბრძანა:

— ახლავე დატოვე კლასი და დედაშენი მოიყვანე!

ჯაჯუ-ბიჭმა უტიფრად ჩაიბურტყუნა:

— არა!

— როგორ თუ არა?

— არ მინდა და იმიტომ არა! — ჯიუტად გაიმეორა ჯაჯუ-ბიჭმა.

ამ დროს საოცარი რამ მოხდა. ჯაჯუ-ბიჭმს სიტყვა დამთავ-  
რებულიც არ ჰქონდა, უცბად ადგილს მოსწყდა და თავით პირდა-  
პირ ლია ფანჯრისაკენ გაფრინდა, თან უკან თავისი დალაქავებუ-  
ლი ჩანთაც მიჰყვა.

თქვენ ალბათ იფიქრეთ, ჯაჯუ-ბიჭმს და მის ჩანთას ფრენა ცო-  
დნიათ.

ყველაფერი იმით აიხსნება, რომ ბაციკუკუ გაჯავრდა. ბაცი-  
კუკუ თუ გაჯავრდა, უზომოდ ლონიერი ხდება. ამოდენა ბიჭმს ქუ-  
სლებზე ხელი რომ ამოსდო, ფანჯრისაკენ მოისროლა და ჩანთაც  
უკან მიაყოლა.

ჯაჯუ-ბიჭმი მეორე სართულის სიმაღლიდან თავზე დაეცა ფიზ-  
კულტურის მასწავლებელ ოხოხოს. ჯაჯუს კი საკუთარი ჩანთა  
დაეცა თავზე და დარეტიანებულმა, დაბოლმილმა ბიჭმა აქლემს  
მიაშურა.

ფიზიკულტურის მასწავლებელი ოხოხო კარგა ხანს ეგდო ძირს.  
მერე ერთი ამოიხხვა — „ოხ-ოხ-ო!..“ — აქაოდა რა საშიში პროფე-  
სია მაქვსო და წამოდგა, თან იმას ფიქრობდა, პატარა კაცს ყველა  
თავზე ახტება, თორემ მე რომ ნოტარიუს კოკოს ადგილას ვიჯდე,  
ვინ რას გამიხედავდაო.

პატიკო მასწავლებელმა რუკა ჩამოხსნა, ხან ასე შეაბრუნა, ხან  
ისე, მაგრამ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთში რომ აგერ-  
ევა, ძნელია, ხელახლა თავთავიანთ ადგილზე დააბრუნო. ამასო-  
ბაში ოკეანებისა და ზღვების წყალი ჩამოექცა, მერე კონტინენ-  
ტები ჩამოუცვიდა, დაბოლოს, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ყინუ-  
ლეთი ჩამოიხერგა და დაფასთან თოვლ-ყინულის გორა დადგა.  
საკლასო ოთახში აცივდა, გარეთ კი ისე ცხელოდა, ხის ფოთლები  
ძლივსლა სუნთქავდნენ.

თაია ვაჩინაძე ფანჯარასთან იჯდა. ხანდახან მზერას გზისკენ გაა-  
პარებდა. იქ ხეებს მიღმა ჯაჯუ-ბიჭმი თავის აქლემს მიაქანებდა.

— ბაციკუკუ! — ჩასრურჩულა თაიამ. — რა ღონიერი ყოფილ-  
ხარ!

### 3. ჩალგატონი ჯაჭულია

ის იყო, გაკვეთილი თავდებოდა, გარედან წკარუნი მოისმა. თა-იამ ფანჯარაში გაიხედა და გაკვირვებისაგან დაიძახა: „აჟ!“ ბავშ-ვები წამოიშალნენ და ფანჯრებს მისცვივდნენ. პატიკო მასწავლე-ბელმა მკაცრად თქვა: „აბა, აბა!“ მაგრამ თვითონაც დაინტერესდა და ფანჯარაში გაიხედა.

უყურებენ და თვალებს არ უჯერებენ! შარაზე, სადაც აქამდე ტრამვაის ხაზი არ გადიოდა, ახლა ჭრელი ტრამვაი მორახოახებს. მუშების ბრიგადა გზა-გზა ლიანდაგებს უგებს. ტრამვაი რომ გაივ-ლის, უკანა ლიანდაგს აყრიან და წინას წაუმატებენ, ასე მოიწევს ჭრელი ტრამვაი, თან ზარს მოაწკარუნებს... შიგ ერთადერთი მგზავრია — ჯაჯუს დედიკო ჯაჯულია. ფართო დივანი წამოუღია, ჭურჭლის კარადა და სასადილო მაგიდა, სიროფიანი ქილები და გაზეურა... გაზეურაზე ტაფამწვარი შიშინებს... იმსიმსხოა ქალ-ბატონი ჯაჯულია, დივანზე ძლივს ეტევა. პირს დააღებს, ტაფამწ-ვარს გადასანსლავს, სიროფიან წყალს კათხით დააყოლებს... ხელ-ში სანიავებელი უჭირავს, საკლასო დაფის სიფართისა იქნება. ოფლინურწურით ჩამოსდის და სულ „ოჟ, ოჟ!“ — ხვენეშის.

ტრამვაი ეზოში შემოგრიალდა, კიბეს მოადგა. ქალბატონ ჯაჯუ-ლიას ჩამოსვლა არ შეუძლია, ან რისთვის უნდა ჩამოვიდეს, სკო-ლის კარებში მაინც ვერ შემოეტევა.

— ოჟ, ოჟ, ჩქარა მითხარით, თორემ სიცხისაგან ავორთქლდები!

— ქალბატონი ჯაჯულია სანიავებელს მალ-მალე იქნევს.

პატიკო მასწავლებელი დაბნეული ლუღლუღებს:

— ქალბატონო, ქალბატონო!.. უკაცრავად, მაგრამ ძალიან ან-ცია, დიახ, ნამდვილი ჭინკა!

ჯაჯულიას თვალებიდან ბოროტი წაპერწკლები ცვივა.

— ოჟ, ოჟ, ნახეთ, ნახეთ, რამდენი ჭინკაა, ჭინკა-მაიმუნი რამ-დენია!..

— ქალბატონო, ქალბატონო, რას ამბობთ, რას ამბობთ?..

მაგრამ ქალბატონი ჯაჯულია უკვე ვეღარ ისმენს. „ოჟ, ოჟ, სიც-ხისაგან ავორთქლდები!“ — და მართლაც თანდათან ორთქლდება, ორთქლდება... წულიც და სულაც აორთქლდა, მერე ტრამვაიც აორთქლდა, ლიანდაგიც, მუშებიც...

გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, კლასში ჭყვირილი გაისმა. რამდე-ნიმე ბიჭი, — აქამდე სიზარმაცითა და სიანცით ცნობილი, — ძირს გაგორდა.

— რა ამბავი გაქვთ? — ალშფოთდა პატიკო მასწავლებელი.

ბიჭები ყირაზე გადავიდნენ და ყველამ დაინახა, რომ ესენი ბი-ჭები კი არა, ჭინკა-მაიმუნები იყვნენ.

დერეფანშიც ერთი ალიაქოთი და ჭყვირილი ისმოდა. სხვადასხვა კლასებიდან გამორბოდნენ ჭინკა-მაიმუნები, კიბეებზე გორგალივ-ით მიგორავდნენ და სარდაფებში იმაღლებოდნენ.

— ეს ყველაფერი ჯაჯუს ოინებია! — ამოიხვნება პატიკო მას-წავლებელმა. — მძიმე დღეები მოგველის!

— შვილიც გამოჩნდა და დედაც, — ჩაიბურტყუნა ბაციკუკუმ, — ახლა მამიკოც გამოჩნდება!

### 4. ვინ გვითვალივალებს პნელი ტევრიდან?

ლამეა. ბნელა. ეზოს გაღმა ტევრში აჩრდილები ილანდება.

ოჯახი აივანზე ისვენებს. ჩაი უკვე დალიეს. დღისით ცხელოდა და ახლა გრილი ნიავი ადამიანს სასიამოვნოდ ელამუნებოდა.

ვაჩე მამიკო სავარძელში ზის და მზერა ვარსკვლავებისაკენ მიუპყრია. ალბათ ელოდება წამს, როცა ვარსკვლავეთში მზისია ვაჩინაძის ლანდი გაკრთება.

მართა ბებო ჯორკოზე ჩამომჯდარა, საქსოვ ჩხირებს ბნელშიც ისევე ყოჩაღად ამოძრავებს, როგორც დღის სინათლეზე.

თაია მოაჯირს გადაყრდნობია, შავ ტევრს შიშით გაჰყურებს. იქიდან ჭინკა-მაიმუნების შეკავებული ქირქილი და ჭყლობინი ის-მის. ქალაქი დაიცალა ანცი ბიჭებისაგან და მოსაწყენი გახდა.

ბაციკუკუ თაიას გვერდით, მოაჯირზე დასკუპებულა. ისიც ტევრს გაჰყურებს, ოღონდ უშიშრად.

ძროხა ელპიტე ეზოს კუთხეში განწოლილა, იქიდან აუჩქარებე-ლი ცოხნის ხმა აღნევს.

ფისო მირანდოლა ფერხთით გარინდებულა. დანაშაულსა გრძნობს და ამიტომ წყნარდაა, თვალში არავის ეჩხირება.

ძალლი ბომბო საფეხურზე მოკალათებულა. ხანდახან თავს ას-წევს, ხმადაბლა, გამაფრთხილებლად ჩაილრენს და კვლავ თათე-ბზე დადებს.

— ბაციკუკუ, მგონი ვიღაცა გვითვალთვალებს! — ჩურჩულებს თაია. — იქ, ტევრში რაღაც იღანდება!

ბაციკუკუს არ ესმის. ფიქრებით სხვაგან დაფრინავს, ოცნების რაშე შემჯდარა და ცას უწვდენს.

— ოჳ, ჩემო ძვირფასო პარო, ნეტავი ვის სიზმრებში დაეხეტები!

ცაზე ვარსკვლავები ჩახჩახებენ... ცის კიდე შავად შებურულა და იქ, მძიმე ღრუბლებიდან მთვარემ გამოიჭყიტა.

— ჭიტა, მე აქა ვარ!

თანდათან ამოდის სავსე მთვარე, მოგორავს, ვარსკვლავებს აქრობს.

— დედიკო არ მომიწყინო! — ეუბნება თაია.

მთვარის სხივები ეზოს ეფინება, კუთხე-კუნჭულს გამოაჩენს, ტევრს გადაუვლის.

ბომბომ ყურები ცქიტა, შეჰყეფა, მაგრამ თითქოს არავინაა.

— ბაციკუკუ, ვიღაცა გვითვალთვალებს! — ჩურჩულებს თაია, შიშით გული ეკუმშება...

## 5. ჯაჯუ-ბიჭის ოთხეპი

ქალბატონი გაკვეთილითუიცი ისეთი ფიცხი ვინმეა, ამ სკოლის ბიჭებს, სხვა სკოლის ბიჭებთან შედარებით, დირექტორის მეცადი-ნეობით, ყურები ნეკათითისოდენად დაგრძელებული აქვთ. პოდა, ვინც ჭინკა-მაიმუნად გადაიქცა, წარმოიდგინეთ, რა უშნოდ დაგრ-ძელებული ყურები ექნებოდათ. მართალია, ამბავი ანცსა და ზა-რმაც ბიჭებს გადახდათ, მაგრამ ადამიანს ხომ ასეთი ბიჭებიც შეგ-ეცოდება. ყველაფერი ჯაჯუ-ბიჭისა და ქალბატონ ჯაჯულიას ბრა-ლი იყო. რაკი ამ უკანასკნელს ვერაფერს უზამდა, გაკვეთილი-თუიციმ სასტიკი ბრძანება გასცა, ამიერიდან მოსწავლეებსა და მათს მშობლებს ეკრძალებათ სკოლისაკენ ტრამვაის ხაზის გაყ-ვანაო... მართალიც იყო!.. ყველამ რომ ტრამვაის ხაზი გაიყვანოს, გაკვეთილზე ვინ დარჩება? სულ წკარუნ-წკარუნით ისეირნებენ აღმა-დაღმა...

შეაყარე კედელს ცერცვი!.. ჯაჯუ-ბიჭმა კეფა საწერ-კალმით მოიფხანა და მომდევნო დღეს სპილოზე ამხედრდა.

აი, სეირი!

სპილოს ზურგზე ზოლებიანი ფარდაგი ეფინა. ხორთუმი მაღლა აეშვირა და შიგადაშიგ საყვირის ხმას გამოსცემდა. გრძელი, თეთრი ეშვები მრისხანედ აელერა და ვინც გზაზე შეეყრებოდა, ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ჯაჯუს ფარდაგზე ფეხი მოერთხა, დალაქავებული ჩანთა მუხ-ლებზე დაედო და უტიფრად იღმიჭებოდა.

ბავშვებიც და მასწავლებლებიც — ამ დროს ჩიტო მასწავლებე-ლი ატარებდა გაკვეთილს — ფანჯრებს მიაწყდნენ და მეცადინეო-ბა მთელი ათი წუთით შეწყდა.

გაკვეთილითუიცი ისე გაცეცხლდა, კედლებზე ბათქაში დაიბ-ზარა.

მოადგა სპილო სკოლის პარმალს, ჯაჯუ-ბიჭი ხორთუმზე ჩამოს-რიალდა და თავალერებული წამოვიდა. ეგ იყო, ზღურბლს გადმო-აბიჯა თუ არა, გაკვეთილითუიცის და ჩიტო მასწავლებლის ხელებში აღმოჩენდა. უფრო სწორად, დირექტორს ჯაჯუს მარჯვენა, უფრო გაფლაშტული ყური ეპყრა, ჩიტო მასწავლებელს — მარცხენა, ნა-კლებ გაფლაშტული... სანამ ასე დატყვევებული ბიჭი კლასისაკენ მიჰყავდათ, სპილომ ეზოს ყვავილნარი გადაჭამა და მოსალხენად სხვა ეზოებში გადავიდა.

სამასწავლებლოდან სხვა მასწავლებლებიც გამოიკრიფნენ და ავიშვიშდნენ:

— ამან მომპარა ნულიანი! — ცრემლს ძლივს იკავებდა მათემა-ტიკის მასწავლებელი, ქალბატონი ალათი.

— თარიღები სულ ამირია! — ჯავრობდა ისტორიის მასწავლე-ბელი ბატონი იაკინთე.

— დამიბრუნე რბილი ნიშანი! — მოითხოვდა რუსულის მასწავ-ლებელი ლუდმილა რუსლანოვნა.

— ნახევარსფეროების რუკას რა ეშველება! — მხრებს იჩეჩდა პატიკუ მასწავლებელი.

— აგვიკლო მთელი სკოლა და ეგაა! — ყურს გემრიელად უჭმუ-ჭნიდა ჩიტო მასწავლებელი.

ჯაჯუ-ბიჭს ყურები უხურდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა.

გაკვეთილითუიციმ კი ამდენ ვიშვიშს ბეჭედი დაასვა:

— სვალ მამაშენს მო-ი-ყვან!

## 6. დიდი ჯაჭუ

გავიდა ის დღეც. მომდევნო სწორედ შაბათი იყო. ზის თაია ვაჩნა-  
ძე თავის მერზე. თვალი და ყური ჩიტო მასწავლებლისაკენა აქვს,  
ცოტათი ბაციკუკუსაკენ და ცოტათი ჯაჯუ-ბიჭისაკენაც, გული-  
სყური კი გზისკენ მიუპყრია. თაია მოწყენილია, ჭინკა-მაიმინებად  
გადაქცეული ბიჭები ეცოდება. ჩიტო მასწავლებლი დაფასთან დგას  
და აბრუნებს სიტყვებს — „საძაგელი ბიჭი“, „საძაგელმა ბიჭმა“,  
„საძაგელ ბიჭს“... — თან ნიშნის მოგებით ჯაჯუს შეხედავს ხოლმე...

ჯაჯუ-ბიჭი ამ დროს თავის რვეულში გულმოდგინედ წერს — „სა-  
ძაგელი მასწავლებელი“, „საძაგელმა მასწავლებელმა“, „საძაგელ  
მასწავლებელს“... თან ფრთხილად გახედავს ხოლმე ბაციკუკუს, ჯე-  
რაც არ დავიწყებია, როგორ ისროლეს საკლასო ოთახიდან.

— ძალიან მიყვარს გრამატიკა! — ჩურჩულებს ბაციკუკუ. —  
ერთ დროს ბიბლიოთეკის წიგნის თაროზე ვცხოვრობდი, გრამა-  
ტიკის უზარმაზარი ტომის უკან...

თან ამას ყვება, თან თაიას საწერ-კალამი მხარზე გაუდვია და  
ცდილობს რვეულის ფურცლებზე ასოები გამოიყვანოს. დაწერ-  
ილზე ხანდახან ფეხით შედგება, მელანი ქუსლზე ეცხება და ფურ-  
ცელს თხუპნის.

უცებ თაიამ პირზე ხელი იტაცა, რომ არ წამოეძახა, ვაიმე, ეს  
ვინ მოდისო.

შარაზე მოაბიჯებს გრძელზე-გრძელი, ალვისხელა კაცი. ისეთი  
გამხდარია, სინათლე გასდის. წკნელივით ხელ-ფეხიაქვს, წვრილზე-  
წვრილ კისერზე პანია თავი უყანყალებს. იღლიაში აუარება ცოცხი  
ამოუჩრია, გზა-გზა უცივა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს.

ჩიტო მასწავლებელმა ცარცი დადო, ფანჯარაში გაიხედა და  
თვალები დაუმრგვალდა.

გრძელზე-გრძელმა კაცმა ლობეს გადმოალავა, თან ისე და-  
იკლაკნა, ჩიტო მასწავლებელს შეეშინდა, არ გადატყდესო. კაცს  
არაფერი დაშავებია. ცოცხები ეზოში დაყარა, პირდაპირ მეორე  
სართულის ფანჯარას მოადგა და დაიკიკინა:

— სალამი, ჩიტო მასწავლებელი! მე ვარ დიდი ჯაჯუ, მამა ჯა-  
ჯუ-ბიჭისა! აი, გოგონებს საჩუქრები მოვუტანე!

ჩიტო მასწავლებელი გულმაგარი ქალია. კი შეკრთა, მაგრამ  
ფანჯარა მაინც გამოაღო.

დიდმა ჯაჯუმ ამოინია, ტან-ფეხი დაიპატარავა და რაფაზე რომ  
დასკუპდა, ოთახის პუდელზე მეტი არ იქნებოდა, უფრო სწორად,  
ბაციკუკუს სიღიღისა, ჰა და ჰა, ძლივს იქნებოდა.

„ნამდვილად ჯადოქარია!“ — გაიფიქრა თაიამ.

დიდმა ჯაჯუმ თვალი მოავლო გასუსულ ბავშვებს, ჯერ თაიას მი-  
აჩერდა, მერე ბაციკუკუ აათვალიერა და ბოლოს კვლავ დაიკიკინა:  
— გისმენთ, ქალბატონო ჩიტო!

ჩიტო მასწავლებელს სხვა რა გზა ჰქონდა, ალაპარაკდა. მერე-  
და, როგორ უყვარს ლაპარაკი! დაინყებს და სანამ ბოლომდე ჩავა,  
შენი დაგემართება. იმდენი ილაპარაკა პატარა ჯაჯუს მიღწევე-  
ბზე ეშმაკობის დარგში და ვერმილნევებზე ცოდნის დარგში, გა-  
კვეთილმა ბოლომდე ჩაირბინა.

— ბუზის საკლავი არა გაქვთ? — ხმადაბლა ჰკითხა ბაციკუკუმ  
თაიას.

— რად გინდა?

— ტყაპ და რაფაზე მივასრისავ!

— არა გვაქვს! — შეეშინდა თაიას.

ჯაჯუს მამიკომუსმინა, უსმინა ჩიტო მასწავლებელს, მოითენ-  
თა, თვლემა მოერია, თანდათან უფრო და უფრო დაპატარავდა,  
თოვლის გუნდასავით გალხვა, რაფაზე დაიღვარა, იქიდან რაკრა-  
კით ჩამოჰყავა კედელს და სპილოს მიერ გადაჭმულ ყვავილნარში  
მიწამ შეიწოვა.

ყვავილები წუთში გამრთელდნენ, აფერადდნენ და ეზო სურნე-  
ლით აივსო.

— გაქრა! — ტაში შემოჰკრა თაიამ.

— ეგე! — თითი გაიშვირა ბაციკუკუმ.

შარაზე გრძელზე-გრძელი კაცი მიალაჯებდა და მიიკლაკნებოდა.

— ცოცხები? — გაახსენდა თაიას.

ეზოში დაყრილ ცოცხებს ახტაჯანა გოგონები მისეოდნენ და  
დაენაწილებინათ.

— ჩვენ არ შეგვხვდება! — თქვა თაიამ.

უცებ ერთი გოგონა შეჯდა ცოცხეზე და ელვის უსწრაფესად ჰა-  
ერში აფრინდა. წამში სხვა გოგონებიც აფრინდნენ. ჰაერი აივსო  
მხიარული და შიშნარევი ჭყივილით.

— კუდიანებად იქცნენ! — თავი სინანულით გააქნია ბაციკუკუმ.

კუდიანებმა ცოცხები შეაბრუნეს და ქალაქის მიმართულებით გაქრნენ.

— კიდევ კარგი, ჩვენც რომ არ შეგვხვდა! — თაიამ ბაციკუკუჭიბეში ჩაისვა და შინისაკენ წავიდა.

### თავი 111. ჩოჩორი ბუნებო

#### 1. რა ძნელია ჩაღარის მართვა!

ნოტარიუს კოკოს კვლავ ტკბილად ეძინა. დალაქავებულ მაგიდაზე დაედო როხო თავი და გემრიელად ხვრინავდა. „ხრრ!“ — ჩაისუნთქავდა და თან გაიბერებოდა, „ხრრ!“ — ამოისუნთქავდა და თან დაიჩუტებოდა. პატრონს ჩვეული მისი სკამი ხმას აყოლებდა, ოღონდ ამას „ხრრ-ს“ ნაცვლად „ჭრრ!“ გამოსდიოდა. დალაქავებული მაგიდა მოთმინებით იტანდა ეგზომ პატივსაცემი თავის სიმძიმეს.

— ჰემ! — ჩაახველა კოკომ და გემრიელად დაამთქნარა.

„ეჱ, მეტად ძნელი ყოფილა ქალაქის მართვა!“ — გაიფიქრა და პირზე ხელი აიფარა, რათა მთქნარების დროს ხელმოსაწერი საბუთები არ გადაეყლაპა.

ზარი დააწკარუნა და შემოსულ მდივანს უბრძანა:

— ე-ე, წადი, გაიგე, ახალი რა ხდება წალიგაიგეში!

— ჩივიან, ბატონო! — მოახსენა მდივანმა.

— ვინ ჩივის და რას ჩივის, ე-ე, ჰემ!.. ჩოჩორის გამო იკლავენ, ვითომ, თავს?

— ქალაქი დაცარიელდა, ბატონო, ცელქი ბიჭუნები და კუდრაჭა გოგონები გაქრნენ!

— ე-ე! — გაუკვირდა კოკოს.

— ზოგიერთი მოქალაქეც ქრება, ბატონო, სოროებში მიძვრებიან!

— ე-ე! — უფრო განცვიფრდა ნოტარიუსი კოკო.

მდივანმა საქალალდე გაადაშალა და ახლა იქ ამოიკითხა:

— ქალაქის თავი შეიცვალა წალიგაიგეში! ძველი თავის, მეტ-სახელად პირველის ნაცვლად, ნოტარიუსი კოკო დანიშნესო!

— ნუთუ? — შეიცხადა კოკომ, მაგრამ უმაღლ გაახსენდა თვითონ ვინც ბრძანდებოდა და დასძინა: — ეგ უკვე ახალი არაა, ეგ ძველია!

„ეჱ, მეტად ძნელია ქალაქის მართვა!“ — გაიფიქრა კოკო.

მდივანი გაუშვა, თავი მაგიდაზე დადო და ჩვეული ხვრინვა განაგრძო...

## 2. ჩოჩორი პეტო ჭალაში ღიღინებს

ჭალა უყვარდა ჩოჩორ ბენტოს, ჭალაში ამოსული ლორთქო ბალახი...

სახელგანთქმული მომლერლის ხვედრი იოლი როდია. რეპეტიცია და კონცერტი, კონცერტი და კვლავ რეპეტიცია... ქუჩაში ისე ვერ გაივლი, ნაცნობები რომ არ შეგხვდნენ. მიღიხარ და აქეთიქიდან გესმის შეძახილები — „ბენტოს გაუმარჯოს!“ „ბენტოს დიდება!“ „მიღი, ბენტო, შეჰყუროყინე შენებურად!“ ქალაქის ვირები ხომ მთლად გაგიუდნენ. ყველას თავისი ჩოჩორი მოჰყავდა, ერთი გასინჯე, ხმა და სმენა თუ აქვსო.

ბენტო ერთადერთი იყო და მისებურად ვერავინ ყროყინებდა.

ამიტომაც უყვარდა აქ, ქალაქის განაპირას, მყუდრო ჭალაში გასეირნება. ლორთქო ბალახი ფეხებქვეშ ეგებოდა, აქა-იქ შემორჩენილი ბებერი მუხები ფართო ჩრდილს აფენდა. ხის ვარჯებში ჩამალული ჩიტები საამოდ გალობდნენ. ესენი თეატრებში არ დადიან, არც ტელევიზორს უყურებენ, ამიტომაც არაფერი სმენოდათ ბენტოზე და არც თავს აწყენდნენ.

ბენტო მშვიდად ძოვდა. წყურვილს წყაროზე იკლავდა. ხანდახან მუხის ჩრდილში ჩასთვლებდა. და თუ ამ დროს მსმენელებით გავსებული თეატრი დაესიზმრებოდა, უნებლიერ შეჰყუროყინებდა... მოკლედ, ჭალაში ბენტო ბედნიერი იყო.

თაია ვაჩაძე რომ კონცერტზე დაპატიუა, შესანიშნავ გუნებაზე დადგა და თავის საუკეთესო სოლოყროყინს „მზის ნიუარას“ დიდხანს უტრიალა. ტექსტიც საკუთარი იყო და მუსიკაც, მაგრამ ჩოჩორი ბენტო სრულყოფილებას ესწრაფვოდა და ერთხელ შეთხზულს მრავალგზის უბრუნდებოდა.

ის იყო, ყელის ვარჯიში დაამთავრა, თავზევით ბზუილი მოესმა. იფიქრა, ბზიკიაო, ბენტოს კი ბზიკი დიახაც რომ არ უყვარდა, მაგრამ ბალახზე ცოტა მოზრდილი ჩრდილი რომ დაეცა, შეკრთა. ამოდენა ბზიკი გაგონებითაც არ გაეგონა.

ბენტომ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, მდელოზე ერთიციცენა ვერტმფრენი დაეშვა. გვერდები ცისარტყყელას ყველა ფერით უბრწყინავდა. უხილავი პროპელერები მსუბუქ ზუზუნს გამოსცემდნენ.

ვერტმფრენიდან გამხდარზე გამხდარმა კაცმა გამოყო თავი და ბენტოს მიაჩერდა.

— ია-ა! — შიშიანად შეჰყუროყინა ბენტომ.

კაცუნა გადმოხტა და ნამში იმსიგრძე გაიზარდა, ბენტო მხოლოდ მის მუხლისთავებს ხედავდა და უკან უნდა დაეხია, რათა კარგად შეეხედა. კაცს მუშტისტოლა თავი ება, პირი კი ყურიდან ყურამდე გაეხსნა, ლაპარაკის დროს თითქოს კიკინებდა.

— მომლერალო ბენტო, მოგესალმები დიდი ჯაჯუ!

— მეც მოგესალმები, დიდო ჯაჯუ! — დარბაისლურად უპასუხა ბენტომ. — იმედია გულს მეტად არ გამიხეთქავ!

— მომლერალო ბენტო! შენ ხარ ავტორი სასიამოვნოდ მოსასმენი სოლოყროყინისა, რომელსაც „მზის ნიუარა“ პქვია და მთელი ქალაქი ღიღინებს?

— დიახ! — თავმდაბლად დაუდასტურა ბენტომ. — ოღონდ მე ტრაბახი არ მიყვარს, ძალიან მორცხვი ჩოჩორი ვარ და თუ არ ვწითლდები, მხოლოდ იმიტომ, რომ სიწითლე ჩემს ლამაზ ბენტოს ვერ გაატანს!

— მითხარი, გეთაყვა, — კაცი მოიხარა და პირი დრუნჩთან მიუტანა, — იქნებ იცი, რა არის „მზის ნიუარა“, ან ყური მოგიკრავს, თუ სად ინახება?

— ოჳ, ეს რომ ვიცოდე... — ოცნებით თვალები მინაბა ბენტომ. — მზის ნიუარით ხომ გავფრინდებოდი ლურჯი ცისაკენ!

— შენ თურმე ცაში ფრენა გყვარებია. — გაიღიმა კაცმა. — ამაზე იოლი რა არის? გოხოვ, ჩაბრძანდე ჩემს ვერტმფრენში!

ჩოჩორმა ბენტომ მოკრძალებული მადლობა მოახსენა დიდ ჯაჯუს და ვერტმფრენისაკენ წაკუნტრუშდა...

## 3. პეტოს რცხეპა უსრულდება

ვერტმფრენამდე რომ მიაღწია, ბენტომ მაშინდა იფიქრა, ამაში რანაირად ჩავეტევიო, რადგან ვერტმფრენი იმ ზომისა იყო, მოზრდილი კაცი ჯიბეში ჩაიდებდა.

— მობრძანდი, ბენტო! — ზრდილობიანად უთხრა დიდმა ჯაჯუმ და ხელი წამოავლო. პაერში გადაყირავებულმა ბენტომ ერთხელა დაიყროყინა — „ია!“ გონს რომ მოეგო, ის და დიდი ჯაჯუ ვერტმფრენში აღმოჩნდნენ.

ჩოჩორს თვალები გაუფართოვდა. ირგვლივ ბალახები ხეებივ-ით აიშვართა, ხოლო ის მუხა, რომლის ჩრდილში მანამდე ბენტო იდგა, თვალუწვდენელ სიმაღლეზე აიზარდა. ბალახის ღეროზე კუსტოლა ჭიამაიამ რომ გაირბინა, ჩოჩორი ბენტო მიხვდა, ვინც ვერტმფრენში ჯდება, ამგვარად პატარავდებაო.

სწრაფად დატრიალდა პროპელერი, აზუზუნდა, და ვერტმფრენი მიწას მოსწყდა, ბალახებიდან ამოფრინდა.

ცაზე კამარა რომ შეჰქრეს, ბენტოს სიმღერა მოუნდა და ბედნიერებისაგან თვალაცრემლებულმა დასცხო თავისი სახელგანთქმული სოლოყროყინი. დიდმა ჯაჯუმ კი, ვინც ასეთ ხმებს ჩვეული არ იყო, ყურები თითებით დაიცო.

ციდან დახედა ჩოჩორმა ბენტომ მშობლიურ ქალაქს. კრამიტის წითელი სახურავები მწვანე ხეებში ეფლობოდა. ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა, განსაკუთრებით ბაზარსა და სტადიონზე... თეატრალურ მოედანზე წამომართული თეატრის ლამაზი შენობა ცისკენ იყურებოდა, ალბათ უკვირდა, ეს რა მოფრინავსო... რატუშის მრავალრიცხოვან ფანჯარას ეძინა, რადგან იქ, სადაც ნოტარიუსი კოკო ჩასახლდებოდა, ყველა და ყველაფერი იძინებდა.

— რა აძინებთ ამ შუადღეს? — სიმღერა შეწყვიტა ბენტომ.

— ძილი ბედნიერება! — ჩაიკიკინა დიდმა ჯაჯუმ. — ჩვენ უნდა მივბაძოთ ქალაქის თავს! ამიტომაც უნდა დავხუროთ ბაზარი და სტადიონიც!

მართლაც თეატრმა დაამოქნარა, სტადიონიდან და ბაზრიდან ხალხი გამოიქცა, რატუშამ კი ხერინვა ამოუშვა.

ქუჩებში ხალხი იძინებდა. ხეებმა ტოტები ძირს ჩამოუშვეს, იმათაც თვლემა მოერია.

— ისე უნდა ვიმდერო, ყველა დავალვიძო! — შფოთავდა ბენტო.

— ჩუმად, ნაშუაღლევის ძილია! — დიდმა ჯაჯუმ თითი მუქარით დაუქნია, აქაოდა, არ გაბედოო.

ვერტმფრენი კი ზუზუნებდა და ქალაქის თავზე ლურჯ ჰაერს კვეთდა.

— აქეთ, აქეთ! ჩვენ არ გვძინავს! — არქივის უკან ცივი ლოდებისაგან აგებულმა შენობამ გისოსებიანი სარკმლები მოაბრუნა.

— ამას ძილი არასოდეს მოერევა! — ამაყად თქვა დიდმა ჯაჯუმ.

ეს იყო ციხე და იგი ელოდა საპატიო სტუმარს!

ვერტმფრენი სწრაფად დაეშვა.

— მობრძანდით, ბედნიერნი ვართ თქვენი ხანგრძლივი სტუმრობით! — დაიბუბუნა ციხემ.

ეზოში დასხდნენ.

დიდი ჯაჯუ ვერტმფრენიდან გადმოხტა, ბენტო გადმოიყვანა. წამში ორივემ თავიანთი ზომები დაიბრუნეს.

დიდმა ჯაჯუმ ვერტმფრენი ჯიბეში ჩაიდო.

— აგერ მინდორი, აგერ ბალახი, იყროყინე რამდენიც გინდა! — დაცინვით თქვა და გალავანს გადაალაჯა.

ჩოჩორი ბენტო ციხის ეზოში დარჩა. ეზოს ერთი მხრივ მაღალი გალავანი ერტყა, მეორე მხრიდან ნაცრისფერი შენობის გისოსებიანი სარკმლები იღრინებოდა.

მიხვდა ჩოჩორი ბენტო, რომ მოატყუეს...

#### 4. პანო იპარება

სევდა მოაწვა ჩოჩორ ბენტოს. ის იყო, გულსაკლავი ლილინი უნდა დაეწყო, სუსტი, ნაზი ხმა გაიგონა.

— ოჳ, მამაცო ბაციკუკუ, ნეტავი იცოდე, სად დამამწყვდიეს!

ბენტომ მოიხედა. შორისახლო, გისოსებიანი სარკმლიდან პანიზე პანია გოგონა იყურებოდა.

— ვინა ხარ?

— პანო ვარ! შენ თვითონ ვინა ხარ?

— მომღერალი ჩოჩორი ბენტო როგორ არ გაგიგონია? — გაიოცა ბენტომ. — კვირას კონცერტი მაქვს, მე კი ციხეში ჩამსვეს!

— მეც დამატყვევეს! — თქვა პანომ. — კატადქეცეულმა ჯაჯუბიჭმა გამიტაცა. ალბათ სათამაშოდ ვუნდივარ, მაგრამ მე აქედან გავიპარები!

— აბა, აბა, ვერსად ვერ გამეპარები! — ჩაიულრიალა გისოსმა.

— აბა, გაპარვა არ იყოს! — მრისხანედ დაიბუბუნა ციხემ.

— გაპარვაო? ვინ ბედავს აქ გაპარვაზე ლაპარაკს! — საიდან-ლაც მოვარდა ჯაჯუ-ბიჭმი. — ჰე-ე, ეს ჩოჩორი აქ საიდან გაჩნდა?

— ჭორფლიანი პირისახე დაჯღანა, ბენტოს ზურგზე მოახტა და გვერდებზე ქუსლები უთავაზა. — ჰე, ჰე, ჩოჩორი რად მინდა, თუ არ გამაჭენა!

ბენტოს შეურაცხყოფისაგან სუნთქვა შეეკრა. „იაა!“ — შეპყროყინა და ტლინკები ჰყარა, მაგრამ ბიჭი ვერ ჩამოაგდო.

— ჯაჯუ, სად დაიკარგე? სადილი მზადაა! — გაისმა ქალის ჯაჯლანი. — ბოში, სად დამეკარგა ეს ბავშვი!

— გაგხედნი, თუ ბიჭი ვარ! — დაიქადნა ჯაჯუმ და უმალ გაქრა.

ბენტოს მუხლები მოეკვეთა და კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა.

— ჰეი, დამშვიდი! — პანოს ხმა მოეფოფინა.

— მე ხომ ჩვეულებრივი ჩოჩორი არა ვარ! — წყენით თქვა ბენტომ. — მე არტისტი ვარ და ზურგზე ჯერჯერობით არავინ მიტარებია!

— საძაგელი ბიჭია! — გააფრთხილა პანომ. — ასე იცის ხოლმე, გიჟივით მოვარდნა. ჯადოქრების სკოლაში უსწავლია და უნდა აქლემად გადაგაქცევს, უნდა სპილოდ, მოინდომებს და ტრამვაი გახდები...

— აქლემად? — აღშფოთდა ბენტო. — კეთილშობილი ჩოჩორი ვარ და სულაც არა მსურს უშნო აქლემი გავხდე, ან თუნდაც ზონზოხა სპილო, მით უფრო, რკინის უტვინო ტრამვაი!

— ფრთხილად, გეთაყვა! — ჩასჩურჩულა პანომ. — არავინ გაიგონოს! უმჯობესია გაქცევაში მომეხმარო!

— როგორ მოვიქცე?

— ახლოს მოინი, გისოსს ყური მიაღე, გამოვდვრები და შენს ყურში მოვკალათდები!

— სად მიდიხარ? — კვლავ აუღრიალდა გისოსი. — ჩემთან უნდა დარჩე! ასეთი ლამაზი პატიმარი ჯერ არ მყოლია!

გისოსს ვინ მოუსმენდა. ბენტომ სარკმელს ყური მიადო. პანო ხომ პანაწინტელა იყო და გისოსებს შორის გაეტია, ჩოჩორის ყურში ხალვათად მოკალათდა.

— ვაიმე, გამეპარა! — აყვირდა გისოსი.

— გაგვეპარა, გაგვეპარა! — ბანი მისცა ციხემ.

ჩოჩორი ბენტო გისოსს მოშორდა, მაგრამ გასაქცევი გზა სად ჰქონდა...

## 5. ბენტოს გახედვენა მოუხდება

— ვინ გაგვეპარა? — სახურავიდან დიდი ჯაჯუს გრძელზე-გრძელი კისერი და პანია თავი გამოჩდა.

— ვინმე გაგვეპარა თუ? — იკითხა ქალბატონმა ჯაჯულიამ და კუთხის სარკმლიდან ცალი თვალი გამოაჭყიტა. მას ხომ იმოდენა თავი ჰქონდა, ფანჯარაში ორივე თვალით ვერ გამოიხედავდა.

— პანო გამეპარა! — აღრიალდა ჯაჯუ-ბიჭი, ბრაზისაგან კინალამ გასკდა.

— კიდობანში უნდა ჩაგეკეტა! — აჯაჯლანდა ქალბატონი ჯაჯულია. — გასალების ჭუჭრუტანაში ვერ გაეტეოდა!

— ნუ ჯავრობ, შვილო, პანო გაგვექცა, მაგრამ აგერ ჩოჩორი მოგიყვანე და გაერთე! — დაიკიკინა დიდმა ჯაჯუმ.

— ტლინკებს იყრევინება! — იჩივლა ჯაჯუ-ბიჭმა.

— შენც აიღე და გახედნე!

ბენტომ აღშფოთებით დაიყროყინა — „იაა!“ მაგრამ მის ყროყინს ყური არავინ მიუგდო, პანოს გარდა, რომელიც ხმადაბლა ამხევებდა:

— მედგრად იდექი, ვითომ ჩოჩორი კი არა, დიდი, გონიერი ვირი ხარ!

ჯაჯუ კი მუშტებით თვალებს ისრესდა, თან უახლოვდებოდა და ბოროტად დუდლუნებდა:

— ახლა გიჩვენებ სეირს!

ჩოჩორმა ზურგი შეაქცია და კვლავ ტლინკები ჰყარა, მაგრამ რიგიანად შეკუნტრუშებაც ვერ მოსწრო, ჯაჯუ-ბიჭი უკვე ზურგზე ჩაპირენდა და გვერდებზე ქუსლებს ურტყამდა.

— ნელა, მეტკინა! — იწყინა ბენტომ.

— აჩუ, აჩუ! — აკივლდა ჯაჯუ-ბიჭი.

ბენტო ადგილს მოწყდა, გაქანდა, გაქანდა და უცებ დაამუხრუტა.

ჯაჯუ-ბიჭმა თავი ვერ შეიმაგრა, ბენტოს ზურგს გადაევლო და ძირს დაეპერტყა.

პანოს არ იკითხავთ! კინალამ ყურიდან გადმოვარდა, მაგრამ ვაჟკაცობა მაინც შეუქო:

— ყოჩალ, ბენტო!

— არ ვარგა ასეთი სათამაშო! — გაბრაზდა ქალბატონი ჯაჯულია.

— ეს ჩოჩორი დასასჯელია! — დაეთანხმა დიდი ჯაჯუ.

უცებ ბანომ შეამჩნია, რომ მისი სამალავი დაბატარავდა. „ვაიმე,

— გაიფიქრა გოგონამ, — ბენტო პატარავდება!“ და ფრთხილად გამოიჭვრიტა.

ბენტო კი არ პატარავდებოდა, პირიქით, სწრაფად იზრდებოდა, ოლონდ ყური უპატარავდებოდა, რადგან ეს უკვე ჩოჩირის კი არა, აქლემის ყური იყო.

მირბის ბენტო, ციხის ეზოს წრეს უვლის და ამჩნევს, რომ ჩოჩირი კი არა, უკვე აქლემია.

ჯაჯუ-ბიჭი მოუსვენრად ხტუნაობს და ნიშნის მოგებით აჯავრებს:

— ეგეც შენ, ეგეც შენ!

პანო ცდილობს როგორმე დაიმალოს. ყური მოულოდნელად იზრდება, იზრდება და პანოს ცხვირნინ ჩამოპარტყუნდება.

„ეს რა ხდება? — უკვირს პანოს. — ეს არც ვირის ყურია, არც აქლემისა!“

გადასწია ჩამოპარტყუნებული ყური და რას ხედავს! აქლემი კი არა, ჩოჩირი ბენტო უკვე სპილოა.

მიგვანგვალებს ზორბა სპილო, ხორთუმს ძლივს მიათრევს, თეთრი ეშვები მრისხანედ უელავს, თავი კი კვლავ ჩოჩირი ბენტო ჰგონია.

ჯაჯუ-ბიჭი სიცილით იფხრინება:

— ეგეც შენ, ეგეც შენ!..

დაღლილ-დაქანცული ბენტო წრის ბოლოს აღწევს და პანო ხედავს, რომ სპილოს პარტყუნა ყური კვლავ ჩოჩირის ყურად გადაიქცევა. ბენტო კვლავ ბენტო ხდება!

მოირბინა ჯაჯუ-ბიჭმა და უთხრა:

— გიჯობს, დამემორჩილო, თორემ გაგიბრაზდები და ახლა ტრამვაი გახდები.

— იაა! — შესაბრალისად შეჰყუროყინა ბენტომ...

## 6. ჯაჯულია შეზმით ემუსრება

ამასობაში მოსალამოვდა. ეზოში დარჩენილ ჩოჩირო ბენტოს ციხის მაღალი კედლები უთვალთვალებდნენ ფხიზლად.

— ჩემო მეგობარო პანო! — სევდა მოერია ბენტოს. — ხომ ხედავ, რა დღეში ჩავვარდი. გასაქცევი გზა მე არ ვიცი. შენ კი, გირჩევ, ჩემი ყურიდან გამოძრევ და ჩამავალი მზის სხივებს გაჰყვევ!

— ჩემს საკანში არც ნიავი შემოდიოდა, არც მზისა და მთვარის სხივები, ამიტომაც აქამდე ვერ გავიქეცი! — უპასუხა პანომ.

ბოლოს, შენ მოხვედი და გისოსებიდან დამიხსენი! ამიერიდან ჩემი მეგობარი ხარ და გაჭირვებაში ვერ მიგატოვებ!

ასე საუბრობდნენ ჩოჩირი ბენტო და მისი ახლადშეძენილი მეგობარი. ციხის კედლები ფიქრობდნენ, რა სულელია ეს ჩოჩირი, დაბაკუნობს და თავისთვის ლაპარაკობსო.

აგერ, ეზოს კუთხეში ჩასასვლელი აღმოჩნდა. ნეტავი ჭახომ არ არის? ჩაიხედა ბენტომ. პირდაღებული ჭაურის კედლებს საფეხურები მიჰყვება.

— არ ჩახვიდე! — ჩასჩურჩულა პანომ.

— უნდა ჩავიდე! — ამბობს ბენტო. — მწყურია!

ჩოჩირი რისი ჩოჩირია, თუ ჯიუტიც არ იქნება.

კიბეზე ჩასასვლელად ორი ფეხი უფრო მოხერხებულია, ვიდრე ოთხი. ბენტო წვალებ-წვალებით ჩადის... ძირამდე ჩააღწია. წყალი არსადაა, სამაგიეროდ თაღიანი გვირაბი იწყება.

— იქითკენ არ შეუხვიო! — აფრთხილებს პანო.

ბენტო ხომ ჩოჩირია, იქითკენ მიდის, საითკენაც უკრძალავენ. იქ კი, იცით, რა აღმოჩნდა? ჯაჯულების სამზარეულო!

— ოპოპო, ეს ვინ გამოჩნდა! — აჯაყაყაყდა სახორცე კუნძი.

— აქ მოიყვანე, თავი გავაგდებინ! — დაინკრიალა პრიალა ნაჯახმა.

— ჩქარა, ცეცხლი! — უზარმაზარი, მუცელგაბერილი ქვაბი ღუმელზე შეგორდა და წყალი სტომაქში აითუხთუხა.

— შეშა მომისნრაფეთ, არ დამაკლოთ! — აგურგურდა ცეცხლი, ქვაბის ძირს შემოეხვია.

— მეგობრებო! — დაიყროყინა ბენტომ. — ჩოჩირის ხორცი არ იქმევა!

თაროებზე ჩამომწკრივებულმა ქვაბებმა და ქვაბუნებმა, ჯამებმა და ჯამ-ჭურჭელმა ისეთი სიცილ-ურიამული ატეხეს, ყურთას-მენა წაიღეს.

— არ იქმევა? — ქალბატონმა ჯაჯულიამ, სპილოს რომ დაიტევდა, იმოდენა ტაფა აიღო და ონკანის ქვეშ ხეხვა დაინცო. — ჯერ მოზრად გადაგაქცევ და მერე შეგჭამთ!

— ეს ჩემი ჩოჩირია! — ჩაერია ჯაჯუ-ბიჭი. — ეგ რომ დაკლათ, მე ვისთან ვითამაშო?

— თანაც ეს ხომ მომღერალი ჩოჩირია და კვირას კონცერტი აქვს! — შემრიგებლურად ჩაურთო დიდმა ჯაჯუმ.

— უმჯობესია, შევჭამოთ! — თავისას არ იშლის ჯაჯულია. — დღეს წონაში საკმარისად ვერ მოვიმატე!

— ჩემი ჩოჩორია და არ მოგცემო! — ჯიუტად გაიმეორა ჯაჯუ-ბიჭმა.

— დიახ, ჯაჯუს ჩოჩორი ვარ! — ხმის კანკალით შეეხმიანა სა-ბრალო ბენტო.

— ეგ რა ჩოჩორია, — ჯაჯულიას ბრაზისაგან ლოყები დაეპერა, — ზურგიდან გადმოგაგდო და კინალამ კისერი მოიტეხე!

— მეტს არ ვიზამ! — შესაბრალისად ჩაიყროყინა ბენტომ.

— აქლემად გადავაქციეთ, აღარ ივარგა, სპილოდ გადავაქცი-ეთ, აღარ ივარგა...

— ხვალ ტრამვაი გახდება და ქალაქში ვისეირნებ! — არ დაომო ჯაჯუ-ბიჭმა.

— ავილებ და გაგწკეპლავ, ანდა ყურებით კედელზე ჩამოგვიდებ!

— შვილს დაემჟერა ჯაჯულია.

— ნუ დავკლავთ! — გადაწყვიტა დიდმა ჯაჯუმ. — კონცერტია გამოცხადებული და ბარემ ვამლეროთ! ოღონდ „მზის ნიუარას“ ნუ იმლერებს, მოქალაქებს გონებას ნუ აუმლვრევს! უმჯობესია, დიდი ჯაჯუს ოჯახი შეაქოს!

„ნეტავი რა სჯობია, — სევდიანად გაიფიქრა ბენტომ, — ერთი დაკვლას მიპირებს, მეორემ ტრამვაი გახდებაო, მესამემ — მონაო...“

ხმამალლა კი ძლივს გაბედა ამის თქმა:

— იქნებ თავლაში გამიშვათ ცოტა ხნით!

— ჰაპაპა... — სიცილი წასკდა ჯაჯულიას, სიცილისაგან ისე გაიპერა, სამზარეულოში ვერ დაეტია და დიდი ჯაჯუც, ჯაჯუ-ბი-ჭიც და ბენტოც კედლებს გააკრა. — მიდი, თავლის გზა ეძებე! აქ მომსვლელი ბევრი მინახავს, გზის გამგნები კი — არავინ...

წამოვიდა ჩვენი ბენტო, იარა ბაკიბუკით, იარა, ერთგან წყურ-ვილი მოიკლა, უამრავი დერეფანი გაიარა და ისევ ჯაჯულეთს მი-ადგა.

— სხვა გზა არა გვაქვს, ღამე აქ უნდა გავათიოთ, — ნაღვლი-ანად წასჩურჩულა პანომ.

## 7. ჩადოქრების პუნქტი

წადიგაიგეს მოქალაქებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ქალა-ქის ქვეშ მეორე წადიგაიგე არსებობდა, რომელიც ალბათ ათას ერთ დერეფანს, დარბაზსა და საკანს მოითვლიდა. იკითხავთ, ვინ ცხო-ვრობს ამ მეორე წადიგაიგეშიო? ჩოჩორ ბენტოსა და პანოსაც ეს აინტერესებდათ.

ბენტო დრუნჩით მიაწვა კარს და თავი შეყო. კარს უკან, საყარაუ-ლოში ორი უზარმაზარი სულიერი ხვრინავდა. ჯარისკაცის ტანისა-მოსი ეცვათ. თათებში შაშხანები ედოთ. დალებულ პირებში ხმლებივით კბილები უელავდათ. ვერ გაიგებდი, კაცები იყვნენ თუ ვირთხები.

— ვამე! — შეაურულა პანოს.

— მეც კი მეშინია! — ჩაიჩურჩულა ბენტომ. მუხლები უკანკალე-ბდა, მაგრამ შიშა სძლია და საყარაულოს ფრთხილად ჩაუარა.

— ასეთი რამ არ მინახავს, — ვერ ისვენებდა პანო, — მოკლე კაცებსა ჰგვანან, ანდა ვეებერთელა ვირთხებს...

— კაცვირთხებია! — დაუდასტურა ბენტომ, ვინრო და გრძელ დერეფანში ბაკიბუკით განაგრძო გზა.

კარგა ხანს იარა, თან ფიქრობდა: „ეპეპე, ვინ იცის, იმ მოსახ-ვევში რა საფრთხე იმალება... ნეტავი კონცერტამდე არავინ შემ-ჭამდეს და...“

პანო ჩოჩირის ყურში ჩაცუცქულიყო და თავისთვის ტუტუნებ-და: „ჩემო სათაყვანებელო ბაციკუკუ, ნეტავი იცოდე, რა საფრთხ-ეში ვართ... სადა ხარ, ჩემო საყვარელო!“

უცებ ვიღაცამ უკნიდან დაიჩინავლა:

— გზა მომეცი!

ორივეს ფიქრი გაუწყდა. ბენტო კედელს აეკრა.

გვერდით ჩაუქროლა გრძელცხვირა და სახედაჭმუჭნილმა დედ-აბერმა. ცოცხისათვის ველოსიპედის პედლები მოერგო და ფეხე-ბით გამალებით ატრიალებდა. კვალდაკვალ ასეთივე დედაბრები მოაქროლებდნენ ველოციპხებს, წივილ-კივილით ერთმანეთის გასწრებას ცდილობდნენ. ისეთი ბული დააყენეს, ბენტოს თვალთ დაუბნელდა.



ბოლო ველოციცხმა რომ ჩაიქროლა, „იაა, ეგ რა იყო?“ — ყროყინით იკითხა.

— კუდიანების ლაშქარია! — ხმა აუკანკალდა პანოს. — მე ვერ დამინახეს, შენ კი აქაური ჰეროინისართ!

ბენტომ თავი უკმაყოფილოდ გააქნია, რითი ვგავარ აქაურებსო. ნაბიჯის გადადგმა მოინდომა და ვიღაცამ უკნიდან რიხით შესძახა:

— გვერდზე გადადექ, ბენტორავ!

ჩასუქებულ კაცუნას მხრებზე ვირთხის თავი ება და ხანჯლებივთ ალესილ კბილებს მრისხანედ ანკაპუნებდა. თავზე კოკარდიანი ქუდი ეხურა, მხრებზე ოქროს ეპოლეტები ეკეთა, ალბათ გენერლისაზე ნაკლები არ იქნებოდა.

— ერთი-ორი! — შესძახა კაცვირთხამ და მის უკან ჩამწკრივებულმა ასეთივე, ოლონდ უეპოლეტებო, მაგრამ შაშხანიანმა კაცვირთხებმა ფეხები აატყაპუნეს.

ბენტომ თვალები მაგრად დახუჭა. რამდენჯერაც გაახელდა, იმდენჯერ ხედავდა თეთრად გაალმასებულ კბილებს და შიშის ყროყინს იკლავდა.

ბოლო კაცვირთხამ რომ ჩაიარა, ხმა მაშინდა ამოილო.

— ძვირფასო პანო! ერთი მითხარი, საიდან იცოდა ჩემი სახელი?

— აჲ, შიშისაგან კინალამ გავუჩინარდი! — ნიავივით შეეპასუხა პანო.

— ალბათ აფიშაზე ნაიკითხა, მე ხომ სახელგანთქმული მომლერალი ვარ! — ნათქვამი ხმამაღალი გამოუვიდა ბენტოს.

— შენ ჩოჩორი ხარ! — დასჭყივლა უცებ ვიღაცამ და ბენტომ იგრძნო, რომ ზურგზე შეახტნენ. თავი მოაბრუნა და, თურმე, ჭინკამაიმუნი შემოსჯდომია. დერეფნის სილრმიდან სხვა ასეთივე ჭინ-

კა-მაიმუნები მორბიან და ესენიც ბენტოს ზურგზე ცდილობენ აბობლებას.

ოპო, ამათი ჩოჩორს არ შეშინებია, „იაა-ო!“ — შესძახა და ისეთი კუნტრუში მორთო, ჭინკა-მაიმუნები ძირს გადმობერტყა, ერთორს კი ტლინკიც უთავაზა.

— როგორ მიბედავ! — დაიჭყივლა იმ პირველმა. — მე, დიდი ჯაჯუს ჭინკა-მაიმუნს...

— მე კი ჯაჯუ-ბიჭის ჩოჩორი ვარ! — გააწყვეტინა ბენტომ. ჭინკა-მაიმუნი დაიჩუტა, უკან-უკან დაიხია და მოუსვა.

ბენტომ გზა განაგრძო. ისევ კარს წააწყდა. იქიდან ხმაური მოისმოდა.

— ახლა კი ვერავინ გვიშველის! — ამოიხერა პანომ.

— დიახ, ფათერაკი მოგველის! — გულმოკულულ დაეთანხმა ბენტო და მოლიავებულ კარში თავი ცნობისმოყვარედ შეყო...

#### 8. დიდი ჯაჯუს მხედრიონი

ჩოჩორ ბენტოს თვალები კინალამ გადმოუცვიდა. პანომ ჩოჩორის ყურიდან გამოყო თავი და კიდევ კარგი, ძირს რომ არ ჩამოვარდა.

უზარმაზარი დარბაზი აევსო უთვალავ არსებას, გაჰქონდათ ერთი ქოთქოთი, ჭახჭახი, კისკისი, ნრიპინი... შუაშიოთხეუთხედებად დამწკრივებულ კაცვირთხებს მხრებზე შაშხანები გაედოთ. ხან აღგილზე ატყაპუნებდნენ უკანა კიდურებს, ხან წინ და უკან მიმოდოდნენ, მოკლედ, კაცვირთხების ალლუმი ტარდებოდა. მათ აღფრთოვანებით ესალმებოდნენ და მხიარულად ყირაზე გადადიოდნენ ჭინკა-მაიმუნები. ველოციცხებზე შემსხდარი კუდიანები კი ჭერქეშ დაქროდნენ და ზევიდან დასჭყაოდნენ დანარჩენებს.

— ერთი-ორი! — შესძახა კაცვირთხა გენერალმა და ჯარი აღილზე გაქვავდა. ჭინკა-მაიმუნები დაშოშმინდნენ, თუმცა ცოტცოტაობით მაინც ჭყლოპინებდნენ. კუდიანებიც პედლების ტრიალს შეეშვნენ და ველოციცხებით ძირს დაეშვნენ.

ზევიდან ჭრაჭუნი მოისმა.

ჭერზე საქანელა ეკიდა. ზედ ჯაჯუ-ბიჭი იჯდა და ალმა-დალმა ქანაობდა, თან ეშმაკურად იღმიჭებოდა.

— დაგვინახავს! — ჩაიჩურჩულა პანომ.

ბენტომ ცოტათი უკან დაიხია, მაგრამ ცნობისმოყვარეობა წინ ეწეოდა და კისერი კვლავ წაიგრძელა.

კაცვირთხა გენერალმა ხელი ასწია და დასჭექა:

— გაუმარჯოს ჯაჯუ-ბიჭს!

— ვაშა, ვაშა, გაუმარჯოს! — აყვირდნენ, აკივლდნენ, აჭყლოპინ-დნენ კაცვირთხები, კუდიანები და ჭინკა-მაიმუნები.

სიღრმეში დარბაზის კარი გაიღო. უზარმაზარი ბურთი გამოჩნდა. წითლად ლაულაუებდა, პირზე ქონი ასკდებოდა.

— ბოშო, უკვე შეგროვდით? — იყითხა ქალბატონმა ჯაჯულიამ და წინსაფრით ტუჩ-პირი მოიწმინდა.

კაცვირთხა გენერალმა კვლავ ასწია ხელი და დასჭექა:

— ორმაგი ვაშა ქალბატონ ჯაჯულიას!

— ორჯერ ვაშა, ვაშა და ვაშა! — ატყდა ისევ ერთი ვაი-უშველე-ბელი.

კიდევ ერთი კარი გაიღო და იქიდან თავი გამოყო დიდმა ჯა-ჯუმ, ცნობისმოყვარედ გადმოხედა შეკრებილთ და ჩაიკიკინა:

— მოხვედით?

კაცვირთხა გენერალმა ერთხელაც დასჭექა:

— სამმაგი ვაშა დიდ ჯაჯუს!

— სამმაგი ვაშა!.. სამჯერ დიდება დიდ ჯაჯუს! — კინალამ თაღი ჩამოიღო მხედრიონმა.

ბოლოს ყველანი დაწყნარდნენ და დიდმა ჯაჯუმ ბრძანა:

— ჩემო ერთგულნო! ვიცი, მოთმინება არ გყოფნით, კბილები გიკანკანებთ, საომრად შემართულნი ხართ! ცოტაც მოითმინეთ! უნდა გავძლიერდეთ და წადიგაიგე კი არა, მთელი ქვეყნიერება ჩვენი იქნება!

— დიდო ჯაჯუ! — დაიჭიჭყინა ჭინკა-მაიმუნმა, წელან ბენტოს ზურგზე რომ ცდილობდა ყირა გაეჭიმა. — მოგვპეზრდა მიწისქვეშ ცხოვრება! ზევით ასვლას ლამლამობით თუ გაპედავთ. მაშინაც ჩრდილებივით უჩინარნი და წყნარნი უნდა ვიყოთ! გვეშინია, ვინ-მემ არ შეგვამჩნიოს, გვეშინია, არ შემოგვათენდეს!.. გაგვიჭირდა ასე ყოფნა!

— გაგვიჭირდა!.. გაგვიჭირდა!.. — აჭიჭყინდნენ სხვა ჭინკა-მა-იმუნები.

— დიდო ჯაჯუ! — იკივლა კუდიანმა, ამასწინათ პირველი რომ მიაქროლებდა ველოცოცხეს. — ჩვენც ლამლამობით თუ გავინავარ-დებთ! გული გვისკდება, მზემ არ მოგვისწროს და ველოცოცხე-ბიდან ძირს არ ჩამოვცვდეთ!.. გაგვიჭირდა ასე ყოფნა!

— გაგვიჭირდა!.. გაგვიჭირდა!.. — აკივლდნენ დანარჩენი კუდი-ანები.

— დიდო ჯაჯუ! — აწრიპინდა კაცვირთხა გენერალი. — ზევით რომ ავიპარებით, ძალებიც ჩვენ გვდევნიან, კატებიც და ადამი-ანებიც!.. ჩვენ, მიწისქვეშეთის მამაცი ჯარისკაცები, უბრალო ვირთხები ვგონივართ!.. წადიგაიგე როდის გახდება ჩვენი?

— ჩვენი!.. ჩვენი!.. — მხარი აუბეს დანარჩენმა კაცვირთხებმა.

— ძვირფასო პანო! — ჩაიჩურჩულა ბენტომ. — ჩვენ კი არა, მთელ ქალაქს მოელის თურმე საშიშროება!

— როგორმე ყველაფერი ბაციკუკუს უნდა გავაგებინოთ! — ყურში აფაჩუნდა პანო.

— ჩუმად! ახლა დიდი ჯაჯუ ილაპარაკებს! — ბენტომ შიში და-ძლია და ნაბიჯი წინ გადადგა, თავით დერეფნიდან გამოძვრა.

— ჩემო ერთგულო მხედრიონო! — აკიკინდა დიდი ჯაჯუ. — მალე მოვიმკით ჩვენი გარჯის ნაყოფს. ჩვენი მთავარი მიზანია, სელში ჩავიგდოთ „მზის ნიუარა“. ეს ისეთი მანქანაა, ქალაქს კი არა, ქვეყნიერებას კი არა, ვარსკვლავებსაც დაგვაპყრობინებს!

— ია! — გაკვირვებით დაიყროყინა ჩოჩორმა ბენტომ და მთელ-მა მხედრიონმა აქეთ მოიხედა...

## 9. პონტი

— ოპო, ჩვენი ჩოჩორი მოპრძანებულა! — თქვა დიდმა ჯაჯუმ.

— ჩოჩორი ჩემია! — საქანელადან სულსწრაფად გადმოსძახა ჯაჯუ-ბიჭმა.

— დიახ, ჯაჯუს ჩოჩორი ვარ! — წაიბურტყუნა შეშინებულმა ბენტომ.

— მაშ, ჯაჯუს ჩოჩორო, დიდი ხანია, რაც გვისმენ? — შემპარა-ვად იკითხა დიდმა ჯაჯუმ.

ბენტომ ყურები გულუბრყვილოდ გააპარტყუნა.

— თავლას ვერსად მივაგენი და აქამდე ახლალა მოვალწიე!

— მერედა, რა გაიგე?

— ვარსკვლავებს მივაღწევთო... მეც წამიყვანენ-მეოქი და სიხარულით შევყროყინე!

— არ დაუჯერო, ბოშო, შევჭამოთ და ეგაა! — ქალბატონ ჯაჯულიას პირზე ნერწყვი მოადგა.

— არ დაუჯერო! — დაიკივლა კუდიანმა.

— არ დაუჯერო! — დაინრიპნა კაცვირთხამ.

— არ დაუჯერო! — დაიჯღანა ჭინკა-მაიმუნი. — მაგან ზურგზე არ შემისვა!

— ჩემი ჩოჩორია და ხელი არ ახლოთ! — ზევიდან გადმოსჭყივ-ლა ჯაჯუ-ბიჭმა.

— ამ სიგრძე კაცი ხარ და ბავშვის ჭკუაზე დადიხარ! — ავიშვიშ-და ქალბატონი ჯაჯულია.

— ჩვენი თათბირი დამთავრდა! — ბრძანა დიდმა ჯაჯუმ. — ახლა სახელგანთქმული მომღერალი გაგვართობს.

— მგონი, გადავრჩით! — აფაჩუნდა ყურში პანო.

ბენტომ კისერი მოილერა, დრუნჩი ასწია და გადარჩენის სიხარულისაგან გრძნობამორეულმა თავისი სოლოყროყინი შემოსდახა:

— იააა, იაააა!..

— ვაშა! — ტაში შემოჰკრა ჯაჯუ-ბიჭმა.

— უუუ!.. ააა!.. ეეე!.. — აკივლდნენ კუდიანები, აწრიპინდნენ კაცვირთხები, აჭიჭყინდნენ ჭინკა-მაიმუნები.

— ბოშო, მართლა მომღერალი არ ყოფილა! — გაიბადრა ქალბატონი ჯაჯულია. — აფსუსია ამის შეჭმა!

— ყოჩალ, ყოჩალ! — თავი დინჯად დაუკნია დიდმა ჯაჯუმ.

— ამათ გამამხნევებელი კი არა, თვლემისმომგვრელი სიმღერა მოუხდებათ! — ჩასჩურჩულა პანომ მეგობარს.

ბენტომ მსმენელებს თავი მოხდენილად დაუკრა და კვლავ სასიმღეროდ გაემზადა.

თანდათან სიწყნარე ჩამოვარდა და ჩოჩორმა ბენტომ ტკბილზე უტკბილესი სახელრული იავნანა ჩაიღილინ-ჩაიყრორინა. მიჰყვადა მიჰყვა, თავდავიწყებამდე მივიდა, თან მღერის, თან აქეთ-იქით ქანაობს... მასთან ერთად ქანაობენ ჭინკა-მაიმუნები, კუდიანები და კაცვირთხები... საქანელაზე ქანაობს ჯაჯუ-ბიჭმი. გრძელზე-

გრძელ კისერზე წამოცმულ თავს აქანავებს დიდი ჯაჯუ, ქალბატონმა ჯაჯულიამ კი ისე გემრიელად დამთქნარა, კიდევ კარგი, პირზე ხელი აიფარა, თორემ ნახევარი დარბაზი მის მუცელში აღმოჩნდებოდა.

— ბოშო, მთლად გამისკდა ყბები! — თქვა ქალბატონმა ჯაჯულიამ და დასაძინებლად წაგოგმანდა.

— მეც ძილი მომერია! — ჩაიკიკინა დიდმა ჯაჯუმ და გაქრა.

ჯაჯუ-ბიჭმა საქანელა ერთიც გააქანა, იშვირა თავ-ფეხი და პირდაპირ ძილში გადაეშვა...

#### 10. ჩაჯუ-ბიჭის ეშვაკუნები

— ახლა როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ბენტომ, როცა თავისი უსაშველოდ გრძელი „იიიიავნანა“ მოათავა.

დარბაზში ისმოდა ხვრინვა, ფშვინვა, ფშლუკუნი, ცხვირით სტვენა, ტუჩების წკლაპუნი... მოკლედ, ყველას ეძინა.

— იქნებ საიდუმლო ამოვხსნათ! — თქვა პანომ.

— როგორ?

— მე სიზმრებში შევიპარები, შენ კი, თუ გამიჭირდა, მიშველე!

ბენტომ კარგა ხანს ვერ მოიაზრა, რას ითხოვდნენ მისგან, მაგრამ პანო ხომ ყურში ეჯდა და უხსნიდა. ჩოჩორი ბენტომ ბაკიბუკით მიღიოდა, თან პანოს უქნევდა თავს.

აგერ ჯაჯუ-ბიჭმის საძილე ოთახი. ჯაჯუ-ბიჭმი დევგმირივით გაშხლართულა. ხელ-ფეხი აქეთ-იქით გადაუყრია, ლოგინი ისეა ანგრეული, თითქოს ჯაჯუს ომი გადაუხდიაო. საბანი და ბალიში ძირს მოუსვრია. პირისახეზე შუქ-ჩრდილი უთამაშებს, მოუსვენარ სიზმარში ჩაფლულა.

— წავედო! — პანო თითქოს ჰაერში გაფოფინდა.

შეფრთხიალდა პანო ჯაჯუ-ბიჭმის სიზმარში და რას ხედავს, მთელი წადიგაიგე ათასი ჯაჯუ-ბიჭმით გავსებულა. საითკენაც გაიხედავ, ყველგან ჯაჯუ-ბიჭმია. ფანჯრებიდან იჭყიტებიან, სახურავებზე გადმოკიდებულან, ტელეგრაფის მავთულებზე დარბიან. ქუჩაში გავლა ჭირს, ყოველი მხრიდან გეხლებიან... არის ერთი ალი-აქოთი, განევ-გამოწევა და ყველანი ასეთი ჯაჯუ-ბიჭმებია, ერთნაირად ჭორფლიანები, ნოღაცხვირიანები, თმაგაჩერილნი, მელნით მოთხვრილნი, ერთნაირად ნიშნისმოგებით ილმიჭებიან, რაღაცა

გამნარებით ეძებენ, აქეთ-იქით დასუნსულებენ, აღმა-დაღმა დაძვრებიან...

ვერ გაუგია პაწოს, რას დაეძებენ ჯაჯუ-ბიჭები.

მერე ერთმა მოიხედა, პაწოსკენ თითო გაიშვირა და იყვირა: „აგრ!“ ეს ათასი ჯაჯუ-ბიჭი პაწოსკენ შემობრუნდა, ყველამ თითო გაიშვირა ერთიანი კივილით — „აგრ!“

გულგახეთქილი პაწო გაიქცა, შეეცადა, გადაესწრო. ბიჭები ყიუინით გამოედევნენ, აპა, საცა ხელს სტაცებენ...

„ვაიმე, დავილუპე! — ფიქრობს პაწო. — დამიჭერენ!“

ჩოჩორი ბენტო დგას ჯაჯუ-ბიჭის სასთუმალთან და მძინარეს დაჰყურებს. ბიჭს სახე დაემანჭა, „არ გაუშვა, არ გაუშვა!“ — წაიჩურჩულა. ბენტო მიხვდა, პაწოს იჭერენო და პირი მოალო:

— იაა!

ჯაჯუ-ბიჭი წამოჯდა, თვალი დააჭყიტა. სიზმარი, ცხადია, დაეფანტა. პაწო ტყვიასავით გამოვარდა ჯაჯუ-ბიჭის სიზმრიდან და ჩოჩორის ყურში უშველა თავს.

— რა მოხდა? — იკითხა ჯაჯუ-ბიჭმა. — ვინ გამაღვიძა?

— ჯაჯუს ჩოჩორი ვარ! — ხმა მორჩილად გაიღო ბენტომ.

მერე ძილს რას მიფრთხობ, წადი, დაისვენე! — ჯაჯუ-ბიჭმა საპანი თავზე წამოიხურა და სიზმარს დაუბრუნდა. იქ, წადიგაიგეს ქუჩებში ათასობით ჯაჯუ-ბიჭი მიმორბიდა, მაგრამ პაწო გაძრალიყო...

## 11. პაწოს და ბენტოს გასაშემოხვევა

— ოჳ, ჩემო საყვარელო ბაციკუკუ! — ჩუმად წუნუნებდა თავისთვის პაწო. — როგორ შეგატყობინო ჩვენი ასავალ-დასავალი. შენი გამჭრიახი გონება გამოსავალს იპოვიდა, ღონე კი იმდენი გაქვს, ამ ჯაჯულეთს ჩამოაქცევდი...

— ძვირფასო პაწო! — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა ბენტომ. — ბაციკუკუს ამბავი ჯერ არ მსმენია. ალბათ დიდად გონიერიცაა შენი მეგობარი და ღონიერიც, მაგრამ ჩვენც ხომ დაგვჭირდა ვაჟ-კაცობისა და გონიერების გამოჩენა!

— ბენტო, ნუ მიწყენ! ვიცი, შენმა ვაჟუკაცობამ და გონიერებამ გადამარჩინა, მაგრამ, რაც შორს მივდივართ, უფრო ვიკარგებით! აი, შენ უკვე ჯაჯუ-ბიჭის ჩოჩორი ხარ!

— ჯაჯუ-ბიჭის ჩოჩორი? — იწყინა ბენტომ. — ასე რომ არ მეთქვა, აქამდე შეგვჭამდნენ!.. მე თავისუფალი ჩოჩორი ვარ, არტისტი და მომღერალი!

— ყველა ჩოჩორი ვინმეს ეკუთვნის! — თქვა პაწომ.

— ჯაჯუ თუ გამოკეთდა, შეიძლება მისი გავხდე! — დაყაბულდა ბენტო. — არადა, მოვძებნი ვინმე გულკეთილ ბავშვს, დავუმეგობრდები და, როცა მოგვეპრიანება, ერთად ვიყროყინებთ!

— კარგი ბავშვები არ ყროყინებენ!

— ალბათ არ იციან, რა სასიამოვნოა ყროყინი! თუ დავმეგობრდით, ვასწავლი! — ბენტო ყროყინის იშტაზე დადგა და მოკლე „იაა!“ გამოსცა.

სიბნელეში ისეთი ხმაური მოისმა, თითქოს დიდი კასრი გადაბრუნდაო.

— ბოშო, ვინაა ძილს რომ მიფრთხობს! — ვიღაცამ ჩაიდუღუნა...

## 12. ჩაჯულიას სიზმარეთი

დიახ, ჩოჩორი ბენტო ჯაჯულიას საძილე ოთახში შეეხეტა. ის კი, რაც კასრი ეგონა, თავად ქალბატონი ჯაჯულია ბრძანდებოდა. ბენტომ სიბნელეს თვალი შეაჩვია. მის წინ ბალიშის მთა აღმართულიყო. ამ მთაზე რომ მეორე მთა იდო, ჯაჯულიას თავი გახლდათ.

— სიზმარში რომ შემოეჭამ? — შეყოყმანდა ბენტო.

— ასჯერ დათვალე, ყროყინი მერე დაიწყე. ჯაჯულიას გამოეღვიძება, მე კი გამოვიქცევი! — დაარიგა პაწომ.

ბენტომ სირცხვილით ველარ თქვა, ასჯერ დათვლა არ ვიციო. ათამდე ყოჩალად ითვლიდა, მეთერთმეტე კი ისეთი ზღვარი აღმოჩნდა, ვერა და ვერ გადალახა.

„ბევრჯერ ათჯერ დავითვლი!“ — გაიფიქრა ბენტომ და როგორც კი პაწო ყურიდან გამოფოფინდა, თვლას შეუდგა.

ჯაჯულიას სიზმარეთი დიდ გვირაბსა ჰეგავს. აქ თავისუფლად შეიძლება განავარდება. აზრი თუ გაკროება, შორი-შორს მირბის და ორი სიტყვა ერთმანეთს ვერ ეწევა.

უამრავი ბილიკით დაფარულ გორაკებზე მოხვდა პაწო. ამ ბილიკებზე მახინჯი ჯოჯოები მიმოდიან, თავზე ხონჩები შემოუდგამთ, ხონჩებზე ნუგბარ-ნუგბარი კერძი, ხილი და ტკბილეული აწყვია.

აგერ უზარმაზარი სამზარეულოა. გურგურებს ცეცხლი, თუ-  
სთუხებს ქვაბები, შიშხინებს ტაფები... აქ სხვა ჯოჯოები ტრიალე-  
ბენ, კეპავენ, ბეგვავენ, ხარშავენ, აცხობენ... ყოველივე ამას  
უზარმაზარ პირში ყრიან. პირი წისქვილივითაა, გაუჩერებლად  
ფქვავს და ფქვავს...

— მოიტათ, მოიტათ! — ამბობს პირი ხანდახან. — მოიტათ, მთე-  
ლი ქალაქი უნდა გადავჭამო!

უცებ ერთმა ჯოჯომ პანო დაინახა. „ესეც ლუკმა!“ — პეპლის  
საჭერი ბადე მოუმარჯვა. უნდოდა გაქცევა პანოს, მაგრამ ბადე  
თავზე ჩამოეცვა და ვეღარ გარბის. ექაჩებიან ჯოჯოები, პირი კი  
ხრიალებს:

— მოიტათ, ესეც ჩემი ლუკმაა!

ამ დროს ბენტო დგას, „ბევრჯერ ათვერ“ ითვლის, მაგრამ სულ  
რამდენი დათვალა, ალარ იცის. ჭოჭმანობს, ვაითუ, დროზე ადრე  
ავყროყინდეო, ანდა, პირიქით, დავაგვიანოო...

ბოლოს, მოთმინება რომ დაელია, ფრთხილად მიუახლოვდა ბა-  
ლიშს, — ჯაჯულიას გაჩერილ თმებში ფეხებით არ გავებაო და იმიტ-  
ომ, — მიუშვირა დრუნჩი ყურს და ერთი გემრიელად შეჰყუროყინა.

— ბოშო! — იკივლა ჯაჯულიამ და ავარდა, თავი ჭერს რეხვა და,  
ბენტოს ზომისა რომ იქნებოდა, ისეთი კოპი დააჩნდა.

წამში გაქრა სიზმრის სამზარეულო, გაქრნენ ჯოჯოებიც, პეპ-  
ლის საჭერი ბადეც და პანო სიხარულით გამოვარდა, ბენტოს ყურ-  
ში შეიყუუა.

ყოჩალმა ჩოჩორმა, ცხადია, ცოცხლად მოცოცხა...

### 13. მძინარეთა დარბაზში

შორს გაქცევა ვერ მოასწრეს, როცა ჯაჯულიას კივილი წა-  
მოენიათ:

— ლალატია-ა!.. გა-მა-ლვიძეს!..

კივილს გრიალი მოჰყვა, თითქოს თავდალმართზე დიდი კასრი  
მოგორავსო.

— ძვირფასო პანო, რაღაც მოგორავს! — შემკრთალი ხმით თქვა  
ბენტომ.

— ეს ჯაჯულია მოგორავს, ჩემო ბენტო, თუ ვერ გავასწარით,  
გადაგვივლის და დაგვტკეპის!

ჩოჩორმა ოთხივე ფეხი აამუშავა და ისე გაუტია, ბნელი დერე-  
ფანი წამში მოლია.

იმ დარბაზში ალმოჩნდენ, სადაც ამასწინათ ვირების იავნანა-  
თი მთელი საკრებულო დააძინა.

იატაკი ახლაც მოფენილი იყო მძინარე კუდიანებით, ჭინკა-  
მაიმუნებით და კაცვირთხებით. ისმოდა გაბმული ფშუტუნა, ხვრი-  
ნვა, წკმუტუნი...

პანო გაფაციცდა, ემანდ არ გადმოვვარდე და ვინმეს სიზმარში  
არ ალმოჩნდეო.

ბენტო შეეცადა, ძილი არავისოთვის დაეფრთხო და ისე გაევლო,  
მაგრამ ეს ორი ფეხითაც ძნელია, მით უფრო — ოთხი ფეხით.

— ვაიმე, ვიღაცამ დამაბიჯა! — შესჭახჭახა ჭინკა-მაიმუნმა.

— ოპ, მგონი წიხლი მითავაზეს! — წამოიკივლა კუდიანმა.

— ვინ დაბორიალობს აქ! — მრისხანედ დაიწრიპინა კაცვირთხამ.

ჩოჩორმა ბენტომ, სიფრთხილეს პატრონი მოუკვდაო, გაექანა  
და ხტუნვა-ხტუნვით გადაუარა დარბაზს, ზოგს დააბიჯა, ზოგს  
ფეხი ამოჰკრა, ზოგიც მოჭეჭყა... ატყდა გნიასი და აურზაური.

ამასობაში დერეფნიდან ბრაზით გაბერილი ჯაჯულია შემოგ-  
ორდა. შემოგორდა და ქვეშ მოიტანა ნახევრადმინარე ჯადოქრე-  
ბი, ქვეშ მოიტანა და იატაკზე გააბრტყელა, კედლებზე ააკრა... ვი-  
საც გადაუარა, რაც ეკუთვნოდათ, კიდეც დაემართათ, სხვებმა  
იხუვლეს და თავს უშველეს...

ჩოჩორი ბენტო ვის ახსოვდა. ტალღამ კედელზე მიაგდო. იქ კი  
კარი იყო. ზედ ეწერა: „არ შემოხვიდე! ძილს ნუ დამიფრთხობ!“

რაკი კითხვა არ იცოდა, გაფრთხილება არაფრად ჩააგდო და  
კარს მიღმა ალმოჩნდა. ცხვირწინ შიშველი ფეხისგულები დაინახა...

### 14. ვისია ფეხისგულები?

ბენტოს შიში დაავიწყდა და გაკვირვებული მიაჩერდა ფეხის-  
გულებს. წყვილი ფეხისგული, თითო ხუთი ვირისყურისოდენა,  
გვერდიგვერდ წამომართულა.

დგას ბენტო და ფიქრობს, ვისია ეს გრძელი და წვრილი ფეხის-  
გულები და რა მოხდება, თუ მოვულუტუნებო.

— არ მოუღუტუნო! — ჩასჩურჩულა პაწომ. — ჯერ თავი მოვუნახოთ და მის სიზმარში ჩავიხედოთ!

ბენტომ გვერდი ფრთხილად აუარა ფეხისგულებს. საწოლი იმ სიგრძე იყო, ბოლო არ უჩანდა. საპანიც, რა თქმა უნდა, გრძლად ეფინა. მიჰყვა ბენტო ვიწრო და გრძელ საწოლს, ნეტავი სად თავდებაო.

აგრე, აქ ალბათ მუხლისთავებია. მერე, კაი ხნის შემდეგ, ტანიც გამოჩნდა და სულ ბოლოს, როცა ეგონა ეს ვიღაცა არსად მთავრდებაო, პატარა ბალიშზე კომშისოდენა თავი დაინახა.

— დიდი ჯაჯუ! — კინალამ იყვირა ბენტომ.

— ჩუმად! — გააფრთხილა პაწომ. — მე დიდი ჯაჯუს სიზმარს ვენვევი, შენ კი ასამდე დაითვალე!

— ასამდე არ ვიცი! — გამოტყდა ჩოჩორი ბენტო.

— უკან, ფეხისგულებამდე იარე, სანამ მიაღწევ, დათვლილიც იქნება!

ბენტო უკან წაბაკუნდა, პაწო კი დიდი ჯაჯუს სიზმარში ძლივს შეეტია.

საშინელი სივიწროვე იყო. ყოველი მხრიდან მოჩვენებები ეხვივნენ და პაწო მათ შორის გაძვრა. წამდაუნუმ აქედან და იქიდან აწვებოდნენ, გვერდები მთლად დაულურჯეს.

პირველად ვერ მიხვდა, რა ზედახორაც იყო. თურმე ეს ქალაქი წალიგაიგეა. ნანგრევებად გადაუქცევიათ, ვირთხებისა და ყორნების სათარეშოდ. თვით დიდი ჯაჯუ ნიუარისმაგვარ ხომალდში ჯდება, შიგ წადიგაიგეს დამონებული მოქალაქენი ჩაუსხამს. მონები მოთქვამენ და ცრემლს ღვრიან. „ნუ ტირით! — ამშვიდებს დიდი ჯაჯუ. — ბედნიერნი ხართ, სხვაზე ადრე რომ დაგიმონეთ!.. სხვა ქალაქებს უარესი დღე მოელის!..“ ამ დროს პაწოსაც შეასწრო მზერა. გრძელი, კაუჭა თითები სტაცა. „გეგონა, გამექცეოდი!“ — ნიშნისმოგებით უთხრა და მონებს შორის ჩატენა...

ამასობაში ჩოჩორი ბენტო ბოლომდე ჩაბაკუნდა. თუმცა დიდად არ სიამოვნებდა, მაგრამ დრუნჩი ფეხისგულზე მიუხახუნა. დიდმა ჯაჯუმ ერთი ფეხის ფრჩხილებით მეორე ფეხისგული მოიფხანა. ბენტომ ახლა მეორე ფეხისგულს მოუღუტუნა. დიდმა ჯაჯუმ პირველი ფეხით მეორე ფეხისგული მოიფხანა. გაბრაზდა ბენტო, ამას ეტყობა ვერ გავაღვიძებო და მწარედ უკბინა.

დიდმა ჯაჯუმ ფეხები ამოიკეცა. ბენტომ, ფეხისგულები გამექცაო, და უკან გამოუდგა.

ფეხისგულები საწოლიდან გადმოვიდნენ და იატაკზე ტყუპად დადგნენ. დიდი ჯაჯუ საწოლზე ჩამოჯდა. ყოველივე ამას ძილში აკეთებდა და პაწო, ჯერჯერობით, ტყვეობიდან ვერ გამოიქცა.

დიდი ჯაჯუ წამოიმართა და თავი გარეთ გაყო. წადიგაიგეში უკვე თენდებოდა. დიდ ჯაჯუს სახეზე გრილი ნიავი მოხვდა და გამოელვიდა.

„რა იყო, რა მესიზმრა!“ — გაიფიქრა დიდმა ჯაჯუმ და სიზმარი თავიდან პირწმინდად ამოეხვეტა.

პაწო თავქუდმოგლეჯით გამოიქცა, მზის სხივებს გაჰყვა, ქალაქის თავზე გაირბინა. მიიჩქაროდა ბაციკუუსაკენ, რათა წადიგაიგეს მომავალი დალუპვის ამბავი ეცნობებინა.

„მაპატიე, ძვირფასო მეგობარო ბენტო!“ — მიიჩქაროდა და მოთქვამდა პაწო...

## 15. ხელშეკრულება

ჩოჩორი ბენტოც ეცადა გაქცეულიყო, ოლონდ სად მიიმალებოდა. უცებ იგრძნო, რომ ქეჩოში ხელი ჩაავლეს და ძირს მოსწყვიტეს.

— იაა! — შესაბრალისად შეჰყუროყინა ბენტომ და აფართხალდა, მაგრამ ღონიერ ხელს ვეღარ დაუძვრა.

მაღლა და მაღლა რომ ასწიეს, გაყუჩდა, რადგან ამ სიმაღლიდან ჩამოვარდნა კარგს არაფერს მოუტანდა.

დღის სინათლეზე აღმოჩნდა. დიდ ჯაჯუს მინისქეშეთიდან ამოეყო თავი. ჩოჩორი ბენტო ზედ თვალებთან მოაპროწიალა და ყურიდან ყურამდე გახეული პირით დაიკინა:

— ძილი შენ დამიფრთხე?

— ა-არა! — იცრუა ბენტომ.

— არ მიყვარს მატყუარა ჩოჩორები!

— დიდო ჯაჯუ! — მორჩილად თქვა ბენტომ. — კინალამ შემჭამეს და თავი შემოგაფარე!

— სწორად მოქცეულხარ! — დიდმა ჯაჯუმ ჩოჩორი ბენტო იღლიაში ამოიჩარა. მინისქვეშეთიღან ამოძვრა, ჯერაც მძინარე სახლებს გადაალავა და რატუშის ღია ფანჯარაში ძლივს შეეტია.

ნოტარიუს კოკოს როხო თავი მაგიდაზე ედო და ჩვეულებისამებრ ხვრინავდა.

დიდმა ჯაჯუმ დაუძახა:

— კოკო!

ნოტარიუსმა თავი ასწია.

— ჰემ!.. მიღება დაიწყო!.. დიახ!

— ნოტარიუსო კოკო! — თქვა დიდმა ჯაჯუმ. — დამიწერე ხელშეკრულება, რომ ამიერიდან ჩოჩორი ბენტო დიდი ჯაჯუს თაყვანისმცემელია და თეატრის სცენიდან ხოტბას შეასხამს თავის პატრონსა და მფარველს!

ნოტარიუსმა კოკომ გერბიანი ქალალდი ამოიღო და იატაკზე დააფინა.

— დიდო ჯაჯუ, ჰემ, გთხოვ თვითონვე დაწერო, რაც გსურს!

დიდმა ჯაჯუმ კალამი სწრაფად გააქანა და საჭირო სიტყვები ჩამოამწკრივა.

— ჩოჩორი ბენტო, ამ ქალალდზე ხელი მოაწერე! — უბრძანა ნოტარიუსმა კოკომ.

ჩოჩორი ბენტო დარცხვენილი დაჳყურებდა ასოთა მწკრივს.

— მე ხომ ჩოჩორი ვარ, ხელი არა მაქვს! — თქვა საცოდავად. — თანაც არც წერა ვიცი და არც კითხვა!

— ასწიე ჩილიქი!

ნოტარიუსმა კოკომ ბენტოს ჩლიქზე მელანი წაუცხო და ქალალდზე დადებინა.

— ხელშეკრულება მზადა! — ნოტარიუსმა კოკომ გერბიანი ქალალდი გაუწოდა დიდ ჯაჯუს, თავი კვლავ მაგიდაზე მიდო და ძილი განაგრძო...

## 16. მირანდოლა ცრუობს

აღმოსავლეთიდან მზე ამოიწვერა და ქალაქ წალიგაიგეს სახურავები წითლად დაალიანდაგა.

პანო მზის ამ სხივებზე მიფარფატებს, სახურავიდან სახურავზე, სახლიდან სახლზე ხტება, ქალაქის გარეუბნისაკენ მიიჩქარის, სა-

დაც პატარა სახლში თაია ვაჩინაძე ცხოვრობს და ბაციკუკუს თავშესაფარიც ეგულება.

აგერ სახლიც! დარაბები და კარი ჩაუგმანია, მშვიდად სძინავს. სახლმა ჯერაც არ იცის, რა საფრთხე მოელის, არც ბოსელმა იცის, სადაც ძროხა ელპიტე იცოხნება, არც კიბემ, რომლის საფეხურზე ძალლ ბომბოს ტკბილი სიზმრები სწვევია...

ფისო მირანდოლა ზის ბოსლის სახურავზე, პირს იბანს.

— დიღლა მშვიდობისა, ქალბატონო ფისო! — ესალმება პანო.

— დიღლა მშვიდობისა, პანანინავ! — ფისო მირანდოლა ვითომ ვერ ცნობს მოულოდნელ სტუმარს. — მობრძანდი, ჩემს გვერდით ჩამოჯექი!

პანო შორიახლო დაეშვა, ფრთხილადაა, არ ენდობა, ვინ იცის, კატას რა უდევს გუნებაში.

მსუბუქმა ნიავმა დაუბერა, პანოს პანანკინტელა კაბის კალთები ააფარფატა.

— თაიას ალბათ სძინავს! — ამბობს პანო.

— გოგო თაიას ლრმა ძილით სძინავს! — თავს უქნევს ფისო მირანდოლა. — დიღლის ძილი ტკბილი ძილიაო!

— ბაციკუკუსაც სძინავს ალბათ!

— ბაციკუკუს არ სძინავს! — ცრუობს ფისო მირანდოლა. — ბაციკუკუ ჩვენთან არ ცხოვრობს!

— სად წავიდა მამაცი ბაციკუკუ? — წუხს პანო.

— მამაცი ბაციკუკუ ალარა გვყავს! — მირანდოლამ თათები თვალებზე აიფარა, ვითომც ავტირდიო.

— მოკვდა? — თავზარი დაეცა პანოს.

— დიახ! გადაბრუნდა და მოკვდა! წითელ კუბოში ჩავაწვინეთ, წავასვენეთ და დავმარხეთ!

— აჲ! — ამოიკვნესა პანომ და გულწასული ჩაიკეცა.

დიღლის ნიავმა უფრო ძლიერ დაუბერა, მსუბუქი გოგონა აიტაცა და წააფრიალა.

მწვანეჭალაში დიდ მუხას ტოტები რომ ფართოდ გაუშლია, იმის ფოთლებში გონს მოეგი პანანა პანო.

— აჲ, ბაციკუკუ! — ჩაიჩურჩულა და ატირდა.

## 17. დილის ძილი

— ოჲ, პანო, პანო, ჩემო გულისვარდო! ნეტავ ვიცოდე, სად დამეკარგე! — წამოიძახა ბაციკუკუმ და გამოელვიძა.

კვლავ მაგიდაზე დასკუპებულს სძინებია. თვალებდაჭყეტილი იყურება და პანოს მეტს ვერაფერს ხედავს. პანოს ხატი ძილიდან გამოჰყვა და ვერ იშორებს. ესიზმრა, ვითომ პანოს ათასნაირი ურჩხული ახვევია და ბაციკუკუ ვერაფერს შველის.

თანდათან გამოფხიზლდა. გახედა მძინარე თაიას, გახედა ფანჯარაში წითლად შემობრიალებულ დილის მზეს, ყური მიუგდო საათის ტიკტიკს და ამოიხრა:

— ოჲ, პან!

თაიამ თვალი გაახილა.

— არ გძინავს?

— გოგო თაია, — თქვა ბაციკუკუმ, — ნუღარ ვაყოვნებთ, მოქმედების დრო დადგა!

— ჰო, უნდა ვიმოქმედოთ! — ჩაიბურტყუნა თაიამ და ბალიშს ჩაეხუტა.

დილის ძილი ტკბილზე ტკბილია...

## თავი / V. თესტი

### 1. ცრუპალი

— ფეხდაფეხ მიჰყევი! — უბრძანა ბაციკუკუმ თაიას.

ბაციკუკუ ხალათის ჯიბეში ზის, ზოლებიანი კეპი და დაჭყეტილი თვალები ამოუყვია.

სკოლიდან ბრუნდებიან.

წინ ჯაჯუ-ბიჭი მიდის, თავის დალაქავებულ ჩანთას ხან მარჯვენათი მოათრევს, ხან მარცხენათი. ამისდა მიხედვით, ხან ერთ მხარეს გადაიხრება, ხან — მეორეს. ალბათ მეტად მძიმე ჩანთა, რადგან რაც სხვას თავით დააქვს, ჯაჯუს ჩანთაში უწყვია.

ჯაჯუ-ბიჭი პირველად აფთიაქთან შეჩერდა. ვიტრინას შეხედა, საკუთარ ანარეკლს დაეჯღანა. ცალი თვალით უკან მოიხედა და თაიას ენა გამოუყო. სიამოვნებით დააწიწვნიდა კიკინებს, ოლონდაც ბაციკუკუსი ეშინოდა.

თაიამ ძირს დაიხედა, ვითომც საკუთარი ფეხსაცმელების ჭვინტი მაინტერესებსო.

ჯაჯუ-ბიჭი აფთიაქს მოშორდა და ფურნესთან შეჩერდა. იქიდან გემრიელი პურის სუნი გამოდიოდა. მერე სათამაშოების მაღაზიასთან შეყოვნდა. ტკბილეულის დუქანში სალეჭი რეზინი იყიდა და პირში იტაცა.

თაიამ, ვიღას დავიწყებისარო და, გან-გან გაიხედა.

ასე და ამგვარად მიდის ჯაჯუ-ბიჭი, ფეხდაფეხ მიჰყება თაია... ჯიბიდან კი ბაციკუკუ იჭყიტება.

საკმაო დრო გავიდა.

— ბებია გამიწყრება! — ჩაიჭიჭყინა თაიამ.

— არ ჩამორჩე! — უბრძანა მამაცმა დეტექტივმა.

თაიას სხვა რა გზა ჰქონდა, ფეხდაფეხ მიედევნა აბეზარ ბიჭს, ის კი ყველა ვიტრინასთან და სადარბაზოსთან ჩერდება, თუმცა არსად არ შედის.

აგერ თეატრალური მოედანიც! რატუშამ ეჭვიანად გადმოხედა. თეატრის ლამაზი შენობა ფართოდ ილიმება:

— მობრძანდით! მესტუმრეთ! ხვალ დიდი კონცერტი გვაქვს!  
— ბენტო გაქრა, კონცერტი კი მაინც იქნებაო! — უკვირს თა-იას.

ჯაჯუ-ბიჭი ჩერდება, უტიფრად უყურებს თაიას.

— ჰი!

ჩანთა ძირს დააგდო, ზედ შეჯდა და... ჩანთა აფრინდა, ჯაჯუ-ბიჭი ჰერში აიტაცა, თაიას თავზევით გადაუქროლა... ბიჭმა ნიშ-ნის მოგებით დააგდო — „ჰი!“ და თეატრის მხარეს გაუჩინარდა.

— ახლა რაღა ვქნათ? — იკითხა თაიამ.

ბაციკუუმ თითო შუბლზე მიიკავუნა.

— ეგრე ვერავინ მომატყუებს! ხვალ თეატრში მივდივართ!

## 2. თეატრში მივდივართ!

თეატრში წასასვლელად ყველანი დილიდან ემზადებიან.  
ფეხსაცმელები ბზინავენ, თეატრში მივდივართო და თავი მოს-ნონთ.

თაიას კაბა ინაზება, არ დამწვათ, ისე დამაუთოვეთო.  
უთო ცდილობს, იქნებ ამაგი დამიფასონ და მეც დამპატიუნონ.  
ონკანში წყალი ჩხრიალებს, საპონი იხვეწება, ერთხელაც ამა-ქაფეთ, პირზე მოგეფერებითო.

კბილის ჯაგრისმა კიჭები სათითაოდ დაუთვალა გოგონას და  
ჩემს საქმეს მოვრჩიო, ჩაილაპარაკა.

სავარცხელი არ იღლება, ოქროსფერ კულულებს ხან ასე დააყე-ნებს, ხან ისე.

მართა ბებო ოხრავს, საგარეო კაბა დაუძველდა და ტანსაცმ-ლის ჯაგრისს საყვედურობს, ცუდად მისუფთავებო.

საკერავი მანქანა იხვეწება, მეც წამიყვანეთო, მაგრამ, წარმო-გიდენიათ, სპექტაკლის დროს რომ არახრახდეს.

კარადები და სკამ-ლოგინები მოუსვენრად ჭრაჭუნებენ, ოლონდ ამათვის ვისა სცალია.

სახლი გაბუტული სდუმს. არსად ჰატიუებენ. ყველანი რომ გა-იკრიფებიან, მოწყენისაგან ფანჯრებს მოიხურავს, კარს ჩაირაზავს და ერთს გემრიელად წაუძინებს. თეატრიდან რომ დაბრუნდებიან,

მაშინდა გაიღვიძებს, სმენას გააფაციცებს, ვინ რა ამბავი მო-იტანაო.

ბაციკუუ სარკეში იჭყიტება. ულვაშებს გულმოდგინედ ისწო-რებს, თანაც იმდენ ხანს, სარკეს თავი მოაბეზრა და სარკემაც ენა გამოუყო.

— უზრდელი სარკე! — განაცხადა ბაციკუუმ.

ფისო მირანდოლამ თავი მოიკატუნა, იყო თავისთვის გასუსუ-ლი. მიხვდა, ვერაფერი გამიგესო და თანდათან გათამამდა. ახლა ერთ განამარიშია. თაიას ძველი კაბები მიფხრინ-მოფხრინა, ცდი-ლობს მოირგოს. ყელზე შუშის მძივები ჩამოიკონიალა, ყურებზე ბრჭყვიალა საყურებს გააქვთ რაჩხარუჩხი. ქუთუთოები მოცის-ფროდ შეიღება და ჭრელი თვალები უფრო ეშმაკურად აუჭრელდა.

ძალმა ბომბომ გრძელკალთებიანი შავი პიჯავი და შარვალი ჩაიცვა. თავზე ქაბქუდა ჩამოიფხატა. პირში ყალიონი გაირჭო. ყველაფერი ეს აქამდე ვაჩე მამიკოს კარადაში ინახებოდა იმ დრო-იდან, როცა ვაჩე მამიკო ინგლისელი პოლისმენის ბობის როლს თამაშობდა.

ყველაზე მეტად ძროხა ელპიტეს შემოსვა გაჭირდა. მართა ბე-ბოს ვერც ერთ კაბაში ვერ ჩაეტია. მაშინ ორი ხალათი ერთმანეთს გადააკერეს, მკერდზე კი წინსაფარი ჩაუმატეს. ამიტომ ძროხა ელპიტეს უამრავი ჯიბე აღმოაჩნდა და შიგ უმალ ქატო ჩაიტენა.

— ცოხნას შეეშვი! — ურჩია თაიამ. — თეატრში ძროხებიც არ იცოხნებიან!

ასე და ამგვარად, თეატრში წასასვლელად მოემზადნენ...

## 3. ყროყინა ტრამვაი

გზას დაადგნენ.

წინ მართა ბებო მიდის. იღლიაში კედლის საათი ამოუჩრია, „ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ!“ — ხარობს კედლის საათი.

მერე თაია მოაბიჯებს, ცდილობს ბებოს ფეხი აუწყოს, მაგრამ მოკლენაბიჯები აქვს და ეშლება, უნებლიერ ჩამორჩება და ხტუნვა-ხტუნვით დაეწევა.

ჯიბეში ბაციკუუ უზის. ყოჩალი მაძებარი ბოლო ორ მზესუმ-ზირას ატანს გემოს. ხანდახან თავს ამოყოფს და დაჭყეტილ თვა-ლებს გარემოს მოავლებს.

ფეხდაფეს ფისო მირანდოლა მოიწმანება, მძივებსა და საყურებს მოაჩხარუნებს, ჭრელ თვალებს ეშმაკურად აცეცებს.

შემდეგ ძროხა ელპიტე მობაკუნობს. ხალათის კალთები ძირს მოსთრევს. დრუნჩის ჩუმ-ჩუმად ჯიბეში იყოფს, ქატოს ენას უსვამს.

დაბოლოს, ძალი ბომბო მოაბიჯებს დარბაისლურად. პირში ყალიონი გაუჩრია და თუმცა შიგ თამბაქო არ არის, მაინც აპლაკუნებს.

აგერ გაჩერება!

ქუჩის მოსახვევიდან გამოგრიალდა წითელი ტრამვაი.

ზარის მაგიერ ყროყინებს.

მართა ბებო გაოცებულია, თაიაც გაოცებულია, მირანდოლაც, ელპიტეც და, რაღა თქმა უნდა, ბომბოც.

ბაციკუკუ თვალებს აჭყეტს, მას არაფერი აოცებს.

ვატმანის ადგილას ჯაჯუ-ბიჭი ზის, უხეიროდ იჯლანება.

— ესეც ასე! — ეჭვით ამბობს ბაციკუკუ.

— ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ... მთავარია, არ დაგვაგვიანდეს! — ღელავს საათი.

— მოქალაქე მგზავრებო, შეიძინეთ ბილეთები! — აცხადებს ჯაჯუ-ბიჭი. — თეატრამდე თითო შაური. ძროხამ, რაკი ერთ სკა-მზე ვერ ეტევა, ორი შაური გადაიხადოს!

დიახაც, ვატმანს ვერ შეედავები!

ყველანი სხდებიან, ტრამვაი თეატრისაკენ მიექანება, თან კი არ აწყარუნებს, ჩოჩორივით ყროყინებს...

#### 4. ტრამვაიგაძრა

— ღრღ! — ყალიონი პირიდან გამოილო ბომბომ. — ეს ბიჭი მეცნიბა!

ცხადია, თაიასაც ეცნობა! ეს ხომ ჯაჯუ-ბიჭია! დახე, კვირაობით თურმე ტრამვაის ვატმანად მუშაობს.

— ეს ბიჭი კატა! — განაცხადა ბომბომ.

— სისულელეა! — აკრუტუნდა ფისო მირანდოლა. — ბიჭი რანაირად იქნება კატა?

— ტრამვაი კი ვირის ჩოჩორს აგონებს! — ჯიბიდან ამოიჭყიტა ბაციკუკუმ.

ჯაჯუ-ბიჭმა მგზავრებისაკენ მოიხედა. მართლაც ჰგავს წითურ კატას, მაგრამ ნალდად ჯაჯუ-ბიჭია!

ტრამვაი გაჩერდა და ახალი მგზავრები ამოვიდნენ. აგერ აღა-თი მასწავლებელი, აგერ ჩიტო მასწავლებელი, აგერ პატიკო მას-წავლებელი, აგერ ლუდმილა რუსლანოვნა, აგერ ბატონი იაკინთე, აგერ გაკვეთილუცი, დაბოლოს, ფიზკულტურის მასწავლებე-ლი ოხოხო.

თაია ზრდილობიანად ფეხზე წამოდგა:

— დაბრძანდით, დაბრძანდით, პატივცემულო!

წამოიმართა ბომბო, ყალიონი გულისჯიბეში ჩაიდო, ქვაბქუდა მოიხადა.

ფისო მირანდოლამ დრუნჩი ფანჯრისაკენ მიაბრუნა, ვითომცდა ვერავის ვხედავო.

დარბაისელი ძროხა ელპიტე გაფაშფაშებული ზის, სალამის ნი-შნად თავს აქნევს.

მართა ბებო ყველას ლიმილით ესალმება:

— სალამი ჩიტო მასწავლებელო! სალამი აღათი მასწავლებე-ლო! სალამი ლუდმილა რუსლანოვნა! სალამი პატიკო მასწავლე-ბელო! სალამი ბატონონ იაკინთე! სალამი ბატონონ ოხოხო! სალამი ქალბატონო დირექტორო!

„ქალბატონო დირექტორო“ იმიტომ თქვა, ნამდვილი სახელი არ იცის და „გაკვეთილუცის“ ხომ არ დაუძახებს.

— ღლეს ვატმანად ჩვენი ჯაჯუ-ბიჭია! — თავმომწონედ ამბობს გაკვეთილუცი.

— დიახ, დიახ, როგორ დაჭკვიანებულა! — კვერს უკრავენ სხვა მასწავლებლები.

ჯაჯუ-ბიჭი ხითხითებს. ტრამვაი სწრაფად მიექანება, მოსახ-ვევზე ზარს კი არ აწყარუნებს, ყროყინებს.

— უნდა გავიგო, მართლა ბიჭი თუა! — ვერ ისვენებს ბომბო. — მივალ და დავსუნავ! ისეთი ყნოსვა მაქვს, უმალ გავარჩევ ქურდ-ბაცაცა კატას ბიჭისაგან!

— ქურდბაცაცები ძალლებია! — იბუტება ფისო მირანდოლა.

ბომბო ყურს არ უგდებს, ნელ-ნელა უახლოვდება ვატმანის კა-ბინას, თან ცხვირი წინ გაუშვერია და პაერს გამალებით ყნოსავს.

— დიახ, ქურდის სუნი მცემს! — დაილრინა ბომბომ.

ჯაჯუ-ბიჭმა მოიხედა. კბილებდალესილი ბომბოს დანახვაზე ტრამვაი უცებ დაამუხრუჭა. დარბაისელი ძროხა ელპიტე სკამი-დან გადმოვარდა და გაკვეთილითუცი ძირს მოიყოლია. ფისო მი-რანდოლა პატიკო მასწავლებლის მუხლებზე აღმოჩნდა, პატიკო მასწავლებელი — აღათი მასწავლებლისა, ორივე ერთად — ჩიტო მასწავლებლისა. ბატონმა იაკინთემ და ლუდმილა რუსლანოვნამ შუბლები ერთმანეთს მიახეთქეს და კოპები დაიმსახურეს.

მართა ბებოს კინალამ საათი გაუვარდა და გაბრაზებულმა საათ-მა — „ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ნუ დამამტვრიე, ქალო!“

თაია ხომ ფეხზე იდგა. გაქანდა და ბომბოს მიენარცხა, ბომბო — ვატმანის კარს. ჯიბეში ჩაჭყლეტილმა ბაციკუკუმ სული ძლივს მოიბრუნა და ბომბოს დასჭყივლა:

— არ გაუშვა!

ვინ არ გაუშვა? ჯაჯუ-ბიჭი აორთქლდა, ტრამვაიც აორთქლდა და მგზავრები პირდაპირ ლიანდაგზე დაცვივდნენ. სადაც ტრამ-ვაი იდგა, იქ აქლემი წამოიმართა, ზედ ჯაჯუ-ბიჭი ამხედრებულა. აქლემმაც ვირივით დაიყროყინა და გაუტია, თან ჯაჯუ-ბიჭიც გაიტაცა...

— არ გაუშვა! — კვლავ დასჭყივლა ბაციკუკუმ, მაგრამ სანამ ერთმანეთს ხელს შეაშველებდნენ და წამოდგებოდნენ, აქლემი გაქრა და, ცხადია, ჯაჯუ-ბიჭიც.

„დიდი კაცი რომ ვიყო, ტრამვაით ხომ არ ვიმგზავრებდი!.. ოხ-ოხ!..“ — ამოიოხრა ოხოხომ.

მგზავრები კვნესა-კრუსუნით თეატრის გზას დაადგნენ...

## 5. ქალბატონი ჯაჯულია თეატრში მოპრძანდა

— მობრძანდით, მობრძანდით, ძვირფასო მაყურებლებო! — თეატრს კარები ფართოდ გაულია და გამვლელ-გამომვლელს ეპატი-ჟება.

ქალაქის შენობებში ყველაზე ლამაზია. თუმცა ნიღბები დაუზიანეს, თავი მაინც მოსწონს. ხანდახან ზეცას ახედავს, ხომ არ წამოწვიმსო და ამოიოხრებს... იცით, რატომ?.. სახურავი აუხდიათ და ეშინია, წვიმა თავში არ ჩამივიდესო.

გუგუნი გაისმა. მოედნის თავზე ვერტმფრენი ჩამოეკიდა. გუ-გუნებს და გუგუნებს, ვიღაცას ელოდება.

სად იყო, სად არა, ქალბატონი ჯაჯულია გამოგოგმანდა. იმოდე-ნაა, უმაღ მოედნის ნახევარი დაისაკუთრა, სხვები კი გან-გან იწე-ვენ და ერთმანეთს ფეხებზე აბიჯებენ.

— ბოშო, ძლივს მოვალნიე! — ხვნეშის ქალბატონი ჯაჯულია, ოფლი წურწურით ჩამოსდის.

— გამარჯობათ, ქალბატონო ჯაჯულია! — ციდან ჩამოსძახის ვერტმფრენი.

— შენ უნდა ამნიკო ვითომ მე? — ქალბატონი ჯაჯულია ხვი-ხვინებს.

ვერტმფრენი ბრაზიანი გუგუნით პასუხობს — „დიახ, დიახ!“ დაბლა, დაბლა ეშვება, აპა, ჯაჯულია უკვე სწვდება, ჩაეჭიდება. ვერტმფრენი ცდილობს აქაჩის, ასფალტი მოწყვიტოს, საშინ-ლად წუის, მაგრამ არაფერი გამოსდის.

— მაშ რა გეგონა, ბოშო! — სიცილისაგან თახთახებს ქალბატო-ნი ჯაჯულია, თითქოსდა მთას მიწისძვრა არხევსო.

— გამიშვი, დავიმტვრევი! — ეხვენება ნირნამხდარი ვერტმფრენი.

ჯაჯულია ხელს უშვებს. სირცხვილნაჭამი ვერტმფრენი თავს შველის, სახურავებს მიღმა გადაიკარგება.

აგერ კუთხის ქუჩიდან წეროსფერება ამწე მობაჯბაჯებს, წამ-დაუწუმ გამაფრთხილებლად აზარუნებს: „აპა, აპა, მიფრთხილდით, არაფერი დაგიშავოთ!“ გრძელი ისრის წვერზე ცხაური ჰკიდია. ამწე მოედნისკენ შემობრუნდება, ცხაურს დაუშვებს, თან კვლავინდე-ბურად იმეორებს: „აპა, აპა, მიფრთხილდით!“

— ჰოპლა! — ქალბატონი ჯაჯულია ცხაურზე შეგორდება, თან ამწეს ამხნევებს: — ჰე და ჰე, ჰე და ჰე!

ამწე დაიძაგრა, დაიძაგრა, კინალამ წელში გადატყდა.

— ოპ, რა მძიმეა! — ამოიოხრა.

შეისვენა და მეორეჯერ სცადა. აღმუვლდა ამწის ძრავა, აწივლ-და, ლითონის ბაგირები დაიჭიმა.

— ოპ, წელი მეტკინა! — ერთი კი შეპარბაცდა, მაგრამ ცხაური ასფალტი ააშორა.

— ჰე და ჰე! ჰე და ჰე! — ამხნევებს ჯაჯულია.

ამწე ძალ-ღონეს არ იშურებს. აპა, ცხაური ზევით-ზევით ასწია, ისარი შეაბრუნა და ცხაური თეატრის გადახსნილ სახურავში ჩა-უშვა...

## 6. მეგილეთი დიდი ჯაჭუ

შესასვლელთან ორი ფეხი დგას, შავად გაპრიალებული ჩექმები აცვია. ვიწრო შარვლის ტოტები თითქოს ჭერიდან ეშვებათ.

— ბილეთი! — დაიკინა ხმამ.

მართა ბებო დაიბნა, ფეხებს ხომ არ მიაწვდის ბილეთს!

თეატრის ფორი ძალზე მაღალია, გუმბათს თვალს ვერ მიაწვდენ. იქ დიდი ჭალი ჰქიდია. მებილეთეს თავი გუმბათზე მიუბჯენია. ზედ ლოკასთან უამრავი ნათურა კაშკაშებს. ალბათ ძალიან სცხელა და ამიტომაც კიკინებს ბრაზიანად.

წკელივით წვრილი ხელი ბილეთს სწვდება. ამისათვის მებილეთე წელში უნდა გაიღუნოს და სულ იმის ცდაშია, ყურით ბროლის ფირფიტას არ გამოედოს.

ყველას თითო ბილეთი აქვს და რიგრიგობით უწვდიან მებილეთეს.

ფისო მირანდოლამ იფიქრა, იმ სიმაღლიდან მებილეთე რას დამინახავს, ბილეთს გადავმალავ და ნაყინში გადავცვლიო. ამიტომ კედელ-კედელ ქურდულად გაცოცდა. ამ დროს ერთი ჩექმა ამოძრავდა და ზედ კუდზე დაბიჯა. ეტკინა ფისო მირანდოლას, აჩხავლდა, ბილეთი სასწრაფოდ გაუწოდა.

ძროხა ელპიტე კარში გაიჭედა. არ ახსოვს, ბილეთი რომელ ჯიბეში შეინახა, დრუნჩის ხან ერთში ყოფს, ხან მეორეში, მაგრამ ვერ პოულობს. იქნებ ქატოსთან შემოეჭამა და ამის გამხელისა რცხვენია.

— ძია მებილეთევ! დედიკოს გეფიცები, ელპიტეს ბილეთი ჰქონდა! — ასძახა თაიამ, ოლონდ მისი ხმა მებილეთეს ვერ მისწვდა.

ელპიტეს უკან მასწავლებლები და დირექტორი გაკვეთილითუიცი დგანან და ლელავენ, ეს რა ამბავია, წარმოდგენაზე დაგვაგვიანდებათ.

თაია გაიქცა და გვერდითა კიბეს აჲყვა. კიბე რკინისაა, დახვეული და მაღლა, მაღლა მიიწევს.

მირბის თაია ფეხების ბაკაბუკით, ითვლის საფეხურებს, ოლონდ იმდენი საფეხურია, დათვლა უჭირს.

კაბე კი ვიწროვდება, ვიწროვდება და აი, უცებ, ჭერს ებჯინება. აქ პანია სარკმელია.

გაიხედა თაიამ. ბროლის ჭალი ბრდლვიალებს. მებილეთეს თავი ისე ახლოსაა, შეგიძლია ყურში ხელი ჩავლო.

— ძია მებილეთევ! დედიკოს გეფიცები, ელპიტეს ბილეთი ჰქონდა და ქატოსთან ერთად შემოეჭამა!

— ჴო! — პასუხობს, მებილეთე და თაია აქედან ხედავს, ჩექმამ რომ განზე გაინია და ელპიტე საცობივით შემოვარდა. თან მოდის, თან ხალათის კალთებს იკეცავს...

გაკვეთილითუიცი ცოფსა ჰყურის. ერთმანეთის მოყოლებით შემოდიან სხვა მასწავლებლებიც, მერე უცნობი დეიდები, ბიძიები და ბავშვები... სულ ბოლოს — ფიზულტურის მასწავლებელი ოხოხო...

## 7. მეუღლეს ფეხი მოაზაგა

გუმბათზე ბროლის ჭალი ჩახჩახებს, დარბაზი გაჩირალდნებულია.

სცენაზე მძიმე ფარდა არის ჩამოშვებული, ზედ მასხარაა ამოქარგული. როცა ფარდა ირხევა, მასხარა ცოცხლდება და თვალებს აპატუნებს.

ზურგს უკან ფართო ლოუაა, რკინის გისოსებით შემორაგული. ლოუა ქალბატონი ჯაჯულიასია. გისოსები იმიტომა აქვს, ვაითუ ჯაჯულიას მოეპრიანოს და მაყურებლებს გადასწვდეს.

ქალბატონი ჯაჯულია წარმოდგენაზე მარტო როდი მობრძანდება. თან თავის სამზარეულოსაც ეპატიუება. კარადები გვერდი-გვერდ ვერ ეტევიან, მუდამ ჩხუბობენ და კარებით ერთმანეთს ეხეთქებინ.

გაზქურა მხიარულად გურგურებს, ნუგბარ-ნუგბარ კერძებს აშიშხინებს.

ჭურჭლეული ერთიმეორეს ეჩხაკუნება. ალტაცებისაგან ხტუნაბას იწყებენ, ზოგჯერ დაუცდებათ და იატაკზე იმსხვრევიან.

ჯაჯულია პირს არ აჩერებს, მუდამ რაღაცა უნდა ჭამოს. როცა საჭმელი შემოელევა, კედლებსა და რკინის გისოსებს ხრავს.

აგერ დიდი ჯაჯულ გამოჩნდება. ლოუაში ვერ იმართება და დაკეცილი შემოდის. ჯაჯულია მივარდება თავის საყვარელ მეუღლეს, ხან მკლავს მოაჭამს, ხან ფეხებს. დიდი ჯაჯუ კი არის თავისთვის, ლმობირად ილიმება. რამდენიც არ უნდა მოაჭამონ, უმალ უმრთელდება. ის ხომ ჯადოქარია და ყველაფერი შეუძლია.

ჭერის კუთხეში ქანდარაა. ფერად პროჟექტორებს თვალები ჩაბ-ნელებიათ. წარმოდგენა რომ დაიწყება, აბრიალდებიან და სცენას შვიდფერ სხივებს გადმოაფრქვევენ.

ქანდარაზე ჯაჯუ-ბიჭი გადმომდგარა და იჯღანება. გაკვეთილ-ითუიცი დარბაზიდან მუშტს ულერებს. დირექტორის მუქარას ბიჭი აინუნშიაც არ აგდებს.

ვაჩნაძეები პირველ რიგში სხედან.

მართა ბებო მასხარას მისჩერებია, ცოცხალი ჰგონია და პირჯ-ვარს იწერს.

თაია მოუთმენლად ცმუკავს.

ბაციკუუს ჯიბიდან თვალები დაუჭყეტია, სადარაჯოზეა და არაფერი არ უნდა გამოეპაროს.

ფისო მირანდოლა ინაზება. სხვა კატა აქ არ არის და ნეტა ვის ეპრანჭება?

ბომბოს თავი ლირსეულად უჭირავს, ჩიბუხი, ცხადია, გულის-ჯიბეში უდევს.

ელპიტე სავარძელში გაფლაშულა და მალულად იცოხნება.

მასწავლებლები მეორე რიგში სხედან. გაკვეთილითუიცი და აღათი მასწავლებელი ელპიტეს წამდაუწუმ ზურგზე უთათუნებენ, ცოტა ჩაინი, ნუ გვეფარებიო. ელპიტე ცდილობს ჩაინიოს და სულ მალე ალბათ იატაკზე აღმოჩნდებოდა.

— ტიკ-ტაკ!.. რატომ გვიანდება? — კითხულობს საათი.

ისმის მუსიკა. სინათლე თანდათან ქრება.

მოიხედა თაიამ. ქალბატონმა ჯაჯულიამ თავის ძვირფას მეუ-ღლეს ფეხი უკვე მოაჭამა. დიდი ჯაჯუ კი, ვითომც არაფერიო, ლმობიერად იღიმება...

## 8. რა ხდება სცენაზე?

ფარდა გაიხსნა და სცენაზე გამოჩნდა... ვინ, თუ მიხვდებით?

— ბენტო, ბენტო! — იგრიალა დარბაზმა, მაყურებლებმა ტაში დასცხეს.

მომღერალ ჩოჩორს შავი შლაპა ახურავს. ყურების გასაყრელად შლაპის ფარფლი ორგან გაუხვრეტიათ, ამიტომაც არ უვარდება თავიდან. ყელზე ჭრელი პეპელა-ჰალსტუხი უკეთია. ზურგზე წითელი მოსასხამი მოუსხამს.

— ახლა თქვენ მოისმენთ სიმღერას მეტად სევდიანსა და გულ-დასაწყვეტს!

ბენტომ მოწყენით დახარა თავი, ტაში თითქოს არც გაუგონია.

— აკი ბენტო მოიტაცეს? — იკითხა თაიამ.

— მეტად სევდიანს... მეტად სევდიანს... — ჩაიყროყინა ბენტომ.

— სევდიანი არ გვინდა, მხიარული რამე გვიმღერე! — თავისი ლოუიდან დაუძახა ქალბატონმა ჯაჯულიამ.

— დიახ, მხიარული სიმღერა გვირჩევნია! — ჩაიკიკინა დიდმა ჯაჯუმ.

— მოგხვდება ჩემი მათრახი! — ქანდარიდან დაემუქრა ჯაჯუ-ბიჭი.

— ბედნიერი ჩოჩორი ვიყავი! — ნაღვლიანად განაგრძო ბენტომ.

— ჭალაში ლორთქო ბალახს ვძოვდი და, გულს რომ სიხარული მომა-ნვებოდა, მხიარულად ვყროყინებდი...

— ჩვენს თეატრში უფრო ბედნიერი იქნები! — დიდმა ჯაჯუმ გისოსებში გამოყო თავი.

— ეცი ვირს პატივი! — დასძინა ქალბატონმა ჯაჯულიამ.

— ჩოჩრად დავიბადე და არ მინდა ხან აქლემი გავხდე, ხან სპილო, ხან ტრამვაი... მირჩევნია ჩემს ჭალაში ვიბალახო და ვირად გავიზარდო!

— ბრიყვო! — აკიკინდა დიდი ჯაჯუ. — აქლემი უდაბნოს მეფეა, სპილო — ჯუნგლებისა...

— როცა ტრამვაი ვხდები, ძალიან ვიტანჯები! — თქვა ბენტომ.

— ჩლიქები მტკივა... ბორბლებად მექცევა და რელსებზე რახრა-სით მივგორავ!.. მე მინდა თავისი უფლება?

— მაგრამ ხელშეკრულება?! — ჯაჯულიას სიბრაზის ცეცხლი წაეკიდა.

— შენ დაგავიწყდა ხელშეკრულება! — დიდმა ჯაჯუმ საიდან-დაც უზარმაზარი ქალალდი ამოაფრიალა და მაყურებლების თა-ვზე გაშალა.

ზედ ოკრობოკრო, მსხვილი ასოებით ეწერა:  
ხელშეკრულება:

*ამერიდან მზად ვარ, ჩემი ყროყინით, სახედრის ღონით,  
ვირული მორჩილებით, ვემსახურო ჯაჯუს დიდ თჯახს!*

*ჩახთა ცეცხლი*

ქვემოთ ხელმოწერის ნაცვლად, აღბეჭდილი იყო ბენტოს წინა, მარჯვენა ჩლიქის ანაბეჭდი.

უფრო ქვემოთ კი გაკრული ხელით ეწერა — „ვადასტურებ, ქალა-ქის თავი, ნოტარიუსი კოკო!“

ჩოჩორმა შიშით შეხედა ხელშეკრულებას და მორცხვად ჩაიწუ-ნუნა:

— მე კითხვა არ ვიცი!

— აგერ შენი ჩლიქის ანაბეჭდი! — ჯიუტად გაიმეორა დიდმა ჯაჯუმ. — ხელშეკრულების დარღვევას არავინ გაპატიებს! ვაი შენი ბრალი, ეს რომ არქივარიუსმა გაგიგოს!

დარბაზს შიშიანმა ჩურჩულმა გადაურბინა და სიჩუმე ჩამოვარ-და. ყველანი სდუმან.

— არქივარიუსი ვინაა? — იკითხა თაიამ.

ბაციკუუმ ტუჩზე თითი მიიღო და ჩურჩულით აუხსნა:

— არქივარიუსი ისაა, ვინც არქივებში ძველ საბუთებს ინახავს! „ესეც ახალი საიდუმლოება!“ — გაიფიქრა თაიამ...

## 9. ვაჩემამიკობენტოს ესარჩლება

— მან კითხვა არ იცის! — ჩიტის ხმით ჩაიუღურტულა ვილაცამ. ხმა ვაჩე მამიკოს ეკუთვნოდა და იგი კულისებიდან მოისმოდა.

— ეი, ვინ იმალება მანდ კულისებში! — მუქარით შეუძახა დიდ-მა ჯაჯუმ.

— მე არ ვიმალები, მე გამოსასვლელად ვემზადები! — აუღელვე-ბლად უპასუხა ვაჩე მამიკომ. — აბა, მუსიკა!

ორკესტრმა ნაზი მელოდიით აავსო დარბაზი. სცენაზე უზარ-მაზარი ფრინველი შემობათქუნდა, ისე გაირბინა, თითქოს მარ-თლაც მოსწყდება იატაკს და გაფრინდებაო...

თავისუფლებას ესწრაფვოდა ტყვე ფრინველი და ბორკილები ვერ დაემსხვრია.

დარბაზი გასუსული უყურებდა და როცა ცეკვაც შეწყდა და მუსიკაც, დუმილი კვლავ გაგრძელდა...

შეჩერდა ვაჩე მამიკო, დარბაზს გახედა და გულმართლად თქვა:

— ხელშეკრულება უკანონოა!

— ასეთი სიტყვები პიესაში არ ეწერა! — იჭყივლა ქალბატონმა ჯაჯულიამ. — ამ მსახიობს მხოლოდ ცეკვა-გალობა ევალებოდა!

— თუ ყველამ, რაც მოეპრიანა, ის იღაპარაკა, წარმოდგენა ჩა-გვეშლება! — უკამაყოფილოდ აბუზლუნდა დიდი ჯაჯუ.

— მე მომატყუეს, მომაშორეს მშობლიურ ჭალას! — ჩაიყროყინა ჩოჩორმა ბენტომ. — მერე მიბრძანეს, აირჩიო, ან გვემსახურე ვირის ღონით, არტისტის ნიჭით, თორემო, თითო მიქნიეს ცხვირ-ნინ...

— მოქალაქენო, ეს სიმართლე ტყუილს უფრო ჰგავს! — განაც-ხადა დიდმა ჯაჯუმ.

მაყურებლები გაუბედავად აზუზუნდნენ, აქა-იქ წამოძახილიც გაისმა, რაც ცოტათი ჰგავდა ამბოხების ხმებს.

ზოგიერთებს ვერ გაუგია, სცენაზე რა ხდება, რა უცნაური სპექტაკლიაო, მხრებს იჩეჩავენ.

თაიას მოსწონს მამიკოს სითამამე, ეამაყება, მაგრამ დიდი ჯაჯუ გადმომდგარა მახრჩობელასავით და გოგონას ეშინია.

ბაციკუუმ თავი ამოყო ჯიბიდან, პირთან ხელისგულები მოამ-რგვალა და მგრგვინავი ხმით დაიძახა:

— მოუხმეთ კოკოს, ნოტარიუსს, სიმართლე გვითხრას!

— ვინ იყო? — გაუკვირდა დიდ ჯაჯუს. ბაციკუუ ვერ იპოვა და დარბაზის ბოლოს, საპატივცემლო სტუმრების რიგს გასძახა: — აქეთ მობრძანდით, ნოტარიუსო კოკო!

## 10. ნოტარიუსი კოკო

საპატივცემლო სტუმრები ბოლო რიგში ისხდნენ. ჭრელი ხა-ლათები ეცვათ. თავზე თეთრკულულებიანი პარიკები ეხურათ, რადგან წალიგაიგეში კაცი თუ მელოტი არ იყო, საპატივცემლოც ვერ იქნებოდა.

ნოტარიუს კოკოსაც ჭრელი ხალათი ეცვა. როხო თავზე მასაც თეთრკულულებიანი, უხვად დაბუდრული ბარიკი ჩამოეცვა.

ძლივს წამოდგა და წამოხანხალდა, რადგან სკამს ისე იყო შე-ზრდილი, სასიარულოდ ორი ფეხი ვეღარ ყოფნიდა. ცხვირზე სა-თვალე მოერგო, თან ისე წაეწვდინა, თითქოს ეს სათვალე უნდა წასძ-ვრეს და ცდილობს ცხვირი მიუსწრაფოსო.

სცენამდე რომ მიაღწია, შეხედა ჩოჩორს და იკითხა:

— ეს ვინ არის?

ბაჯბაჯით შემობრუნდა, ვაჩე შეათვალიერა და ხელახლა იკითხა:

— ეს ვინ არის?

ბოლოს დიდ ჯაჯუს ახედა და მესამეჯერ იკითხა:

— ეს ვინ არის?

საქმე ისაა, რომ ნოტარიუსი კოკო თავის მაგიდას იშვიათად შორდებოდა და თუ სადმე წავიდოდა, მეხსიერებასაც იმ მაგიდაზე ტოვებდა.

დიდმა ჯაჯუმ ცხვირზინ ქალალდი აუფრიალა.

— ნოტარიუსო კოკო! ჩლიქის ეს ანაბეჭდი ხომ ეკუთვნის ამ ჩოჩორს?

— უნდა დაგიდასტურო? — იკითხა კოკომ.

— შენი დამოწმებული საბუთია და აბა არ უნდა დამიდასტურო?

— გაუკვირდა დიდ ჯაჯუს.

— მართლა ჩემი დამოწმებულია? — ნოტარიუსმა კოკომ პარიკის ქვეშ ხელი შეიყო, რათა მოეფხანა და დაბნეულად თქვა: — არაფერი მახსოვს, გონება თითქოს დამიბნელდა!

— კიდობანივით ბნელია! — შეაწია ბაციკუკუმ.

დიდმა ჯაჯუმ მიმოიხედა, ბაციკუკუ მაინც ვერ იპოვა და დაასკვნა:

— გადავაქციოთ კიდობნად!

შეშინებულმა კოკომ ხელები გაასავსავა:

— გამახსენდა, გამახსენდა!.. — მაგრამ ამასობაში თითქოს ქარმადაუბერაო, ჩიკორივით დაბზრიალდა და ძირს მოადინა ბრგვანი, ოლონდ ეს უკვე ნოტარიუსი კოკო კი არ იყო, ეს გახლდათ მძიმეზე მძიმე კიდობანი. სახურავი ახდილი ჰქონდა, შიგ სიცარიელე ჩანდა. — გამახსენდა! — ამოიხვენება კიდობანმა და სახურავი რახუნით დაეცა.

— მშვენიერი წარმოდგენაა! — განაცხადა ოხოხომ.

— გადასარევია! — კვერი დაუკრა გაკვეთილითუიციმ.

— ყოჩალ, ყოჩალ! — გაისმა კანტიკუნტად და ტაშიც კი შემოჰკრეს.

ამ დროს იკითხა ძროხა ელპიტემ:

— მირანდოლა სად გაქრა?

## 11. ფისო მირანდოლას კულტურულის

— მიაუ! — ჩაიკრუტუნა ფისო მირანდოლამ და ულვაშებზე ენა მოისვა.

ასეთი დიდი ფრინველი, თანაც ასე ახლოს, ორ ნაბიჯზე, ჯერ არ ენახა.

დარბაზი ხმაურობდა. რაღაცას გაჲყვიროდნენ. ხმები ერთმანეთში აირია და ფისო მირანდოლას ვერაფრით გაეგო, რაზე ჩხუბობდნენ.

დრო იხელთა და სკამიდან ჩასრიალდა, თან ალერსიანად კრუტუნებდა, აქაოდა ჩემთვის ვერთობი, კი არაფერს ვაშავებო. პირველად კუდი აქ დაეხმარა. სკამი ხომ ასაკეცი იყო, ვინმე რომ წამოდგებოდა, საზურგეზე ტკაცანს გაადენდა, კუდმა კი ეს ხმა შეარბილა. თუმცა თვითონაც ცოტათი მოინინკნა, სამაგიეროდ ფისოს სკამიდან ჩამოსვლა ვერავინ გაიგო. ხომ ცხადია, რომ უმსვერპლოდ რიგიანი არაფერი კეთდება!

ყველანი უსმენდნენ დიდი ჯაჯუს კამათს ბენტოსთან და არავის შეუმჩნევია ფისო, რომელიც წინა რიგის გასწვრივ მიიპრებოდა.

მირანდოლამ კულისებისაკენ გასასვლელი კარი იპოვა და კუდმა არც აქ უმტყუნა. ამჯერად კარმა მონინკნა მტკივნეულად, ამით შეახსენა, წუ აჩქარდები, ასეთ საქმეს სულსწრაფობა არ უხდებაო.

კულისებიდან თავი რომ გამოყო, დარბაზისაკენ გაიხედა. იქიდან მოგუდული ზუზუნი და დიდი ჯაჯუს ლაპარაკი ისმოდა, მაგრამ დანახვით ვერაფერი დაინახა, რადგან ფერადი პროექტორები თვალებში ბარჩებულებდნენ. რაკი თვითონ ვერ ხედავდა, ფიქრობდა, ვერც მე მხედავენო და ამდენი მაყურებლის თვალწინ სცენაზე გამოძვრა.

ეს რა ხდებაო და დარბაზმა ენა ჩაიგდო... აგერ ჩოჩორ ბენტოს სევდიანად ჩაუქინდრავს თავი და სამწუხარო ბედ-ილბალზე ფიქრობს. ვაჩე ვაჩნაძეს ფრთხები გაუშლია, თითქოს ცაზე აფრენას ლამობს, რათა სამართალი იქ, მაღლა იპოვოს. ფისო მირანდოლა განოლობა და ეპარება, რომ მოინადიროს ქვეყნიერებაში ყველაზე დიდი ფრინველი.

— ვაი! — პირზე ხელი იტაცა თაიამ და უცებ კინალამ ჯიბე მოწყდა. თაიას ჯიბიდან სცენაზე ისკუპა ბაციკუკუმ. ბევრი ვერც და-

ინახავდა ციცქნა ვაჟუკაცის ამ თავდადებას, პროფესიულორების შუქზე თითქოს პატარა ბურთმა გაიელვაო.

მერამდენედ უშველა აქ კუდმა ფისო მირანდოლას. იგრძნო, რომ ვიღაცამ კუდში ხელი ჩავლო და მოჰქაჩა. მოიხედა, მაგრამ ვერ-ავინ დაინახა... ამასობაში უხილავმა ძალამ დარბაზისკენ მოისრო-ლა და როცა მაყურებელთა თავზევით მიფრინავდა, მაშინ გაიფი-ქრა, კიდევ კარგი, კუდით რომ მომისროლეს, თორემ ხელი კისერ-ზე რომ ეტაცათ, ხომ წამანყვეტდნენო...

მეტი ფიქრის დრო სად იყო! ფისო მირანდოლამ წამში გადაუფ-რინა დარბაზს, გისოსებში გაძვრა და ქალბატონ ჯაჯულიას ცხელ ტაფაზე მოადინა ტყაპანი. რა თქმა უნდა, დაითუთქა, ემნარა და აჩხავდდა.

— ბოშო, მომაშორეთ ეს კატა აქედან! — ზიზღით წამოიძახა ჯა-ჯულიამ, დაავლო ქეჩოში ხელი და უკან, დარბაზისაკენ მოისროლა.

ფისო მირანდოლა კვლავ გასრიალდა გისოსებს შორის, ცხადია, უკუმიმართულებით. პროფესიულორების შუქზე ვერაფერი გაარჩია. მოეჩვენა, სვეტს გადავაწყდიო. თავის შესამაგრებლად ბრჭყალე-ბი მოიმარჯვა. სამწუხაროდ, ეს სვეტი დიდი ჯაჯუს კინკრიხო აღ-მოჩნდა.

— საიდან გაჩნდა ეს კატა?! — დიდმა ჯაჯუმ ჩამოიპერტყა აპეზარი ფისო.

იმანაც გონის მოსვლა ვერ მოასწრო, ქანდარაზე აღმოჩნდა.

— ნათესავო, ე-ეი! — წაუმდერა ვიღაცამ და დრუნჩზე მეგო-ბრული წკიპურტი წაჲკრა.

შიშისაგან ცოცხალმკვდარმა ფისო მირანდოლამ ჯაჯუ-ბიჭში ძლივს შეიცნო ღამეული სტუმარი.

ფისოს ბრჭყვიალა მძივები და საყურები მაყურებლების თავზე დაცვივდა. ბევრს ეგონა, დვირფასეულობააო და სკამებქვეშ შეძ-ვრნენ საპოვნელად, რამაც მთლად არია ყველაფერი...

## 12. არეივარიუსიგუპი

ბაციკუუმ ფისო მირანდოლა კუდით მოისროლა, მაგრამ ხელის გაშვება დაავიწყდა. ამიტომ ფისოსთან ერთად მთელ დარ-ბაზს გადაუფრინა, თავი გისოსს ხეთქა და ძირს ჩამოვარდა.

სანამ გონის მოვიდოდა, სკამებს ქვეშ აქეთ-იქით გაძვრებოდა და თაიას ჯიბემდე მოალწევდა, დარბაზში ბევრი რამ მოხდა.

ვაჩე ვაჩინაძემ დრო ისელთა და ისეთი სიტყვა თქვა, პიესის ტე-ქსტში სწორედ რომ არ ეწერა:

— რაკი ხელშეკრულება უკანონოა, ბენტო თავისუფალია!

მთელმა დარბაზმა ერთხმად იგრიალა:

— ბენტო თავისუფალია! ბენტო თავისუფალია!

სხვაზე მეტად თაია გაიძახოდა, მართა ბებოც, ძალლი ბომბოც, ძროხა ელპიტეც და, წარმოიდგინეთ, მასწავლებლებიც არ იზო-გავდნენ ხმებს...

— მაშასადამე, ბენტო თავისუფალია! — დაასკვნა უცებ დიდმა ჯაჯუმ, თავი უკან, გისოსებს მიღმა შეყო, მეულლის გვერდით მოკალათდა. ლმობიერად იყურებოდა, აქაოდა, რაც ხალხს სურს, იმაზე თანხმობას ვიძლევიო: — თავისუფალია, ოლონდ მან დაარ-ღვია ხელშეკრულება, რაც ასე არ მოეწონება არქივარიუს ბუჰს!

თქვა თუ არა, გაიღო გვერდითა კარი და დარბაზში შემოვიდა არქივარიუსი ბუჰი.

სკამის ფეხის სიმალლისა ძლივს იქნებოდა. რაც სიმალლე ჰქონ-და, იმოდენა წონოლა ქუდი ეხურა. თეთრი, ქათქათა წვერი ქამარ-ში ჩაეყოლებინა. კარტოფილა ცხვირზე ორი პანია თვალი ეჯდა.

თითო გაიშვირა არქივარიუსმა, წამოიძახა „ბუჰ!“ და თითოდან გამოსროლილმა ტყვიამ ბროლის ჭალის ნამსხვრევები გადმოაბნია.

დარბაზი გაისუსა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სცენაზე შეაბიჯა ბუჰმა და ასე თქვა:

— წესრიგი მიყვარს, უწესრიგობა მძულს!.. თავისუფლება უწეს-რიგობაა!.. ქეშმარიტი თავისუფალი ისაა, ვინც თავისუფალია თავისუფლებისაგან!.. ჩოჩორი ბენტო ამიერიდან ყველა თავისუ-ფალზე თავისუფალია!

სახელოდან დირიჟორის ჯოხი გამოაძვრინა, ჩოჩორს ქედზე შე-ახო და ყველას თვალწინ საბრალო ბენტო ხის ჩოჩორად გადაიქცა.

— აჲ! — ამოიგმინა მთელმა დარბაზმა.

თვალის დახამხამებაც და გაქრა არქივარიუსი ბუჰი, ხის ჩოჩო-რი და კიდობანი კოკო... გაქრა გისოსებიანი ლოჟა, ქალბატონი ჯა-ჯულია თავისი კარადებით, გაზქურითა და ჯამ-ჭურჭლით, დიდი ჯაჯუ და ჯაჯუ-ბიჭი.

მაყურებლებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, თეატრალურ მო-  
ედანზე აღმოჩნდნენ. ისხდნენ ასფალტზე და ერთმანეთს გაოცე-  
ბულნი შეჰყურებდნენ. თეატრის ლამაზი შენობა იქვე იდგა, ნაძა-  
ლადევად იღიმებოდა და აფიშაზე ფართქალებდა ლამაზად დაწე-  
რილი სიტყვები: „წარმოდგენა გაუქმებულია!“

მაყურებელთა თავზე დიდმა, ლამაზმა ფრინველმა გადაიფრი-  
ნა და თაიამ ცრემლები გადმოყარა:

— შეხედეთ, ვაჩე მამიკო მიფრინავს!

## თვე Ⅴ. რუმისა და ჩირის თვეების კურუბი

### 1. თათბირი

— ტირილი ვერ გვიშველის! — ბომბომ ლოყაზე ენა აუსვა თა-  
იას. — გავიქცევი და პატრონს მოვძებნი!

— დროს ნუ ვკარგავთ! — ჯიბიდან ამოხტა ბაციკუკუ. — მე და  
ბომბო საძებრად წავალთ, დანარჩენები შინ დაგველოდონ!

— ტიკ-ტაკ, თუ დროზეა ლაპარაკი, უჩემოდ ვერსად წახვალთ!  
— ამაყად განაცხადა საათმა.

მართა ბებომ ლოყა ჩამოიხოკა და მოთქმით წაუტირა:

— შვილო, ვაჩე, სად დაიკარგე, ჩემო ერთადერთო!

— მეც აუცილებლად უნდა წამოვიდე! — თაიამ ჯიუტად გააქნია  
თავი. — მამიკო კიდეც რომ იპოვოთ, იგი ახლა ფრინველია და თქვენ  
არ დაგიჯერებთ!

— მაშასადამე, მივდივართ მე, ბომბო და თაია! — დაასკვნა ბა-  
ციკუკუმ. — ყბედი საათი ვერაფერში დაგვეხმარება, ელპიტემ კი,  
უმჯობესია, მართა ბებო შინ წაიყვანოს!

ბომბომ თაია ზურგზე შეისვა, ბაციკუკუ — კისერზე და ისინი  
იმ მხარეს გაიქცნენ, საითვენაც ვაჩე მამიკო გაუჩინარდა.

— შეურაცხყოფა მომაყენეს, ტიკ-ტაკ! — ჩაიტიკიკა საათმა.  
— იმედია ბოდიშს მომიხდიან, თორემ გაფიცვას გამოვაცხადებ და  
დროს გავაჩერებ!

— მაგას ნუ იზამ! — შეეხვენა ძროხა ელპიტე. — დრო რომ გააჩ-  
ერო, შინ ვერასოდეს მივალნევთ!.. — მერე მართა ბებოს მიუბრუნ-  
და: — მუუ, პატრონო, შინ წავიდეთ, თორემ ლამისაა ჯიქანი  
გამისკდეს!

დამწუხრებული ელპიტე და მართა ბებო შინისაკენ გაემართ-  
ნენ. კედლის საათი შეშინდა, აქ დამტოვებენო, და მართა ბებოს  
ილლიაში შეყო თავი, თუმცა ტიკტიკი აქაც ვერ მოიშალა...

### 2. საით გაფრინდა ვაჩე მამიკო?

მომლერალი ჩოჩორი ბენტო ხის თოჯინად რომ გადაიქცა, აღშ-  
ფოთებულმა ვაჩე ვაჩინაძემ ფრთები ააბათქუნა და იატაკს მოსწყ-

და... სურდა, თავგანწირვით ჰკვეთებოდა არქივარიუს ბუჭხა და ცხვირ-პირი დაეკორტნა, მაგრამ ჯადოქარმა თოჯინა და კიდობანი ზურგზე მოიგდო და გაფრინდა... ეს ისე სწრაფად მოხდა, მაყურებლებმა იფიქრეს, გაქრაო. ვაჩე ვაჩაძემ ყოველივე სხვაზე უკეთ დაინახა და არქივარიუსი რაკილა გაფრინდა, თვითონაც უკან მიჰყვა.

სულაც არ გაჰკვირვებია, რომ არქივარიუსი ღია ფანჯრიდან პირდაპირ ცაში აიჭრა. არც დაფიქრებულა, ისე მიაშურა იმ ფანჯარას.

თეატრალურ მოედანზე გამოყრილი მაყურებლები პირდალებულნი აჰყურებდნენ ცას. არქივარიუსი ბუჭხი ისე სწრაფად მიიკარგა, იმას ვერავინ ხედავდა, სამაგიეროდ ვაჩე-ფრინველს გაეშალა ძლიერი ფრთები და აგერ სახურავების თავზე შხუილით მიჰქროდა.

— ვფიქრობ, კონდომრია! — განაცხადა პატიკო მასწავლებელმა.

— ფრინველის ეს სახეობა მეცნიერთათვის უცნობია! — შეეკამათა ბატონი იაკინთე.

— მეცნიერება არ ვიცი მე, ასეთი ზორბა ფრინველი ზოოპარკშიც არ მინახავს! — მოჭრა დირექტორმა გაკვეთილითუიციმ.

„ნეტავი თოფი წამომეღო!“ — გაიფიქრა ფიზკულტურის მასწავლებელმა ოხოხომ...

ამასობაში ვაჩე-ფრინველი მიიმალა.

ხალხის ყურადღება სულ სხვა სურათმა მიიპყრო.

რატუშიდან ბრაზიანი ჭრაჭუნ-ჭრიალით გამოგორდა ნოტარიუს კოკოს დალაქავებული მაგიდა. ფეხდაფეხ დანჯლრეული სკამი მოსდევდა და საცა იყო, დაიშლებოდა.

— ოჭ, ბედისწერავ! — გულჯავრიანად გმინავდა ნოტარიუს კოკოს მაგიდა.

— რა გვეშველება! — ჭრიალებდა სკამი.

ორივემ მოედანი გადაირბინა და ქალაქის ნაგავსაყრელის მიმართულებით მიიკარგა.

ოხოხომ მონატრებული კაცის თვალებით გახედა სვეტებიან შენობას. ქალაქი უთავოდ დარჩენილიყო და, თუმცა მზიანი ამინდი იდგა, რატუშის სახურავიდან ობლის ცრემლები ცვიოდა.

ყოველივე ამას ვაჩე-ფრინველი, ცხადია, ვერ დაინახავდა. იგი ცის კაბადონზე მიფრინავდა, იქიდან კი წითელი სახურავები და ხეთა მწვანე ბულულები ჩანდა. ვაჩე-ფრინველს ერთადერთი ფიქრი

უტრიალებდა, როგორმე მისწეოდა არქივარიუს ბუჭხა და დაეხსნა ჩოჩორი ბენტო.

აგერ ქალაქის გარეუბანიც, მწვანე ჭალა! წყაროსთან ასწლოვან მუხას გაუშლია ტოტები. არქივარიუსი ბუჭხი მუხის მწვანე ვარჯში გაქრა.

ვაჩე-ფრინველი ფრთების ტყლაშუნით კენწეროზე ჩამოჯდა და ამ დროს მოესმა სუსტი, შეშინებული ხმა:

— ვაიმე, ეს ვინ არის?

### 3. ვინ შეგინდა?

ვაჩე-ფრინველმა მოხერხებული ტოტი შეარჩია და ფრთები შემოიწყო. იოლი არაა ფრინველბა, ფრთებს უჭირთ მძიმე სხეულის ზიდვა, ძნელია ტოტზე თავის შემაგრება...

მიმოიხედა ვაჩე-ფრინველმა და პანაწყინტელა გოგონა დაინახა.

— პანო ვარ! — უთხრა გოგონამ.

— შეგაშინე?

— შემაშინე! ასეთი დიდი ფრინველი ჯერ არ მინახავს! რა გქვია?

— არ ვიცი! — უპასუხა ვაჩე-ფრინველმა. — დამავიწყდა! ვიცი, რომ ფრინველი ვარ და მივსდევ ბერიკაცს, მომლერალი ჩოჩორი ბენტო რომ მოიტაცა!

— სს-უ! — თითო ტუჩჩიზე მიიღო პანომ. — ვისაც შენ მისდევ, ჯადოქრების ჯადოქარია! კიდევ კარგი, რომ ვერ შეგამჩნია, თორემ, ვინ იცის, რას დაგმართებდა!

— მე არავისი მეშინია! — მტკიცედ თქვა ვაჩე-ფრინველმა. — ურჩევნია, გააცოცხელოს ჩოჩორი ბენტო, თორემ კიდეც დავკორტნი და კიდეც ამ ლონიერი ფრთებით გავლახავა!

— გეხვეწები, ხმამალლა ნუ იმუქრები! არქივარიუსი ბუჭხი ფულუროში ისვენებს და მეშინია, არ გაიგონოს!

— საბრალო, პანაწინა გოგონა! — გული აუჩუყდა ვაჩე-ფრინველს. — ნურაფერს უფრთხის! შეგიძლია, ფოთოლში გაეხვიონ და დაიძინო!.. მე ვუდარაჯებ შენს ძილს!.. მეტად დიდი ვარ და ფულუროში ვერ შევეტევი, აქ უნდა დაველოდო ბოროტ ჯადოქარს!

პანო დაღლილი იყო. ფოთოლში მოხერხებულად გაეხვია და მართლაც დაიძინა.

#### 4. ძალლშა პომპომს უნი იპრა

ამასობაში დაღამდა კიდეც. თეატრი რომ თეატრია, იმანაც და-ამთქნარა და გაჩახჩახებული ნათურები, ძილი ნებისაო, თანდა-თან ჩაუქრა.

დაობლებულ რატუშას ძილი გაფრთხობოდა და ხშირ-ხშირად ოხრავდა.

ბომბომ და მისმა მგზავრებმა თეატრალური მოედანი რომ და-ტოვეს, ციხის კედლებთან გაიარეს. ციხემ მზერა გააყოლა.

— გელოფებით, მეგობრებო, თქვენთვის მზადა მაქვს საუკეთე-სო საკნები!

ქუჩები თანდათან დაცარიელდა. ჰაერში ველოციოცხზე ამხე-დრებულმა კუდიანმა გადაიქორლა.

— გათამამდნენ! — ჯავრმა შეიპყრო ბაციკუკუ. — დამაცადონ, ჭკუა ვასწავლო!

კუთხე-კუნჭულებიდან ხანდახან ჭინკა-მაიმუნები გამოყოფდნენ თავს და იჭყანებოდნენ. ბომბოს ბალანი აეშალა, ბრაზით იღ-რინებოდა. თაია კისერზე უთათუნებდა და ამშვიდებდა.

ასე შემოირბინეს მთელი წადიგაიგე. კვლავ თეატრალური მო-ედანი გადაჭრეს. აქ უკვე არავინ იყო, მაყურებლები სახლებში გაკრეფილიყვნენ.

ნინიდან ხმაური მოისმა.

მომიჯნავე ქუჩაში კაცვირთხებს ვიღაც აუტაცნიათ და მიაქა-ნებენ.

— ვაიმე, ეს ხომ ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელია!

მართლაც, კაცვირთხებს ოხოხო მიჰყავდათ. ფიზკულტურის მასწავლებელს მკერდზე ხელები დაეკრიფა, თვალები ცისკენ აეპყ-რო და იძახდა:

— ოხ, ოხ, ოხ!..

— ლრრ! — ბასრი კბილები გამოაჩინა ბომბომ, გაჟერა და გამო-ჟერა.

თაია ბომბოს საყელურს ჩააფრინდა და, რაკი იარაღი არაფერი ჰქონდა, მტერს ქუსლები დაუშინა.

ბაციკუკუ ელვისუსდნრაფესად გადმოხტა ბომბოს კისრიდან და ვისაც კუდში მისწვდა, კედლებს მიანარცხა.

წუთიც და დამთავრდა ფიცხელი ომი. კაცვირთხები გაქრნენ. ფიზკულტურის მასწავლებელი ოხოხო ძირს ეგდო და წამოდგომას ლამობდა.

— ოხ, ოხ! — ამოიხვნება ოხოხომ, წამოდგა, თავი გააქნია, მე-გობრებს მაღლობაც არ გადაუხადა და გზას ერია.

— უკმაყოფილო წავიდა! — გაუკვირდა ბომბოს.

— ალბათ გონს ვერ მოვიდა! — გამოექმაგა თაია. — მგონი, გზა ჩვენც აგვებნა!

— გონება მკარნახობს, ჭალისაკენ გავწიოთ! — შუბლზე ხელი იტკიცა ბაციკუკუმ.

კვლავ შეისვა ბომბომ თავისი მგზავრები და წავიდნენ.

აგერ, ქალაქის განაპირა ჭალას მიაღწიეს.

— ძნელია კვალის აღება! — ჩიოდა ბომბო. — პატრონი რომ ლომად ქცეულიყო, კიდევ პო, მიწაზე კვალს დატოვებდა. ფრინვე-ლის კვალი ჰაერშია, გაიელვა და გაქრა...

წუნუნი დამთავრებულიც არ ჰქონდა, შეჩერდა, თავი მაღლა ასწია:

— მგონი, სუნი მეცა!

#### 5. პაციენტუმუხაზეადის

ჭალაში წამომართული მუხა მთვარემ გაანათა.

კენწეროზე რაღაცა შავად ჩანდა.

— იქნებ არნივია! — ჭოჭმანით თქვა თაიამ.

— მე კი პატრონის სუნი მცემს! — განაცხადა ბომბომ.

თაიამ შეტყუპებული ხელები პირთან მიიტანა და ასძახა:

— მა-მი-კო!

ბომბომ შეჰყეფა:

— აფ, აფ, პატრონო!

ბაციკუკუმ თითები პირში ჩაიდო და დაუსტვინა.

— ნუ ხმაურობთ, ძილს ნუ მიფრთხობთ! — შეაშრიალა მუხამ ფოთლები.

პანოს ფოთოლი შემოეცალა, სიცივისაგან შეაურუოლა.

— დიდო ფრინველო, რაღაც ხმები ისმის!

ვაჩე-ფრინველს ჩასძინებოდა და ვერაფერი გაიგო.

— აქ რომ მირანდოლა გვყავდეს, ხეზე ავუშვებდით! — დანაღვლიანდა ბომბო.

— გოგო თაია! — თქვა ბაციკუკუმ. — ხელში ამიყვანე და მაღლა ამწიე, ტოტს თუ მივწვდი, ხეზე გავალ!

თაია თითოს წვერებზე შედგა და ბაციკუკუ ასწია. მამაცმა დეტექტივმა ისეთ სიბნელეში შეყო თავი, ირგვლივ არაფერი ჩანდა.

უჩინარ ჩეირს გაჰკრა მხარი, ორივე ხელით ჩამოეკონიალა.

— ბაციკუკუ, სად დაიკარგე? — ჰკიოთხა თაიამ.

— დამელოდე! — ჩურჩულით უპასუხა ბაციკუკუმ.

თვალი სიბნელეს შეაჩვია, უფრო დიდი ტოტი დაინახა და იმაზე გადაძვრა.

ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ტოტზე ზევით მიიწევდა ბაციკუკუ.

ნინ შუქმა გაიელვა. ბაციკუკუ ფრთხილად მიუახლოვდა.

ფულუროს დაელო პირი. შეიჭვრიტა და რას ხედავს! ფულუროს სიღრმისაკენ გზა მიემართება. გზის დასაწყისში ორი კაცვირთხა დაყუნცულა, თავები შაშხანებზე ჩამოუდივათ და ყვინთავენ.

„დავიმასოვროთ!“ — გაიფიქრა ბაციკუკუმ, ფულუროს გვერდი აუარა და გზა კენეროსაკენ განაგრძო.

ვერცხლისფერმა სინათლემ იმატა, ტოტები შეთხელდა და იმიტომ. მთვარე თეთრად ქათქათებდა და ვაჩე-ფრინველი აშკარად გამოიკვეთა.

— ვაჩე-ფრინველო! — დაუძახა ბაციკუკუმ.

— ვინ ხარ? — იკითხა ფრინველმა.

— სახელგანთქმული ბაციკუკუ!



— ბაციკუკუ? — საბოლოოდ გამოფხიზლდა პანო. — ვაიმე, ბაციკუკუ!

— ველარა გხედავ! — ეჭვით მიმოიხედა ვაჩე-ფრინველმა. — იქნებ შენ ჯადოქარი ბუჟი ხარ?! იცოდე, ჯადოქარო, ვერ მომატყუებ!.. გამოდი და შემებრძოლე!

— მაშ, შეგებრძოლო?! — მჭახედ შესძახა ბებრულმა ხმამ და მუხის ფოთლებიდან არქივარიუსი გამოვარდა.

ბაციკუკუმ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რალაცამ ჩაიქროლა, გვერდი გაჰკრა და ტოტიდან გაღმოავდო.

პანოს ფოთოლი ყუნცს მოსწყდა და ისიც გადმოვარდა. ოლონდეს იყო, პანოს ფოთოლი პარაშუტად გამოადგა და ნელი ფარფატით დაეშვა.

ბაციკუკუს, რა თქმა უნდა, არავითარი პარაშუტი არ ჰქონდა. მეტად უხერხულად, თავდალმა ვარდებოდა. სახეზე და გვერდებზე წვრილი ტოტები სცემდა. მიფრინავდა და ფიქრობდა: „ნეტა ისეთი ტოტი დამხვდეს, გზაში დამიჭიროს და მიწაზე სული არ გამაფრთხობინოს!“

სიკვდილისა არამც და არამც არ ეშინოდა ბაციკუკუს, სირცხვილისა ეშინოდა და, რისაც ყველაზე მეტად გეშინია, სწორედ იმას ვერ აიცილებ თავიდან.

— დამიჭირე, თაია, დამიჭირე! — შეუძახა, მაგრამ სანამ თაია და ბომბო მიხვდებოდნენ, რა ხდებაო, ბაციკუკუმ გაიშხუილა და მიწაში თავით ჩაერჭო...

## 6. ფიცხელი მოიმუხის პენეროზე

ვაჩე-ფრინველმა არქივარიუს ბუჟს ცხვირპირზე ფრთები ლონივრად აუბათქუნა. არქივარიუსი ხან ერთი მხრიდან მივარდებოდა, ხან მეორედან, გულმაგრად უტევდა. ვაჩე-ფრინველი ხანდახან შეხტებოდა, ბრჭყალებს უმარჯვებდა, ოლონდ ბრჭყალები ტოტზე თავის შესამაგრებლადაც სჭირდებოდა. შიგადაშიგ ცდილობდა ნისკარტი ჩაეცხო, მაგრამ ბუჟი სწრაფად ტრიალებდა და ვაჩე-ფრინველი ნისკარტს ვერ ახვედრებდა. სამაგიეროდ ჯადოქარი ლონიერ ფრთებს ვერ იცილებდა და რაკი წამდაუნუმ სახეზე ებათქუნებოდა,

ჯადოსნური ხერხისათვის ვერ მიემართა. ჯადოსნური ხერხის გარეშე კი, აბა, რანაირად მოერეოდა.

მიხვდა არქივარიუსი, რომ ბრძოლას ვერ მოიგებდა და ეშმაკობას მიმართა.

შორისახლო, ტოტზე ჩამოჯდა და საუბარი გაუბა.

— შენ, ჰე, იცი თუ არა, ვინა ხარ და რა ხარ?

— ფრინველი ვარ, ცის შვილი! — უპასუხა ვაჩე-ფრინველმა.

— მაშ, რატომ გინოდებენ ვაჩე-ფრინველს?

— ვაჩე-ფრინველს?

— არტისტო ვაჩე! — მჭახედ შეუძახა არქივარიუსმა. — შენ ფრინველის ბუმბული გმოსავს, თორემ ადამიანი ხარ! ბრჭყალებიც სხვისი გაქვს, ფრთებიც და ნისკარტიც!

— არა მჯერა! — დაეჭვიანდა ვაჩე-ფრინველი. — თუ ადამიანი ვარ, ცაში როგორ დავფრინავ?

— არ იცი, რომ ადამიანი ხარ და იმიტომაც დაფრინავ!

„მართლაც ადამიანი ვყოფილვარ!“ — გაიფიქრა ვაჩემ და გაახ-სენდა, რომ ის მსახიობი ვაჩე ვაჩნაძეა, ჰყავს შვილი თაია და დედა მართა, რომ ახლა ღამეა, ის კი ქალაქის განაპირას, ჭალაში, მუხის კენწეროზე ჩამომჯდარა.

როგორც კი ამას მიხვდა, უმალ შეშინდა, ჩამოვვარდებიო და ხელები ტოტს სტაცა.

— აჲა, ხომ მიხვდი, რომ ადამიანი ხარ! — გაიხარა არქივარიუსმა. წვერიდან თმის ღერი ამოიგლიჯა, შეულოცა და ხელი ვაჩესკენ გაიშვირა.

ვაჩე ვაჩნაძე დაპატარავდა, დაპატარავდა, ხის თოჯინად გადაიქცა, ტოტს მოსწყდა, მაგრამ არქივარიუსმა ბუჟმა ჰაერშივე აიტაცა და ფულუროსაკენ გააქანა...

## 7. ბაციკუკუს ცხვირი უსივდება

— მგონი, ბაციკუკუ ჩამოვარდა! — ყური ცქვიტა ბომბომ.

მართლაც რომ! აგერ, მიწაზე ტან-ფეხი ჩანს, თავი კი არსადაა. ჩაავლო ხელი თაიამ ერთ ფეხს, ჩაავლო კბილები ბომბომ შარვლის ტოტს და ექაჩებიან.

— ერთი, ორი!.. — იძახის თაია.

— ერთი, ორი!.. — გულში იმეორებს ბომბო.

ვერა და ვერ ამოაძვრინეს, იმიტომ, რომ ცხვირი უშლის ხელს.

ბოლოს, როგორც იქნა, ფხრან! — შარვლის ტოტი ბომბოს კბილებში შერჩა, ბაციკუკუ კი საცობივით ამოვარდა და „უფ!“ — ფილტვები გაითავისუფლა.

— ხომ არაფერი გეტკინა? — ჰკითხა თაიამ.

— ცხვირი უსივდება! — შეებრალა ბომბოს.

— დასიებულნი თვითონ ბრძანდებით, მე თქვენ გებუტებით! — განაცხადა ბაციკუკუმ.

სწორედ ამ დროს ჩამოფარფატდა პანოც, ბაციკუკუს წინ დაეშვა.

უყურებს და ველარ ცნობს, რადგან ბაციკუკუს ცხვირი ისე გაუსივდა, რაც თვითონ არის, ორი იმოდენა გაუხდა და, ცხადია, ცხვირის გარდა არც არაფერი ჩანს. ბუნებრივია, ბაციკუკუმაც ვერ დაინახა პანო, რადგან ამასაც ცხვირი ეფარებოდა, თანაც ყველაფერი ხომ მუხის ჩრდილში ხდებოდა და პანო საერთოდ ვერავინ შენიშნა.

— გვაპატიე, ბაციკუკუ! — თავი მოიკატუნა თაიამ, თუმცა ვერ მიხვდა, მეგობარი რატომ ებუტებოდა.

— ჯარისკაცი იმში შეიძლება დაიჭრას, ან ტოტიდან ჩამოვარდეს, რაც ერთი და იგივეა, — წყენით თქვა ბაციკუკუმ, — მეგონა, ჰაერში დამიჭერდით. რაკი ვერ დამიჭირეთ, მიწაში თავით ჩავედი. უნდა გამებულდა და არქივარიუსის სამყოფელში ჩამელწია. თქვენ კი ფეხებზე ხელი მტაცეთ და ისე ამოქაჩეთ, კინალამ ცხვირი ამეხა!

— გვაპატიე, ბაციკუკუ! — მოუბოდიშა ბომბომაც. — ოღონდ ახლა გვაპატიე და სხვა დროს მიწაში თავით რომ ჩაიჭედები, აღარ ამოგიყვანთ!

— ბაციკუკუ? — იკითხა პანომ. — სად არის აქ ბაციკუკუ?

— ვაიმე, პანო! — ტაში შემოჰკრა თაიამ, პანანკინტელა გოგონა აიყვანა და გულში ჩაიხუტა.

— გამარჯობა, პანო! — დაირცხვინა ბაციკუკუმ და თავი განზე მიაბრუნა, რადგან სულაც არ უნდოდა, პანოს მისი გასიებული ცხვირი დაენახა.

— მე თუ მკითხავთ, ცხვირზე მრავალძარღვას საფენი უნდა დავადოთ და მალე დაუამდება! — ბომბო ბალახებში ერკვეოდა, რაკი თავის ჭრილობებს თვითონვე ირჩენდა.

გაიქც-გამოიქცა, მრავალძარღვას სუნით მიაგნო და მოარბენინა. თაიამ წინსაფრის კიდე ჩამოიხია და ცხვირზე საფენი იმით დაადო.

— რაკი მიმკურნალეთ, იძულებული ვარ, შეგირიგდეთ! — დინ-ჯად დაასკვნა ბაციკუკუმ. — ახლა კი, სანამ ცხვირი მომირჩება, უმჯობესია დედუქციური მეთოდი გავიხსენო!

ამოდენა ცხვირით ბოლოთის ცემა შეუძლებელია და ბაციკუკუ კენჭზე ჩამოჯდა. სხვები ირგვლივ ჩაცუცქდნენ და გაიტრუნნენ, რათა ხელი არ შეეშალათ.

ცხვირი მართლაც სწრაფად უამდებოდა და სიდიდითაც კლებულობდა. სულ მალე პანომ გარკვევით გაარჩია, რომ სადაც აქამდე მარტო ცხვირი ჩანდა, იქ ბაციკუკუ გამოჩნდა. მერე ცხვირი უფრო დაპატარავდა და ახლა ბაციკუკუ, უბრალოდ, დიდცხვირა ჩანდა. მერე წითელცხვირა ბაციკუკუდ გადაიქცა და საფენიც თავისთავად ჩამოუვარდა... დაბოლოს, ბაციკუკუ კვლევაც და-მთავრდა.

— გონება გამინათდა! — შუბლზე თითო იტაკა ბაციკუკუმ. — კენწერდან ხმაური ხომ ისმოდა?

— ისმოდა! — თავი დაუქნია ტაიამ.

— ესე იგი ვაჩე-ფრინველი არქივარიუს ბუჟს ეპრძოდა!

— მერე?

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ბუჟმა ჯადოქრობით დაჯაბნა ვაჩე-ფრინველი და თავის ფულუროში გაიტაცა!

— ვაიმე! — ცრემლი გადმოაგდო თაიამ.

— საიდან მიხვდი? — გაუკვირდა ბომბოს.

— ვაჩე-ფრინველს რომ გაემარჯვა, აქედან გაფრინდებოდა, ან ჩიჩიორ ბენტოს გააცოცხლებდა და ძირს დასვამდა. რაკი სიწყნარეა და ომიც დამთავრდა... — ამოიხრა ბაციკუკუმ. — სხვა გზა არ არის, უნდა დავედევნოთ!

— ახლავე დავედევნოთ? — იკითხა პანომ.

— უნდა დავედევნოთ! — ცრემლი შეიმშრალა თაიამ.

— დიახაც, დავედევნოთ! — შეჰყეფა ბომბომ.

— გატყობოთ, ჩემსავით გონება ვერ გინათებთ! — თავმდაბლად წარმოთქვა ბაციკუკუმ. — ბომბო ხეზე ვერ აძვრება, თაია ფულუ-

როში ვერ შეეტევა... მაშასადამე, შინ უნდა დაბრუნდეთ! არქივარიუს ბუჟს მე და პანო დავედევნებით!

#### 8. მართა ბებო და ძროხა ელპიტეჩაის სვამენ

— ძვირფასო პატრონო! — მიმართა ძროხა ელპიტემ მართა ბებოს. — მადლობა ლმერთს, შინ მშვიდობით მოვალნიეთ! შეხედეთ, სახლს როგორ გაუხარდა!

მართლაც, ფანჯრის მინებს სიხარულისაგან პზინვა გაუდიოდა.

მართა ბებომ ფეხს აუჩქარა. ელპიტეც ჩქარობდა, რაკი ცური-დან რძე ჩამოსდიოდა.

კედლის აბეზარმა საათმა — ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, მოვბრუნდი-თო, ქვეყანას გააგებინა.

— გვიხარია, დროზე რომ დაგვიბრუნდით! — შვებით წამოიძახა ჭიშკარმა.

— ოჟ, მგონი გადავრჩით! — დაიჭრაჭუნა კიბემ.

— ანი არაფერი მიშავს! — ამოიფშვინა სახლმა და კარი გააღო.

— რა ხდება? — მართა ბებომ სათვალე ცხვირზე წამოიკვეხა და მიიხედ-მოიხედა.

— ტიკ-ტაკ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა! — ატიკტიკდა კედ-ლის საათი. მართა ბებომ იგი თავის აღგილზე ჩამოკიდა და საათმა ენის გაუჩერებლად კედლებს ჭორის ძაფი გაუბა.

— ცეცხლი მომენატრა! — ამოიხენეშა ბუხარმა. — ცეცხლი ავა-გურგუროთ და მტერს დავაფრთხობთ!

მართა ბებომ ბუხარს შეშა ბლომად შეუკეთა და ცეცხლი და-ანთო.

— რა ამბავია, ხომ არ ჩამოვედით? — კარადას, ალბათ, ისევ მატარებელი ესიზმრა.

ძროხა ელპიტემ სახლს შემოუარა და ბოსელს მიაშურა. ბოსლის კარიდან კაცვირთხამ გამოიჭყიტა და შაშხანა დაუმიზნა. ელპიტემ ქედი ბრაზით მოხარა და რქები მიუშვირა. კაცვირთხამ უკან დაიხ-ია. ბოსელში სხვა უამრავი კაცვირთხა წრიპინებდა და იარაღს აუღარუნებდა.

მართა ბებომ გამოიხედა.

— ელპიტე! — თავისკენ მოიხმო. — ბოსელში მარტო მოგწყინ-დება! მოდი, ჩამოგწველი, მერე ჩაიზე დამეწვიე!

ამჯერად ელპიტეს რძე არ გადაუმალია, თაია შინ არ იყო და ვისთვის უნდა შეენახა. მართა ბებომ სათლი მოუმარჯვა, ცურზე ხელი შეახო და ქაფქაფა რძე ჩერიალ-ჩერიალით ჩამოიწველა.

— დავსხდეთ ბუხრის პირას და ჩვენებს დაველოდოთ! — ელპიტეს ქედზე მოეფერა მართა ბებო.

— ჰო, — დაეთანხმა ელპიტე, — კარები ჩავრაზოთ და ისე დავ-ელოდოთ!

მართა ბებომ რძე მოადუღა, მერე გაზქურაზე ჩაიდანი დადგა. იმან სულ მალე სტვენა მორთო, წყალი აგიდულეთ, მობრძანდით და მოიხმარეთო.

ძროხა ელპიტე ბუხართან, სავარძელში ჩაეშვა. მართა ბებომ ჩაი დაასხა. თავისთვის, რა თქმა უნდა, ჩაის ჭიქაში, თან დაშაქრა და რძეც ჩაუმატა. ძროხისთვის კი — ალუმინის დიდ ქვაბში, თან შიგ პურის ნაფჩჩვენები და ქატო ჩაუყარა.

ისხდნენ ცეცხლის პირას, აუჩქარებლად მიირთმევდნენ ჩაის და ღინჯად და გულჯავრიანად მასლაათობდნენ.

სახურავზე ფეხის ხმა გაისმა. ეს კუდიანები მოფრინდნენ და ცეკვა გამართეს.

იატაკევეშ კაცვირთხებმა კბილები აამუშავეს, ალბათ გვირა-ბები გაჰყავდათ.

ფანჯრებიდან ჭინკა-მაიმუნები იჭყიტებოდნენ და ქირქილებდნენ.

— ნუ გეშინიათ! — გურგურებდა ბუხარი. — ჩემი მუგუზალი ვის არ დააფრთხობს.

მართა ბებოს არავისი ეშინია. ჩაის ჭიქა ხელში შერჩა და ჩასთვ-ლიმა.

ელპიტეც უშიშარი ვინმეა. ქვაბის ძირი რომ ამოლოკა, სავარძელში მოხერხებულად მიესვენა, თან თვლემდა, თან აუღელვებლად იცოხენებოდა.

სახლმა თანდათან მიიძინა. არ ეძინათ მხოლოდ კუდიანებს, ჭინკა-მაიმუნებსა და კაცვირთხებს...

#### 9. პატარა კუდიანი პიპიპი

თანდათან ირიურუა. დაღლილ ცას ფერი მთლად დაეკარგა. მზემ არაფერი იცოდა აქაური გაჭირვებისა და მხიარულად ამოაჭყი-

ტა, მაგრამ აქაოდა, რას იკრიჭებიო და ღრუბლის ფთილა გადაე-ფარა, ცოტა ხნით ჩააქრო.

თავზევით გადაიშხუილა კუდიანების ლაშქარმა. წეროების გუნდი გეგონებოდათ. ასეც იფიქრა ბომბოს კისერზე შემომჯდარმა თაიამ, ბომბოს კი თავი არ აუწევია, საკუთარ ნაკვალევს სუნავდა და მისუნსულებდა.

უცბად „ბრახ!“ — თავზე ბრახვანით რაღაცა დაეცა. არც თაიას სტკენია, არც ბომბოს, მაგრამ შიშით ორივეს შეეშინდა.

— ღრრ! — აღმოხდა ბომბოს, კბილები გაჰკრა და აკი ცოცხი შერჩა.

— მიშველე-ეთ! — მოისმა კივილი ზევიდან. ვიღაცა ყირამალა ვარდებოდა ციდან. თაიამ ხელი შეაგება, ოღონდ თავი ვერ შეიმაგრა, წაიქცა, ბომბოც წააქცია და ცით ჩამოვარდნილიც ძირს გაუგორდა.

ხედავენ, ერთი პატარა,

ჭორფლიანი, ცხვირპაჭუა გოგოა.

— ოჳ, ოჳ, ძლივს გადავრჩი! — წამოიძახა გოგომ.

— ვინა ხარ? — გაუკვირდა თაიას.

— პიპიპი! — უპასუხა გადარჩენილმა. — ასე რატომ მიყურებთ? მე პატარა კუდიანი ვარ, სულ რამდენიმე დღეა, რაც კუდიანი გავხდი, ჰოდა, ჯაღოქრების სკოლაში ცოცხის ტარებას ვსწავლობ!

— ალბათ გაკვეთილს აცდენ! — შენიშნა ბომბომ.

— დიახაც, — დაუმონბა პიპიპიმ, — თაფლის კვერების გაკვეთილი ვარჩიე. ცოცხის ტარებას ისედაც მოვახერხებ-მეთქი! დახე, კარგად არ მცოდნია, გამისხლტა და გადმოვვარდი... შენ, ჰეი!

— შეუტია უცეპ ბომბოს. — ახლავე მომე ჩემი ცოცხი!

— რა უზრდელი ბავშვია! — იწყინა ბომბომ. — გადავარჩინეთ,

ეს კი, მადლობის ნაცვლად, ჩეუბობს!



— მადლობა უნდა გეთქვა! — დაარიგა თაიამ პატარა კუდიანი.  
— კუდიანები მადლობას არ ამბობენ! — შიშით გახედა ბომბოს  
პიპიპიმ. — თუ ცოცხს არ დამიპრუნებ, გომბეშოდ გადაგაქცევ!  
— შენ ისეთი ზარმაციყოფილხარ, თაფლის კვერების მოპარვის  
მეტი არაფერი გეცოდინება! — ნიშნი მოუგო ბომბომ.  
პიპიპიმ უცებ ფეხები გააბაჯაჯგინა, მუშტებით თვალები  
ამოისრისა და ჭირვეული ჯღავილი მორთო:  
— მომე ცოცხი, მომე ჩემი ცოცხი!  
— ბომბო, პატარებს ნუ ატირებ! — სთხოვა თაიამ.  
— ძალლები პატარებს არ აწყენინებენ, მაგრამ ბომბოს ზრდილ-  
ობიანი ბავშვები უფრო უყვარს! — თქვა ძალლმა და ცოცხი პატ-  
რონს მიუტანა.  
პიპიპიმ ტირილი შეწყვიტა, ცოცხს შეაჯდა და გააქროლა.  
— ჰე, ჰე, წავედი-ი! — მეგობრებს ხელი დაუქნია და ქალაქისაკ-  
ენ გაფრინდა.  
— ძალიან მომრავლდნენ ეს კუდიანები! — ჩაიბუზლუნა ბომბომ.

#### 10. ოხოხოს ნუმიეველებით!

ბოლოს წადიგაიგეც გამოჩნდა.  
რა ხდება?  
სახლების წითელ სახურავებზე კუდიანებს ცეკვა-თამაში გაუმა-  
რთავთ. ფეხებს აბრაგუნებენ, ცოცხებს იქნევენ და „ეჰეჰე...“ —  
ყიუინებენ.  
ქუჩებში კაცირთხები დასუნსულებენ. პანია შაშხანებს ჭახაჭუ-  
ხით ისვრიან. ერთმანეთს გრძელ კუდებზე აბიჯებენ, ჩხუბობენ,  
აყალმაყალს ტეხენ... ჩანს, მთელი ქალაქი კაცირთხების ხელშია,  
მცხოვრებთ კარ-ფანჯრები მაგრად ჩაურაზავთ და გარეთ ცხვირ-  
საც არ ჰყოფენ.  
— მიდი, შენებურად! — მიუსისინა თაიამ.  
ბომბომ ღოჯები გამოაჩინა, ღრენით გაჰკრა-გამოჰკრა. მოუ-  
ლოდნელი მტრის გამოჩენაზე კაცირთხებმა მოუსვეს. წადიგაიგ-  
ეს ქუჩებში მზის სხივი ჯერაც სუსტად აღწევდა, მაგრამ კაცირთხ-  
ებს მაინც აბრმავებდა და ბომბო უსაშველოდ ძლიერ მხეცად ეჩ-  
ვენებოდათ.

ერთგან ზედახორას წააწყდნენ. კაცვირთხების ხროვას ზურგ-  
ზე კაცი მოუგდია და მიაქანებს.

— ნიძლავს ჩამოვდივარ, თუ ისევ ოხოხო არ იქნება! — თქვა  
თაიამ.

მართლაც ფიზკულტურის მასწავლებელი ოხოხო იყო, ხელები  
ზევით აეშვირა და ბედს მინდობილი ოხრავდა:

— ოხ, ოხ, ოხ!..

— ეს კაცი წუხელ ხომ გადავარჩინეთ? — გაოცდა ბომბო.

— მივეშველოთ, თორემ წაიყვანენ და ეგაა!

მიუხტა ბომბო ხროვას, დაჰკივლა თაიამაც. ხროვა აირია და  
მასწავლებელმა ოხოხომ ძირს მოადინა ბრაგვანი.

— ოხ, ოხ, ოხ!.. — წელი ძლივს აზიდა ოხოხომ, გადამრჩენლებს  
უკაყაფილოდ გადახედა: — მეგობრებო! გთხოვთ, მესამედ ნუ  
გაირჯებით! ასე ვერასოდეს ვენევი ღირსეულ თანამდებობას!

შეპრუნდა და წავიდა.

უყურა, უყურა ბომბომ და გოგონას ჰკითხა:

— გოგო თაია, მიხვდი, რაც გვითხრა?

— ვერაფერს მივხვდი! — მხრები აიჩეჩა თაიამ. — მესამეჯერ  
რომ მოიტაცებენ, აი, მაშინ მივხვდები!

#### 11. შინება-მაიმუნები

ბომბოზე ამხედრებულმა თაიამ სკოლამდე მოალწია. ჭიშკართან  
ჩანთებიან ბავშვებს მოუყრიათ თავი, სულ დარჩეულ-დარჩეული  
ფრიადოსნები არიან. არადა, შენობაში ვერ შედიან.

სკოლის კარი დაკეტილია. ფანჯრებზე ფარდებია ჩამოშვებუ-  
ლი. შიგნიდან ისეთი ხმაური მოისმის, თითქოს ათასი ჩვილი ერ-  
თად ჩხაოდეს.

— რა ხდება? — იკითხა თაიამ.


— რა ხდება? — შეჰყეფა ბომბომაც.

— სკოლა წაგვართვეს! — დაიჩივლა ერთმა ბავშვმა.  
თაიამ კართან მიირბინა და დააბრახუნა:

— ახლავე გაგვილეთ!

პასუხი არავინ გასცა.

— ცხადია, ჭინკა-მაიმუნები მაიმუნობენ! — მიხვდა თაია.



— ალბათ ჯერაც ლამე ჰონიათ. — ბომბომ კარი დასუნა. — ვინმე რომ გამიღებდეს, ისე შევუვარდები, კუდით ქვას ვასროლინებ!

— შესვლით კი შევიპარები, — ჩაფიქრდა თაია, — სახანძრო კიბით სახურავზე ავძვრები და ბუხრის მილით ჩავალნევ!

— სახანძრო კიბეზე სიარული მე არ მეხერხება, — მოიწყინა ბომბომ, — იძულებული ვარ, აქ დაგელოდ!

— მთავარია ვერ მიცნონ, მეც ჭინკა-მაიმუნს უნდა დავემსგავსო!

— ასეთი ლამაზი, ქათქა-თა გოგო ჭინკა-მაიმუნად ვერ გადაიქცევა! — თავი ურნმუნოდ გააქნია ბომბომ.

— ამაზე იოლი არაფერია! — ტაში შემოჰკრა თაიამ. — აბა, ბავშვებო, გახსენით ჩანთები, ამოილეთ სამელნები და მელნით პირი დამაპანინეთ!

ბავშვები თაიას შემოხვივნენ. ბომბომ გაკვირვებისაგან პირი დააღო და ენა გადმოუვარდა. წუთში ჩვენი თაია ლურჯვანიან მაიმუნად გადაიქცა. თმებიც ისე გაეჩეჩა, უარესად მაიმუნსაც არ გაეჩეჩებოდა. ხომ ცნობილია, რომ მაიმუნები აკვნიდანვე თმებს არ ივარცხნიან!

— გოგო თაია, ნუთუ ასეთი დარჩები! — შიშისა და მწეხარები-საგან ბომბო აწერუტუნდა.

— რა გაეწყობა! — გაეცინა თაიას. — მეგობარო ბომბო, კართან ფხიზლად დადექი და დამელოდე!

გოგონამ სკოლას შემოურბინა და სახანძრო კიბეს აუყვა. ბიჭებისათვის ალბათ ეს იოლია, მაგრამ მართა ბებოს რომ ენახა, მისი შვილიშვილი სად მიძვრებოდა, აუცილებლად ლოყებს ჩამოიხვდა.

მიდის თაია მალლა და მალლა, მიძვრება და მუხლები უკანკალებს, ძირს ჩახედვისა ეშინია.

აგერ სახურავიც! თაია ახლა სახურავზე მირბის, ფრთხილობს, ფეხი არ დამიცდესო...

ბოლოს, ბუხრის საკვამლე მილიც! აქამდე თაიას თეთრი კაბა ეცვა. საკვამლე მილში, ცხადია, გაშავდა, და ანი მაინც ვერავინ გაარჩევს ჭინკა-მაიმუნისაგან.

პირდაპირ დირექტორის კაბინეტში აღმოჩნდა. გაკვეთილი— თუიცი საკამზე ზის, ყურებზე ხელები აუფარებია, თვალები მაგრად მოუხუჭავს და ხმამაღლა იმეორებს:

— არაფერი მესმის! ვერაფერს ვხედავ! რაც მეჩვენება, სულ ტყუილია!

კაბინეტი სავსეა ჭინკა-მაიმუნებით. ყირაზე გადადიან, ჭყლოპინობენ... კუდი კუდზე გადაუბამთ და დირექტორის ირგვლივ ცეკვა-ცეკვით ტრიალებენ.

თაიამ, აქაოდა მეც ჭინკა-მაიმუნი ვარო, თვითონაც ყირა გაჭიმა, გადაკოტრიალდა და გადმოკოტრიალდა, ფანჯარას ასე მიაღწია, ფარდას ჩაავლო ხელი და გადასწია.

აქამდე ჩაბნელებულ კაბინეტში მზის სხივები გადმოიღვარა. ჭინკა-მაიმუნები ყრია მულითა და ვაივაგლახით მიაწყდნენ კარებს და ოთახი წამში დაიცალა.

გაკვეთილითუიციმ თავი ასწია, მიმოიხედა და ეჭვით წაიბურტყუნა:

— ხომ ვამბობდი, მეჩვენება-მეთქი!

უცებ თაია დაინახა, თვალი დახუჭა, ხელები გაასავსავა და წამოძახა:

— მეჩვენება!.. მეჩვენება!..

თაიამ ხელი ჩაიქნია და ჭინკა-მაიმუნებს დერეფანში გაედევნა.

მთელი სკოლა ისეა ჩაბნელებული, ღამე გეგონება. თაია დარბის ერთი ფანჯრიდან მეორისაკენ, გადასწევს ფარდას, მზეს შემოუშვებს და ჭინკა-მაიმუნები კისრისტეხით გარბიან.

ერთგან პატიკო მასწავლებელი შეუპყრიათ. რაკი სხვანაირად ვერ მოერიენ, წაქციეს და მსოფლიო რუკაში გაახვიეს... ოჰ, ოჰ, როგორ იტანჯებოდა! ტროპიკული სიცხისაგან წელზე თუ ოფლი ასკდებოდა, თავი და ფეხები პოლარეთების ყინულისაგან ეყინებოდა... თაიამ ღონეს მოუხმო, რუკაში გახვეული პატიკო მასწავლებელი იატაკზე რამდენჯერმე გადააბრუნა და რუკა შემოხსნა. პატიკო მასწავლებელმა, როგორც კი წამოიწია, აჲა, ხომ ჩაგიგდე ხელშიო, თქვა და ყურზე სტაცა. ცხადია, ჭინკა-მაიმუნი ეგონა. თაიას ეტკინა, სალაპარაკოდ სად ეცალა, აიღო და ხელზე უკბინა. პატიკო მასწავლებელმა ცივად უშვა. „ბოდიში, პატმასწ!“ — ზრდილობიანად დაუგდო თაიამ და გაიქცა.

ახლა სხვა მასწავლებლებს არ იტყვით? აღათი მასწავლებელს სათვალე შინ დარჩენია. ჰელინია, რომ მერხზე თავისი მოწაფეები უსხედან და გულმოდგინედ უხსნის: „ბავშვები, ნულს მივუმატონ ნული, უდრის ნულს!..“ ბავშვები რაღაც უჩვეულოდ ზუზუნებენ. შემორბის თაია, ფარდას გადასწევს და ჭინკა-მაიმუნები, თითქოს გახვეტესო, ისე გაქრებიან. „კვლავ შენ ანცობ, არა, ჯაჯუ-ბიჭო?“ — მკაცრად კითხულობს აღათი მასწავლებელი.

ჩიტო მასწავლებელი კუთხეში მიუმწვდევიათ. ამას ვერ მოატყუებ. ხელში სახაზავი უჭირავს და ჭინკა-მაიმუნებს მედგრად იგერიებს, ვისაც მისწვდა, კოპითაა დაჯილდოებული. თაია საშველად მივარდება, ოღონდ ვერც თვითონ ეკარება, რადგან ჩიტო მასწავლებელი მასაც სახაზავს უღერებს.

უცებ „ბრახ!“ და თაია იატაკზე გაიშოტა!

რა მოხდა?.. რა და მიუხვდნენ!

ერთმა ჭინკა-მაიმუნმა ფეხი დაუდო და ძირს გაშოტა. უმალვე დაესიენ. ყველა ცდილობს თვითონ გაკოჭოს. ერთმანეთს არ აცლიან, თოკი ჰელინიათ და კუდებს ექაჩებიან. იმ ადგილას ზედახორა დადგა, თაია კი ქვემოდან გამოფოხდა და კარგა შორს გაასწრო. უკან რომ მოიხედა, იმ ადგილას ჭინკა-მაიმუნების მთელი მთა იგორგლებოდა.

ერთმა იკივლა, თითო თაიასაკენ გამოიშვირა. მთა წამში დაიშალა.

თაია კიბის მოაჯირს შეახტა და სლიპინ-სლიპინით ჩასრიალდა.

უკნიდან უივილ-ხივილით მოსდევენ ჭინკა-მაიმუნები, კირნიკო-რწით მოგორავენ კიბეზე.

თაიამ ყველას დაასწრო, კარს მივარდა და რაზა გადააგდო.

გაიღო ფართო კარი. ძალლი ბომბო საშინელი ღაფლაფით შემო-ჰყვა სინათლეს. თავზარდაცემულმა ჭინკა-მაიმუნებმა წივილ-კი-ვილით სარდაფს მეაშურეს.

სკოლა გაიწმინდა!

## 12. მართა გეგოს ელდა ეცა

მართა ბებო და ძროხა ელპიტე მთელი ღამე ბუხრის პირას ისხდნენ. ხან ჩათვლემდნენ, ხან ქვითქვითს იწყებდნენ.

— სად ხარ, შვილოვაჩე! — წამოიკვენესებდა მართა ბებო. — სადა ხარ, ჩემო საყვარელო შვილიშვილო თაია!

— მუ-უ, მუ-უ! — თანაგრძნობით ამოიზმუვლებდა ძროხა ელპიტე. — ნეტავი სად არის მამაცი ბომბო და ჩვენი სახელგანთქმული სტუმარი ბაციკუკუ!

სახურავზე კუდიანები დაბრაგუნებდნენ, ფანჯრებში ჭინკა-მაიმუნები იჭყიტებოდნენ. იატაკევეშ კაცვირთხები რაღაცას ხრავდნენ და ხრავდნენ.

ერთი-ორჯერ ღრიჭოდან კაცვირთხამ ამოყო ცხვირი, მაგრამ კედლის საათმა ატეხა შფოთი: „ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ!“ კარადამ ძილში იკითხა: „ჩავედით?“ ბუხარმა მუგუზალი გააღვივა და ცეცხლი ააბრიალა.

ბოლოს გათენდა. მართა ბებოს და ძროხა ელპიტეს გემრიელად ჩაეძინათ.

მზე კარგა მაღლა ამოიწია, ოქროსფერი სხივი კედლის საათს დაეცა და იმანაც ხმამაღლა დარეკა:

— სალამი მზეო! ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტინლინ-ტინ!

მართა ბებომ თვალი გაახილა და წამოიძახა:

— შვილო, ვაჩე! შვილო, თაია!

ძროხა ელპიტემაც გაიღვიძა და დაიზმუილა:

— ბომ-ბო!

პასუხად ყეფა მოისმა:

— აქა ვარ, აქა!

მართა ბებო და ძროხა ელპიტე ისე წამოცვივდნენ, რომ სავარდლები გადააყირავეს.

— ეს ვინ მოგიყვანია? — უკმაყოფილოდ დაიჭრიალა ჭიშკარმა.

— ეს ვინ არის? — გაკვირვებით იკითხა კიბემ.

— არ გავიღები! — გაბრაზდა კარი, მაგრამ შიგნიდან მართა ბებომ უბიძგა და გაილო.

გაიხედა და ელდა ეცა. ბომბოს თმაგაჩეჩილი, ლურჯი მაიმუნი მოჰყვებოდა.

— ნუ გეშინია, ბებია, თაია ვარ! — მხიარულად შემოვარდა მაიმუნი.

მართა ბებომ უკან დაიხია. უყურა, უყურა, თვალს ვერ დაუჯერა.

ძროხა ელპიტეს ზმუილი პირზე შერჩა, ესეც უყურებს და ვეღარა ცნობს.

ატირდა მართა ბებო, შენ არა ხარ ჩემი შვილიშვილიო, ჩემი კალმით ნახატი გოგოო.

— კალამი რითი ხატავს? — კუდის ქიცინით იკითხა ბომბომ.

— მელნით! — უპასუხა ძროხა ელპიტემ.

— მელანს ჩვენი საპონი ჩამორეცხავს! — განაცხადა ბომბომ.

მართა ბებომ ტირილი შეწყვიტა, ხელები გაასავსავა.

— მართლა მელნით მოითხუპნე?

შეიყვანეს გოგო თაია აპანოში, ჩასვეს ცხელი წყლით სავსე გობში, თავზე ცხელი წყალი დაათქლიშინეს. იმდენი ხეხეს, იმდენჯერ აქაფდა საპონი, შრომასა და გარჯაში მთლად დაილია, ფრჩხილი-სოდენა გახდა. ძლივძლივობით გააცალეს მელნის ფერი და ბოლოს ნამდვილმა კუდრაჭა თაიამ გამოიხედა...

## თვე Ⅵ. ჯარო/ქარების შეკრივნა

### 1. პანოზიტები მოკალათდა

ბაციკუკუ ენერგიულად სცემს ბოლთას, თან თითო შუბლზე მიუდვია. პანო ბალაზის ლეროზე ზის, ობობას ქსელივით გამჭვირვალე კაბის ფოჩები ლამაზად დაულაგებია. პანაწკინტელა ვერცხლის ქოშები ცვარს დაუნამია. ზის პანო და მოთმინებით შეჰყურებს ბაციკუკუს.

ნეტავიასე რას აულელვებია მამაცი ბაციკუკუ? პანომ დაწვრილებით უამბო, რაც ბენტოსთან ერთად გადახდა ჯადოქრების ბუნაგში...

დილის მზემ გამსჭვალა მიდამო და ფოთლებში უამრავი წვეთი აკიაფდა.

ბაციკუკუ შედგა.

— დიახ! — თქვა და მეტი არაფერი.

სხვარამეც ხომ არ აწუხებს მამაც ბაციკუკუს? სწორედაც რომ! ბოლოს და ბოლოს გულისნადები ხომ უნდა გაუმჯობენოს პანოს. სამწუხაროდ, მეტად მორცხვი ვინმე გახლავთ და თუ ალაპარაკდება, მხოლოდ სავაუკაცო საქმეზე...

— შემცივდა! — ჩაიწუზუნა პანომ. — თხელი კაბა ვეღარ მათბობს!

— დიახ! — გაიმეორა ბაციკუკუმ. — ძვირფასო პანო... დიახ!.. უზრდელობად ნუ ჩამომართმევ, ბაციკუკუმ კარგად იცის რაინდობის წესები, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსაწოროთ. წინ არაერთი ფათერაკი მოგველის! მე, სახელგანთქმულმა ბაციკუკუმ თავი დავიმცირე და ჩემი მეგობრის თაიას წინსაფრის ჯიბეში მოვკალათდი. მრავალი საათი გავატარე იქ. მაგონდება ტკბილი წუთები, როცა მოხალულ მზესუმზირას გიახლებოდი. იყო სევდაც, როცა გულის დარდი დამეუფლებოდა. თავს გადამხდა სამარცხინო შემთხვევაც, — ფაფის ქვაბში ჩამაგდეს... დეტექტივისა და მაძებარის გზა რთულია და ფათერაკებით სავსე! ამიტომ გთავაზობ, ისე როგორც მე ვიჯვექი თაიას ჯიბეში, შენც ჩემი სერთუკის მარჯვენა ჯიბეში ჩაბრძანდი, რაკი მარცხენაში ლუპა ანუ გამადიდებელი შუშა მიდევს!

პანომ უსიტყვოდ გაუწოდა ხელი. ისეთი პანაწკინტელა იყო, ბაციკუუს საჩვენებელ თითს თუ დაეტოლებოდა.

ძნელია ასეთი პანაწკინტელას სიყვარული. უნდა უყურო, ისიც ლუპით, მოფერებით კი ვერ მოეფერები.

ბაციკუუმ ფრთხილად აიყვანა პანო და სერთუკის მარჯვენა ჯიბეში ჩაისვა.

იქ მართლაც წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. პანო უცბად ჩათბუნდა და იკითხა:

— ახლა როგორ მოვიქცეთ?

— წინ ფულუროსაკენ! — ხელი გაიშვირა ბაციკუუმ. — ჯა-დოქრების სამფლობელოში ბევრ საიდუმლოს ფარდა აეხდება!

ბაციკუუმ ხეს შემოურბინა, დაბლა დაწეული ტოტი შეარჩია და შეახტა. ეს არც ისე ძნელი აღმოჩნდა, რადგან საქვეყნოდ ცნობილია, რა მუხლმაგარი ვაჟუკაცია ბაციკუუ. მართალია, ჯიბეში პანო ეჯდა, მაგრამ გოგონა ისეთი ფიორა გახლდათ, წონა თითქმის არა ჰქონდა.

ტოტიდან ტოტზე გადაძვრა ბაციკუუ, მაღლა და მაღლა აპყვა. დღის სინათლეზე, ცხადია, გზას უკეთ იკვლევდა.

აგერ მიაღწია კიდეც, ფოთლებს შორის გამოკრთა ფულუროს ვიწრო ყელი.

— ფრთხილად, ბაციკუუ! — წასჩურჩულა პანომ.

— სიმამაცედა გონიერება ძმები არიან! — ხმადაბლა შეეპასუხა ბაციკუუ. — ჩემო პანო, დაიხსომე, ჩუმად იჯექი! ძალიან თუ გამიჭირდა, თავს უნდა უშველო და ყველაფერი ჩვენს მეგობრებს შეატყობინო!

პანოს უნდოდა ეპასუხა, საფრთხეში ვერ დაგტოვებო, მაგრამ ლაპარაკი უკვე არ შეიძლებოდა.

ბაციკუუმ ფულუროში შეიხდა...

## 2. არძივარის პუპის პუნაგი

ფულუროს ჩასასვლელთან ბილიკი იწყებოდა. ორი კაცი კაცირთხა შაშხანებს ჩამოყრდნობოდა და ყვითავდა.

ბაციკუუმ ჯიბეში ლუპა მოიძია და ბილიკზე დააგორა. შუშამ მსუბუქი წკარუნით გაირბინა დარაჯებს შორის, თან სხივთა ანარეკლი მიმოაბნია.

კაცირთხები გამოფხიზლდნენ, კისრები წაიგრძელეს, ეს რა ვნახეთო, და უკან გამოუდგნენ. ბაციკუუ სწრაფად ჩაძვრა ფულუროში და ფეხაკრეფით მიჰყვა. კარგა მანძილი გაიარა, ალბათ უკვე მიწისქვეში იყო ჩაღწეული, როცა ფეხების ტყაპატყუპი მოესმა.

ერთგან ჩაღწეული ნახა და იქ ჩაიმალა. დარაჯები ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ.

„ლუპა ვერ იპოვეს! — გაიფიქრა ბაციკუუმ. — ეპ, შესანიშნავი გამადიღებელი შუშა დავკარგე!“

სინანული დიდხანს არ გაჰყოლია. ცოტაც გაიარა და თავის ლუპას წააწყდა, ნაპრალში გაჩერილიყო.

— ჩემო პანო! — თავმომწონედ მიმართა ბაციკუუმ. — ერთი გმირობა უკვე ჩავიდინეთ, მიწისქვეშეთში ჩავეშვით და ლუპაც დავიბრუნეთ!

— გული მიფანცქალებს! — შეეხმიანა პანო. — არქივარიუსა რომ გადავაწყდეთ, თოჯინებად გადაგვაქცევს!

საუბარი დამთავრებული არც ჰქონდა, მოზრდილ დარბაზამდე მიაღწიეს.

კედლების გასწვრივ, უზარმაზარ თაროებზე უთვალავი საქაღალდე ელაგა, იატაკი კი დახრული ქაღალდით იყო მოფენილი.

— აი, რატომ ირჩია ბუპმა არქივარიუსობა! — ხელი შუბლზე შემორტყა ბაციკუუმ. — ჯერ ერთი, ამ ქაღალდებით კაცირთხათა არმია იკვებება. მეორეც, ეს ქაღალდები საბუთებია, საბუთები მეხსიერებაა, მისი მოსპობით მეხსიერება ისპობა, ესე იგი წარსული არ გემახსოვრება. თუ წარსული დაგავიწყდა, ადამიანიც არა ხარ!

— ბაციკუუ, რა ჭკვიანი ხარ! — აღფრთვანებით წასჩურჩულა პანომ და უცებ შიშით იკითხა: — ეს რა არის?

— მუზეუმსა ჰერგავს! — არცთუ დამაჯერებლად აუხსნა ბაციკუუმ.

მომდევნო დარბაზში გააღწიეს და უთვალავი თოჯინა დაინახეს, ზოგი ქვისა და ზოგი ხისა: ქაღი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, დედა და შვილი, მოზრდილები და ბავშვები...

— არქივარიუსი ალბათ მოქანდაკეცაა, ხომ? — ხმა აუკანკალდა პანოს.

— ისეთი მოქანდაკეა, საჭრეთელიც არ სჭირდება!

სიწყნარეში ხვნება მოისმა. კიდობანმა პირი დააღლ და ხმაურით დაიხურა.

— უცნაური კიდობანია, თავისით იხურება! — გაუკვირდა პანოს.

— ეს ნოტარიუსი კოკოა! — აუხსნა ბაციკუკუმ. — აგერ ჩვენი ბენტოც!

მომლერალი ბენტო თითქოს თეატრის სცენაზე იდგა, ოლონდ არც მღეროდა და ვერც ვერაფერს ხედავდა.

— ახლა ხომ მიხვდი, რანაირი მოქანდაკეა არქივარიუსი ბუჟი!

— ყველას თოჯინად აქცევს, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, ამიტომაც ქალაქში მარტო ლაჩრები დარჩენ! — მწუხარედ თქვა პანომ. — აგერ, ვაჩე-ფრინველი ვიცანი!

ვაჩეს ფრთები და ბუმბული დასცვენოდა, ჩვეულებრივი ადამიანის თოჯინად გადაქცეულიყო, მაგრამ ისე იდგა, თითქოს ეს თოჯინაც გაფრენას ლამობდა.

— ვფიცავ, ჩემი მეგობრები დავიხსნა და ყველა სხვა, ამ ბუნაგში რომ ელოდება ჩემნაირ გამათავისუფლებელს! — საზეიმო კილოთი წარმოთქვა ბაციკუკუმ, პანო კი ნაზად, ალერსით შეეპასუხა:

— ოჟ, ბაციკუკუ, როგორი მამაცი ხარ!

უმალ გრგვინვასავით გაისმა არქივარიუს ბუჟის მრისხანე ხმა:

— დიახ, უკმაყოფილო ვარ!

პანო ჯიბეში გაინაბა. ბაციკუკუმაც იფიქრა, აღმოგვაჩინეს და დავილუპეთო.

თოჯინებს ამოეფარა და ისე გაიხედა.

დიდი დარბაზის სილრმეში ოქროს ტახტზე არქივარიუსი ბუჟი იჯდა. თვალებს ბოროტად აბრიალებდა. საიდანლაც დიდ ჯაჯუს გამოეყო თავი და მორჩილად დაეხარა. არქივარიუსი ბუჟი დიდი ჯაჯუს ცხვირისოდენა ძლივს იქნებოდა, მაგრამ როგორც კი თითს მიუშვერდა, დიდი ჯაჯუ შემკრთალი უკან იხევდა.

— არქივარიუსონ ბუჟ! — თავს აკანტურებდა დიდი ჯაჯუ. — იმ საძაგელი გოგონას ხელში ჩასაგდებად ლამის მთელი ქალაქი დავიპყარით. ცოტაც და „მზის ნიუარის“ კვალსაც მივაგნებთ!

— იცოდე, მამაჩემი თუ გაბრაზდა, მის რისხვას შენც ვერ გადაურჩები! — დაემუქრა არქივარიუსი ბუჟი.

დიდი ჯაჯუ ელდანაცემი ჩანდა, უკან-უკან დაიხია და გაქრა.

— ხედავ? — ჩასჩურჩულა ბაციკუკუმ პანოს. — თურმე არქივარიუსს მამა ჰყოლია. აი, ის იქნება მთავარი ჯადოქარი!

არქივარიუსმა ბუჟმა ტაში შემოჰკრა. საიდანლაც ოქროთი მოკაზმული ეტლი შემოგრიალდა. ცხენების ნაცვლად თორმეტი წყვილი ვირთხა ება. არქივარიუსი სავარძელში ჩაჯდა და ვირთხებს მათრახი გადაუტყოლაშუნა.

— ჰე, ჰე!

ბაციკუკუ ელვისუსწრაფესად წამოფრინდა და ეტლის საზურგეს ჩამოეკიდა...

### 3. ეტლით მგზავრობა

ეს არცთუ იოლი რამ იყო...

ეტლი საშინელი სიჩქარით მიხრიგინებდა ოლროჩოლრო გზაზე. არქივარიუსი უკან არ იხედებოდა. მათრახს მარჯვედ იქნევდა, ვირთხებს ზურგზე უტყლაშუნებდა და ისინი ისე სწრაფად გარბოდნენ, ვერანაირი რაში ვერ დაეწეოდა.

ბაციკუკუ მაგრად ჩაჰურენოდა ეტლის საზურგეს. იმაზე წუხდა, ჯიბიდან პანო არ ამომივარდეს და არ დავლუპოო. ცხადია, პანოსაც არ ადგა კარგი დღე.

მხენეობა მაინც არ დაუკარგავთ. საუბარი შეუძლებელი იყო, მაგრამ ერთი-ორი გამამხნევებელი სიტყვა მაინც მოახერხეს.

— ჩე-ე-მო პანო, გა-ა-მაგრდი!

— ძლივს ამბობდა ბაციკუკუ.

— ბა-აცი-კუკუ, გა-ა-მაგრდი!

— პასუხობდა პანო.



ვინემ შეიძლება იფიქროს, რა იმსიგრძე გზებია მიწისქვეშეთშიო. ოჟო, იქაცა შორეული გზები, მოედინება წყალუხვი მდინარეები, გუბდება ლრმა და ფართო ტბები... ზოგან მთები წამომართულა, ზოგან უფსკრულებს დაუღია პირი...

აგერ ჩანჩქერი ეცემა გუგუნით, მგზავრებს წვრილი, გამჭვირვალე წვეთები აწვიმს...

აგერ ტბის პირს მიუყვებიან და მსუბუქი ტალღები ლოკავს ნაპირს...

აგერ მდინარე მოჩქრიალებს, თეთრად აქაფებულა, ხიდზე ეტლის ბორბლები ხრიგინებები...

— ჰე, ჰე! — დასჭყივლა არქივარიუსმა და უზარმაზარ ალაყაფის კარებში შეგრიალდნენ. ყოველი მხრიდან წრიპინით გამოეშურნენ მოსამსახურე ვირთხები. არქივარიუსმა სადაც დააგდო და ძირს ჩამოხტა.

ბაციკუუმ, რა თქმა უნდა, წუთით დაასწრო. რანაირი დეტექტივი იქნებოდა, თუ ყოველივეს ზუსტად ვერ გამოზომავდა. ეტლი გაჩერებულიც არ იყო, ბაციკუუ და პანო უკვე ლოდს ამოფარებოდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ...

#### 4. ბუჭის მამა პუპშები

ბაციკუუსა და პანოს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. მრის-ხანე არქივარიუსი მუხლებზე დაცეა და წვერი დაიგლიჯა.

— ოლონდ მაპატიე, მამიკო! ამჯერადაც მაპატიე! — პატარა ბიჭივით წუწუნებდა და ცრემლს ღვრიდა.

არქივარიუსის წინ ორი-სამი მტკაველი ბერიკაცი იდგა, თავზე ღერი თმა არ შერჩენოდა, ქათქათა წვერი კი ჩექმის ყელს ეფინა.

ეს გახლდათ არქივარიუსის მამა ბუჭბუჭი.

ბერიკაცი მჭმუნვარედ აპყურებდა არქივარიუსს, მარჯვენაში წკეპლა ეჭირა და ჩექმაზე ნელ-ნელა იტყლაშუნებდა.

— მაშასადამე, ამჯერადაც გაპატიო, არა? — ჩაეკითხა.

პასუხს არ დალოდებია, სწვდა წვერზე, მოჰქაჩა, მუხლებზე გადმოიგდო და წკნელი მოსცხო და მოსცხო საჯდომზე.

— ვაი, ვაი, მეტკინა, მამიკო!.. არ მცემო, მამიკო! — აჭყივლდა არქივარიუსი.

— ძვირფასო პანო, მსგავსი სურათი სიცოცხლეში არ მინახავს!

— თქვა ბაციკუუმ. — არ მეგონა არქივარიუსზე ხნიერი და ძლიერი ვინმე თუ იქნებოდა. ახლა დავრწმუნდი, არქივარიუსზე ძლიერი მამამისი ბუჭბუჭია!

— წუაჩქარდები, ბაციკუუ, იქნება მათზე ძლიერი ვინმეც მოიძნოს!

ბერიკაცმა ბუჭბუჭმა შვილს ხელი უშვა.

— ნებას გაძლევ, ამიხსნა, თუ რა დააშავე!

არქივარიუსი სლუკუნ-სლუკუნით ალაპარაკდა:

— როგორც გადაწყვეტილი გვქონდა, ქალაქ წადიგაიგეს ჩვენი ლაშქარი შევუსიეთ. ეჭვი, ცხადია, ვაჩაძების სახლზე მივიტანეთ. სახლის პატრონი ვაჩე ვაჩაძე და ოჯახის მეგობარი ჩოჩორი ბენტო თოჯინებად ვაქციე და ჩემს მუზეუმში გამოვფინე!.. დარწმუნებული ვარ, მაგათან ინახება „მზის ნიუარა“, თუმცა ამაზე თვითონ არაფერი იციან.

— სს-უ! — თითო პირზე მიადო ბუჭბუჭმა.

— უცხო აქ არავინაა, ვინ უნდა მოგვისმინოს! — გაიოცა ბუჭმა.

ბუჭბუჭმა გამჭრიახი თვალები მიმოავლო თავის სამყოფელს, ხელი ასწია, საჩვენებელი და შუათითი დაუმიზნა ლოდს, რომლის უკანაც ბაციკუუ და პანო იმალებოდნენ. თითებიდან მეხივით გამოვარდა ორი ტყვია და ლოდზე ასხლტა.

— თუ ვინმე გვისმენს, შიშისაგან გული გაუსკდება! — თქვა ბუჭბუჭმა. „მზის ნიუარა“ რომც მოვიპაროთ, ფასი არ ექნება, რადგან ვერ ავამუშავებთ. მისი ამუშავება კი შეუძლია ერთადერთ ვინმეს — თაია ვაჩაძეს!

— ცოტაც მაცალე და იმ გოგონასაც ხელთ ვიგდებთ!

— მე კი გაცლი, მაგრამ მამაჩემი დაგვაცლის? — ამოიხვნეშა ბუჭბუჭმა.

— უნდა ვეახლოთ და მუხლებში ჩავუარდეთ! — შიშით დაიკნავლა ბუჭმა.

— სხვარა გზა გვაქვს, უნდა ვეახლოთ! — ბუჭბუჭმა ტაში შემოჰკრა და გასძახა: — ეპეი, ეტლი!

წამში შემოგრიალდა ოქროს ეტლი, ოცდაოთხი წყვილი ვირთხა ება.

ჩასხდნენ მამა-შვილიდა არქივარიუსმა გრძელი მათრახი გადაუშეულა.

კითხვაც ზედმეტია. პანო, რა თქმა უნდა, ბაციკუუს ჯიბეში იჯდა, მამაცი მაძებარი კი ეტლის საზურგეზე ეკიდა...

#### 5. კვლავ ეტლით მგზავრობა

საშინელი გრიალითა და რახრახით მიჰქონდა ოქროს ეტლი, იფიქრებდით, საცაა დაიშლებაო.

— ძვი-ირფასო პა-აწო!.. — ძლივს ჩურჩულებდა ბაციკუკუ, ეშ-ინოდა, ენა არ მოეკვნიტა. — ე-ეს ე-ეტლი ისე ზ-ზრიალებს, ა-ალ-ბათ ზე-ევით მიწისძვრაა!

ვინ იცის, ზევით რა ხდებოდა, მაგრამ ჯადოქრების ამ თავ-ბრუდამხვევ ჭენებას მხოლოდ და მხოლოდ ასეთი მამაცი, მრავალ ფათერაკში გაწვრთნილი დეტექტივი გაუძლებდა. მას ხომ თავგან-ნირვა სიმღერად უჩნდა, ფათერაკის გარეშე კი ცხოვრება არ შეეძლო. ეგაა, პაზო ებრალებოდა, თუმცა სიფრიფანა და ნაზი პაზო ისე-თი ფიორა იყო, ასეთ ჯაყჯაყა ეტლშიც ნარნარად მგზავრობდა.

დიდხანს მიჰქოდნენ. ვერავინ დაითვლის, რამდენი მიწისქვეშა ქალაქი და სოფელი გაიარეს, რა მანძილი დაფარეს. იქნებ ისე გაშორდნენ წადიგაიგეს, უკან დასაბრუნებელ გზას ვერც იპოვიდნენ.

— ჰე, ჰე! — მიჰკიოდა არქივარიუსი ბუჰი და ოცდაოთხი წყვილი ვირთხის ფეხების ტყაპატყუპს ფარავდა.

ჩუმად, შემინებული ოხრავდა ბუჰი მელოტი იფლით ენინ-წკლებოდა, ალბათ ამასაც მოელოდა თავისი მამიკოს წკეპლა...

## 6. პუჰუჰუჰი

და აი, კიდევ ერთი მოსახვევი. წინ მდიდრული თაღედია, რომ-ლის თავანზე აწერია: „დიადი ჯადოქარი ბუჰი ბუჰი“.

იღება ალაყაფის კარები, დალლილი ვირთხები მძიმედ მი-ათრევენ ოქროს ეტლს.

არქივარიუსი ბუჰი მკვირცხლად ჩამოხტა ეტლიდან, მამიკო ბუჰი ხელი გაუწოდა, ჩამოსვლაში მიეხმარა.

ბაციკუკუ ეტლს ეფარება, მერე ფეხდაფეხ მიჰყვება არქივარიუს ბუჰს, მის ჩრდილში იმაღება.

ბუჰი ქუდი იხდის, ძირს აგდებს. მამა-შვილი მუხლებზე ეცემა, აქამდა ხმის ამოღებას ვერ ვპედავთ, თავს ვერ ვიმართლებთ, ვიცით, რა დამნაშავეებიცა ვართო...

ბაციკუკუ სარგებლობს წამით, ბუჰის ქუდქვეშ შეძვრება და იქ მოკალათდება. ქუდი ხომ ჯადოსნურია, საითკენაც პატრონი წავა, ქუდიც იქითკენ მისდევს. საკმაოდ ძველი ქუდია, ალბათ არქივარიუსს აკვანშივე ერგო. ამიტომაც გაფხავებულა, ერთგან წაჩვრეტიც აქვს და ბაციკუკუს შეუძლია იქიდან გაიჭვრიტოს.

წინ საფეხურებია!.. შემაღლებულზე ტახტი დგას და ზედ ერთი მტკაველა წვეროსანი მოკალათებულა. ფუმფულა, თეთრ წვერში ძლივს მოჩანს წითელი, ბუჰი ცხვირი და პირი, თვალები კი ჭალარა ბანჯგვლებში ჩაჰკარგვია.

— მოიტათ ყურები, მოიტათ, უნდა აგახიოთ! — მუქარით ჩიფრიფებს ბუჰი ბუჰი.

ბუჰი მამის უკან იმალება, ბუჰი ბუჰი კი მორჩილად სლუკუნებს:

— მაპატიე, მამიკო, ცოტაც და შენი ბრძანება შესრულდება!

— ტყუილუბრალოდ გასწავლეთ ჯადოქრობის ანაბანა! — ბრა-ზობს ბუჰი ბუჰი.

— დღესვე აღმოვაჩინდი, მაგრამ თურმე თაია ვაჩნაძემ უნდა წარმოთქვას მის ცხოვრებაში ყველაზე ამაღლებული და სანატრე-ლი სამი სიტყვა! — შესჩივლა ბუჰი ბუჰი.

— მერედა იცით, ის სამი სიტყვა? — იკითხა ბუჰი ბუჰი. — ჯერ ნიუარა უნდა აღმოვაჩინოთ, მერე თაია შევიპყრათ და ვათქ-მევინოთ ის სიტყვები. დიდხანს ვიფიქრე, რა უნდა იყოს ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე ამაღლებული, ტკბილად მოსასმე-ნი სიტყვები და ბოლოს დავასკვენი: „შვილებო, მე თქვენ მძულ-სართ!“

— მეც ბევრი ვიფიქრე, — ჩაურთო ფრთხილად ბუჰი ბუჰი, — უმჯობესია: „მამიკო, მე შენ მძულხარ!“

— მე კი უფრო მართალი მგონია: „წინაპარნო, მე თქვენ მძუ-ლხართ!“ — შეანია ბუჰი ბუჰი.

— კარგები მყავხართ! — მოეწონა ბუჰი ბუჰი. — ამ სიტყვე-ბზე უფრო მშვენიერი რა უნდა იყოს! მიდით და ჩაუნერგეთ ეს სი-ტყვები გოგონას, ოღონდ ფრთხილად, თორემ შეიძლება ჩაჯდეს „მზის ნიუარაში“ და უჩვენდ გაფრინდეს!

— მაგ ნუ გედარდება! — ჩაიხითხითა არქივარიუსმა. — როგორ-და ჩაჯდება, თაია ისეთი ყანჩაა, ნიუარა კი ხელისგულისოდენაა. დაპატარავების ჯადოსნურ ღსტატობას მარტო ჩვენა ვფლობთ!

— სამწუხაროდ, შვილო და შვილიშვილო, ჩვენს ბოროტებასაც საზღვარი აქვს! — ძლივს ჩიფრიფებდა ბუჰი ბუჰი. — ცოტაც და მთლად დავჭკნებით, „მზის ნიუარა“ კი არსებობას გაგვიხანგრძლი-ვებს!

— ჯადოსნურ მეცნიერებათა საიდუმლოება ვერ უნდა გაიგოს გოგო თაიამ! — თქვა არქივარიუსმა ბუჰი. — დიდ ჯაჯუს ბრძანე-

ბაუნდა გავუგზავნოთ, რომ ვაჩნაძეების ოჯახის არც ერთი წევრი ჯადოქრების სკოლაში არ მიიღოს!

— ჭკვიანი შვილიშვილი მეზრდება! — ესიამოვნა ბუჟბუჟბუჟს.  
— ახლავე შიკრიკი გავაგზავნოთ!

## 7. ჯადოქრების შიკრიკი

სამივე ჯადოქარმა — პაპამ, შვილმა, შვილიშვილმა — ტაში შემოჰკრა და დაიძახა:

— შიკრიკი!

უცებ არქივარიუსის ქუდი ამოძრავდა და იატაკიდან ბაციკუკუს სიმაღლეზე აიწია.

გაოცებულმა ბუჟმა ქუდს ხელი დასტაცა და ქუდის ქვეშ აკი კაცუნა აღმოაჩინა.

— მე გახლავართ შიკრიკი!

— საიდან გაჩნდი? — შეეჭვდა არქივარიუსი ბუჟი.

— არ ვიცი!.. აი, ამ ქვაში უსასრულოდ დიდხანს მეძინა. მოულოდნელად გავიგონე — „შიკრიკი!“ და ამოვხტი. თურმე ქვაზე ქუდი იდო. ამოვხტი თუ არა, ქუდში აღმოვჩნდი!

— ასეთი ძალა აქვს ჩემს ჯადოსნურ სიტყვას! — ამაყად განაცხადა არქივარიუსმა ბუჟმა. — ვთქვი და უმალვე ქვიდან შიკრიკი დაიბადა!

— იგი ჩემმა ჯადოსნურმა სიტყვამ დაპხადა! — გაგულისდა ბუჟბუჟი.

— განა ჩემი სიტყვა თქვენზე ძლიერი არა! — აჩიფრიფდა ბუჟბუჟბუჟი. — თუ არა გვერათ, ახლავე ქვაში დავაბრუნებ!

— ნუ ჩეუბობთ! — ოდნავადაც არ აღელვებულა ბაციკუკუ. — ბუჟმა რომ ნამოიძახა „შიკრიკი“, მკერდამდე ამოვინიე, ბუჟბუჟის სიტყვამ მუხლამდე ამომიყვანა, ბუჟბუჟბუჟისამ კი მთლად გამათავისუფლა!

ჯადოქრებმა ერთმანეთს თავმომწონედ გადახედეს და არქივარიუსმა ბუჟმა ბაციკუკუს უთხრა:

— გიბრძანებთ, შეჯდე ჩვენს სწრაფმავალ რაშზე, გაეშურო დიდი ჯაჯუსაკენ და გადასცე ჩვენი ნება-სურვილი: ამიერიდან, დღეის იქით, არც ერთი ვაჩნაძე არ ჩარიცხოს ჯადოქრების სკოლაში!

ბუჟმა ნეკათითიდან ბეჭედი წაიძრო და გაუწოდა:  
— უჩვენე ეგ ბეჭედი და დაგიჯერებს!

ბაციკუკუ ბეჭედი ჯიბეში ჩაიდო (პანოს ჩაუგორა კალთაში!), ჯადოქრებს თავი ლირსეულად დაუკრა.

არქივარიუსმა ტაში შემოჰკრა და დაიძახა:

— რაში ჯადოქრების შიკრიკს!

ფეხების ტყაპატყუპი მოისმა და ბნელი დერეფნიდან გამოგვანგვალდა უზარმაზარი თეთრი ვირთხა. სამი მტკაველი კუდი მაინც ექნებოდა, კბილები კი ისეთი, ალბათ მთელ ქალაქს გადალრონიდა.

ვირთხას ზურგზე უნაგირი ედგა, პირში ლაგამი ჰქონდა.

ბაციკუკუს დანახვაზე კბილები უსიამოვნოდ გააწკაპუნა. ბაციკუკუს სიმამაცის ამბავი მთელ დედამიწასაა მოდებული და ვირთხის კბილები რანაირად დააფრთხობდა.

უნაგირზე შესკუპდა და გვერდებში დეზები უთავაზა.

ვირთხა ბრაზით აწრიპინდა და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, მოცოცხა...

## 8. ვირთხას ეზვიეპარება

თავდაუზოგავად მიჰქრის ვირთხის მხედარი ბნელ დერეფანში.

ჯიბეში პანო უზის. პანო ჯადოქრის ბეჭედს ათამაშებს, თითებზე იზომავს. ბეჭედი ისე ბრწყინავს, ბაციკუკუს ჯიბის ლამეს დღედ აქცევს.

„მე შენ ბეჭედს გაჩუქებ!“ — ოცნებობს ბაციკუკუ.

„ნიშნობის ბეჭედსა ჰგავს!“ — პანოც ოცნებობს.

„ოღონდ პანანკინტელა ხარ! — სწუხს ბაციკუკუ. — რა იქნება ცოტათი გაიზრდებოდე!“

„ოღონდ დიდი და ბაჯბაჯა ხარ! — სწუხს პანო. — რა იქნება ცოტათი დაპატარავდებოდე!“

ვირთხამ კი სრბოლას უკლო, კბილებს ავად აკანკანებს, შიკრიკი ემჩატება და ეს აეჭვებს.

უცებ ადამიანის ხმით ალაპარაკდა:

— შიკრიკო, შიკრიკო, ძალიან მსუბუქი მეჩივენები!

— ბრიყვო! — გაგულისებით პასუხობს ბაციკუკუ. — ტვირთს გიმსუბუქებ, თორემ თუ მოვინდომე, დევივით გავიზრდები!

— მაშ, ცოტათი მაინც გაიზარდე! — დაცინვით სოხოვს ვირთხა.  
ბაციკუკუ ძირს ჩამოხტა, ვირთხას თვალებზე ლუპა ააფარა.

— აბა, შემომხედე!

ვირთხამ შემოხედა და გაოცდა. ეს ერთი ციცქნა ბაციკუკუ კიდეც გასქელდა და კიდეც გაიზარდა, იმოდენაა, გვირაბში ვერ ეტევა.

ელდა ეცა ვირთხას, სასწრაფოდ შესთხოვა:

— მჯერა, ბატონო შიკრიკო, გემუღარები, მეტს ნუ გაიზრდები!

ბაციკუკუ კვლავ ამხედრდა სულელ ვირთხაზე, დეზი ჰკრა და სიბნელეში გააჭენა...

## 9. ბაციკუკუ პანოს ემშვიდობება

თვალის დახამხამება და მგზავრები ჯაჯულეთის კარებთან აღ-  
მოჩნდნენ. ბაციკუკუ უნაგირიდან ჩამოხტა და ვირთხას მიმართა:

— თვალებში ახლაც გეპატარავები?

ვირთხას მართლაც პატარად მოეჩვენა თავისი მგზავრი, ოლონდ  
ბედის მეორეჯერ გამოცდა არ ინება, შებრუნდა და ტყაპატყუპით  
მოუსვა.

— ოჂ, ძვირფასო ბაციკუკუ! — ჯიბიდან თავი ამოყო პანომ. —  
იმ რაშის გახსენებაზე გული შიშისაგან მიმდის. ისევ დავრწმუნდი,  
როგორი უშიშარი ყოფილხარ!

— ძალიან ნუ შემაქებ, ჩემო პანო, თორემ გავწითლდები! — ბა-  
ციკუკუმ თავი მორცხვად დახარა, თან სერთუკის ღილს აწვალებდა.

— მეტად თავმდაბალი ვაჟუკაცი ბრძანდები! — ალერსით წაიჩუ-  
რულა პანომ.

ბაციკუკუმ ჯიბიდან ფრთხილად ამოიყვანა პანაწკინტელა ქალ-  
ბატონი, ხელისგულზე დაისვა. პანომ კაბის კალთები გაისწორა.  
ამანაც დაიმორცხვა და წამნამები ძირს დაუშვა, მაგრამ გოგონას  
ამ სიმორცხვეს ბაციკუკუ ლუპაში თუ დაინახავდა. ლუპას კი ბა-  
ციკუკუს თვალიდან ჩამოვარდნილი კურცხალი დაეცა, გამოსახ-  
ულება გაიდლაბნა.

ნეტა გული რამ მოუკლა მამაც ბაციკუკუს?

— ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, პანო! — ამოიოხრა ბაციკუ-  
კუმ. — აქედან გზა უკვე იცი! წადი, ნიავს გაჟყევი, ვაჩნაძეებს უა-

ბე, რაც გადაგვხდა! შინ ეძებეთ „მზის ნიუარა“! მე კი ჯაჯულეთში  
შევალ!

— ვერ დაგტოვებ, ბაციკუკუ! — ატირდა პანო.

— ორივენი აქ რომ ჩავრჩეთ, იქ „მზის ნიუარასაც“ მოიპარავენ  
და თაისასაც! — თქვა ბაციკუკუმ. — ჩემზე ნუ იდარდებ, მე ისეთი  
კერკეტი კაკალი ვარ, ვერავინ მომერევა!

ხელი გაიშვირა ბაციკუკუმ იქითკენ, საითკენაც ჩუმი ნიავი  
მოძრაობდა.

— ოჂ, ბაციკუკუ! — ამოიოხრა პანომ.

— ოჂ, პანო! — ჩაიჩურჩულა ბაციკუკუმ.

ნიავმა პანო აიტაცა, ააფარფატა და გასასვლელისაკენ წაილო.  
სინათლეზე რომ გააღნია, მზის სხივებზე გაირბინა, ქალაქის  
თავზე.

— პატიმარი გაქცეულა! — დაიბუბუნა ციხემ და გისოსებიანი  
სარკმლები მოაბრუნა.

— ვინ გაქცეულა?.. ვინ გაქცეულა?.. — იკითხა ჯერ თეატრმა,  
მერე რატუშამ. ორივენი ძილ-ბურანში იყვნენ და ვერაფერი გაიგ-  
ეს.

ქალაქის ახალმა თავმა ფანჯარაში გამოიხედა. თუ მიხვდებით,  
ვინ ჩაბრძანდა ქალაქის თავის საპატიო სავარძელში? ფიზკულ-  
ტურის მასწავლებელი ოხოხო მესამეჯერ მოიტაცეს კაცვირთხებ-  
მა და სანუკვარი ოცნება აღუსრულეს — ქალაქის თავად დასვეს.  
ნოტარიუს კოკოსაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამას უძილობა  
სჭირდა. რატუშას ეძინა, ქალაქს ეძინა, ოხოხო კი მხოლოდ ამთქ-  
ნარებდა. ახლაც დაამთქნარა და პანოს შეეშინდა, არ გადამყა-  
პოს.

სწრაფად გაშორდა იქაურობას...

## 10. ბაციკუკუ და უმეგობრდა პიპიკის

— ჟეი, არ დაგეჯახო!

ბაციკუკუ განზე გახტა. თვალიც ვერ შეასწრო, ისე ჩაუქროლა  
ვილაცამ, მაგრამ შორიახლო დამუხხუჭა, უკან-უკან დაიხია და  
გაჩერდა.

გაფშეკილ ცოცხზე შემჯდარი პატარა კუდიანი იყო.

— შენ ვინ ხარ? — ჰკითხა კუდიანმა.

— თვითონ ვინა ბრძანდები? — ამაყად გაიფხორა ბაციკუკუ.  
— პიპიპი, კუდიანებში ყველაზე პატარა! — მხიარულად ჩაიკისა კუდიანმა.  
— მე კი ბაციკუკუ ვარ, სამმა ჯადოქარმა შიკრიკად გამომაგზავნა დიდ ჯაჯუსთან!  
— მომიჯექი, წამში მიგიყვან!  
ბაციკუკუ ცოცხზე შემოუჯდა პიპიპის, გაჩხინკულ წელზე ხელი მოხვია.  
— აბა, ჰე! — შეპკივლა პიპიპიმ და გააქროლა.  
წუთიც და დარბაზთან აღმოჩნდნენ.  
— ჩამოდი! — წასჩურჩულა პიპიპიმ. — მე ვერ დავენახვები. გაკვეთილიდან გავეპარე. ამასწინათ დამემუქრა, თუ კიდევ გამიცდენ, ჯადოქრების სკოლიდან გაგრიცხავო.  
— ძნელია იქ სწავლა?  
— არც ისე! — უდარდელად ჩაიკისკისა პიპიპიმ. — ნამცხვრის გამოცხობა, ჯემისა და მურაბის გაკეთება, კომპოტის მოხარშვა უკვე ვისწავლე! ცოცხის მართვის უფლება ჯიბეში მიღევს... ახლა ისეთ რაღაცას მასწავლიან, თავში სრული დომხალი მაქვს. ეს დააპატარავეო, ის გაზარდეო, ეს გააუჩინარეო, ის კვლავ გამოაჩინეო, ფიჭ, სულაც არ მაინტერესებს!  
— ასე მართლაც გაგაგდებენ სკოლიდან! — შეწუხდა ბაციკუკუ.  
— პიპიპი, კუდიანებიდან თუ გაგრიცხეს, გოგო თაიას სკოლაში მიგილებთ!  
— ბაციკუკუ, შენ კარგი მეგობარი ჩანხარ! — გაუხარდა პიპიპის. — ჩვენ, კუდიანები არავის ვუყვარვარო, დაგვინახავენ და ქვებს გვესვრიან!  
— მე ვიქნები შენი მეგობარი! — მარჯვენა გაუწოდა ბაციკუკუმ და პიპიპიმაც თავისი პატარა, გაძვალტყავებული ხელი შეაგება.  
— თუ დაგჭირდი, მახსენე და იქ გავჩნდები! — შესძახა პიპიპიმ, მოახტა ცოცხს და სიბნელეში გაუჩინარდა...

## 11. საუბარი დიდ ჯაჯუსთან

უზარმაზარ მაგიდას უზარმაზარ სკამებზე უზარმაზარი ცოლი და ქმარი უსხდნენ.

ქალბატონი ჯაჯულია მოკლე დროში იმოდენა გაზრდილიყო, კანში ვერ ეტეოდა. საჭმელს ლუკმა-ლუკმა როდი მიირთმევდა, კუდიანების მთელი ლაშქარი ხონჩებით პირდაპირ პირში აყრიდა.

მეუღლის პირისპირ ოთხად მოკეცილი იჯდა დიდი ჯაჯუ. წინ პანია თევში ედო და წინილის ფრთას წინკნიდა.

ჯაჯუ-ბიჭი ზევით, საქანელაზე ქანაობდა, ხანდახან მაგიდას გადაუქროლებდა, გადმოიხრებოდა და, რაც მოეწონებოდა, აიტაცებდა. ღმეჭა-ღმეჭით ილუკმებოდა, ძვლებს კი აქეთ-იქით ისროდა და თუ რომელიმე კუდიანს მოარტყამდა, სიცილით იჭაჭებოდა.

— დიდ ჯაჯუ! — ასძახა ბაციკუკუმ, მაგრამ ჯაჯულია ზუსტად ამ დროს შემწვარი ვარიას ძვლებს ტკვერავდა და ბაციკუკუს ხმა ვერავინ გაიგონა.

ხან აქედან უარა ბაციკუკუმ მაგიდას, ხან იქიდან, ვერსაიდან მიუდგა.

იფიქრა, იფიქრა და ბოლოს „გონება გაუნათდა“, კუდიანმარომ ხონჩა ჩამოატარა, ზედ შეახტა.

ხონჩა, ცხადია, მაგიდაზე აარბენინეს და ჯაჯულიას პირისაკენ გააქანეს.

ბაციკუკუმ თავს უშველა, ხონჩიდან გადმოხტა, ამ დროს ლიმონათის ჭიქა წააქცია, და შუშუნა ნაკადს ძლივს გაასწრო.

— ბოშო, გამექცა მგონია შემწვარი ვარია! — გაუკვირდა ჯაჯულიას, პუტკუნა ხელი გაიშვირა, მაგრამ გაქცეულს ვერ მისწვდა.

ბაციკუკუ მწვანილის ზვინში გაძვრა, ნამცხვრის კრემზე ფეხი დაუცდა და გასლიპინდა, ლავაშებს შორის გზა ძლივს გაიკვლია. მწნილმა თავპრუ დაახვია და შიგ კინალამ ჩაიხრჩო. მწვანე წინაკის სიმწარემ ტანსაცმელში გაატანა, ხახვმა კი ცრემლი გადმოაყრევინა... ცოტა ხნით ყურძნის მტევანში შეიმალა, სული მოითქვა, წვენი მოწრუპა, მერე ვაშლსა და მსხალს შორის გვერდულად გაეტია. საზამთროს თესლზე კვლავ გასრიალდა... დაბოლოს, დალლილმა და აქოშინებულმა დიდი ჯაჯუს თევშამდე ძლივს მიალწია.

დიდმა ჯაჯუმ წინილის ფრთას პანია ხორცი მოანინება, თევში კიდეზე დაუდო:

— მიირთვი!

ბაციკუკუს მართლაც მოშიებოდა, სული მოიპრუნა და მერე თქვა:

— დიდო ჯაჯუ, შენთან გამომაგზავნეს არქივარიუსმა ბუჭმა, მამა ბუჭპეტმა და პაპა ბუჭპეტმა!

ჯაჯულიას ლუკმა კინალამ გადასცდა. დიდი ჯაჯუ მოეშვა წინილის ფრთას. მხოლოდ ჯაჯუ-ბიჭი ქანაობდა უდარდელად თავის საქანელაზე.

ბაციკუუმ ჯიბიდან ბეჭედი ამოილო და თეფშის კიდეზე დადო.

— შემოგითვალეს, ვაჩაძეების გვარისანი ჯადოქრების სკოლაში არავინ მიიღოთო! — მერე ეშმაკურად დაუმატა: — ამის შემოწმება კი მე დამავალეს!

— ვემორჩილები უდიადეს ჯადოქრებს! — ჩაიკიკინა დიდმა ჯაჯუმ. — აქედან, შიკრიკო, ჩემი კარის მოხელეს გაგაყოლებ!

დიდმა ჯაჯუმ შიკრიკი ძირს გადმოსვა და მოხელეს გასძახა:

— მირანდოლა!

ბნელი კუთხიდან მირანდოლა გამოცუნცულდა...

## 12. ფისომირანდოლას ჩივილი

ალბათ იფიქრეთ, ბაციკუუმ იცნო ფისო მირანდოლა და გული შეულონდაო. ნურას უკაცრავად, ფისო მირანდოლას მშობელი დედა ვერ იცნობდა. მხოლოდ კუდი შერჩენოდა ადრინდები, დიდი და ფუმფულა, ტანით კი საშუალო ზომის თაგვს ვერ ასცილდებოდა. აბა, მხოლოდ ფუმფულა კუდი რა ბედენაა! საბრალო მირანდოლას კუდი მუდამ კარში ეჭეჭყებოდა, რადგან, ტანის სიპატარავის გამო, გასწრებას ვერ ახერხებდა. თანაც მეტი უბედურება რა იქნება, ვინმე თუ დასჯას მოუნდომებდა, კუდში ჩავლებდა ხელს და კედელს მიახლიდა.

ამიტომაც ვერ იცნო ბაციკუუმ ფისო მირანდოლა. სამაგიეროდ, ფისომ უმალ იცნო ჯადოქრების შიკრიკი, არც ის დავიწყებია, როგორ მოისროლეს თეატრის სცენიდან, მაგრამ ზედმეტი არაფერი წამოსცდენია, პირიქით, ალერსით აკრუტუნდა:

— მიაუ, წამოპრძანდი სტუმარო!

ფისო და ბაციკუუმ კარისაკენ დაიძრნენ. ამ დროს „ტრახ!“ და ბაციკუუმს ზურგზე გამოხრული ძვალი მოხვდა. ემწარა. ტკივილით ხომ ეტკინა, თან კინალამ წაიქცა. ოინბაზი ჯაჯუ-ბიჭი საქანელაზე სიცილისაგან ჩაბჟირდა. ბაციკუუმდასტაცა ძვალს ხელი და უკანვე გაუქანა. „ტრახ!“ და ჯაჯუ-ბიჭს უპე ამოებუშტა. აღრი-

ალდა ჯაჯუ-ბიჭი, ცრემლი ჰყარა. დიდმა ჯაჯუმ და ჯაჯულიამ შეილს შეხედეს, მაგრამ ვერაფერს მიხვდნენ. ფისო მირანდოლა და ბაციკუუმ დარბაზიდან გასხლტნენ.

— მიაუ, გაბედულმა სტუმარმა ვეღარ მიცნო? — ნაზად იკითხა ფისომ.

— სახელი მეცნობა, მაგრამ ასეთი პატარა ტანის, კუდფათქუნა ფისო არასოდეს მინახავს! — უთხრა ბაციკუუმ.

— თაიას ფისო ვარ, — შესაბრალისად დაიკანავლა მირანდოლამ, — ეჱ, რა ცხოვრება მქონდა! მართა ბებო ნუგბარ-ნუგბარ ლუკმებს მირჩევდა, ელპიტე ქაფქაფა რძეს მიწილადებდა, გოგო თაია მეფერებოდა, ბომბო მიცავდა...

— ასე ვინ დაგაპატარავა? — გაკვირვებით იკითხა ბაციკუუმ.

— ჯაჯუ-ბიჭმა! — ამოიხხრა მირანდოლამ. — ზარმაცზე ზარმაცი ბავშვია. ჯადოქრების სკოლაში გაკვეთილი ბოლომდე არ ისნავლა. დაპატარავებას ასწავლიდნენ და, რაკი მხოლოდ სანახევროდ იცის, ტანი დამიპატარავა, კუდი კი ადრინდელი შემრჩა. ზრდის წესი არ იცის, ჯერ არ გაგვივლიაო... ჰოდა, დავრჩი ასე!

— ეჱ, საბრალო ფისო! — თავზე ხელი გადაუსვა ბაციკუუმ. — ღალატის გამო ისჯები! ეცადე, დამეხმარო! ამით დანაშაულს გამოისყიდი და, ვინ იცის, იქნებ საკუთარ ქურქსაც დაუბრუნდე!

— მიმსახურე, სტუმარო! — ჩაიკრუტუნა ფისო მირანდოლამ. — აგერ სკოლამდე მივაღწიეთ!

## 13. გაუჩინარების გაკვეთილი

— სკოლა?.. აბა, სად არის სკოლა?

ირგვლივ არაფერი ჩანს. სამაგიეროდ ხმები ისმის — კისკისი, ჭყიპინი, ხვიხვინი...

ფისო მირანდოლა სადაც იდგა, იქ აორთქლდა. ბაციკუუმ იგრძნო, რომ თვითონაც აღარ არის. რანაირად? დახედა და არსადა მისი მოკლე მელავები და კოტიტა თითები, არსადა ჩანს მისი საყვარელი ღიპი და ღონიერი ფეხები, მოკლედ, ტანზე დაიხედა და მიხვდა, რომ აღარ არის.

— ფისო, სადა ხარ? — იკითხა ბაციკუუმ.

— თვითონ სადა ხარ? — კითხვა შეუბრუნა ფისო მირანდოლამ.

— სადაც ვიდექი, იქა ვარ!

— მეც იქა ვარ, სადაც ვიდექი!

უფრო ახმაურდნენ უჩინარი არსებანი, ვერ გაიგებ, ჩხავიან თუ  
სიცილით სკელებიან.

ვიღაცამ მკაცრად ბრძანა:

— დაწყნარდით!

იკლო ხმაურმა, ხმამ კი განაგრძო:

— ჩვენ ვისნავლეთ გაუჩინარება! ახლა გადაშალეთ ხუთას ორ-  
მოცდამეთერთმეტე გვერდი და ამოიკითხეთ ხერხი, რომლის  
დახმარებითაც კვლავ გამოვჩინდებით!

მოისმა ფურცლების შრიალი, რასაც ზუზუნი მოჰყვა:

— იმისათვის, რომ... იმისათვის, რომ გაუჩინარებული კვლავ  
გამოჩინდეს... საჭიროა... საჭიროა...

ალბათ ანაბანა ყველას თანაბრად არ ეხერხებოდა, უჩინარმა  
მასნავლებელმა მკაცრად შეუძახა:

— ჩუმად წაიკითხეთ! ვინც სწორად წაიკითხავს, გამოჩინდება,  
ვინც ვერა, უჩინარობით დაისჯება!

თითქოს სიმს ჩამოჰკრესო, დაიუღრიალა და აგერ, ორ წაბიჯზე  
მაგიდა და სკამი აღმოცენდა. მაგიდასთან პატიკო მასნავლებელი  
დგას, ხელში საჩვენებელი ჯოხი უჭირავს.

დააკვირდა ბაციკუკუ, თითქოს პატიკოა და არც არის პატიკო,  
ცხვირ-პირი ვირთხასავით წაგრძელებია.

„ეგრე იოლად ვერ მომატყუებთ!“ — გაიფიქრა ბაციკუკუმ.

ცრუპატიკომ ჯოხი მაგიდაზე დააკაკუნა. ხან ერთგან, ხან მერ-  
რეგან მერხები ამოიზარდა. პატარა ჭინკა-მაიმუნები უსხდნენ და  
იჭყანებოდნენ.

— ყოჩალ, ვატყობ, ყველამ სწრაფად წაიკითხა! — შეაქო ცრუ-  
პატიკომ.

უჩინარმა ფისომ დაიკნავლა და ხმამალლა გამოაცხადა:

— მიაუ, სამი ჯადოქრის შიკრიკი მობრძანდა!

— მეტად განსნავლული მასნავლებელი იმედია დამიბრუნებს,  
რაც მეკუთვნის! — აუღელვებლად დაუმატა ბაციკუკუმ.

ცრუპატიკომ ვირთხის სახე მოაბრუნა, კბილები პირმოთნედ  
გამოაფინა, თავი დახარა და უმალ ფისოც გამოჩინდა და ბაციკუ-  
კუც. მერე ჭინკა-მაიმუნებს მიუბრუნდა და ჩაიწრიპინა:

— ბავშვებო, მივესალმოთ სტუმრებს!

— უუუ! ააა! იიი! — აჭაჭყანდნენ ჭინკა-მაიმუნები და მერხე-  
ბზე მხიარულად ყირა გაჭიმეს.

ამ დროს შემოჭენდა ჯაჯუ-ბიჭი. ახალთახალ ველოცოცხეზე გა-  
დამჯდარიყო. გასიებულ თვალზე მეკობრესავით შავი სახვევი გა-  
ეკეთებინა. თითო ბაციკუკუსაკენ გაიშვირა და ბრაზით დაიყვირა:

— ამან გაბედა და თვალში მომარტყა!

ფისო მირანდოლა უმალვე გაიძურნა.

ცრუპატიკომ ბაციკუკუს მხარზე ჯოხი დაადო და სახელგა-  
ნთქმული დეტექტივი ბოლო მერხზე აღმოჩნდა... თუმცა სურვილი  
ოდნავადაც არ ჰქონია, სხვებივით ყირა გაჭიმა და შესჭიხვინა:

— უუუ! ააა! იიი!

მიხვდა ბაციკუკუ, ჭინკა-მაიმუნად გადააქციეს და ამიერიდან  
ჭინკამაიმუნურად უნდა ეცხოვრა...

## თვე Ⅶ/. შემოსუება

### 1. ლოდინი

— დღეს პარადია! — გამოაცხადა ტელევიზორმა.

დიქტორი საოცრად შეიცვალა. ცხვირპირი ვირთხას მიუჟავს. წვრილი თვალები ბოროტად უელავს. სიტყვებს წრიპინით გამოსცემს.

— ხმა მთლად გაუფუჭდა! — ჩაიბუზღუნა მართა ბებომ.

— ტელედიქტორი კი არა, ტელევირთხაა! — უკმაყოფილოდ დაასკვნა ძროხა ელპიტემ.

კმაყოფილი რატომ იქნება? საკუთარ ბოსელში თივა და ჩალა გემოზე ვერ ჩაუხრამუნებია. განოლილა ბუხრისპირას და სათლი-დან უგემურ ჩაის ხვრებს.

— ყველაფერს ვირთხის სუნი უდის, სახლსაც კი! — ვერ ისვენებს ელპიტე.

სახლი დუმს, გაჭირვებას მოთმინებით იტანს. გრძნობს, იატაკ-ქვეპ ვირთხები კოჭებს უხრავენ. ღამლამობით კუდიანები სახურ-ავზე ტაშ-ფანდურს მართავენ... ღობისმიღმა ტევრიდან ჭინკა-მა-იმუნები იჭყიტებიან, ტურებივით ხავიან. ეზოში შემოსვლას ვერ ბეჭავენ, რადგან ძალლი ბომბო დასუნსულებს სახლის ირგვლივ, ავად იღრინება...

თაია მოწყენილია. ძნელია წყნარად იჯდე ბუხართან, იგონებდე ვაჩე მამიკოს, მზისია დედიკოს, ჩოჩორ ბენტოსა და ბაციკუკუს... მამაცი დეტექტივის იმედილა შერჩენია, იმას ელოდება, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ისმის...

— კაკ-კუკ! — ვიღაცა ფანჯარაზე აკაკუნებს.

ბომბოს ყეფა არ ისმის. ნუთუ ბომბომ მომხდური ვერ შენიშნა?

— ვიღაც გვესტუმრა! — მართა ბებომ ყური მიუგდო.

— ვიღაც გვესტუმრა! — ელპიტემ შიშნეულად ჩაიზმუილა.

თაია შეფრთხიალდა, ფანჯარასთან მირბის.

— კაკ-კუკ! — სარკმელს პანაწკინტელა პანო ეხლება.

თაია სარკმელს ალებს, ხელს უწვდის.

პანო ხელისგულზე ჩამოჯდება.

— ვინ არის? — მართა ბებო სათვალეს მოიმარჯვებს, მაგრამ სტუმარს მაინც ვერ ხედავს.

ძროხა ელპიტე თანაგრძნობით აქნევს თავს:

— საბრალო გოგონავ, ასე რამ დაგაპატარავა, ოჯახში რძე და თივა არა გქონდათ?

პანო ძროხას ყურს არ უგდებს. თაიას უყვება მიწისქვეშეთის საოცარ და დაუჯერებელ ამბებს...

### 2. დღეს პარადი

— დღეს პარადია! — კვლავ გაიმეორა ტელევიზორმა.

ტელევირთხამ კბილები გამოაჩინა, თითქოს ღიმილ-ღიმილ მსმენელთა შეჭმას აპირებსო.

— წადიგაიგეს მოქალაქეებს, — განაცხადა ტელევირთხამ, — რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს ქალაქის ახალ თავს ოხოხოს, უფლება ენიჭებათ ტელეეკრანის მეშვეობით თვალი ადევნონ პარადის მსვლელობას!

თეატრალური მოედანი... თეატრის შენობის ფრონტონზე სიცი-ლისა და ტირილის ნილბები ისე ჯლანაობენ, ვერ გაიგებ სიცილია თუ ტირილი... არქივის ჩაბრმავებული შენობის თავზე ციხის ფხი-ზელი სარკმლები იმზირებიან... რატუშა ყოჩალი ჯარისკაციით გამართული დგას.

რატუშის კიბეზე გამოჩნდა ქალაქის თავი ოხოხო. იგი მეტად უჩვეულოდა შემოსილი. ფეხებზე დადებული ბორკილი სიარულს სულაც არ უშლის, პირიქით, სასამოვნოდ ჩხარუნებს. ტანზე მა-ჯისსიმსხო თოკი აცვია. რანაირადო? მხრიდან წელამდე მჭიდრო-და აქვს შემოხვეული, რა თქმა უნდა მკლავებიც შიგა აქვს მოყო-ლილი. თოკის ბოლო ჭიპთან ლამაზადაა განასკვული. ასე რომ, ქალაქის თავს ოხოხოს სიარულიც შეუძლია და თუ მოენატრა, თავის აქეთ-იქით მიბრუნებაც.

— იმედია, ეს მოხდენილი მოდა სწრაფად გავრცელდება წადი-გაიგეში! — შეანია ტელევირთხამ.

რატუშის ნინ სახელდახელო ტრიბუნა დაუდგამთ. ირგვლივ შაშანიანი კაცვირთხების საპატიო ყარაული დგას.

ოხოხომ ბორკილის ჩხარუნით ტრიბუნაზე ააღნია, გადახედა მოედანს და სიხარულით ამოიხერა:

— ოხ-ოხ-ო!..

არქივის მხრიდან ქალბატონი ჯაჯულია გამოგოგმანდა. ფეხდაფეხ დიდი ჯაჯუ მოყანყალებდა.

ქალბატონი ჯაჯულია ტრიბუნაზე შედგა. ტრიბუნა უმაღ გადაყირავდა, მაგრამ მეორე მხარეს დიდმა ჯაჯუმ აასწრო და გაანონასწორა. ოხოხო ჯერ ქალბატონ ჯაჯულიას მიასკდა, მერე დიდ ჯაჯუს, მერე მათ შორის ჩაიჭყლიტა და სული ძლივს მოიბრუნა.

— ოხ-ოხ-ო! — აქაოდა, რა ბეღნიერ დღეში ვარო.

დასცხო ციხის საგანგებო ორკესტრმა. ატყდა ჟღრიალი, რახ-რახი, რეკვა და წკარუნი...

ამას მოჰყვა ქვაფენილზე შიშველი თათების ტყაპუნი. კაცვირთხების რუხმა არმიამ დაფარა თეატრალური მოედანი. ყველას ერთნაირად წამახული ცხვირი აქვს, ალესილი კბილები, წვრილი, ბოროტი თვალები...

— ოხ! — ამოიკვნესა ოხოხომ, ვითომდა მთელი ცხოვრება ასეთ თავისუფლებაზე ვოცნებობდიო.

— ბოშო, ესაა ჩვენი ჯარი? — გაიხარა ჯაჯულიამ.

— გაუმარჯოს! — ჩაიკიკინა დიდმა ჯაჯუმ.

— ახლა ვიხილავთ ჩვენს მამაც მფრინავებს! — გამოაცხადა ტელევირთხამ.

ველოცოცხებზე ამხედრებული უთვალავი კუდიანი საშინელი წივილ-კივილით გამოცვიდა საიდანლაც და თეატრალური მოედანი წამში ჩამოაბნელეს. კუდიანებს უკან ჭინკა-მაიმუნები ესხდნენ და ხმის სიმებს იგლეჯდნენ.

— უჰ, თავი ამატკიეს! — თქვა მართა ბებომ.

— გამოვრთოთ ეს ტელევიზორი, ყურთასმენა წაილო! — აბუზ-ლუნდა ძროხა ელპიტე.

თაიამ თითო ლილაკს მიადო.

— ვინც გამომრთავს, მოლალატეა! — მოასწრო ტელევიზორმა და ჩაქრა...

### 3. „მზის ნიშარა“

— მართა ბებო! თუ გახსოვს, ჩვენს სახლში ნიუარა გვქონდა? — ჰკითხა თაიამ.

— ნიუარა? — მართა ბებო ჩაფიქრდა. — ადრე გვქონდა! დედაშენმა მზისიამ მოიტანა ინსტიტუტიდან. კარგა ხანს იდო მაგიდაზე.

— მე არ მახსოვს! — ჩაიდუდუნა მაგიდამ.

— მერე ბუხრის თავზე შემოვდევით! — განაგრძო მართა ბებომ.

— ჰო, შუბლი დამიმშვენეს! — ჩაიცინა ბუხარმა. — ლურჯად ბრწყინვავდა და მზისია დიასახლისი ხუმრობდა, ჩვენი ბუხარი ცალთვალა დევს დაემსგავსაო...

— უბრალო ნიუარა როდი იყო, ლურჯად ანათებდა, — გაიხსენა მართა ბებომ. — მზისიამ მთხოვა, თვალი ფხიზლად გეჭიროს, ვინ-მემ არ მოგვპაროსო... ვის უნდა მოეპარა?

— ერთხელ ქურდი შემომეპარა! — ამოიხვნეშა სახლმა.

— მე კი განგაში ავტეხე! — ატიკტიკდა საათი. — დავაწკარუნე და დავაწკარუნე ზარი... ტინლინ-ტინ...

— ამოვიქშინე და თვალებში ნაცარი შევაყარე! — დაიკვეხა ბუხარმა.

— მე კი ნიუარა გადავმალე! — ნამოსცდა კუთხის კარადას.

— ჰო, მართლა, გამახსენდა! — შუბლზე ხელი იტკიცა მართა ბებომ. — არ მოგვპარონ-მეთქი და კარადაში შევინახე!

— რაც ჩემშია, ის ჩემია! — კარადამ უჯრები ჩაიკეტა.

— რაც კარადაშია, ყველაფერი ჩემია! — გასაღები მოარგო მართა ბებომ. — ეს სულელი კარადაც ჩემია და თუ ვერ გაილო, გავტეხოთ!

— აგერა ვარ! — სამზარეულოდან დაიძახა ხორცის საკეპმა ნაჯახმა.

— ნაჯახი რა საჭიროა! — შეშინდა კარადა, კარიც გააღო, ზემო უჯრაც გამოსწია და შუაც, ქვემო კი ვითომ დაავიწყდა.

— ამ უჯრებში არაფერია! — ჩაიხედა მართა ბებომ. — ამათში ჭინჭებს ვინახავ და ყოველდღე ვამოწმებ. ქვედაში კი რამდენი წელია არ ჩამიხედავს!

— ჩამეუანგა და არ მელება! — თავი შეაბრალა კარადამ.

— რა გაეწყობა! საღაა ნაჯახი?

— აბა, მიმიშვით! — მოვარდა ხორცის საკეპი ნაჯახი.

— ნაჯახი რა საჭიროა, თვითონაც გაიღება! — დათმო კარადამ. გაიღო უჯრა და ლურჯმა სინათლემ გამოაბრიალა... მთელი ოთახი სილურჯით აივსო და ფანჯრებიდან ეზოშიც გამოანათა...

#### 4. დიდი ჯაჭუს საშპარიპომბოსთან

— სალამი, ძალლო ბომბო! — დიდი ჯაჭუ მკლავებით ტელე-გრაფის მავთულს ჩამოეყრდნო და ზევიდან დახედა ბომბოს.  
— შენი სალამი არაფრად მჭირდება! — უკმაყოფილოდ ჩაიღრინა ბომბომ. — ხომ გაქვს გრძელი ფეხები, გზაც აგერაა და გაიარე!  
— ზრდილობით ვერ დაიკვეხნი! — ჩაიცინა დიდმა ჯაჭუმ. — რომ იცოდე, ვინცა ვარ, ასე უკმეხად არ დამელაპარაკებოდი!  
— როგორ არ ვიცი? ჯადოქარი ხარ, მაგრამ შენს იქით სხვა ჯა-დოქრებიცაა. სულაც არ მეშინია თქვენი ჯადოქრობისა. გაიარე, თორემ კბილებით შარვლის ტოტს აგაგლეჯ!  
— ოჰ, ოჰ, შიშით გული არ გამიხეოენ! — გამოაჯავრა დიდმა ჯაჭუმ. — გატყობ, პატარა, უჭკუო ძალლი ხარ, მე კი შენთვის სიკეთე მინდოდა!  
— ჰმ, სიკეთე!.. — ყური გააპარტყუნა ბომბომ. — კაი სიკეთეა, ჩემი პატრონი, დიდზე დიდი არტისტი და კეთილზე უფრო კეთილი კაცი თოჯინად გადააქციეთ! მერედა რა კარგად მივლიდა, საუკეთესო ძვალს გადმომიგდებდა! ახლა ისე ვინ მომეფერება?  
— აგერ არა ვარ? გინდა, ჩემი ჯარების მთავარსარდლად დაგნიშნო?!

— ფიე, ვირთხების მთავარსარდლად? — ბომბომ უკანა ფეხებით მიწა მოფხოჭნა და დიდ ჯაჭუს მტვერი მიაყარა.  
— სულელო ძალლო! — ეწყინა დიდ ჯაჭუს. — ცოტა ხანიც და მთელი წადიგაგე ჩვენს ხელთ იქნება. შეგიძლია ძალლებში უპირველესი ძალლი გახდე. სამაგიეროდ ბევრს არაფერსა გთხოვ, ისლა ამისენი, შენი პატრონის ფანჯრიდან ლურჯად რატომ ანათებს?  
— აი, ამიტომ! — ბომბომ პირი დააღო და დიდ ჯაჭუს კანჭზე ეცა. დიდმა ჯაჭუმ აიწია, ტელეგრაფის მავთულზე შედგა და წავიდა.  
ბომბო კარგა ხანს ყეფდა გააფთრებით, თუმცა დიდი ჯაჭუ უკვე შორს იყო...

#### 5. რა ვუყოთ ამ ნიუარას?

თაიამ ნიუარა ფრთხილად აიღო და მაგიდაზე დადო.  
ყველანი ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ.

— რა ვუყოთ ამ ნიუარას? — იკითხა მართა ბებომ.  
— ბაციკუკუ ჩვენთან რომ იყოს, მიხვდებოდა! — თქვა პანომ.  
— აქ ჩვენ დედუქციური მეთოდი უნდა მოვიხმოთ! — თაიამ შუბლზე თითო მიიდო და ჩაფიქრდა.  
— რა? — ყურებს არ დაუჯერა მართა ბებომ.  
— რისი ქციური? — გაკვირვებით დაიზმუილა ძროხა ელპიტემ. პანომ, რაცი ეს სიტყვა არ იცოდა, გაჩუმება არჩია.  
— თქვენ არაფერი იცით! — განაცხადა თაიამ. — დედუქციური მეთოდი... ეს არის... ყველაზე უკეთესი მეთოდი!  
— მერე, მერე? — ეჭვით დაეკითხა მართა ბებომ.  
— დავინციონ შორიდან! — დინჯად გაიარ-გამოიარა თაიამ. — ჯერ ვიკითხოთ, რა არის ნიუარა?  
— ნიუარა ლოკოკინას სახლია! — ძროხა ელპიტეს თავში ჭკუა თავისუფლად და ლალად დანავარდობდა.  
— ნიუარა წყალში ჩნდება! — ახსნა მართა ბებომ. — სხვადასხვა ჭიაღუები საკუთარი ზურგით საკუთარ სახლს დაათრევენ და ეს არის ნიუარა!  
— ეს ჩვენი ნიუარა წყალში გაჩენილსა ჰგავს?.. ან ლოკოკინის სახლს?  
— ა-არა!

ნიუარა ლურჯი შუშისას ჰგავდა, თითქოს გამჭვირვალე იყო, თუმცა კრიალა ზედაპირს ლურჯი შრეები აჩნდა.

— ეს ნიუარა დედიკომ გამოიგონა ინსტიტუტში! — დაასკვნა თაიამ.

— მერე ეს იმ ქციურმა მეთოდმა გითხრა? — დაეკითხა ძროხა ელპიტე.

— არ ვიცი, ვინ გიკარნახა, მაგრამ მართლაც ჩემმა რძალმა გამოიგონა! — მართა ბებოს გული აუჩვილდა და უპე თავსაფრის ბოლოთი ამოიმშრალა.

— ეს პირველი! — ნეკათითი მოკეცა თაიამ. — მეორე, — თაიამ არათითიც მოკეცა, — ჯადოქრებს სურთ ეს ნიუარა ხელთ იგდონ!

— რად უნდათ?

— ლამაზი რომ არის? — ძროხა ელპიტეს ცნობისმოყვარეობა წვავდა.

თაიამ შუათითიც მოკეცა.

— ამ ნიუარას რალაც ძალა აქვს, თანაც ძალიან დიდი! აბა, ჯა-დოქრების მთელი ჯარი რისთვის დაიძვრებოდა ჩვენი ქალაქის დასაპყრობად?

— გადასარევი ჭკვიანი ქციური მეთოდია! — პატივისცემით თქვა ძროხა ელპიტემ.

— მეოთხე, მაგრამ არაუკანასკნელი, — აქ თაიამ საჩვენებელი თითოც მოკეცა, — გარედან რაკი ვერაფერს ვხედავთ, შიგნიდან უნდა მოვინახულოთ!

— გავტეხოთ? — იმედი გაუცრუვდა ელპიტეს.

— ჩემი რძლის ნიუარას არ გაგატეხინებთ! — გადაჭრით თქვა მართა ბებომ.

— კი არ გავტეხოთ, აი, ამ ჩასასვლელიდან უნდა ჩავიდეთ.

ნიუარის ღია პირი უჩვენა თაიამ.

— ჩვე-ენ? — ერთხმად იკითხეს მართა ბებომ და ძროხა ელპიტემ.

— ჩვენ ვერ შევეტევით, მაგრამ პანო?.. — გაელიმა თაიას და მეხუთე, ცერათითიც მოკეცა.

## 6. პანოს უჩვეულო ექსპურსია

— ვინ პანო? — იკითხა მართა ბებომ, სათვალე ცხვირზე გაისწორა და კარგა ხანს ათვალიერა პანანკინტელა გოგონა. — მე კი პეპელა მეგონა!

— პანო ვარ! — მორცხვად თქვა გოგონამ.

— კიდევ კარგი, რომ პეპლები მიყვარს და არას ვავნებ! — მართა ბებოს უნდოდა მოფერებოდა, მაგრამ ვერ გაბედა. — ნიუარაში როგორ ჩავუშვათ, ვაითუ იქ ჩაიკარგოს!

— თუ დავიკარგე, ბაციკუკუს უამბეთ ყველაფერი! — პანომ თითები კაბის კალთას შეახო, მუხლები ლამაზად მოხარა და მეგობრებს ასე გამოემშვიდობა.

ნიუარის შესასვლელთან მოიხედა, გაილიმა, ოლონდ მის ღიმილს ხომ მხოლოდ ლუბით დაინახავდნენ.

თაია მაინც მიხვდა, მიღიმისო, და ხელი დაუქნია.

ნიუარაში კიბე ჩადიოდა. ლურჯი სინათლე იფრქვეოდა ყოველი მხრიდან, ლურჯი ნისლი იბოლქვებოდა.

საფეხურების გარჩევა უჭირდა.

ფრთხილად ჩაჰყვა.

ჯერ მომცრო საკანში მოხვდა. ნისლი შეთხელდა. კედლები გამჭვირვლე აღმოჩნდა და ოთახი კარგად ჩანდა. აგერ მართა ბებო სათვალეს ხან შუბლზე აიწევს, ხან ცხვირზე ჩამოიწევს, ნიუარას ათვალიერებს... თაია გატრუნული დასცქერის... ძროხა ელპიტეს პირი დაუღია, იქნებ ზმუის კიდეც, მაგრამ ხმა აქამდე ვერ აღწევს... უფრო შორს ჩანს კუთხის კარადა, ბუხარი იყურება ცნობის-მოყვარედ, კედლის საათს ბეჯითად მიაქვს თავისი ორი ისარი... ფანჯრებიდან დღლი იყურება, თითქოს კითხულობს, აქ რა ხდებაო...

პანომ გზა განაგრძო და მომრგვალებულ დარბაზში აღმოჩნდა. ნინ ფართო ეკრანია, ეკრანის ქვეშ ფერადი ნათურების წყება, სხვა-დასხვა ღილაკი ნაირ-ნაირი წარწერებით... იქვე სამი სავარძელი დგას... შუათანას აწერია: „თაია ვაჩნაძე, კომანდორი“.

კედლების გასწრივ სავარძლებია ჩამწკრივებული. ზედ სახელები აწერია და პანო დამარცვლით კითხულობს: „ვაჩე ვაჩნაძე, მსახიობი“, „მზისია ვაჩნაძე, მეცნიერი“, „მართა ვაჩნაძე, დიასახლისი“...

დიახ, ეს უბრალო ნიუარა როდია, ეს არის ხომალდი — „მზის ნიუარა“! იმთავითვე, გამოგონებისთანავე მზისია ვაჩნაძემ ხომალდის კომანდორად თაია დანიშნა!

პანომ ისე გაიხარა, თავბრუ დაესხა. სასწრაფოდ გაბრუნდა, დარბაზი გადაჭრა, გამჭვირვალე საკანიც, კიბის საფეხურებზე აბაკუნდა და მაგიდაზე გადმოხტა. სული მოითქვა და თქვა:

— ესა „მზის ნიუარა“!

— ბოლოს და ბოლოს რას ნიშნავს „მზის ნიუარა“? — იკითხა მართა ბებომ.

— „მზის ნიუარა“ ხომალდია. შიგნით მართვის პულტია და კაიუტები ყველასათვის — ვაჩე მამიკოსათვის, მართა ბებოსათვის, თაიასათვის... ყველა ჩვენთაგანისათვის... ოლონდ არ ვიცი, თქვენ როგორ ჩაეტევით!

ერთმანეთს გადახედეს.

— ტვინი ამიდულდა! — შუბლზე ხელისგულები მიიჭირა თაიამ. — აქ დედუქციური მეთოდიც არაფერს გვიშველის, ერთ საიდუმლოს ამოხსნი და იქვე მეორე გამოჩნდება!

სწორედ ამ დროს ძალმა ბომბომ შეჰყეფა და კარზე დააკაკუნეს...

## 7. არქივარიუსიგვესტუმრა

— ჩქარა გამიღეთ! — დაიჭყივლა ვილაცამ.  
— გავუღო ამ ცხვირპაჭუას? — იკითხა კარმა.  
თაია მივარდა და გამოალო.  
პატარა ჯადოქარი პიპიპი იყო.  
— ბომბო ჩააჩუმეთ, აქ მობრძანდება არქივარიუსი ბუჟი! —  
სწრაფად ჩაარაკრაკა და ცოცხით ზევით აფრინდა, სახურავის კი-  
დეზე ჩამოსკუპდა.  
— ბომბო, გაჩუმდი! — გაუწყრა თაია.  
ბომბომ უკმაყოფილოდ ჩაიწკმუტუნა, არ დამიჯერებთ და მერე  
ინანებთო.  
რაღაცამ გაიშხუილა და აივანს დაასკდა. თვალის დახამხამე-  
ბაში იმ აღილას არქივარიუსი ბუჟი ამოიზარდა.  
— მივესალმები შესანიშნავ გოგო თაიას!  
— მეც მივესალმები არქივარიუს ბუჟს! — დინჯად და უშიშრად  
უპასუხა თაიამ.  
— ფანჯრიდან ლურჯი სინათლე გამოდის, მინდა გავიგო, რა  
ანათებს!  
— რაც ანათებს, მაგიდაზე გვიდევს!  
— გოგო თაია, რას ითხოვ იმის საფასურად, რაც მაგიდაზე გი-  
დევთ?  
— მამაჩემს ვაჩეს!  
არქივარიუსმა ბუჟმა თითები გაატკაცუნა. სახურავის კიდიდან  
პატარა ჯადოქარი პიპიპი ჩამოკოტრიალდა.  
— გავარდი და ვაჩე ვაჩნაძის თოჯინა მომიტანე!  
პიპიპი ცოცხზე მოხერხებულად შეჯდა და ტყვიასავით გავა-  
რდა.  
წუთიც არ გასულა, თოჯინა მოაქროლა.  
არქივარიუსმა ბუჟმა წვერიდან პენვი ამოიგლიჯა, თითზე დაიხ-  
ვია, რაღაც ჩაიჩურჩულა. ბეწვს ცეცხლი წაეკიდა და დაიღერფლა.  
თოჯინამ თვალი გაახილა, გაიზმორა და თქვა:  
— უჟ, რამდენი მძინებია!

ამ ზმორებაში გაიზარდა კიდეც. თაია მივარდა და ჩაეხუტა.  
არქივარიუსმა ბუჟმა დრო იხელთა, კარში შევარდა და ლურ-  
ჯად მოელვარე ნიუარას დააცხრა... დააცხრა და მოზიდა, მოზიდა,  
მაგრამ მაგიდას ვერ მოსწყვიტა.

— გოგო თაია, მომეცი! — დაიძახა გაბრაზებულმა.  
თაიას გაეცინა.  
ვაჩე მამიკომ ოთახში შეიხედა.  
— ეს ვინ არის?! — მრისხანედ დაიყვირა და არქივარიუს ბუჟს  
წვერში სწვდა.

არქივარიუსი დიდი ჯადოქარი იყო, მაგრამ ვაჩე ისე ექაჩებო-  
და, ისე ანჯლრევდა, ბუჟმა ვერც ბენვი ამოიგლიჯა, ვერც შეულო-  
ცა, ვერც საჩვენებელი თითი დაუმიზნა, და ამიტომ ტყვიაც ვერ  
დაახალა.

— მოსცხეთ მაგას! — მართა ბებომ იატაკის ჯოხს დაავლო ხელი.  
ძროხა ელპიტე სარქენად გაემზადა. ბუხრის კუთხიდან ჩხუბისთავი  
აქანდაზი გამოვარდა. მაგიდამ ითხივე ფეხზე ცხენივით დაიწყო  
სტუნაობა.

არქივარიუსმა ბუჟმა ამდენს ვერ გაუძლო და თავს უშველა.  
ეზოში ძალლი ბომბო გაედევნა და ამანაც გაჲკრა კბილი.  
გამწარებულმა ბუჟმა ქუჩის ბოლოდან მოიხედა, საჩვენებელი  
თითი დაუმიზნა, „ბუჟ!“ — შესძახა და გაისროლა.

ტყვიამ სახურავი გახვრიტა. სახლმა უნებდლიერ ამოიკვნესა.  
ვაჩნაძეებს ეს გასროლა არც გაუგონიათ. მართა ბებო კოცნი-  
და შვილს, თაია კოცნიდა მამიკოს, ბომბო მხიარულად აბათქუნებ-  
და კუდს, ძროხა ელპიტემ სიხარულისაგან პიჯაკის კალთა შე-  
მოალეჭა პატრონს. პანო იდგა მაგიდაზე, ნიუარასთან და თვალზე  
ცრემლი უბრნებინავდა, თუმცა მის ცრემლს ვინდა დაინახავდა.

— გოგო თაია, საიდან მიხვდი, არქივარიუსი რომ ამ ციცქნა  
ნიუარას ვერ მოერეოდა? — ჰკითხა მართა ბებომ.

— დედუქციური მეთოდით დავადგინე! — ამაყად აუხსნა თა-  
იამ. — ვინც ბოროტია, იმისთვის ეს ნიუარა მძიმეა! ასე რომ არ  
იყოს, აქამდე წაგვართმევდნენ!

## 8. ვაჩემამიკოს მორიგიროლი

ვაჩე მამიკოს დაბრუნების აღსანიშნავად მართა ბებომ უზარმაზარი ნამცხვარი გამოაცხო. მაცივრიდან შუშხუნა ლიმონათები გამოალაგა და გემრიელად მიირთვეს.

ძროხა ელპიტემ ზედაც არ დახედა ნამცხვარს. იგი არც ძალლ ბომბოს დახატვია გულზე. ამიტომ ბომბოს ქეხვის ნაჭერი მიართვეს, ელპიტეს კი ეზოდან მთელი ბლუჯა თივა შემოუტანეს.

პანომ ნამცხვრის ფინჩხი შეჭამა, ზედ წვეთი ლიმონათი დააყოლა და კიდეც დათვრა, მიწვა ნიუარის გვერდით და მიიძინა.

ძროხა ელპიტემ თივა შეახრამუნა და კმაყოფილმა თქვა:

— იმედია, პატრონი ამიერიდან კაციჭამიას როლს არ ითამაშებს!

— არც ბელურას როლი გვინდა, — ჩაურთო მართა ბებომ, — სირცხვილია, ამოდენა კაცი მაგიდას უჯდეს და ფეტვს კენკავდეს!

— მამიკო თეატრიდან რომ გაფრინდა, ბელურა კი არა, არწივზე ძლიერი ფრინველი იყო! — გამოესარჩილა თაია.

— ჩემო კარგებო! — გაელიმა ვაჩე მამიკოს. — დროა საკუთარი თავი გავიხსენო. ეს იქნება ჩემი საუკეთესო როლი!

— როგორ? — იკითხა თაიამ.

— საკუთარი თავის თამაში არ გამიგია მე! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მართა ბებომ.

— ეჱ, როდისლა უნდა იცხოვრო? — ამოიოხრა ელპიტემ. — დღე-დაღამე ხბორებიც არ თამაშობენ!

— კი არ ვითამაშებ, ვიცხოვრებ ვაჩე ვაჩნაძის ცხოვრებით! — აუხსნა ვაჩე მამიკომ. — ესაა როლი კაცისა, რომელსაც ჰყავს მამაცი გოგონა, დაულეველი დედა, უამრავი მეგობრები... ამ კაცს მტრებმა წაართვეს საყვარელი მეუღლე და მეგობარი მზისია... ჩვენ მტერს უნდა შევებრძოლოთ და მზისია დავიხსნათ!

— ვაშა! — ტაში შემოჭერა თაიამ.

— ვაშა! — გამოელვიძა პანოს.

მართა ბებომ პირველი გადაიწერა და ჩაიჩურჩულა:

— ჩუმად, ჯადოქრებს ათასი ყური აქვთ!

ვაჩე მამიკომ ტელევიზორი ჩართო:

— მოდით, გავიგოთ, რა ხდება წადიგაიგეში!

## 9. რა ხდება წადიგაიგეში?

— გაგახსენდით, ხომ? — მუქარით იკითხა ტელევიზორმა. — დიახაც, ათასი ყური მაქვს!

— გამორთე ეს სასიკვდილე! — მიაწყევლა მართა ბებომ.

— შპიონი! — რქა მოულერა ძროხა ელპიტემ.

— ერთს გავუქანებ! — თაიამ ხელი ხორცის საკეპ ნაჯახს წაავლო.

— ვაშა, დავამტვრიოთ! — იკივლა ნაჯახმა.

ტელევიზორს ნირი შეეცვალა.

— მეგობრებო, მეც ხომ ოჯახის წევრი ვარ!

ამასობაში ეკრანი დაინმინდა და ტელევირთხის წვრილმა, ბოროტმა თვალებმა გამოანათა.

— მოქალაქენო! — ბრძანა ტელევირთხამ. — ქალაქის თავის ოხოხოს ბრძანებით დღეს მოხდა ქალაქ წადიგაიგეს მოსახლეობის აღწერა. აღმოჩნდა, რომ ქალაქში ცხოვრობს ასიათასი ჯარისკაცი, — ტელევირთხამ კაცვირთხების პარადი აჩვენა, — ოციათასი მფრინავი მანდილოსანი, — ახლა ველოცოცხებზე შემსხდარი კუდიანები გამოაჩინა, — აგრეთვე არანაკლები რაოდენობის შავი ანგელოზები, — ტელეეკრანზე ჭინკა-მაიმუნები აჭყლოპინდნენ, — დანარჩენები ვალდებული არიან ჩაეწერონ მეორე რიგის მოქალაქეებად, რათა ერთგულად ემსახურონ პირველი რიგის ზემოჩამოთვლილ მოქალაქეებს!

აქ ეკრანზე გამოჩნდა რატუშა, მერე ქალაქის თავის კაბინეტი და თვით ოხოხო.

— ოხ-ოხ-ო! — ამოიოხრა ოხოხომ.

— ვერაფერი გავიგე! — მხრები აიჩეჩა მართა ბებომ. — ესე იგი წადიგაიგეში მარტო ვირთხები და მაიმუნები ცხოვრობენო?

— დანარჩენები უნდა გვემსახურონ! — მუშტი მოკუმა ვაჩე მამიკომ.

— რა ჩემი ბრალია! — შეშინდა ტელევიზორი.

ეკრანზე თეატრალური მოედანია.

მოქალაქენი აქა-იქ მიდი-მოდიან. ზოგს მხარზე კუდიანი უზის, ზოგს — ჭინკა-მაიმუნი... ზოგი მოქალაქე ეტლში შეუბამთ, სავარძლებში კაციორთხები ჩამჯდარან დიდყაცურად და მიერეკებიან.

— მალე კვლავ დაგვიკაცუნებენ! — ხმადაბლა თქვა თაიამ და იმავე წამს სარკმელს რაღაც მოხვდა, მინა ჩაიმსხვრა და შიგ ცოცხის ტარი გაეჩირა. მერე ტარი გაქრა და ჩამტვრეულ სარკმელში პატარა კუდიანი პიპიპის დაბნეული სიფათი გამოჩნდა.

— ვაიმე, ცოცხი ვერ შევიკავე! — ჩაიკნავლა კუდიანმა. — თქვენთან სტუმარი მოდის!

## 10. აქლემის მხედარი

ზანაზალაკების ხმა გაისმა. ყველანი აივანზე გავიდნენ. ჭიშკარს აქლემი მოსდგომდა. კუზებს შორის ჩია, მელოტი ბერიკაცი ჩაკარგულიყო. თეთრი წვერი მუხლებს უფარავდა. მნახველი იფიქრებდა, აქლემის ორ კუზს შორის ბამბის ფუთა დევსო.

ბომბო გადაირია. საშინელი ლაფლაფით ლობეს მივარდა. ცდილობდა, მისწვდენოდა ბერიკაცს და ძირს ჩამოეთრია. აქლემს ეშინოდა, მხედარი კი ძალის შემოტევას არაფრად აგდებდა.

ასწია ხელი, საჩვენებელი და შუათითი ტყუპად დაუმიზნა.

— ბუჟ-ბუჟ!

თითქოს შაშხანას გამოჰკრესო, ზედიზედ ორმა ტყვიამ დაიწივლა. ბომბო ცოტათი დაცხრა, პატრონისაკენ წკმუტუნით მოიხედა:

— რა ვქნა, თავი შევაკლა?

— დაწყნარდი, ბომბო! — გასძახა თაიამ, თან გაიფიქრა, ნეტავინ უბედური გადააქციეს აქლემადო.

ბერიკაცი, რა თქმა უნდა, ჯადოქარი ბუჟბუჟი ბრძანდებოდა. წამიც და აქლემის ზურგიდან აივანზე გაჩნდა. არათუ ვაჩე მამიკოს, სიმალლით თაიასაც ველარა სწვდებოდა.

— მივესალმები მამაცთა შორის უპირველესს, გოგო თაიას!

— სალამი და მეორეჯერ სალამი ჯადოქარ ბუჟბუჟს! — გამოაჯავრა თაიამ.

ბუჟბუჟმა წვერზე ხელი ჩამოისვა და დინჯად მოიბოდიშა:

— შევიტყვე, ჩემმა ბიჭმა, არქივარიუსმა ბუჟმა გაწყენიათ!

— არა უშავს, ჯერაც პატარაა! — გაელიმა თაიას. — ბავშვები მეტად სულსწრაფები არიან!

— ნამდვილად ასეა! — დაეთანხმა ბუჟბუჟი. — გოგო თაია, დიდებული მსახიობის ვაჩე ვაჩნაძის ასულო, — აქ ვაჩე მამიკოს ახედა ალმაცერად, — თქვენს სახლში ინახება ერთი პატარა, უმნიშვნელო ნიუარა, არაფერი ფასი რომ არა აქვს...

— ძვირფასო ბუჟბუჟ! — შეაწყვეტინა თაიამ. — თქვენთან ინახება პატარა ჩოჩირის თოჯინა, რომელსაც თქვენთვის არაფერი ფასი არა აქვს, ჩვენ კი მისი ყროყინი სმენას გვიტკბობდა!

— ჭკუით ბერიკაცსაც აჯობებ! — შეაქო ბუჟბუჟმა და თითები გაატკაცუნა.

ზევიდან პატარა კუდიანი პიპიპი ჩამოგორდა.

— გაფრინდი და ჩემს შვილს ბუჟს ჩოჩირის თოჯინა გამოართვი! იქ მისულიც არ იქნებოდა, პიპიპი აქ რომ გაჩნდა, და ჩოჩირ ბენტოს თოჯინა მოყოლია.

ჯადოქარმა ბუჟბუჟმა წვერიდან თმის ლერი ამოიძრო, შეულოცა. თმის ლერს ცეცხლი წაეკიდა და დაიფერფლა.

ჩოჩირმა ბენტომ თვალი გაახილა, საკმარისადაც გაიზარდა, ფეხები ააბაკუნა და შეპყროყინა:

— იაა, ეს რამდენი მძინებია!

ვაჩე მამიკომ ქედზე მოუთათუნა, თაია კისერზე მოეხვია და თვალებში აკოცა.

ბუჟბუჟმა დრო იხელთა, იატაკზე ფეხი არ დაუკარებია, ისეგაჩნდა მაგიდასთან, ნიუარას ხელი სტაცა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა.

— გოგო თაია, უბრძანე!

— რა უნდა ვუბრძანო?

— სამი სიტყვა უთხარი: „მე შენ მძულხარ!“

— მე შენ მძულხარ! — გაიმეორა თაიამ.

ნიუარა თითქოს უფრო მიეწება მაგიდას.

— ბუჟბუჟ! — ჩაერია ვაჩე მამიკო. — ჩანს, ეს ის სიტყვები არაა! დატოვე ჩემი სახლი, თორემ მაკრატელს მოვუხმობ და მაგ ჯადოსნურ წვერს ძირამდე შეგიკვეცავ.

ბუჟბუჟი სიბრაზისაგან მწვანე ფერის გახდა. ალბათ ვაჩე მამიკოს ტყვიას დაახლიდა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან საკერავი მანქანის უჯრიდან უშველებელი მაკრატელი ამოვარდა, გაპრიალებული დანები აატკაცუნა და „აბა, წვერი მაჩვენეოთ!“ — გა-

მოექანა. ბუპუჲშა, ამოდენა მაკრატლის დანახვაზე, იშვირა ფეხი და ოთახიდან გაფრინდა.

— გოგო თაია, საიდან იცოდი, ეს სიტყვები ჯადოსნური რომ ვერ იქნებოდა? — შეეკითხა ძროხა ელპიტე.

— დედუჲციური მეთოდი დამხემარა! — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა თაიამ. — ამ სიტყვებს რომ ვამბობდი, ბუპუჲშა ვგულისხმობდი, „მზის ნიჟარას“ რატომ ეწყინებოდა?

— ნეტა გამაგებინა, რა ისეთი დედას ქციური მეთოდია! — ინატრა ელპიტემ.

ამ დროს დაინახა პანომაც ჩოჩორი ბენტო.

— ბენტო, მეგობარო! — ხელი დაუქნია.

— პანო, როგორ მიხარია, აქ რომ გხედავ!

ბენტომ მაგიდას ბეღნიერი კუნტრუშით შემოურბინა.

— მეგობრებო! ჩემი დიდი მეგობრების, ბატონ ვაჩესა და პატარა ქალბატონ თაიას საპატივცემლოდ უნდა შევასრულო ჩემი უშესანიშნავესი სოლოყროყინი „მზის ნიჟარა“!

მართლაც რომ, ბენტოს უშესანიშნავესი სოლოყროყინი გამოუვიდა!

## 11. პუპულუპულიც მოპრძანდა

— ეეჲ, ჩემი მოკლე ჭკუა მკარნახობს, ამათგან მოსვენება არ გვენება! — ამოიხხრა ძროხა ელპიტემ.

მართლაც, ცოტა ხანიც და ჩამტვრეულ სარკმელში პატარა კუდიანმა პიპიპიმ დარცხვენილი სიფათი შემოყო.

— ამათგან მოსვენება არ იქნება! — ჩაიჭიჭყინა. — აქეთკენ მოემართება ჯადოქრებში უდიდესი ბუპუჲშებუჲში!

— ჯადოქარ ბუპუჲშებუჲში ხელის მაგიერ ტყვიამფრქვევი აბია, თუ გაგვიპრაზდა, დაგვწყვეტს! — შეკრთა პანო.

— თუ შემოვიდა, ვურქენ! — გადაწყვიტა ძროხა ელპიტემ.

— საქსოვის ჩხირებით თვალებს ამოვჩიჩენი! — დაიქადნა მართა ბებო.

— ნაჯახს დავკრავ თავში! — ვაჩე მამიკომ ხორცის საკეპ ნაჯახს დაავლო ხელი.

— ისე ჩავაცხელო, სული გავაფრთხობინო! — გაიხარა ჩხუბის-თავმა ნაჯახმა.

სახლი ხმაგაკმენდილი უსმენს ნაირ-ნაირ ქადილს და ფიქრობს, რა მეშველება, ომი რომ ატყდეს, ამათ ხომ თავზე ჩამოვემხობიო.

— დამშვიდდით! — ნამოიძახა თაიამ. — ვერავინ დაგვჩაგრავს, რადგან უჩვენოდ „მზის ნიჟარას“ ამ მაგიდიდანაც ვერ აიღებენ! ჯერ მე უნდა ჩავდვრე შიგ!

— რა ჭკვიანი გოგონა ხარ, — პატივისცემით შეხედა ძროხა ელპიტემ, — დედიკოს მეთოდი თუ გიშველის, თორემ რანაირად უნდა ჩაძვრე, ვერ გამიგია!

— მაგი მეც არ ვიცი! — მხრები აიჩეჩა თაიამ. — მოდით, ჯერ სტუმარს შევევებოთ!

მართლაც დრო იყო! ძალლი ბომბო კვლავ გააფორებით იცავდა ჭიშკარს. ყეფა მაშინდა შეწყვიტა, როცა თავისიანები აივანზე იგულა.

ღობის მიღმა უზარმაზარი სპილო იდგა, ხორთუმით აკაციის ტოტებს ამტვრევდა და აუჩქარებლად ნთქავდა. ზურგზე თეთრი წვერი გადაჰქონდა. იმ ფუმფულა წვერიდან ორი პანია თვალიდა ნითელი, ბუშტუკა ცხვირი მოჩანდა.

ეს გახლდათ ჯადოქარი ბუპუჲშებუჲში!

— მივესალმები გოგონებსა და ბიჭუნებს შორის უმამაცესა გოგო თაიას!.. — იყივლა ჯადოქარმა.

— მეც მივესალმები ჯადოქრებს შორის უპირველესას, ბუპუჲშებუჲში! — აულელვებლად უპასუხა თაიამ.

— გავიგე, რომ თავი შეგაწყინეს ჩემმა ულირსმა შვილმა ბუპუჲშებში და ორმაგად ულირსმა შვილიშვილმა ბუპმა, რომლებსაც იმოდენა ღონეც არ აღმოაჩნდათ, ხელისგულისოდენა ნიჟარა მაგიდას რომ აალლიტონ!

— თქვენი ბიჭუნები, პატივცემულო ბუპუჲშებუჲში, ცუდად იქცევიან! თქვენმა ანცმა და მოუსვენარმა შვილიშვილმა ბუპმა ნოტარიუსი კოკო კიდობნად აქცია!

— ოჲ, ოჲ, დიდი უსამართლობაა! — თვალთმაქცურად შეიცხადა ჯადოქარმა, ადგა და სპილოს ზურგზე გაიარ-გამოიარა, საკუთარი წვერი ხან იქით ათრია, ხან აქეთ და მთლად აეჩეჩა. ზოგჯერ ფეხი შიგ ებლანდებოდა და ეცემოდა, მაგრამ ეგ არაფერო, კვლავ ბეჯითად სცემდა ბოლოთას. უცებ გაჩერდა, წითელი ცხვირი მოაბრუნა: — გოგო თაია, ჩვენში დარჩეს და ნოტარიუს კოკოს კიდობნობა ურჩევნია, იძინებს და იძინებს!

— ბუპტუპტუპ! იქნებ კიდობნად ყოფნა ბედნიერებაა, მაგრამ თქვენ ხომ მისთვის არ გიკითხავთ, სურდა თუ არა კიდობნობა?

— რაკი ჩემი პატარა მეგობარი ასეთი კეთილია, — ბოროტად გამოსცრა ჯადოქარმა, — ამ უსამართლობას გამოვასწორებ!

აჩეჩილი წვერიდან ხელი ძლივს გამოაძვრინა და თითები გაატკაცუნა.

უმალ სპილოს შუბლზე პატარა კუდიანი პიპიპი გაჩნდა.

— ახლავე გაფრინდი და კიდობანი კოკო მომირბენინე! — უბრძანა ბუპტუპტუპმა!

პატარა კუდიანმა ცოცხი შეაბრუნა და ხეთა კენეროებს გადა-ევლო...

გავიდა წუთი, მეორე... პიპიპი არ ჩანს!.. ვაჩაძეები აივანზე იცდიან. სპილომ აკაციის ხე მთლად გაძარცვა, იტენის და იტენის პირში. ჯადოქარი ბუპტუპტუპი საბოლოოდ გაიხლართა საკუთარ წვერში. ბუშტუკა ცხვირი უფრო და უფრო უნითლდება, პანია თვალებში ბოროტი ცეცხლი მატულობს...

## 12. როცა გაკვეთილს ცუდად სცავლიგენ!

მიპქრის პატარა კუდიანი პიპიპი ქალაქის თავზე...

ქუჩები, მოედნები, ჭრელი სახურავები და ბალები ისე სწრაფად მიექანებიან, ვერაფერს გაარჩევ. წუთიც და პიპიპი ჭალაში აღმოჩნდება, ცოცხს დიდი მუხის ტოტზე ჩამოჰკიდებს, თვითონ კი ტოტიდან ტოტზე გადასკუპდება და პირდაპირ ფულუროში დურთავს თავს.

შესასვლელთან კაცირთხები ყვინთავენ.

— გამოიღვიძეთ, უქნარებო! — დასჭყივლებს პიპიპი.

კაცირთხები ჯარისკაცებივით სმენაზე დგებიან, წვრილ თვალებს შიშით აჭყეტენ. პიპიპი დერეფანში გარბის, თან ხითხითებს, ამათ ხომ დავუხეოქე გულებით.

არქივარიუსი ბუპტი კაბინეტშია. სხვადასხვა ნახაზებსა და მტვრიან ქალალდებში ჩაფლულა, ეძებს იმ სამად სამ სიტყვას, რომელმაც „მზის ნიუარა“ უნდა გააცოცხლოს... პიპიპის ვერ გაუგია, რად უნდა არქივარიუსს ამდენი ქალალდი. პატარა კუდიანს წიგნი არ უყვარს, კითხვა და სწავლა გულზე მაინცდამაინც არ ეხატება. ცოცხზე

ფრენა და ჰაერში წალმა-უკულმა ბრუნვა-ტრიალი, გაგიხარიათ, ურჩევნია...

— არქივარიუსო ბუპტ! — მონიწებით მიმართავს პიპიპი. — დიდ-მა ჯადოქარმა ბუპტუპტუპმა შემოვითვალა, კიდობანი კოკო გამოიგზავნეო!

— ჰმ, მე ქონებას ვიხვეჭ, ესენი მინიავებენ! — ჩაიბუზლუნა არქივარიუსმა, უარი მაინც ვერ გაბედა: — ჯანდაბას, მოკიდე ხელი და წაიღე!

პიპიპიმ კიდობანი კოკო ზურგზე მოიგდო და წამოილო.

მოაქვს პატარა კუდიანს მძიმე კიდობანი და ფიქრობს, სადაური სამართალია, სხვები ადამიანებს კიდობნებად აქცევენ, მე კი მათრევინებენო. ბუპტ რომ კოკო კვლავ ადამიანად ექცია, ხომ თავისივე ფეხით წამოვიდოდაო.

კიდობანი კოკო მძიმედ აწევს პატარა კუდიანის სუსტ მხრებს და, თითქოს პიპიპის ნაფიქრალს კითხულობსო, ხმაურით ოხრავს.

გაიარა პიპიპიმ დერეფანი, მხრები უფრო ეტკინა და ფიქრი განაგრძო: „რა იქნება, კოკო მე თვითონ ვაქციო ადამიანად? ორნაირად მოვიგებ! ჯერ ერთი, თავისი ფეხით წამოვა. მეორეც, ბუპტუპტუპი დარწმუნდება, რა ჭკვიანი კუდიანიცა ვარ და იქნებ მთლად კუდიანების ლაშქრის უფროსად დამნიშნოს!“

ამასობაში პიპიპიმ კაცირთხებამდე მიაღწია. მათაც შაშხანების ჩხაკუნით სამხედრო სალამი არ დაუგვიანეს.

პიპიპიმ კი გაიფიქრა, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ფეხი, თუ ჯადოქრული სიტყვები ვერ გავიხსენო!

მიღის პატარა კუდიანი და თავს იმტვრევს.

ბოლოს გასასვლელს მიაღწია. მხრებზე შემოდებული კიდობნითურთ ვერ გაეტია. ძირს დადო, სახელურს ჩაეჭიდა და გააჩოჩა. ექაჩება და თან ცდილობს გაიხსენოს, მაგრამ ვერაფრით ვერ იხსენებს.

ასეა, როცა გაკვეთილს ბეჯითად არ ისწავლი!

პიპიპიმ გამხდარი ზურგი ფულუროდან გარეთ გაყო, კიდობანი ერთხელაც გამოქაჩა და „ვაშა!“ — თავში ჯადოსნური სიტყვები გაუცოცხლდა, გაუცოცხლდა და სიხარულით ჩამოარაკრაკა.

თვალის დახამხამებაც არ დასჭირვებია, კიდობანი კოკო ნოტარიუს კოკოდ გადაიქცა, გადაიქცა და თავისი ღიპით ფულუროს ყელში გაიჭედა.

— ჰემ, რა დიდხანს მძინებია! — ჩაახველა ნოტარიუსმა კოკომ და გაკვირვებით მიმოიხედა: — რატომ არ მიშვებენ?

პიპიპის აქ უნდა გახსენებოდა სხვა სიტყვები, რათა კოკო დაეპატარავებინა ანდა მუხა შუაში გაეხლიჩა, მაგრამ სწორედ ეს გაკვეთილი გამოტოვა ამასწინათ და ერთი სიტყვაც არ იცოდა.

შეშინებული პიპიპი ცოცხს მოახტა და მოუსვა...

### 13. პუპულური ზიზინაზე სკდება

სპილო ხორთუმს მოწყენით აქნევს. აკაცია ხომ ჩამოლლიტა, სხვას ვერაფერსა სწვდება. ეზოში კი ვერ გადმოდის, რადგან ბომბო ფხიზლადა, ყური დაუცქვეტია, ენა გადმოუგდია...

ვაჩინაძები და მათი სტუმრები აივაზზე გამოფენილან. დგანან და ელოდებიან პატარა კუდიან პიპიპის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, შეშინებული პიპიპი თავის მრისხანე ბატონს დაემალა.

საკუთარ წვერში ჩახლართული ჯადოქარი ბუპებუპებუპი ჭიჭინაზე სკდება, ბრაზისაგან იბერება და იბერება. წინათ წვერიდან მხოლოდ ცხვირი და თვალები მოუჩანდა, ახლა ფუნჩულა წარბებსა და ქოჩორს შორის შუბლი ამოებურცა, ლოყები ამოებუშტა, მკერდი და ღიპი ბურთივით დაუმრგვალდა.

— გასკდება, მგონია! — თქვა მართა ბებომ.

— ახლა რაღაც მოხდება! — შეკრთა ძროხა ელპიტე. — მე ყველაზე დიდი ვარ და დროზე უნდა დავიმალო!

შებრუნდა და კარში გაუჩინარდა.

— პანო, შენ ყველაზე პატარა ხარ, შინ შებრუნდი! — სთხოვა თაიამ.

პანო უხმოდ შეფარფატდა შინ.

— ბომბო! — მოუხმო თაიამ.

ძალლმა პატრონს შეხედა.

— გისმენ, თაია!

— შინ შედი, ელპიტესა და პანოს მიხედე!

ბომბო აწკმუტუნდა, მაგრამ თაიამ მკაცრად გაუმეორა — „ბომბო!“ და ძალლი დამორჩილდა.

— ძვირფასო პენტო! არ მინდა ისევ ხის თოჯინად გადაიქცე! გთხოვ, შინ შებრძანდე!

— იაა! — ჩაიყროყინა ბენტომ და ისიც ბომბოს მიჰყვა.

— ბებია, სახლი სტუმრებით აივსო, გეხვეწები, მიხედე! — ახლა მართა ბებოს მიუბრუნდა თაია.

მართა ბებოც შინ შევიდა, მართლაცდა სადილობამ დააგვიანა.

ჯადოქარი ბუპებუპებუპი სიბრაზისაგან ისე გასივდა, სიდიდით სპილოს გადაჭარბა. სპილოს ტვირთი ემძიმა, სადაც იდგა, კინალამ იქვე ჩაიკეცა.

— გოგო თაია! — ბოროტად დაისისინა ჯადოქარმა ბუპებუპებუპმა. — ჭკუით მაჯობე, ხომ? პატარა კუდიანს ხომ დავსჯი და დავსჯი, ჩემს რისხვას ვერც შენ გადაურჩები..! რაკი „მზის ნიუარას“ მშვიდობიანად არ მითმობ, ომს გიცხადებ!

ესა თქვა და ხელი დაუმიზნა. ჯადოქრის თითები ტყვიამფრქვევის ლულებსა ჰგავდა.

— არიქა, თავს უშველეთ! — იკივლა სახლმა და კარები ფართოდ გააღო. ვაჩე და თაია შინ შეცვივდნენ. სახლმა ყველა კარფანჯარა ჩაირაზა და საშიშროებას თავგანწირვით შეეგება.

— ბუპ-ბუპ-ბუპ! — შესძახა ჯადოქარმა და სახლი ტყვიით დაცხრილა.

— ოპ, როგორ მეტკინა! — ამოიკვნესა სახლმა.

— ომი, ომი! — იყვირა ბუპებუპებუპმა და სპილო წადიგაიგეს რატუშისაკენ წაგვანგვალდა...

### 14. მტერმა ალყა შემოგვარტყა!

— ყურადღება! — გამოაცხადა ტელევირთხამ. — მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის თავი ოხოხო დღენიადაგ ზრუნავს მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის, ზოგიერთი შეუგნებელი პირი წინალუდგა მის სურვილს, ბედნიერი მომავალი გამოუჭედოს თანამოქალაქეებს! არ გაჭრა მოფერებამ, თავზე ხელის გადასმამ! ამიტომაც დღეს ოხოხომ ომი გამოუცხადა მეამბოხებს!

— ჩვენზეა ლაპარაკი! — თქვა მართა ბებომ.

ეკრანზე ქალაქის თავი ოხოხო გამოჩნდა და სინანულით ამოიოხრა:

— ოხ-ოხ-ო!

— სადილობასაც არ გვაცლიან! — გაგულისდა ვაჩე მამიკო. — დროზე ვჭამოთ და თავდაცვისათვის გავემზადოთ!

— სანამ შემოგვიტევდნენ, ამ ნამცხვარს მოვულხინოთ! — თა-იამ საკმაოდ მოზრდილი ნაჭერი აიღო.

ძალლი ბომბო კართან გაწვა, თუ ვინმე შემოვარდა, კანჭებში ვწვდებიო. თაგვის სოროც ახლოს იყო და ბომბო უხილავ წრუნუნებს ულრენდა.

ძროხა ელპიტემ ჩამტვრეული სარკმლისაკენ მიმართა რქები.

— ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, მაგრად დავდგები! — ჩაიდუდუნა მრავალგზის დაცხრილულმა სახლმა. — იმედია ბუხარი უშიშრად შემამაგრებს!

— ისე ვარ ნაშენი, ვერავინ დამანგრევს! — წაიტრაპახა ბუხარმა.

კედლის საათი რამდენი ხანია ტიკტიკებდა, მომისმინეთ, მომისმინეთ... ყური რომ მიუგდეს, ესლა თქვა, მეგობრებო, მაგრად იდექით, თორემ მე თუ დამამტვრიეს, დრო გაჩერდება და სამყარო დაიღუპებაო.

პანომ ნამცხვრის ფინჩხი გადაყლაპა, ლიმონათს კი არ გაკარებია.

— თქვენ ისადილეთ, მე კი დავზერავ! — პანაწკინტელა პანო ბუხარში შეფრინდა და ნიავს აჟყვა. სანამ ბუხრის მიღს მიჰყვებოდა, შავ პეპელას დაემსგავსა. თბილმა ნიავმა მაღლა ააფარფატა.

რამდენიმე კუდიანმა გადაუქროლა, მაგრამ ზედაც არ შეუხედავთ. ალბათ იფიქრეს, ბუხრიდან ამოვარდნილი მჭვარტლია, ან პანაწინა შავი კუდიანიო.

პანო ხის კენწეროებს ასცდა და ზევიდან დახედა ქალაქ წადიგაიგეს.

თეატრალურ მოედანზე, რატუშის წინ კაცვირთხათა არმია მოძრაობდა... ნიალვარივით მოედინებოდნენ, სხვადასხვა ქუჩებით აქეთკენ მოიწვდნენ.

მეორე მხრივ, ჭინკა-მაიმუნებს გადაეშავებინათ გარეუბნის მისადგომები.

ველოცოცხზე ამხედრებულმა კუდიანებმა, შორიდან რომ ჭილყვავებს ჰეგავდნენ, მზის სინათლე ჩააქრეს და გარემოს შავად გადაეფორნენ.

„დავიღუპეთ!“ — გაიფიქრა პანომ და ძირს დაეშვა.

ბუხრის მიღმი ჩაბრუნდა... წყლიან გობში რომ დაიბანა, ისევ თეთრ-მწყაზარი გახდა და მეგობრებს მოახსენა:

— რა გვეშველება, მტერმა ალყა შემოგვარტყა!

## თვე Ⅶ/1. ჯარსხური სკორ

### 1. შენც ჩვენებირი მაიმუნი ხარ!

ბაციკუკუმ ყირა რომ გაჭიმა, მიხვდა, თუ რა უბედურება ჭირდა. სად იყო მისი შესანიშნავი სერთუკი და შარვალი, შავი შტიბლეტები და ზოლებიანი კეპი, უფრო მეტიც, სადღა იყო მისი მოკლე, მაგრამ ღონიერი ხელ-ფეხი, ანდა მომცრო ღიპი. პირისახეზე არაფერს ვიტყვი, რადგან სარკე არსად ჩანდა. სამაგიეროდ ბაციკუკუ კარგადაც ხედავდა თავის გაჩხინკულ, ბალნიან ხელ-ფეხს, ტიტველი ტანიც ხომ ასევე ბეწვით დაჰჭარვოდა და სხეულში ქაჯი შესჯდომოდა, მოუსვენრად ხტუნაობდა და ყირაზე გადაღილდა... თანაც მარტო კი არ იყო ამ დღეში, მთელი კლასი ასეთივე ჭინკამაიმუნებით იყო გავსებული, მხიარულად ჭყაოდნენ, ყირაზე გადაღილდნენ, ერთმანეთს ხან ყურებით დაათრევდნენ, ხან კუდებით...

— შენ, ეი! — გვერდში მჯილი უთავაზა ჭინკა-მაიმუნმა. — შენ ის თოჯინა არა ხარ, თაია ვაჩნაძემ კლასში რომ მოგათრია?

— თოჯინა კი არა, სახელგანთქმული ბაციკუკუ ვიყავი! — ღირსეულად შეეპასუხა ბაციკუკუ. — ახლა უკვე არ ვიცი, ვინა ვარ!

— ისეთივე მაიმუნი ხარ, როგორც ჩვენ!

— ესე იგი, შენ თაიას თანაკლასელი ხარ! — დაასკვნა ბაციკუკუმ. — ალბათ ზარმაცი და ანცი იყავი, იმიტომ გადაგაქციეს ჭინკა-მაიმუნად!

— თაიას უკან ვიჯექი და კიკინებს ვაწიწკილი! აქ სულ ასეთები ვართ, ანცები და მოუსვენრები!

— რაკი სულ ყირაზე გადადიხარ, ალბათ თავს ბეღნიერად გრძნობ!

ჭინკა-მაიმუნი შეჩერდა, თითო პირში იტაკა, უყურა, უყურა ბაციკუკუს და ასლუკუნდა:

— დედიკო მინდა!

— გულს ნუ გაიტეხ, გვეშველება რამე! — გაამხევა ბაციკუკუმ და ღრმად ჩაფიქრდა.

ჩაფიქრება არც ისე იოლი საქმე გახლდათ. ახლა ხომ ბევრად უფრო პატარა თავი ჰქონდა, ტვინიც, ცხადია, ნაკლები, თანაც

მისხალი სიდინჯე არ შერჩენოდა, ხტუნვა-ხტუნვაში კი რანაირად უნდა ეაზროვნა.

— ჰეი, — ყურში ხელი ჩაავლო და თავისკენ მოაპრუნა ჭინკა-მაიმუნი, — ერთი მითხარი, აქ რას გასწავლიან?

— დღეს პირველ გაკვეთილად გვქონდა „როგორ მივიღოთ ორი-ანები!“ მეორე გაკვეთილად — „როგორ ვეჯლანოთ ტოლებსა და მასნავლებლებს!“ მესამე გაკვეთილად — „რატომ სჯობია, რომ უფროსებს არ დავუჯეროთ!“ მეოთხე გაკვეთილად — „როგორ დავაწყიოთ ნერვები დედიკოს და მამიკოს!“ ბოლო გაკვეთილად გვენება — „რასაც არ გასწავლიან, ნუ ისწავლი!“

— ეს ბოლო გაკვეთილი ძალიან მოსაწონია! — თქვა ბაციკუ-კუმ. — ამიხსენი, რასაც არ გასწავლიან, იმისი სახელმძღვანელო-ცა გაქვთ?

— ეგერ, რკინის უზარმაზარი წიგნია, ფურცლებიც რკინისა აქვს, ყველა ჭინკა-მიმუნი ერთად რომ მიესიოს, ვერ გადაფურ-ცლავს!

— ლაპარაკი! — უცებ იატაკიდან ამოიზარდა მასნავლებელი და მაგიდაზე დააკაკუნა. ცრუ პატიკოს მაგიერ ამჯერად გაკვეთილს ცრუ ჩიტო მასნავლებელი ატარებდა და ამასაც ცხვირ-პირი ვირთას მიუგავდა.

კუთხის მაგიდაზე მართლაც იღო უზარმაზარი რკინის წიგნი, რომლის გადაფურცლა ალბათ მასნავლებელსაც გაუჭირდებოდა...

## 2. ფისო მირანდოლას კუდი ისევ მიუჩეზყას

ფისო მირანდოლა გაკვეთილიდან რომ გაიძურნა, ამას ღალატ-ად ნუ ჩავუთვლით. ბაციკუკუს ხომ ვერაფერს უშველიდა, მეც ჭი-ნკა-მაიმუნად გადამაქცევენო და ამისი შეეშინდა.

დამფრთხალი ფისო კარგა დიდ მანძილზე დაშორდა ჯადოქრე-ბის სკოლას და შეისვენა. ზის ჩვენი ფისო და ფიქრობს, რა ვქნა, რა წყალს მივცე თავიო. ეტყობა, ასეთი ბედი აქვს, პანაზინა ტანითა და უზარმაზარი კუდით უნდა იცხოვოს. მართა ბებოს კაი-კაი სადილები, თაიას მოფერება, ელპიტეს ქაფქაფა რძე ვერ შეიფერა და ამიტომაც ისჯება. პომბო რომ ბომბოა, იმისი ლრენაც ენატრე-ბა ფისოს. ისე, ყასიდად იღრინებოდა ძალი ბომბო, თორემ ერთხ-ელაც არ უწყენინებია. მარტო ცოცხი და აქანდაზი აბეზრებდნენ

თავს, აქაოდა, სისუფთავეს ჩვენ ვიცავთ, ფისო კი ვინა გდია, თაგვიც ვერ დაუჭერია. ვაი რომ ყველაზე პატარა ნრუნუნასაც ვერ მოერევა ამიერიდან.

ფისო მირანდოლას ამ სევდიან ფიქრებში ჩაეძინა. სიზმარში სულ ცოცხესა და აქანდაზს გაურბოდა. უცებ გრიალი მოესმა. მოეჩვენა, რომ ჭერი ჩამოინგრა და ფისო ქვეშ მოიყოლია. ეს ალბათ ასეც იყო! ფისოს თავში რალაც მოხვდა და კუდიც მწარედ მიეჭეჭყა.

შესჩავლა საბრალო მირანდოლამ და გაქცევა მოინდომა, მა-გრამ მის კუდზე ვიღაცა იჯდა. იქვე ცოცხიც ეგდო, ეგა აქანდაზი არსადა ჩანდა... ეჳ, კატა რომ გაჩინდა, ალბათ ცოცხიც იქვე გა-უჩინეს...

— გამიშვი! — შესჩავლა ფისო მირანდოლამ.

— სადაც ჩამოვარდნას ვაპირებდი, მაინცდამაინც იქ რად ნამონექი? — შემოუტია პატარა კუდიანმა პიპიპიმ.

— მაპატიე პიპიპი, რომ მცოდნოდა, ცოტა იქით გადავიწეოდი! — თავი შეაბრალა ფისომ.

— მიპატიებია და შევრიგდეთ! — პიპიპიმ კუდი გაუშვა. — არ ვიცი კატასთან მეგობრობა რა ხეირს მომიტანს, თუმცა კუდიანებ-ის მასნავლებლები სულ იმას ჩაგვჩიჩინებენ, კატები ჩვენი მეგო-ბრებიაო!

— შევეცდები ერთგული მეგობარი ვიყო! — თქვა გულმოცემულ-მა ფისო მირანდოლამ. — ოლონდ, გთხოვ, ამიხსნა, ასე უცნაურად რატომ დამეცი თავზე?

— რა უბედური ვარ! — დალონდა უცებ პიპიპი. — რა მეშველება? ყველაზე საშინელი ჯადოქარი, სამვერ ბუპი, ესე იგი ბუპებუპი გავაბრაზე! ისეთი ვინმეა, ციდან ჩამომიყვანს, ზღვის ფსკერზე მი-პოვის, მიწაში მომძებნის... მის თვალებს ვერაფერი დაემალება!

— ვაი, ვაი! — თათები თავზე შემოიკრა ფისო მირანდოლამ.

— ისე შემეშინდა, სადაც ვიჯექი, მიწაში იქვე ჩავძვერი. ახლა ბუპებუპებუპს ჩემთვის არა სცალია და, იქნებ მანამდე რამე ჯადოს-ნური ხერხი ვიღონო!

— მართალი ხარ! მე და შენ ერთი კაცი გვიშველის, მამაცთა შორის უმამაცესი, სახელგანთქმული ბაციკუკუ! — გაამხნევა მი-რანდოლამ. — ოლონდ ჯერ ჩვენ უნდა მივეშველოთ!

მოხსნა ფისო მირანდოლამ გუდას თავი და პატარა კუდიანს ყოველივე ჩაუკაკლა...

### 3. სად დავმალოთ პიპიკი

— მე ვიცი სად უნდა დაიმალო! — წამოიკავლა უცებ ფისო მირანდოლამ.

— სად?

— ჯადოსნურ სკოლაში კუთხის მაგიდაზე რომ ჯადოსნური წიგნია, იმის ქვეშ. მაგაში ვერანაირი ჯადოსნური მზერა ვერ გაატანს!

— ჭინკა-მაიმუნების საკლასო ოთახში რანაირად შევიპაროთ?

— მაგი მე მკითხე! — ფისო მირანდოლამ თათი შუბლზე მიითა-თუნა, ვითომდა ჭკუა კარგად მიმუშავებსო. — ახლავე გზას გა-ვუდგეთ!

პატარა კუდიანი ცოცხზე შეჯდა, მირანდოლა კალთაში ჩაისვა და წამში ჯადოსნური სკოლის კართან გაჩნდნენ.

პიპიკი კარს უკან დაიმალა, ფისო მირანდოლამ კი შეიჭყიტა.

შესვენება იყო და მასწავლებელი არ ჩანდა. ჭინკა-მაიმუნები მხიარულად ჯლანაობდნენ, ერთმანეთს წიგნებს, რვეულებსა და ფანერებს ესროდნენ, ყურებს ანინკნიდნენ, კუდებით დაათრევდნენ, იდგა ერთი აყალმაყალი და ღრიანცელი.

— შეიძლება? — ზრდილობიანად იკითხა ფისო მირანდოლამ.

ამ ხმაურში მის კრუტუნს ვინდა გაიგონებდა? ვინც ყველაზე ახლოს იყო, იმანდა დაინახა და თვალი დააჭყიტა.

მირანდოლამ იფიქრა, შევალ, გავივლ-გამოვივლი, იქნებ ბა-ციკუუ გამოვარჩიო სხვებისაგანო. თვითონ ისეთი პატარა იყო, არცა ჩანდა, სამაგიეროდ უზარმაზარ კუდს მოათრევდა.

— ფუმფულა კუდი! — გაიკვირვა იმ პირველმა ჭინკა-მაიმუნმა და ჩააფრინდა ფისოს კუდს.

მირანდოლამ შესაშინებლად — „ფრჩხიო“, მაგრამ ჭინკა-მაიმუნს მისი არ შეშინებია. მოიქნია და ფისო ჭინკა-მაიმუნების გუნდში გადაისროლა.

— ვაშა! — იკივლა გუნდში იმან, ვინც სხვას დაასწო, დაავლო კუდში ხელი და კედელს მიანარცხა.

მწარედ შესჩავლა ფისო მირანდოლამ და ვიღაცას თავზე დაე-ცა. იმ ვიღაცამ სხვა მიმართულებით მოისროლა.

აქ კი რომელილაც ჭინკა-მაიმუნმა ჩაბლუჯა და დანარჩენებს შეუტია:

— მოწყდით აქედან!

მირანდოლამ კუდი მოხერხებულად შემოიკეცა და გაიტრუნა. ცხადია, მისი მფარველი ჭინკა-მაიმუნი ბაციკუკუ იყო.

ზარი დაირეკა და კლასში საიდანლაც აღათი მასწავლებელი გაჩნდა. თუმცა იქნებ არც იყო აღათი მასწავლებელი, რადგან ცხვირ-პირი უფრო ვირთხას მიუგადა.

— დაწყნარდებით თუ არა, დაჯდანულო მაიმუნებო? — ალერ-სით იკითხა ცრუალათიმ. — დასხედით, სანამ ყურებს აგახევდეთ!.. უნდა დაგთვალოთ!

ჭინკა-მაიმუნები დაშოშმინდნენ. ცრუალათი ჯადოსნურ არით-მეტიკას ასწავლიდა. ჩოჩორ ბენტოსაგან განსხვავებით, რომელიც არითმეტიკაში მოიკოჭლებდა და მხოლოდ ათამდე შეეძლო დათვ-ლა, ცრუალათი ბარე ცამეტამდე ითვლიდა. ერთხელ რომ დაითვ-ლიდა, თითო მოღუნავდა, მერე — მეორეს... სულ სამი თითოს მო-ღუნვა უხდებოდა. ამაზე მეტი ცოდნა ან რა საჭირო იყო. რისი ჯადოქარი იქნებოდა, უცოდინრადაც იოლად თუ ვერ გავიდოდა.

დაიწყო ცრუ აღათიმ დათვლა. ამ დროს ხელის შეშლა დიდ ბოროტებად ითვლებოდა. ისე გულმოძგინედ ითვლიდა, სასწავლო წლის მანძილზე ერთხელაც არ შეშლია.

— დაიმალე! — ჩასჩურჩულა ფისო მირანდოლამ ბაციკუკუს.

ბაციკუკუ მერჩში ჩაძრორა.

ცრუალათიმ ორჯერ ცამეტი კი დაითვალა, მაგრამ მესამეჯერ თორმეტზე შეყოვნდა და ჩაფიქრდა.

— მგონი აკლია! — ალელდა ცრუალათი და მეორეჯერ დაიწყო დათვლა.

— გამოჩნდი! — კვლავ ჩასჩურჩულა ფისო მირანდოლამ ბა-ციკუკუს.

ცრუალათიმ ბოლომდე ჩაიარა და ეჭვით გაიფიქრა: „ახლა სწორია! იქნებ შევცდი?“

მესამეჯერ რომ დათვალა, ისევ ერთი აკლდა, მეოთხეჯერ — არ აკლდა, მეხუთეჯერ — აკლდა, მეექვსეჯერ — არ აკლდა, მეშვიდე-ჯერ — აკლდა... ცამეტჯერ ასე რომ გადაითვალა, ცრუალათიმ თავზე ხელები იტაცა და იკივლა:

— მატყუებენ!

ჩიკორივით დაბზრიალდა, თვალიც ვერავინ შეასწრო, სადღაც  
კედლებს მიღმა ექოსავით გაისმა მისი ხმა, მირბოდა და მიჰკიოდა:  
— მატყუებე-ენ!.. მატყუებე-ენ!..

დამფრთხალმა ჭინკა-მაიმუნებმა ერთმანეთს გადახედეს, იხუ-  
ვლეს და კარისაკენ მოუსვეს...

საკლასო ოთახში დარჩნენ ფისო მირანდოლა და ჭინკა-მაიმუ-  
ნად გადაქცეული ბაციკუკუ.

ამათ, რა თქმა უნდა, პატარა კუდიანი პიპიპი დაემატა, იმ მაგი-  
დის ქვეშ შეძრა, რომელზეც რკინის დიდი წიგნი იდო...

#### 4. პაციკურმა თავი ცოდნით გამოიტენა

— პიპიპი! — მიმართა ფისო მირანდოლამ. — ბუჟუჟბუჟს ჯერ  
შენთვის არ სცალია! სანამ მოიცლიდეს, ბევრი რამ მოესწრება.  
აგერ, ჩემი მეგობარი ბაციკუკუ გაიცანი!

პიპიპიმ ჭინკა-მაიმუნს ეჭვით გამოხედა.

— იქნებ ცდები, ეს ხომ ჩვეულებრივი ჭინკა-მაიმუნია!

— ამის შემოწმება იოლია. ნოტარიუსი კოკო ხომ გააცოცხლე,  
ახლა ამასაც მოუხერხე რამე!

— ის სიტყვები უკვე დამავიწყდა! — დალონდა პიპიპი. — ბევრ-  
ნაირი სიტყვა ვიცი, მაგრამ ნახევრამდე რომ მივალ, მავიწყდება!

— აი, რას ნიშნავს სიზარმაცე! — დანანებით თქვა მირანდოლამ.

— ჯაჯუ-ბიჭიც შენნაირად სანახევროდ სწავლობდა და ამიტომ ასე  
დამამახინჯა!

ბაციკუკუს ყველაფერი ესმოდა, პასუხად კი მხოლოდ ჭყლოპი-  
ნი შეეძლო. ჭინკა-მაიმუნები ხომ მხოლოდ ჭინკა-მაიმუნებთან  
ლაპარაკობენ, დანარჩენებს კი ვერაფერს აგებინებენ.

— რაც გაგახსენდება, ის მაინც სინჯე! — ურჩია პიპიპის ფისო  
მირანდოლამ. — ამ ჭინკა-მაიმუნს თავი თუ დავუბრუნეთ, ისეთი  
ჭკვიანია, აუცილებლად გამოვვადგება!

პიპიპი ძალიან, ძალიან ჩაფიქრდა. შუბლი შეჭმუხნა. პაჭუა ცხვი-  
რზე ჭორფლები უფრო დააჩნდა. გაჩეჩილი თმები მთლად აეზღარბა.  
ფიქრისაგან ისე დაიძაბა, საფეთქლებზე ოფლი ჩამოსდიოდა.

— ნახევრად კი ვიცი, — ყოყმანით შეხედა ბაციკუკუს, — გინდა  
ნახევრად მაინცა ვთქვა?

ჭინკა-მაიმუნი მოუსვენრად ცქმუტავდა, პატარა კუდიანის  
სიტყვებზე თავი სწრაფად დააქიცინა.

პიპიპიმ ჯადოსნური სიტყვები ნელ-ნელა ჩამოამწკრივა, ცხა-  
დია, რომლებიც გაახსენდა.

მართლაც, პო, საოცრებავ, ჭინკა-მაიმუნს მხრებზე ბაციკუკუს  
თავი გამოება. თვალები ფართოდ და ცნობისმოყვარედ დაეჭყიტა,  
ლოყები საყვარლად გაებუშტა. ოლონდ ტან-ფეხზე რომ დაიხედა,  
სირცხვილისაგან გაწითლდა და დასცხა.

— პიპიპი, — ალაპარაკდა ბაციკუკუ, — შენ კარგი მეგობარი ხარ!

— ვაი, ვაი, რა მეშველება! — თავზე ხელი შემოიკრა პიპიპიმ. —  
რა მეშველება, მალე ბუჟებუჟებუჟი ჩემთვისაც მოიცლის, ან ხის უტ-  
ვინო თოჯინად მაქცევს, ანდა ცოცხად და ვინმე კუდიანი ჩემზე  
იჯირითებს!.. ვაი, ვაი...

— დამშვიდდი, პიპიპი, რამეს ვიღონებთ! — ბაციკუკუმ გონება  
აამუშავა. სამწუხაროდ, ჭინკა-მაიმუნის ხელ-ფეხი ფიქრის საშუ-  
ალებას არ აძლევდა, ცქმუტავდა და ხტუნაობდა, წამსაც არ ას-  
ვენებდა. — ნეტავი ამ ხელ-ფეხს რამენაირად შემიკრავდეთ, იმ-  
დენს მახტუნავებენ, ტვინი მთლად გამომილაყდა!.. პიპიპი, ისეთი  
რამე არ იცი, ჭინკა-მაიმუნი რომ დააწყნარო?

— ყველანაირი ჯადოსნობა ამ წიგნში წერია! — აუხსნა პიპიპიმ.  
და თითი ქვემოდან აპერა მაგიდას. — ოლონდ შიგ იმდენი ფურცე-  
ლია, მთელი ცხოვრება რომ იკითხო, ბოლომდე ვერ ჩახვალ!

— იქნებ გადავფურცლოთ? — ბაციკუკუ რკინის ყდას დაეჯა-  
ჯგურა. ცხადია, ძვრაც ვერ უყო.

ფისო მირანდოლას თაოების ღონებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— ჯადოსნური წიგნი ჯადოსნურად უნდა გადაფურცლო! —  
პატარა კუდიანი მაგიდან გამოფოფხდა, ცოცხის ტარი ყდას  
მოუმარჯვა, უბრძანა აფრინდიო. ცოცხი ჭერისაკენ აფრინდა და  
წიგნის ყდაც გადააბრუნა. — აი, ასე!

ბაციკუკუ მაგიდაზე შეხტა, წიგნის პირველ გვერდზე გაიარ-  
გამოიარა. მეტად პატარა იყო და წიგნის გვერდი ფართო მოედნად  
ეჩვენებოდა. ერთბაშად მხოლოდ ასოს, დიდი-დიდი, მარცვლის წა-  
კითხვა შეეძლო.

მიცუნცულებს ბაციკუკუ სტრიქონის გასწვრივ, მიხტუნაობს,  
ხანდახან ყირაზე გადადის, თან ასო-ასო, მარცვალ-მარცვალ კით-  
ხულობს.

სტრიქონის ბოლოს შეყოვნდება, იხსენებს, რა ასოები და მარცვლები წაიკითხა, აკონინებს სიტყვებს, სიტყვებისაგან — წინადადებებს...

ოპო, საინტერესო რაღაც წერია: აქაოდა, ამ წიგნის შესწავლა ორნაირად შეიძლება. თუ დრო გაქვს და დიდხანს იცოცხლებ, დღეში თითო სიტყვა უნდა დაიზუთხოო. ამნაირად, ასი წლის შემდეგ ყველაფერი გეცოდინება. თუ მეტი იცოცხლე, ხომ გამოიყენებ, თუ ვერ იცოცხლე, ცოდნა მინაში ჩაგყვებაო... მეორენაირად ჯადოსნური გასაღები უნდა დაიხმაროო. ჯადოსნური გასაღები ჯადოსნური სიტყვებიათ... სამჯერ იტყვი — არბადაკარბა (ჩუმად ყურში ჩაგჩურჩულებთ: ესაა გადაბრუნებული აპრაკადაპრა!) და ცოტა ხნით ბევრი გეცოდინება, დიდი ხნით კი — ცოტაო...

— გონება გამინათდა! — თქვა ბაციკუკუშ. — მართალია, უმჯობესია ბევრი ხნით ბევრი ვიცოდეთ, მაგრამ არჩევანის დრო აღარა გვაქვს!

ას წელს ვინდა მისცემდა?.. ცრუალათიმ ალბათ უკვე მიაღწია სადაც საჭიროა და რამდენიმე წუთში ჭინკა-მაიმუნების მოსათვინიერებლად მოცვივდებიან.

— არბადაკარბა!.. არბადაკარბა!.. — ზედიზედ გაიმეორა ბაციკუკუშ და იგრძნო, რომ ტვინში ქარიშხალი აგუგუნდა. საიდან-ლაც შემოგრიალდა მილიონი სიტყვა და კუთხე-კუნჭულში დასახლდა. ბაციკუკუს მოეჩვენა, თავი კვახივით მისკდებაო, მაგრამ სიტყვები მაღე მოწესრიგდნენ და ბაციკუკუშ იყვირა: — ვაშა!

ასე იმიტომ გაიხარა, საჭირო სიტყვები იოლად ჩამოაწინება. უმაღვე საკუთარი ტან-ფეხი დაიბრუნა. სერთუკიც თავისი ეცვა (ფაფაში ჩავარდნის შემდეგ ცოტათი შელახული!), შარვალიც, შავი შტიბლეტებიც, ზოლებიანი კეპიც და შესანიშნავი ლუპაც კი, ურომლისოდ დეტექტივი აპა რანაირი დეტექტივია.

იქნებ იფიქროთ, თუ ასეთი იოლი სიტყვებია, ფისო მირანდოლამ და პიპიპიმ რატომ ვერ წარმოთქვესო. ფისო მირანდოლა ენას იჩრენდა და იმიტომ. პიპიპი კი სათქმელს სანახევროდ თუ იტყოდა და ამით ყველაფერი ფუჭდებოდა.

ისე, ცოტა ხანს მეც ვიცოდი ეს სიტყვები. ერთხელ ორმა უზრდელმა ბიქმა გამაპრაზა და ბატებად ვაქციე. ისინი თვალაცრემ-ლებულნი შემომყიყნებდნენ, ყი-ყი-ყიო, ვითომ გვაპატიე, მეტს არ

ვიზამთო. გული მომიბრუნდა და კვლავ ბიჭებად ვაქციე. ისე გაიქცენენ, ქუსლებილა უჩანდათ... სამწუხაროდ, ის სიტყვები უკვე გადამავიწყდა და ვერაფრით ვიხსენებ...

თითო შეახო ბაციკუკუშ ფისო მირანდოლას, წარმოთქვა საჭირო სიტყვები და მირანდოლას ტანი თვალის დახამხამებაში გაეზარდა. ფისო ისეთივე ლამაზ, ფუმფულა კატად გადაიქცა, როგორსაც ადრე ვიცნობდით...

ამასობაში უცნაური ხმაური გაისმა...

## 5. ჩაჯუ-ბიჭის ნახევარცოდნა

თითქოს ცხენი მოთქარუნებსო, ხმა ფლოქვებისას ჰგავდა.

პატარა ჯადოქარი პიპიპი უმაღვე მაგიდის ქვეშ შეძვრა. ფისო მირანდოლა საკუთარ კუდს ამოეფარა, ის კი დაავიწყდა, წინანდებურად პატარა ტანი რომ არა ჰქონდა.

მამაცი ბაციკუკუ, ჯადოსნური ცოდნით შეიარაღებული, დო-ინჯშემოყრილი იდგა გადაშლილ წიგნზე და ასე ელოდებოდა.

ხედავენ, ცრუალათი შემოჯირითდა, ფეხებს ცხენივით მაღლა ისვრის, ხანდახან შესჭიხვინებს.

ჯაჯუ-ბიჭის პირზე ლაგამი ამოუდვია მასწავლებლისთვის, კი-სერზე შემოსკუპებულა და მოჰკივის:

— აჩუ, აჩუ!

— ოჲ, დავილალე, მეყოფა! — დაიკვნესა ცრუალათიმ, ჩაიჩიქა და უცებ კუთხის სოროსაკენ ვირთხად მოუსვა.

ჯაჯუ-ბიჭი, რა თქმა უნდა, იატაკზე აღმოჩნდა და ფეხი ეტკინა კიდეც, რადგან ასე მოულოდნელად იმ სიმაღლიდან დაეტყეპა.

მიმოიხედა და ხედავს, მაგიდის ქვეშ პიპიპი დამაღულა, ფისო მირანდოლა კი საკუთარ კუდს ეფარება.

— მე თქვენ გაგაქრობთ! — დაიჭყივლა ჯაჯუ-ბიჭმა.

— მიაუ, მეგონა დიდი ჯაჯუ გამოჩნდებოდა! — სულაც არ შეშინებია ფისო მირანდოლას. — დიდი ჯაჯუ ალბათ ვაჩნაძეებთან საომრად გაემართა!

— ამისი არც მე მეშინია! — მაგიდიდან გამოძვრა პატარა კუდიანი პიპიპი.

ჯაჯუ-ბიჭი სიბრაზისაგან ნაკვერჩხალივით გაწითლდა, წითურ თმაზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა. რაც ენაზე მოადგა, ის ჯადოსნური სიტყვები თქვა, მაგრამ ჯაჯუ-ბიჭი ხომ ზარმაცი მოწაფე იყო და პატარა კუდიანზე მეტი არც მან იცოდა.

პიპიპი სანახევროდ დაიჩუტა, ოლონდ სანამ მთლად გაქრებოდა, გამამრთელებელი სიტყვები შეაგება და კვლავ თავისი სახე მიიღო.

რაკი ამას ვერ მოერია, ჯაჯუ-ბიჭი ფისო მირანდოლას მიუბრუნდა.

— ავიღებ და წრუნუნად გადაგაქცევ!

ფისო მირანდოლამ სწრაფად იწყო კლება, ცოტაც და წრუნუნად გადაიქცეოდა, მაგრამ ბაციკუკუმ საპასუხო სიტყვები შეაგება და ჯადო მოხსნა. მირანდოლა მირანდოლად დარჩა.

ახლალა დაინახა ჯაჯუ-ბიჭმა ჯადოსნურ წიგნზე წამომართული ბაციკუკუ. ისე დაიბოლმა, ბურთივით გაიბერა და კინალამ გასკდა. ისეთ სიტყვებს იგონებდა, ბაციკუკუ მთლად ფერფლად ექცია, მაგრამ ვერაფრით აგონდებოდა. ახლალა ნანობდა, რომ თავის დროზე კარგად არ დაიზუთხა, რასაც ასწავლიდნენ, მაგრამ სინაული გვიანი იყო.

ბაციკუკუმ ისეთი სიტყვა ესროლა, რომელსაც ჯაჯუ-ბიჭის ნახევარცოდნა წინ ვერ აღუდგებოდა...

## 6. პიპის ტყვე და პიპის სტუმარი

ბაციკუკუმ სამჯერ ზედიზედ წამოიძახა:

— ანედოსილ-ფრჩი!

ეს კი ჯადოსნურ ენაზე ნიშნავს ფრჩხი-ლისოდენას!.. რა თქმა უნდა, მარტო ეს სიტყვა საკმარისი არ არის, ამას სხვა რამეც უნდა დაემატოს, ოლონდ მე კი არა, ის დასამატებელი სიტყვები ახლა ბაციკუკუსაც არ ახსოვს.

ასეა თუ ისე, წამოიძახა ბაციკუკუმ სამჯერ ეს სიტყვა და ჯაჯუ-ბიჭმა სწრაფად იწყო კლება, თანაც ისე სწრაფად, გეგონება, მთლად გაქრებაო. გაქრობით არ გამქრალა, მაგრამ მართლაც ფრჩხილისოდენა გახდა, ყურს თუ არ მიადებდი, ისე მის ნათქვამს ვერ გაიგონებდი, ლუპის გარეშე კარგად ვერ დაათვალიერებდი.

— აპა, ახლა კი ჩემი ხარ! — შესჩეავლა ფისო მირანდოლამ, ზურგი აიზნიერა და კამარა შეერა.

ოჳ, ოჳ!.. მართლაც ბეწვს გადაურჩა ჯაჯუ-ბიჭი. შიშისაგან გაქცევაც ვერ მოახერხა, ადგილზევე ჩაცუცედა და ხმა გაკმინდა.

ფისო მირანდოლამ ჰაერშივე იგრძნო, რომ კუდმა მაგრად მოჰქაჩა. ამიტომაც ჯაჯუ-ბიჭს ვერ მისწვდა, ნახევარ გზაზე ძირს მოადინა ბრაგვანი. ცხადია, კუდი პატრონს თავისით არ მოჰქაჩავდა.

ეს ბაციკუკუ გადმოხტა მაგიდიდან და მირანდოლას კუდს ჩააფრინდა.

გაანჩხლდა ფისო მირანდოლა, სწრაფად შემოუტრიალდა, რაკი დიდი კატა იყო, ბაციკუკუც ეპატარავა.

— არ მოეშვები ამ ჩემს კუდს?! — ბრაზით წაისისინა, დაიძაგრა, კბილები ავად გამოაჩინა და „ფრჩხ!..“ — საზარლად შესჩეავლა.

ოლონდაც, ბაციკუკუს შეშინება არც ისე იოლი იყო. იგი ოდნავადაც არ შემკრთალა, თითო ფისოსაკენ გაიშვირა და სამჯერ სწრაფად გაიმეორა:

— ანედოსილ-ფრჩხი!.. ანედოსილ-ფრჩხი!.. ანედოსილ-ფრჩხი!..

ფისო მირანდოლამ ადგილიდან დაძვრაც ვერ მოასწრო, ისე სწრაფად დაპატარავდა, ჯაჯუ-ბიჭსაც გაასწრო.

გახარებულმა ჯაჯუ-ბიჭმა უმალვე კუდში ჩაავლო ხელი და ჰაერში აპრონიალა.

ბაციკუკუმ მოჩეუბრები გააშველა. ფისო მირანდოლა აიყვანა, თავზე თითო გადაუსვა და უთხრა:

— ნუ მიწყენ, ბრაზიანო ფისო, მალე გაგამრთელებ! ახლა კი ჩემი ჯიბის სტუმარი იყავი!

ფისო მირანდოლა ბაციკუკუს მარჯვენა ჯიბეში აღმოჩნდა.

ახლა ჯაჯუ-ბიჭი აიყვანა ბაციკუკუმ და უთხრა:

— გირჩევნია, ჭკუას მოუხმო, ჯაჯუ-ბიჭო!.. ფიქრის დრო საკმარისი გექნება, რადგან ამიერიდან ჩემი ჯიბის ტყვე იქნები!

ჯაჯუ-ბიჭი სერთუკის მარცხენა ჯიბეში ჩაისვა.

მეტი ჯიბე რაკი არ ჰქონდა, ლუპა კისერზე ჩამოიკიდა და პიპის მიუბრუნდა:

— უმჯობესია აქაურობას გავეცალოთ, მაგიდის ქვეშ ჯდომა ხეირს არაფერს მოგიტანს!..

## 7. ცოცხის მმზავრები

პატარა კუდიანი ცოცხზე შეჯდა, უკან მამაცი ბაციკუკუ შე-  
მოისვა, თან გააფრთხილა:

— მაგრად ჩამჭიდე, არ ჩამოვარდე!

ბაციკუკუმ ხელი მაგრად ჩასჭიდა და ცოცხი შხუილით მოსწყ-  
და იატაკს.

დერეფანში გაფრინდნენ.

კლასიდან გაპარული ჭინკა-მაიმუნები სირბილით ბრუნდებოდ-  
ნენ. ფეხდაფეს ცრუმასწავლებლები მოსდევდნენ და წკნელებით  
მოერეკებოდნენ.

ცოცხის მხედრებმა ისე სწრაფად ჩაიქროლეს, ჭინკა-მაიმუნე-  
ბი მიჰყარ-მოჰყარეს, ცრუალათი ერთ მხარეს გადაყირავდა, ცრუ-  
პატიკო — მეორეს.

— უზრდელი! — ნამოიძახა ცრუპატიკომ.

— უზრდელი! — იკივლა ცრუალათიმაც, მაგრამ პიპიპის ესენი  
ვერ მიეწოდნენ.

მეგობრებმა მიწისქვეშეთი მშვიდობიანად გალიეს და მიწისპ-  
ირზე ამოფრინდნენ.

იარაღის ჩხაკუნი მოისმა. სადარაჯოზე მდგომმა კაცვირთხებ-  
მა შაშხანები შემართეს და ტყვია წივილ-წივილით მოაყოლეს, მა-  
გრამ პიპიპის ცოცხი ტყვიაზე სწრაფად მიფრინავდა.

სულ მალე ქალაქის თავზე აღმოჩნდნენ. წადიგაიგე დაავადე-  
ბულივით ხვენეშოდა. ყველა კარი და ფანჯარა ჩარაზული იყო. ქუ-  
ჩებში მოქალაქენი არ ჩანდნენ.

რატუშის ფანჯრიდან დადარდიანებული ოხოხო იყურებოდა და  
ოხრავდა: „ოხ-ოხ-ო!“

გარეუბნიდან საყვირის ხმა და დოლების ბრახუნი მოისმოდა.

აგერ გამოჩნდა ვაჩნაძების პატარა სახლიც. კარ-ფანჯრები  
დაეგმანა და მედგრად უმკლავდებოდა ურიცხვ მტერს.

კაცვირთხებს ალყა შემოერტყათ, ღობე-ყორესა და ხე-ბუჩქებ-  
ში ისხდნენ და იქიდან ისროდნენ.

ჭინკა-მაიმუნები მათთან ერთად ჭყანაობდნენ, ყირაზე გადა-  
დიოდნენ და ტურებივით გაჰკიოდნენ.

ცა გადაეშავებინა ველოცოცხებზე ამხედრებულ კუდიანებს.  
სახლის სახურავზე ბუქნავდნენ წივილ-კივილით და ცოცხებს იქ-  
ნევდნენ.

პიპიპი მობუქნავეებში შეიჭრა, ბუხრის თავზე შემომსხდარი  
ორი-სამი კუდიანი გადმოაყირავა. ამათ გონს მოსვლა ვერ მოას-  
წრეს. მეგობრები ბუხრის მილში ჩასრიალდნენ...

## 8. ვაშა, ჩვენც აღყაში ვართ!

ბუხარში ცეცხლი არ ენთო. ცოცხის მგზავრები პირდაპირ წაც-  
არში ჩაცვივდნენ და ისეთი ბული დააყენეს, ორ ნაბიჯზე არაფერი  
ჩანდა.

პატარა კუდიანმა პიპიპიმ ცხვირი დააცემინა.

ცხვირი დააცემინა ბაციკუკუმ, თანაც ბულს ბული მიუმატა.

მარჯვენა ჯიბეში დაამცხიკვა ფისო მირანდოლამ, მარცხენაში  
— ჯაჯუ-ბიჭმა.

ცხვირი დააცემინეს ვაჩე მამიკომ, მართა ბებომ... რა თქმაუნდა,  
ელპიტემ და ძალმა ბომბომ...

პაწომ რომ დაამცხიკვა, არავის გაუგონია...

ცხვირი დააცემინა გოგო თაიამ და ბოლოს ბუხარმა ცხვირი ისე  
დააცემინა, მტვერში გახვეული პიპიპი და ბაციკუკუ ოთახში  
მოისროლა...

ბუხარმაო?.. სახლმა ცხვირი დააცემინა და ბუხრის ყელიდან  
ფერფლი და ნაცარი ამოყარა...

დაფრთხენ სახურავზე მობუქნავე კუდიანები, შეახტნენ ველო-  
ცოცხებს და ყვავებივით ჰაერში აირივნენ...

დაფრთხენ ჭინკა-მაიმუნები და ბუჩქებში ჩაიკარგნენ.

შეკრთხენ კაცვირთხები, ღობიდან წამახული ცხვირები გა-  
მოყვეს და გაოცებული უყურებდნენ სახლს, რომელიც ცხვირს  
ზედიზედ აცემინებდა და ვერაფრით დაშოშმინებულიყო...

— რა მოხდა? — იკითხა არქივარიუსმა ბუჭმა.

— რა მოხდა? — იკითხა ბუჭბუჭმა.


— რა ხდება? — მრისხანედ იკითხა ბუჭბუჭმა.

— ბოშო, რაცხა ფარსაგია ჩვენს თავს! — თქვა ქალბატონმა  
ჯაჯულიამ.

— რაღაც აფეთქდა! — დაასკვნა დიდმა ჯაჯუმ.  
სახლში კი მტვერი თანდათან დაიწმინდა.  
პიპიპიმ ფანჯარაში გაიხედა და წამოიძახა:  
— ვაშა, ჩვენც ალყაში ვართ!

## თავი IХ. „მზის ნიურნერი“

### 1. საზიროა ანედოსილ-ჭრჩები!



ერთმანეთის ნახვა ისე გაუხა-  
რდათ, ისე გაუხარდათ, მეტი  
რომ არ შეიძლებოდა.

ვაჩე მამიკომ ტაშიც კი შემო-  
ჰკრა.

მართა ბებომ სათვალიდან გა-  
მოხედა ბაციკუკუს და შენი სერ-  
თუკ-შარვალი როგორ ბრძან-  
დებაო, იკითხა.

თაიამ ბაციკუკუ ხელში აიტა-  
ცა და გულში ჩაიკრა. ბაციკუ-  
კუს, ცხადია, ესიამოვნა, მაგრამ  
მაინც წამოიძახა:

— ნელა, გოგო, ჯიბის სტუ-  
მარი და ჯიბის პატიმარი არ  
დამიბეგვო!

თაიამ ბაციკუკუ მაგიდაზე  
დასვა, მერე პიპიპის მიუბრუნდა:

— გამარჯობა, პიპიპი, ჩვენონ კეთილო მეგობარო! — და პატარა  
კუდიანს ჭორფლიან ლოყაზე აკოცა.

კუდიანებს, ხომ იცით, არც არავინ კოცნის, არავინ არ ეფერება  
და პიპიპიმ მეტად დაიმორცხვა.

პანო ხომ მაგიდაზე იყო. სიხარულისაგან ისე აღელდა, ჭიქას  
ამოეფარა და იქიდან გაცყურებდა ბაციკუკუს.

მამაცმა დეტექტივმა ერთი ჯიბიდან პანანკინტელა ფისო ამოს-  
ვა, მეორე ჯიბიდან — პანანკინტელა ჯაჯუ-ბიჭი.

— ბაციკუკუ! — თავისთვის ჩაიჩურჩულა პანომ, სამალავიდან  
გამოვიდა, ფისო მირანდოლას ზურგზე ხელი გადაუსვა და გაი-  
ფიქრა: „კატაც ასეთი უნდა! ამაზე მეტი კატა არც უნდა იზრდე-  
ბოდეს!“ მერე ჯაჯუ-ბიჭს შეხედა და გაიფიქრა: „არც ცელქი ბიჭი  
უნდა იზრდებოდეს ამაზე მეტს!“

ჯაჯუ-ბიჭს ყველანი დევებად ეჩვენებოდა, საცოდავად მობუ-ზული იდგა, პირში თითო გაერქო და სლუკუნებდა: „აი, დედიკო მოვა, აი, მამიკო მოვა, გიჩვენებენ თვალის სეირს!“

ჩოჩორმა ბენტომ თავი ასწია, ჯაჯუ-ბიჭი შეათვალიერა და მო-ფერებით უთხრა:

— საბრალო ჯაჯუ-ბიჭო! თუ დაჭკვიანდები, შენი ჩოჩორი ვი-ქნები!

— ესაა „მზის ნიუარა“! — აუხსნა თაიამ ბაციკუკუს. — ყველანი ამ ნიუარაში უნდა ჩავსხდეთ და გავურინდეთ! ოლონდ ეს ნიუარა ერთი ციცქანაა, ჩვენ კი აი რამოდენები ვართ!

— მაშასადამე, საჭიროა ანედოსილ-ფრჩხი! — თითო ზევით ასწია ბაციკუკუს.

— ეს რალაა? — ყველამ ერთხმად იკითხა.

მარტო პატარა კუდიანმა, ფისო მირანდოლამ და ჯაჯუ-ბიჭმა იცოდნენ, რაც იყო ანედოსილ-ფრჩხი. ფისო და ჯაჯუ-ბიჭი ხმას ვერავის გააგონებდნენ. პიპიპის უნდოდა ეთქვა, ნუ აჩქარდები, ჯერ ყველანი მაგიდაზე ავძვრებით და მერე თქვიო, მაგრამ ბაციკუ-კუმ არ დააყოვნა, ის სიტყვები ჩაიბურტყუნა, რაც ჩვენ არ ვიცით, და ბოლოს სამჯერ წამოიძახა:

— ანედოსილ-ფრჩხი!.. ანედოსილ-ფრჩხი!.. ანედოსილ-ფრჩხი!.. იპოპო, რა საოცრება მოხდა!

— უიმე, სახლი იზრდება! — გაკვირვებით ხელები გაასავსავა მართა ბებომ.

— მაგიდა და ავეჯიც დიდდება! — დაასკვნა ვაჩე მამიკომ.

— ბუხარი პირს აფჩენს! — შიშით დაიზმუილა ძროხა ელპიტემ.

— სორომ უნდა გადამყლაპოს? — დაინკავნეკავა ძალლმა ბომბომ.

— მგონი, ვვარდები! — დაიყროყინა ჩოჩორმა ბენტომ.

— ცოცხის სამართავად ძალა არ მეყოფა! — დაიჩივლა პატარა კუდიანმა პიპიპიმ.

— ყველანი ვპატარავდებით! — აუხსნა ბაციკუკუმ თავგზაბ-ნეულ მეგობრებს.

დიახაც, ყველანი პატარავდებოდნენ და ეგონათ, ირგვლივ ყვე-ლაფერი დიდდებაო.

მართა ბებოს, წუთის წინ რომ გაუვარდა, ის სათითე ციხე-კოშკ-ად მოეჩვენა. ნემსი იმსიგრძე ჩანდა, ძვრასაც ვერ უზამდა. ნემსში

გაყრილი ძაფი მახრჩობელა გველივით მიიგრაგნებოდა და მართა ბებომ შიშისაგან თვალზე ხელი აიფარა.

ვაჩე მამიკო იატაკის ჭრილში ჩავარდა და ძლივს ამოძვრა. ადრე ფიცარი კარგად დალაგებული ეგონა, ახლა კი ფიცარსა და ფი-ცარს შორის ისე იყო მოღიავებული, ვაჩე მამიკო შორიდან გამორ-ბოდა, ერთი ფიცრიდან მეორეზე რომ გადამხტარიყო.

თაია რომ პატარავდებოდა, ნიკაპი კინალამ მაგიდის კიდეს ჩამო-არტყა. ააცდინა, მაგრამ ცხვირი მაინც დარტყა, ცოტათი ემწარა, თუმცა მაგიდის კიდე ისე სწრაფად გაიქცა ზევითკენ, ჭიჭყინის დროც არ შერჩა. თანაც ძირს ძაფის გორგალი დახვდა. თაიას ფეხი დაუცდა. გორგალი გაგორდა და ჩვენი თაიაც თან გაიყოლა. ხან ზევით გადაევლო გორგალს, ხან ქვეშ მოჰყვა. ზევით რომ ალმოჩნ-დებოდა, „ვაიო!“ — შესძახებდა, გორგალი რომ გადაუვლიდა — „უიო!“ ბოლოს ძროხა ელპიტემდე მიგორდნენ და ზედ გადაუარეს. თაიამ ელპიტეს ხელი სტაცა და მასთან დარჩა.

— რა ამბავია ჩვენს თავს, გოგო თაია?

ძროხა ელპიტემ, როგორც კი ყველაფერი ატორტმანდა, ოთხი-ვე ფეხი გააფაჩაჩინა და გორგალი რომ არ მოგორებულიყო, ალ-ბათ ასევე იქნებოდა ფეხებგაჩაჩეული.

ჩოჩორი ბენტო წუთის წინ სტუმრების საპატივცემლოდ სოლოყ-როყინის შესრულებას აპირებდა, დააღო კიდეც პირი, მაგრამ ყელიდან ისეთი ხმა ამოუვიდა, როგორც ნემსით დაჩხვლეტილი ბურთიდან, და ვაჟკაცური სოლოყროყინის ნაცვლად სუსტი წაწ-რუნწებალა შეძლო, რაც, საბედნიეროდ, არავის გაუგონია.

ძაღლი ბომბო თაგვის სოროსთან ალმოჩნდა. აქ ერჩივნა ყოფნა. ფიქრობდა, იქნებ ცულლუტი წრუნწენა გამოძვრეს, კბილი გავკ-რაო. უცაბედად სორო გაფართოვდა, დიდ გვირაბს დაემსგავსა. ბომბოს თავისუფლად შეუძლია შიგ შეეხეტოს, ოღონდ სულელი როდია. სოროს უნდა გადამყლაპოსო და თავპირისმტვრევით გამო-იქცა უზარმაზარი სვეტივით ალმართული მაგიდის ფეხისაკენ.

პატარა კუდიან პიპიპის, ცხადია, არაფერი გაჟკვირვებია. ცოც-ხში ჩავარდა და კარგა ხანს იფართხალა, სანამ გამოძვრებოდა. „ეჱ, ბაციკუკუ, — გაიფიქრა პიპიპიმ, — ჯადოსნობის წესებს მოფრთ-ხილება უნდა, საქმე თუ წაახდინე, იოლად ვერ გამოასწორებ!“

ისედაც პატარა ბაციკუკუ უფრო რომ დაპატარავდა, პანო მაშინ დაინახა და თვალები გადმოკარკლა. მის წინ ტანაშოლტილი ქალწული იდგა, ისეთი ლამაზი, ცით მოვლენილ ფერიას ჰერავდა.

— პანო, ჩემო გულისვარდო, რა ლამაზი ყოფილხარ! — მორცევად უთხრა.

შეხედა პანომაც და ბაციკუკუს ვაჟკაცური აღნაგობა და პუტკუნა ლოყები დიახაც რომ მოეწონა.

— ბაციკუკუ! — ნაზად შეეპასუხა და ხელები გაუწოდა.

ჯაჯუ-ბიჭმა თითები პირში ჩაიდო, დაუსტვინა და გამოაჯავრა:

— შეყვარებულები, შეყვარებულები!..

ფისო მირანდოლამ ჩაიკრუტუნა:

— კარგია, რომ ყველანი დაპატარავდით, მაგრამ წრუნუნა რომ გამოცუნცულდეს, ერთიანად გადაგვჭამს!

ბაციკუკუ გონს მოეგო. ვაჟკაცმა უპირველესად ვალი უნდა მოიხადოს, საალერსოდ კი სხვა დროს მონახავს...

## 2. როგორ ავძვრეთ მაგიდაზე?

სახლი კარგა ხანია ცხვირს არ აცემინებდა. ამან ჯაზოქრები გაათამამა და შეტევაზე გადმოვიდნენ. შინ ჩაკეტილებს ესმოდათ კუდიანების კივილი, ჭინკა-მაიმუნების ჭყვირილი, კაცვირთხების წრიპინი... ბუჭმა არ დააყოვნა, გაიშვირა თითი და წამოიძახა: „ბუჭ!“ თითიდან ტყვია გამოვარდა და სახლის სახურავზე ასხლტა. ბუჭ-ბუჭმა დაუმიზნა თითები და „ბუჭ-ბუჭ!“ — ორი ტყვია აძგერა კედლებს. ბუჭბუჭბუჭმა ტყვია ხოშკაკალასავით მოაყარა... სახლი მედგრად იდგა, მაგრამ საპრალოს ყველა ფიცარი ტკიოდა და ოხვრა-კვნესას ძლივს იკავებდა.

ბაციკუკუ მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ასე არ უნდა აჩქარებულიყო. მაგიდის კიდესთან მიირბინა და გადაიხედა.

— ფრთხილად, საყვარელო! — ნიავივით მიადევნა პანო.

მართლაც სიმაღლისაგან თავბრუ დაგესხმევა კაცს. იატაკი ისე შორსა ჩანს, სული შეგიგუბდება.

ქვევით, მაგიდის ფეხთან რაღაცა ფუსფუსებს. ძლივს გაარჩია ბაციკუკუმ, — ეს მართა ბებოა.

აგერ დედისაკენ ვაჩე მირბის, იატაკის ღრიფოებს თავგამოდებით ახტება.

ოთახის კუთხიდან ძალლი ბომბო მოეშურება, მეორე კუთხიდან კი — ჩოჩორი ბენტო. ძალლის წკავნკავი აქამდე ვერ აღწევს, ვერც ჩოჩრის ყროყინი.

აგერ, ძაფის გორგალთან ძროხა ელპიტე და გოგო თაია წაქცეულან. ალბათ ვერ მიმხვდარან, რა ფათერაკიც დაეცათ თავზე.

პატარა კუდიანი ცოცხეში ჩახლართულა და საცაა გამოძვრება...

„როგორ გინდა ესენი მაგიდაზე ამოიყვან?“ — დალონდა ბაციკუკუ.

გონებისათვის უნდა მოეხმო და შეცდომა გამოესწორებინა.

პიპიპიმ ცოცხიდან ერთი ლერი ფიჩოჩის ხვენეშა-ხვენეშითა და წვალებით გამოაძვრინა. რაკი მთელ ცოცხს ვერ მოერეოდა, ახლა ამ ფიჩოჩისთ უნდა ემოგზაურა. მართლაც შეჯდა და „ერიპა-ა!“ პირდაპირ მაგიდაზე ამოფრინდა.

„აი, ვინ დამეხმარება!“ — გონება გაუნათდა ბაციკუკუს.

— მეგობარო პიპიპი! ჩაფრინდი დაბლა და იმ გორგალის ბოლო ამომიტანე, თან ბუხართან რომ თხილის ნაჭუჭი გდია, ისიც არ დაგავიწყდეს!

პიპიპიმ ფიჩოჩის შეაბრუნა და იატაკზე დაეშვა. ჯერ თხილის ნაჭუჭი მოძებნა. საკმაოდ ემძიმა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, წამოილო. მერე გორგალს დაეტაკა, გადავაგორებ და ბოლოს გავათავისუფლებო. თურმე იმოდენა ღონე არც შერჩენოდა.

წამოხტა თაია და მხრით მიაწვა.

მოირბინა ძროხა ელპიტე და რქებით მიებჯინა.

სამივემ ერთად, როგორც იქნა, გადააგორეს და ძაფის ბოლო წამოილეს.

პიპიპიმ ბოლო მაგიდაზე ააფრინა.

წყლის სურაზე გამოაბეს, მეორე ბოლოზე თხილის ნაჭუჭი ჩამოჰკიდეს და შესანიშნავი ლიფტი გამოუვიდათ.

— ჯერ ვაჩე ამოვიდეს, სხვების ამოყვანაში დაგვეხმარება! — გადმოჰკივლა ბაციკუკუმ. თვითონ ფიქრობდა, გადმოკივლეო, თორემ მისმა ხმამ ძლივს ჩააღწია.

ვაჩე მამიკომ იფიქრა, ეს ძაფი იქნებ სულაც გაწყდეს. ჯობია მე დავილუპო, ვიდრე დედაჩემი და ჩემზე ახალგაზრდებიო.

ჩაჯდა თხილის ნაჭუჭში. პაციკუკუმ, მირანდოლამ, და პანომ ბოლო გამოსწიეს და ლიფტი დაიძრა.

ჯაჯუ-ბიჭსაც ეჭირა ბოლო, მაგრამ ყასიდად, რადგან არც ტყვეობა ეხატებოდა გულზე, არც დამტყვევებლები.

როგორც იქნა ააღნია ვაჩემ და უმალ თვითონაც ბოლოს დაავლო ხელი.

ახლა ძალლი ბომბო და ჩოჩორი ბენტო ამოაბრძანეს.

ამათ შემდეგ ძროხა ელპიტე... თხილის ნაჭუჭში ხომ ძლივს ჩაეტია, ამ სიმაღლეზე ძროხის აზიდვა არც ისე იოლი გახლდათ და მეგობრებს შუბლზე ოფლმა დასხა, ხელისგულებზე კი კოურები გაუჩნდათ.

მართა ბებო თავდაპირველად ცივ უარზე დადგა. რა დროს ჩემი ძაფზე პორნიალია, მიჯობს, იატაკზე დავრჩე და სული აქ ამომძვრესო. თაია მოეფერა, ჩემო ლამაზო ბებიკო, აქ რომ დაგტოვო, სოროდან წრუნუნა გამოძვრება და შეგჩამს. მაშინ მე რა მეშველება, ძილის წინ კაი ზლაპრებს ვინ მომიყვება და დაბადების დღეზე ტკბილ ნამცხვრებს ვინ გამომიცხობსო... რა ექნა მართა ბებოს — ჩაჯდა ნაჭუჭში, დახუჭა თვალები და წავიდა-ა...

თურმე ამდენი ხახუნით ძაფი გაცვდა, ნაჭუჭმა რომ მაგიდის კიდეს მიაღწია, ძაფი ისე დაწვრილდა, საცაა განყვეტაზე იყო.

ბაციკუკუ გადაიხარა და მართა ბებოს ჩააფრინდა, ვაჩე მამიკო კი — ბაციკუკუს ფეხებს, ვაჩე მამიკოს — პიპიპი, პატარა კუდიანს — ჩოჩორი ბენტო, ჩოჩორს — მირანდოლა, ფისოს — პანო, პანოს — ჯაჯუ-ბიჭი, ცხადია, ყასიდად, ვითომც მეც გეხმარებითო.

— ერთი და... ორი და... სამი! — ყვირის ბაციკუკუ და მართა ბებო მაგიდაზეა. თხილის ნაჭუჭი, სამწუხაროდ, ამოტრიალდა, იატაკზე გაგორდა და ლრიჭოში გაქრა.

ძირს გოგო თაია დარჩა. თვალაცრემლებული იყურება მაღლა. მაგიდის კიდეზე კი მისი ახლობლებისა და მეგობრების თავები ჩამნკრივებულა.

— მეგობარს გაჭირვებაში არ ტოვებენ! — წამოიძახა პიპიპიმ, მოახტა თავის ფიჩოჩხზე და თაიას გვერდით დაეშვა.

მოისვა ფიჩოჩხზე და აღმა მოფრინავენ. ფიჩოჩხი ისეთი გაფშუტულია, სადაცაა დაიფშვნება. მაშინ ხომ ორივენი იატაკზე ჩამოცვივდებიან და დაიმტვრევიან.

როგორც იქნა, ააღნიეს და ფიჩოჩხი მართლაც გადასაგდები გახდა.

მეგობრებმა ტაშით დააჯილდოვეს პატარა კუდიანი.

გარედან კი მტრის ჯარების ხმაური უფრო და უფრო ძლიერ-დებოდა.

— აბა, ავჩქარდეთ! — ბრძანა ბაციკუკუმ.

### 3. თაია ვაჩეაძე კომანდორია

მაგიდის ვრცელ ზედაპირზე, რომელიც აეროდრომივით ფართოდ გადაშლილიყო, ლურჯად ციმციმებდა „მზის ნიუარა“.

მეგობრები იქითკუნ დაიძვრნენ.

გზაზე ჩანგალი დახვდათ, გარდიგარდმო ეგდო და შორიდან შემოუარეს.

მერე წვინიანის თეფშს წააწყდნენ, მომცრო სტადიონსა ჰერვადა და მის ჩრდილქვეშ გაიარეს.

იქვე მაღალყელიანი ბროლის თასი იდგა, შიგ ვარდისფერი ლიმონათი კამკამებდა. წყურვილი ყველას მოაგონდა, მაგრამ თასის ბროლის ფეხზე ვინ აძვრებოდა. წაქცევა კი კატასტროფას გამოიწვევდა, ლიმონათის ნიაღვარს ცოცხალნი ვერ გადაურჩებოდნენ.

ბოლოს ნიუარამდე მიაღწიეს. შესასვლელი ცოტათი შაღალი აღმოჩნდა. ქალალდის ხელსახოცი ითხად გაკეცეს და საფეხურად დაიდეს. აწი ნიუარაში იოლად შეაღწევდნენ.

არადა, საშიშროება მატულობდა.

— ამდენს ვერ გავუძლებ! — ჩაიდუდუნა ბუხარმა.

სახლმა ტკივილისაგან დაიჭრაჭუნა, ალბათ მალე ჩამოემხობოდა კიდეც.

სახურავზე ბრაგუნი ისმოდა, კუდიანები ძველებურად გათამამდნენ და ცეკვავდნენ.

იატაკებების კაცვირთხები გამალებით ხრავდნენ სახლის კოჭებს.

ჭინკა-მაიმუნები ეზოში შემოცვივდნენ, კედლებს გარედან ფხაჭნიდნენ, უფრო თამამნი ფანჯარაში იჭყიტებოდნენ.

— წინ, მეგობრებო, წინ! — ბაციკუკუმ ხელი შესასვლელისაკენ გაიშვირა.

პირველი პანო შეფარფატდა, ფეხდაფეხ ბაციკუკუ მიჰყვა, ბაციკუკუ — გოგო თაია, თაიას — მართა ბებო, ბებოს — ძროხა ელპიტე, ელპიტეს — ჩოჩორი ბენტო, ბენტოს — ფისო მირანდოლა, მირანდოლას — ჯაჯუ-ბიჭი, ჯაჯუს — პატარა კუდიანი პიპიპი, პიპიპის — ვაჩე მამიკო, ვაჩეს — ძალლი ბომბო... ბომბომ მტერს ერთი-ორჯერ მიაყეფა და პატრონს ცუნცულით მიჰყვა...

კედლებიდან ლურჯი შუქი იფრქვეოდა, ლურჯი ნისლი იბოლ-ქვებოდა და საფეხურებს ძლივს არჩევდნენ.

მომცრო საკანში მოიყარეს თავი.

ნისლი შეთხელდა, თანდათან გაქრა.

გამჭვირვალე კედლებიდან კარგად ჩანდა ოთახის ჭერი და იატაკი, ბუხარი და კარ-ფანჯრები, ფანჯრებში ჭინკა-მაიმუნების დაჭყუტილი თვალები...

მეგობრებმა გზა განაგრძეს და მოზრდილ დარბაზში აღმოჩნდნენ.

ორივე მხარეს სავარძლებია ჩამწკრივებული. ზედ სახელები აწერია. ყველას თავთავისი ადგილი ეკუთვნის, ოჯახის წევრებს, სტუმრებს, მეგობრებს, ცხოველებსა და ჯაჯუ-ბიჭსაც კი — ტყვეს...

წინ ფართო ეკრანია, ფერადი ნათურების წყება, სხვადასხვანაირი ღილაკები... ღილაკებზე წარწერები...

ეს, რა თქმა უნდა, ხომალდის მართვის პულტია.

სამი სავარძელი დგას. შუა სავარძლის ზურგზე აწერია: „თაია ვაჩნაძე, კომანდორი“.

— დაბრძანდი, კომანდორო! — თქვა ვაჩე მამიკომ.

— აი, ეს თქვენი სავარძელია, კომანდორო! — პატივისცემით დასძინა ბაციკუკუმ.

თაია ჩაჯდა კომანდორის სავარძელში. მარცხნივ ვაჩე მამიკოს ადგილია, მარჯვნივ ბაციკუკუსი. სხვებიც მოკალათდებიან, ვისაც სადა სურს.

აგერ ღილაკი, ზედ აწერია: „ენერგია“. დააჭირა თითო თაიამ, უმალვე სინათლემ იმატა.

მეორე ღილაკზე აწერია: „ძრავა“. თაიამ თითო დააჭირა. რაღაც ათუხთუხდა, აგუგუნდა... „მზის ნიუარას“ ძირიდან ცეცხლის ენები გამოვარდა, მართა-ბებოს მაგიდის გადასაფარებელი ამოუნვა.

აიწია „მზის ნიუარა“, მსუბუქად გასრიალდა. წვნიანი თევში ორად გააპო, ლიმონათიანი ბროლის თასი გადააყირავა და ლიმონა-თის ნიალვარი წამოვიდა.

„მზის ნიუარამ“ წრეს შემოუარა. გაოცებულმა კარადამ ჭრაჭუნი დაიწყო. საათმა სირბილს მოუმატა — ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ... ბუხარმა მტვერი და ნაცარი ამოიფშვინა... პიპიპის ცოცხი წამოიწია, მაგრამ ულონოდ დაეცა, რადგან თუ ზედ კუდიანი არა ზის, ცოცხი ისე ვერ გაფრინდება.

თაიამ საჭეს ხელი ჩასჭიდა და წინ გადასწია. „მზის ნიუარა“ აწივლდა და ტყვიასავით გავარდა სარკმელში, რომლის შუშა პიპიპიმ ადრე ცოცხის ტარით ჩაამტვრია...

#### 4. ჩაღოსნური სიტყვა „ედრაზი“

„მზის ნიჯარამ“ სარკმლიდან ლურჯად გამოანათა და უმალვე ალყაში მოექცა. სახლის სახურავიდან კუდიანები წამოიშალნენ და გარს შემოევივნენ. ჩხაოდნენ და იჯღანებოდნენ, ველოცოცხებით ერთმანეთს ეხლებოდნენ. ცდილობდნენ, ნიუარა ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ ერთმანეთს უშლიდნენ და ვერ ახერხებდნენ.

ქვევიდან ჭინკა-მაიმუნები ასჭყაოდნენ, კაცვირთხები კი შაშხანებს უშვერდნენ, ოლონდ კუდიანები დაგვეხოცებაო და ველარ ისროდნენ.

სამი ჯადოქარი — ბუჭი, ბუჭბუჭი და ბუჭბუჭბუჭი თითებს უმიზნებდნენ, თან კუდიანებს უკიოდნენ:

— მიგვიშვით!.. გვასროლინეთ!..

კუდიანებს მათი კივილი არ ესმოდათ. ამ აურზაურსა და ორომ-ტრიალში ყოველ კუდიანს თვითონ სურდა ეს ერთი მუჭისოდენა „მზის ნიუარა“ ხელში ჩაეგდო და აქედან გაესწრო.

— გონება გამინათდა! — წამოიძახა ბაციკუკუმ. — გოგო თაია, ამ ღილაკს დააჭირე!

ღილაკზე ეწერა: „თავდაპირველი მდგომარეობა“.

ვინ იცოდა, რას ნიშნავდა „თავდაპირველი მდგომარეობა“, მაგრამ თაიამ თითო მაინც დააჭირა.

კინალამ სავარძლიდან გადმოვარდა, რადგან სავარძელი კიდეც გაფართოვდა და სიმალლეშიც აიწია.

მართვის პულტიც გადიდდა, ფერადი ნათურები მომრავლდა, ეკრანი ფართოდ გაიშალა და ზედ მთელი წადიგაიგე გამოჩნდა. იატაკი სადლაც ძირს წავიდა, ჭერმა მალლა აიწია, კედლები განზე გაცოცდა...

„მზის ნიუარა“ კვლავ სახლის თავზე ეკიდა, ოღონდ თვითონ გამხდარიყო სახლზე დიდი.

კუდიანები, წამის წინ რომ გარს ეხვივნენ, თავზარდაცემულნი მიმოიფანტნენ.

— ჩვენი ნიუარა ისე სწრაფად იზრდება, მთლად არ გასკდეს! — შეფიქრიანდა მართა ბებო.

— ნიუარა შორს გასაფრენად ემზადება! — თქვა ვაჩე მამიკო.

„მზის ნიუარა“ გუგუნით ეკიდა ჰაერში და უცნაურ, ცისფერ სხივებს აშუქებდა.

კუდიანებმა ველოცოცხები ყოჩალად აამუშავეს და გადაიკარგნენ. ჭინკა-მაიმუნები ბუჩქებში ჩაძვრნენ. კაცვირთხები მიწაში იმარხებოდნენ.

ბუჭი, ბუჭპუჭი და ბუჭპუჭპუჭი ქვევიდან იყურებოდნენ და სროლას ვერ პედავდნენ.

— დროა ჩვენც დავიბრუნოთ ჩვეული ზომები! — განაცხადა ბაციკუუმ. — სანამ მეხსიერება დამიქვეითდებოდეს, ჯადო უნდა მოვხსნა!

ანედოსილ-ფრჩხის გაუქმება არც ისე იოლია. დიდხანს იმტვრია თავი, მეხსიერებიდან გამოიხმო საჭირო სიტყვები და სამჯერ შებრუნებით წარმოთქვა: „ედრაზი... ედრაზი... ედრაზი!..“

ყოველივე გამეორდა, ოღონდ პირუკუ: პატარა მართა ბებო კვლავ დიდ მართა ბებოდ გადაიქცა, პატარა ვაჩე მამიკო — დიდ ვაჩე მამიკოდ, თაიაც, ბენტოც, ელპიტეც, ბომბოც, მირანდოლაც ისეთნი გახდნენ, როგორც ამ ამბის დასასწისში იყვნენ... ჯაჯუ-ბიჭი კვლავ ისეთივე წითური და თმაგაჩეჩილი გახდა, მაგრამ ამჯერად არ იჯღანებოდა, მოწყენილი იჯდა კუთხეში და თავის საფიქრალს ჩალრმავებოდა... პიპიპი, ეს პატარა კუდიანი, იმოდენა წარმოზარდა, თავისუფლად შეეძლო ცოცხის გაჭენება, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი ცოცხი ვაჩინაძების სახლში დარჩა... პანო კვლავ პანაკინტელად დარჩა, ბაციკუკუ კი იმოდენა, როგორიც ტელეკრანიდან გადმოვარდა. მამაც დეტექტივს ადრე ეს სულაც არ აწუ-სებდა, ახლა კი პანოს მოწყენით მიმართა:

— შენც ჯადო ხომ არ გადევს, ოდნავაც რომ არ იზრდები?

პანო ვეღარაფერი თქვა, თავი დახარა და წამწამებზე ცრემლი გაუკრთა, ოღონდ ეს ცრემლი არავის დაუნახავს.

ბაციკუკუ ჩაფიქრდა, მერე თითო პაწოსაკენ გაიშვირა და კვლავ სამჯერ გაიმეორა უჩვეულო სიტყვა „ედრაზი“. სიმართლე გითხრათ, დღესაც არ ვიცი, რომელი ენიდანაა ეს სიტყვა. ხან თავიდან წავიკითხე, ხან ბოლოდან. თუმცა ფიქრის დრო ვინ მოგცა. პანო თითქოს იატაკიდან აფრინდაო, წამში წამომართა, წამომართა და ყველას თვალწინ თაიასაც გადაასწო, მართა ბებოსაც და ვაჩე მამიკოს მხრებამდე მისწვდა... ყველანი ენაჩაგდებულნი და აღტაცებულნი მიაჩირდნენ.

ბოლოს ძროხა ელპიტემ ჩაიზმუილა:

— ბატონებო და ქალბატონებო! მე რომ ფეხების მაგიერ ხელები მქონდეს, ტაში დავუკრავდი!

ვისაც ხელები ჰქონდა, ტაში დასცხო.

ბაციკუკუ უცებ შეტრიალდა და კუთხეში მიღება, რათა არავის ენახა მისი დაჭყეტილი თვალები. დიახ! ბაციკუკუს უპეებიდან ორი დიდი კურცხალი გადმოუგორდა.

პანო მიუახლოვდა ბაციკუკუს, ვერ გაბედა ხელში აეყვანა თავისი რჩეული, ჩაცუცედა და მოკრძალებით უთხრა:

— ბაციკუკუ, სანამ ჯადოსნური ცოდნა მეხსიერებიდან ამოიშლებოდეს, იქნებ შენზეც გეთქვა ის უცნაური სიტყვა!

— რა თქმა უნდა! — გაიხარა პიპიპი. — სანახევროდ მეც კი ვიცი!

— ჴო, ნახევარი მეც ვიცი! — განაცხადა ჯაჯუ-ბიჭმა.

— ბაციკუკუ, ყველანი გთხოვთ, ერთხელაც დაძაბო მეხსიერება! — შეეხვენა თაია.

— ეჴ, მაგაზე იოლი რა არის! — ამოიოხრა ბაციკუკუმ. — ოღონდ თუ გავიზარდე, რანაირი დეტექტივი ვიქნები? დედუქციური მეთოდი ხომ მისტერ ჰოლმსის კარადაში ვისწავლე, გეოგრაფია — გლობუსში, დიდი გონება და პატარა ტანი საუკეთესო იარაღია ნამდვილი მაძებარისათვის!

— თვითონ მისტერ ჰოლმსი საკმაოდ მაღალი კაცი იყო! — ეშმაკურად ჩაურთო ვაჩე მამიკომ.

მეტი ხვეწნა არ დასჭირვებია, ბაციკუკუმ იბუტბუტა, იბუტბუტა და სამჯერ გაიმეორა ის უცნაური სიტყვა:

— ედრაზი... ედრაზი... ედრაზი!..

ყველას თვალწინ ბაციკუკუ გაიზარდა და პანოს მთელი მტკაველით გადაასწო.

მეტად წარმოსადეგი მამაკაცი აღმოჩნდა, საყვარელი ლიპი და პუტკუნა ლოყები ამშვენებდა, კოხტად აპრეხილი ულვაშები და ფართოდ დაჭყეტილი, ცნობისმოყვარე თვალები.

— პან! — მკლავები გაშალა ბაციკუკუმ.

— ბაციკუკუ! — შესძახა პანომ და კისერზე ხელები შემოჰვია, ჩაეხუტა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უბედურება.

ბაციკუკუ უცბადვე დაპატარავდა, შეყვარებულის მკლავებს შორის ჩასრიალდა და ნიკაპი კინალამ პანოს ფეხსაცმლის ჭვინტს დაჰკრა.

— კარგად ველარა ვთქვი, რალაც სიტყვა გამომრჩა! — თქვა დამწუხრებულმა ბაციკუკუმ.

— ბაციკუკუ, დარჩი როგორიცა ხარ, მე ასეთიც მიყვარხარ! — პანომ ცრემლი ნეკათითით მოსწმინდა თავის რჩეულს და ჯიბეში ჩაისვა...

## 5. ცაშიმივზრინავთ!

სამი ჯადოქარი გონს მოეგო. თეთრ წვერებს იგლეჯდნენ და რაც კი ჯადოსნური სიტყვა ახსოვდათ, ზედიზედ იმეორებდნენ, იქნებ რამემ მაინც გაჭრასო. თეთრი წვერების ნაგლეჯებით მიდამო ისე დაიპენტა, როგორც საახალწლო ნაძვისხე ბამბის ქულებით.

„მზის ნიუარის“ ლურჯ კედლებში ბოროტი ჯადო ველარ აღნევდა.

კომანდორმა თაია ვაჩნაძემ მზადყოფნა გამოაცხადა. ყველანი თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ და თაიამ საჭე გადასწინა.

ეკრანზე გაჩნდა წარწერა: „წინ!“

„მზის ნიუარა“ ადგილიდან დაიძრა და მსუბუქი გუგუნით სივრცეში გასრიალდა.

მწვანე სანახებში ფართოდ გაიშალა ქალაქი წადიგაიგე. კრამიტის წითელი სახურავები ემშვიდობებოდნენ მოგზაურებს, მშვიდობით იფრინეთ და მალე დაგვიბრუნდითო, უთვლიდნენ...

თეატრის შენობამ მზერა გააყოლა და ოცნებით ამოიოხრა — „ფანტასტიურია!“

რატუშამ კი მწუხარედ — „ოხ-ოხ-ო!“

ციხის დაბოლმილი შენობა მთლად ჩაშავებულიყო და ჭიჭინაზე სკდებოდა.

ქუჩებში მოქალაქენი გამოჩნდნენ და ზევით იყურებოდნენ, ქუდებსა და ქოლგებს უქნევდნენ.

მგზავრები გახალისდნენ, ბაციკუკუც კი — თავისი რჩეულის ჯიბეში.

ჩოჩორმა ბენტომ მშვენიერი სოლოყროყინი შემოსძახა და, რა თქმა უნდა, ყველას ასიამოვნა.

შორს დარჩა წადიგაიგე, ირგვლივ გაშლილ მთებსა და ველებს შეერწყო.

იქ, ციხის ეზოდან, რომელიც ხელისგულისოდენა ჩანდა, ვიღაცა წამოიმართა, გამოიწელა, გამოიწელა, „მზის ნიუარისაკენ“ გამოიწია.

— მამიკო! — იყვირა ჯაჯუ-ბიჭმა და სარკმელს მივარდა.

— გამიშვით ჩემს მამიკოსთან! მართლაც დიდი ჯაჯუ იყო.

ხელები გამოეშვირა და ცდილობდა „მზის ნიუარას“ მისწვდენოდა. ისე დაწვრილდა, ისე გაიჭიმა, საცაა გაწყდებოდა.

— შვილო, ჩემო შვილო! — კიოდა დიდი ჯაჯუ.

საკუთარ სიმძიმეს ველარ გაუძლო, ამოიკვნესა და ჯაჭვის გორგალივით ციხის ეზოში ჩაიკეცა.

ჯაჯუ-ბიჭი კუთხეში მივდა, ხელები პირისახეზე აიფარა და ხმადაბლა აფშლუკუნდა.

„მზის ნიუარამ“ ლაჟვარდამდე ააღნია. ცაზე ღრუბლის თეთრი ქულები დაიძრა. ამ სიმაღლიდან წადიგაიგე უკვე არ ჩანდა, იგი მქრქალ ნისლში ჩაიძირა.

— ეს რა არის? — შეჰყეფა ძაღლმა ბომბომ.

ღრუბლებს შორის უზარმაზარი, ჭრელი ბურთი გამოჩნდა.

— დედა! — იკივლა ჯაჯუ-ბიჭმა.



ქალბატონი ჯაჯულია ნიავის ფრთებზე მოცურავდა. ისე გაბერილიყო, საპარა ბუშტს დამსგავსებოდა.

„მზის ნიუარას“ მოუახლოვდა. პირი მაგრად მოეკუმა, ლოყები დაჰპერვოდა და ხელებს იქნევდა. ცდილობდა „მზის ნიუარა“ ჩაებლუჯა, მაგრამ ხომალდი უფრო სწრაფად მიფრინავდა და მალე ჩამოიტოვა.

— დედა! — ერთხელაც დაუძახა ჯაჯუ-ბიჭა.

— შვილო! — პირი დააღო ჯაჯულიამ და პარი სტვენით გამოუშვა, დაიჩუტა, დაიჩუტა და ძირს, მიწისპირისაკენ დაეშვა.

ჯაჯუ-ბიჭს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— უყურეთ, ტირის! — წამოიძახა პიპიპიმ.

— არ შეიძლება, ბავშვი მშობელს წართვა! — უკმაყოფილოდ თქვა მართა ბებომ.

— ვაუკაცები ცრემლს იკავებენ! — თავზე ხელი გადაუსვა ვაჩე მამიკომ.

— გინდა რძე ჩამოგინველო? — შეეკითხა ელპიტე.

ბომბომ მოირბინა და ლოყაზე ენა აუსვა.

მირანდოლა თავისი ფუმფულა კუდით გაეხახუნა.

— ჯაჯუ-ბიჭო, გამაგრდი, მე შენი ჩოჩორი ვიქნები! — უთხრა ბენტომ.

— ჩვენ მალე დავბრუნდებით! — ერთხმად წამოიძახეს პანომ და ბაციკუკუმ.

თაია ჯაჯუ-ბიჭს გვერდით მიუჯდა.

— ჯაჯუ-ბიჭო, სიტყვას გაძლევ, როგორც კი დავბრუნდებით, შინ გაგიშვებ!

„მზის ნიუარა“ ცის ლაუვარდს გასცდა...

## 6. ცის ზეიმი

— მეგობრებო! — საზეიმო კილოთი შეპყროყინა ჩოჩორმა ბენტომ. — ჩემი ოცნება ალსრულდა, ჩვენ კოსმოსში ვიმყოფებით!

„მზის ნიუარა“ უჩუმრად მიფრინავს. ცის ერთი მხარე უკიდეგანო ცისფერ პლანეტას უჭირავს. დღე-ლამის გამყოფი ხაზი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჰკვეთს. ღრუბელთა თეთრ ქარავნებში გამოკრთება ლურჯი ოკეანეები და ზღვები, მწვანე კონტინენტე-

ბი, თეთრი ყინულეთი და წითელი უდაბნოეთი... ლამის მხარეს უამრავი ქალაქი ციმციმებს... ერთი მათგანი ალბათ წადიგაიგეცაა.

— ჩვენი დედამიწა ყველაზე ლამაზია მთელ სამყაროში! — პანომ ხელები სასოებით მიიკრა გულზე.

— უყურეთ, რამდენი ვარსკვლავია ცაზე! — წამოიძახა პიპიპიმ. ცაზე მართლაც უთვალავი ვარსკვლავი მიმობნეულა.

— აი, ის დიდი დათვის თანავარსკვლავედია! — აუხსნა ვაჩე მამიკომ.

— აქ დათვს რა უნდა? — შემკრთალი ხმით იკითხა ჩოჩორმა ბენტომ.

— აბა სადაა დიდი დათვი? — ბომბომ ღოჯები გამოაჩინა.

— ჩემო ბომბო, აი იმ ვარსკვლავებს ჰქვიათ დიდი დათვისა!.. აგერ პოლარულთან პატარა დათვის თანავარსკვლავედიცაა... ეგერ ლომისა, ძალლისა, დელფინისა...

— მთელი ზოოპარკი ყოფილა! — უდარდელად ჩაიკრუტუნა ფისო მირანდოლამ.

— თუ თავს დაგვესხნენ, მაგრად დავხვდებით! — გულმაგრად შეპყეფა ბომბომ.

— სულელო ბომბო, — გაეცინა თაიას, — ვარსკვლავები ისე შორსაა, აქამდე ვერასოდეს მოაღწევენ!

ამ დროს საიდანლაც ვარსკვლავი გამოვარდა, მოფრინავდა და მოიძახოდა: „ბიპ, ბიპ, ბიპ!..“ ახლოს რომ ჩამოიქროლა, წამოიძახა:

— სალამი მეგობრებო!.. ბოდიში, არა მცალია!

— აკი ვერ მოგვწვდებიან? — იკითხა ძროხა ელპიტემ.

— ეს ვარსკვლავი კი არა, დედამიწის თანამგზავრია! — აუხსნა თაიამ.

— ეგერ კუდიანი თანამგზავრი! — პირჯვარი გადაიწერა მართა ბებომ.

მართლაც ცაზე თეთრი და გრძელკუდიანი ლაქა გამოჩნდა.

— ბებია, ეს თანამგზავრი კი არა, კომეტა!

— კომეტა თუ რალაცა, კუდიანია! — ურნმუნოდ თქვა მართა ბებომ.

— ასე შორს რანაირად გაფრინდა? — იკითხა პიპიპიმ, მას კომეტა თავისნაირი კუდიანი ეგონა.

მეორე თანამგზავრმა გადაჭრა გზა. ტანზე სხვადასხვანაირი რკინები აეხუნძლა და ციბრუტივით ტრიალებდა. ალბათ მოუცლელი ვინმე იყო, „არ მცალია, არ მცალია!“ და ჩაიქროლა.

— ყველას სადღაც მიეჩეარება! — უკმაყოფილოდ თქვა ბაციკუკუმ. — ასე გზასაც ვერ გაიკითხავ!

— ვარსკვლავები არსად ჩეარობენ! — დაამშვიდა პანომ.

შორეული ვარსკვლავები მართლაც ადგილიდან არ იძროდნენ, მაგრამ აი, ერთი გადაადგილდა, მეორეს თვალი ჩაუპაჭუნა და გასძახა:

— ახალი პანანა შემოგვემატა!

მეორემ პასუხი ოცი წუთის შემდეგ დაუბრუნა:

— დიახ, დედამიწა კვლავ გვასაჩუქრებს!

— აკი არ იძრიანო? — მართა ბებომ იკითხა.

— ესენი ვარსკვლავები კი არა, პლანეტებია! — ვაჩე მამიკომ ყველაფერი იცოდა.

სწრაფად მიფრინავს „მზის ნიუარა“.

აი, დედამიწის ჩრდილს გასცდა და ცაზე წითლად ავარვარდა მცხუნვარე მზე, გაკვირვებით მოიხედა და იკითხა:

— ეს ვინდა დაემატა ჩემს სამფლობელოს?

— დედამიწა მიგზავნის! — ჩაიბუბუნა ნამგალა მოვარემ.

დედამიწა თანდათან კლებულობდა, მოვარის ნამგალი კი იზრდებოდა და იზრდებოდა, ბურთგადანაყლაპსა ჰგავდა...

მზე, დედამიწა, მოვარე, პლანეტები, ვარსკვლავები... სამყარო უსასრულო და ფერადოვანი ყოფილა.

ჯაჯუ-ბიჭმა მოიხედა, მორცხვად გაილიმა და თქვა:

— მგონი, ცის ზეიმია!

## 7. ნამგალს არავერიჩამოვთეხოთ!

— მე თუ მკითხავთ, ძალიან ჩეარა მივფრინავთ! — განაცხადა ძროხა ელპიტემ. — ამ ნამგალს რომ დავეჯახოთ, ვაითუ ბოლო მოვატეხოთ! იცოდეთ, მოვარე ვერ გამოელდება და ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება!

— ნამგალი კი არა, ბურთია! — პანოს ჯიბიდან გადმოიხედა ბაციკუმ. — მთავარია, ვიპოვოთ ადგილი, სადაც მზისიას სძინავს!

— მე ხომ მზისიას სიზმარში დავიბადე! — ალაპარაკდა პანო. — სიზმარივით მახსოვს, თითქოს ბროლის სასახლეში ვცხოვრობდით!

— პანო, — მიესიყვარულა თაია, — შენ თუ დედიკოს სიზმარში დაიბადე, ჩემი პატარა დაიკო ყოფილხარ!

— ჩემი შვილიშვილი ყოფილა! — დაასკვნა მართა ბებომ.

— და, რა თქმა უნდა, ჩემი შვილი! — გაულიმა ვაჩე მამიკომ.

— ესე იგი ჩემი პატრონიც ყოფილა! — კუდი გააქიცინა ძალლმა ბომბომ.

— ძალიანაც არ მჭირდება? — აიმრიზა ფისო მირანდოლა. — მეყოფა, ისედაც ბევრი პატრონი მყავს!

— ტოლჩა რძე თაიასავით შენც გეკუთვნის! — ძროხა ელპიტემ ხელზე ხაოიანი ენა აუსვა.

— პანო ჩემი უახლოესი მეგობარია! — საზეიმოდ გამოაცხადა ჩოჩორმა ბენტომ. — დედამიწაზე რომ დავბრუნდებით, მის საპატივცემლოდ კონცერტს გავმართავ!

— იმ კონცერტზე მეც დამპატიუე! — სთხოვა პიპიპიმ.

— მეც! — ჯაჯუ-ბიჭმა ქედზე მოუთათუნა ბენტოს.

— პიპიპიც ჩემი მეგობარია! — თქვა ბენტომ. — ჯაჯუ-ბიჭმის ჩოჩორი ვარ! — შუბლი მიუხახუნა ბენტომ და ჯაჯუ-ბიჭმი კისერზე მოეხვია.

— ეპ, ორ ცეცხლს შორის ვიწვი, — სევდა მოერია ბაციკუკუს, — ნამდვილი დეტექტივი კლიტის ჭუჭრუტანაში უნდა გაძვრეს, პანოს რჩეული კი დიდი უნდა იყოს...

ამ მასლაათში მოვარე აგერ, გვერდით აღმოჩნდა, ცა სანახუროდ დაფარა. უამრავ მრისხანე მთაგრეხილსა და კლდეს შორის ვრცელი ზეგნები და ტაფობები გადაიშალა, მრგვალი კრატერებით დაცხრილული.

— წყალი არსადა! — თავი უკმაყოფილოდ გააქნია ბომბომ.

— აქ თაგვებს ვერ დაიჭერ! — ამოიხრა მირანდოლამ.

— ქატოს ლეჭვა მოგიწევს, მეგობარო ბენტო, ბალახი აქ არსად ბიბინებს! — უთხრა ძროხა ელპიტემ ბენტოს.

— ბალახს ვინ ჩივის, ნიავიც არ ქრის, რაკი პაერიც არ არის! — აუხსნა ჭკვიანმა ჩოჩორმა.

„მზის ნიუარა“ ნელა და რბილად დაჯდა მტვრიან ველზე.

ირგვლივ ცადაწვდილი მთები წამოიმართა.

მზე თვალისმომჭრელად ანათებდა.

განაპირა მთის ძირას ბროლის სასახლე ბრწყინავდა...

### 8. საუბარი მთვარის დედასთან

— სადა ვართ? — იკითხა ჩოჩორმა ბენტომ.

— წვიმების ზღვაში, არქიმედეს კრატერთან! — უპასუხა ყოვლისმოდნე ვაჩე მამიკომ.

— არც წვიმაა სადმე და არც ზღვა! — ჩაიზმუილა ძროხა ელპიტემ.

— შინ, დედამიწაზე მინდა! — ჩაიკავლა ფისო მირანდოლამ.

— აქ ცოცხი რომ მქონდეს, მაინც ვერ ვიფრენ! — ჩაურთო პიპიმ.

— მთავარია დისციპლინა! — ხელი ხელს შემოჰკრა ბაციკუუმ. — დისციპლინა თუ არ გვექნა, საქმე არ გამოვა. ამიტომ ზედმეტი ლაპარაკი უნდა შეწყდეს... მოვემზადოთ გასასვლელად!

თქმა იოლია, საქმეა ძნელი! მთვარეზე გარეთ მხოლოდ სკაფანდრებით დადიან. აბა, ქვეყნიერებაზე სად მოიძებნება სკაფანდრი ფისო მირანდოლასათვის, ან ბომბოსათვის. ძროხა ელპიტე ხომ ორი კაცის სკაფანდრშიც ვერ ჩაძვრება, თანაც რქებს სად წაიღებ, ხომ არ მოახერხავ!.. არც ჩოჩირის სარგო სკაფანდრია სადმე!

— გადაწყდა, ცხოველები დარჩებიან, ადამიანები წავლენ! — ბრძანა ბაციკუუმ.

— მე დაგჭირდებით! — თქვა ძროხა ელპიტემ. — უცებ გზაზე გემრიელი რძე რომ მოგინდეთ, უჩემოდ ვერსად იშოვით!

— მე უფრო დაგჭირდებით! — ჩაერია ჩოჩირი ბენტო. — თუ მოგწყინდათ, გზა-გზა გიმლერებთ!

— ცოტა ხნით ურძეოდაც გავძლებთ და უსიმლეროდაც! — არ დათმო ბაციკუუმ.

— რომ იცოდეთ, როგორი საჭირო ვარ, — აწკმუტუნდა ძალლი ბომბო, — კუდიანი ვარსკვლავი თუ დაგესხათ თავზე, ისე შევუყეფ, რომ...

— „მზის ნიუარას“ თუ ვინმე დაესხა თავს, იმას შეუყეფე! — გააწყვეტინა ბაციკუუმ.

— ბაციკუუ სწორია! — ჩაიკრუტუნა ფისო მირანდოლამ და გემრიელი ძილისათვის მოეწყო. — ცხოველი ცხოველია, ის იქ უნდა იყოს, სადაც საშიშროება ნაკლებია.

სკაფანდრების ჩაცმა რომ დაიწყეს, ბაციკუუს ზომისაც ვერსად აღმოაჩინეს. რა უნდა ექნათ, მამაც დეტექტივს შინაურ ცხოველებთან ხომ ვერ დატოვებდნენ. ვაჩე მამიკომ გულისჯიბეში ჩაისვა და როცა საჭირო იყო, ბაციკუუ თავის განკარგულებებსა და რჩევა-დარიგებებს იქიდან ამოსძახებდა.

ცოტა ხანიც და მთვარის მტვრიან ზედაპირზე ფეხი დადგა ვაჩე მამიკომ, მას მიჰყვა მართა ბებო, მერე თაია, პაწო, პიპიპი და ჯაჯუბიჭი...

— წინ, მეგობრებო! — ვაჩე მამიკოს ჯიბიდან რადიომიკროფონში ჩასძახა ბაციკუუმ. მთვარეზე ხომ ჰაერი არაა და მხოლოდ რადიოთი ლაპარაკობენ.

მამაცთა რაზმი გზას დაადგა. პირველი, ცხადია, ვაჩე მამიკო მიდიოდა. გულისჯიბეში მოუსვენრად წრიალებდა ბაციკუუ. სათვალთვალოდ ლილისოდენა შუშის საჭვრეტი ჰქონდა დარჩენილი და ბროლის სასახლის ანარეკლს გარდა, ვერაფერს ხედავდა.

მართა ბებოს ხალვათი და მოუხერხებელი სკაფანდრი ერგო და ძლივს მიაბიჯებდა.

გოგო თაია დინჯად მიდიოდა. კარგადაც ესმოდა, რა პატივი ერგო; მთვარეზე ხომ არც ისე ბევრ ადამიანს გაუვლია.

პატარა კუდიანი პიპიპი რბილ მტვერზე რომ შედგა, შეკუნტრუშდა და, ნარმოიდგინეთ, ერთი ათი ნაბიჯით გადასტა, ბათქანი მოადინა და ავარდნილი მტვერი კარგა ხანს ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს.

— აბა, დამიჭირე! — შეუძახა ჯაჯუ-ბიჭს.

შესჭიხვინა ჯაჯუ-ბიჭმა და გამოუდგა. ახტებოდა და ათი ნახტომისას გადაევლებოდა.

წუთში მთელი ტაფობი თავისი ნაკვალევებით გადახაზეს. მთვარეზე კი, მოგეხსენებათ, ნაკვალევი მილიონი წელი არ წაიშლება.

— დაშოშმინდით! — უბრძანა ბაციკუუმ.

— დაშოშმინდით, ბავშვებო! — გაიმეორა ვაჩე მამიკომაც.

პიპიპიმ და ჯაჯუ-ბიჭმა დაჭერობანას თამაში შეწყვიტეს, მაგრამ ხითხითს ვერ იკავებდნენ.

აგერ მთის ძირიც, მზეზე ბროლის გამჭვირვალე სასახლე ბრწყინავს.

— ვინ მოდის? — გაისმა სკაფანდრში ხმა.

— ადამიანები ვართ! — უპასუხა ვაჩე მამიკომ.

— რამ მოგიყვანათ? — იკითხა ხმამ. — აქ მხოლოდ სიკვდილი ბატონობს!

— აქ ჩემი მეუღლეა!

— აქ ჩემი რძალია! — თქვა მართა ბებომ.

— აქ ჩემი დედიკოა! — ხმა აუკანკალდა თაიას.

— ჩემიც! — დაუმატა პაწობ.

— მყუდროებას ნუ გვირლვევთ! — ჩაიდუდუნა ხმამ. — ვინც თავი შემომაფარა, სამუდამოდ უნდა იძინოს!

— ჩემი დედიკო აქ როგორ გაჩნდა? — იკითხა თაიამ.

— ჯადოქრებმა მოიფიქრეს მისი დაღუპვა, რათა ხელთ ეგდოთ „მზის ნიუარა“. ამიტომაც სიკვდილის ძილი მოუვლინეს. ისლა მოასწორ, შემევედრა, შემიფარეო... ჯადოქრებს ხელიდან გამოვტაცე და მისი კუბო ცად ავიყვანე... როგორ ყმუოდნენ სიმწრისაგან ის ჯადოქრები — ბუჟი, ბუჟბუჟი, ბუჟბუჟბუჟი... ახლა აქ არის დედაშენი, მშვიდადა სძინავს!

— თვითონ ვინ ხარ? — კრთომით იკითხა თაიამ.

— მთვარის დედა ვარ!

— დედაშვილობას, — შესთხოვა თაიამ, — შენც ხომ დედა ხარ!

— მეც დედა ვარ! — გაიმეორა მთვარის დედამ. — ჰო, დედა ვარ!

— მაშინ გაგვიღე ეს კარები, გვაჩვენე დედა!

პასუხად დუმილი ჩამოვარდა.

იდგნენ და ელოდნენ, იმედი ეწურებოდათ.

უცბად ყურმილში დაიწკრიალა ბროლის ზანზალაკებმა და სასახლის კარები გაიღო...

#### 9. დედიკო, მე გენ მიუვარხარ!

თაიამ სხვებს გაასწორ, კიბე სწრაფად აირბინა და კარში შევარდა.

უზარმაზარ ბროლის დარბაზში აღმოჩნდა. იატაკიც ბროლისა იყო, მაღალი კედლებიც, თაღოვანი ჭერიც... კედლებსა და ჭერზე უამრავი ბროლის ფირფიტა ეკიდა და ირხეოდა, მზის სხივები ატან-

და ყოველი მხრიდან, ფირფიტებზე ათასნაირად ტყდებოდა და ცისარტყელას ყველა ფერით ავსებდა სივრცეს.

შუა დარბაზში, შემაღლებულზე გამჭვირვალე კუბო იდგა. კუბოში მზეთუნახავს ეძინა.

მიირბინა თაიამ და დახედა. დიდი ხნის წინათ ენახა პატარა თაიას ეს ქალბატონი. ცოცხალი იყო მაშინ მზისია დედიკო, პირისახე უცინოდა, კბილები თეთრად უკრიალებდა, ცისფერი თვალები შუქს ასხივებდა, ოქროს თმები მხრებზე ეყარა... ვაჩე მამიკოსთან ცეკვავდა და მისი ბედნიერი სიცილი ზანზალაკების წკრიალსა ჰგავდა...

იდგა ახლა გოგო თაია და ცრემლს ძლივს იკავებდა.

მივიდა ვაჩე მამიკო, შვილს გვერდით ამოუდგა და ისიც უხმოდ დაჰყურებს მზისიას.

ბაციკუკუ იყურება ჭუჭრუტანიდან და ხმას ისიც ვერ იღებს, რადგან თვალებზე მასაც ცრემლი მოადგა და ის ჭუჭრუტანა გაიდღაბნა.

მივიდა პაწო და ვაჩე მამიკოს ამოუდგა, მხარზე თავი მიაყრდნო.

ძლივს მიაღწია მართა ბებომ, ესეც ჩუმად დგას და რძალს დაჰყურებს.

მოირბინეს ჯაჯუ-ბიჭმა და პატარა კუდიანმა პიპიპიმ. წირშეცლილნი გაჩერდნენ, სიცილი ჩაიხშეს, ცელქობის გუნებაზე აღარ არიან.

მართა ბებო აფშლუკუნდა, ვაჩე მამიკომ კი მძიმედ თქვა:

— ტირილის დრო არა გვაქვს, მზისია დედიკო ყველამ ერთად „მზის ნიუარაში“ უნდა გადავასვენოთ!

გარს შემოუდგნენ ბროლის კუბოს, ასწიეს და წამოასვენეს. მძიმე არც იყო, რადგან მთვარეზე ყველაფერი ბევრად უფრო მსუბუქია.

დაეშვნენ კიბეზე და გაივაკეს, საკუთარ წაკვალევს გაუყვნენ.

უკან მოიხედეს. ბროლის სასახლე გამქრალიყო. იმ ადგილას მკაცრი, მიუვალი კლდეები იყო წამომართული და შავ ჩრდილს აფენდა.

მზემ გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა.

სწრაფად განვლეს გზა.

იქ, არქიმედეს კრატერთან, წვიმების ზღვაში სამუდამოდ დარჩა „მზის ნიუარის“ მგზავრთა წაკვალევი. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მთვარეზე მისულ პირველ ადამიანთა წაკვალევია.

ხომალდში შეაღნიეს, ბროლის კუბო დაასვენეს, კარები დაგ-  
მანეს და სკაფანდრები გაიხადეს.

ყველანი გარს შემოეხვივნენ მზისია ვაჩნაძეს.

ძროხა ელპიტემ ცრემლი გადმოაგდო, მაგრამ არაფერი უთქ-  
ვამს. არ დაუყეფია ძალლ ბომბოს, კნავილი არ დასცდენია ფისო  
მირანდოლას, არ აყროყინებულა ჩოჩორი ბენტო.

ჩუმად იდგნენ და არავინ იცოდა, რა ექნა.

გოგო თაიამ ხელი გადაუსვა გამჭვირვალე ბროლს და, ჰოი, საო-  
ცრებავ, ბროლი თითქოს დადნა, აორთქლდა, გაქრა.

მზისია დედიკოს ლოყები შეეჯაკლა, წამნამები შეუთორთოლდა.

— სძინავს? — ჩუმად იკითხა მართა ბებომ.

— სძინავს! — სიხარულისგან ძლივს ამოლერლა ვაჩე მამიკომ.

— დედიკო! — ჩასჩრუჩულა გოგო თაიამ. — დედიკო, მე შენ  
მიყვარხარ!

სწორედ ეს იყო ის ჯადოსნური სიტყვები, სამმა ბოროტმა ჯა-  
დოქარმა რომ ვერ იპოვა.

მზისია დედიკოს გაელიმა და თვალი გაახილა.

— ოჳ, რამდენი მძინებია! — თქვა და წამოინია.

— ვაშა! — გულისჯიბიდან ისკუპა ბაციკუკუმ. ამ ხნის მანძილზე  
ის ხომ გულისჯიბეში იჯდა და ყველას დაავიწყდა.

— ჰამ, ჰამ! — შეჸყეფა ძალლმა ბომბომ და ერთი გემრიელად  
გადაკოტრიალდა.

— ია! — შეჸყროყინა ჩოჩორმა ბენტომ და ტლინკები ჰყარა.

— მუუ! — შეჸზმუვლა ძროხა ელპიტემ და ქალბატონისთვის  
მეტად შეუფერებელ კუნტრუშს მოჰყვა.

ფისო მირანდოლა კინალამ გაიტანეს და მართა ბებოს მხარზე  
უშველა თავს.

ჯაჯუ-ბიჭი ყირაზე გადავიდა, ეგონა ამისი ოსტატი ვარო, მაგ-  
რამ პატარა კუდიანმა პიპიპიმ ისეთი ყირა გაჭიმა, ჯაჯუ-ბიჭსაც  
კი შეშურდა.

მზისია დედიკომ მიმოიხედა, პირისახე გაუცისკროვნდა.

— შვილო! — ჩაიჩურჩულა და გოგო თაია ჩაიხუტა, მერე ვაჩე  
მამიკოსაც ჩაეხუტა და მართა ბებოსაც.

გულმაგრად კი იყვნენ, მაგრამ სიხარულის ცრემლს მაინც ვერ  
იკავებდნენ.

პანომ ხელი გაუწოდა და მორცხვად უთხრა:

— დედიკო, მეც შენი ვარ!

ბაციკუკუმ მოიწყინა.

— მე კი არავისი არა ვარ!

— ბაციკუკუ! — ხელში აიყვანა თაიამ. — შენ ჩვენ ყველას გვიყ-  
ვარხარ!

— დიახ, ჩვენი ოჯახის მეგობარია! — დაადასტურა ვაჩე მამიკომ.

— ჩემი ყველაზე საპატივცემლო სტუმარია! — დასძინა მართა  
ბებომ.

— ბაციკუკუ ჩემია! — თქვა პანომ და მამაცი დეტექტივი ჯიბე-  
ში ჩაისვა.

ყველანი რომ დამშვიდდნენ, მზისია ვაჩნაძემ ხომალდი დაათვა-  
ლიერა.

— ამ ხომალდს მე დავარქვი „მზის ნიუარა“, იმიტომ, რომ ნი-  
უარას ჰეგავს, მზესავით პატარა გულით მუშაობს და მხოლოდ სი-  
კეთეს ემსახურება. ბოროტ ჯადოქრებს უნდოდათ ხელში ჩაეგდოთ  
და მისი დახმარებით მთელი სამყარო დაეპყრათ!

— ჩვენ კი ხელიდან ავაცალეთ! — თქვა ვაჩე მამიკომ. — ბორო-  
ტი ჯადოქრები იქ დარჩნენ, წაფიგაიგეში, ვიჩქაროთ და ქალაქი  
გადავარჩინოთ!

გასაფრენად გაემზადნენ.

— დედიკო, შენ იქნები „მზის ნიუარის“ კომანდორი! — უთხრა  
გოგო თაიამ.

— ვინც ხომალდს ქმნის, იმას „გენერალური კონსტრუქტორი“  
ჰქვია! — აუხსნა მზისიამ. — მე მინდა, რომ „მზის ნიუარას“ კომან-  
დორი კვლავაც ჩემი გოგონა იყოს!

გოგო თაია კომანდორის სავარძელში ჩაჯდა, თითო ლილაკს  
დააჭირა, ძრავა აამუშავა, მერე საჭე გადასწია და ლურჯი ხომა-  
ლდი მთვარის ზედაპირს მოსწყდა.

— მშვიდობით! — მოისმა მთვარის დედის შორეული ხმა.

— მშვიდობით! — ჩაიბუბუნა მთვარემაც.

„მზის ნიუარამ“ გეზი დედამიწისაკენ აიღო...

## 10. დაპრუნება

მეტად უცნაური ამბავი მოხდა იმ დღეს წადიგაიგეს თეატრალურ მოედანზე.

მზიან ნაშუადლევს ციდან უზარმაზარი ლურჯი ბურთი დაეშვა, მსუბუქი გუგუნით ასფალტს შეეხო და მოქალაქენი მიხვდნენ, რომ სახელგანთქმულ წადიგაიგეს საპლანეტთაშორისო ხომალდი ეწვია.

ქალაქის თავმა ოხოხომ გუგუნი გაიგონა, ფანჯრიდან გაიხედა და თავი გააქნია:


— ოხ-ოხ-ო!..

უმაღვე ფეხებიდან საპატიო ბორკილები ჩამოსცვივდა, მკლავებზე საპატიო ბანარი შემოეხსნა. გახარებულ ოხოხოს გაახსენდა, რომ ის ქალაქის თავი კი არა, ფიზკულტურის მასწავლებელია. დაადო თავი და სკოლისაკენ მოკურცხლა.

ნოტარიუსი კოკო ამ დროისათვის კარგა ხნის გათავისუფლებული იყო ტყვეობიდან. საამისოდ მუხის გადახერხვა გახდა საჭირო, სხვანაირად ფულუროდან ვერ გამოეტეოდა. იჯდა ახლა თავის კანტორაში, როხო თავი მაგიდაზე დაედო და გემრიელად ხვრინავდა. გუგუნი რომ მოესმა, გამოელვიძა, რა ხდება, კვლავ ქალაქის თავად ხომ არ მნიშნავენო, მაგრამ ძილი ისე გაუტკბა, ქალაქისას კი არა, ქვეყნის მეთაურობას სჯობდა. ნოტარიუსი კოკო ძილს მიუბრუნდა. სიზმარში ვითომც კვლავ ფულუროში გახლდათ გაჭედილი და აცრემლებული იხვეწებოდა, ამომიყვანეთ, თორეშ ვირთხებმა ფეხები მომაჭამესო.

არქივარიუსის მუზეუმში ერთბაშად გაიღვიძა ყველა თოჯინამ, გაკვირვებულებმა მიმოიხედეს და გასასვლელს მიაშურეს. იქიდან მთელი დღე მოედინებოდა გამრთელებულთა კოლონა და წადიგაიგეს უბრუნდებოდა.

თეატრალურ მოედანზე უცნაურობას უცნაურობა წაემატა. კუთხის ქუჩიდან მუხის მდიდრული მაგიდა გამოჯირითდა. მას თან მოოქროვილი სავარძელი მოჰყვებოდა. ქალაქის თავი, გვარად პირველი, საბუთებს ხელს აწერდა. ისე იყო მუშაბაში ჩაფლული, ალბათ ვერც გაიგო, რომ მოხსნილი ბრძანდებოდა და მის არყოფნაში ბარე ორი ქალაქის თავი გამოიცვალა... სკამ-მაგიდამ თავისი



პატრონი რატუშაში შეაჯირითა. პირველმა თავი ასწია და იკითხა: „ახალი რა ხდება წადიგაიგეში?“

ჰო, ჰო, ჰო! იმდენი რამე ხდებოდა, ყველაფერს ვერც ჩამოვთვლი!

ჭინკა-მაიმუნები ერთბაშად, ერთ წუთში მოსწავლე ბიჭუნებად გადაიქცნენ, კუდიანები კი მოსწავლე გოგონებად. ბიჭუნებმა ჯდანვა შეწყვიტეს, გოგონებმა ცოცხები ამოილლიავეს და ახლა დირექტორი გაკვეთილითუიცი, პატივცემულ პატიკო მასწავლებელთან, ჩიტო მასწავლებელთან, ალათი მასწავლებელთან, ლუდმილა

რუსლანოვნასთან ერთად, ცდილობდა ბავშვებიორ რიგად დაეწყო, რათა სკოლის გზაზე დაეყენებინა... გაკვეთილითუიცი ირწმუნებოდა, ოლონდ ესენი მერხებამდე მიმაყვანინეთ და ორიანებთან მებრძოლ დამრტყმელ რაზმებად ჩამოვაყალიბებო...

კაცვირთხები?.. სად იყვნენ კაცვირთხები?.. ვირთაგვებზე თუ ლაპარაკობთ, მართლაც ბოლო დროს მომრავლდნენ, მაგრამ ახლა რატომლაც ყველამ ერთად მიწისქვეშა ხვრელებს მიაშურა გულისხეთქებით.

„მზის ნიუარა“ თანდათან დადუმდა, გაყუჩდა. იდგა დიდი, ლურჯი ბურთი თეატრალურ მოედანზე, ლურჯ სხივებს აფენდა ირგვლივ. აგერ რატუშის ნაცრისფერი სვეტები მხიარული ლურჯი ფერის გახდა, ცისფერი დაეფინა თეატრის ლამაზ შენობასაც თავისი განუყრელი ნიღბებით — სიცილისა და ტირილისა... არქივის ორსართულიანი, უფერული სახლიც თითქოს გამოცოცხლდა. მის უკან მიმალულ ციხეს მრისხანება სულაც არ ეტყობოდა, ცდილობდა თვალებში არავის შესჩირებოდა, დაბლა-დაბლა იწევდა და უცებ, ზედმეტი მცდელობისაგან ჩაიფშვნა, მისგან მხოლოდ ლორლი და მტვერი დარჩა...

გაიხსნა „მზის ნიუარის“ კარი.

გოგო თაიამ გადმოდგა ფეხი, ხელი ჩაუვლია მზისია დედიკო-სათვის. მათ პანო და ვაჩე მამიკო მოჰყვებიან.

მთელი ქალაქი აქ შეყრილა. მოქალაქენი აღტაცებისაგან ქუ-დებს ცაში ისვრიან. ისმის „ვაშას“ შეძახილები და ტაშისცემა.

აგერ მართა ბებო გამოვიდა, თან თავისი განუყრელი მეგობარი ძროხა ელპიტე მოჰყავს.

აგერ ძალლ ბომბოს პირში ყალიონი გაურჭვია, წინა თათები ზუ-რგზე შემოუწყვია და ისე მოაბიჯებს, თითქოს ტაში და დიდება არაფრად ეპიტნავებოდეს.

სამაგიეროდ ფისო მირანდოლა გაინაზა, ისე აკრუტუნდა, ისე გაიქნია თავისი ფუმფულა კუდი, მთელი საკატეთი გადარია.

პატარა კუდიანი პიპიპი ერთი ცუნცულა გოგონა აღმოჩნდა. როგორც კი ჩამოირბინა, გაკვეთილითუიციმ სტაცა ხელი და მოს-წავლეთა რიგში უკრა თავი.

ჯაჯუ-ბიჭი უჩვეულოდ დადინჯებულა, ჩოჩორი ბენტოსათვის კისერზე ხელი შემოუხვევია და ისე მოაბიჯებს.

ჩოჩორმა ბენტომ ფეხები გაჩაჩხა და მსმენელთა გასახარად ერთი გემრიელი სოლოყროყინი შემოსძახა:

— მადლობელი ვა-არ!..

ტაშმა ისე იგრიალა, კინალამ ცა ჩამოიქცა.

ხალხს კალათბურთელივით მაღლი, გამხდარი კაცი და მეტად მსუქანი, დაბალი ქალი გამოეყვნენ.

— ჩვენი ჯაჯუ! — იკივლა ქალმა.

— შვილო ჯაჯუ, ცოცხალი ხარ?! — გადაირია კაცი.

ჯაჯუ-ბიჭმა კი აუღელვებლად უთხრა:

— დედა, მამა! რა ამბავია? დამშვიდდით, ხალხი გვიყურებს! კაცსა და ქალს ენა ჩაუვარდათ, ისე გაუკვირდათ შვილის სი-დინჯე. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ესენი დიდი ჯაჯუ და ქალბატონი ჯაჯულია გახლდნენ. დღეის იქით ჯადოქრობის მთე-ლი სიბრძნე თავიდან ამოშლოდათ და ერთი ჩვეულებრივი მშობლე-ბი გამხდარიყვნენ. წინასწარვე ვიტყვი, ქალბატონი ჯაჯულია სკოლის ბუფეტში იწყებს მუშაობას (ხომ იცით, როგორ უყვარს ნამცხვარი და ჯემი!), დიდი ჯაჯუ კი — თეატრში მებილეთედ (თე-ატრი მისი გატაცებაა!).

— ჯაჯუ-ბიჭო, მე ხომ შენი ჩოჩორი ვარ? — პკითხა ბენტომ.

— შენ ძალიან კარგი ჩოჩორი ხარ და ყოველთვის ჩემი იქნები! — აღუთქვა ჯაჯუ-ბიჭმა.

სულ ბოლოს ხომალდის ზღურბლზე გამოჩნდა მამაცი ბაცი-კუკუ, ზოლებიანი კეპი დაუქნია შეკრებილთ და განაცხადა:

— მოქალაქენო! მოგესალმებით და აქვე გემშვიდობებით სა-ხელგანთქმული დეტექტივი ბაციკუკუ! თქვენი ქალაქი მშვე-ნიერია, მაგრამ შორეული მხარეების ფათერაკები მიხმობენ!

თაიამ „მზის ნიუარის“ გლუვ ზედაპირს ხელი შეახო და ჩასჩუ-რჩულა ჯადოსნური სიტყვა:

— ანედოსილ-ფრჩხი!

უზარმაზარი ხომალდი უცებ დაპატარავდა, დაპატარავდა, თვალ-სა და ხელს შუა დადნა, ერთი ხელისდადება ნიუარად გადაიქცა.

თაიამ აიღო და ჯიბეში ჩაიდო...

— ბაციკუკუ! — თვალზე ცრემლი მოადგა პანოს. — ნუთუ უნდა დაგვტოვო? ერთხელაც გაიხსენე ის ჯადოსნური სიტყვა!

— რომელი? ანედოსილ-ფრჩხი? — უნებლიერ წამოსცდა ბაცი-კუკუს და პირზე ხელი იტაცა.

მშვენიერი, ტანაშოლტილი პანო წამში დაპატარავდა, ისეთივე პანაწკინტელა გახდა, როგორიც ადრე იყო.

ყველანი შენუხდნენ, მაგრამ ნუხილი არაფერს შველოდა და შინისაკენ გამოემართნენ...

## 11. ბაციკუკუს სევდა

სალამოა, მიდამოს ბინდი ეფინება.

სახლში სიმშვიდეა, საათი ნელა ტიკტიკებს.

ტელევიზორი დაბალ ხმაზეა ჩართული.

ჩოჩორ ბენტოს სოლოყროყინს გადმოსცემენ.

— იაა! — მეგობრების პატივსაცემად ხმას არ იშურებს ბენტო. მართა ბებო ჯორკოზე ზის და ქსოვს.

ვაჩე მამიკო და მზისია დედიკო გვერდიგვერდ სხედან, მალი-მალ შეხედავენ ერთმანეთს, არაფერს ამბობენ, მაგრამ ბედნიერად ელიმებათ.

გოგო თაიასაც ელიმება, ისიც ბედნიერია და იმიტომ.

ძროხა ელპიტე ეზოში, მდელოზე წამოწოლილა და მშვიდად  
იცოხნება.

ძალლი ბომბოჭიშკარს დარაჯობს, ხანდახან ყურებს დაცქეტს,  
ბინდს აკვირდება.

ფისო მირანდოლა მართა ბებოს ფეხებთან გაწოლილა და თა-  
ვისოთვის კრუტუნებს.

პანო და ბაციკუკუ მოაჯირზე ჩამომსხდარან, დაუსრულებლად  
ჩურჩულებენ, სათქმელი ბოლომდე ვერ უთქვამთ...

უცებ ბომბო წამოიწია... რა ამბავია?.. რა იყნოსა?..

ბაციკუკუ ბინდს აკვირდება. ლობის მიღმა, ბუჩქებში რაღაც  
გაშლიგინდა.

— ბომბო, ეცი მაგათ!

ბომბო წამოვარდება და ყეფით უტევს. ბუჩქებში სამი ჯადოქარი  
ჭყვირის. არქივარიუსი ბუჟი, მამა ბუჟბუჟი და პაპა ბუჟბუჟბუჟი  
უცბად ვირთხებად გადაიქცევიან და სოროს მიეტანებიან.

ბომბო დგას, ხან იყეფება, ხან წკმუტუნებს... რა ქნას? მტერი  
დაეკარგა!

— უნდა წავიდე! — წალვლიანად ამბობს ბაციკუკუ. — ისეთ ქვეყ-  
ანას მივაგნებ, სადაც გავიზრდები!

— მეც გავიზრდები! — უხსნის პანო. — თითებზე დაითვალე, —  
ხელის თითებს უჩვენებს, — ამდენი წლის შემდეგ თუ დაბრუნდები,  
გაზრდილი დაგხვდები!

მართა ბებო ოთახში შედის. კარადის უკან, ძველმანებში თაიას  
აკვანია გადანახული და ის გამოაქვს. ზედ ლეიიბს და ჭრელ საბანს  
დააფენს, აპრეშუმის ლამაზი ნაჭრებით გააწყობს. პანოს ამ ქსო-  
ვილებში გაახვევენ, პირში საწოვარას ჩაუდებენ და დაურწევენ.

მზისია დედიკო აკვანზე დაიხრება და „იავნანას“, წაზადუმლერის.

მართა ბებო კმაყოფილი ამბობს:


— ღმერთმა ორი გოგონა მოგვცა, ერთი ბიჭილა გვაკლია!

ბაციკუკუ აი, აქ იდგა ამწუთას... იდგა და აღარა დგას... სად  
წავიდა?.. ალბათ სევდამ წაიყვანა...

— ბაციკუკუ! — ეძახის თაია.

ბაციკუკუ შორსაა, იგი ახალ ფათერაკებს ეძებს... დრო გავა,  
ოდესმე ჩამოაკითხავს პანოს... დიახ, ყველაფერი ასე მოხდა, აი აქ,  
ამ ქალაქში, ლურჯი ცის ქვეშ!

## მაცროებები



დრო, როცა მატარებელში აღმოვჩნდი, მეხსიერების მიღმა დარჩა. უკვე წამოზრდილს, მოცალეობის ჟამს, დედა მიყვებოდა ჩვენი პირველი ვაგონის თაობაზე. მამა ღარიბი ოჯახიდან იყო და ბაბუაჩემმა ეს მოხანძალებული, დაშლის პირას მისული ვაგონილა დაუტოვა. ადრე, ალბათ, საქონლის გადასაყვანად იყენებდნენ, იატაკს ნაჩლიქარი აჩნდა, კედლებს რქების ნაჩხვერი. რაც მთავარია, თავზე არ გვაწვიმდა (ხომ არსებობს ისეთი ვაგონებიც, სახურავი საერთოდ რომ არ გააჩნიათ!). ოლონდაც, კედლების ჭუჭრუტანებიდან სინათლის ვიწრო ზოლები და სიცივე ატანდა. იატაკი ალაგ-ალაგ ამომტვრეული იყო და პატარაობისას იმით ვერთობოდი, რომ ძელების უსასრულო რბოლას უცეკერდი. ჩქარი მოძრაობისას ისინი ერთმანეთს ერწყმოდნენ, მაგრამ თუ მატარებელი სელას შეანელებდა, მათი დათვლაც შეიძლებოდა. პირველად ასე ვისწვლე ათამდე თვლა, მერე ოცამდე და ა. შ.

მამა ლანდად დამამახსოვრდა, რადგან ადრე დავვეკარგა. მე და ჩემზე ორი წლით უფროს დაისა ნატას დედა გვიყვებოდა, მატარებელი დაგვიბომბესო. აფეთქებებისაგან თურმე ვაგონი ისე ირყეოდა, ლამისაა, ლიანდაგიდან გადავარდნილიყო. მამამ სანადირო თოფს დაავლო ხელი, მუდამჟამს მიხურული კარი განზე გასწია და პაერში გაისროლა, თვითმფრინავის ჩამოგდებას ლამობდა, იქიდან კი ტყვიამფრქვევით დაცხრილეს. მამას თოფი ხელიდან გაუვარდა და ვაგონიდან გადაეშვა. იმ ადგილს, სადაც ის იდგა, ნატყვიარი შერჩა. დედამ კარი სწრაფად მიხურა, ხოლო მამა დარჩა სადღაც, რომელილაც გეოგრაფიულ წერტილში, რკინიგზის მიწაყრილზე. მატარებელი ისე სწრაფად მიქროდა, წამიც და ის ადგილი უკან მოვიტოვეთ. შემდგომ დედა ნალვლობდა, იქნებ ცოცხალი იყო და ვერაფერი ვუშველეთო.

დიახ, მეხსიერებაში ესლა შემრჩა — მამა, რომელიც ღია კარში ვარდება. დედამ არ იცოდა, რომ ჩემი პირველი გახსენება სწორედ იმ დაბომბებას უკავშირდებოდა. იგი ჩემს სულში უზარმაზარი, შავი შიშის სახით ჩასახლდა. ყურთასმენის წამლები ზრიალი, ორთქლმავლის განწირული კივილი, ვაგონის ტორტმანი, ყველაფერი ერთმანეთში აირია და ვგრძნობდი, რომ ჩემი პატარა სამყარო, ამ კედლებით შემოფარგლული, ინგრეოდა და ამ ნანგრევებში მე ვიჭყლიტებოდი. დედა მოთქვამ-

და, ნატა ტიროდა, ხოლო მე, შიშისაგან გათანგული, თვალებდაჭყეტილი მიხურულ კარს მივშტერებოდი და ვერაფერს ვხედავდი, გარდა უმწიფარ ტვინში დაბადებული საზარელი ურჩხულისა, რომელიც ვაგონს გარედან შემობდაოდა.

ვერაფრით გამეგო, სად აღმოვგრჩნდი, რა სამყაროში გამოვიდვიდე და რას ნიშნავდა ყოველივე, რაც ამ კედლებს მიღმა ხდებოდა. თვით-გადარჩენის ინსტინქტი მკარნახობდა, რომ გაუცნობიერებელი საშიშ-როებისაგან დედა დამიცავდა, ან პატარა ნატა. ჩემი დაიკო დედას ეხ-მარებოდა. განა ორი წელი რა ისეთი დიდი დროა, მაგრამ იმთავითვე უფროს მფარველად აღვიქვამდი. მართლაც დიდივით მივლიდა, — მაჭ-მევდა, მეთამაშებოდა, მასეირნებდა ვაგონის ერთი კუთხიდან მე-ორისაკენ და უკან. ეს ბაჯბაჯი შორეულ მოგზაურობად მესახებოდა, რადგან საოჯახო ნივთების ლაპირინთში ვიკარგებოდი. მაშინ, თუ არ ჩავთვლი სიზმარში მინავლულ გარეთა ურჩხულს, მეგონა, რომ ესაა ერთადერთი სამყარო, მუდამ რყევადი, უწონადობაში გადმოკიდებული, მოზანზარე, არამდგრადი. ამას შეჩვეული ვიყავი, ისევე როგორც ადამიანი, რომელიც მიწაზე დგას და ვერ ამჩნევს, რომ დედამინა სივრცეში ბრუნავს. რელსებზე ბორბლების უწყვეტი დაგადუგი, ვაგო-ნის ჭრიალი ოდნავადაც ვერ არღვევდა სიწყნარქს, რადგან ეს ხმები იმ სამყაროს ნაწილი იყო, რაშიც ვარსებობდი და თუ საიდანმე, შემთხ-ვევით სხვარამ ხმაური შემოალნევდა, ჩემთვის შეუცნობელი და გაუგე-ბარი, სწორედ ის მაფორიაქებდა, ქაოსი, დისპარმონია შემოჰქონდა ერთხელ და სამუდამოდ არსებულ წესში.

სიზმარი რეალობის გაგრძელებად მეჩვენებოდა. კუთხის ქეჩაზე მეძინა დედას ჩახუტებულს. დედის მშვიდი ძილი, მისი თბილი არსებობა შიშს დევნიდა. ძილის რიტმიც ვაგონის მოძრაობაზე ეწყობოდა. ბორბლების დაგადუგი ჩემი იავნანა იყო. ამ დროს თითქოს მივთრინავდი სივრცეში, უსასრულო შორეთში, სადაც ხანდახან წამომეწოდა ხმები — ადამიანთა გადანალაპარაკევი, ძალის ყეფა, მამლის ყივილი, შემხვედრი მატარებლების გუგუნი... უამრავი სხვა ხმა მიდასტურებდა, რომ ჩემი სამყაროს გარდა არსებობდა ჩემთვის ჯერაც შეუცნობელი სამყაროები.

დღისით ვიხსენებდი ამ სიზმრებს და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „რა არის იქ, ამ მოქანავე კედლებს მიღმა?“

ცოტათი რომ წამოვიზარდე, პირველ ჭუჭრუტანას მივწვდი. ფიცრი-დან კოური ამოვარდნილიყო და იმ პატარა ნახვრეტში გავიჭყიტე. ვიხ-

ილერალაც მწვანე, ვაგონის გასწვრივ რომ ერთ მთლიან ლაქად მიქროდა. „ეს ტყეა! — მითხრა ნატამ. — ტყეში ხეებია და ხეებს ფოთლები ასხია!“ მე არ ვიცოდი, რა იყო „ტყე“, „ხე“, „ფოთლები“ და ჩემთვის დავასკვენი: „გარეთ სამყარო მწვანეა!“ მოგვიანებით ჭუჭრუტანაში პატარა, მცოცავი გორაკები გამოჩნდა. „ეს ქვიშა! — ამისნა ნატამ. — უდაბნო ქვიშისაგან შედგება!“ მე არ ვიცოდი, რა იყო „ქვიშა“ და „უდაბნო“. „გარეთ სამყარო ნაცრისფერია!“ — გავიფიქრე. მერე მატარებელი დიდხანს მიინევდა უზარმაზარი, მოლივლივე სივრცის გასწვრივ. „ეს ზღვაა! — ნატამ უკვე ყველაფერი იცოდა. — ბევრი წყალია!“ წყალი მე მხოლოდ ჭიქაში მენახა და ასე გადავწყვიტე: „გარეთ სამყარო ლურჯია!“ მერე იყო ხორბლის ყანები და ჭოჭმანში ჩავვარდი — „გარეთ სამყარო ყვითელია!“

დამღამობით ჭუჭრუტანაში კველანაირი ფერი კვდებოდა და ზედ უკუნი ეფინებოდა, რომელშიც ხანდახან თუ გაიელვებდა სუსტი ნათება, იქნებ ციცინათელასი, იქნებ შორეული, სუსტი ვარსკვლავისა. მე ოხვით ვჩურჩულებდი: „გარეთ სამყარო შავია, კველაფერი გაქრა!“

ასე, ამ ჭუჭრუტანიდან შევიცანი სივრცე, რომელშიც ჩვენი მატარებელი მიექანებოდა და კიდევ ნატასაგან, რომელმაც ჩემზე მეტი იცოდა, რადგან სიმაღლით მისწრებდა და იმ ვიწრო, წაგრძელებულ ღრი-ჭოში იყურებოდა, კედლის ორ ფიცარს შორის რომ დარჩენილიყო...

2

— რა ჰქვია ამ ბიჭს?

წინა ვაგონში გასასვლელად ფანერის ვიწრო კარი იყო დატანებული და გამცილებელი იქიდან დაუკაკუნებლად შემოვიდა.

მელოტიკაციიყო, სათვალიანი, ჭალარაულვაშები პირში უქვრებოდა.

ნატას შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

დედასაც შევატყვე, დაბნეული ჩანდა. იდგა და ხელებს ხალათის ჯიბეებში მაღავდა.

გამცილებელი მკაცრად დამყურებდა, არ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი, სატირლად გავემზადე და დედას ამოვეფარე.

— ლოთი! — უპასუხა დედამ.

— რა სახელია „ლოთი“! — უშმურად თქვა გამცილებელმა.

— ღვთის რჩეულია.

— ღმერთი არ არსებობს! — მკაცრად გააწყვეტინა გამცილებელმა და დაასკვნა: — ალბათ უბილეთოა!

— ჩვენ მუდმივი ბილეთი გვაქვს. — დედას ხმა აუკანეალდა.

— მუდმივი არაფერია! — თქვა გამცილებელმა. — მეცოდებით მე თქვენ, მარტო ქალი და ორი ბავშვი! — ჯიბიდან გაყვითლებულ ქალალდში გახვეული ჰურის ნაჭერი და თევზის კონსერვის მომცრო ქილა ამოილო, მაგიდაზე დადო.

დედამ კარამდე მიაცილა.

გამცილებელი ზღუბბზე შეჩერდა, თითით დედას ნიკაპზე შეეხო და დამტკბარი ხმით გაიმეორა:

— მეცოდებით მე თქვენ!

დედას გააურჟოლა, შესცივდასავით...

გამცილებელი კარს მიღმა გაუჩინარდა, ხოლო დედა სკამზე მოწყვეტით დაეცა და ხელები მუხლებზე უღონოდ დაუშვა.

თვალებში ცრემლი და შიში ედგა.

ტირილი მომინდა, მაგრამ ვერ გავბედე. ვეღარ მივხვდი, რატომ შეეშინდა ძიასი, რომელმაც ჰურის ნაჭერი და თევზის კონსერვი დაგვიტოვა.

ნატამ ამოისლუკუნა. ჩემზე ორი წლით უფროსი იყო და მეტიც ეს-მოდა...

3

დღისით დედა გვტოვებდა, ფანერის კარით გადიოდა, რათა ჰური ეშოვა. მე და ნატამარტონი ვრჩებოდით. ნატა ლოგინს ალაგებდა, ჭურჭელს დარეცხავდა. მე ვიჯექი და ველოდებოდი. ნატა ხელებს გაიმშრალებდა, წინ დამიჯდებოდა, ცდილობდა გავერთე. შიშსა და შიშილს ასე ვდევნიდით. შიმშილი მუდამ მტანჯავდა, კუჭი მეწვოდა და ხმადაბალ ზმულს ვიწყებდი. ნატასაც შიოდა, მაგრამ არასოდეს ტირიდა. რაც უფრო მშივდებოდა, მით უფრო მეძალებოდა შიში — ვაითუ დედამ დაგვტოვოს, ვაითუ ჰური ვერ გვიშოვოს და მაშინ მე და ნატა შიმშილით დავიხოცებით. ჰური საზრდოა, საზრდო თუ არ გვექნება, ვერ გავიზრდები და ვერასოდეს მივწვდები იმ ღრიჭოს, საიდანაც ნატა იცექირება... მატარებელი ჩქარა მიქრის, დრო ნელა მიზოზინებს, ნატას მოყოლილი ზღაპარი უსასრულოა, მაგრამ ლოდინი თავდება, დედა კარს შემოაღებს და დაღლილი იტყვის — „მოგიკვდეთ, შვილებო, დედა,

დაგხოცეთ ხომ შიმშილით!“ ჭვავის პურის სამი ნაჭერი სამივეს ერთი დღის სიცოცხლეს გვჩუქნის. ასე ვიზრდებოდი პურის ერთი ნაჭრიდან მეორემდე და ვერ შევამჩნიე, როდის ავწვდი იმ ღრიფოს კედლის ფიც-არსა და ფიცარს შორის.

გავიჭყიტე.

ვაგონების უსაშველოდ გრძელი რიგი ლიანდაგის მრუდს მიჰყებოდა და შემექლო დამეტვალა ათი, თხუთმეტი, ოცი ვაგონი, თუმცა მატარებლის თავს მაინც ვერ ვხედავდი, იგი სადღაც შორეთში იკარგებოდა. იქიდან მოისმოდა მორეული დაგადუგი და ელმავლის გაბმული კივილი, გზა მომეცით, მოვდივარო. ჩვენ უკან სხვა ვაგონი არ არსებობდა და მეხსიერება ბნელით იყო მოცული, რადგან არსაიდან მოვდიოდით. ხშირად მიფიქრია, რა იყო უკან, სად იწყებოდა ყველაფერი? პასუხი არ მქონდა და ფიქრით უნებლიერ გადავწვდებოდი იმას, თუ რა არის წინ, შემდგომ ვაგონში ანდა შემდგომის შემდგომში... მე ვხედავდი სატვირთო ვაგონებს, რომელთაც სახურავი არ ჰქონდათ, ვხედავდი ლია პლატფორმებს, უფრო შორს კი საძილე ვაგონებსაც. რა იყო იქ, წინ?.. გონების თვალს შორეულ მომავალში ვერ ვაწვდენდი და ან-მყოთი ვკმაყოფილდებოდი, ვიჭყიტებოდი ღრიფოში და ვიწოვდი იმას, რასაც ვხედავდი.

დილაუთენია მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა და ჩრდილები გრძლად ლაგდებოდა ლიანდაგის გასწვრიც. ხოლო სალამოს მზე დასავლეთით ჩადიოდა და ჩრდილები პირუჟუ წვებოდა. მე წამოვედი აღმოსავლეთიდან, თუმცა ვერ ვიხსენებდი, თუ რა დავტოვე იქ, აღმოსავლეთში. მე მივდივარ დასავლეთისაკენ! — ვასკვნიდი და არ ვიცოდი, რა მელოდა იქ, დასავლეთში...

ერთხელ დედამ თქვა, ნატა სკოლაში უნდა მივაბაროთო. ჩააცვა ერთადერთი ლამაზი კაბა და იმ კარით გავიდნენ, საითკენაც პურის საშოვნელად მიდიოდა ხოლმე.

დავრჩი მარტო და შევიგრძენი მარტოობის სევდა, ოღონდ ეს იყო ბავშვური გრძნობა, რაიც ღრმატკივილთან არაა დაკავშირებული. ბავშვის სევდა მსუბუქია, პაერში ნისლივით განფენილი, მცირედი სიხარულიც რომ გაჰვანტავს. იმ სევდას ვიწრო ღრიფოდან დანახული სამყაროს ფრაგმენტები ანელებდა. ვხედავდი მხოლოდ არსებულის ნაწილს, ზევით ცა არ ჩანდა, ქვევით — მიწა. აგერ ხეთა ტანი მინარნარებდა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იყო ფესვი და სად კენწერო... კარგა ხნის

შემდეგ, როცა იმ ღრიფოს ავცდი და მისთვის თვალის გასასწორებლად ვიკუზებოდი, დედამ მითხრა, დროა შენც სკოლაში მიგაბაროო. ჩამაცვა ერთადერთი მოკლე შარვალი, ერთადერთი მოკლესახელიანი პერანგი და ტილოს იაფი ფეხსაცმელები.

ვაგონიდან ვაგონში გადასვლა იყო ჩემი პირველი თავგადასავალი.

4

შიშით გული ამიფართქალდა. ლია კარში გამაყრუებელი რახრახი, დაგადუგი, გრიალი შემოიჭრა. ჩვენი ვაგონი თითქოს სადღაც ვარდებოდა, წინა ვაგონის მაღალი კედელი აღმა-დაღმა ქანაობდა. ეს ვაგონები ერთმანეთს რკინის უზარმაზარი ხელებით ჩასჭიდებოდნენ. ძირს ლითონის მოძრავი ხიდურა ეფინა, ხტოდა და რახუნობდა. ვაგონებს შორის ლიანდაგის უწყვეტი ნაკადი მისრიალებდა. მუხლებაკანკალებულმა შევაბიჯე ხიდურაზე, მეგონა, გადამაგდებდა და ჩემი პატარა სხეული უხილავ ბორბლებში დაიგლიჯებოდა. აქეთ-იქით გახედვა ვერც მოვასწარი, თუმცა ვიგრძენი, რომ გვერდებიდან სინათლე მეღვრებოდა. წინა კარში შევასწარი და შევებით ამოვისუნთქე — „გადავრჩი!“

ზევიდან ცა დამნათოდა.

დიახ, ამ ვაგონს რკინის მაღალი, უანგისფერი კედლები ჰქონდა, ჭუჭრუტანა ვერსად დავლანდე. სამაგიეროდ ზემოდან სახურავი არ ეხურა და ცაზე მცხუნვარე მზე ეკიდა.

პირველად ვნახე მზე, ცის სილურჯე და ღრუბლის თეთრი, ფუმფულა ქულა.

მიმოვიხედე. ოთხრიგად ისხდნენ ჩემი კბილა გოგო-ბიჭები. ხოტორა თავები ბიჭებისა იყო, ნაწნავებიანი, თეთრი ბაფთებით — გოგონებისა. წინ მაღალი, გამხდარი ქალი იდგა, ხელში საჩვენებელი ჯოხი ეჭირა.

სათვალიდან გადმომხედა და მითხრა:

— მე ნორა მასწავლებელი ვარ! — ჯოხით მერხზე მიმითითა. — დაჯექი, იმედია, არ იცელექებ!

შიშიანად დავვეკები. გვერდით მჯდომარები ბიჭმა იდაყვი გამკრა.

— გიგი მქვია, შენა?

— ლოთი!

— ლოთი? ხი-ხი...

მან არ იცოდა, რომ ლოთი ლვთის რჩეულია (ხომ ასე ამიხსნა დედამ?)

დედის გახსენებაზე უკან მოვიხედე. კარზე, საიდანაც შემოვედი, მომცრო სარტყელი ამოეჭრათ.

ნამოვხტი და იმ სარტყელთან მივირბინე.

დავინახე, რომ ჩვენი ვაგონი მატარებელს მოსწყვეტოდა. იგი ჯერ-აც მოგორავდა, მაგრამ ჩვენ შორის მანძილი თანდათან მატულობდა. იქ, ღია კარში დედიკო იდგა, ხელებს მიწვდიდა და სასოწარკვეთით მიხმობდა, ოლონდ ხმა ჩემამდე ვერ აღწევდა.

დედიკოს უკან, ჩრდილში, ულვაშა გამცილებელი დავლანდე. წელზე ხელი შემოეჭდო და არ უშვებდა.

ნამიერი იყო ეს სურათი და მე ვერაფერს ვშველოდი.

ყური მტკიცნეულად მომქაჩეს. ნორა მასწავლებელი ბეცად დამ-ყურებდა და ნვრილი ტუჩებიდან მაშეფებდა:

— ხომ გიბრძანე, ნუ იცელებ-მეთქი!

— დედა მინდა! — საწყლად ნავიკავლე.

— უკანა გზა არ არსებობს! — დამჩხავლა. — ნინ იჩქარე, იქნებოდესმე ნატას მაინც მიეწიო!

ისევ გიგისთან დამსვა.

— ლოთი, ხი-ხი... — ჩაიხითხითა გიგიმ.

თავჩალუნული ვიჯექი, მერხზე ჩემი ცრემლები წვეთ-წვეთობით ეცემოდა და ვფიქრობდი: „ნეტავი ისეთი ღონე მქონდეს, გამცილებელი გადაგაგდო!“ წარმოვიდგინე კიდეც, როგორ იგლიჯებოდა ვაგონის სწრაფ ბორბლებში და ტანში გამაჟრიალა...

5

დამეა. ზურგზე ვწევარ. თავზევით ვარსკვლავიური გუმბათი ბრუნავს. ჩემი სიცოცხლის მოკლე მანძილზე პირველად გავიაზრე, რომ სამყაროუსაზღვროდ ვრცელია. მის სიდიადეს ვაგონის კედლის ლრიჭოდან ვერ იხილავ.

და მაინც, ჩემი პირველი ვაგონი მენატრება, მისი დაბზარული იატაკი და კედლები, ბინდიანი ჰაერი, რომელსაც გარდიგარდმო ჭუჭრუტანებიდან შემოღწეული სხივთა ძაფები კვეთავს.

დედა მენატრება. დედა სითბო და მოფერებაა. უცებ აღმოვაჩინე, რომ არ ვიცი, რა ჰქვია დედას და რა ჰქვია მამას. დედა — დედაა, მამა — მამა! არავინ, ნატამაც კი, არ მითხრა, თუმცა იქნებ არც ნატამ იცოდა, არასოდეს გვიკითხავს და პასუხიც არ მიგვილია.

ცაზე მირიადი ვარსკვლავი ბრუნავს, ყოველ მათგანს, ალბათ, თავისი სახელი აქვს. მე ერთისაც არ ვიცი. იმ კაცის სახელიც არ ვიცი, ვაგონის გამცილებლისა, პური და კონსერვირომ მოგვიტანა და ჭაღარა ულვაშები პირზე ეფინებოდა. მე ის უნდა მომეკლა, მაგრამ პატარა ვიყვი და ღონე არ მერჩოდა. ახლა ის და დედა დამეკარგნენ, არ ვიცი, ოდესმე თუ შემხვდებიან, არ ვიცი, ღონე თუ მეყოფა შურისძიებისათვის.

გვერდით, ხელის გაწვდენაზე გიგის სძინავს. ირგვლივ, ძირს დაგებულ ქეჩებზე სხვა ბავშვებსაც სძინავთ. ზოგის სახელი უკვე გავიგე, ზოგისა — ვერა.

აგერ, ჩემგან მარცხნივ პატარა გოგონა გატრუნულა — ნინი. ხელი გავაჩინება და მისი თბილი ხელი დამხვდა. ურუანტელმა დამიარა, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ დამიარა ურუანტელმა, რატომ ავლელდი. ნინი ხომ ერთი ჩვეულებრივი გოგონაა, დღისით წესიერად არც შემიხედავს. მხოლოდ თვალები აქვს უცნაური — კატისებური, ჭროლა და ოდნავ მოელმო.

დღისით ნორა მასწავლებელს მივჩირებოდით. ჩაგვჩიჩინებდა, არ იცელქოთო, გვარნმუნებდა, რომ ბედნიერები ვიყავით, ასეთი ვაგონი რომ გვერგო, ფოლადისაა და მყარი. იგი დიადმა მემანქანემ ააგო. ოდესაც, როცა ჩვენ არც ვიყავით, ორთქლმავალს იგი მართავდა და, რაკი ბავშვები ძალიან უყვარდა, ეს ვაგონი გვაჩუქა.

მინდოდა ბედნიერი მეც ვყოფილყავი, მაგრამ არაფერსაც არ ვგრძნობდი.

დიადი მემანქანის სურათი ნორა მასწავლებლის ზურგსუკან, საკლასო დაფის თავზე ეკიდა. ეს იყო ჩვენი ტოლსწორი ბიჭუნა ტალლოვანი ქერა თმითა და ანგელოზისებური გამოხედვით. ოდესლაც იგი ჩვენსავით პატარა იყო, — ასე გავიფიქრე, — მერე საზრდო გაუჩნდა და დიად მემანქანედ გაიზარდა. მეც გამიჩნდა საზრდო — კარტოფილის წვინიანი, უხორცო კატლეტი და ვაშლის კომპოტი. მეც ჩქარა გავიზრდები და დიადი მემანქანე გავხდები!

ავყურებდი ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას და ვოცნებობდი იმ დროზე, როცა ძალას მოვიკრებ და მოვნახავ დროში ჩარჩენილ ჩვენს ვაგონს, დედას, რომლის სახელი არ ვიცი, და მამას, ვისზე მოგონება იმ ვაგონში იმაღლება.

თანდათან ძილი წამომეპარა. დილით წვეთები დამეცა. ცა საწვიმარი ღრუბლებით დამძიმებულიყო. ნორა მასწავლებელი შემოვიდა და

ქოლგები დავვირიგა — თეთრი და ჭრელი ყვავილებით მოჩითული. თვითონაც ქოლგა ეჭირა, ოლონდ დიდი და შავი. ერთი ქოლგა დაგვაკლ-და და, რაკი ახალი ვიყავი, მე არ მერგო. „ნინი, შეიფარე!“ — უბრძანა გოგონას ნორა მასწავლებელმა. ვიჯექით მედა ნინი ერთი ქოლგის ქვეშ, გვერდიგვერდ, ვგრძნობდი მისი ჩინკა, პატარა სხეულის სიმზურვალ-ეს, მაჟრულებდა და პირზე ოხშივარი ამიგარდა. ნინისაც ლოები წით-ლად აუღვივდა, ჭროლა თვალები გან-გან წაიღო... წვიმამ შხულით გადაგვიარა და ჩვენთვის არავის ეცალა, გარდა გიგისა, რომელმაც ეჭ-ვიანად ჩაიხითხითა — „ლოთი, ხი-ხი!..“ ღრუბლები დაიხლიჩა, მზის სხივები ფერად ფარდებად ჩამოეფინა. ასეთია ცა — ხან ღრუბლიანი, ხან მზიანი, ხან მთვარიანი და ხანაც ვარსკვლავებით მოჭედილი... ამ ცვალებადი ცის ქვეშ მიექანება ჩვენი მატარებელი, არ ვიცი საიდან, არ ვიცი საითკენ... სამყარო ისაა, რასაც ვხედავთ! ჩვენ კი ვხედავთ ერთმანეთს, ოთხ კედელს, ნორა მასწავლებელსა და ცას თავზევით...

ნორა მასწავლებელს თვალში აღტაცების ცრემლი ჩაუდგა, იგი ვიყვება დიადი მემანქანის ცხოვრების ამბავს — ჭკვიანი, ნიჭიერი და, ცხადია, ფრიადოსანი ბავშვი იყო დიადი მემანქანე (ხოლო ჩვენ უჭკუო, უნიჭო და, ცხადია, ცუდოსნები გახლავართ!). მანამდე არც მა-ტარებელი არსებობდა და ის რომ არ დაბადებულიყო, ვინ იცის, დღეს ჩვენ სად ვიქნებოდით.

ოლონდაც, მე არც ახლა ვიცი, სადა ვართ!

უცებ ორივე მხარეს მაღლა ატყორცილი ხეთა კენწეროები ვიხი-ლეთ. ეს ალვის ხეებია და მათი კენწეროები ზევიდან დაგვყურებენ. ცაზე ხანდახან წეროთა ქარავანი გადაიფრენს, ანდა არწივი, ან ძერა გადმოეკიდება... ყოველივე ამაზე წიგნებში წერია და უკვე ვიცით, რომ ალვის ხეს ფესვები მინაში აქვს, ფრინველებს ბუდე ტოტებში, ან ბუჩ-ქებში, ან ბალახში... ჩვენ ვსწავლობთ კითხვას. ჩვენ ვიცით რიცხვების მეცნიერება, ვიცით ისტორია, რომელიც დიადი მემანქანის დაბადე-ით იწყება, ვიცით გეოგრაფია, რომელშიც ჩვენი ვაგონის ოთხი კუთხე და ოთხი კედელია ჩახაზული. ასტრონომია კი შორეულ ვარსკვლავებს გვაცნობს. ვარსკვლავებს ღამლამობით ვხედავთ და ამიტომ გვეჩვენე-ბა, რომ ისინი ახლოსაა, მაგრამ ვერ ვხედავთ ალვის ხის ფესვებს, ვერ ვხედავთ ბუდეებს, ტყეს, ბუჩქებს, ბალახს... რასაც ვერ ვხედავთ, იქნებარც არსებობს?

მივეჩვიე ჩემს ახალ ვაგონს, ტოლ-სწორებს, რომელთაც ჩემი სახე-ლი აცინებთ, გიგის, რომელიც მეგობრად ჩავიწერე, და ნინის, რომე-ლიც არ ვიცი ჩემთვის ვინ არის, თუმცა ვცდილობ დავიცვა სხვა ბავშ-ვებისაგან, უფრო გიგისგან, რომელიც მუდამ იმის ცდაშია, თმები მოაწი-წენოს და აატიროს, თუმცა მე უფრო ღონიერი ვარ და თუ მოვინდომე, გიგისაც ავატირებ.

მერე ვიჩხუბეთ! ნინი ტიროდა, მე კი გიგის ხელი ვკარი და მერხია-ნად გადავაყირავე. ნინი უფრო ატირდა და მე მივხვდი, რომ იგი იმი-ტომ ტიროდა, რომ გიგის ეტკინა. გიგი წამოფოფხდა, თვალები მასაც ცრემლით ავსებოდა. სტაცა ხელი ნინის და უკან, სულ ბოლო მერხზე გადასხდნენ. მე არ შემეძლო მათთან ერთად გადასვლა. მე წინ უნდა მევლო, რათა ნატას წამოვწეოდი, მაგრამ პირველად მაშინ მივხვდი: ვინც წინ მიიწევს, უკანა გზას იჭრის და წარსულს კარგავს...

ამასობაში შეუმჩნევლად ვიზრდებოდი. ვფიქრობოდი, რომ ოდესმე იმ სიმაღლეზე ავიწევი, რომ ვაგონის კედლებს ზევიდან გადავეყუდები და ჩემი თვალით ვნახავ, რაც იმის იქითა. წიგნიდან მალევე გავიგე, რომ ვერავინ იზრდება იმაზე მეტად, რამდენიც მისთვისაა განკუთვნილი.

ნელიც მიიღია და ჩვენ ყველანი, ვიწრო კარით მომდევნო ვაგონში გადავბარებით. ის ისეთივე იყო, როგორიც დაგტოვეთ. გადასასვლე-ლი ხიდურაც საშიშრად ხმაურობდა და ირწეოდა, მაგრამ ამჯერად არაფრის მეშინოდა და სხვებსაც კი გავასწარი...

## 6

— რა უბედურებაა, რანაირ სახელს არქმევენ ბავშვს! — ბრძანა ამ ვაგონის მასწავლებელმა კარლომ.

ეს იყო გამხდარი, წონოლა კაცი, ჭალარა, სტალინურ ულვაშებზე წვრილი ცხვირი ზევიდან წამოეკოხა.

ამან არ იცოდა, რომ „ლოთი“ ღვთის რჩეულის სახელია, რადგან არ იცოდა „ლმერთი“.

მისთვის არსებობდა მხოლოდ ეს ვაგონი, ისეთივე როგორც წინა, ოლონდა წითლად შეღებილი, თუმცა ფერი უკვე ძვრებოდა და ზედ ჟანგიანი ლაქები მიმობნეულიყო.

დავჯექი და მიმოვიხედე. მერხების ოთხ მწერივს ბავშვები მომ-ლოდინედ უსხდნენ. ისინი აქ ჩემთან ერთად გადმოვიდნენ, თუმცა ახ-

ლებიც დაგვემატა, არ ვიცი საიდან, რომელი კარიდან შემოსულნი. წინა მერხზე ნინი და გიგი დავლანდე და გულში წყენამ გამკრა. ისინი ხომ უკან მოვიტოვე, ახლა კი, თურმე, გადამასწრეს. ხშირად ნელიად მავალნი გვასწრებენ მოჩქარეთ.

კარლო მასწავლებელმა საჩვენებელი ჯონი მაგიდაზე დააკაკუნა და წრილი, უფერული თვალები უფრო მონქურა.

— ღვთის იმედი ნუ გექნებათ, ღმერთი არ არსებობს! — ჯონი ცისკენ აიშვირა და წაუმდერასავით: — აიხედეთ მაღლა, აბა სადაა ღმერთი?.. ღმერთო, გადმომხედე-ე!

ნარმოვიდგინე, რომ ულრუბლო ციდან მეხი იქუხებს და კარლოს მელოტზე დაეცემა.

ღმერთმა არ გადმოიხედა და მე გამეცინა.

— შენ! — თვალებიდან ეკლები ამოეჩაჩხა კარლოს. — ადექი და კუთხეში დადექი! პირით კედლისაკენ მანამ იდექი, სანამ სიცილის სურვილი დაგეკარგება!

ვიდექი კუთხეში, შუბლით კედელს მიყრდნობილი. მზით გამთბარი რკინის კედელი სიმხურვალეს გამოსცემდა და ჩემთვის ვფიქრობდი: „ღმერთი არის? კარლო სიცივეს ასხივებს, კედელი — სითბოს! არის ღმერთი?“

7

ცხრა წლისამ დავტოვე კარლო მასწავლებლის ვაგონი. ხიდურაზე რომ შევდექი, თვალებში მზემ მომაჭყიტა და წამიერ დამაბრმავა. გული შიშით შემიხტა. რკინის მოაჯირს ორივე ხელით ჩავაფრინდი, ზურგზე კი თანაკლასელები მანვებოდნენ, ისინი, ვისაც გზას ვუღობავდი.

წინ პლატფორმა-ვაგონების რიგი გრძელი რახრახით მიექანებოდა. ერთნაირი, დაბალბორტიანი ვაგონები ერთიმეორეს მისდევდა, ათამ-დე იქნებოდა, ამათ კი მწვანე საძილე ვაგონი მიუძლოდა და ის, რაც იმის იქით იყო, აქედან არ ჩანდა.

ზურგზე მონოლიებმა პლატფორმაზე გამიტანეს. ჩოჩქოლსა და შეხლა-შემოხლაში მერხამდე ძლივს მივაღწიე და სხვაზე წინ მოვთავს-დი, რათა მომდევნო გადარბენის დროს ყველასთვის გამესწრო.

ვაგონის ბორტები წელამდეც არ მწვდებოდა და შემეძლო რკინიგ-ზის მიმდებარე სივრცეები მენახა. ირგვლივ მწვანე სანახები გადაიშა-

ლა. უამრავი სახლი და სახლაკი მიმოიფანტა, სოფელი სოფელს ცვლი-და, შორეთში ქალაქებიც ილანდებოდა, — ყველაფერი ის, აქამდე წი-გნებში რომ ამომეკითხა და მათი არსებობა მაქვებდა.

უკვე ვიცოდი, რომ ჩემი სიყმანვილე ამ მოძრავ ვაგონებზე უნდა გა-მეტარებინა, დიდი დრო გავიდოდა, სანამ საძილე ვაგონამდე გავალნ-ევდი. ცვალებადი და ამავე დროს ერთფეროვანი ცხოვრება მელოდა. ცვალებადი იმიტომ, რომ პლატფორმის დაბალი ბორტითვალთახედვას ვერ მიფარავდა და შემეძლო სამყაროს ნაირფერობის შეცნობა. პლატ-ფორმიდან პლატფორმაზე გადარბენა ნიშნავდა მომდევნო საფეხურს, ცოდნის ახალი პლასტების დაძლევას. ხოლო ერთფეროვანი იმიტომ, რომ ეს მატარებელი არასოდეს ჩერდებოდა, აქედან ვერასდროს ჩამოვიდო-დი, ფეხისგულით მიწის სიმკვრივეს ვერ შევიგრძნობდი, ხიდან ნაყოფს ვერ მოვწყვეტდი და ბუჩქიდან ყვავილს. ბევრჯერ მინახავს ვაგონის ბორტიდან გადავარდნილი მავანი, საკუთარი მოუთმენლობის მსხვერ-პლი, ვინაც იკარგებოდა დროის იმ მონაკვეთში, რასაც ჩვენს ჩქარ გზა-ზე ვტოვებდით. არაერთხელ მომძალებისა სურვილი, მეც გადაშვებუ-ლიყავი ვაგონიდან, დავრჩენილიყავი რომელიმე უსახელო სოფელში, სადაც პატარა სახლაკებში უამრავი ადამიანი ცხოვრობს და ისინი სუ-ლაც არ დარდობენ, რომ სამუდამოდ რჩებოდნენ იმ დროში და იმ გარე-მოში, სადაც დაიბადნენ. ოღონდაც, მე ბოლო ვაგონში დაბადებულს, მიზნად დავისახე მთელი ამ მატარებლის თავი, რაღაც უსაშველო ძალა, შეუჩერებლად რომ ეზიდებოდა უთვალავი ვაგონის რიგს. დიახ, მე უნდა აღმესრულებინა ბავშვობის პატივმოყვარული ოცნება, გავმხდარიყავი დიადი მემანქანე და სწორედ მე უნდა მიმეყვანა ჩემი მოძრავი სამშობ-ლო ბედნიერ შორეთში.

დრო იყო ნელი და ამავე დროს ჩქარიც. წამი დიდხანს გრძელდებო-და, მაგრამ დღე და ღამე სწრაფად მონაცვლეობდა და ამ პლატფორ-მიდან მომდევნოზე გადასვლას ვერაფერი შეაჩერებდა. ვცდილობდი, სხვებს არ ჩამოვრჩენოდი, უფრო ხშირად ტოლ-სწორებს ვასწრებდი კიდეც. ჩემზე ამბობდნენ, ნიჭიერი ბავშვია, ყველაფერს იოლად ითვი-სებსო. ერთი პლატფორმა ჰგავდა მეორეს, ერთიდან მეორეზე უკვე უშიშრად გადავრბოდი და ვგრძნობდი, ძალ-ღონეც მემატებოდა და თვალსაწირი მიფართოვდებოდა.

სამი თუ ოთხი პლატფორმა რომ მოვინაცვლე, წინ გაჭრილ ბრბოში ნინი და გიგი დავლანდე. ხელიხელჩაკიდებულნი მირბოდნენ. არ ვიცი,

რა დავარქვა იმას, რა გრძნობამაც შემიჰყორო. თითქოს მიღალატეს, თითქოს მარტოდამტოვეს, რაღაც წამართვეს. ფეხებს ძალა დავატანე, სწრაფად მივეწიე და გიგის დავეჯახე. იგი ვაგონის ბორტს მიღმა გადაფრინდა და კინაღამ ნინიც გადაიყოლა. გოგონას დროზე ვტაცე ხელი, ბიჭი კი ცალი ხელით ბორტს დაეკიდა. „გადაარჩინე!“ — შემთხოვა ნინიმ. ხელი გავუწოდე, მაგრამ იმან ქვევიდან ამომხედა. თვალები მძულვარედ უნათებდა და მივხვდი, არასოდეს, არასოდეს მაპატიებდა. შევყოყმანდი, დრო კი დაიკარგა, იმან ვაგონის ბორტს ხელი უშვა და მინაყრილზე დაგორდა.

მე ადგილს სწრაფად გავშორდით. ნინი ტიროდა, ხოლო მე, სხვა რა გზა დამრჩენოდა, ნინის ხელი ჩავავლე და წინ, შემდგომი პლატფორმისაკენ გავიყოლე...

8

დამეა. რიგით მეშვიდე პლატფორმაზე ვარ და არ მეძინება. მატარებელი სწრაფი დაგადუგით მიიჩეარის. მარჯვნივ და მარცხნივ უკუნ სიბრუნეში ხანდახან ტევრებს მიღმა ჩამალული სუსტი წათურა თუ გაკრთება.

ცაზე ვარსკვლავთცვენაა. მირიადი ვარსკვლავი საწინააღმდეგო მიმართულებით გარბის. ხანდახან კუდიანი ვარსკვლავი გასრიალდება და ჩაქრება, ჩაინავლება.

ნიავი უბერავს. დღისით, როცა ცხელა, ნაკლებ შემაწუხებელია, ხოლო ღამით ცივია და მაძაგას გებებს. შორიახლო ნინის სძინავს. საბანში გახეულა. სურვილი მკლავს მასთან ერთად ჩავთბუნდე, მაგრამ ვერ ვბედავ.

ხელი გავატოკე. ფრთხილად შევეხე. ლოყისძირში, სათუთ კანზე მომიხვდა. გოგონამ ამოიოხრა და ჩაიჩურჩულა: „გიგი!“

გველნაკბენივით ხელი უკან წავიღე...

ძილი არ მოდის...

მალე გათენდება.

მერვე პლატფორმაზე გიგის აჩრდილი მეხსიერებაში მქრქალდება, ვერც კი გამიაზრებია, მართლაც არსებობდა თუ სიზმრისეული ჩრდილების სამყაროდან მესტუმრა. ვფიქრობ, ნინის მეხსიერებიდან ამოშლილია, ნინის გონებას, მის შუქიან ღიმილს უკვე მე ვიპყრობ...

მეცხრე პლატფორმაზე პირველად ვაკოცე. ეს იყო სასწაული. ბაგე ბაგეს რომ შევახე, ტანში ურუანტელმა დამიარა და ვიგრძენი, რომ ნინიც ათროთოლდა. ორივეს თავბრუ გვესხმოდა, მაგრამ არ ვიცოდით იმ კოცნას რა უნდა მოჰყოლოდა. ეს მოხდა შებინდებისას, როცა მასწავლებელი პლატფორმიდან უკვე გავიდა, ბავშვები კი თავისთვის ერთობოდნენ და ყურადღება არავის მოუქცევია.

მეათე, ბოლო პლატფორმაზე, როცა ჩვენ წინ საძილე ვაგონის ბნელი კედელი მიქანაბდა, შიში ვძლიე და ნინის საბანქვეშ შევუძვერი. სუსტად მიწვდა წინააღმდეგობას, მაგრამ მისი მხურვალე სხეული ალერს ითხოვდა და ვიგემე ქალწულის ნეტარი სიტკბოება. ნინი ასლუკუნდა, ყურში ჩურჩულით მომაორთქლა: „ვიცი, მიმატოვებ!“ ტუჩებში ვაკოცე და ჩურჩულითვე უუპასუხე: „შენზე მეტად არავინ მყვარებია, ვფიცავ, არასოდეს მიგატოვებ!“

დღისით, შუადღის მზე რომ კეფაზე გვაჭერდა, მეათე პლატფორმის დატოვების ზეიმი გაიმართა. დიტომასწავლებელს ჩვენი ბოლო ნამუშევრები ეწყო წინ და მოუთმენლად ველოდით განაჩენს. ზედა რვეული აიღო და გამომიწოდა: „წაიკითხე!“ ჩემი თემა იყო, წინა დღეს დაწერილი. გულმარების მიყო, ვიფიქრე, არ მოენონა-მეთქი. კითხვა ენის ბორძიკით დავიწყე, მაგრამ მერე გავთამამდი და ხმას შესაბამისი რიხი შევძინე. ნამუშევარი მოიხილავდა დიადი მემანქანის ცხოვრების იმ მონაკვეთს, როცა ის ჯერაც არ იყო დიადი მემანქანე. ის გახლდათ ახალგაზრდა, ოფლსა და კვამლში გამოყვანილი ცეცხლფარები, რომელიც ფართო ნიჩბით ქვანახშირს საცეცხლურში ყრიდა და ორთქლმავალს აძლევდა ძალას, ეთრია ეს ჩვენი უსასრულოდ გრძელი და მძიმე მატარებელი. ორთქლმავალი არასოდეს მენახა. ჯერაც პატარა ვიყავი, როცა მითხრეს, რომ ის თბომავალმა შეცვალა, ახლა ელმავალი მიგვაქანებდა და მჯეროდა, რომ ის დრო დადგებოდა, როცა პირთული მანქანა ჩაგვებმებოდა და უფრო სწრაფად გაგვაქროლებდა. ასევე მეწერა იმ ჩემს თხზულებაში. დიტო მასწავლებელს თვალებიდან კურცხალი გადმოუგორდა და მითხრა: „ძაან ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ! შორს წახვალ, თუ, ცხადია, ქალებმა ბორკილი არ დაგადეს!“ — თან ნინის მრავლისმეტყველად გადახედა. ნინის სირცხვილის ალმური აუვარდა. მეც გავწითლდი...

ჩვენ, ყველანი, ათვაგონგამოვლილები საძილე ვაგონში გადავბარებით!

ნატა მხოლოდ თვალ-წარბით ვიცანი. საოცრად შეცვლილიყო — პირმრგვალი, ლოყებდაბერილი... ტყუპები ხელებში ეჭირა და მუცელი კვლავ წამოზრდოდა. „ხომ ლამაზებია?“ — მკითხა. პატარა, დორბლიან ბაყაყებს ჰეგავდნენ. უკბილო პირები მოელოთ და უფერული თვალებით მათვალიერებდნენ. „ალბათ მამას დაემსგავსნენ!“ — გავიფიქრე. მართლაც, კუპეს სიღრმეში ტიპი წამოიმართა, ისიც გაბერილ გომბე-შოს მივამსგავსე და ზიზღი ვიგრძენი.

— ვაჲ, ცოლისძმავ, ყოჩალ რომ აქამდე მოაღწიე! — დონდლო მკე-რდზე მიმიხუტა და კინალამ გამგუდა. — ეს რა ლამაზი დაგითრევია, ჰა! — ნინიზე თქვა.

ნინის პირი სირცხვილისაგან აეტყიცა. სიძის ზედმეტი გაშინაურე-ბა არაფრად მეპიტნავა, ერთი სული მქონდა, როდის გავეცლებოდი, მაგრამ ნათესაობა ბორკილია და ადამიანი იოლად ვერ დაეხსნება.

— მეზობლად კუპე თავისუფალია, თქვენთვის ვინახავდით! — თქვა კუკურამ (ასე ერქვა ჩემს ძვირფას სიძეს).

სხვა კუპებს ათვაგონგამოვლილები სწრაფად დაეპატრონნენ, საქმე დასწრებაზე მიდგა და ჩვენც, მე და ნინიმ, ეს კუპე დავიკავეთ.

— ამიერიდან ეს არის ჩვენი საცხოვრისი! — თქვა ნინიმ და უმალ დალგებას შეუდგა.

უხერხულად ვიდექი ზღურბლზე, ნინი კი ღიღინებდა და ყოჩალად ტრიალებდა. მტვერი გადაწმინდა, ფანჯარაზე ორი ნაქარგი ფარდა ჩა-მოკიდა, საიდანდაც ლარნაკი გამოაჩინა, შიგ ხელივნური ყვავილები იდო, ალბათ თვითონვე გამოჭრა ფერადი ქაღალდებისაგან. აბა, აქ, ვაგონში საიდან გაჩნდებოდა ნამდვილი ყვავილები! ყვავილები გარეთ, მინდორში ხარობენ და ჩვენი სწრაფი მატარებლიდან მხოლოდ მათს სიჭრელეს ვხედავდით.

ბინდისპირზე კუკურამ თავის კუპეში დაგვპატიჟა. პატარა მაგი-დასთან ვიწროდ ვისხედით, მე ნატასთან, კუკურის კი ნინი ისე მიემწ-ყვდია, ეჭვიანობის ფარული ჭია მღრღნიდა, ხოლო ნინის ელეთმელეთი მოსდიოდა.

სკამლოგინის დანარჩენი ადგილი ნატას ბაყაყუნებს ეჭირათ და სა-წოვარას მონდომებით წუნწიდნენ.

მუავე ღვინოს ვსვამდით, მე — ღვინის ჭიქით, ხოლო კუკურა — ლუდის კათხით. გრძლად და მოსაბეზრებლად მიედ-მოედებოდა, ცხოვრებას უჩიოდა. ნიჭიერი ბავშვი ვიყავიო, დიალი მემანქანის თავ-გადასავლები და ვაგონების გეოგრაფია სულ ზეპირად ვიცოდით. დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ორმა რამემ შემიშალა ხელიო — ამ ბაყაყუნებმა და საფრთხეებმა, წინა ვაგონებში რომაა ჩასაფრებულიო... ვერ გავიგე, რა საფრთხეებზე მელაპარაკებოდა, მაგრამ იმან აბდაუბდა სადლეგრძელოებისაკენ გაუხვია და მეც არ ჩავძიებივარ. დავიღალე, მოვითენთე, სიძეს კათხაც ვერ ერეოდა, მე კი პატარა ჭიქითაც დავითვერი. თვალები მებლიცებოდა და კუკურა უფრო გაბერილი და დეფორმირებული მეჩვენებოდა — უზარმაზარი, თვალებგადმოკარკლული გომბეშო... „ერთი შენი კარგებიც!“ — ამოვ-ილუდლულე და ნატას მომრგვალებულ მხარზე დამეძინა.

არ მახსოვს ჩემს კუპემდე როგორ მიმიყვანეს. თვალი გავახილე, თურმე ნინისთან ჩახუტებულს მძინებია. ქალს სასურველი თბილი სურ-ნელი ასდიოდა. სრული ბედნიერების აღსაქმელად ხელს მიშლიდა კე-ფაზე მოწოდილი ტკივილი, კუჭის ძმარვა და მოულოდნელი გახსენება დიტო მასწავლებლის სიტყვებისა, ნიჭიერი ყმარვილი ხარ, შორს ნახ-ვალ, მაგრამ ქალი ბორკილია. კუკურას სიტყვებიც ჩამესმა, მეც ნი-ჭიერი ვიყავი, მაგრამ ცოლ-შვილმა ბორკილი დამადო და ამ კუპეს იქით ვერსად გავაღნიერ. ვინექი ზურგზე და ვფიქრობდი ჩემს განვლილ გზაზე და შესაძლო მომავალზე. ვიხსენებდი იმ პირველ ვაგონს, სა-დაც დავიბადე, ჭუჭრუტანებს იატაკზე და კედლებზე, საიდანაც ვცდი-ლობდი სამყაროს შეცნობას, ვიხსენებდი იმ ორ ვაგონს, სახურავები რომ არ ჰქონდათ, წვიმის დროს მე და ნინი ერთი ქოლგის ქვეშ ვის-ხედით, ლამით კი შემეძლო ვარსკვლავიანი ცა მეხილა... მერე კი ვაგონ-პლატფორმების რიგს, საიდანაც თვალწარმტაცი სივრცეები იშლებო-და, მაგრამ სწრაფი გადარბენის გამო მის მშვენიერებას ბოლომდე ვერ აღვიქვამდი. ახლა კი, აჲა, ვიყავი კუპირებულ ვაგონში, საკუთარ კუპე-ში, ლამაზ ცოლს ჩახუტებული, რომლის წიაღმი, შესაძლოა, ჩემი ნა-შიერი ბაყაყუნა იზმორებოდა. საქონლის გადასაყვანი ვაგონის ბი-ნადრისათვის ეს იყო უდიდესი მიღწევა, მაგრამ ფიქრში ფეთქავდა აზრი — ნუთუ ამას ვესწრაფოდი?

თავი მტკიოდა, ფიქრს ვერ ვულრმავდებოდი და თვალი კვლავ დავ-სუჭე...

დროის საზომი მატარებელში ცრუა. სიჩქარის შენელებისას დრო ნელა მიზოზინებს, აჩქარებისას იგი საერთოდ კვდება და დღეები მეხ-სიერებაში კვალსაც კი არ ტოვებენ. კუპეში ცხოვრება — მოსაწყენი ერთფეროვნება — დროის მიღმა მიედინება. მე და ნინის თვლემა-ზმანება გვეუფლება, რაც ადამიანს ამყოფებს სადღაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. უფრო და უფრო ვრჩმუნდები, კუპეში ცხოვრება ხაფანგია, ლამაზი ცოლი — ბორკილი. კედელზე მიკრული კალენდარი მხოლოდ ციფრთა კრებულია, რომელიც ხანდახან გაგაკვირვებს — „რამდენიდრო გასულა?“ სად გაქრა ის საათები და წუთები, რომლებმაც შეავსეს შუალედი იმ დღიდან ამ დღემდე? აი, რომელიღაც თვის რომე-ლიღაც დამეს ვწევარ ჩვენი პატარა კუპეს ვიწრო თაროზე. ნინის ჩემი მკლავი თავებეჭამოუდვია და, ალბათ, სძინავს. იგი ჯერაც თბილი და სასურველია, თუმცა არც ისე, როგორც კუპეში ცხოვრების პირველ დღეებში. თვალგახელილი ბნელ ჭერს მივჩერებივარ, არაფერი ჩანს, მაგრამ ვიცი, რომ იქ ზედა თაროა, ზედ საოჯახო ხაბაკეუბაკი გვიყ-რია, მერმის კი ჩემი პატარა ბაყაყუნა დაიძინებს.

უცებ ნინი შეირხა. მივხვდი, ცდილობს სიბნელეში დამათვალიეროს. მკლავი უკვე დამიბუჟდა, მინდა გამოვაცალო, მაგრამ ჯერჯერობით ვითმენ.

— გძინავს? — ჩურჩულით მეკითხება.

— არა!

— გავიპაროთ, რა! — სიტყვებს თითქოს სლუკუნი ამოაყოლაო.

— სად გავიპაროთ?

— გადავხტეთ! დავრჩეთ დროში, გიგი რომ დარჩა, ისე...

თურმე გიგი აქამდე ხსომებია. გულში ეჭვმა გამკენწლა. ცოტა ხანს ვიყუჩე, მერე ამოვლერლე:

— ჩვენ ხომ არ ვიცით, სად, რომელ დროში აღმოვჩნდებით?

— სულ ერთია, კუპეში სული მეხუთება!

— ვაითუ გადახტომისას ცუდად დაეცე და მუცელი მოგეშალოს!

ამაზე არაფერი მიპასუხა. დუმილი გაგვიგრძელდა. მინდოდა რაღა-ცა კიდევ მეთქვა, ეჭვი გამეფანტა, მაგრამ მშვიდი, თანაბარი სუნთქ-ვა მომესმა.

არჩევანი? რა არჩევანი აქვთ კუპეში გამომწყვდეული? ეს მატარე-ბელი ხომ არასოდეს ჩერდება! უნდა დავბერდეთ და დავიხოცოთ. ლო-ნისაგან თანდათან დავიცლებით, დავკარგავთ ყველაფერს, რის გამოც ჯერ კიდევ ერთმანეთისათვის სასურველი ვართ. დადგება უამი, როცა შეგვჯავრდება ეს ერთფეროვნება და კუპეს სამოთხე ჯოჯოხეთად გადაიქცევა... თუ გადავხტები, დავრჩები დროში, საიდანაც არსათ-კენ მიდიან და დღე დაემსგავსება დღეს... ოღონდაც, არსებობს მესა-მე გზაც — ის მიემართება დიადი მემანქანის სავარძლისაკენ! სავარ-ძლილი ერთია, მისკენ კი უამრავი პატივმოყვარე სუბიექტი მისისწრაფის. ამ კუპედან მხოლოდ იმას შეიცნობ, რაც ერთი ფანჯრიდან ჩანს, ხოლო პირველი, მენინავე ელმავლიდან გადაიშლება გზა, რომელიც მომავ-ლისაკენ მიექანება.

მკლავს, რომელიც ნინის ჩაუხუტებია, უკვე ვერა ვგრძნობ... და მა-შინ გავიფიქრე: გამოვაცლი! თუ გაიღვიძა, ჩავეხუტები და ჩემსავე ბორკილებს უფრო შემოვიჭედავ, მაგრამ თუ ვერ გაიღვიძა, კუპედან გავალ და ალარ დავბრუნდები.

ფრთხილად გამოვაცოცე... ნინიმ ამოიოხრა, „ლოთი!“ — ჩაიბუტბუ-ტა და ლრმა ძილში შებრუნდა.

ნილი ნაყარი იყო. უჩუმრად ჩავიცვი და კუპედან გავედი.

ყველა სხვა კარი მიგმანული იყო, ჩვენიც მივხურე და დერეფანს დავუყევი...

რამდენიმე ვაგონი მოვინაცვლე.

ვაგონიდან ვაგონში ხმაურიანი ხიდურებით გადავდიოდი. რბილი ხალიჩით მოფენილ დერეფნებს სუსტი ნათურები მქრქალი სინათლით ავსებდა. ფანჯრებს წკვარამი აწვებოდა და ვერ გამერკვია, რა დრო დადგა.

კუპეთა კარები მჭიდროდ მიეხურათ, შიგნით, ალბათ, მატარებლის მეზავრებს ეძინათ.

ნინის ქალური სითბო და სურნელი კარგა ხანს მომყვებოდა. რაც უფრო ვშორდებოდი, მითუფრო მიპყრობდა სინაული, მაგრამ ჯოუტად ვდევნიდი ეჭვებს, თავს ვირწმუნებდი, რომ მიზნის მისაღწევად აუცი-ლებელია თავგანწირვა. „ვისაც საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგ-

დება არ ძალუს, უკვდავება არ ელოდება!“ — ვფიქრობდი, თუმცა ვერ ამომეხსნა, რისთვის მჭირდებოდა ეს „უკვდავება“.

მომდევნო ვაგონში შევიჭყიტე და თითქოს საბურველმა ამოიქშინაო — „ჰაპ!“

შესასვლელთან ზოლებიანი ბუდრუგანა იდგა და ზოლებიანივე შლაგბაუმი გზას მიკეტავდა.

ბუდრუგანას დირეზე ფორმიანი კაცი თვლემდა...

თვალი დაჭყიტა და მომაჩერდა.

— არ შეიძლება! — ამოიყეფა. — ნაბრძანები მაქვს, არავინ გავატარო!

ხელი ზურგსუკან წაიღო, ეტყობა, იარაღს წაატანა.

მივხვდი, ხვეწნა აქ არ გაჭრიდა. არ დავაყოვნე, ძირს დავეცი და შლაგბაუმის ქვეშ გავსრიალდი.

— ჰაპ! — წამოიძახა გაოცეპულმა და წამოიწია, თან სასტვენს გამაყრუებლად ჩასტვინა.

წამოვხტი და წინ გავქანდი.

ჩემს უკან კუპეთა კარები ზედიზედ ილებოდა და ზორბა კაცები გამორბოდნენ.

— შეჩერდი, გესვრი! — მომძახოდნენ, მაგრამ შეჩერებაც სიკვდილს უდრიდა.

ვაგონის ბოლოს კარი ჩაკეტილი დამხვდა.

მოვიხედე, დერეფანი შეიარაღებული კაცებით ავსებულიყო.

საპირფარეშოში შევვარდი და კარი ჩავრაზე.

გარედან დაეჯაჯერნენ.

ფანჯარა ჩამოვწიე და გარეთ ძლიერ გავეტიე.

ცივმა ქარმა ვაგონს ლამისაა მომწყვიტა, მაგრამ მოვასნარი და სახურავის კიდეს ჩავებდაუჭე.

— შეჩერდი! — მდევარნი ყვიროდნენ.

კარი შემოხეთქეს, ოლონდ მე უკვე ავიწიე და სახურავზე გადავგორდი.

წამოვიჭერი და წინა ვაგონის სახურავზე გადავხტი...

არც ბოლო... მატარებლის კუდს მზე დაპნათოდა, ელმავალი კი ჯერაც დამეს მიჰკიოდა.

მივრბოდი სინათლისა და ბინდის ზღვარზე და მოძალებული ქარი ცდილობდა სახურავიდან ჩემს გადაგდებას.

უცებ მონწყვეტით გავჩერდი. წინ, ჩემგან მესამე ვაგონის სახურავზე კაცი იდგა და თოფს მიმიზნებდა.

სროლა არ გამიგონია, ყურთან კი ტყვიამ ბზიკივით გაიწუილა, ოღონდ ზურგიდან.

მოვიხედე, უკანა ვაგონიდან მესროდნენ. იქაც, სახურავზე რამდენიმე კაცი იდგა და თოფებს მიმიზნებდნენ.

ძირს გავერთხე.

ახლა თავზევით ტყვიები წიოდა. ვერ მივხვდი, მე მესროდნენ თუ ერთმანეთს.

გზა ფორთხვით გავაგრძელე, სახურავის წინა კიდემდე მივაღწიე. გადავეკიდე და პირდაპირ ხიდურაზე დავეცი.

უკანა ვაგონიდან ბავშვიანი ქალი გამოდიოდა და ხელი იმან მტაცა.

— გაგიჟდით? — შემეკითხა.

— ნინი? — გაოცებით წამოვიძახე.

იმან უცხოდ შემომხედა, ვერ მიცნო და მოზარდთან ერთად (ეს იყო ბიჭი!) წინა ვაგონში გაუჩინარდა.

„ნუთუ მართლა ნინია? — თავს ვიმტვრევდი. — ნუთუ ეს ბავშვი ჩემია?“

ეს შეუძლებლად მეჩვენებოდა, რადგან ბიჭუნა საკმაოდ გაზრდილიყო.

„ვერ მიცნო!“ — ესე იგი, თუ ეს მართლაც წინია, დიდი დრო გასულა. ალბათ ძალიან შევიცვალე. სარკე მჭირდება, რათა ჩავიხედო. არც კი ვიცი, როგორ გამოვიყურები.

კვალზე მივყევი, მაგრამ ვერ მივეწიე.

დერეფანში კაცს გადავაწყდი, ისიც ჩემსავით მიიჩქაროდა.

— წარმოგიდგენიათ, ცოლმა ჩამიარა და ვერ მიცნო! — ყალბი სიცილით მომმართა. მეცნო, თითქოს სადღაც ადრე მენახა.

გადავასწარი და ვაგონიდან რომ გავდიოდი, ერთხელაც მოვიხედე.

თითქოს კეტი დამარტყესო, იმ კაცში ჩემი „მე“ ამოვიცანი — პირისკანი ოდნავ მიმჭკნარი ჰქონდა, თმები ჭალარას დაეპენტა.

„რა არ მოეჩვენება კაცს!“ — გავიფიქრე და სწრაფად გავშორდი...

დღემ მომისწრო. ნათურები ჩაქრა, ფანჯრებს მიღმა კი მწვანე სან-ახები გადაიშალა.

მატარებელმა სვლა ოდნავ შეანელა, ალბათ იმიტომ, ლიანდაგიდან არ გადავარდნილიყო.

ამ დროს მომდევნო ვაგონში შევდიოდი და გავშეშდი.

ღია კარში იდგნენ ქალი, რომელიც ნინის მივამსგავსე, კაცი, რომელიც ჩემს სიჭაბუქეს ჰქავდა და ბიჭუნა, რომელიც მგავდა მე იმ პირველ, საქონლის გადასაყვან ვაგონში.

— გადავხტეთ? — ქალის ხმაც მეცნო.

— ჴო, ხომ გადავწყვიტეთ! — ვუპასუხეთ მე და კაცმა.

ქალმა ხელი ჩავლო ბიჭუნას და ვაგონიდან გადაეშვნენ.

რკინიგზის მიწაყრილი ლორთქობალახს დაეფარა და დავინახე, თუ როგორ დაგორდნენ მწვანე ფერდობზე ქალი და ბიჭუნა და გზისპირა ბუჩქებში გაიხლართნენ.

მეც ხომ უნდა გადავმხტარიყავი, ის კაციც, მაგრამ ბოლო წამს თავი შევიკავე, კაცი კი უკვე წინ, დერეფანში მიიჩეაროდა.

კარი მივაჯახუნე და წინ წასულს მივედევნე.

დროის სათვალავი კარგა ხანიადამეკარგა. აგერ მავანს გადავასწარი, ამჯერადაც „მეს“ რომ მივამსგავსე... მერე მეორეს გადავასწარი, მესა-მეს... მივიჩეაროდი და ვასწრებდი კაცებს, რომლებიც თითქოს მგავდ-ნენ, მაგრამ ჩემზე დაბერებულები მეჩვენებოდნენ — თმაჭალარანი, მხრებში მოხროლნი, მძიმედ მავალნი... მე მათ ვასწრებდი და ვგრძნობდი, ჩაშრეტილი თვალებით ზურგს რომ ბოროტად მიბურლავდნენ.

„ნუთუ ამდენი დრო გავიდა?“ — ეჭვით ვეკითხებოდი საკუთარ თავს. მინდოდა ვინმესგან სარკე მეთხოვა, ჩამეხედა, მაგრამ მეშინო-და, არ მენახა თეთრად დაპენტილი თმები და სახის ნაოჭები... გულს ვიმზნევებდი, იგი ძველებურად მიცემდა, ღონეც ძველებურად მერ-ჩიდა და ფეხს უფრო და უფრო ვუჩქარებდი, რათა ყველასათვის გა-დამესწრო, თუმცა ეს იოლი არ იყო, რადგამ ამ გზაზე უკვე მრავალნი მიდიოდნენ.

უკვე მერამდენე ხიდურაზე შევაბიჯე, რათა მომდევნო ვაგონში გადავსულიყავი, იქიდან კი ყაყანი და აურზაური მომესმა. კისერი წავ-

იგრძელე, იქნებ რამე დამენახა. დერეფნის ბოლოს წესრიგის დამ-ცველნი მავანთ თავში რეზინის კეტებს ურტყამდნენ. ნაცემნი ცდი-ლობდნენ უკან დაეხიათ, სხვები ამათ ზურგზე აწვებოდნენ და იქაუ-რობა ისე გადაიჭედა, ნემსიც ვერ გაძვრებოდა.

მავანი მავანს საშინლად აგინებდა, ვიღაცამ ვიღაცა ფეხქვეშ ჩაიგ-დოდა დაუნდობლად თელავდა, სხვები ცდილობდნენ ვაგონიდან გადა-ეგდოთ მეტოქე, ერთმანეთს თავს კედელზე არტყმევინებდნენ და სისხლის შეცებით კედლები იწუნებოდა.

— რას მომაწექი! — მიღრიალა წინ მდგომმა. — ვერა ხედავ, არ ატარებენ!

ნაბიჯით უკან დავიხიე...

ჩემი სამშობლო — მატარებელი უამრავ სიურპრიზს მიმზადებდა. გამახსენდა უამი საქონლის ვაგონიდან სასკოლო ვაგონში გადასვლისა, როცა ხიდურაზე შიშისაგან გული მიფართქალებდა. შემდგომ უამრავი ასეთი ხიდურა დავძლიერ და არასდროს შემშინებია.

წელან სახურავზე გადავირბინე და გადავრჩი. ავიხედე, იქნებ კვ-ლავაც ზევით ავმძვრალიყავი, მაგრამ ზევით ტყვიის წივილი მესმოდა და მივხვდი, სახურავზე ამძვრალებს ცხრილავდნენ.

შიში ცოდნით დაიძლევა. კარგად მქონდა შესწავლილი ვაგონების გეოგრაფია. დიდი არჩევანი არ მრჩებოდა. რაკი პირდაპირი გზა ჩაიკე-ტა, სახურავზეც ვერ ავიდოდი, მაშინ არსებობდა კიდევ ერთი — ყვე-ლაზე რისკიანი, სადაც გადარჩენის შანსი ნულზე ოდნავ მეტი იყო... ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებდი, ჭოჭმანი, ვიცოდი, შიშს გამი-ძლიერებდა და წუთის შემდეგ ხიდურის ქვეშ ამოყავი თავი.

დიახ, აქ რელსებზე შემაძრნუნებელი გრიალით ბრუნავდა ფოლა-დის ბორბლების ორი წყება და სისწრაფეში რკინიგზის ძელები ერთიან, ნაცრისფერ ხალიჩად ალიქმებოდა.

ორი წყვილი ამორტიზატორი ეხლებოდა ერთმანეთს, სამუხრუჭე მისაბმელი ქანაობდა...

თავდალმა ვეკიდე და ვმარჩიელობდი, თუ როგორ გამეღნია ფოლა-დის ფსკერქვეშ და ცოცხალი დავრჩენილიყავი, რადგან მცირედი შეც-დომაც სიკვდილს უდრიდა.

ყოველი შვერილი და ჭანჭიკი გამომადგებოდა, უფრო კი მიღების სისტემა, ალბათ სამუხრუჭე, ვაგონს რომ მთელ სიგრძეზე გასდევდა.

სწორედ ამ მიღწეული დავეკიდე, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ის არ მოწყდებოდა, მაგრამ ნელინელ, აუჩქარებლად ვინაცვლებდი ხელებს... ერთგან ზედ გადავაწექი, შევისვენე, ზურგით მეტალის ფსკერს ვეხახუნებოდი. ვცდილობდი, მზერა ამერიდებინა ბორბლებისათვის, მათ გამაყრუებელ გრიალს მუქარად ალვიევამდი... შეუძლებელია გადარჩენა, როცა სიკვდილს ხახაში უძვრები...

ფრთხილად, ფრთხილად!.. — ვიმხნევებდი თავს. როგორმე ბეწვის ხიდზე ბოლომდე უნდა გავიარო, ოღონდ თუ ჩავვარდი, უმჯობესია უმაღვე მოვკვდე, რადგან ეს მატარებელი არასოდეს ჩერდება და ორ რელს შორის გამომწყვდეულს ვაგონების მთელი შემადგენლობა ვერასოდეს გადამივლის.

დროის სათვალავი დამეკარგა. ღონე თანდათან მაკლდება და ვფიქრობ იმ წამზე, როცა მკლავები საბოლოოდ დამაღალატებს.

კიდევ ცოტა და მეტი ძალა აღარა მრჩება. თუ ჯერ კიდევ მივიღები, მხოლოდ სულის სიმტკიცე და სიჯიუტე მიმერეკება. ყოველი კუნთი, ყოველი იოგი ამტკივდა. ვიღაცა თითქოს ჩამახის, დანებდი, ხელი უშვი. სიკვდილი წამიერია, ყველაფერი განქარდება, პატივმოყვარეობა არარაა, მარადისობის წინაშე ყველაზე დიადი საქმეც საპნის ბუშტია. დღეს ხარ, ხვალ არ იქნები, რისთვის იტანჯები? რა ხეირს გამოელი?

არ ვიცოდი, ასე რისთვის ვიტანჯებოდა! დამავიწყდა, როგორ მოვხვდი აქ, ვაგონის ფსკერქვეშ, ფოლადის ბორბლებს შორის, სასიკვდილოდ განწირული... დამავიწყდა ადრინდელი ცხოვრება, დედა, ნატა, ნინი, ბიჭუნა, რომლის სახელიც კი არ ვიცოდი.

და აპა, როცა ტვინშიც და გულშიც სიცარიელემ დაიბუდა, წინა ვაგონის ხიდურამდე ავალწეს, ზედ ავზიდე ჩემი უგრძნობი ტანი, დავეგდე და გავითიშე...

15

კოშმარი მესიზმრა. უკანა ვაგონის კარი გასკდა და იქიდან ბრბო გამოცვიდა. ზედ მაბიჯებდნენ, მე კი ტანის აზიდვას ვცდილობდი... ყოველ წამოწევაზე ვიღაცის ჩემა გადამივლიდა, ძირს მიმაკრავდა... ძვლებს ლანალუწი გაჰქონდა, ხორციმეგლიჯებოდა... მინდოდა, მეყვირა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამომდიოდა.

„რას გდია აქ? გადააგდეთ ხიდურიდან!“ — ჩამესმა და ვიგრძენი, რომ ხელი ჩამავლეს და მაღლა ამისროლეს.

თვალი დავაჭყიტე. არავინ იყო. ხიდურა რახრახებდა, ხტოდა და მეც მასთან ერთად ვძაგას გებდი.

ძლივს გავიმართე წელში, წინა ვაგონისაკენ გადავდგი ნაბიჯი და კარი შევაღე.

მისალებში აღმოვჩნდი. კედელზე უზარმაზარი სარკე ეკიდა, სარკე-ში ჩანდა ღია კარი და უცნობი, ამ კარში რომ შემოდიოდა.

კაცი ჭაღარას დაეპენტა. ნაოჭიანი პირისახე და ხელები გამურული ჰქონდა, ტანისამოსი მტკერში ერთიანად ამოგანგლოდა.

კარი ზურგით მივხურე და მაშინდა მივხვდი, რომ ეს კაცი მე ვიყავი — დიადი მემანქანის კარიბჭეს და სიბერის კარიბჭეს თურმე ერთ-დროულად მოვაღწიო.

საწერ მაგიდასთან ახალგაზრდა, კოხტა ოფიცერი იჯდა.

წამოხტა, ქუსლი ქუსლს მიარტყა და მხედრული სალამით მომესალმა.

— გელოდებიან! — ყოჩაღად მითხრა და ოქროთი მოვარაყებულ კარზე მიმითითა.

ნაბიჯი რომ გადავდგი, კარი გაიღო და მთელი ვაგონის სიგრძეზე გაჭიმულ სალონში აღმოვჩნდი.

გრძელი, მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდის ორსავე მხარეს სავარძლებში ჩამსხდარმა ბატონებმა ჩემკენ მოიხედეს.

ასაკით საუკუნოვანებს ზოგს ფრაპი ეცვა, სხვებს აქსელბანტებიანი მუნდირები.

მაგიდის თავზე, უზარმაზარი, ჭერამდე აწეული პორტრეტის ქვეშ გამელოტებული ჩია კაცი იჯდა და უფერული თვალებით შემომყურებდა.

პორტრეტზე გამოსახული დიადი მემანქანე ქვანახშირით იყო გამურული და ტანზე მტკერითა და ფერფლით ამოგანგლული მემანქანის ჯუბა ეცვა.

— ჰეგავს? — ჩიფრიფით იკითხა ჩია კაცმა და გაძვალტყავებული თითო მომაშვირა.

— ჰეგავს, ჰეგავს! — თავი დაუკანტურეს დანარჩენებმა.

— ბატონებო, დროა შევისვენოთ! — თქვა იმ პირველმა და თავი ჩამოუვარდა.

სხვებმაც მას მიბაძეს და სალონში გაისმა ფშვინვა, მსუბუქი ხროტინი, უაზრო ჩიფრიფი.

საკრებულომ დაიძინა.

იქნებ ხაფანგს მიგებენ-მეთქი და კედლის გასწვრივ ფრთხილად გავიარე.

ბერიკაცებს წყნარად ეძინათ.

ბრინჯაოს ხიდურით ელმავალში შევედი...

16

ძრავების მოგუდული გუგუნი მომესმა.

ფანჯრების გასწვრივ ვიწრო დერეფანილა დარჩენილიყო. დანარჩენი სივრცე, იატაკიდან ჭერამდე, მეტალის ფირფიტებით იყო შეჭედილი და სწორედ ამ კედელს მიღმა უწყვეტად მუმაობდა პერპეტუმ მობილე, უხილავი მანქანა, რომელიც, ვინ იცის, როდის ჩაირთო, ამიერ ვერავინ გათიშავდა და ასე მიაქანებდა უსასრულო მატარებელს, შეჩერება რომ არ ეწერა.

დერეფანში არავინ შემხვედრია. ფანჯრებზე მუქი მუშამბები აეფარებინათ და გარეთ ვერ ვიხედებოდი.

ამ ელმავლიდან მომდევნოში გადავედი, მომდევნოდან კიდევ მომ-დევნოში... სათვალავი დავკარგე.

ბოლო კარით მოზრდილ კაბინაში გავედი.

სწორედ აქ იყო სამართავი პულტი. პანელებზე უთვალავი ნათურა ციმციმებდა, უამრავი ლილაკი ჩამწკრივებულიყო.

სამართავ რიჩაგთან ერთი სავარძელი იდგა. ზედ კაცი იჯდა და წინ გაწოლილ ლიანდაგს გაჰყურებდა.

თავზე რკინიგზელის კეპიანი ქუდი ეხურა.

„დიადი მემანქანე!“ — გავიფიქრე სასოებით.

ხმადაბლა ჩავახველე, მაგრამ კაცს თითქოს არც გაუგონია.

ნელა მივუახლოვდი. მუხლებში ძაბუნი ჩამეღვარა. იქნებ იმიტომ, რომ დიადს შევეყარე, ანდა იმიტომაც, რომ ეჭვი მიპყრობდა.

წინ მთა აღმართულიყო და მატარებელი შეუწყვეტლად მისკენ მიექანებოდა.

„დიად მემანქანესაც ჩაეძინა!“ — ვიფიქრე და ხმამაღლა მივმართე:

— ჰეი!

კაცი არ განძრეულა.

მივირბინე და მხარზე ხელი შევახე.

— ჰეი!

ქუდი გადაქანდა და ცარიელი თავის ქალა ძირს რახრახით გაგორდა.

თავზარი დამეცა, დამუნჯებული დავყურებდი იმას, რაც ოდესლაც „დიადი მემანქანე“ იყო, ახლა კი რკინიგზელის ფორმაში ჩაყრილი ჩონჩხის გროვად გადაიქცა.

უცებ რაღაცამ გულის კოვზთან შემიღიტინა და ისტერიული ხარხარი ამიტყდა. ვიცინოდი, მუცელზე ხელს ვირტყამდი, წელში ვიკაკვებოდი, ვხარხარებდი და ვხარხარებდი...

მერე სიცილი ჩამიწყდა, შიში დამეუფლა.

„ვგავდი, დიახაც ვგავდი ამ ჩონჩხის გროვას!“

უდიერად ჩამოვფერთხე სავარძლიდან ის, ვინც ოდესლაც დიადი მემანქანე ბრძანდებოდა, ჩავჯექი და რიჩაგს ხელი ჩავავლე.

მატარებელი წინ აღმართული მთისაკენ მიექანებოდა.

რიჩაგს მივაწექი, ოღონდ მატარებელს სვლა არ შეუნელებია, იგი კარგა ხანია, მართვას არ ემორჩილებოდა.

შეჰკივლა ელმავალმა და შეგრიალდა შავ გვირაბში.

„გალმა სხვა სამყაროა!“ — იმედს ჩავებლაუჭე, თუმცა ვერც ლიანდაგს ვხედავდი, ვერც გვირაბის კედლებს.

სადღაც შორს სინათლე აციმციმდა.

„გასასვლელია!“ — ვიგუმანე, მაგრამ ის, რაც ციმციმებდა, არ ჰეთავდა დღის სინათლეს, იგი წითლად ღუდლუდებდა და კაბინაში ცხელმა ჰერმა და დამწერის სუნმა შემოაღწია.

წუთიც და მატარებელი შეგრიალდა უკიდეგანო მღვიმეში, რომელიც გალიცლიცებული იყო გამდნარი რკინის ზღვით, — თუხუცებდა, დუღდა, ბუყბუყებდა, ისროდა მწველ შხეფებს, გუმბათზე შავი კვამლი იბოლქვებოდა და ჭექა-ჭუხილისაგან ირგვლივეთი ერთიანად ზანზარებდა.

წარმოსახვაში მოულოდნელად გაიელვა წინიმ და ბიჭუნამ, რომლის სახელიც არ ვიცოდი.

აფეთქება წამიერი იყო და სამყარო გათავდა...

ნინი პატარა სახლის დირეზე იჯდა. ბიჭუნა მის მკლავს ჩახუტებოდა და თავი მხარზე სანდომიანად მიეყრდნო.

ეზოში ატმისა და ტყემლის ხეები თეთრ და ვარდისფერ ყვავილებს დაეპენტა.

აღმოსავლეთის ცაზე მზე შუბისტარზე გაჩერდა.

„რაღაც მოხდა!“ — გაიფიქრა ნინიმ.

— დე, რაღაცა მოხდა! — ჩაიჩურჩულა ბიჭუნამ.

დრო გაჩერდა...

იანვარი-თებერვალი, 1909

## მოგზაურობა ხილობის სამარილოში



მეგობარმა დამირეკა, ჩვენი საერთო ძმაკაცი გვანჯი მანია სამოგზაუროდ გვიწვევს სამეგრელოში და, მე რომ შენს ადგილზე ვიყო, გავყვებოდიო. თვითონ მრავალი წლის წინანდელ ავარიას ძლივს გადაურჩადა თეძოს ძვალი ცუდად ჰქონდა შეხორცებული. ბუნებრივია, ფეხით დიდ მანძილზე ვერ ივლიდა, თუმცა მეცარ გახლავართ დიდი ვინმე ბაყბაყდევი. გაისად სამოცდათი მისრულდება და პრობლემები, რაც ასაკოვან ადამიანს წამდაუწუმ თავს ახსენებს, მეც მაწუხებს: ხან წევა ამინევს, ხან ფეხი ამტკივდება, დღეს რომ თინეიჯერივით დავაბიჯებ, მეორე დღეს ხელჯოხს ვეყრდნობი... ზოგჯერ ულონბა დამეუფლება, ზოგჯერ უძილობა მტანჯავს... მოკლედ, მივექანები თანდათან დაღმართზე... დაეტიე შინ, — ვუბრძანე საკუთარ თავს, — წახვალ და სხვისი სათრევი გახდები. რა დროს აღმა-დაღმა ხეტიალია, საცაა კარზე მიქელ-გაბრიელი მოგიკაუნებს და სამოთხის პასპორტს გამოგინერს.

საღამოს გვანჯი შემომეხმიანა, ჯემალო, ხომ მოდიხარო. უარის თქმა ვერ მოვასწარი, წაირ-წაირ ფერებში დამიხატა ჩვენი მომავალი თავგადასავლები — ათდღიანი ტურისტული ტურნე დავგევმეო, ერთხელ უკვე ვიმოგ ზაურე, ახლა ხელმეორდ მივდივართ და უსიკვდილოდ ყველა რაიონს შემოვივლითო. რაც ადრე გინახავს, თვალს ხელმეორედ შეავლებ, რაც აქამდე არ გინახავს, ჰა, ბურთი და მოედანიო... რა ვიცი, აბა, — ჭოჭმანით ვუპასუხე, — თუ რამე არ ამტკივდა, თუ წევამ არ ამინია და გულიც არ ამიჩქარდა, თუ მუხლებში ძაბუნი არ ჩამელვარა, იქნებ ვირისკო-მეთქი, უკანდასახევი გზა მოვიტოვე.

იმ ღამეს ძილი გამიტყდა, წავიდე-არნავიდეს თემა ტვინს მიბურღავდა და არ მომასვენა. ბოლოს სასწორის პინაზე ისეთი აზრი დავდე, წასასვლელად რომ მიბიძგებდა: წელს თუ არ წავალ, ორ-სამ წელიწადში კიდევ უფრო დავბერდები და ვერც ვერასოდეს წავალ-მეთქი.

დღისით გვანჯის დავურეკა — „მოვდივა-არ!“

კარგა ხანია, რაც მატარებლით არ მიმგზავრია. ვიფიქრე, ბოლო ღროს რეკლამებით შემოთავაზებულ, გარედან ლამაზ, შიგნიდან საგარდლებით გაწყობილ მატარებელს გავყვები-მეთქი. დღისით თბილისში ცხელოდა. უმნიშვნელო საქმეების მოსაგვარებლად ქალაქში ვიხეტიალე. ნაშუადღევს ჩემი ამერიკული ხელჯოხის კაკუნით ვაგზალს მივაკითხე (უნდა გითხრათ, რომ ეს ხელჯოხი ჩემი მეგობრების ცხოველ ინტერესს იპყრობს, მეც ილიასა და აკაკის ძეგლი რომაა რუსთაველზე, იმაზე მივუთითებ და თავმდაბლად ვამბობ, ნამდვილი კლასიკოსი ასეთი ხელჯოხით უნდა დადიოდეს-მეთქი). მერე რა, რომ ხელჯოხი მხოლოდ აკაკის უკავია, ასაკოვანი ილიაც ხმარობდა და მგონი ყველა სხვა „თერგდალეულიც“). საღაროს მოსაძებნად იმდენ კიბეზე ავედი და ჩავედი, ფეხებში ღონე გამომელია და შინ დაბრუნებული, კარგა ხანს ვეგდე ტახტზე და ვმარჩიელობდი — იქნებ უმჯობესია ეს ბილეთი სანაგვეში მოვისროლონ და სენაგამდე ჩვეულებრივ სამარშრუტოს გავყვე-მეთქი. ეს მხოლოდ ინილო-ბინილო იყო და ის დღე გაზეთების კითხვას და ტელევიზორს შევალიე, თან აუჩქარებლად ვალაგებდი საჭირო ნივთებს სამგზავრო ხელჩანთაში, რადგან წინასწარ ვიცოდი, რამე აუცილებლად დამავიწყდებოდა (ამჯერად თურმე პირსახოცი დამრჩა და მესამე დღეს სენაკში ვიყიდე).

საღამოს ისე ჩავიცვი, როგორც ჭიპმოჭრილ მოგზაურს ეკადრება. საერთოდ ჩემი ჩაცმულობა არც ჩემს ასაკს შეეფერება, არც ჩემს სიდარბაისლეს. ერთი წათესავი გოგონა ხუმრობით „თინეიჯერ ბაბუს“ მექანის, რადგან ვერ ვეგული კოსტუმიან-ჰალასტუხიან ჩაცმულობას. ამჯერადაც მაცვია ახალგაზრდული მაისური და ჯინსები, ფეხებზე მაშიები (თუ განმარტებით ლექსიკონს დავესესხები), რუსულად რომ „ბასანუკებს“ ეძახიან. თავზე ამერიკული კეპი მახურავს... მოკლედ, ყველაფერი ისე მაქვს მორგებული როგორც რაჯ კაპურის სიმღერაშია ცნობილი ფილმიდან „ბატონი-420“. მხარზე ჩანთა გადავიკიდე. ხელჯოხი ხელში მოვიგდე, რადგან ასაკით დამძიმებულ ჩემს სხეულს ორი ფეხი კარგად ვერ ზიდავს.

ვაგზლის ბაქანზე რომ გავედი, მატარებელი ჯერაც არ ჩანდა. მიმოვიხედე, მინდოდა მერსი მომძექებნა. სამწუხაროდ, მგზავრებზე მზრუნველ რკინიგზის ხელმძღვანელობას ჩემი ფეხები ფეხებზე ჰკიდია. იდე-ქირამდენიც გინდა და ჯოხზე დაყრდნობილი ელოდე მატარებელს! მეც ვდგავარ და ირგვლივ ბალზაკის ასაკის ქალბატონები მახვევია, თანაბრად ჯანიანები და ლოყადაბრანულები. ესენიც დგანან და მეგრულ-ქართულად ქოთქოთებენ. დედა, რა დამებართა, — გაიძახის ერთი, — მთელი დღე ფეხზე გავატარე და მხოლოდ ერთი სულუგუნი გავიყდე, სულ დაილია, ძა, მუშტარი... ერთმანეთს უყვებოდნენ, რომელი მეზობლისაგან რამდენი სულუგუნი წამოიღეს და აქედან რა იხეირეს. კიდევ კაი, ქალების ღონე გვშველის, თორემ ჩვენი ბიზნეს-ურემი ლაფშია ჩაფლული... საუბარში მეც ჩავერთე, უმალ გავარკვიე ფასები და ბიზნესის მასშტაბში, თუმცა რომელი მყიდველი მე ვიყავი, ჩემნაირი მუშტრის ხარჯზე ვაჭრობის ლოკომოტივი ვერც დაიძვრება.

გავიდა ლოდინის დროც და ჩამოდგა ფოთის მატარებელი. ბილეთი პირველი ვაგონისა მაქვს და, ლოგიკის თანახმად, შემადგენლობის თავში მგონია, მაგრამ მშობლიური რკინიგზა ლოგიკას არას დაგიდევს და თურმე ვაგონები უკულმაა დანომრილი. მივაკაკუნებ ამ ჩემს ჯოხს, ცარიელი ვაგონის ფანჯრებში ვიჭყიტები. საოცარია, მაგრამ ბილეთები მხოლოდ ბოლო ვაგონისათვის გაყიდულა და მიდის ეს ცარიელი შემადგენლობა, ერთი ბოლო, მგზავრებით გადაჭედილი ვაგონით... შეთქმულების თეორიის თანახმად, სალაროებში, ალბათ, სულ მასონები სხედან და ჩვენთვის სრულიად გაუგებარ, მაგრამ ჩვენს გასამნარებელ ლოგიკას ემორჩილებიან.

ვაგონში სავარძლები წინდაუკან განულაგებიათ. პირველივე რიგის პირველივე სავარძელი მე მეკუთვნის. ვჯდები ზურგით დასავლეთი-საკენ, ზემოხსენებული ასაკის ქალბატონის გვერდით. ზედაც ეტყობა, რომ ესეც მცირე ბიზნესის ლამაზი წარმომადგენელი გახლავთ. ბოლჩები და ჩანთები ირგვლივ შემოიწყო, თავით კედელს მიეყრდნო და ძილს მინებდა. უკვე მცხეთას გავცდით, როცა თვალი დაჭყიტა და ეჭვით შემათვალიერა. თურმე ნავაჭრიანი ხელჩანთა სავარძელს უკან გადაუვარდა და ტვინში წამით გაუელვა, ამ „თინეიჯერმა ბაბუმ“ ხომ არ ამნაპნაო. დანაკარგი მალევე აღმოაჩინა, გულში ჩაიხუტა და ძილი განაგრძო. მოშორებით თავისუფალი სავარძელი აღმოვაჩინე და იქ გადავბარგდი. აბა, დღენიადაგ გზებზე გაკერილ ბიზნესმენს ხომ არ

შევაწუხებდი და იმანაც, სიხალვათე რომ იგრძნო, ჩემი სავარძელიც აითვისა.

მირბის მატარებელი, მირახრახებს, ისე ქანაობს, ლამისაა რელსებიდან გადავარდეს. სავარძელი ანცად ხტუნაობს და მეც ისე მახტუნავებს, ძილზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია. ხანდახან ელექტროძრავა აგუგუნდება, ვერ გამიგია, სად უყენია და რისთვის. ძილგამქრალი მგზავრები ხმამაღლა ყაყანებენ. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ბედნიერად ტკარცალებს. სადღაც ვიღაცამ მობილურით როკი ჩართო... იქით ბლუზი... უფრო შორს რესტორნული ვართალალე... ფანჯრებზე უკუნი აფენია. ზედ თუ მიენებები, კენტი წათურის გაელვებას დაინახავ, არადა ორივე მხრიდან ვაგონის შიდა ხედი ირეკლება, თითქოს სამი ვაგონი ერთად მირახრახებსო.

მოკლედ, დარწმუნებული ვარ, ამაზე მეტი ხმაური ჯოჯოხეთშიც არ დამხვდება. სხვა რა გზა მაქვს, ხუთი-ექვსი საათით წამებისათვის მორჩილად განვეწყვე და დაგადუგით სენაკს რომ მივაღწიე, უკვე ვეღარ ვიხსენებდი, მთელი გზა ვფხიზლობდი, ვთვლემდი თუ ეს აუტანელი დგრიალი და ხტუნაობა მხოლოდ მესიზმრა.

### 3

ქალაქი ისეა განათებული, ვეღარ ვარკვევ, ღამეა თუ რიურაჟი მოიპარება. სადგურისწინ, მოედანზე ტაქსისტები მუშტარს ელოდებიან. ვირჩევ მანქანას. ლამაზი მანქანა ლამაზი ფული ღირს. მცირელი-ტრაჟიანში ვჯდები და ათ ლარს მოჭრით ვთავაზობ.

მივდივართ!

ქუჩებში ხალხი ჯერაც არ ჩანს, იშვიათი მანქანა თუ ჩაგვივლის. ძველი სენაკის გზას ვადგავართ. ადრე ამ სოფელში ხშირად ჩავდიოდი. აგერ ქავთარაძების წყვილი ოდა. პაშუტია ბებია უკვე აღარაა, აღარაა რევაზი, რომელსაც მონაფეობის შამს ტყვიამ თვალებში გაუკანა და თავისი მოკლე სიცოცხლე ბნელში გაატარა, აღარაა აბესალომი, ლამაზი და მხიარული, მუდამ თავის ტკივილს რომ უჩიოდა და უიღბლო ავარიის დროს სწორედ თავი გაეჭეჭყა... სევდა მიპყრობს... მშვიდად სძინავთ სახლებს... სძინავს სოფლის სკოლას... სოფლის სასაფლაოს... ახალ ეკლესიას... თვლემენ ბუმბერაზი ხეები...

გარე-მიდამოში ბინდი იცრიცება. ჰორიზონტიდან, ხეთა კენწეროების მიღმა დიადი მზეთუნახავი აპირებს ამობრნყინებას.

მძლოლი გულს მიშლის. საუბრის თემა ერთია — გაჭირვება და პოლიტიკა. ბენზინის სიძვირეს უჩივის. ვხედავ, რომ ბევრი რამ კეთდებაო, მაგრამ... ამ „მაგრამში“ ჩუმი პროტესტი და ტკივილია ჩაბუდებული.

წარწერა გავარჩიე — „ნოქალაქევი“. გზაჯვარედინზე ვჩერდებით და მობილურით ვრეკავ ჩემთვის უცნობ მასპინძლებთან. ბოდიშით ვაღვიძებ. ასიოდე მეტრი გამოიარეთ და ჭიშკართან დაგხვდებითო.

მზე ჯერ არ ამოსულა, მაგრამ დილის ნათება სოფლის ორლობეს ეფინება.

ჭიშკართან ახალგაზრდა კაცი მელოდება. ეს ძაძამიების ოდა-სახლია, ჩვენი ტურნეს საოჯახო სასტუმრო... კაცს გენადი ჰქვია. კიბის თავზე გამხდარი, გახუნებულ შავებში ჩაცმული ქალბატონი დგას, ამ კაცის დედა და სახლის დიასახლისი. მეორე სართულის საძილე ოთახი-საკენ მიმაცილებენ და მე დროს არ ვკარგავ — დილის გემრიელი ძილი უნდა გამოვაცხო!

4

მზის სხივმა მომაგნო და ლოგინიდან წამომაგდო. ფანჯრიდან გა-დავიხედე. ახლა აგვისტოს ბოლოა. ეზო-კარი და სამეზობლო მამულები მწვანეთა ნაირფერში ჩაფლულა, ბუნება სიჭარმაგეში გადავიდა.

ვერ ვიტყვი კაბეზე ჩავირბინე-მეთქი, რადგან საფეხურებზე ჩასვლისას ხელჯოხს ვიშველიებ. დიასახლისის, ქალბატონ უოზეფინას ვე-სალმები. სამზადიდან საუზმის სურნელი გამოდის. დიასახლისის ორი ახალგაზრდა ქალი ეხმარება. პატარა გოგონა და პიჭუნა ცნობისმოყვარედ მათვალიერებენ. ტრადიციულად ქალაქელი ნათესავისათვის სოფელი აგარაკია და სოფლის თითქმის ყველა ოჯახში ულევი სტუმრიანობაა.

უკანა ეზოს კუტიკარიდან ტანადი და სახიერი ახალგაზრდა გამოდის. სახელად რამაზი რქმევია, გვარად ხელაია. იგი ჩვენი პირველი მეგზურია. გავარკვიე, რომ სოხუმიდანაა დევნილი, პირველი პრეზიდენტის ერთგულება დღესაც შერჩენია, რადგან თავისი ეს რწმენა ტყვიის წვიმებში გადაატარა. ომის სინდრომი... ომის სისასტიკე ვინაც განიცადა, იმას სამუდამოდ შემორჩა უამის ნაკვალევი. მის ნერვებს

დაჭიმული სიმების უღერადობა ახლავს. ცდილობს მშვიდად, წყნარად გელაპარაკოს, თუმცა ადრინდელ განცდათა ფარული კვალი ხმის დაძაბულ თრთოლვაში ვლინდება. მის ქცევაში, მიხრა-მოხრაში კაი ყმა ამოიკითხება, უღალატო და ბოლომდე ერთგული.

— კაი კაცი! — მხიარული შეძახილი მესმის.

ჭიშკართან ტაქსი დგას. გვანჯი უკვე ეზოში შემოსულა და ორი მამა-კაციც ახლავს.

გვანჯი ასაკში ერთი წლით მისწრებს, მაგრამ დღესაც ადრინდელ-ივით ცქაფი და დაუღლელია. მაღალი, ხმელი, ახალგაზრდულად შემართული, მუდამდღე ნაირ-ნაირი იდეებით ატაცებული, შეუსვენებლივ მავალი, მავანთა გზისმკვლევი და წარმომჩენი, უშურველი, გულლია, სხვათა მიღწევებით ბედნიერი და უმადურთა მიმართ მომთმენი... ძნელია მეორე ასეთი კაცის პოვნა, ვისთანაც სასურველია ძნელ გზებზე სიარული.

— აი, კაი კაცი! — მხიარულად გაიძახის და მაცნობს ახალ მეგორებს.

ბატონი თამაზ ლუკავა ბეჭებპრტყელი, მოსული კაცია, მრგვალი თავი ჭალარა ჯაგრით აუქოჩრია. ხელში მუდამ ციფრული ფოტოპაპარატი აქვს მომარჯვებული, მშობლიური მხარის ძეგლებზე, ადამიანებზე და ლამაზ ლანდშაფტებზე ნადირობს.

ბატონი დავით სალია, სკოლის ახალგაზრდა დირექტორი, ლოყაპუტკუნა, ღონივრად მავალი, ტრადიციული მცირე ქართული ღიპის მატარებელი (ქართველ მამაკაცთა უმრავლესობას რომ ამშვენებს).

— სხვები გზაში შემოგვიერთდებიან! — ოპტიმისტურად გვიხსნის გვანჯი.

ოპტიმიზმი მისი ნატურის თვისებაა, თავისი შემტევი ოპტიმიზმით მუდამ მინგრევს ჩემს სკეპტიციზმს.

სალამ-ქალამი... ხელის დაბანა... გრილოში გაშლილი საუზმე...

5

კუტიკარით გავდივართ უკანა ეზოში, იქიდან ტეხურის ნაპირზე და აუჩქარებლად მივემართებით სამანქანო ხიდით ნანას (დედას) მოედნისაკენ. მეგორები ცდილობენ ფეხი ამინყონ. ხიდიდან გავყურებთ ციხე-გოჯის შთამბეჭდავ კარიბჭესა და გალავანს, ოცდასამი

საუკუნის წინ ეგრისის და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ რომ ააგო ტეხურის ნაპირზე. მისმა ბასტიონებმა გაუძლეს არაბთა და ბიზანტიელთა არაერთ დარტყმას. ბოლოს იგი დაარბია სისასტიკით სახელგანთქმულმა სარდალმა მურვან-ყრუმ, თუმცა იმის შემდეგაც მრავალი საუკუნე უძლებდა ქამთასვლას.

ბუნებრივია, თავდაპირველად მუზეუმი მოვინახულეთ. ადრე ეს სახლი კანტორა იყო, ახლა კი გადაუკეთებიათ არცთუ დიდ, მაგრამ თანამედროვე სამუზეუმო შენობად, საინტერესოდ მოწყობილი საგა-



მოფენო დარბაზებით. აქ გამოფენილია დიდი ნაწილი იმ მონაპოვრებისა, რაც ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

კელავ დღის სინათლეზე გავდივართ და კარიბჭისაკენ მივემართებით. ვხვდები, რომ სიტყვები არ მყოფნის შთაბეჭდილებათა გადმოსაცემად. ცხადია, სამეცნიერო ნაშრომებში ყოველი წვრილმანი გაზიმილი და აღნუსხულია, მაგრამ მშრალი ფაქტების მიღმა რჩება კიდევ რაღაცა — განცდა, რომ დროის ულრმესი შორეთიდან გესმის წინაპართა გამოძახილი.

დავსეირნობთ ნაქალაქარის ფართო ეზოში, ყოველ ნაბიჯზე რომ ეტყობა ძველთაძველი არსებობის ნაკვალევი. შევდივართ ასაკოვან ეკლესიაში და სანთლებს ვანთებთ.

აქვე ახლოს არქეოლოგთა სადგომია. წინ გვეგებება ექსპედიციის ხელმძღვანელი ბატონი დავით ლომიტაშვილი, კარგი ვაჟკაცი და შესანიშნავი მოსაუბრე. ხატოვნად დაგვისურათა არქეოპოლისის საუკუნოვანი ისტორია, აღმშენებლობანი და ნგრევანი, ნარსულის აღმოჩენები და მომავლის ჩანაფიქრები... აქ პოლიტიკაც გაკრთა, აქამდე ხომ



ბევრი არაფერი მსმენია არქეოლოგიის პოლიტიზირებაზე. მავანნი ცდილობენ მოიძიოონ კოლხური ცული, მერე სადმე ყუბანის მიდამოებში ჩამარხავენ და ზარზეიმით „აღმოჩენენ“, რათა თავიანთ ისტორიულ პრეტენზიებს მოარგონ... ისტორიის გამყალბებლებსა და შანტაჟისტებს შინაგამცემნიც უწყობენ ხელს, ერთ მუჭა ვერცხლზე რომ ყიდიან ღირსებას... ერთიც დამამახსოვრდა ამ საუბრიდან: არქეოლოგია უბრალოდ მინის თხრა როდია. სანამ წერაქვს დაარტყამდე, ხანგრძლივი და სკრუპულებური სამუშაოა ჩასატარებელი. ზუსტად უნდა იცოდე, სად თხრი და რის მოპოვებას ელი. ჯობს სულაც არ გათხარო, ვიდრე ვერ შეძლო აღმოჩენილის გადარჩენა და შესწავლა... არაპროფესიონალმა იქნებ რაღაცა აღმოაჩინოს, მაგრამ სავარაუდოდ უფრო მეტს გაანადგურებს.

გამოვემშვიდობეთ ენაწყლიან მასპინძელს და გავემართეთ ტეხურის კლდოვანი ნაპირისაკენ. აქ, მინდვრის ბოლოს უნიკალური გვი-

რაბი ჩადის წყლისპირამდე. კლდეში გამოკვეთილი საფეხურებით დაბლა ვეშვებით. გვირაბის ჭერზე მცირე ღიობია სინათლისათვის დატანებული. ოდესადაც ციხე-ქალაქის დამცველები აქედან იღებდნენ წყალს...

აგერ ტეხურიც, წყლის მსუბუქი ტალღები ელამუნება ლოდებს.

ამოვდივართ გვირაბიდან. იქვე ახლოს რკინის საფეხმავლო ხიდია გადატყორცნილი. იქიდან, ერთი მხრივ, ტეხურის ვიწრო და კლდოვანი ხეობა ჩანს, მეორე მხრივ ციხე-ქალაქი, თავზევით კი, მაღალ მთაზე, ციტადელი...

ხიდის ქვეშ სუფთა და გამჭვირვალე წყალი მოსჩქეფს, ფსკერზე კენჭებს დაითვლი... ზაფხულის სიცხეა და გრილ ჩქერალებში ბავშვები წიოკობენ.

შინ შევბრუნდით, ძაძამიებთან, სადაც მეგრული სადილი გველოდებოდა...

## 6

ნასადილევს, მცირე შესვენების შემდეგ, სადადიანო სოფელ ბეთლემისაკენ გავწიეთ. ხრეშის სამანქანო გზა მთის ფერდობს აღმა მიჰყვება. ზევით ტყე-ბუჩქნარი გარბის, ქვევით, ხეთა ტოტებს შორის, აქა ჯებული ტეხური მოჩხრიალებს, მცირე კანიონში მიიკვლევს გზას. კამპამა წყალი ლოდებს გოჩგოჩინათი გადაუვლის, მისი ჩხრიალი შორს გაისმის. სალი კლდეები ზოგან მდინარეს ავიწროებს. ერთგან დედამოკაა, აქ კლდეები ძალიან ახლოსაა. ლეგენდის თანახმად, ორსული ქალი მტერს გაურბოდა და უფალს შველა შესთხოვა. კლდეები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, რათა ქალს გადახტომა შეძლებოდა...

თანამგზავრები წინ მისწრებენ, მე კი აუჩქარებლად ვადგამ ფეხს, ვცდილობ არ ვიტკინო, თუმცა მუხლები მაინც მეღლება... როცა ადამიანს ღონე არ გყოფნის, სულის ღონეს უნდა მოუხმო.

ლამაზია სამეგრელოს მთისპირეთი. უხვი ტყით მოსილი მცირე და დიდი გორაკები ერთიერთმანეთზე აგრაგნილან. ყოველ მოსახვევზე უფრო და უფრო წარმტაცი ხედი იშლება. ციდან მზე აცხუნებს, მაგრამ ხეობიდან მდინარის სუნთქვა გრილ ნიავად ამოფოფინდება და პირზე გელამუნება.

გზის ბოლოს, ხელმარჯვნივ ფერდობზე მომცრო სოფელი ბეთლემია შეფენილი. მცირე ბონდის ხიდზე გადავდივართ, რათა ტყეში ჩამალუ-



ლი, ან უკვე მიტოვებული ბანაკი შევათვალიეროთ. ხიდი ფეხქვეშ ირნევა, ძირს კი მდინარის გამჭვირვალე ჩქერალები მიედინება.

ჩრდილში შევისვენეთ, მერმე კი დაბლა, ხეობისაკენ დავეშვით. აქ ტეხურის პირას მოზრდილი ველია. ირგვლივ მწვანე მთები შემოჯარვია, ზევიდან ულურჯესი ცა ჩამოგვმბობია. შუა მინდორზე უანგისფერი მილებიდან ცხელი წყალი მოთქრიალებს, ორთქლის ლრუბელსა და გოგირდის სურნელს აყენებს.

უამრავი მანქანით ამოსული ახალგაზრდობა ერთობა. ცხელი, გოგირდოვანი წყალი ტეხურში იღვრება და მდინარის წყალს შეათბობს, არბილებს... ამიტომაც მოჭყუმბალავეთა ურიამული არ წყდება...

დიახ, რომანტიკული განწყობა მეუფლება, მაგრამ ჩემს ამაღლებულ რომანტიზმს ანელებს ტრადიციული ქართული დაუდევრობა — საჭმლის ნამუსრევი, ცელოფნები, ცარიელი, ჭუჭყიანი ბოთლები... დღენიადაგ ტრადიციებს მივტირით. რა იქნება საკუთარი, მშვენიერი ბუნების განადგურების „ტრადიცია“ ნარსულში ჩავტოვოთ?

უკანა გზაზე კეთილმა ძირს თავის უანგიან „შიგულში“ ჩაგვტენა და ძაძამიებთან ჩაგვიყვანა...

სამარშრუტო ტაქსი ისე იყო გადატენილი, მეგონა ფეხს ვერ შევდგამდი. ჩემმა ტოლსწორმა ქალბატონმა ხელჯოხი დამინახა და ადგილი დამითმო. თუმცა ამით ჩემი რაინდული თავმოყვარეობა იღახებოდა, მაგრამ ბევრი თავპატიური არ დამიდვია.

მარტვილში ადრეც ვყოფილვარ. კომუნისტების დროს „დროშის“ კორესპონდენტად ჩავედი და სითამამედ ის მიმაჩნდა, რომ ჩემს წერილში გეგეჭკორი არც მიხსენებია (სათაურად „მარტვილის გაზაფხული“ დავაწერე). მეორეჯერ აქ თამაზ ბაძალუა ჩამოვიყვანე. თამაზი ლოყანითელი, ჩაფსევნილი ვაჟუაცი იყო. უაღრესად ნიჭიერი პოეტი და იტალიური პოეზიის უბადლო მთარგმნელი. ერთად ვისვენებდით გავრაში. მე მანქანით ვიყავი და იქიდან ერთად დავპრუნდით. მასთან მგზავრობა მსიამოვნებდა. ჯერ მის სოხუმურ ცოლოურს ვესტუმრეთ, მეუღლე და პატარა თუთაცირა ჩავისვით. ზუგდიდში ჩემი აწერდაცვლილი დის სახლში შევიარეთ. მერე მარტვილში ავედით და თამაზმა ცოლ-შვილი თავის მშობლებთან დატოვა. იმერეთში ჩემს სიდედრისიმართან ერთი ლამაზი ლამეც გავატარეთ... მისი და მისი ოჯახის მოულოდნელმა დაღუპვამ გული საშინლად მატკინა და ეს მგზავრობა ამიტომაც ჩამორჩა მეხსიერებაში სამუდამოდ.

ახლა ვზივარ მგზავრებით გაჭედილ ამ სამარშრუტოში და გზის გასწვრივ მწვანეში ჩაფლულ ოდა-სახლებს ვათვალიერებ.

ბანდაში ნახევარი საათით შევყოვნდით, მგზავრების უმრავლესობა აქ ჩადიოდა, დიდ ბაზრობაზე.

გზა მარტვილისაკენ უფრო და უფრო ლამაზდებოდა, რადგან თანდათან გვიახლოვდებოდა გორაკიანი სამეგრელოს ტყიანი გრაგნილები.

ცენტრში, მუზეუმთან ჩვენი მორიგი გიდი, მარტვილელი პოეტი და უურნალისტი ბატონი მურმან წონორია გველოდება. ადრე აქ გივი ელიავას ვსტუმრობდი, კაცს, რომლის ფანატიკური გატაცების საგანი ეს მუზეუმი და ამ ლამაზი მხარის წარსულის კვლევა გახლდათ.

ბატონმა მურმანმა ჩვენთვის ახლობლის „ვენი“ გამოიხმო და სანამ მანქანა მოვიდოდა, ეზოში შევგიძლა. მუზეუმი სარემონტოდ დაკეტილი იყო, მაგრამ ეზოც საინტერესო აღმოჩნდა, რადგან აქ, ქალა-

ქის ცენტრში, გივი ელიავასა და მის თანამოაზრეებს საკოლექციო ვენახი გაუშენებიათ, უამრავი სხვადასხვა ჯიში იყო წარმოდგენილი.

ბოლოს „ვენიც“ გამოჩნდა, შიგ კომფორტულად განვთავსდით და სოფელ სალხინოს მივაშურეთ დადიანებისა და მიურატების მამულის მოსანახულებლად. იქ ახლა მამათა მონასტერია და ხუთიოდე ბერი მოღვაწეობს.

ჭიშკართან ჩამოვედით. მიმოვიხედე. აქეთ და იქით, ეზოებში ორი სოლიდური შენობაა, საბჭოური ეპოქის ნიმუშები. იქითაც და აქეთაც კვარცხლბეჭვებზე სტალინები დგას — ვერცხლისფერი და რუხი. ჩემი სიყმანვილის დროს ასეთი ძეგლებით მთელი ქვეყანა იყო მოფენილი. მოგვიანებით, შიგნით, ეკლესიასთანაც რუხი კვარცხლბეჭვი ვნახე, ალბათ, ადრე ზედ სტალინი იდგა. ერთი ახალგაზრდა ბერი გავიცანით. ეკლესიასთან მაინც ამ კვარცხლბეჭვს რაუნდა, რატომ არ ანგრევთ-ქი, ვკითხე. რას ვამდისო, წყნარად მიპასუხა, იქნებ ოდესმე წმინდანად შერაცხონო. სახტად დავრჩი. არ მეგონა, რომ ჩვენს რელიგიურ წრეებში ვინმეს ასეთი მკრეხელური აზრი მოუვიდოდა — მეოცე საუკუნის უდიდესი და უსასტიკესი ტირანი წმინდანთა გალერეაში შეეყვანა...

ჭიშკარს მიღმა ულამაზეს ხევზე ხილი იყო გადებული. ზედ მოკირნებული გზა გადიოდა და ეს სამუშაო ამ წუთასაც გრძელდებოდა. ჯერ ეკლესიას მივაშურეთ და სანთლები ავანთეთ. მონასტრის ახალგაზრდა წინამდლოლმა ბერი ანგია გამოგვაყოლა. მწვანე მინდორს, სადაც ოდესადაც სამეგრელოს დიდგვაროვნები დაჯირითობდნენ, ხეივანი მიჰყვებოდა. ველის ბოლოს ძველი მარანია. ზედა სართულზე ქვით აწყობილი მშვენიერი თალედია. ქვედა სართულის სიგრილეში ღვინის კასრები და ენოთეკაა. მამა ანგიამ ტაბლასთან დაგვსხა, ფიალებში ოჯალებში ჩამოგვისხა და დაგვლოცა...

წამოსვლის წინ მომცრო, კოხტა სასტუმროში შეგვიყვანა, პატარა მუზეუმს უფრო ჰერები ეზოს ყვავილნარით ამკობდნენ... ყველაფერი იყო ლამაზი და ფაქიზი...

და მაინც, მცირე სევდა გამომყვა. მონასტერში შემოსვლისას ქალის ტირილი შემომესმა. ოცდაოთხი წლის ჭაბუკს ბერად აღკვეთა გადაუწყვეტია და დედა არ ანებებდა. აქ, თუ არ ვცდები, ჩვიდმეტი წლის ბერიც ჰყოლიათ. უფალი, ალბათ, მაპატიებს და მკრეხელობად არ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ მერჩივნა ამ ერთიციცქნა ქვეყანაში ახალგაზრდებს ოჯახები შეექმნათ, ხოლო მონასტრის კარები ჩემი



ასაკის ადამიანებს შეელოთ ცოდვათა მოსანანიებლად... ოღონდაც, არანაირი უფლება არა მაქვს სხვათა ქმედებათა განსჯისა.

8

უკანა გზაზე, ჩვენი მასპინძელი, ბატონი მურმანი ნაირ-ნაირი ამბებით გვახალისებდა.

ერთგან კარგა მოზრდილი მთის გასწრივ ვიარეთ. თურმე ტაბაკონა გახლდათ. „ჭინკეშობაზე“ აქ უამრავი ჭინკა და ავი სული იყრისოთავს. აქამდე ტაბაკონა თვალითაც არ მქონდა ნანახი, თუმცა ჩემი რომანის „მარადი მხედარის“ პერსონაჟები მის თავზე დაქროდნენ მგელზე ან ცოცხზე ამხედრებულები...

აგერსიმინდის მშვენიერი, ლალანა ყანა გამოჩნდა, რომელსაც თურმე „ნაჩურია“ რქმევია. ვინც მეგრული არ იცის, მაგის შინაარსს ვერ ამოიკითხავს. მე კი მხოლოდ იმიტომ ვბედავ, დღევანდელ ახალგაზრდულ ლიტერატურაში მეტად მოდურია ე.წ. „სლენგი“, უფრო სწორად ბილნისტყვაობა და უხამსობა... თურმე მაგან დადიას (დადიანს) გლეხის ლამაზი დედაკაცი მოსწონებია და ამ მინდორზე გაუტყუებია. არიან

ერთ ამბავში და აკი ქმარი წამოადგათ თავზე. გლეხმა წალდს წაავლო ხელი და, აპა, დადიას თავი უნდა წააცალოს. დადიამ უთხრა, ხომ იცი, ჩემს მოკვლას არავინ გაპატიებს, პირველსავე ხეზე ჩამოგახრჩობენ. უმჯობესია ეს წალდი მოისროლო და სანამ მიანვდენ, იქამდე ეს მინა შენი იყოსო. გლეხი, ეტყობა, საკმაოდ ღონიერი აღმოჩნდა და წალდი ისე შორს მოისროლა, რომ გულდაწყვეტილმა დადიამ ამოიხრა: „ძან ძვირი დამიჯდა ეს ჩურიო!“

9

გზატკეცილიდან გადავუხვიეთ და სოფლის ოღონობოლორო, მოხრეშილ ორლობეში მივჯაყვაყებთ. ეს სოფელი ინჩურია. თუ გვანჯის დავესესხები, აქაური ყოფილა ცნობილი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი. ვინ იცის, ათი საუკუნის წინ რანაირი იყო ეს სოფელი, მაგრამ ახლა ეს ტრადიციული მეგრული დასახლებაა, მწვანე ეზოებით, ოდა-სახლებითა და ხილნარით.

მარჯვნივ, ჩიხში შევუხვიეთ, სიღრმეში ჭიშკარია. ღობეებს მიღმა, ორთავ მხარეს თხილის რიგები ჩამნკრივებულა. ეზოს სიღრმეში ორსართულიანი სახლი დგას, გვერდით, ორთვალიანი ბელეტაჟი. ეზო დაფერდებულია ჭიშკრისაკენ. კუთხეში ხის ჯვარი აღუმართავთ.

აი, ამ ლამაზ, გლეხურ მამულში დაიბადა წმიდა მღვდელმონამე პატრიარქი ამბროსი (ხელაია). იმ დროს, ალბათ, აქ პატარა მეგრული ოდა იქნებოდა, ხოლო სახლები უფრო გვიანდელი აშენებულია.

მოულოდნელ სტუმრებს შემოგვეგებნენ ამ ოჯახის დიასახლისი ქალბატონი მზევინარი და პატრიარქის პირდაპირი შთამომავალი თეა, რომელიც ამჟამად მარტვილის მუზეუმის თანამშრომელია. გასაოცარი სულაც არაა ის, რომ ადრე თეამ არც იცოდა, რომ დიდი ადამიანის შთამომავალი იყო. ოღონდაც, ყოველი ფარული გაცხადდების! სახეგაცისკროვნებულები ისეთი სიხარულით გვხვდებიან, რომ აშკარაა, ეამაყებათ ისეთი წინაპრის ყოლა, ვისმა ქმედებებმა და სიტყვებმა ოციანი წლების წყვდიადიდან ამოანათა. დიახ, ის იყო ადამიანი, ვინაც დაუპირისპირდა ქვეყნის დამაქცევართ, გენუას კონფერენციას საპროტესტო წერილი გაუგზავნა, ბოლშევიკური სამსჯავროს წინაშე წარმდგარმა კი ცოტნესული სიტყვები წარმოთქვა: სული ჩემი ეკუთვნის უფალს, გული ჩემი — სამშობლოს, ხოლო გვამი ჩემი საჯიჯგნად თქვენთვის მიმიცია, მტარვალნო.



მასპინძლების სიხარულმა ჩვენც აგვიტაცა და გაგვახალისა.

შეგვიძლნენ ბელეტაუში, სადაც მცირედი კუთხე მოუწყვიათ, ხატებითა და წმინდანის გამოსახულებებით.

ოჯახის შენუხება არ გვინდოდა, მაგრამ დიასახლისი შეუვალი იყო — ხელაიების ოჯახიდან სტუმარი ისე ვერ გავა, თუ არ დაიღოცებაო.

თვალისდახამხამებაში სუფრა გაიშალა. დავსხედით, ჭიქები ავწიეთ. კარგა დიდხანს ვისაუბრეთ წმინდა მღვდელმოწამეზე.

ვგრძნობდი, ჩვენზე ღვთიური მადლი გადმოედინებოდა... ამ ჩვენს გზაზე ეს წუთები აღმოჩნდა ყველაზე შთამბეჭდავი და სათუთად მოსაგონი.

10

მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარში სამი ათეული წლის წინათ ვყოფილვარ, კომუნისტების დროს. ბევრი რამ მეხსიერებაში წარიშალა, მაგრამ მახსოვს როგორ ავდიოდი უსასრულოდ მაღალ და წაცრისფერ კიბეზე. ცხადია, ის ბუმბერაზი ხეები გაღმა-გამოლმა ფერდობზე რომ

აშხვართულან, მაშინაც არსებობდა. სატაძრო წაგებობებიც იქვე იყო, ოლონდ მიტოვებულისა და უპატრონოს შთაბეჭდილება დამრჩა. მაშინ არც მღვდელმსახურნი მინახავს, არც მომლოცველნი.

ახლა კი, ხელაიების მამულიდან წამოსულებს, ამაღლებული განწყობილებით პირთამდე სავსეებს გველოდა არაჩვეულებრივი განცდა ლაუგარდოვან ცასთან სიახლოვისა.

ჯერ მივდიოდით თანამედროვე, მთაზე იკანკლედურად ამავალ გზაზე. ყოველ მოსახვეზე ქალაქისა და სოფლის შორეული სანახების ხედი უფრო და უფრო ფართოვდებოდა, უფრო წარმტაცი ხდებოდა. მწვანეში ჩაფლული ეს შორეული სივრცეები სამშობლოს განცდას გიცხოველებს.

მთის თავზე, მანქანების საგანგებო სადგომზე დავტოვეთ ჩვენი „ვენი“. შეგვეძლო ტაძარში პირდაპირი კიბით ასვლა, მაგრამ ვარჩიოეთ გალავნის გასწვრივ მიმავალ გზას დავდგომოდით. ხელმარცხნივ, გალავნამდე მწვანე ფერდობი არბის, მოვლილი და ყვავილებით დამშვენებული. ხელმარჯვნივ, დალმართზე ულამაზესი ფიჭვნარია აყელყელავებული, მაღალი ხეები, რომელთა მიღმა ქალაქის პანორამა კრთის.

კომპლექსის ეზოს საპირისპირო კალთას ბუმბერაზი ხეები მძლავრი ფესვებით ჩაჭედილან, ამათ მიღმა კი ტყიანი მთები და მწვანე სანახები გადაშლილა.

ეზო მოწესრიგებული და სუფთაა... ღვთისმშობლის ტაძარი... უძირო ჭა... ზღუდეზე გადამდგარი მცირე ტაძარი...

ძნელია სიტყვის ჩარჩოში ჩაატიო ყველაფერი. მე არც ვცდილობ რაიმე აღვწერო, მხოლოდ ის მინდა, ჩემი ემოცია დავაფიქსირო.

ტაძარში სიმშვიდეა. ფრესკებიდან წმინდანები და დიდგვაროვნები გადმოგვყურებენ. წყნარად ციმციმებს უთვალავი სანთელი, მდუმარებას მათი ჩუმი ტკაცუნი არღვევს.

აგერ ეკატერინე ჭავჭავაძისა და ნიკო დადიანის საფლავები.

ყოველივე სიცოცხლესა და სიკვდილზე, უფალსა და მარადისობაზე ჩაგაფიქრებს...

11

გაძამიებთან მცირე ხნით ტახტზე წამოვწექი, დალლილი ვიყავი, მაგრამ მაღვე წამოვხტი.



საღამოს მიმწერი დგებოდა. ჩემი თანამგზავრები ტეხურისაკენ წასულან გადასალებად.

მეც აუჩქარებლად დავუყვით მოღობეს და ბილიკით ნაპირისაკენ დავეშვი.

ლოდნარზე სიარული მიჭირდა და ფეხს ფრთხილად ვადგამდი.

რკინის ხიდამდე მივალნიე. აქ ჩემები ჩამომსხდარიყვნენ. მეც მოზრდილი ლოდი შევარჩიე და ჩამოვჯექი.

ხიდქვეშ საჭყუმპალაო იყო და სოფლისა და სტუმრად ჩამოსული ბიჭუნები შესეოდნენ.

თამამნი და გულმავარნი ხიდის მოაჯირიდან, საკმაოდ დიდი სიმაღლიდან ხტებოდნენ, წყალში დგაფანს მოადენდნენ.

უფრო მორიდებულნი ხიდის ქვედა არმატურაზე ჩამოჩიდებოდნენ, სიმაღლეს იმოკლებდნენ და მერე ხტებოდნენ.

ერთი ბიჭუნა რკინის შვერილზე იდგა და ყოყმანობდა.

— ანი ვერც გადმოხტება! — თქვა თამაზმა და ბიჭი მაშინ წამოვიდა, გაბედა.

ბინდი მატულობდა. ბიჭებისათვის ეს მზის მორიგი ჩასვლა და ახალი დღის ლოდინი იყო, ჩემთვის — მარადიული სახლისაკენ მიმავალ გზაზე შემდგომი ნაბიჯი...

12

სენაკის გავლით აბაში ჩავედით. იქ სამუზეუმო ასაკის „ვოლგა“ ვიქირავეთ და შიგ ჩავეკვეხეთ.

ნჯლრევა-ნჯლრევით მივდივართ სოფლის მტვრიან შარაზე. გზის-პირა ღობეებზე გადმოწლილი ხილნარი მტვრითაა შეფიფქული.

აგერ, კონსტანტინე გამსახურდიას ეზო-კარს მივადექით. აქ დაიბადა დიდი მწერალი, თუმცა კონიასი აქ არაფერია, გარდა გეოგრაფიული წერტილისა, რადგან ვიღაც ვიგინდარა და რეგვენმა თავმჯდომარემ, შურისძიები ბოლმით შეპყრობილმა, აქაურობა გაანადგურა, ხეებიც კი გაკაფა.

ბატონი კონსტანტინე არაერთხელ მინახავს მწერალთა კავშირში, მომისმენია მისი გამოსვლები. ის მუდამ ერთ სავარძელში ჯდებოდა, შავ როიალთან რომ იდგა. იმ დროს შემეძლო ახლოს გავცნობოდი, მაგრამ ბუნებით მორიდებული ვიყავი და ეს შანსი ხელიდან გავუშვი.

ორი ღიმილისმომგვრელი შემთხვევა მახსენდება, რაიც მხოლოდ და მხოლოდ მწერლის არაორდინალურ ხასიათზე მიუთითებს.

ერთხელ ბატონი კონსტანტინე რუსთაველზე, ოპერის წინ მისე-ირნობდა. შემთხვევით იქ მყოფი მეათეკალასელი გოგონები აედევნენ. მათ შორის იყო ჩემი ნაცნობი ექიმის ქალბატონ მერის ქალიშვილი, ტან-მაღალი და ლამაზი გოგონა. კონსტანტინე უცებ შეჩერდა, თვალი შეავლო ცნობისმოყვარე გოგონებს და მყაფიოდ წარმოთქვა: „მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ იზრდებიან ეგეთი ცხენივით გოგონები!“ გასაგებია, ბავშვებს რაც დაემართებოდა. ქალბატონ მერის ქალიშვილი ცრემლის ღვარღვარით მოვარდა დედასთან და შესჩივლა: „დედიკო, კონსტანტინე გამსახურდიამ ცხენი მინოდა!“ ქალბატონ მერის გაეცინა და დაუყვავა: „შე სულელო, არ იცი, რომ კონიას ცხენები ქალებზე უფრო უყვარს!“

უნივერსიტეტში აკაკი შანიძის იუბილე ტარდებოდა. დარბაზი პროფესორებითა და სტუდენტებით აივსო. ტრიბუნაზე მომხსენებელი იდგა. ამ დროს პირდაპირ სცენაზე შემოდის ბატონი კონსტანტინე, ირგვლივ არც იხედება. დარბაზი ახმაურდა. მომხსენებელს ენა დაება. ბატონი კონსტანტინე სავარძელში ჯდება, თავის შლაპას მაგიდის ქვეშ მოიქნევს (მაგიდას ერთმანეთზე გადაწნული ფეხები ჰქონდა!). მომხსენებლის შემდეგ პირდაპირ ტრიბუნისაკენ მიემართება, დარბაზს გადახედავს და სიტყვას ასე იწყებს: „მე, მაგალითად, გრამატიკა სულ არ მჭირდება!“ (ცხადია, სიტყვის დანარჩენი ნაწილი იუბილარის ქებას მიუძღვნა).

ბუნებრივია, ასეთი ხასიათის კაცი ვიღაც თავმჯდომარეს კოჭებს ვერ გაუგორებდა და იმასაც ბოლმის სენი გაუღვივდა.

ამიტომაც დარჩა მხოლოდ მწვანე მინდორი, რომლის სილრმეში მეგრული ოდა დგას, რა თქმა უნდა, სხვა დროს აგებული ხელისუფლების დანაშაულის გამოსასყიდად.



სამაგიეროდ სახლს უკან მოედინება მომცრო ზანა, „მსოფლიოს უუმცირესი და უმოკლესი მდინარე“, როგორც მწერალი გვარნმუნებს. ცხადია, ამაზე მცირე მდინარეებიც არსებობენ, მაგრამ მას რომანტიკული ხიბლი იმიტომაც ახლავს, რომ მის გამჭვირვალე, რპილ წყალში პატარა კონია ჭყუმპალაობდა.

იგი მოედინება მომხიბლავ ჩეროში, ზედ მცირე ხიდია და აქაურობა სიწყნარესა და სიგრილეს აფენს...

13

ოციოდე წუთის შემდეგ ჩვენ სუჯუნაში ვართ.

ორსაუკუნოვანი გუმბათოვანი ტაძარი ეზოს სიღრმეში დგას. ხელ-მარჯვნივ სასაფლაოა, მის მიღმა შაოსანი დედები დგანან, ეს შინმოუსვლელთა ძეგლია.

ხელმარცხნივ მონაზონთა სამყოფელია, რადგან ჩვენ ვიმყოფებით სუჯუნის დედათა მონასტერში.

ამასწინათ ქარბორბალამ გადაიარა და ხეები წაუქცევია. ახლა მონაზვნები და სოფლის ახალგაზრდები ეზოს მოწესრიგებას ცდილობენ.

შარაგზის მიღმა, ზედ სკოლის გაგრძელებაზე აკაკი ხოშტარიას სასახლეა. დიდ ქველმოქმედს, ეტყობა, მშობლიური კუთხის ნოსტალგია აწუხებდა და 1915 წელს ეს სასახლე აუშენებია, ოლონდ ისტორიის ქარტეხილებმა საშუალება არ მისცეს თუნდაც ერთი ღამე გაეთია საკუთარ სახლში.

კიბესთან განოლილი ქვის ლომის თათებში კატას ეძინა ნებიერად, სიმბოლური სურათია — ლომის აშენებული კატამ მიისაკუთრა.

თუმცა ამჟამად, მგონი, სამართლიანობა ზეიმობს, რადგან ამ სახლში გიმნაზია იხსნება და მის ფართო ოთახებში მონაზვნები საქმიანობენ. არა მგონია, ამ სახლის სახელოვან მფლობელს ეს ამბავი სწყენოდა.

14

ნაშუადღევს ისევ სენაკში შევბრუნდით. პირსახოცის საყიდლად ბაზრობაზე შევეხეტე. აქაც, როგორც ბევრ სხვა ადგილას, კარგად ჩანს, რომ ვაჭრობა ნახევარ საქართველოს კვებავს.

მერე ქალაქის მუზეუმს ვეწვიეთ. მეორე სართულზე მოზრდილი დარბაზი ჟიული შარტავას გვახსენებს. აქ უმთავრესად ფოტოებია გამოფენილი. ბატონ ჟიულის მხოლოდ ერთხელ შევხედრივარ. დიდუბის პანთეონთან დაკრძალვაზე მოვიდა და გავესაუბრე. იმდროინდელ კომუნისტურ-ჩინოვნიკურ ნომენკლატურაში გამოირჩეოდა ნიჭიერებით, პრინციპულობითა და პატიოსნებით, ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო. აფხაზეთშიც იმიტომ წავიდა, უყვარდა აფხაზები და, ალბათ, არც ეგონა, რომ მისი ადრინდელი აფხაზი მეგობრები გაიმეტებდნენ. არადა, სეპარატიზმის სენი ისეთი დაავადებაა, ადამიანს აბრმავებს, სიძულვილისა და სისასტიკის მორევში ითრევს. მიჭირს ამ კაცომოყვარე პიროვნების ბოლო წუთების წარმოდგენა.

ვათვალიერებ ამ ფოტოსურათებს... ბავშვი, ჭაბუკი, კაცი... კაცი, რომელიც სინათლეს ასხივებს... სევდიმომგვრელია ფიქრი ჟიული შარტავას ბედ-ილბალზე. რამდენჯერ უნდა გადავფურცლოთ ჩვენი სამშობლოს ისტორიის მომდევნო ტრაგიკული ფურცელი.

მეზობელ დარბაზში მხარის ეთნოლოგიის ნიმუშებია გამოფენილი, დერეფანში და მომცრო კაბინეტში — მიხა ცხაკაიას დროინდელი ავე-

ჯი (ყვარებით ჩვენს პროლეტარულ ბელადებს ბურჟუაზიული ფუ-ფუნება!), მაგრამ ეს უკვე ნაკლებ საინტერესოა.

სადგურის მოედნამდე ჩავისეირნეთ, იქ მანქანა დავიქირავეთ და ქალაქის გავლით აღმართს შევუყვევით. გზის ბოლოს, მთის ფართო უბეში თეკლათის დედათა მონასტერია. ჭიშკარი ჩაკეტილი დაგხვდა. ეზოს შემოურული კუტიკარი შევაღეთ და მწვანე აღ-მართს ავყევით. სერზე ტაძარი იდგა. იქ უიული შარტავას სული ღვთის-მშობელს შევავედრეთ.

ერთხანს ეზოში, ტაძრის წინ ვისვენებდით. აქედან ულამაზესი პანორამა იშლება.

უკვე შეღამებულზე შინ დავბრუნდით, ძაძამიებთან.

ადრეული შემოდგომის ნელთბილი საღამო ჩამონვა.

15

„პაზიკის“ მარკის ავტობუსით გავემგზავრეთ ჯერ ჩხოროწყუსკენ, მერე მუხურში. ეს უკანასკნელი ყოველთვის იყო გამორჩეული თავისი ლანდშაფტით, ხობისწყლის სიკამაით, ჰაერითა და თაფლით. ამიტო-მაც აქ ზაფხულობით საბავშვო ბალები ჩამოჰყავდათ და პატარა დისშ-ვილებისა და ძმისშვილების მოსანახულებლად ჩამოვდიოდი. ერთხელ ცირამუების სტუმარიც ვიყავი ზამთრის პირზე, ხერხემალი ამტკივდა და ბუხარში შეყრილი რცხილის მოგიზგიზე „ცეცხლზე „ვიმკურნალე“.

ხობისწყლის ძველთაძველი ხიდიდან ვიყურებით. ამ ხიდს „ნაცხას“ უწოდებენ, მეგრულის არმცოდნეც ადვილად მიხვდება, რომ აქ ჩქარი მდინარე კლდოვან ნაპირს ენარცხება... ფართო რიყეზე დამსვენებლები შავდებიან ან წყალში ჭყუმპალაობენ.

ვდგავარ და ამ სოფლის შეილს ლაშა გახარიას ვიხსენებ. მრავალი წლის წინათ მწერალთა კავშირში ახალგაზრდა პოეტების საღამო ტარ-დებოდა. ბევრი ვინმე ავიდა ტრიბუნაზე, იქიდან ზოგი პოეტურ საძ-მოს მართლაც შემოუერთდა, უმრავლესობა პოეზიის სამყაროდან გაქრა. ლაშას ვიცნობდი როგორც უურნალისტს და ცოტათი გამიკვი-რდა კიდეც მისი ტრიბუნაზე გამოჩენა. ლექსი დედას ეძღვნებოდა. თითქოს უცაბედად ყველანი გადავსახლდით სადღაც სოფლის სახლ-ში, დედის თბილ კერიასთან. დარბაზში აშკარად ვიგრძენით ომბალოსა და უცხო სუნელის სურნელი... მონუსხულნი ვუსმენდით... მერე ტაშმა

იგრიალა, ლაშა იმ საღამოს გმირად გადაიქცა... წლები გავიდა და აპა, დავინახეთ ლაშას უცნაური ფერისცვალება. მოდიოდა „ცისკარში“, გვაჩ-ერებდა ქუჩაში და ლექსებს გვიკითხავდა ქართულ და მეგრულ ენებზე (კარგი ქართული იცოდა-მეთქი რომ ვთქვა, ამით ვის გავაკვირვებ, მა-გრამ მისი მეგრული საოცარი სავსეობით გამოირჩა). თითქოს რაღაც-ნაირად ატაცებული იყო, თითქოს ეჩქარებოდა, თითქოს იცოდა, რომ ამ სამყაროს დიდხანს ვერ შერჩებოდა... მერე მოულოდნელად წავიდა, ცად ამაღლდა... მე არ მინდა ტერენტი გრანელს შევადარო ლაშა გახარია, ან არჩილ ფირცხალავა, მაგრამ მათში საერთო ბედისწერა იკითხება...

ხიდს გავშორდით. სოფლის ცენტრი აქვეა. ერთგვარად მიუხედა-ვია, სისუფთავეზე ზრუნვა ხომ ჩვენი წესი არ არის. ტრადიციებზე ჩი-ვილით დღენიადაგ ჰარაკირის ვიკეთებთ, მაგრამ რატომ არა გვაქვს ტრადიცია, რომ საკუთარი კუთხე არ დავანაგვიანოთ.

აქა-იქ დიდრონი ხეები გაზრდილა. ზედ შუა მოედანზე უზარმაზა-რი ქაფურის ხე დგას, ვინ იცის ვინ რომელი მხარიდან ჩამოასახლა.

დასასვენებელ სახლს მივაკითხეთ, „ლუგელა“ ჰქვია. მოვნეს-რიგდით და წყლისპირას, ბონდის ხიდთან ჩავედი. ხიდის თავზე ჩამო-ვჯექი და წყლის ჩხრიალს მიყუგდე ყური... მდინარეში პატარები ანცობდნენ.

წინა ჯგუფს შურუბულუს სარეკორდო მღვიმე და ლუგელას წყარო აურჩევია, მეგზურობა თვითონ პირველმკვლევარს იგორ ფიჩაიას გაუწევია, ჩვენ კი ოცინდალეზე ასვლა გადავწყვიტეთ (ბაზილიკა მა-ლალი მთის წვერზე). იქ მხოლოდ ორხიდიანი მანქანით აისვლებოდა, ოლონდ ასეთი მანქანა ვერ ვიშმოვეთ. გადაწყდა ფეხით ასვლა. ჩემი მტკივანა ფეხების გადამკიდებ ვერ გავბედე და დავრჩი. დანარჩენები აღმართს შეუყვნენ. შეღამებულზე თამაზი დაბრუნდა. გაბუტული ჩანდა. „რა ჯიუტი კაცია ეს გვანჯი! — მეუბნება. — შუა ნელამდე რომ ავედით, არ დამიჯერა, ბილიკს გადაუხვია და ჩიხში აღმოვჩნდით. ვეუბნები, ლამდება, დავბრუნდეთ-მეთქი. არაო... ახლა ის და დავითი გზას მობილურით ინათებენ და ვინ იცის, როდისლა ჩამოაღწევი!

ვიცოდი, გვანჯი მარცხს ვერ შეეპუებოდა და შუა გზიდან არ და-ბრუნდებოდა, ამიტომაც არაფერი ვთქვი.

„ლუგელაში“ ლტოლვილი ბავშვები ისვენებდნენ. წამდაუწუმ ჩაგ-ვირბენდნენ და გვესალმებოდნენ: „გამარჯობათ, მასნ!“ მეც ვპასუხო-ბდი, „მასწ“ კი არა „ძია“ ვარ-მეთქი.

ნავახშმევს ეზოში თამაშობდნენ. ჩავაკითხე და ერთგან თავშეყრილებში ჩავჯექი, აბა, ზღაპრებით თუ გიყვართ-მეტები. ატყდა მხიარული ურიამული — „მოგვიყევი, რა, მასწ!“ მეც ხან ეს მოვუყევი, ხან ის... კიდევ, კიდევო, იძახიან. ერთი ასეთი ზღაპარი მაქვს: „იყო ერთი ღტ-ღტ, არც თავი აქვს, არც ფეხი, არც ტანი, მაგრამ როგორც კი და-ვუძახებთ — „ღტ-ღტ“ — იმნამსვე მოვარდება და გაგვაცინებს...“ გოგონებმა წამში დაიზეპირეს და იმეორებენ — „არც თავი ჰქონდა, არც ფეხი...“ გვერდით ცუცქნა გიორგი მეჯდა, მოუსვენარი და ეშმაკის ფეხი, იმან გააგრძელა — „არც ხელი ჰქონდა, არც ფეხი, არც ტრაკი...“ ატეხეს ერთი კისკისი... სიცილით მეც ბევრი ვიხალისე, ცხადია.

ოცინდალედან საკმაოდ გვიან დაბრუნდნენ. ბელში ბილიკი ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. ბაზილიკამდე რომ ააღნიეს, მზე ჯერაც ჩასული არ ყოფილა და შორეული, გაბრწყინებული ხედები სანახავად ღირდა.

16

გზისპირას ჩამოვსხედით და გამვლელ მანქანას დაველოდეთ.

თამაზსა და დავითს გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდათ და ჩა-მოგვშორდნენ.

გვანჯი კვლავაც დაუზარელი და ოპტიმისტია, მე კი მხოლოდ გვანჯისა და საკუთარი თავისი იმედი მაქვს.

ისეთი რახრახი მომესმა, ვიფიქრე, ჭანკი ხომ არ გვიახლოვდება-მეტები. გავიხედე და, ჩემი ასაკისა არა, მაგრამ არც ბევრად ნაკლები რომ იქნებოდა, ისეთი თვითმცლელი მობობლავს. შემეშინდა, ნანილები გზა-გზა არ დაუცვივდეს-მეტები. თუმცა ჯერჯერობით მეც მხნედ მოვა-ბიჯებდი, ფეხები არ წამდრობია და ამას რა ღმერთი გაუწყრებოდა.

გაგვიჩერეს. შოფერი და კიდევ ერთი ჭარმაგი კაცი გვებოდიშები-ან, რომ კომფორტის საშუალება არა აქვთ.

გვანჯი ახალგაზრდულად პირდაპირ ძარაში ხტება და ხრეშზე მო-კალათდება, მე კი, რაკი ინვალიდს უფრო სათუთად უნდა მოვექცეთ, კაბინაში ვეტენები.

დავიძარით და ხალისიანად მივრახრახებთ, თან ვმუსაიფობთ მე-ჯოგე კვარაცხელიების თემაზე. ესაა, მანქანის ძაგაგისაგან ხმაც გვი-ძაგაგებს, მაგრამ ეგ არაფერი...

ხუთიოდე კილომეტრზე ჩამოგვსვეს, აგერთქვენი საკვარაცხელიოვო.

მთისძირას მრგვალი მინდორია. მინდორის ირგვლივ, წრეზე, კარ-მიდამოები ჩამომწკრივებულა და ჭიშკრებით ერთმანეთს გაჰყურებენ. ამათ უკან უზარმაზარი, ტყე-ბუჩქნარით მოსილი მთა აღმართულა, ზევით სალი კლდის ფიქრიანი შუბლი გადმომხობია.

ეს თურმე ლაკადაა. ჩემი რომანის („კიბე იაკობისი“) პერსონაჟი გერა კვარაცხელია ამ მთაზე წახირს აძოვებდა და ცისმარე დილით ლორთქო ბალაზზე ფეხშიშველა მოსეირნე უფალს შეეყრება. ამბავი პოეტურად კი აღვწერე, მაგრამ აქამდე ეს მთა წანახი არც მქონდა.

წინ ჩვენი ასაკის კაცი შემოგვევება. მივესალმეთ და ავუხსენით, რაც გვანინტერესებდა. აქ იციან და ამაყობენ კიდევაც თავიანთი სახელ-განთქმული მეჯოგე წინაპრებით. თურმე, როგორც ამას თავის წიგნში წერს აკაცი ბაქრაძე, „რუსეთ-იაპონიის ომის დროს, 1904 წელს ძიკი კვარაცხელიამ რუსეთის იმპერატორს წიკოლოზ მეორეს აჩუქა ასი დარჩეული ხარი, ერთი ასაკის, ერთნაირი წონის, ერთი ფერის...“ წა-რმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია... თადა კვარაცხელიას, თურმე ყუბან-ში 800 სული საქონელი ჰყავდა. მოვიდა ერთი გაჭირვებული ქართვე-ლი, გახსნა სადალაქო. თადამ თქვა: სირცხვილია, ქართველი კაცი იდ-გეს და რუსის ჭუჭყიან თმებს კრეჭდეს. თითო მეჯოგემ ვაჩუქოთ ორ-ორი ძროხა და ისიც მეჯოგე გავხადოთო... ასეც მოხდა!

ახლა სწორედ ამ თადას შთამომავლებს მივადექით. შემოგვევებ-ნენ კარგად მოსული ვაჟუკაცი და დაი მისი, კიდევ ერთი ძმა შინ არ იყო... ლამაზი ეზო, ძველი ოდა და იქვე ახლადაგებული, ორსართულიანი, თანამედროვე სახლი კი არა, სასახლე... ესაა, ერთი ნაკლი მანც აღ-მოაჩნდა დიდი კვარაცხელიების ბარაქიან ოჯახს — გვიანდება ნეფისა და პატარძლების შემოსვლა....

17

სამარშრუტო ტაქსის დავემგზავრეთ და სულ მალე წალენჯიხის ცენტრში აღმოვჩნდით. ბატონი ტარიელ კაკაჩია გაგვეცნო და ჩვენზე ზრუნვა იტვირთა — მანქანაც გვიშოვა და საექსკურსიოდაც წამოგვყ-ვა. სოფელი ობუჯი მაინტერესებდა. ჩემი მონაფეობის ჟამს ხშირად მიყვებოდნენ ლეო ქიაჩელის ბავშვობაზე, იმაზე, რომ მწერალმა სოფელს ბიბლიოთეკა აჩუქა და ა. შ. ლეო ქიაჩელის ცხოვრებაზე დაწ-ერილ წიგნსაც ვურედაქტორე. ავტორი ბატონი აკაცი თოფურია იყო.

მაშინ მე და ბატონი აკაკი შევკამათდით. პატარა ლეოს სოფლიდან რომ მიაცილებდნენ, ბაბუამ ეტლში ჩასვა და ცხენს „ლაჯებში“ მოუთათუნაო. უტაქტოდ გამომივიდა, მაგრამ ვუთხარი, უმჯობესია გავაზე ან ზურგ ზე მოუთათუნოს-მეთქი. „შე გაფუჭებული!“ — მიყვირა და გამეცალა. წიგნი უკვე გამოსული იყო, ზედ რედაქტორად მე ვენერე და ტროტუარზე შემხვდა. თავი დახარა და გვერდით რომ უნდა აევლო, ხელი ვტაცე და არ გავუშვი, მოვეფერე... იმ დღიდან ჩემი მეგობარი გახდა. რაც უნდა დამეტეჭდა, საკუთარ წარმატებად აღიქვამდა... მოკლედ, იმის თქმა მინდა, ლეო ქიაჩელის სახელთან ბევრი რამ მაკავშირებდა, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ იგი ერთი საუკეთესო ქართველი მწერალია.

ბუნებრივია, რომ ხელიდან არ გავუშვი შანსი, მენახა მისი სოფელი და სახლ-მუზეუმი. წინასწარვე ვიტყვი — იქიდან გულდაწყვეტილი წამოვედი. სოფლის ცენტრში დგას ობელისკი და ორი შენობა — ერთი ბიბლიოთეკა, მეორე — ტრადიციული მეგრული ოდა. კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, ეს ოდაც პირობითად არის ბატონი ლეოსი, რადგან რეალურად ის სახლი, სადაც მწერალი ცხოვრობდა, არ არსებობს და სულაც სხვა ადგილას იდგა. შევედით ე.წ. „ბიბლიოთეკაში“. პირველი ოთახი ჩინოვნიყის, ე. ი. გამგის სოლიდური კაბინეტი გახლდათ. საკუთრივ ბიბლიოთეკა მეორე ოთახში აღმოვაჩინე — მოუვლელი და მტვრიანი წიგნების არცთუ დიდი რიგი. თაროების მიღმა, პირდაპირ იატაკზე დაყრილი და დაფლეთილი ქაღალდების გროვა, ალბათ, ადრე წიგნებად იწოდებოდა... ამათუკან საკმაოდ დიდი დარბაზია ღონისძიებებისათვის. კედლებზე აქ ფოტოსურათები ეკიდა, ოლონდ ბუზებისაგან ისეა დაჭმული და შელახული, იქიდან ვერაფერს ამოიყითხავთ.

ვიფიქრე, იქნებ „მეგრულ ოდაში“ უკეთესი ვითარებაა-მეთქი. იქ მართლაც ბევრი ფოტო დამხვდა, თუმცა რად გინდათ, ესენიც ისე იყო მწერებისგან დასვრილი თუ შექმული (არ ვიცი ამას რა დავარქვა!), რომ მნახველი იქიდან იმედგაცრუების მეტს ვერაფერს გამოიტანს.

რაც შეეხება მწერლის ბიუსტს, იგი ბრინჯაოსი მეგონა, მაგრამ ისეთი ლაქები აჩნდა, ალბათ სხვა მასალაა და უანგი მოერია.

ლეო ქიაჩელს, ალბათ, ეწადა მშობლიურ სოფელში კულტურის კერადაეარსებინა, თუმცა იმას, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, ვერაფრით ვუწოდებ კულტურის კერას...

(ისე, ამ განწყობის შესამსუბუქებლად უნდა ვთქვა, რომ მომდევნო თვეს წალენჯიხაში გახლდით ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ

ზეიმზე. იყო ამაღლებული, ნათელი მოვლენებით აღსავსე დღე, რომელსაც ასხივოსნებდა ტრაგიკული ბედის დიდი პოეტისადმი გულწრფელი სიყვარული.

და კიდევ, მაცხოვრის ფერისცვალების ათასწლოვანი ტაძრიდან, წალენჯიხას რომ გადმოსცერის, ღვთიური მადლი ეფინება ქალაქსა და მთელ ამ მხარეს).

18

დღე ღრუბლიანია. წვიმამაც არ დააყოვნა, მსუბუქად ცრის. ჩვენი მანქანა ვიწრო ორლობით მიდის. მივემართებით იმ უბნისაკენ, სადაც ნიკოლოზ შენგელაია დაბადებულა, ადამიანი, ვინაც კინოხელოვანთა მთელ დინასტიას დაუდო სათავე.

ჭიშკართან გავჩერდით. ფართო ეზო მწვანე, სველი მდელოთი გადაბიბინებულა. მინდვრის ბოლოს, ხეებს შორის აგურის მოკრძალებული შენობა ჩანს. იქ, როგორც გავიგეთ, მომცრო კინოსაპროექციო დარბაზია. ეზოს ხელმარცხნივ გუბურაა, თევზის მოსაშენებლად გამოდგება, ოლონდ ახლა ამოსაწმენდია.



ქეზობელი სახლიდან დიასახლისი გადმოდის. „აი, ამ ადგილას იდგა ოდა!“ — თითით გვიჩვენებს იგი, მაგრამ იმ ადგილას ოდის ნაკვალევიც გამქრალა, ხასხასა ბალახი ხარობს.

დიახ, ახლო წარსულში, სამოქალაქო ომის მწარე დღეებში ვიღაცამ ცეცხლი შეუწოდ ხის იდას და ჩაფერფლა. დარწმუნებული ვარ, ამის გამკეთებელს თავი პატრიოტი ეგონა. „ოჟ, წმინდა გულუბრყვილობა!“ ჩვენ, საქართველოს მოტრიფიალენი რამდენი ხანია ამ საქართველოს, გამორჩეულად კი მის კულტურასა და სულიერებას ვანადგურებთ!

19

მცირე ხნით შოთა ფიფიას სახლთან გავჩერდით. ფართო ეზოს სიღრმეში ტრადიციული, დაბალ ბოძკინტზე შემდგარი მეგრული ოდა იდგა — ხის სახლი, აივნითა და მოჩუქურთმებული რიცულებით დამშვენებული, საუკუნეზე მეტს რომ მოითვლიდა. ეზოში თანამედროვე, ორსართულიანი სახლიც დგას, მაგრამ ფიფიები წინაპართა ამ ოდას ვერ ელევიან. იგი ჩვენი ეთნოლოგების კვლევისა და აღწერის საგანი გამხდარა... დავიარეთ ფართო და ხალვათი, მაღალჭერიანი ოთახები. უკანა ოთახის მაღალ კედელზე კი წარსულიდან რომანტიკული სევდის გამონათება აღმოვაჩინე. სახლის პატრონს კედლებზე თანამედროვე შპალერი აუკრავს. მხოლოდ ერთი ადგილი დაუტოვებია. იქ დიდი



338

ქართული ასოებით ეწერა — „გახსოვდეთ, არ დამივიწყოთ!“ ეს დანაბარები ეკუთვნოდა ქალწულს, ვინაც ადრე დატოვა საწუთრო... კატო ფიფია, მამიდა კატო იყო ოცდაოთხში დახვრეტილი 25 წლის პოეტის დანიელ ფიფიას და. ეს ის პოეტია, ვინაც დაგვიტოვა პოემა „ხუმლა კოჩი“ (ხმელი კაცი) და ლექსი „ბორჯი“ (დრო), მის კალამს ეკუთვნოდა სხვა მრავალი ლექსი თუ ნაშრომიც.

თაობები შეიცვლება და ვინც აქ შემოვა, მუდამ შეახსენდება ოჯახის სევდიანი ანგელოზი და უდროოდ დალუპული პოეტის ამბავი...

20

წალენჯიხაში „ვოლგა“ დავიქირავეთ და საჩინოს გავლით ჩქვალერში ჩავედით. მთისპირეთის ეს სოფლები ერთიერთმანეთზე წარმტაცი პეიზაჟებით გამოირჩევა. ჯერჯერობით გზები არ ვარგა, მაგრამ ამონგრეულ გულდვიძლს მთავრობის დაპირებებით ვიწყნარებთ — გაკეთდება... საჩინო გვანჯის ცოლოურების სოფელია. ოჯახში შევირეთ, პატარა შვილიშვილს მოვეფერეთ და გზა გავაგრძელეთ. საღამოს პირზე მივადეჭით ჭანტურიების ოჯახს. უფროსი ზურაბი, შინაურულად გამა ჭანტურია სახიერი კაცია, თავისი სოფლისა და გვარის დიდად მოყვარული... მისი სახლის კედლებზე უამრავი სურათი ჰკიდია გამორჩეული წინაპრებისა, მაგიდაზე კი გადაშლილია შთამბეჭდავი „გენეალოგიური ხე“. ხის მძლავრად დატოტვილ ვარჯში იმდენი სახელი წერია, იმის შესასწავლად დღეები დაგვჭირდება... დიასახლისი რომ შემოგვეგება, თითქოს ტვინში ნათურა ამენთო — „აუჟ, კალენიკა მასწავლებელი!“ თავის დროზე ჯვარის საღამო სკოლა დავამთავრე და ეს ქალბატონიც იმ სკოლაში მუშაობდა. ძალიან გამეხარდა, თავი ნათესავებში ვიგრძენი. გვიანობამდე სასიამოვნო მუსაიფში გავატარეთ. პატარა მარიამი ცდილობდა ჩემთვის მოეყოლა თავისი ბავშვურ-ჩურჩუტული ამბები. კალენიკე მასწავლებელმა სკოლის დროინდელი ფოტოსურათი გამოაჩინა. კლასში სულ შვიდნი ვიყავით და ახლა ვიკლევდით თანაკლასელებისა და ჩვენი მასწავლებლების ბედ-ილბალს...

უკვე ლოგინში ჩაწოლილს განცდილისაგან ფიქრები მომეძალა, არადა ხვალ გამოცდა ელოდა ჩემს ხელჯოხსა და დაღლილ ფეხებს...

339

დილით, ნასაუზმეეს ინწრის ჩანჩქერისაკენ გავემართეთ. ჩქარა ვერ მივდიოდი და გვანჯი და ბექა ფეხს მიწყობდნენ. ზომიერი აღნაგობის, სხარტიჭაბუკი ბექა აფაქიძე ჩვენი ახალი მეგზური იყო და გზას მიადვი- ლებდა.

სოფლის ორლობებებს დავუყევით. ხანდახან ვჩერდებოდი და გავ- ყურებდი ტალღოვან გორაკებზე მიმობნეულ ოდებსა და ეზო-კარებს. წელინადის ეს დრო ყველაზე გამორჩეულია, დაღვინებული კაცივი- თაა, ჯერაც ღონე უხვადა აქვა, მაგრამ იცის, მალე ზამთარი მოუ- კაცუნებს.

გზად სახელგანთქმული ქირურგის ეგნატე ფიფიას სახლში შევედით. დიასახლისმა მეორე სართულზე აგვიყვანა. აივანზე გრძელი მაგიდა და ორი ძელსკამი იდგა. თურმე ბატონ ეგნატეს უყვარდა სტუმრების აქ მიღება. ოთახებში ნამდვილი სამუზეუმო ექსპოზიცია დაგვხვდა — უამრავი ფოტო, ქირურგიული ინსტრუმენტები, ნამუშევრები... უკანა აივნიდან ფიფიების ყანა და ბალი ჩანდა, მწვანე მთებით შემორაგული სივრცე გადაიშალა.

კარგა ხანს მოგვიწია ორლობებში სიარულმა. იქნებ მანძილი არც ისე დიდი იყო, როგორც მეჩვენებოდა, მაგრამ ჩემთვის ხომ ყოველი ნაბიჯის გადადგმა პრობლემა გახლდათ, რადგან ნაშალ ქვებში მიწევ- და სიარული.

სოფელს გავცდით და ბილიკი მთის ხრიოკ ფერდობზე გაიწელა. ქვევით, ხევში ინწრა მოქოთქოთებდა. ზედა კალთა თანდათან ხშირმა ბუჩქნარმა დაფარა, უფრო ზევით კი ტყემ. იქიდან უჩინარი ტყისმ- ჭრელები საშეშე ხეებს აგორებდნენ და ჩვენ ვუყვიროდით, ფრთხი- ლად, არ გაგვიტანოთ, ჩვენ მოვდივართო.

ბილიკი თანდათან დავიწროვდა. ნაბიჯიც და ბზის ჩრდილოვან ტე- ვრში აღმოვჩნდით. ფერდობზე შეფენილ ბზას ფითრი მოსდებოდა. ქვევით, ტოტებს მიღმა ხანდახან ხმაურიანი ჩქერალი გამოკრთოდა. ძირს ბზის წვრილი ფოთლები ეფინა, ნეშმოდ ქცეული და რბილი. ჩვენი გზის გასწვრივ დიდი დიამეტრის წყალსადენის მიღი გაწოლილიყო,




ან შრებში დაიკარგა. ახლა იქ, სალ კლდეზე მცირე წყალი ინწრიტება, ხეობაში კი ლოდნარი ისეა დახვავებული, თითქოს დევებს ებუჯნავათ... ინწრის ჩანჩქერსაც ასეთი ბედი ელოდა. მძიმე ტექნიკის ჩარევა და აფეთქებები აქაურობას გაანადგურებდა, თანაც ამის საჭიროება არც იყო. ამოდენა, ქვეყანაში უდიდეს წყალსაცავთან არსებულ სოფელს წყლის პრობლემა რატომ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ვიღაცას ამ საქმიდან კარგი ფულის მოტეხვა მოუნდა. ახალგაზრდა უურნალის- ტმა გვანჯი მანიამ მაშინდელი პრესის ფურცლებიდან შეუტია ამ პრო- ექტს. დიდმოხელენი შეფუცხუნდნენ და პროექტი ჩაიშალა. თანასო-

ინწრის სათავიდან სასმელ წყალს ატარებდა. წყალი ცივი ჩანდა, რადგან მიღი ერ- თიანად შეოფლილიყო. რო- გორც გვანჯიმ ამისსნა, მშე- ნებლები შეეცადნენ ტყე არ გადაეთელათ და წყალსა- დენის გასაყვანად მძიმე ტექნიკა აქ არ შემოიყვანეს, ეს მიღები დამრეც ფერდო- ბზე ხელით შემოაჩოჩეს.

ნინ ფრთხილად მივიწე- ვდით. ხან კვანჯლარა ბზას ჩავავლებდი ხელს, ხან კლდის ნაშვერს. ზოგჯერ ხელჯოს ვეყრდნობოდი, ზოგჯერ ხელს მიშლიდა და მაშინ იგი ბექას მოჰქონდა.

გვანჯი მიყვება: ენგუ- რპესელებს მოუნდათ ჯვა- რისაკენ წყლის გასაყვანად გვირაბის გაყვანა. ასეთი მცდელობა ჯერ კინჩხასთან რომ ჩანჩქერი იყო, იქ ჰქონ- დათ. აფეთქების გამო ის ჩან- ჩქერი გაქრა, წყალი კირქვი-

ან შრებში დაიკარგა. ახლა იქ, სალ კლდეზე მცირე წყალი ინწრიტება, ხეობაში კი ლოდნარი ისეა დახვავებული, თითქოს დევებს ებუჯნავათ... ინწრის ჩანჩქერსაც ასეთი ბედი ელოდა. მძიმე ტექნიკის ჩარევა და აფეთქებები აქაურობას გაანადგურებდა, თანაც ამის საჭიროება არც იყო. ამოდენა, ქვეყანაში უდიდეს წყალსაცავთან არსებულ სოფელს წყლის პრობლემა რატომ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ვიღაცას ამ საქმიდან კარგი ფულის მოტეხვა მოუნდა. ახალგაზრდა უურნალის- ტმა გვანჯი მანიამ მაშინდელი პრესის ფურცლებიდან შეუტია ამ პრო- ექტს. დიდმოხელენი შეფუცხუნდნენ და პროექტი ჩაიშალა. თანასო-



ფლელებმა გვანჯის ღალატი დააპრალეს, ჩვენთვის წყალი დაენანაო... ოღონდაც ინწრა გადარჩა!

არცკი ვიცი, რამდენი ხანი მივყვებით ბილიკს. მერე წყლისაკენ დავეშვით. ვეება ლოდებზე ვიხოხიალეთ. ლოდიდან ლოდზე გადასვლა ძალიანაც მიჭირდა, მაგრამ უკან ხომ არ გავპრუნდებოდი.

ერთგან, ჩანჩქერამდე მცირე მანძილიდა რომ რჩებოდა, ყინული-ვით ცივ წყალში მომიწია გატოპვა. ფეხსაცმელები გავიძრე (ბექამ თა-სმებით მხარზე გადაიკიდა), ჯინსის ტოტები ავიკაპინე და ჩემი თეთრი წინდებით წყალში ჩავედი.

მალე სველ ლოდზე ავძვერი და ჩანჩქერის პირისპირ აღმოვჩნდი.

სხვათა შორის, ნიაგარას ჩანჩქერზეც ვარ ნამყოფი. ამიტომ აქ რას უნდა გავეკვირვებინე, მაგრამ ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ქუხი-ლით დაშვებული ქაფქაფა ნაკადი საუცხოო რამ სანახავია. ირგვლივ შემოჯარული ბზით დაფარული ფერდობები უფრო შთამბეჭდავსა ხდის აქაურობას. წყლის გამჭვირვალე წინწკლებით ჰაერია გაჯერე-

ბული და პირისახეზე მესხურება... დამბურძგლა, მაგრამ ნამდვილად ღირდა აქ ამოსვლა.

სველი წინდების ამარა მარცხენა ფერდობს ავუყევი. დაჯღვარეულ ხეებს ვეჭიდებოდი და ისე მივცოცავდი. კვლავაც წყალსადენამდე ავა-ღნიე და სველ ბილიკზე ვიარე. მღვიმიდან გამომდინარე მცირე ნაკა-დიც გადავლახეთ (იგი ინწრას გვერდიდან შეერთვოდა) და ჩანჩქერის თავზე აღმოვჩნდით.

მთებიდან მზემ გამოაჭყიტა და მომეჩვენა, რომ ცოტათი გავთბი. სალი კლდის თავზე ვიდექით და ფერხთით კამკამა წყალი ვარდებოდა. უკან, მაღალი ხეობიდან რამდენიმე მომცრო ჩანჩქერიც ჩანდა, მაგ-რამ იქ ასვლა მე არ შემეძლო.

შევისვენეთ და შინიდან გამოყოლილი ხაჭაპური მივირთვით.

წყალსადენის მილი პირდაპირ მღვიმიდან გამოდიოდა. ბექა და გვან-ჯი შიგ შეძვრნენ და დამეკარგნენ.

გზივარ მზეს მიფიცხებული, ვუსმენ წყლის უწყვეტ შხუილს, თან ტვინში საშიში ფიქრები მიტრიალებს. ვაითუ, ეს მღვიმე შორია და დატოტვილი, ვაითუ, გზა აებნეთ და ვერც გამოძვრნენ... სანამ ჩემი მტკიცანა ფეხებით სოფელში ჩავჩირიალდები და ხალხს მოვუხმობ, რამდენი ხანი გავა...

წუთი ბევრად მეტია, ვიდრე საათის ისარი ამას აღნიშნავს. მგონია, რომ დიდმა დრომ გაიარა.

ბოლოს საუბარი მომესმა და შვებით ამოვისუნთქე.

„აქედან ისე როგორ წახვალ, მღვიმეში თუ არ შეიჭყიტე!“ — მაქე-ზებს გვანჯი.

„იქ სტალაგტიტები და სტალაგმიტებია!“ — კვერს უკრავს ბექაც.

წამოვდექი, რათა ეს სასჯელიც მიმელო. ბექა წინ გავიძლოლე. მცირე მანძილზე წყლის მილზე მივდივარ და ბნელ ლოდნარში აღმოვჩნდით. აქ არ არის მინისქვემა ბილიკები, როგორც ანაკოფიაში მინახავს, აქ ჭერიდან მონგრეული და ერთმანეთზე ახორხლილი ლოდებია და ვერ გამირკვევია საითკენ, რომელი სილრმეებისკენ მიინევს ეს ბნელი ხვრე-ლი. აგერ სტალაგმიტიც, თუმცა იგი არაა ჭრელად მოციაგე, როგორც წარმომედგინა, უბრალოდ ნაცრისფერია... დავასკვენი, რომ ჩემგან ანი სპელეოლოგი ვერ შედგება. ამიტომ ოციოდე მეტრი ვიხოხიალე და უკან გამოვძვერი. მზეზე გამოსულს გადარჩენილივით გამეხარდა.

სოფელში დაბრუნებაც არ იყო ჩემთვის იოლი. დაღლილი ფეხები-სათვის ეს ქვიანი დაღმართები საკმაოდ მძიმე დასაძლევია. სახსრები მწარედ მტკიოდა და გზა-გზა ვისვენებდი.

ბოლოს სოფლამდე ჩავალნიერთ. ორლობები მანქანა წამოგვეწია, ჩამსვეს და ჭანტურიებთან მიმარბენინეს.

ამ თავგადასავლის შედეგმა მალევე გამიარა. ამჯერად ფეხების ტკივილიარც არტრიტითა და მისთანებით ყოფილა გამონვეული, უბრა-ლოდ კუნთები დამეჭიმა და მეორე დღეს არც არაფერი მტკიოდა.

22

მზე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული, მეზობლის ბიჭებმა კარზე სტალინისდროინდელი „ვილისი“ მოგვაყენეს და ჩქვალერიდან ჯვარამდე მი-მავალი დანგრეული გზით ჩავრახრახდით. მშობლიურ ჯვარზენს თვა-ლი გადავავლე და ათიოდე წუთში მანიების ოჯახში აღმოვჩნდი, სა-დაც მაგანასა და ენგურის თავშესაყართან არაერთგზის ვყოფილვარ მაშინ, როცა ოთხი ვაჟკაცის დედა ცოცხალი იყო.

ახლა, როგორც ეს ზღაპრებში ხდება, ოთხივე ძმა მამისეულ სახლში შეიყარა — შოთა (ხუტა), გალაქტიონი (გალა), გვანჯი და ბონდო. ვუყურებდი და ვუსმენდი ძმებს. თითქოს ჰეგავდნენ ერთმანეთს და განსხვავდებოდნენ კიდევც. სხვადასხვა გზებით დიოდნენ ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ჰექონდათ საერთოც — იდეათა და გატაცებათა სიუხვე. მათი ზოგჯერ რეალური, ზოგჯერ ფანტასტიკური ნაფიქრალი მუდამჟამს ერთ პოსტულატს ეყრდნობოდა: კიდევ რა მოვიფიქროთ და რა გავაკეთოთ, სამშობლოს საქმეს რომ შევენიოთ... იდეა ხან დიდს მოიცავს, ხან მცირეს, მაგრამ არასოდეს აქ არ იგულისხმება პირადი გამორჩენა, აქ მხოლოდ წადილია საქვეყნო საქმეების კეთებისა.

ჩამოლამდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭიქა. ჩვენ კი ვისხედით და ვმა-სლაათობდით.

დამე მეძინა ძველ სახლში, სადაც რუდუნებით ნაგროვები წიგნებია, კედლებიდან უამრავი ფოტო დაგვცექერის, ნივთები ათეული წლობით ცოცხლობენ.

დილით მე და გვანჯი კაშხალზე ავედით. დიდხანს დავცქეროდი მთებს შორის ჩაჭედილ ხელთქმილ კედელს, რომელიც წყლის უკიდე-განო მასას აკავებდა. ამ საოცარ მშენებლობაში მეც ვიყავი ჩართული,

წყლის გადასაგდები გვირაბის კედელს ვაპეტონებდი. ახლა ის გვირაბი დახურულია, რადგან ზედმეტია და იმ ადგილში, სადაც ოფლს ვღვრი-დი, შეუძლებელი იქნება ოდესმე შეღწევა.

ნაშუადღევს ჩემს მეგობარ, მწერალ მურად ჭანტურიას ვესტუმრე და ვისაუბრეთ ძველსა და ახალზე, ლიტერატურული ცხოვრების სი-დუსტირეზე... იმ დროზე, როცა უფრო ახალგაზრდები ვიყავით და იმე-დები გვასულდგმულებდა.

23

ერთი დღით აქ დავრჩი, არსად არ მეწადა წასვლა.

ეზოს ერთი კუთხე ფიჭვნარს უჭირავს, გეგონება საიდანლაც ტყე გადმობარებულაო. არადა, თავის დროზე ეს ფიჭვები ხუტამ გაახარა... აუჰ, რამდენი წელი გასულა იმ დღიდან, აქ რომ ვიყავი. ტანწერნეტა, სწორად ასვეტილი ფიჭვები მაღლა ატყორცნილან, ძირს ჭრელი ჩრდილი ეფინება... მე და ხუტა პირისპირ ვსხედვართ და ვსაუბრობთ.

მახსოვს ზომიერი სიმაღლის ბეჭებრტყელი, ღონიერი ვაჟკაცი. მაშინაც ბიღა ულვაშები ჰქონდა, ცხადია, შავი. გამჭრიახი თვალებით შემომყურებდა და მიყვებოდა ამ თავის კუთხე-სამშობლოზე. ყვე-ლაფერი იცოდა ამ მშვენიერი გეოგრაფიული წერტილის შესახებ, ანკარა და მჩქეფარე მაგანასა და მღვრიე და ბობოქარი ენგურის შესა-ყართან რომ გაშლილა (მაშინ ხომ ენგური ლაღად დიოდა)... იგი ბაღებს აშენებდა, მრავალტაროიანი სიმინდის ჯიში გამოჰყავდა, საქონელს ამრავლებდა... სუფთა და კამკამა ჰაერს აკვირდებოდა, ამინდის გამოც-ნობა შეეძლო... საზოგადო საქმეებს გადაგებული, რეალობისა და ირე-ალობის ზღვარზე მცხოვრები, ელოდა ზღაპრულ პრინცესას, მაგრამ დროის კანონი მკაცრია... შარშან ახალგაზრდობის ელექტროს მთა-ვაზობდა, ნამალს, რომელიც ასაკს უკან შემიბრუნებდა... აქ, ფიჭვნარის ჭრელ ჩრდილში მიყვებოდა, თუ რამდენი ხე-ბუჩქი გაახარა, უნდოდა სოფელი უფრო დამშვენებული ეხილა, მაგრამ უჩიოდა მავანთ, მის და-რგულს გულგრილად რომ ეკიდებოდნენ და ღუპავდნენ...

დრომ, ცხადია, თავისი კვალი ყველას დაგვატყო და არც მისთვის ჩაუვლია უკვალოდ... დედა და მამა ალარ არიან, ასაკოვანი ბიჭები და-ობლდნენ.

24

გალამ ქალაქური ცხოვრებით იცხოვრა. მრეწველობის ეკონომისტმა და უპარტიომ ბარემ იცდაათი დირექტორი გამოიცვალა. ასაკი ადამი-ანს მშობლიური სახლისაკენ ექაჩება. სახლი კი ეს მწვანე ედემია, სა-დაც ადამიანის სულს სიმშვიდე ეფინება.

აივანზე მარტონი ვსხედვართ. ყურადღებიანი კაცია, ცდილობს, სტუმარი არ მოაწყინოს. ლელვი მოვისაკლისე და ეს ასაკოვანი კაცი ხეზე გავიდა...

მიყვება ადამიანებზე, სამსახურზე, განვლილ დრო-ჟამზე. თევ-ზაობა და ნადირობა ყვარებია, თურმე მეგობრებთან ერთად ხშირად დადიოდა ხან სად და ხან სად.

ერთხელო, მითხრა, გასული ვიყავი წნორის მიდამოებში. „უკანა გზაზე მანქანა ჩაგვიქრა. ვწვალობთ, ვჯახირობთ, მაგრამ ვერაფერს ვშველით. სრულიად უცნობი სოფლის ცენტრში ვდგავართ. დაბნელ-და, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანს. ლამისაა მანქანა დავაგდოთ და გზა ფეხით გავაგრძელოთ, მაგრამ ასეთ უკუნეთში სად უნდა წახვიდე. შორიახლო ადამიანთა ჯგუფი დგას. ლანდებივით ჩანან, ვერ ვარჩევ ვინ ვინ არის. ხმაზე ვატყობ, კახურად უქცევენ, მაგრამ ჩვები მანქა-ნის ვის რა გაეგება... უცებ საიდანლაც მანქანა მოგვადგა. კაცი გა-დმოვიდა და კაპოტი ახადეთო, გვეუბნება. ჩაიხედა, ჯიბის ნათურა მიანათა, უჩიკინა, ბაბინა დამწვარაო, გვითხრა. ჩაჯდა მანქანაში და წავიდა... ამ ბნელ ლამეს სად ჯანდაბიდან მოვიტანდით ბაბინას, აქ არც სახელოსნოა, არც მაღაზია... მოკლედ, ვართ გულგასიებულნი და უცებ ის მანქანა კვლავ მოგვადგა. კაცმა კაპოტი ხელახლა აგვახდევ-ინა, უჩიკინა, ძველი მოხსნა, თავისი მოტანილი ჩააყენა და მეუბნება — „აბა, დაქოქე!“ დაიქოქა... გავიხარეთ! ის კაცი კი მანქანაში ჯდება. გავეკიდე, ძმობილო, რა ლირს-მეთქი. არაფერს ამბობს, ჩაჯდა და დაიძრა... ისევ გავძახე, გაჩერდი, ფული აიღე-მეთქი. თავი მანქანიდან გამოყო და გამომძახა — „სხვას რომ გაუჭირდება, იმას დაეხმარე!“ ესა თქვა და გაქრა!“



მეორე ამბავიც ამასა ჰგავს, ოღონდ ეს უკვე აზერბაიჯანში მოხდა, სადღაც წითელი ხიდის მიდამოებში. „ნაცნობი შემეხვენა, სათევზა-ოდ ნამომყევიო. მისი ჯიპით წავედით. წყალში თევზი სავსეა, მაგრამ ეს კაცი გამოუცდელია, ბადეს ისვრის და ვერაფერს იჭერს, რადგან საკუთარი ჩრდილით თევზებს აფრთხობს. მე მუხლამდე წყალში ვდ-გავარ და ვგრძნობ, თევზები ფეხებზე მეცაცუნებიან. სანამ ის თავისი ბადით ფართიფურთობს, სამი თევზი ხელით დავიჭირე. გაგულისებულ-მა ბადე მოისროლა და შეიგინა. ავიღე ის ბადე და რამდენიმე გასროლით ბლომად თევზი დავიჭირე. ამასობაში ვხედავ, გვიღამდება. ჩავსხედით ჯიაში და მოვდივართ. ერთგან, ნაპირზე სველი ქვიშაა. ვეუბნები, გვერ-დი აუქციე, თორემ ჩავრჩებით-მეთქი. „ჩემი მანქანა ტანკივითაა!“ — ამაყად მიპასუხა და იმ ქვიშაში შეაგდო. ეგრევე ძარამდე ჩავეფალეთ. აღმუვლებს, მაგრამ ვერ ამოვდივართ. კაცი გაგიჟებასაა, ასე როგორ დავითარსეო. თავის უჭკუობას ბედ-იღბალს აბრალებდა... მანქანიდან გადმოვედი და ტყეში გაჭრილი გზით ახლო სოფლისაკენ წავედი. ცაზე ვარსკვლავები ჩახჩახებენ და გზა ოდნავ ცრიატებს. ტყე ბნელი კედე-ლივითაა და მეტს ვერაფერს ვხედავ... მივაღწიე სოფლის სალაყბომ-

დე, ახალგაზრდები შეყრილან. აქაც ვერაფერს ვაგებინებ. მე რუსულად ვლაპარაკობ, ესენი თავიანთ ენაზე ყაყანებენ... რა უნდა მექნა, გამოვბრუნდი, ლამეს მანქანაში გავათევთ და დღისით რამეს ვიზამთმეთქი. მივდივარ ბნელ ტევრში და თითქმის ვერაფერს ვხედავ. უცებ სოფლის მხრიდან რახრახი მესმის. მოვიხედე, სინათლე მოიწევს. ეს არც მანქანის სინათლეა, არც ტრაქტორის, სადღაც მაღლა ჰქიდია, თითქოს ციდან დაეშვაო. ნამდვილად უცხოპლანეტელი მომდევს-მეთქი, გავიფიქრე... ამასობაში მომიახლოვდა კიდეც და განზე გავიწიე... ჩვენს დასახმარებლად უზარმაზარი კომბაინი მოიჩქაროდა!“

რაც შეეხება ნადირობით მის გატაცებას, მოკლედ მამცნო: მე ასე მწამს — ნადირობა ბუნების წიაღში მეგობრებთან ერთად გავლა-სია-მოვნებაა და არა ნადირ-ფრინველთა ხოცვა-ჯლეტა!

უსმენ და ვფიქრობ: მართალია, ქვეყნიერება სავსეა ბოროტებით, მაგრამ სიკეთის თუნდაც მცირედი გაელვება ჯაბნის ეშმაკეულ განსაცდელს.

ისე, ყური მოვკარი, გალას კალამიც კარგად უჭრისო და თავის ფათერაკებზე თვითონვე წერსო. იქნებ მომინიოს კიდეც მისი წიგნის რედაქტირება, ეს ხომ ჩემი ხელობაა.

25

უმცროსი ბონდო ჩემი ნათლურია. ადრე ფსკოვში ჯარში მსახურობდა, შემდეგ ლენინგრადში სწავლობდა და ფოლადის მდნობელი გახდა. მეც იქ გავიცანი, ახალგაზრდა მეუღლითურთ ჩავედი და თავისი ბინა და დრო დამითმო. დიდი საბჭოეთის ჩამოშლის შემდეგ შინ დაბრუნდა, რათა ისტორიულ მოვლენებში თავისი წვლილი შეეტანა... ჩვენი ქვეყნის ნგრევასა და შენებაშიც, ბედნიერი იმედებით აღსავსენი, ყველანი ვმონაწილეობდით, თუმცა სინამდვილე ბევრად უფრო ტრაგიკული და სისხლიანი აღმოჩნდა. მხოლოდ მტკიცე და ზნეობრივად შეურყვნელმა ადამიანებმა არ დაკარგეს იმედი და ფუტკრის რუდუნებით აკეთებენ იმას, რასაც სიკეთედ მიიჩნევენ.

თავის სოფელში (ანინდელ ქალაქ ჯვარში) საზოგადოება ჩამოაყალიბა. კაბინეტი მოიწყო და ცდილობს ძილბურანიდან მავანთა გამოყვანას. აი, დღეს სადისკუსიო საღამო გვაქვს. მეც მივდივარ. ბევრნი არა ვართ, რადგან ზოგ-ზოგებს ურჩევნიათ ტელეეკრანთან ისხდნენ

და პიარტექნოლოგთა ბანგით დათვრნენ. ჰოდა, შევიყარენით ისინი, ვინაც ლაპარაკით სოფლის აშენებას ლამობს. ზუგდიდიდან ძმები რაფავები გვემატებიან — რობერტი და იდენი. რობერტს — მხატვარსა და პოეტს დიდი ხანია ვიცნობ და ვმეგობრობ კიდეც. იდენი? გუნებაში ვხუმრობ, რომელი იდენი, ინგლისის პრემიერი თუ ჯეკლონდონის პერსონაჟი? დისკუსიის თემა წინასწარა განსაზღვრული, ჩვენ ხომ პოლიტიკით ვსულდგმულობთ, ყოველი ჩაის მკრეფავი ანდა სუნელის გამყიდველი დღეს პოლიტიკოსია. ბონდოს სწორედ აქეთკენ მიჰყავს საუბარი, მაგრამ ბატონი იდენი შემოაგდებს ყბადალებულ თემას შესახებ იმისა, დაწერა თუ არა ჭაბუამ „დათა თუთაშხა“. საერთოდ, ცნობაარეულ საზოგადოებაში დიდი გასავალი აქვს შეთქმულების თეორიებს. ყველამ იცის, რომ სოროსს ჩვენი განადგურება სწადია, რომ ირგვლივ ყველა მასონია, მასონი კი დიდი ბუაა, რომ არსებობს მსოფლიო მთავრობა, რომელიც კაცობრიობას მართავს მისდა დასაღუპად, რომ მეორედ მოსვლა აგერ, ამ გზის ბოლოს იქნება და ყველანი ვიზილავთ ლუციფერს... ბუნებით სკეპტიკოსი ვარ, ზღაპრები მიყვარს, მაგრამ ვერ ვიჯერებ ბაყბაყდევის რეალურ არსებობას. ახლაც აუღელვებლად და ლიტერატურულად ვასაბუთებ, თურატომაა დათა ჭაბუას პერსონაჟი. ჩემს ლოგიკას ეთანხმებიან, მაგრამ ზღაპრებს მაინც ვერ ელევიან.

უკვე გვიანი ღამეა. შინ ვბრუნდებით. „დისკუსიით“ გაბრუებული ლოგინში მივძვრები.

26

მესტიიდან მომავალ სამარშრუტო ტაქსის მოვყვებით. ტაქსის სვანი მძღოლი მეგრელებს „გვაჯავრებს“, ლანს გვირბილებს. არ მინდა ავყვე და ანეკლოტები დავახევავო. ბოლო დროს ხომ რაც მანამდე მეგრელებზე და კახელებზე ანეკლოტები იყო, ყველა სვანებს აკიდეს... უმჯობესია, ჩუმად ვიჯდე და საამო სვანურს ვუსმინო.

ზუგდიდის ბაზრის წინ ბატონი იდენი გველოდება, ჩავსხედით მის მანქანაში და ხობისკენ მივემართებით. იქ გვიერთდება გოგიტა ჩიტაია, ისტორიკოსი და არქეოლოგი — სახიერი, მაგრამ გაუღმიარი ახალგაზრდა.

ქალაქს გავცდით და აღმართს შევუყვევით, ყოფილი დაფნის მეურნეობისაკენ მივდივართ. ხობში ათასჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის ბრტყელ დაბლობზე გაშლილ ქალაქად აღვიქვამდი. ახლა კი

გორაკების აღმართ-დაღმართს მივყვებით. აგერ ჭიშკარი და დაცვის ბიჭები. მაღლა მთაზე კოტეჯები იმაღლება, იქ ახალგაზრდული ბანაკია. მომცრო სერზე გავდივართ და ქვევით, ხევში ვიხედებით. ჩვენ წინ გადაიშალა ულამაზესი კარსტული ტბა — პაპანწყვილი. ამას, მგონი, ვოკლუზი ჰქვია, რაკი მისი წყლები მიწიდან გროვდება.

გაღმა ფერდობს დაფინის ბურჩები აჟყვება.

კარგა ხანს გავყურებდი და ვფიქრობდი: ამ პატარა საქართველოში იმდენი თვალწარმტაცი ადგილია, ჩემი დარჩენილი წლები მათს მოსახილველად არ მეყოფა-მეტეი.

მანქანაში ჩავსხედით და ხობის მთავარანგელოზის მონასტრისაკენ გავემგზავრეთ. ხელმარჯვნივ ურთას მთის მცირე განშტოებებია, ხელმარცხნივ ჭანისწყლისა და ხობისწყლის შესართავის ფართო სანახები გაშლილა... გვანჯი და გოგიტა მარჩიელობენ. ამ მიდამოებში ტრაგიკული სამკუთხედია — 15-20 კილომეტრის ფარგლებში გუბაზ მეფის (554), ზვიად გამასახურდიას (1994) და ნატო ვაჩანაძის (1953) აღსასრულის ადგილებია და სამივეგან კვირბისა თუ ობელისკის აღმართვა სწადიათ...

მონასტრის ეზო-გარემო საკმაოდ ვრცელია და მძლავრი ხეებითაა დაჩრდილული. ჩვენი არქეოლოგი გვიჩვენებს ადგილებს, სადაც, თუ-რმე, ნამოსახლარები გაუთხრია. მე ამ ქვების გროვაში ვერაფერს ამოვიყითხავ და იძულებული ვარ ჩემი ბუნებრივი სკეპტიციზმი დავძლიო.

ერთგან მინდორი მოშიშვლებულია, ჭადრები ალბათ ქარიშხალმა წააკცია ან იქნებ განგებ გაიკაფა, რათა ტაძრის ზღუდე მთელი თავისი დიდებულებით გამოჩენილიყო.

თვით ტაძარი, ეტყობა, მრავალგზისაა გადაკეთებული, ორი მხრიდან ღია გალერეები მიუყვება. შიდა სივრცე ფრესკებითაა მოხატული. აგერ ამაყად გადმომდგარა ვამეყ დადიანი და მისი ოჯახი.

ხობში შემოვბრუნდით და მეგრული ფოლკლორის მუზეუმს მივაკვლიეთ.

აქედან ხეთაში გადავინაცვლეთ. ომში დაღუპული ჯარისკაცის ამირან ლატარიას დედამ ლიზა ადამია-ლატარიამ, შვილის ხსოვნის პატივსაცემად, ჯერ კიდევ საბჭოების დროს საკუთარი კარ-მიდამო სახელმწიფოს აჩუქა. ქალბატონი იქვე, ეზოშია დაკრძალული და მისი საფლავის ირგვლივ შინმოუსვლელთა სიმბოლური საფლავებია. ეზოშივე მუზეუმის ორსართულიანი შენობა დგას, გზის გაღმა კი ღია ამ-

ფითეატრი, სადაც ყოველ მეორე წელიწადს ტარდება კოლხური ფოლკლორული ფესტივალები.

პროვინციის პირობაზე, მუზეუმი საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა. ვისაც აინტერესებს არქეოლოგიური აღმოჩენები ანდა კოლხების ეთნოლოგია, აქ უამრავ საინტერესო მასალას იხილავს. კარგადაა წარმოჩენილი რაიონში დაბადებული სახელოვანი ადამიანები, ვინაც საქართველოს კულტურასა და მეცნიერებაში შესამჩნევი წვლილი შეიტანა. ერთი დიდი დარბაზი მეორე მსოფლიო ომსა და იმ ომში დაღუპულებს ეძღვნება. ეს მუზეუმი ხომ თავის დროზე სწორედ ამისთვის აშენდა. ოლონდაც, იმ დროიდან, როცა პირველი ექსპოზიცია გაკეთდა, დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ გადაფასდა, საბჭოთა კლიშეები დღეს უკვე არაა დეკვატურია. აქ კი არავის არაფერი შეუცვლია — კედლებიდან ისევ ის პოლიტბიურო გადმოგვყურებს... იმ ომის შემდეგ კიდევ რამდენი ომი გადავიტანეთ, რამდენი ახალი შინმოუსვლელი გვყავს, კარგი იქნებოდა ეს დარბაზი უფრო გათანამედროვებულიყო... ჩვენი სამშობლოსათვის დაღუპულთა სიები უნდა შევავსოთ და საკადრისი სურათებით დავამშვენოთ, რომ მათი საქმენი-საგმირონი თვალწინ იყოს ან და მარადის...

ჩვენმა გიდმა შემოგვთავაზა, დიხაგუძუბა უნდა გიჩვენოთო. სიყმანვილეში მინახავს უკვე გათხრილი დიხაგუძუბა, ოლონდ ანაკლიაში, აკაკი ჭანტურიას ნამოლვანარი. ცნობილია, რომ იქმან დიდძალი არქეოლოგიური მასალა აღმოაჩინა. ახლა ჩვენმა მეგობარმა სადღაც სოფლის განაპირას გაგვიყვანა, ნაწილობრივ ჯაგნარით მოსილი ადგილი გვანახა. ფანტასტიკის დონეზე, ცხადია, შეიძლება სამარხიც ვიპოვოთ, მაგრამ მე ხომ უკვე ვთქვი — ჩემში სკეპტიკოსი სახლობს.

საღამოს ზუგდიდიში შევბრუნდით...

27

ღამე ზუგდიდში, ახლობლის ოჯახში ვათიეთ. რაკი მე თვითონ ზუგდიდელი ვარ, სასაცილო იქნებოდა ტურისტის ამპლუაში მოვლენოდი საკუთარ ქალაქს. ვისაც სამეგრელოს მონახულება უნდა, უპირველესად, ცხადია, ზუგდიდს ეწვევა — გაისეირნებს ბულვარში, მოინახულებს დადიანების სასახლეს, უნიკალურ მუზეუმს და ბოტანიკურ



ბალს, სანთელს აანთებს ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში...

მეტი რაღა ვთქვა? მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ჩემი წიგნების მთავარი ასპარეზი, მაშინაც კი, როცა ზუგდიდს არ ვახსენებ, ანდა მოგონილი სახელით მოვიხსენიებ, მუდამუამს ზუგდიდია, ტვინში ყოველთვის მისი გეოგრაფიული გარემო და კოლორიტი მიზის... მწერალი საკუთარ ბავშვობას ვერასოდეს გაექცევა!

28

დილით, ნასაუზმევს ბატონმა იდენმა მოგვაკითხა და ფოთისაკენ გაგვაჯროლა. გზაში ვმუშავიფობდით. იდენი თავის ზვიადისტურ წარსულზე გვიყვებოდა, მე კი, ბებერი მოგზაურის კვალობაზე, საკუთარ შთაბეჭდილებებს ვუბრუნდებოდი.

მანძილი სწრაფად დავფარეთ. ფოთის პორტს, ნიკო ნიკოლაძისა და ცოტნე დადიანის ქანდაკებებსა და ბიზანტიური სტილის დიდებულ ტაძარს თვალი შევავლეთ და მალთაყვაში ჩავედით. აქ სასტუმრო „პალიასტომში“ მოვთავსდით. დრო ბევრი გვქონდა და უპირველესად კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მოვინახულეთ. მეტად

საინტერესო შენობაში აღმოვჩნდით. ეკოლოგიურად ზედმინევნით უსაფრთხო ნაგებობის აშენების დროს მინისპირიც კი არ დაზიანებულა. შიგნით მცირე გამოფენაცაა და კომფორტული ოფისებიც.

გავარკვიეთ, რომ დღესვე, ნასადილევს შეგვეძლო აკვამარინით პალიასტომის ტაძაზე გასეირნება. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ჯერაც პატარას ტვინში ჩამებეჭდა ეგნატე ნინოშვილის ტრაგიული მოთხოვნის სურათები. მას შემდეგ ფოთში ხშირად ვყოფილვარ, მაგრამ საქმეები ისე ამენყო, ტბა ნანახი არ მქონდა.

პატარა, მარტივად მოწყობილი ნავმისადგომი იქვე, სასტუმროსთან, ყურეში იყო. აკვამარინს დიდი არ ეთქმოდა, მაგრამ სამ ათეულ მეტავრს კი იტევდა.

კიჩოზე ამუშავდა ძრავა და ნაპირს მოვწყდით.

ორ-სამ წუთში ყურე დავტოვეთ, წინ გადაიშალა ვერცხლისფრად მოლივლივე პალიასტომი. მარცხნივ, საკმაოდ შორს ხეებში ჩამალული სახლები მოჩანდა, ამათ გაგრძელებაზე ქალაქის კონტურები ილანდებოდა. ვიღაცა ირწმუნებოდა, ტაძრის გუმბათს ვხედავო, მაგრამ, ვფიქრობ, ეჩვენებოდა. მარჯვენა ნაპირი შედარებით ახლოს იყო, სელით დაფარულ, ჭაობიან კუნძულსა ჰგავდა.

წყლისპირას ორიოდე წერო დავლანდე.

სილრმიდან ხანდახან გაქანებული კეფალი ამოხტებოდა.

სუფთა და გამჭვირვალე ჰაერი გრილად მელამუნებოდა.

შუა ტბას რომ მივაღწიეთ, ტალღები მსუბუქად აიქოჩირა. სანახავად ლამაზი იყო, მაგრამ გამეგონა, რომ პალიასტომი ხიფათიანია და ამინდის მოულოდნელი ცვალებადობა აქ ჩვეულებრივია.

წინ, ფიჩორის შესართავთან, პანაშინა კუნძულზე ჯვარი იყო აღმართული. ზედ მოზრდილი ფრინველები ისხდნენ და აკვამარინის მოახლოებისას ზარმაცად აფრინდნენ.

მარცხენა ნაპირზე მომცრო მდელო იყო და მიტოვებული ქოხი იდგა.

აკვამარინი ფიჩორს აუყვა. ნაპირები ტროპიკულ ჯუნგლებს მოგვაგონებდა. დაჭაობებულ ნაპირებთან წყალში ოქროსფერი ლეყი ტივივებდა.

მდინარე მდორედ მოედინებოდა, მისი ნელი სვლა შეუმჩნეველი იყო.

მზე უკვე გადაიწვერა, როცა გზად მეთევზები შეგვხვდნენ, წყალში ანკესები ჩაეყარათ.



ჩვენი ამაღლებული, რომანტიკული განწყობილება ძრავის ღალატ-მა დაარღვია. თურმე ელექტროდამცველი გადაიწვა, მაგრამ სანამ ეს გაირკვეოდა, ჩვენი აკვამარინი ნებიერად მიტივტივებდა ტბისაკენ.

ქოხამდე რომ ჩავაღწიეთ, ფეხის გასამართავად მდელოზე გადა-ვედით, თუმცა თხმელნარის სიღრმეებისაკენ ჩაკარგული ბილიკით გზის გაგრძელება არ ღირდა.

ძრავის დეფექტი მალევე აღმოვაჩინეთ, აკვამარინი გაცოცხლდა და ისევ ტბის სივრცეზე გამოვედით.

ზე უკვე ჩადიოდა, მისი სხივები ზედაპირზე ირიბად წვებოდა და სანახაობა მართლაც ფანტასტიკური იყო.

შორიდან ილანდებოდა მეთევზეთა მრავალრიცხოვანი გუნდი, ტბი-დან ნაპირისაკენ უზარმაზარ ბადეს ექაჩებოდნენ. ახლოს რომ ჩავუ-არეთ, ვნახეთ, როგორ ხტოდა ბადეში გახვეული ვერცხლისფერი თევზი და თავის დახსნას ცდილობდა...

29

ჩვენი მოგზაურობის მეათე დღეც გათენდა. სიცხიანი დარი დაგვი-დგა. ნასაუზმევს ზღვაზე გავისეირნეთ. იგი სასტუმროდან ორიოდე ნაპიჯზეა და გზა მოკლეზე მოვჭერით. იქ, სადაც ტბიდან გადმონადე-



ნი წყალი ზღვაში ჩადის, საკმაოდ ფართო ქვიშიანი პლაჟია. ჩვენი სა-ხელგანთქმული ქვა-ლორლიანი სანაპიროებისაგან განსხვავებით, აქ ფეხს რბილად ადგამ, ქვიშა თითქოს გეფერება... წყალიც თხელია, შეგიძლია ზღვაში თანდათან შეხვიდე, ათეული მეტრის იქითაც მკერ-დამდე თუ აგწვდება. ზღვის მარილიანი წყალი შერბილებულია მდი-ნარის მტკნარი წყლით... მოკლედ, იმდენი ვიყურყუმელავე, დაღ-ლილობა ერთიანად ჩამოვირეცხე... ამ კეთილ და სასიამოვნო გუნება-ზე ვამთავრებ ამ ჩემს ლამაზ მოგზაურობაზე თხრობას. სამწუხაროდ, თუმცა „ცხოვრება მშვენიერია“, მაგრამ უხინჯო ნამდვილად არ არის. ეს ლამაზი პლაჟი ისეა მოფენილი პლასტმასის ბოთლებით, ცელო-ფნებითა და რაგინდარა ნამუსრევით, მშვენიერების აღქმა დიახაც რომ გიჭირს... პატრონი სჭირდება აქაურობას...

და მაინც, ამ ათდღიანმა ტურნემ სამეგრელოს ყველა რაიონში ბედ-ნიერების განცდა დამიტოვა. თბილისისკენ სამარშრუტო ტაქსის მოვ-ყვებოდი და ვფიქრობდი — ბევრი ვნახე, თუმცა უფრო ბევრი ვეღარ... (ეჭ, როდილა შემოვივლი სამურზაყანოსაც!)... საქართველო პატარაა, თუ მას კოსმოსიდან დახედავ, მაგრამ დიდია, თუ ფეხით ივლი, თანაც ხელჯოხის დახმარებით...

25.10.09

## სარჩევი

ჯაფოქარი ფეფიუო და სხვა ზღაპრები .....	3
ბუჭია სპილო .....	5
უფლისწული ჩიქორიუო .....	8
თხიპნი-თხუპნი .....	10
შვილთავიანი დევი .....	13
იყო ერთი ღა-ღა! .....	16
თექო დაიკარგა .....	18
ბევრი შოთიუო .....	21
ჯაფოქარი ფეფიუო .....	23
ამუნია ტიტიუო .....	38
ტყეში დადის მელმელტურა .....	46
ხაჭია .....	63
ცურცულები .....	68
ვიცქანა გოგოსა და მისი მეგობრების უჩვეულო ფათერაჟები .....	74
ბაციკუკუ და სამი ჯაფოქარი .....	99
მატარებელი .....	283
მოგზაურობა ხელჯონით სამეგრელოში .....	311